

3193 1360173030

# სპარსეთი და იქაური

## ქართველები

21260

( მგზავრის წერილები )



ტეიმისი

Typografija Gruz. Izd. T—va. | სტამბა ქართ. წიგ. გიმ. ამ—ბისი.

1896



Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Декабря 1896 г.

## წინასიცყვაობა

კაი ხანია ტრიალებდა ხმა ჩვენს საზოგადოებაში, რომ ვითომ სადღაუ, იქ, შორს სპარსეთის სამფლობელოში არის ქართველთა მოსახლობაო. ხოლო რა მოსდგამთ მათ ქართველისა და რის მიხეზით შეიძლება იწოდებოდნენ იგინი დღემდე ქართველებად,—ამისი საზოგადოებამ სინამდვილით არა იცოდა-რა. საჭირო იყო მათი ადგილობრივი ნახვა, ადგილობრივი შემოწმება ყოველივე იმ ხმებისა, რომ ქართველობას ჰქონო-და ხელთ მათ შესახებ ნამდვილი და უტყუარი ცნობები და მის-და გვარად შესძლებოდა შესაბამი მოქმედება. აი. ამ მიზ-ნით განვიზრახე მე იქ წასვლა და დავყავი სრული ერთი წე-ლიწადი და უკეთუ ეს ჩემი მოგზაურობა არ ჩაივლის უმნიშ-ვნელოდ, უკეთუ იგი გამოიწვევს იმ დაჩაგრულ და გადაკარ-გულ ქართველთადმი რაიმე შემწეობასა და ნუგეშინისცემას ჩვენი კაცომოყვარე და ქველმოქმედი საზოგადოებისას, მაშინ მეც სრულიად ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს და აღარცა თუ დავინანებ იმ გაჭირვებასა და შეწუხებას, რაც მე ამ მოგზაუ-რობაში გამოვიწრე.

ეს წერილები იძექდებოდა ამ წლის უურნალ „მოამბეში“, საიდანაც უცვლელიად არის აქ ცალკე წიგნად გადმობეჭი-ლი; დამატებული აქვს მხოლოდ ბოლოში ქართული და სპარ-სული ენის შედარება და იგრეთვე სქემატიური რუკა ფერეი-დანის ერთის ნაწილისა, ქართველთა ნაპაიისა, სადაც მოსა-ხლობენ სპარსეთის ქართველები. რასაკვირველია, რუკა ესე არ იქმნება სწორე ზედ მიწევნით, რადგან მის შედგენის დროს არა გვქონდა არავითარი იარალი, ასე გასინჯეთ, არა გვქონდა კომპასიც კი, მაგრამ მით მაინც, იმედი გვაქვს, ამისის შემწეო-

ბით უფრო უკეთეს წარმოდგენას იქონიებს კაცი იმ მოსახლობის ადგილ-მდებარობაზედ, ვიდრე უამისოდ.

სამწუხაროდა გვრჩება, რომ ის დიდალი სურათები, რაც ჩვენ ამ წიგნისთვისა გვქონდა დამზადებული, ჩვენის ხელმოკლეობისა გამო, ვერ ჩავურთვთ ვერც შურნალში და ვერც ცალკე გამოცემაში.

დადო აღნიაშვალი

---

## ს ა რ ჩ ვ ი

**თავი I.** ქასპიის ზღვიდან თეირანამდე, — ქ. ანზალია. — მორდაბი. — ფიჩაზარი. — სასტუმრო რაშტაში. — ქ. რაშტი და საზოგადოდ გილანის თემი. — რუსეთის გავლენა. — სიწმიდე შთამომავლობითი. — გზა სეჭიდ რუდზედ. — სოფ. რუდბარი და ზეთის ჩილის ხე. — მენჯილის ხილი. — სეჭიდ-რუდი. — ირანის ზეგანი. — ქარვანა. — ყავახანა. — ამბები საჩაი იქში. — ხარზანის გადასავალი. — ქ. ყაზვინი. — სკოლა და საბყრობილე. — ყაზვინ-თეირანის ვაკე. — თეირანის გზა-ტკეცილი და ეტლების მოგზაურობა . . . . .

1.

**თავი II.** თეირანი-დედა-ქაჯაჭი სპარსეთისა. — თაფხანის მედანი. — ძველი და ახალი ქალაქი. — დამოიდებულება ევროპიელთა და სპარსელთა შროის. — ბასტა. — ტახტი მარმარილოსი. — სასახლე შაჰისა. — სასახლე ნაიბ სალთანესი. — სასახლე ამინ სულთანისა. — რაფიელ ხან ენკუროლოფიანი და თავადი სულეიმან ხან სომხეთისა. — სიკვდილით დასჯა. — სომეხთა ეკკლესიები და საფლავი ბარკანოვისა. — საფლავი ალექსანდრე ბატონიშვილის ქალის ელისაბედისა. — ამბავი სამსონ ხან მაკანცოვისა, ალექსანდრე ბატონიშვილის სიძისა. — ძეგლი შაჰისა. — ჩვენი ნაცნობი ქარიმა. — შაჰიბდულ აზიმში წასვლა და ერთი შემთხვევა. — უცნაური ქართველი ბიჭი. — ღოვშან თაფე. — შაჰის დაბრუნება საგარაკო ადგილებიდან. — ილლიუმინაცია . . .

38

**თავი III.** თეირანიდან ისპანამდე და ქაჯაჭი ისპანი. — მანძილი. — ბიჭის-ბიჭი. — ჯორიდან გადმოვარდნა. — პოლიტიკური საუბარი ერთ სპარსელ აფიცერთან. — მუქთა ხორანი. — ჩეო. ში ჯდომა. — ერთი პატარა ტბა. — ქარვასლა-სადგური. — ემამზადე ჰაზრათ მასსუმისა და მისი სასწაულთ-მოქმედებანი. — სიიაფე ხილისა. — სენსენი და ფლიდობა ჩემი ბიჭისა. — ქალაქი ქაშანი და მისი მრეწველობა. — ყურუდის გადასავალი. — შრომა და მოხერხება სპარსელისა. — გაკუნობა

ყოვლად სამღვდელო, სპარსეთისა და ინდოეთის სომხეთა  
არქეპიკოპოზის ისაიასი.—ამბავი აზარუებუშედ.—ამბავი  
ერებლე მეფის ერთი გალაზექრძისა.—საზერე სპარსეთი-  
სა.—უცირატესობა ისპარისი ირნის სხვა ქალაქებთან.—  
შპარაზ პირველი და მისი საყვარელი ისპარი.—ხიდები  
შპარაზისა, —ნაშთი დიდებულ მეფეთა სასახლეებისა.—  
მოძრავი მინარეთი „ჯომჯამი“.—მოკითხვა ქართველე-  
ბის ამბისა.—მღვდელი ტერ-გალუსტა.—პირველი შეხვე-  
დრა ჩემი და სპარსეთის ქართველებისა.—ზამთარი ისპარ-  
ში.—ზილლი სულთანი.—მისი შეთქმულობა ჰუსეინ ყუ-  
ლი ხანთან.—დასჯა შეთქმულთა ნასრუდინ შაჰის-მიერ.—  
ყურბანის დღესასწაული.

81

**თავი IV.** სომხეთისა სპარსეთისა და ასედი ჯუღაფა. — რიცხვი სომხეთი მოსახლებისა სპარსეთში. — ჩატურგა. — მაგარი სასმელების სიყვარული. — სომები და შაჰაბაზი. — ნაეთი და სტერინის სანთლები საყდრებში. — ფიცრის კაკუნი ზარების რეკვის მაგიერ. — ნათლობა. — სასაფლაო. — სასწაულთ-მომქმედი ვართაპეტი. — მახვილ-გონიერება შაჰ-სულთან-ჰუსინისა. — სასაფლაოს ქვები ქართულის ზედ - წარწერით. — ტერტერის კურთხება. — ერთი შემთხვევა ნათლისლების დღეს. — სარწმუნოების ცვლა სომხთაგან. — გამჭრიანობა ლოთრანგ-კათალიკების მისიონერებისა. — საუბარი სომხურ გალობაზედ. — ახირებული აზრი სომხებისა ყოველივე მის ეროვნულ ჭუთვინილებათა შესახებ. — თავისუფალი აზრები სომხების ზოგიერთ საქციელზედ. — ქართველთა გაქრისტიანება ჩამჩინის ისტორიით. — ერთი ჩვეულება ჯულფელებისა. — ფეხის ბანგა. — ჯულფა და მათი აჩქიპისკოპოსი. — ერთი სასულიერო პირი. — ინდოეთის დიდ-ვიპარი. — სინიდისთ მოვაჭრე. — სომხობა სწავა-და. სწავა ადგილებში. — გაზეთი „შავილი“ და მისი კორესპონდენტი. — სწავლა-განთლება . . .

121

თავი V. ფერებიდან ანუ ქართველია მოსახლეობა სპასეთ აში.—დაბრკოლებანი ისპაანიდან გამგზავრებაში.—მანი-ლი და საღვეურები ფერებიდანამდე. —ერთი დარვიშის ამბა-ვი.—შიში გზაში და აბუჩი თანამგზაერი. —ნიავლვარი დო-მენების ახლო და სოფ. დომენენი.—პირველი შეკრა ქართვე-

ლებისა.—ტაშქესანაში—ქართველების სოფელში (გულის-გაფუჭება; ჩემი მასპინძლები; ხალხში საუბარი; სახლის აღწერა).—წასკა-ა მარტყობს.—დედაკაცები სოფლის მი-სავალში.—სოფელში.—„ნაჲაიები“ (მაზრა ანუ თემი) ფე-რეიდანისა.—საზოგადო მიმოხილვა.—ქართველთა სოფლე-ბი ამ „ნაჲაიაში“.—აზრი ათამ თნიკაშვილისა ბ-ნი ზ. ჭი-ჭინაძის წიგნაკით.—რიცხვი იქაური ქართველობისა.—სა-ქმიანობა ქართველთა (საქონლის მოშენება; ბალონიაბა; ხენა-თესეა).—ტიპი, ტანის მოყვანილობა და სილამაზე.— მათი სიღარიბე და მისი მიზეზები.—მამულების დახსნა ხა-ზინიდან.—სახლის აშენება.—ურმის ხმარება.—ქალის გა-თხოვება.—მათი გვარები.—ქრისტიანობილან ზერჩენილი რაი ჩვეულობა—სპარსეთის ზედგავლენა: სარწმუნოება, სახელები, ჩაცმა-დახურვა, კამა-სმა...—უმთავრესი ნიშნე-ბი მათის ქართველობისა: ენა, ოვით-ცნობიერება (causis et-iam), ტიპი და ზენ.—ძველი რამ ნაშთი და მათი უზღობ-ლობა.—მათი სიხარული ჩემი ნაშვის გამო და ჩემი გან-ზრახვების შეცვლა.—სომეხთ მეისტორიუ, არაქელ არხი-მანდრიტის აზრი მათს გადასახლებაზედ.—მათი ხსოვნა მათ პირველ ხანობის ქრისტიანობაზედ.—ნამდვილი მიზეზი მა-თი ფერეიდანში დასახლებისა.—მათი თქმულება მათს გა-მაჰმადიანებაზედ.—ზეკირ-სიტყვაობა.— შედარება მათი ენისა ჩვენს დღვენდელ ქართულთან.—ჩემი წინამორ-ბედი და მისი ამბები.—თქმულებანი.—კვალი ქართვე-ლებისა სპარსეთში.—შემუდარი აზრი ელიზე რეკლიუსი მათ შესახებ.—საბუთები იმისი, რომ ფერეიდანის სომხო-ბა ქართველინი არიან შთამომავლობით.—ერთი ხუკური ეტრატი.—მაგალითი ქართვლის მიერ სომხებს სარწმუნოე-ბის აღიარებისა.—კიდევ ერთი შეცდომა რეკლიუსი . . . 166

**თავი VI.** საზოგადო მიმოხილვა. — ზედა-პირი ირანისა.—ჰა-რი.—წყალი.—მცენარეულობა.—ცხოველნი.—ტიპი სპარსე-ლისა.—ხასიერი.— ჩვეულებანი.—სახლ-კარი.— ჩაცმა-და-ხურვა.—კამა-სმა. — ნიკი სპარსელისა. — განათლება.— ცრუ-მორწმუნეობანი. — მრეწველობა.— მიწათ-მოქმედება და სიღარიბე.— სარწმუნოება და მისი პოლიტიკური სარ-ჩული.—თვე „მაჲარამი“ ანუ „გლოვა ალის სახლობის ამო-წყვეტისა. — „თასუა და აშურა“, გლოვის უკანასკნელი

### VIII

დღეები.—„თაზიეს“ წარმოდგენები.—შიიტობა, როგორც  
ეროვნული სარწმუნოება.—მათი სასულიერო წოდება და  
მისი ზედგავლენა.—გულის აცრუება სპარსელებისაგან მის  
შიიტობაზედ.—ბაბი და მისი მიმდევარნი.—ლებრი ანუ  
ცუცქლის მოსავნი.—ენა.—პოლიტიკური მდგომარეობა . 237

**დამატება**—ზოგიერთი ჩამ მზგაესება და ურთიერთშორის დამო-  
კიდებულობა სპარსული და ქართული ენისა: საზოგადო  
ძირები პირველ საჭიროების სიტყვებისა; მზგაესება სიტყვა-  
თა მოქაენისა (გრამატიკული ფორმებისა); სპარსული  
ენიდან შემოტანილი სიტყვები; საზოგადო სიტყვები ორივე  
ენებში, სხვათა ენათაგან შემოსულები . . . . . 309

## სპარსეთი და იმაური ქართველები

(მგზავრის წერილები)

### II

#### ქასპიის ზღვიდან თეორიამდე

ქ. ანზალია.—მორდაბი.—ფირბაზარი.—სასტუმრო რაშტ-ში.—ქ. რაშტი და საზოგადოდ გილნის თემი.—რუსეთის გავ-ლენა.—სიწმიდე შთამომავლობითი.—გზა სეჭიდ რუდზედ.—ს. რუდბარი და ზეთის ხილის ხე.—მენჯილის ხიდი.—სეჭიდ-რუდი.—ირანის ზეგანი.—ქარვნა.—ყავაზანა.—ამბები საჩაიე-ში.—ხარხანის გადასავალი.—ქ. ყაზინი,—სკოლა და საბყრო-ბილე.—ყაზინ-თეირანის ვაკე.—თეირანის გზა-ტკეცილი და ეტლების მოძრაობა.

პირველი ქალაქი სპარსეთისა, საღამდისაც მიდის რუსე-თის ორთქლ-მავალი, არის ქალაქი ანზალია<sup>1)</sup>. გემი კაი სიშო-რეზედა რჩება ზღვაში, რაღაც ნავთ-საყუდელი არა აქვს, და აქედან ბარკასებითა და სპარსელების ნავებით (ქერავებით) მი-ჰყავთ ხალხი ქალაქს და მიეზიდებიან საქონელს. საზოგადოდ ამ, სამხრეთ მხარეს კასპიის ზღვას არა აქვს არც ერთი რიგი-ანი ნავთ-საყუდელი და ისევ, რაც ლონეა, ეს ანზალის ნავთ-საღვრი სჯობია კიდევ სხვებს; სხვები უფრო სულ არ ვარგა და ეს, რასაკვირველია, ძლიერ აბრკოლებს და აძნელებს რო-გორც ვაკრობას, აგრედვე მისელა-მოსელას და საზოგადო წარ-მატებას სპარსეთისას.

<sup>1)</sup> სახელები ადგილებისა თუ სხვა რამ სპარსული სიტყვა მოყვანილი იქმნება იქ ჩენ მიერ სწორედ ისე, როგორც იგი თვით სპარსეთში ისმარება, შეუცელელად.

ანზალია პატარა ქალაქია. გაშენებულია კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ერთს წვრილსა და გრძლად წამოწვდილს ნახევარ-კუნძულზედ. ზედ ზღვის კიდეზედ, ქალაქის პირში მოჩანს შორიდანვე ერთი საშინელი მაღალი შენობა. ეს არის სასახლე შავისა. შორიდან უშნოდ აწოწვილ კოშკა ჰვავებს, მაგრამ როდესაც კაცი ახლო მიგა, თვალ-წინ წარმოუდგება პატარა კოხტა ფიცრის შენობა, ხუთ-სართულიანი. რვა კუთხედად არის აგებული, იგრგვლივ ცველა სართულს დერეფნები აქვს შემოკრული, მშენების ქანდაკებითა და მხატვრობით შემკული სპარსულს გემოვნობაზედ.

ეს სასახლე აშენებულია განგებ დღევანდელი შავისათვის, რომ, ვინიცობაა, როდესაც მან მოინდომოს კასპიის მხრით რუსეთსა და ევროპაში გასეირება, ჰქონდეს თავ-შესაფარი, დასასვენებელი ადგილი. სასახლეს გარეშემო შემორტყმული აქვს გემოვნებით შემუშავებული ბალი მთლად ნარინჯ-თურინჯებისა და ლიმონ-ფორთოხალისა.

ანზალიის წინ, 40—60 საეკის სიახლოვეს წამოწვდილია კონცხივით იმაზედ უფრო წვრილი და გრძელი მეორე ნახევარ-კუნძული, რომელზედაცა სდგას სასტუმრო, ერთი-ორი სააგენტო და საზერე<sup>2)</sup> (გომროქ ხანე). ამ ნახევარ-კუნძულებ შეუძლია მომწყვდეულია უზრე ანუ ტოტი ზღვისა, რომელიც მოფანტულია წვრილ-წვრილი კუნძულებით. ერთ ამათგანზედ, თვით ანზალიის პირში, დასავლეთის მხრივ ერთი პატარა სოფელია გაშენებული და დანარჩენები კი, როგორათაც მთლად გარეშემო ნაპირები ამ წყლისა, სავსეა ჭალასავით ატეხილის ლერწმით, ჭილითა და ლელით. აუარებელი ნავები სდგას დღე-მუდამ ამ წყლის ნაპირებში, საღაც ხალხი სჭრის ჩაღას და მერე დაწნულსა და სრულიად მომზადებულ ნეკებსა და კალათებს ჰეზავნის სპარსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში და აგრედვე რუსეთშიაც. აქ კაცს ხშირად შეჰვდება თვით სახლები ამ ჩალისა და ლობეები და სახლის სახურავები ხომ თითქმის პირ-

<sup>2)</sup> ზერი—ბიუ, ყიშტი, ტაღმი; საზერე—სატაღმე, საბაჟოსნი.

აღებით სულ ამისია. დიდ-ძალია ამ ყურეში თვეზი და ბევრი ქხვევა აგრედე ერთნაირი გარეული წვრილი იხვი. წყალი ამ ყურეში თხელია, ისე რომ მხოლოდ ბარკასები მუშაობენ და უფრო კი უბრალო ნავები სპარსელებისა. ზღვას ძალიან პატარა სტატეთია შეერთებული, სხვა რამ დიდი მდინარე იმას არ ერთვის და ამის გამო წყალი მდგარია, დამპალი, სქელი, ყვითელ-მწვანე ფერისა და საძაგლი სუნი უდის. სწორედ ზედ-გამოჭრილი სახელი უწოდებიათ ამისთვის სპარსელებს — „მორ-დეის“, რაიცა ჰერიშნავს მკვდარ წყალს. სიგანე ექმნება ამ ყურეს დაახლოებით 20 კრისტედ ცოტა რამ ნაკლები და სიგრძე კი 60—80 ვერსამდე.

ჩვენ ჩამოვცტით მეორე ნახევარ-კუნძულზედ, სადაც სასტუმრო იყო. სასტუმროს საზოგადოდ არა უშავდა-რა, მაგრამ დერეფანი ჰქონდა ისეთი დაძაბუნებული, რომ სულ მოსაგლეჯი კბილივითა ზანზარებდა. ჩივჯექ პატარა ხანს უკან ნავში და წაველ ქალაქ ანზალის დასათვალიერებლად. ქალაქი, როგორცა ვთქვით, ძალიან პატარაა და საყურადღებოს არას წარმოადგენს გარდა იმ ერთი შაჰის სასახლისა, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. ვნახე აქ ორნი ძმანი ფრანგები, — ვაჭრობენ ფრინვლის ბუმბულით და ამბობენ, დიდი ფული შეიძინეს ამ საქმითაო. ყიდულობენ ერთნაირ თეთრ წყლის ფრინველს: მისი ბოლოს (კუდის) ლამაზ ბუმბულებს ცალკე ჰეზავნიან საფრანგეთში ქალების ქუდების მოსართავად და ტყავს კიდევ ცალკე კედლების დასამშევნებლად. „ვერც კი ვასწრობთ მომზადებას, ისე ბევრსა თხოულობენო“, მეუბნებოდნენ თრთონ ისინი.

მეორე დიღით უნდა წავსულიყავით რაშტა. რეა საათი იქმნებოდა დიღისა, მოვიდა ჩემთან ერთი სპარსელი, სახელად ქასეი და მითხრა: დრო არის, წავიდეთო. ჩივალაგე ბარგი „ქერაჯეში“, ჩივჯექ შიგ და შევუდექით მორდაბს, რომელიც სიგანეზედ უნდა გადავეჭრა და ფირბაზარს უნდა ავსულიყავით.

ქერაჯეჭეჭვიან ცოტარამ უფრო მოზრდილსა და განიერ ნაეს. შეა-ზედ ამართული აქვს ანდა თავისის კესით, რომელზედაც გაბმულია აურა და, როდესაც ზურგის ქარია, ნაეს აფრით ამუშავებენ. უკანა ნახევარში

ნავის კედლებზედ მიმაგრებულია ორი გრძელი ფერხედი ხალხის ჩამოსა-სხდომად. წინა ნახევარში სხედან მეხოფენი, (მენიჩბევბი) 6—8 სულამდე. სულ წინ, საჭესთან ზის ერთი სხვა მეხოფე, რომელსაც ხელი უვლია მუ-დამ საჭეზედ, ნავის სამართავზედ და პმართავს ანუ გზაზედ აყენებს ნავს.

ცოტა გზა რო გავიარეთ, დავინახეთ ერთი პატარა, მაგ-რამ ძალიან კოხტა და ღამაზა ორთქლით მავალი. ეს იყო სპარსეთის „იახტა“, რომელიც მუდამ ამ მორდაბში და-დის, თურმე, და არ შეუძლიან გასცილდეს ყურეს, რადგან უკანასკნელი ხელ-შეკრულობის ძალით, სპარსეთს არა იქვს უფლება იქონიოს კასპიის ზღვაზედ არავითარი ხომალდები. ეს ერთი „იახტა“ დანიშნულია პირად დღვევანდელი სპარსეთის მბრძანებელისათვის, უკეთუ ის კეთილინებებს კასპიის ზღვით სადმე გაისეირებას,

„იახტის“ სხვენზედ იდგა ფორმის ტანისამოსით გამოწ-ყობილი სპარსელი ადმირალი და რალაც განკარგულებას აძ-ლევდა. როდესაც იმათაც თვალი შეგვასწეს, გააჩერეს ორთქლით მავალი და, როცა ჩვენი ნავი საკმარისად მიუახლოვდა, გად-მოუგდეს თოკები და ნავი უკან გამოუტეს. მიღიოდა ის და მიითრევდა ჩვენ ნავსაც. ასე გადაგვატარა მთლად მორდაბის ყურე და იქ კი უნდა აგვეხსნა ჩვენი ნავი. იქიდან გზა ერთ პატარა მდინარეს ასდევდა და იმ მდინარეში ნავების მეტი ვერა მუშაობდა-რა.

მდინარე მართლა ძალიან პატარაა, მაგრამ დაულრმავე-ბიათ, გაუთხრიათ გზატკეცილის სიგანეზედ, ვიდრე ფირბაზა-რამდე და წყლის გზა გაუკეთებიათ. იქნება ასე 15—20 ვერ-სის სიგრძე. წყალი აქ უფრო მდგარსა ჰვავს და შედედებულს, ვიდრე მორდაბში და სუნიც უფრო საზიზლარი უდის. ნაპირე-ბი ამასაც სულ ჭალითა და ლერწმითა აქვს მოფენილი. მცი-რეოდენი გზა რომ გავიარეთ, ნავი ნაპირს მიუყენეს, გადახტ-ნენ ექვსივე მეხოფენი. გადიოთრიეს ერთი გრძელი თოკი, ექვს აჯგილს გამომარყუშებული, გაუყარეს ამ კილოებში მკლავები, გადიცვეს მხრებზედ და გასწიეს ისე შიგ შებმულებმა. გარბო-

დნენ ნაპირ-ნაპირ და მკვდარი ძალლივით მიათრევდნენ ნავს. ამ ყოფით ვიარეთ ასე საათნახევარი და მივედით ფირბაზარს.

ფირბაზარი<sup>8)</sup> ჰქვიან ერთ ქარვასლას. აქ არის გამართული სხვა-და-სხვა დუქნები, საჩიიები და საზვერე; აქვე არიან ეტლის პატრონები, ჩავლადრები და მენავენი, რომლებიც ურიგდებიან რაშტისკენ მიმავალთ ანუ იქიდან ანზალისაკენ მომავალთ.

გილანში ხშირად შექმნდება კაცი, რომ საღმე, განმარტოვ-ბით, ტყესა და მინდორში გაჩაღებულია ბაზარი, ზემოდასახე-ლებული ფირბაზარივით. ასე, მაგალითად, 12—15 ვერსზედ რაშტიდან თეირანის გზაზედ არის ერთ მინდორზედ გაჩაღე-ბული მშვენიერი დუქნ-ბაზარი. შუაში სდგას უშველებელი ქარვასლა, გამაჭედილი ხელოსნებითა და ვაჭრებით. მის გარ-შემო გაუშენებით კიდევ სხვა დუქნები. რადგან ქარვასლას ვერ დაუტევია, და გაუგსიათ ისინიც საჩიიებით და სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონლით. აქ მოერეკებიან სოფლელები საქო-ნელს, აქ ჩამოეზიდებიან ყოველნაირ ჭარნახულს. მთელი დღე ხალხი ბუზივით ტრიალებს: რიგისა ჰყიდის, რიგისა ყიდუ-ლობს. კაი შთაბეჭდილებას ახდენს გზაში ამგარი ადგილი.

უნდა აიხსნებოდეს ეს ჩვეულება რმითი, რომ აქაური სო-ფლები ძალაან პატარ-პატარებია და მოსახლენიც ძალიან შო-რი-შორს არიან გაფანტულნი, როგორც დასავლეთ საქართვე-ლოს ზოგიერთ ადგილებში. ამისათვის საბაზროდ არჩევენ ხშირად შუა აუგილს, მიუხედავად იმისა, სოფელში მოპყვება ეს ადგილი თუ სოფელ-გარედ, და იქ ჰმართავენ მთლად იმ გარეშემო სო-ფლებისათვის საზოგადო დუქნ-ბაზარს. ასევე უნდა იყოს ჩე-მის აზრით წარმომდგარი ბევრი ქალაქი სპარსეთისა, რადგან დღემდე კიდევ შექმნდება კაცი ისეთ ქალაქებს, სადაც მოეა-ჭრე და ხელოსანი მეტია ისე ხალხზედ და რიცხვი დუქნისა სკარბობს თითქმის რიცხვს სახლებისას.

ფირბაზარიდან რაშტამდე სულ 9—10 ვერსია. გზა ნა-კეთებია, მაგრამ ჩვენებური გზა-ტეცილივით კი არა, მოკირ-

<sup>8)</sup> ფირბაზარი—ბებერი ბაზარი (ფირ—ბერი, ბებერი).

წყლულია მსხვილი დიდობონის ქვებით და სადაც ეს ქვები ამო-  
ცვივნილა, ისეთი საშინელი ორმოები დაკეთებულა, რომ, რო-  
დესაც იქიდან დაბრუნებაში ეტლით მოვდიოდით, ოთხჯერ  
ჩამოვეტით ძირს, გვეშინოდა გადაბრუნებისა. ფირბაზარიდან  
თან წავიყოლე ის სპარსელი ნავის პატრონი, ქსეი, რადგან  
ერთ-ორ სიტყვას რუსულადაცა სჩმახავდა, და ვთხოვე, რახამ,  
იქ დასადგომი ადგილიც შენვე მიშოვე-მეთქი. მიმიყვანა იმან  
პირდაპირ ერთ სახლში—სასტუმროათ, და იქ ჩამომახდინა.

სასტუმრო წარმოადგენდა ერთ პატია, ყვავის ბუდესავით,  
ფიცრულ ოთახს, რომლისაც დერეფანიც, კიბეც, კედლებიცა  
და ქერიც სულ თავისის ხელითა ჰქონდა სასტუმროს პატრონს  
გამოჩირქნილი. ჰქრიდანაცა და კედლებიდანაც სინათლე შე-  
მოდიოდა. სამკაულს ამისას შეაღენდა ერთი დამტვრეული სკა-  
მი, ერთი ხორცის სანაყი მაგიდა და ერთიც, სადღაც არხივი-  
დან გამოძებნილი, ვითომ-და, რბილი ტახტი, რომელიც ქე-  
ციანი კაცის თავივით იყო განეჩილ-გამოჩენილი. ძირს ნახევრად  
გაცვეთილი ნექები ეფინა, რადგან იატაკი მიწისა ჰქონდა და  
კედლებშიაც ვვ ბურეწი (განჯინა) იყო დატანებული და რომ  
ნახოს კი კაცმა ამათი განცხადება, მართლა ერთი რამ ეგო-  
ნება. აცხადებენ თითქმის ყველა ენებზედ (ფრანგულად, ინგ-  
ლისურად, სომხურად, რუსულად ..), რომ როგორმე მიიტყუი-  
ლონ და გალვარსლონ რომელიმე გამოუცდელი მოგზაური—

„Гостиница Гилянъ  
въ Рештѣ (Персія)  
Аветиса Осипянца

Меблированные комнаты, обведь и ужинь, въ центрѣ го-  
рода, противъ правительственного дома, цѣны умѣренны...“

დალლილი ვიყავ, მინდოდა ცოტა დამესვენა; გადავათინე  
ტახტს ზეწარი და წამოვწექ, მაგრამ, როგორც კი წაველ ბუ-  
რანში, საშინელმა ტანის ქავილმა გამომალეიძა. მოვისვი ხელი  
და უწმინდურობის შველნი მუჭა-მუჭა ჩამომდიოდა; დავხედე  
ზეწარს და სულ შავად იყო შეკუნწლული. წამოვხტი გულ-

გახეთქილი, გავატაინე იქიდან ის „რბილი ტახტი“, დავდგი ერთ თავში სკირი, მეორეში ყუთი, გავაწყე ზედ სუფთა ფიცრები და გავიმართო ლოგინი.

საზოგადოდ ამ მხრივ ძალიან უსუფთაონი არიან სპარსეთის მცხოვრები: ჰნახავ ხანს, ჩინებულად არის გამოწყობილი, მაგრამ იხელთებს თუ არა დროს, გადიხსნის საკინძეს და მოჰკვება ხილვას. თორე ხშირად არც მორიდება იკიან.

ჩემთან ერთად მოგზაურობდა ერთ გზაში ერთი დიდი ხანი და ერთიც დიდი სოედვარი. რამდენიც სადგურზედ მივიღოდორთ, ესენი ორივენი გატიტვლდებოდნენ, გადაიბრუნებდნენ პერანგებს და გაჭმართავდნენ ომს. ჩემ თვალ-წინ ისეთ ტკაცა-ტკუცს აუყენებდნენ ცერის ფჩხილებს, რომ ბოლოს ისევ მეუნდა გავცლოდი და გავსულიყავ გარეთ, რომ ამ საზიზლარი ნაირობისათვის არ მეყურებინა.

ამითი უნდა აიხსნებოდეს სწორედ ის მოვლენა, რომ სპარსეთში, თითქმის ყველვან ორ კაცზედ ერთი ქაჩალი ანუ ნაქალარი მოვა.

რაშტრში, როგორც დაბრუნებაში წნახე, ძალიან კაი ქარვასლებია მიმსვლელთა ჩამოსახდომად. იმ სპარსელმა კი იქ განზრახ მიმიყვანა: თვითონ სასტუმროს პატრონთან, თურმე, ამხანავი ყოფილიყო. და აბა ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ მარტო ერთ სომექს ვაჭართან საქმის დაჭერა რა არის, რომ თუ მას სპარსელი ამხანავიც ზედ დეერთო, რა უნდა ყოფილიყო,— თითო პერის ჭამა ექვსი მანეთი მიანგარიშეს, თითო ჭიქა ჩაი ორი-სამი აბაზი და თითო ლამის გათევება იმ საზიზლარ ოთახში სამი მანეთი. ღმერთმა ყველა დაიფაროს იმათის სტუმრობისაგან!

რაშტი კაი მოზრდილი ქალაქია, ძალიანა ჰერაკლიანი ქველებურ ქალაქებს. სახლს ქვეთკირისას აშენებენ, გამომწვარის აგურით. სახუჩავს ჩვენებურად უკეთებენ და კრამიტსაც ჩვენებურისთანასა ხმარობენ. ატანენ სარქმელებს, უკეთებენ დერეფნებსა და საჩეხებს. ხშირია ორ-სართულიანი სახლები. მომეტებული ხისა და ფიცრის შენობებია.

ბუნება რაშტისა და საზოგადოდ მთელის გილანისა ძალიანა ჰგავს კავკასიის ქვეყნებსა და ნამეტნავ ბათუმისა და ფოთის მხარეებს: იგივე მცენარეულობა, იგივე ცხოველნი, იგივე ჰავა. ისრე რომ გილანი თავის ბუნებით უფრო კავკასიის ქვეყნებს უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე ირანის ზეგანისას და იგი ნამდვილი გაგრძელება უნდა იყოს კავკასიისა. ყველა მთა ტყით არის შემოსილი და ყველა მნიღორი მწვანე ხავერდივით ხას-ხასებს. ტყეებში ლელვი, ვაზი, ბზა, ხურმა და ბროჭეული ერთ-მანეთშია გადახლართული და ბაღებში გახელებულია ნარინჯ-თურინჯი, ლიმონ-ფორთოხალი და ყოველგვარი ხილეულობა. ტყე და ბაღი გაბმულია ერთმანეთში; ხშირად ვერც კი შეამ-ჩნევს კაცი, რომელია ტყე და რომელი ბაღი, სადა თავდება ერთი და სად იწყობა მეორე. ბევრია ძალიან ფურცლის პლან-ტაციები და დიდალი აბაეშუმი მოჰყავთ. ბევრი მოჰყავთ ძალიან აგრედვე ბრინჯი, რომელიც სპარსელისათვის იგივეა, რაც დასავლეთ საქართველოს კაცისათვის ღომი.

საზოგადოდ გილანი და მთელი კასპიის ზღვის პირი ძალიან მდიდარი ქვეყანაა ბუნებით. ეს ადგილები რომ სპარ-სეთს არა ჰქონდა, სწორედ ცხოვრება გაუჭირდებოდა,— ეს მხარე საუნჯეა სპარსეთისა, ეს ასაზრდოვებს მთელ სახელმწი-ფოს. სხვა რომ არა მოვისენიოთ-ჩა, საკმარისია დავასახელოთ მარტო ბრინჯი. რაც კი სპარსეთს ბრინჯი უნდება, სულ ამ ქვეყნებიდან, გილან-მაზანდარანიდან გეეზილება. ძალიან გუ-ლითაც რო უნდოდეს, ერთ მუჭა ბრინჯს ვერსად მოიყავს მთელი ირანის ზეგან ადგილზედ და რა უნდა ყოფილიყო სპარ-სეთის ცხოვრება უჩლავ-ფლავოდ, ყოვლად წარმოუდგენ ელია.

წვიმები ბევრი იყის, მზე მუდამ ღრუბლებით არის და-ჩრდილული, მცწა მაღალის ხეებით და მთელი გილან-მაზანდა-რანი საშინელი ნესტიანი ქვეყანაა. საღაც ერთი ბეწვა მიწა გაჩიჩქნის კაცმა—წყალი ამოვა. ჭიდან წყლის ამოსაღებად სა-ხრის სიგდე კავიან ჯოხსა ხმარობენ, ისე დაბალი კა იყიან; მაშინ როდესაც ირანის ზეგანზედ მინახავს ზოგიერთ ადგილე-ბში ისეთი კა, სადაც წყლის ამომლებს ჩაუშვია კაში კურჭე-

ლი, გაუნებებია თავი ჩარხისათვის და ჩარხს თავის-თავად ორი-  
სამი წამის განმავლობაში საშინელის სისწრაფით უტრიალია  
და ძლიერ ჩაულწევია წყლის პირამდე. რამდენიმე წამით რომ  
ოთახის კარებები და ფანჯრები გამოჰქონდა, მერე ერთბაშად  
ოთახში აღარ შეისვლება, ისეთი საშინელი ნესტის სუნი და-  
ტრიალდება. ამისათვის ხშირია აქეთკენ, სოფლებში ოჩოლ-  
ფეხებზედ შეყენებული ქოხები ჩვენებურ სასიმინდეებსავითა  
და სამტრედებივით. ზოგიერთ ადგილებში სულ ამ ფაცხებში  
და ლაჭუორებში \*) ატარებენ მთელ ზაფხულს, რადგან იმ დროს  
ისე საშინელი გახელები იცის აგრძევე კოლომ, რომლისაგა-  
ნაც არც შინ — არც გარედ, არ ეძლევა კაც! მოსვენება. ამავე  
დაჩრდილულობისა გამო უნდა აიხსნებოდეს აგრძევე, რომ  
აქაური ხალხი ყველა სხვა სპარსელზედ უფრო თეთრია ფე-  
რით. ხშირად ისე ძალიან თეთრი ყმაწვილი შეგვედება, რომ  
არა გჯერა, თუ ის ან ინგლისელი ანუ რუსი არ იქნება.

თვალში ეცემა ახლად მომსვლელს ამათი ჩვეულობა ხი-  
ლისა და მოსავლის შერით გადაზიდვისა. მთელს სპარსეთში სა-  
ზოგადოდ ყოველივე გადასაზიდ საქმეებში იხმარება ვირი. რას  
იტყვის კაცი ისეთს, რომ ეირის შემწეობით არ გადაეზიდებო-  
დნენ: ხილი, ბალახი, შეშა, მიწა, მიწის მოსავალი, ხე-ტყე,  
ქვა, კირი, აგური, ნაგავი... ვირითვე დააქვთ ქუჩა-ქუჩა და ბა-  
ზარ-ბაზარ გასასყიდად ყოველგვარი სანოვაგე. აქ კი, გილანის  
მხარეს ვირი შეწყნარებული არ არის. ამის სამაგიტროდ მათ  
შემოულიათ ერთნაირი წვრილი და მობრტყო ჯოხი, რომე-  
ლიც ულელივით შერებზედა აქვთ გადებული და რომლის ორი-  
ვე წვერებზედ ორად გაყოფილი საპალნე უკიდიათ. სწორედ  
ისრე, როგორც რუსის დედაკაცები მიეზიდებიან ხოლმე წყალს  
რკინის კასრებით. არ ვიცი, რუსებს გადულიათ ამათვან ეს  
ჩვეულობა თუ ამათ რუსთავან? ასე მიეზიდებიან გილანში ყვე-  
ლაფერს: თივას, ბალახს, ბზეს, კიტრს, ნესეს, ბაღრიჯანს...  
ასევე დააქვთ ქუჩა-ქუჩა და ბაზარ-ბაზარ გასასყიდად. ლამაზი

\*) ლაჭუორიც — ფაცხაა, მსოლოც ჩალისა, ლერწმისა.

ნამეტნავ ქალაქ გარეთ, როდესაც გრძელ შარაზედ შეგხვდება დაწალიოკებული 40—60 კაცი: ყველას კისერზედ უღელი აქვს გადებული და სასწორის თვლებივით აღი-ჩაღიან უღლის თავებზედ ჩამოკანჩურებული დიჭრონი რბილი კალა-თები, ხილითა და მოსავლით დატენილები. ამ ნაირად, რო-გორცა სჩანს, კაცი უფრო ბვვრს იკიდებს: მე მინახავს, რომ ერთ კაცს ოც და ათამდე ნესვი ჰქონია უღლით გადაკიდე-ბული და ქუჩა-ქუჩა ურბენინებია გასასყიდად.

საყურადღებოა აგრედე, რომ რაშტი ყოვლის შტრივ რუ-სეთის გავლენის ქვეშეა. იქ შეპხვდება კაცი ყველაზედ შეტა რუსულად მოლაპარაკე ხალხს, რასაკვირველია, შედარებით. აქ ყველა საქონელი რუსეთიან შემოდის, —მაუდი, ტილო, ჩითი, შიტკალი, შალეული და აბრაშუმეული; ჩაი, შაქარი და პაპიროზი; ლეინო (კახური), ლუდი, არაყი, სხვა-და-სხვა წყლები და სასმელები; სამწერლო და საგალანტერენიო საქონელი; ასე გასინჯეთ, რუსეთის „ლუბოჩნიკების“ გამოცემული სურათე-ბიც კი შეპხვდება კაცს აქ ზოგიერთ სახლებში. შემოღებული აქვთ ხშირად შავი სერთუკი და შალვარი; მიჩნეულია ძალიან რუსული ქუდი და თან ისევე ფრთებ დაშვებულს იხურვენ, როგორც ეს თბილისში იყო ახლად შემოღებული ჩემი წასვ-ლის წინა დღეებში. აიხსნება ეს, რუსეთის ზედ-ვავლენა, რა-საკვირველია, იმითი კი არა, რომ რუსი ამისათვის მეცადინეო-ბას რასმესა ხმარობდეს, არამედ იმითი, რომ რაშტი ზედ რუ-სის სამზღვრებზეა თითქმის მიკრული და ყაველისფრის შე-მოტანა უადგილდება კასპის ზღვის წყალობით. მაშინ, რო-დესაც სხვა ცვროპიელთა ხალხის ზედ-ვავლენას და თვით თეი-რანისასაც ძალიან არის დაშორებული, ნამეტნავ გზის უქონ-ლობისა გამო

სრულიად სხვა სუნი და ფერი სდევს, რაკი გასცუდება რაშტს კაცი: აღარც ენა, აღარც ტანისამოსი და აჩც რუსე-თის საეკრო საქონელი, გარდა ერთის შაქრისა. ესეც იმის-თვის, რომ, როგორც შევიტყე, რუსი არა თუ ზეგრს უბრუ-ნებს უკან შაქრის საზღვარგარეთ გამტანთა, არამედ პრემია-

საც (ფულად საჩუქარსაც) აძლევსო და სპარსეთში იგივე რუსის შაქარი, რომელსაც ჩვენ 15—20 კაპ. ვყიდულობთ, ლირს გირვან ქა 6—8 კაპ.

ინგლისი ისე არ იქცევა. ინგლისი ძალიანა ცდილობს, არავითარ შრომასა და მეტადინეობას არა ჰეთგავს, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული ზედ-გავლენა იქნიოს და აღებ-მიცემობით იქნება თუ სხვაფრივ, ხელში დაიჭიროს მთელი სპარსეთი. ბუშერილან მოყოლებული ვიდრე თეირანამდე და ვიდრე ყაზენიამდეც კი, აწვდენს ყველგან თვის საქონელს; ჰმართავს დიდ ქალაქებში სასწავლებლებს, რასაკვირველია, ინგლისურის ენით; მასვე გაუყვანია გზა-ტკეცილი ყუმიდან თეირანამდე; იგივე ვანაგებს მთელ სპარსეთის ტელეგრაფებს; იგივე აფუძნებს და აწარმოებს სპარსეთის სახელმწიფო ბანკებს. აქედან ენაც, ჩაცმა-დახურვაც და თითქმის ჩვეულებაც კი ინგლისელებისაა ყველგან გავრცელებული. საკეირველია, რად არის ესე ყურ-მიგდებული რუსეთი, როდესაც მას ყველა პირობები და გარემოებანი უფრო მეტად ხელს უწყობენ ყველა სხვა ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით.

რაშტაში გაპირებდი ერთი თვე—თვენახევარი მეცხოვა: გამეცნო ცოტაოდნად ქვეყანა, ხალხი, მათი ზნე-ჩვეულებანი და ისე გავდგომოდი გზის. მაგრამ რუსის კონსულმა, რომელთანაც მე ვიყავ სადილად პირველსავე დღეს, მითხრა: თუ გინდა გაიცნო სპარსეთის ხალხი და ქვეყანა, თეირანში წადი; აქვერასა პნახავ, ეს სრულიად გარჩეული აღილია მთელ სპარსეთში; ხალხიც (გილაკნი) სპარსელებს არ ეკუთვნიან, ენაც ნაკლებად და უხეიროდ იციანო. მეც დაბრუნების უმაღლე მოვემზადე და ორი დღის შემდეგ გაველ რაშტიდან. აეჩქარდი უფრო იმისთვის, რომ აქედან თეირანს მოდიოდა ჩემთან ერთი რუსის ურია, თეირანში პოლიკოვის ბანკში მოსამახურე, რომელსაც მოსკოვიდან უკალი და ორი შვილი ჩამოსვლოდა და ეხლა თან უნდა წაეყვანა. ეს ჩემთვის კაი შემთხვევა იყო, მოენე აღარავინ დამჭირდებოდა, რადგან იმან ცოტაოდენი სპარსულიც იციდა. დავიჭირეთ ჩავლადრები და წინა დღითვე გა-

ვისტუმრეთ თეირანისაკენ; ჩვენ კი მეორე დღეს დილით გავედით ფაიტონებით.

ქალაქ ყაზენამდე გვქონდა ექვსი სადგური და გასავლელი მანძილი იყო 24 ეჯი ანუ 170 ვერსი.

პირველი სადგური იყო ემაშზადე ჰაშემ<sup>5</sup>). თვით სახელი ამისი მოასწავებს იმამის შეილს ჰაშემს, რომელიც აქ, ამ სოფელშია დასაფლავებული. ამისთანა ემაშზადები ბევრია ძალიან სპარსეგში. ვინც იმათ თავისი იმამის შთამომავლობისა ვინმე დაუსაფლავებიათ, ზედ ძეგლის მაგიერ მეჩითივით სალოუავი აუშენებიათ მის მოსაგონებლად და იქ, იმ ემაშზადეებში ხალხი დაიარება, ლოცულობს და ევედრება მის წმინდა და სახელს.

აქ საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ კაცს შეუძლიან თავისის შთამომავლობის წყალობით მოიპოვოს სრული სიწმიდე და მოციქულთა (წმიდათა) შორის იქმნას აღრიცხულ, მიუხედავად იმისა, თუ რამოდენად ღირსეულად დაიმსახურა მან იგი თავისის საკუთარი პირადის ცხოვრებითა და მოღვაწეობით. ასე მაგალითად: მაპმადი იყო წმიდა და სიძე მისი ალიცა, როგორც იმამი და როგორც პირველი პირი შიირებისა. მერე იმისი შვილები ჰასანი და ჰუსეინი, ვთქვათ, ისინიც წმინდანებად აღიარეს, როგორც იმამები. განა ამას ხომ არ აქმარებენ! ყოველი კაცი იმათის შთამომავლობისა, ვინც უნდა იყოს, — შვილი, შვილი-შვილი თუ მეათე თაობა, ისიც წმიდათა შორის ითვლება და ამათ ყველას საზოგადო სახელი ემაშზადე ეწოდებათ. ავილოთ თუნდა ეს ემაშზადე ჰაშემი. რას წარმოადგენს იგი თაეით თვისით? სრულიადაც არაფერს: ის იყო შვილი ანუ შვილი-შვილი რომელიმე იმამისა და მეტი არაფერი. რომ მას რაიმე პირადი ღირსებაცა ჰქონდა გარდა შთამომავლობისა, მაშინ ის ღირსებაც მოიხსენიებოდა მის სახელწოდებაში, როგორც არის მაგალითად ერთი ემაშზადე ქ. ყუმისა. მას სხვაფრივ ვერავინ მოიხსენიებს, თუ არ „ჰაშრათ მასსუმო-

<sup>5</sup>) ემაშ—იმამი; ზადე—შვილი; ჰაშემ—სახელის.

ბით", რაიცა პნიშნავს უბიწოს ანუ უცოდველ მასსუმსტ). ჰაშე-  
მი კი მარტო იმამის შეილობით მოიხსენიება. იგივე შთამომა-  
ვლობაა მიზეზი, რომ თითქმის მთელი ერთი მეოცედი ნაწი-  
ლი სპარსეთის მცხოვრებთა დღეს სულ სეიდნი არიან.

მაჰმადიანობისა სწამს მამამთავარი აბრამი, როგორც ერ-  
თი წინასწარმეტყველთაგანი <sup>7)</sup>), მოვლინებული ღვთის მიერ. ხოლო კანონიერ მის მეუღლედ აღიარებენ მონა ქალს აბრა-  
ამისას, აგარას, რომლისაგანაც ეყოლა მას პირმშო ისმაილი,  
და ეს ისმაილი ითვლება პირველ მამამთავრად მთელი მაჰმა-  
დიანობისა. აქედანა სთვლის თავის შთამომავლობას მაჰმადი;  
აქედანვე სთვლიან თავის შთამომავლობას სეიდნი და მაჰმადის  
ნათესავებად აღიარებენ თავის თავს. და ის მარტო ეს, ესეთი  
ნათესაობა მათი მაჰმადთან შეიქმნა სრულიად საკმარისად, რომ  
ამოდონა თაობას, ამოდონა საუკუნოების განმავლობაში ეტა-  
რებინა კვლავ მაჰმადის ნათესაობის სახელი და დღემდე წმინ-  
და ხალხად ყოფილიყვნენ მიღებულნი.

გზა ემამზადე-აშემამდე სულ ნაკეთებია და დიღრონი  
მსხვილის ქვებით მოქედილი, მაგრამ ამ ნაკეთებ გზას არსად  
არა აქვს შემსუბუქებული აღმართ-დაღმართები. როგორც მი-  
დის მაის კონტები და ღელები, ისევე ასდევს და ჩასდევს  
მას გზაც: ხან სწორე, კეჯელივით იყუდებულს აღმარ-  
თებს, ხან ძალზე თავქვე დაშვებულ დაღმართებს. ნაკეთობა  
მისი გამოიხატება იმაში, რომ გზა გაწმენდილია, ესე იგი ხის  
ძირკვები და კლდის მონაჩები ქვები გზაში არსადა ყრია უბ-  
რალოდ და, რასაკირველია, არც თუ ისეთი ტალახი იცის,  
როგორც საზოგადოდ უკეთებ გზებში.

ამ სადგურთან, როგორცა ვთქვით, თავდება ნაკეთები  
გზა და აქედგან იწყობა ერთი ბილიკი, რომელიც ასდევს მდი-

<sup>6)</sup> სახელია ქალისა.

<sup>7)</sup> „ფეილაშბარ“ გადაითარგმნება, როგორც წინასწარმეტყველი ანუ მოცი-  
ქული და უფრო კი სჯულთ-მდებელი, სარწმუნოების დამადგენელი. ფეილაშბარს  
ქაბაზინ იქსის, მაჩიალს, მოსე წინასწარმეტყველს და მამი-მთავარს აბრაამს.

ნარე სეჭიდრულის <sup>8)</sup> მარცხნა ნაპირს. გზა საშინელი საძა-  
გელია, ნამეტნავ რუსთემაბადიდან <sup>9)</sup> სულ საჭ კლდეებშია  
საფალი და რაღვანაც ცხენს ფეხის მოსაკიდებელი ადგილი  
არა ჰქონია, აქ ამ სალი კლდის აღმართ-დაღმართებში ხელოვ-  
ნური საფეხურები დაუკეთებიათ: ზოგგან კიბის მაგვარად და  
ზოგგანაც პატარ-პატარა ორმოები ამოუჭრიათ. ხოლო დღეს სა-  
ფეხურები ისე ძალიან დაღრმავებულა, რომ ცხენს ხშირად  
მუხლამდე უვარდება შიგ ფეხი და უშლის დრეკასა და სია-  
რულს. შესაბრალისი სანახავია, როდესაც დასაპალნებულ ცხენ-  
ჯორებს მიერეკებიან ამ ფრიალო კლდის აღმართ-დაღმართებ-  
ზედ: მიღის ცხენი, მთლად კანკალებს. ჩერდება საშიშ აღგი-  
ლებში, დასკერის საფეხურებს, ფიქრობს და ბოლოს დიდის  
სიტრითხილით იღებს ფეხს ერთი ორმოდან და გადააქვს მეო-  
რე ორმოში. ჰგრძნობს, რომ თუ ერთი ფეხი დაუცდა, მორ-  
ჩა: წავა სულიან-ხორციანად სეჭიდრულის ჯურლმულებში.

აქედან ჯერ კიდევ გილანის მდიდარი ბუნებაა, ვიღრე  
რუსთემაბადამდე, ხოლო რუსთემაბადიდან სოფელ გიანჯემდე,  
ასე, 6 – 7 ვერსის საფალზედ სურათი ცოტ-ცოტაობით იცვ-  
ლება და ბოლოს სრულიად გადადის ნამდეილ ირანის ბუნე-  
ბაზედ. აღარსად არის ბრინჯის ხოდაბუნები და ფურცლის  
პლანტაციები; აღარ ამშვენებს მინდორ-ველებს მწვანე ბალა-  
ხი, აღარსადა სჩანს მთა და გორაზედ ტყე და ჭილები... აქა-იქა-  
ლა თუ შეხვდება კაცს თითო ნამცეცა ბუჩქი ბზისა და ბრო-  
წეულისა, რომელიც ბალახის ძირებს უფრო ჰგავს, ვიღრე ბუ-  
ჩქებს. ჩემის აზრით, ეს სოფელი, გიანჯე უნდა ჩაითვალოს  
ნამდვილ საზღვრად გილანისა და ირანის ბუნებისა, თუმცა  
რეკლიუ სოვლის მის საზღვრად ს. მენჯილს და თვით სპარ-  
სელნი კიდევ უფრო იმის იქით, ს. ფაჩინარს. თუ რომ ამათ  
ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოდა აქვთ ის გარემოება, რომ  
რუდებარში და საზოგადოდ გიანჯესა და მენჯილ შეა სოფლებში  
კიდევ საკმარისად არის მცენარეულობაო, ეს; ჩვენის ფიქრით,

<sup>8)</sup> თეთრი მდინარე (სეჭიდ—თეთრი; რუდ—მდინარე).

<sup>9)</sup> როსტომ-შენიდან,—სახელია სოფლისა.

საფუძვლად არ გამოდგება ეს მცენარეულობა მთლად მარტო ზეთის ხილის ხისაგან შესდგება, სხვა რამ მოდგმის ხე მე იქ თითქმის არც ერთი არ შემხვედრია. ეს არის ბალები ამ სოფლისა, სადაც მოიპოვება წყალი და სადაც ხარობს ეს ერთადერთი ხე, ხე ზეთის ხილისა. და ეს ხე გარეითად ამ ერთი ღელისა არა ხარობს არსად მთელს გილანსა და მაზანდარანში. მართალია, არა გვარობს აგრედევ არსად ირანშიაც, მაგრამ ირანს ბევრი სჭირს ხოლმე ამისთანა უცნაური ხასიეთები. მაგალითად, არა ხარობს არსად ირანის ზეგანზედ გარდა ყაზინისა, რომელსაც ისე დიდალი ბალები აქვს, ფსტის ხე; არა გვარობს არსად ირანის ზეგანზედ გარდა ყურუს ხეობისა, რომელიც სავსეა სხვა-და-სხვა მცენარეულობით, ალუ ანუ ალიბუზხარი.... მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს ბალებით შემკული სოფელ-ქალაქები ირანის ბუნებას არ ეკუთვნისო.

რუდებარი კაი მოზრდილი სოფელია, გაშენებულია სეჭიდრულის მარცხნა მხარეს, ძალიან დაქანებულ მთის კალთებზედ. რადგან ერთი მთლიანი რამ ადგილი არა ჰქონია, რომ სოფელი რიგიანად გაშლილიყო და მოთავსებულიყო, რამდენიმე ფერდობებზედ მოფენილან, ისე რომ, შორიდან კაცს რუდებარი რამდენიმე სოფელი ეგონება: უბანსა და უბან შეა 2—3 ჯერსი ხრიოკი ადგილებია დარჩომილი.

აქ დასახლებულა ერთი ევროპიელი კაცი, შეუძენია დიდი მამულები, დაუდგავს სახლი და თითონ ისევ უკან გაბრუნებულა სხვა-და-სხვა მანქანებისა და მოწყობილობის სასყიდლად,—ზეითუნის ზეთის გამოსახდელი ქარხნის გამართვა სდომებია, მაგრამ სწორედ იმის იღბლად, შარშანაც, როცა აქედან მივდიოდი, და წელსაც —ზეთის ხილის ხე სრულიად მომცდარა. ისე იდგა ხეები ყურებ ჩამოყრილი და დაღონებული, რომ კაცს შეებრალებოდა. ეტყობა, ავადმყოფობა რამ გასჩენია,—აქა-იქ თითო-ოროლა შტოები წვერებში შემხმარი ჰქონდა. მე კი როგორც ყური მოვკარ, სპარსელები ამ ხეების მოცდენას ამ ევროპიელს აბრალებენ: ის რომ აქ არ მოხირებუ-

ლიკო და რაღაც ჩხირ-კედელობა არ დევწყო, ხო ეს ესე არ  
მოხდებოდა.

ამ სოფელში მოვიდა ჩვენთან რამდენიმე პატარა ბიჭი და  
შემოგვეხვივნენ ავრეთვე დიდრონი ცნობის-მოყვარენიც. ზო-  
გი ამ მთისას გვიამბობდა, ზოგი იმ მთისას. ჩვენ სადილის ფიქრს  
ვიყავით შემდგარი და ბადრიჯანი მოვიკითხეთ. გამოხტა ერ-  
თი პატარა ბიჭი, ასე 9—10 წლისა ძლიერ იქმნებოდა და გვი-  
პასუხა,— მე მოგარომევთო. ვკითხეთ მერე სხვა-ზა-სხვა სანოვა-  
გე და ყველაფერზედ პასუხს გვაძლევდა ისევ ის პატარა ბიჭი,  
რომელსაც დიდები ყურს უგდებდნენ და თავის კანტურით  
უმოწმებდნენ ლაპარაქსა. რაც კი რამ ვკითხეთ სოფლის გა-  
რემოება თუ სხვა რამ საქმეები, ყველაფერზედ დამჯდარსა და  
მოთიქრებულ პასუხს გვეუბნებოდა<sup>10)</sup>. მაშინ მე ვუთხარ: მაშ  
აბა ახლა შენ მიამბე ამ ხალხის თანადასწრებით, როგორ აყე-  
ნებენ თქვენში ზეთის ხილის ზეთს და ან საჭმელად როგორ  
ინახავენ-მეთქი, და სიტყვა სიტყვით მომყავს აქ, რასაც ის მე-  
რაპარაკა.

„როცა ზეთის ხილი მოიწევა, ერთი გრძელი ჯოხი (ხალხა ანუ ხა-  
ლა) გვაქს, იმითი დავტერტყავთ და მოვაგროვებთ. იმ დროსთვის თონე  
გვაქს განურებული, ნაღვიერით სახეს და პირდაპირ იმაში ჩავუახახებთ,  
ისე რომ თონეს სულ პირამდე ავახსებთ და ცოტა თავსაც მოვუკოლა-  
ვებთ. ზემოდან ერთ დიდ თუნჯების ქვაბს დავაპირქვავებთ და ნაპირებსაც  
ტალაბით ამოვულესავთ, რომ ან ბუღი არ გამოვიდეს და ან გარეგანმა  
ჰაერმა შიგნით არ შეატანოს. მაშინ ის ნედლი ზეთის ხილი წვენს გამო-  
უშვებს, ჩანელებს ცეცხლს და შიგ საზოგადო ბუღი დატრიალდება. ამ  
ბუღს გამოსავალი არ ექმნება და ზეთის ხილი შიგ ჩაიფუფქება. მერე ჭუ-  
რჭლებით ამოვკრეფავთ ზეთის ხილს და გავთენთ მზეზე გასაშრობად. რო-  
დესაც კარგად გამოშრება, შევდგებით ფეხით და ვზელავთ. ერთი ან  
ორი დღის განმავლობაში ესე გაფენილს დავტოვებთ, რომ, თუ ან ჭყალთ  
ან სხვა რამ ნაწილები აქვს რამე, ჰაერმა გაიტანოს. მერე ჩავყრით ქვევ-  
რებში და გავანებებთ თავს. თუ პატრონი მდიდარია, ერთ წელიწადზედაც  
მეტი აქვს ასე შენახული და თუ პატრონი ღარიბია, ორი კვირის უკანეე  
ამოპყრის ზეზე და ვამოპხდის ზეთს.

<sup>10)</sup> ეს იყო იქოდან დაბრუნების დროს.

ზეთის გამოსახდელად ჩვენა გვაქვს ესეთი მომართულობა: ორ კეტს, ერთად მიწყობილს, თითო თავი შეკრული აქვს ერთად, მაგრად და მეორე თავი კი დრია, თავისუფალი. ერთს ამათგანს მიბმული აქვს გარდიგარდმო სხვა, მესამე კეტი; ამ მესამე კეტსაც მეორე თავი თავისუფალი აქვს და ზედ თოკი აბია. გავაცხებთ ერთ საცალოს<sup>11)</sup> ზეთის ხილით და ჩამოვაბამთ იმ პირველ ორ კეტზედ. ჩამოჯდება ძირს ერთი კაცი, მოსწევს თოკს მესამე კეტისას და ის ორი კეტი მიკლენ ერთმანერთთან ახლო და მისჭყლეტენ ზეთის ხილს. ტომარას უდა ქვეშ ჭურჭელი, რა-შიაც ეს გამოჭყლეტილი ზეთის ხილის წვენი ჩადის. იმ კეტების ღია პირშიაც სდგას ერთი სხვა კაცი და ყოველი მიჭყლეტის შემდეგ, სწორნდს ზეთს კეტებსა და ორმარის კედლებს, რომ ზეთი უბრალოდ არ დაიღვაროს.

თუ ზეთის ხილი ისე, საჭმელად უნდათ შეინახონ, როდესაც დაჰბერტყავენ და დაჰბეგვავენ, როგორც წელან გითხარი, რამდენიმე ხანი ჰაერზედ გაჰშლიან და ისე დასტუკებენ. მერე ჩაჰურიან მთლად ნაცარში და რამდენიმე დღის შემდეგ, მთლად ნაცრიანად მოაჭუვენ ქეეგრში და დაასხავენ ზედ წყალს. როცა უნდათ რომ იჩმარონ, ამოიღებენ, გაჰრეც-ხვენ და მიირთმევენო.

ხე ზეთის ხილმა ლამაზი იცის და საკმარისად დიდიც იზრდება. თუმცა კაკლის ხის ლდენი ვერ არის, მაგრამ ყველა სხვა ხეხილს, თვით თუთის ხესაც კი არ ჩამოუვარდება. ფოთოლი გრძელი და წვრილი ასხია, როგორც ბროჭულის ხეს ან ტირიფს, მხოლოდ უფრო სქელია და ხორციანი, როგორც ფშატის ფოთოლი. ზევითი პირი ძალიან მწვანე აქვს და ქვევითი ნაცრის ფერი, როგორც ვერხს. ნაყოფი სულ წმინდად უნაბს უგავს, ვიდრე მოიწევა და სწორედ მშენიერი სანახავია, როცა კარგა ასხია.

რუდბარილან ერთ ეჯზედ მეტი კიდევ სულ ესეთი სავალი გზაა ტინებსა და კლდეებში, ვიდრე მენჯილის ხილამდე. თვით ეს ხილიც მენჯილისა ჩაჰელილია შიგ ამ კლდესა და ტინებში და ძალიან შესანიშნავია ხუროთ-მოძლვრებითი მხრივ სპარსელების აზრით. შესდგებით თუ არა ამ ხილზედ, მოგიყვებათ ყოველი მათგანი მის ქებას და უთველის ათას ლოცვა-კურთხევას მის გამკეთებელს. და სწორე რო თქვას კაცმა, მარ-

<sup>11)</sup> ჩატყლის ტომარა.



თლა შესანიშნავია ეს ხიდი არა თუ მარტო ხუროთ-მოძღვრებითი მხრივ, არამედ ყოველის მხრივ. იგი აშენებულია კერძო პირისაგან და არა მთელი საზოგადოებისა ანუ მთავრობის-მიერ,—მთავრობას ამ რამდენიმე ხნის წინ მხოლოდ შეუკეთებია და რაც ამისთვის ფული დასჭირებია, ჩავლადრებში მოუ-გროვებია. ეს ხიდი საკმარისად დიდია, ცხრა სვეტზეა დაყენებული და შიგ სალ კლდებში ამოყვანილი. ზემოდ პირიდან სამი-ოთხი ჩასავალი აქვს შიგ ხიდის გულში, საღაც გამართულია თითქმის მთელი ქარვასლა მოგზაურთათვის თავშესაფარად და ამ ქარვასლას ორივე მხარეს დერეფნები აქვს თავ-და-თავ ზედ წყალზედ გადაშვებული. დიდი გულადობა უნდა, რომ შუადღის უკან, როდესაც აქ ქარები ჰქონის, გაბედოს ვინმე და გავიდეს ხიდს. ქარები იცის აქ ყოველდღე, ყოველ შუადღის შემდეგ და ხანდისხან ისე ძლიერი, რომ მუშტის ოდენა ქვებს ისვრის და, დიალ, არ გაუჭირდება, რომ კაცი თუ პირუტყვი ერთი თვალის დახამხამებაზედ ხიდიდან ძირს გადაჩეხოს. ამისათვის არის, რომ ჩავლადრები ყოველთვის რჩე-ულობენ, ეს ხიდი დღისით, შუადღის წინ გადიარონ ხოლმე. აქედან რომ მივდიოდი, შუა დღის შემდეგ მოგვიხდა გავლა. ჩავლადრებმა ხიდის ერთ თავში გაგვჩერეს; აქ თითო ჩავლა-დარი ჩატკიდებდა ჯილაბში ხელს თითო დასპალნებულ ცხენს და გარბოდა თითონაც და ცხენიც, ვიდრე მეორე თავში გა-ვიდოდნენ. ჩამოვტრით, რასაკეირებულია, ჩვენც ცხენებიდან და თითო-თითოდ გავრბოდით, რაც ძალი და ლონე გვვქონდა. აი რა ხასიეთი სჭირს ამ ადგილს და რატომ საკვირველებად არ უნდა ჩაითვალოს, რომ აქ, ამისთანა ადგილის, ესე დიდი, მჯვი-დრი და ყოველისფრით მოწყობილი ხიდი მოახერხონ და ისიც ვინ? უბრალო კერძო კაცმა თავისის საკუთარის ხარჯით.

ამ ხიდიდან ნახევარ ეჯის მანძილზედ არის სოფელი მენ-ჯილი, საიდანაც ამ ხიდს მიულია თავისი სახელწოდება. სო-ფელი კაი მოზრდილია. რუდბარზედ თუ დიდი არა, არც ნა-კლები იქმნება. შემოზღუდულია გარეშემო მთებით და ლიაა მხოლოდ მდინარის მხრივ. სოფელს ერთი მხრიდან ჩამოუდის.

ერთი პატარი მდინარე—შაბრუდი, რომელიც იქვე, ხიდთან უერთდება ერთ სხვა დიდ მდინარეს—ყიზილ-უზენს და ამ მენ-ჯილის ხიდიდან ამ შეერთებულ მდინარეთ, ვიღრე კასპიის ზღვამდე, სადაც ის ერთვის, სახელ ედების სეფიდ-რუდ—ანუ თეთრი მდინარე. ეს ის თეთრი მდინარეა, რომლის მარცხენა ნაპირს ამოსდევს წავარნა გზა ემამზადე ჰაშემილან მენჯილის ხიდამდე.

სეფიდ რუდი დიდი მდინარეა, ალაზანზედაც დიდი იქმნება და სპარსეთის ყველა მდინარეებზედ ხომ დიდია და დიდი. მენჯილის ხიდიდან მოყოლებული თითქმის ზღვამდე, შეკეტილია სალს კლდეებში; ორივე პირზედ აყუდებული აქვს სწორე კედლებივით უზარმაზარი მთები და სწორედ იმოდონა ადგილი აქვს გაკვეთილი, რაც თვითონ ეყმარის გასავლელად. მიდის, მიარღვევს ყველაგან ამ უშეელებელ მთებს და მიიკლაკნება ან კარასავით ამ ხერელში; მიდის ჩუმალ, მიიპარება სულ განაბული, თითქოს გშინიან, არ შემიტყონ ამ მდევრებივით წამომსხდარმა მთებშა და გზა ისევ არ გამომიყეტონო.

როგორც განგებისად გაყვანილი სოლინარი (მილი), ისეა სწორედ ამისი გზა კასპიის ზღვამდე და ეს არის მიზეზი მენ-ჯილის საშინელი ქარებისა. თბილი ჰაერი ზღვის პირისა და ცივი ჰაერი თავრიზის მახლობელი მთებისა, სადაც სეფიდ-რუდსა (ყიზილ უზენს) აქვს სათავე, ეცილებიან ერთმანეთს ადგილს და ეს ბრძოლა მათი, ბრძოლა მედგარი ხდება სწორედ მენჯილის ხიდთან, რადგან ის, ზღვის პირიდან წამოსული წვრილი ხერელი, გზა სეფიდ რუდისა განიერდება სწორედ აქ, ამ ხიდთან, სოფელ მენჯილში.

ეს ხევი თითქმის განგებ არის ბუნების მიერ მინიჭებული; იგი კარია ნამდვილი ირანისათვის, განგებისაგან შებმული. ამ ხევს ამოსდევს გილანიდან გზა ჩავლადრებისა და ფოშტისა; ამასვე უნდა ამოჰყვეს შემდეგში გზა-ტკეცილი, რომლის გაუვანაზედაც ასე ბევრსა ლაპარაკობენ სპარსეთში, და ამასვე უნდა ამოჰყვეს რკინის გზაც, თუ ოდესშე ელირსება იგი ირანს. ამისი აცდენა ამ მხარეს შეუძლებელია.

იმავე მთების წყალობით სეჭიდ რუდი სრულიად უსარ-გებლო და გამოუყენებელი მდინარეა ქვეყნისათვის. ვერც გე-მები ამოსდევენ მას კასპიის ზღვიდან, რაღან საქართვის სი-ლრმე არა აქვს; ვერც მამულებსა ჰრწყავენ, რაღან ამ მთები-დან მისი წყლის გაყვანა მოუხერხებელია. მხოლოდ ემამზადე ჰაშემიდან მიჰყავთ ერთი ძალიან დიდი არხი და მითი ირწყვე-ბა მთლად რაშტის არემარე.

გზა მენჯილიდან მისდევს სეჭიდ რუდის ტოტს, შაპრუდს ვიდრე ფაჩინარამდე. ფაჩინარის ახლოს ხიდია ერთი გაკეთე-ბული ამ მდინარეზედ. ხიდებს და ბოგირებს სპარსეთში საზო-გადოდ კუზიანებს აშენებენ, ისე რომ ერთი თავიდან შუამდე ხიდი ნამდვილ აღმართს წარმოადგენს და შუადან შეორე თა-ვამდე დაღმართს, თავთაქვეს. რო ვიკითხე ამისი მიზეზი, მი-თხრეს: ეს სიმკვიდრისათვის არის, მაგრე უურო კარგა იჭერს თავს ხიდიო.

აქედგანვე იწყობა, როგორცა ვთქვით, ნამდვილი ირანის ბუნება თავისის ვერანა და უდაბნო მინდორ-გორაკებით. ეს ირანი მთლად თავით თვისით წარმოადგენს ერთს მთლიან ზე-გან ადგილს და მაგიდასავით არის ამომჯდარი შიგ შუა სპარ-სეთში. იმოდონად მაღალია მთლად ეს ზეგანი, რომ გილანის მთის წვერები კიდევ დაბლებად მოაჩანან მის საზოგადო სიმა-ლლესთან შედარებით. ერთს მხარეს დაშვებულია იგი ხარზანის გადასავალით გილან-მაზანდარანისაკენ, კასპიის ზღვის პირად და შეორე შხარეს შირაზის გადასავალით ბეშერისაკენ, სპარსეთის ზღვის (ყურეს) პირად. ერთიცა და მეორე შხარეც ძალიან მდი-დარია ბუნებით: კასპიის ზღვის პირი მოაგონებს ბათუმის შხა-რეს და იგივე კავკასიური ბუნებაა, ხოლო ბუშერის შხარე ნა-მდვილი ტროპიკული ქვეყანაა. და აი ამათ შუა ამომჯდარია, როგორც უკვე ვთქვით, მაგიდასავით ვაკე მთა, თითქმის ორი ათასი ვერსის სავალზედ, რომელიც არა ჰგავს არც კავკასიურ ბუნებას, არც ტროპიკულს; რომელიც არ ჩაითვლება არც ბწირსა და უნაყოფო აღვილად, არც უხვ-ბუნებიანად. ეს სრუ-

ლიად გარჩეული ქვეყანაა და ამაზედ, სადაც შემთხვევა გვექ-  
მნება, ვიტყვით, რაც კი ითქმის თავ-თავის ადგილას.

ფაჩინარის გზაზედ წამოგვეწია ერთი სხვა ქარვანა და  
აქედან ყაზინამდე სულ ერთად ვმოგზაურობდით. ჯერ ისრეც  
დიდი იყო ჩვენი ქარვანა და ეხლა ამ, მეორის შემოერთებით  
მეტის-მეტი დიდი გახდა. სამოცი სული მეტი მარტო სალტე  
ცხენიანი მგზაურები ვიქმნებოდით, გარდა ჩავლადრებისა და  
საპალნიანი ცხენ-ჯარებისა, რომლებიც რიცხვით ერთი-ორად  
მეტნი არიან ხოლმე თითქმის ყველა ქარვანაში. შეუჩვეველ  
თვალს ეგონებოდა, თუ რომელიმე სოფელი დედა-ბუდიან აყრი-  
ლა და გადასახლებულაო..

მხიარული ქარვანა იყო, რაც ამათ შეეფერებოდათ; საკმა-  
რისად ერთია აგრედვე დედაკაცობა თავისის პორელითა<sup>12)</sup> და  
ჩეოთი<sup>13)</sup>. რასაკირველია, ვეცოლინებათ, რას ჰქვიან ერთი-  
ცა და მეორეც: ორივე საბუღრებივით პატარ-პატარა კიდო-  
ბნებია, ხოლო პირველი დახურულია, გადაფარებული—დე-  
დაკაცებისათვისა, და მეორე კი ახდილია, როგორც საზაფხუ-  
ლო ანუ კაცების ჩასასხლომად. ესენი ორ-ორი გადაბმულია  
ერთმანეთზედ და ხურჯინივით გადაკიდებული ცხენზედ. შიგ  
მჯდომი უსათუოდ უნდა ეცადოს, რომ თანასწორობა არ და-  
არღვიოს, თორე თორივენი პანტა-პუნტით წამოვლენ ძირს თა-  
ვისის თახახებით.

ქარვანა კაი სანახავია. მას თავისი შნო და ლაზათი აქვს,  
მაგრამ, რასაკირველია, იქ, იმ ადგილებში. აქ რომ იყოს, ცო-  
ტა კინტოების ყეინობას ემზგავსებოდა და სასაცილო გახდე-  
ბოდა. იქ კი, იმ უდაბნო ადგილებში, სადაც სამოც-ოთხმოც,  
თორე ხშირიად ას ვერსზედაც წყალს ვერ შეჰვდები, ხეს ვერ  
დაინახავ, „ძალლის ყეფას ვერ გაიგებ და მამლის ყივილსა“,  
ესე იგი, სადაც არც გზაა, არც ბუნება და არც ხალხი, იქ  
თავისი შნო აქვს ამ ქარვანას. 60—80 სული ქალი და კაცი,  
დიდი და პატარა თავიანთის ბარგითა და სახელრებით შიგ ჭრე-

<sup>12)</sup> პორელი—ქვეჯავე; არაბულად მოაწა.

<sup>13)</sup> ჩეო—პალაკი, პალანკინი.

ლად არიან ერთმანეთში არეულ-დარეულნი, როგორც ჩაცმულობით, ისე გარეგანი ხანახაობით. ზოგი ფეხით მიაბოტებს, ზოგი ვირზეა გადალაჯებული; ზოგნი ჩეოში სხედან და აღიხადიან სასწორის თებულებით, ზოგი ცხენზეა ყეინივით წამოსკუპებული და თანაც უფრო მაღალი მოჩანს, რადგან ცხენს თავისი ფალანი, სამი-ოთხი ხურჯინი, საბნები და პალტოები, ყველაფერი ზედა აქვს გადაკიდებული. ზოგი მლერის, ზოგი სთვლებს, ზოგი ხარხარებს; ზოგი ჩავლადარს ეჩხუბება, ზოგი მკედარივით გაშოტილა თავის ვირზე და თუმცა ხელებსა და ფეხებს ზედ მიწაზედ მიათრებს, მაგრამ გულიანადა ხერინავს, გეგონება — ყურთუკის ბალიშებზეა გადასვენებულიო. სხვას ჩეოში ჩაძინებია, დაუკარგავს თანასწორობა და ერთის ჭრა-ჭუხილით გადმოშვებულა თავდაყირა თავისის ამხანაგითურჩო. ჭრვანა ჩერდება და გაისმის საშინელი ხარხარი და მოსწრებული სიტყვები. დაუმატეთ ამას ახლა ეკვნების უღარუნი და ზარების ჭრვა-ჭრუნი, რომლებითაც შემკულია ხოლმე ყოველი ვირი და ჯორი ქარვანისა და იქნება მცირედად მაინც წარმოიდგინოთ ეს სურათი.

ზარი აუცილებელი საჭიროებაა ქარვანისა, რადგან მხოლოდ ეს არღვევს იქაურ მკვდარი ბუნების მკვდარ მყუდროებას. ამისათვის ხშირად შეხვდება კაცი ქარვანის მოწინავე ცხენს, ჭრელის ნაქსოვის მოსართავებით შემკულს და მოლად ზარებით შექედილს და უნდა უყუროთ, რა მშურვალის თვალით შესცემრიან სხვა ჩავლადრები, როცა ამისთანა ცხენს მოჰკრავენ თვალსა. და მაშინ მისი პატრონიც, როგორც თვით ცხენი, ჰერძნობს თავის პირად ღირსებას და, აღსავს სიამაყით, ისე ჩაუვლის ხოლმე გვერდს დანარჩენ ქარვანებს, რომ თავის ბედნიერ თვალს ერთხელაც არ მიატრიალებს იმათვენ. ზარი ზარსა ჰქვიან და ჩევრს არ ენახვება უთულდ ამათი დიდი ზარები. ორი დიდი ზარი იციან ყველა ქარვანაში, რომელიც ცალკე ხურჯინივითა აქვს სახედარს გადაკიდებული; კი მოზრდილი ქვაბის ოდენებია, ხის ენა აქვს და ძალიან ბოს ხმას გამოსცემს. ესენი საჭიროა იმისათვის, რომ იქიდან მომავალ ქარვანს

აცნობოს და გზის აქცევა არ გაუჭირდეთ; იმედია ამასთანავე სხვა ქარვან ებისათვის და გამამხნევებელი პირუტყვისა ყრუ მინ-დვრებში.

ფაჩნარში იყო ფოშტის სადგური, ზაგრამ ვიცოდით იქ კაცს არ შეესვლებოდა, ისე მამასისხლად ჰყიდდნენ ჰველაფერს და სისუფთავითა და სიკეთით კი ბევრად არ განსხვავდებოდა უბრალო საჩაიებისაგან. ამისათვის ვამჯობინეჲ მინდვრად და-დგომა, ხეებ ქვეშ, წყლის პირად. აქ იყო იგრევე საჩაიე, მაგრამ უსუფთაობისა და ნამეტნავ ვიწროობის გამო, არც ის ვიკისრეთ. აქ საყურადღებო სრულიად არა იყო-რა, გარდა ერთის ბურჯისა, რომელიც წამოსკუპულია სულ მაღალ მთის წვერზედ და ოთხივ მხრევ შორს გადაიყურება. ამბობენ, ეს მეკიბრეების აშენებულია და დიდი ხანი არ არის, რაც აქ დათა-რეოშბდნენ და მწარე დღეს აყენებდნენ ამ არემარესაო.

მცირე ხანს უკან ამოვევივარდა საშინელი ქარი. ჯერ ყურა-დღებას არ ვაქცევდით, მაგრამ როდესაც ისე გაძლიერდა, რომ მტვერსა და ქვიშას პირში გვაყრიდა და ბარგს ადგილზედ არ გვიყენებდა, ვიკადრეთ საჩაიეში შეხიზნება. ეხლა მე მოვახსე-ნებთ, თუ რას ჰქვიან ამათი საჩაიე.

წარმოიდგინეთ, უდაბნო ადგილებში, საღაც არც სულიე-რი, არც უსულო, არა მოიპოვება-რა, გარდა ერთის თვალ-გადუწვდენებულის კრია და ხრიოკი მიწისა, წამოსკუპებულია გზაში უოველ 7-8 ვერსის სავალზედ ერთი პაწია ქოხი. ქო-ხი მიწისაა მთლად, მიწითვე დახურული. შესავალში ავოშე-ნებულია მიწისაე მაგიდა და მის პირდაპირ დგას ერთი და-ბალი და განიერი ტახტი, ნეკა გადაფარებული. მიწის მაგი-დაზედ წამომდგარია ერთი პაწია უესტის სამოვარი შავი მაღა-ლის სოლინარით <sup>14)</sup>). გვერდში ორი ნაკვერჩლის ცეცხლი აქვს გაჩენილი და აქეთ-იქიდან მიღებულია ჩაინიკი ჩაით და ჭუჭყიანი, დაუანგებული პატარა უესტის ქეთლი აღუ-ღებულის წყლით. მიშევდებოდით, ალბალ, ამის მნიშვნე-ლობას,—რომ, ვიღრე სამოვარი ხელ-ახლა აუდულდებოდეს,

<sup>14)</sup> სოლინარი—ლულა, მილი.

მუშტარი ხელ-ცალიერი არ გაისტუმროს. იქვე მაღლობ ადგილზედ შემდგარია სამი სათითესავით თითო ნამცეცა ღვინის ჭიქები თავისის პატარა თებშებითა და უესტის კოვზებით. უფრო მაღლა სდგას პატარა სინით ანუ თევზით, ძალიან წვრილად დამტვრეული შაქარი, რომელსაც ქვეყნის ბუზები ზედ ეხვევინ. მეორე მხარეს უკიდია სასწორი და უდგას ძალზედ დაჭუპყიანებულის ხახლებით წვრილად დამტვრეული ნახშირი, დახალული გოგრის თესლი, მუხუდო, ქიშმაში და, თუ იშოვება იმ დროს, ნედლი ხალიც. სამოვარი, ჩაინიკი, თუ რაც სთქვათ, ყველა ისე საშინელი ქუპყიანია, რომ პირველსავე შეხედვაზედ კაცს შეეზიზდება: ბროლის ჭიქაში ჩაის ფერს ვერ დაუნახავ, თეთრი ნიჟარის<sup>15)</sup> თებშს რკინის ფერი დაჭურავს და ის უესტის კოვზები ხო ნახევრად გამოჭმულია ეანგისაგან. გაავლებს ჭიქას ციქს ან ცხელ წყალში და ჩამოუშვებს პირდაპირ ჩაის. ხალხი გარეშემო სხედს შემომწყრიებული და, ხან-გამომვებით, შეექცევა ჩაის. ერთი ჭიქა ერთი კაპეიკი (შაი) ღირს ან კაპეიკ-ნახევარი; ფოშტის სადგომებში და სასტუმროებში კი (მეჭმან ხანე) ხამი კაპეიკი. აქვთ ამისათანა აღილებში აგრედვე ცოტა დიდი ჭიქებიც, ორი მესამედი ჩვენებური ჩაის ჭიქისა, რომლებსაც განგებ ევროპილებისათვის (ფარანგი) ინახავენ და თითო ამისთანა ჭიქა ჩაიში 10—15 კაპეიკს იღებენ. ერთის სიტყვით, რადგან იმათ სასტუმროები და ფოშტის სადგურები ჭიქიან, ცეცხლის კიდებაა სწორედ.

ესეთებია ღარიბი საჩაიები გზებში, მაგრამ სულ სხვაა დიდს ჭალაქებში, — ყოველისფერი სუფთა, ყოველივე რიგზედ მოწყობილი. ასრეა, მაგალითად, ქ. ყუმში, ხიდის ყურზედ: ერთ ჯერზე 200-მდე კაცს ასმევენ ჩაის და მისთავაზებენ ყალიონებს. ანუ თეირანში, ლალაზარის ხეივანზედ, სადაც საჩაიეს წინ გამართულია კოხტა პატარა ბალი, განათებული ფერად-ფერადის ცეცხლებით და მორთული სხვა-და-ხევა ფერადის შუშეულობით: ლამპებით, ვაზებით, გრაფინკებით, ძირიანი ჭიქებით...

<sup>15)</sup> ნიჟარა—ფაიფური.

შევედით საჩაიეში. აქ ერთი პატარა ტახტი ერთ მოლასა და ერთ ვაჭარ სეიედს ექირათ, ორივენი ჩვენს ქარვანაში იყვნენ, ჩვენთან მოგზაურობდნენ. ჩემთანვე მოგზაურობდნენ და დიდს მეგობრობას მიწევდნენ რაშტელი მაჰრუმ ვალი ხან იავერის შვილები: ჰუსეინ და ქეარიმ ხანები, რომლებსაც მამა თეირანში მოჰკვდომოდათ და შაჰის მაძის აღილი ჰუსეინ ხანის-ფვინ ებოძებინა. ეს მოხდა დაბრუნების დროს. შევყავ თუ არა თავი საჩაიეში, სეიედ-ვაჭარმა მომაძახა,— აქეთ მობრძანდითო. მე მადლობა გადავუხადე: აგერ ჩვენთვის მეორე ტახტს ამზადებენ-მეთქი.

— განა აღილი არ არის, მავრამ ჩვენ გვესიამოვნება, ჩვენთან მობრძანდითო.

ამ დროს მოლამ წაჰერა ხელი სეიედს და წაჰეტუტბუტა: რაში გეჭირება, ადგილი ცოტაა, წავიდეს და დაჯდესო. მე ვითომ არ გამიგონია, კვალად მადლობა გადავუხადე და გავწიე მეორე ტახტისაკენ. ხალხი ბევრი იყო. შემოვიდნენ ახალ-გაზტა ხანებიც და მომისხდნენ აქეთ-იქიდან. როცა მე იმათ ვუამბე ამ მოლის ამბავი, ძალიან ეწყინათ და მითხრეს: თუ ნებას მოგვცემ, ამ საათში გაეპანჩურებთ აქედანაო, მაგრამ, რასაკირველია, მე ამაზედ არ დავთანხმდი. იმ ხანებს, თუ საზოგადოდ ყველა ჩვენს თანამოგზაურებს, ძალიან არ ეპიტნა-ვებოდათ, რომ ის მოლა ჩვენს ქარვანაში ერია, რაღაც იმისის, მორიცებით ვერც არაყსა ჰსეამდნენ თავისუფლად, ვერც ლვინოს და სულ მიზეზს ექებდნენ, რაგორმე თავიდან მოეწყვიტათ.

ვნახოთ, პატარა ხანს უკან შემოვიდა ერთი დაბალ-დაბალი ბიჭი. დამინახა თუ არა, დამიძახა:

— „კნიაზო! შენ ქართველი არა ხარო?

— ჴო, მაგრამ შენ ქართული საიდან იცი-მეთქი?

— მე ორიოდე სიტყვა ქართულიც ვიცი, რუსულიც. ექვსი თვე ერთმა ქართველმა „კნიაზმა“ შემინახა ქუთაისში და ისეთ საქმეს გადამარჩინა, რომ, თუ მუსულმანებს ვეპოვნე, ლუქმა-ლუქმა ამკუშავდნენო. არკი უთქვამს, რა საქმე ჩაიდინა. შშვენიერად უკრავდა უენო სალამურს და მითხრა:

— ამაღამ სულ შენს სამსახურზედ უნდა ვიყოვო. რაშტა  
თუ მოჰკვიდე, უთუოდა მნახე; ღარიბი ვარ, მაგრამ მაღლის  
დახსომება კარგა ვიციო და დაიწყო სალამურის დაკვრა. ხალ-  
ხი უფრო მოგვემატა. ჩვენ ერთი სხვა მოლა გვყვანდა, რო-  
მელსაც პურს ვაჭვევდით და გვემსახურებოდა. ახალგაზდა იყო,  
ძალიან ხუმარი. იმ ბიჭმა რომ სალამური გააჩალა, ამ ჩვენმა  
მოლამ ზედ მშვენიერი სიმღერა შემოსძახა. იმ პირველ მოლას  
კი ძალიან არ უამა ეს ამბავი და ჩვენს მოლას წყრომით თვა-  
ლებს უბლატუნებდა, მაგრამ ყურიც არაერს უთხოვებია. ის  
ბიჭი სასიამოენოდ სალამურს აწკრიალებდა, ჩვენი მოლა ტკბი-  
ლად დაჭლილინებდა და მეორე მოლა კი ბრაზითა სკდებოდა.  
გავიდა ასე კაი ხანი, მოლამ ითმინა, ითმინა და, რომ ვეღარა  
გააწყო-რა, დაუძახა ერთსაცა და მეორესაც: გაჩუმდით ახლა,  
უნდა ვიღოცუოვო. ისინი იმ წამს გაჩუმდნენ და მოჰკვა მოლა  
მაღლის ხმით ლოცვას; განგებ სრული ნახევარი საათი გაა-  
ჭიანურა. მაგრამ მერე კი, ღამის ორ საათამდე ამოაშნამეს იმ  
უბედურს: ერთს სალამური არ გაუჩერებია და მეორეს პირი  
არ დაუყენებია, სულ უკრავდნენ და მღეროდნენ ტაშითა და  
კიუინით.

იმ მოლის ლოცვის დროს წამოხტა ეს ჩვენი მესალამუ-  
რე, გათქვითა ერთ სპილენძის ჯამში კვერცხები, ჩასხა რჩე,  
ჩააყარა შაქარი, ჩადგა ყინულით სასვე ქვაბში და დაუწყო ტრიი-  
ლი. არ გასულა სულ ერთი საათი, ჩინებული მზრალი<sup>16)</sup> გა-  
გვიკეთა. ყველას მოვართო და იმ მოლას კი არა. მერე აიღო  
ქუდი, ჩამოუარა ყველას და ფულები მოაკროვა. ჩემთან არ  
მოსულა, თუმცა ბევრს ეუბნენ.— „საპაბსაცა“ სთხოვეო. მეც  
ამოვილე ერთი აბაზი და გადავუგდე, მაგრამ ძალიან დამეღრი-  
ჯა: ნუ ინებებ, შე ქართველების სიკეთეს ჩემს სიცოცხლეში  
ვერ გადავიდიო.

აქედან გზა სულ პირშალმართია. სრული სამი ეჯი, სო-  
ფელ ხარზანამდე სულ აყუდებული მთა საშინელის ფრიალო

<sup>16)</sup> მზრალია—მართვი.

იდგილებით. ყოველ ორი ფეხის გადადგმაზედ უნდა ცხენდა დაისვეროს. ეს არის ხარზანის უღელ-ტეხილი. სიგრძით სპარ-სეთის ყველა გადასაეალზედ დიდია, თუმცა სიმაღლით ყუ-რდი და ფერეიდანი იმაზედ მაღლებია. მთლად ეს უღელ-ტე-ხილი წარმოადგენს თავით თვისით ურიგოდ, ერთმანერთში მიყრილ-მოყრილ მთებსა და გორაკებს, ხადაც ერთი ცილა სწორე ადგილი არ მოიპოვება. აქ გზაში შეხვდება კაცს რამ-დენიმე ემამზადე. მაღლა მთებში გაშენებულია ერთი სოფელი, რომელსაც ამ მთის სახელი ხარზანი ჰქვიან. სოფელი გაუშე-ნებია ერთ მებატონებს, ჯანგირ ხანს და მასვე ჰკუთვნებია. ხარ-ზანის ზემოდან ერთ მაღალ მთაზე წამოადგმულია ერთი კოშ-კი და, როგორც მითხრეს, იქ სამკურნალო მაღნის წყალი ყო-ფილა. შემდეგი სადგური ჩვენ ამ სოფელში გვქონდა.

არ მოგვეწონა აქაც დასადგომი ადგილი და ავედით ქარ-ვასლის ბანზედ. იქ ერთი სუფთა ოთახივით ადგილი იყო და იმაში დაებინავდით. სპარსელები შეუდგნენ იმავ წამს ჩლავის ხარშვას. მე ამისი მოხარშვა ჯერ არ მენახა, წამოვუწევ იქვე შორიახლო. დავენახე იმ უპირო მოლას, ჩასულიყო ძირს ხალხ-ში და დაეჩივლა: „აბა, რა ვწნა! „საპაბს“ ხელი ჩაუყვია ფლავ-ში, როგორდა ჭამოს კაცმაო?“ მაგრამ იცოდა „საპაბთან“ საქმე არავისა ჰქონდა და მერე ჩვენს მოლაზე ეთქვა,— „ის უსვინილისო არყოთა სქდებაო“. ეს იმ გლეხებს რომ გაეგოთ, ერთი შფოთი შესდგომოდათ. ამათ თან-და-თან ხალხი მოჰმა-ტებოდათ და დრტვინვა უფრო-და-უფრო გაძლიერებულიყო. მე ამისი არა ვიცოდი-რა. ამოცევივლნენ ერთბაშად ხალხი და შემატყობინებს, რომ მოლამ ხალხი ააღელვა, აქ ჩვენი მოლა არ მოკლანო. ჩვენ, რასაკვირველია, ყველას გვეწყინა. ვნახოთ, ზედ-დატანებაზედ ისიც მოლიოდა. იმას თავისებურად დაეყუ-ნებინა საქმე და ახლა ჩვენსკენ მობრძანდებოდა, ეთომ აქაც არაფერიაო. მე ქეჩო ამეშალა და ის იყო, როგორც უნდა დავძეგერებოდი, იმისავე ამხანაგმა სეიედმა, რომლისაც არაყი მე მებარა, გამარტინი და თითონ გაუმართა ლაპარაკი.

„შენ თუ არ მოგწონს ეს ხალხი, ამათში ბინა რად გა-  
გიკეთებია. ესენი სულ ერთი კამპანია არიან,—ვერა ჰედავ,  
ყველანი „საპაბს“ ზედ ეხვევიან: უამისოდ არა სჭამენ, არა  
ჰსეამენ, არას აკეთებენ. თუ ამათში ყოფნა გინდა, შენც  
ამათებურად მოიქე, თუ არა-და, შენ არ იცი, რომ მაგითი  
„საპაბს“ აწყენინგბო. ეს რომ ხმას არა გცემს, შენ რატო  
ნამუსი არა გაქესო.“

ერთი კი უპასუხა მოლამ, მე „საპაბთან“ რა საქმე მაქვ-  
სო,—და ყველანი წაეხვინენ. ბევრი უსიამოენო რამ უთხრეს,  
ბევრი უკალრისი აკალრეს და თუ მე თვითონ არ ჩავრეული-  
ყავ და არ დამეშოშმინებინა, საქმე ძალიან ცუდად მიღიოდა.  
მოლას, რასაკვირველია, ბოდიში მოვახდევინეთ და თავის მიერ  
აზვირთებული ხალხი თითონვე დავაშოშმინებინეთ. ის იყო და  
ის, მოლას იქ ფეხი ამოვაკეთინეთ და ჩვენის ქარვანიდანაც  
გავაძევეთ.

ხარზანიდან ალბაბისაკენ ჯერ ცოტა კიდევ ალმართია და შე-  
რე თვით ქ. ყაზვინამდე ვაკე გზაა, მაგრამ თან შეუმჩნეველი ასა-  
ვალიც. ბუნება მწირია, მოყოლებული ფაჩინარიდან: სულ კრია  
და ხრიოუ მიწები წითელი თხის გორაკებით.

ყაზვინი კაი მოზრდილი ქალაქია. უწინ რამდენჯერმე  
ტახტის ქალაქადაც ყოფილი სპარსეთისა. ქალაქს გარე შემო  
გალავანი აქვს შემორტყმული. გალავანიც და სახლებიც სულ  
შმინდა ტალახისაა აშენებული და გარედან ბრით <sup>17)</sup> ნალესი.  
იშვიათია, რომ სახლის და ნამეტნავ გალავნის კედლებს აგური  
დაატანონ და თუ დაატანეს, იმასაც გამოუწვავს, ალიზს. ასე-  
თი ჩევულობაა საზოგადოდ ყველგან მთელს ირანში. გამომ-  
წვარი აგური რო ახმარონ, თითოთ საჩენენებელი შეიიქმნება  
მთელს ქალაქში, როგორც შესანიშნავი შენობა. აგურის შე-  
ნობა თუ არის, მხოლოდ შაპისა, ვეზირებისა და გუბერნატო-  
რებისა ანუ მეჩითები და ქარვასლები. დანარჩენი, ვინც აგურს  
დააყოლებს, მხოლოდ კონქებში <sup>18)</sup>, კარნიზებად და აქა-იქ

<sup>17)</sup> ბრე—ბზე ნარევი ტალაზი გასალესად.

<sup>18)</sup> ქონქი—თაღი, კურტიმელი.

სვეტების პირებში,— ისიც ნახევარ-ნახევარ აგურს. ან კი რა საჭიროა, როდესაც უიმისოდაც უბრალო ტალახის შენობა, ალიზის კონქებიანი, ჩვენის ქვითკირის შენობაზედ ნაკლებს ხანს არა სძლებს. ასე მაგალითად, შეჰვეტება კაცი ისპაპანში 200 წლისას და თვით შაპაბაზ პირველის ღროის სკირას (მიწის ან თიხის კედლებს), რომლებიც თავ-აშვერილები დგანან დღემდე ჯერ კიდევ. საკვირველია, რომ ამისთანა კედელი ისე, ერთბაშად არ იქცევა, ცოტ-ცოტაობით იწყობს ცვეთას და საპონივით ილევა ზევიდან, წვერიდან მოყოლებული. იქ თოთონ მიწაა ისეთი კაი თვისებისა; სადაც გასჩიჩქნო, იცოდე, კარგი იქმნება შენობისათვის: გინდა ალიზს მოსჭრი იმისას, გინდა გამოსწვავ ცეცხლში და აგურად გამოიყენებ და გინდა კიდევ ისე პირდაპირ მიაწყობ დაზელილ ტალახს ერთმანეთზედ და შეიქმნება ნამდვილი კედელი, სკირა.

ერთი საკვირველი თვისება აქვს ამასთანავე ამ მიწას. იმსახურებს 40—60 წლიშიადი შენობად, დაძველდება და საუკეთესო სასუქად ითვლება მერე მინდორ-ბალებისათვის. და რაც უფრო ძველია, მით უმჯობესია. ამითი უნდა აიხსნებოდეს ერთის მხრივ ის ჩველობა სპარსელისა, რომ, როდესაც სახლი დაუძველდება, ალაგს გადაინაცვლებს და იმ ნასახლარზედ ბალსა და ხოდაბუნებს გააჩალებს და ანუ მოსთხრის ძირიანად იმ ძველ შენობას და გაეზიდება ბალებში სასუქად. ამის გამო ხშირად, როდესაც სპარსულ რომელიმე ქალაქში შედის კაცი, თვალში ეცემა იმ წამსვე სამი შემდეგი გარემოება.— ანუ ქალაქს მთლიანად გადუნაცვლებია ალაგი და ძველს ნაქალაქევზედ ბალი და სახნა-სათესი გაუკეთებია, ანუ ბალები და ხოდაბუნები შიგ ქალაქშია გამართული ქუჩისა და ქუჩის შუა, სახლებსა და სახლებ შუა და ანუ ქალაქი თითქმის სადღაც ჯურლმულში ჩამდერალაო. ასეთია სწორედ ეს ყაზების ქალაქი. ამას იდგილის გადანაცვლება არ ეტყობა, არც ბალები და სახნავები აქვს შიგ ქალაქში, მაგრამ, სამაგიეროდ, როდესაც ქუჩიდან რომელიმე ალაყაფის კარებს შეაღებ, საღმე სახლში შესასვლელად, უნდა ჯერ 15—20 საფეხური ჩიიარო კიბისა და

იქ იქნება სახლი და კარი, ეზო და ხანდისხან პატარა ყველი-ლების ბალჩაცა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბანი სახლის ქუჩის პირის სისწორივ იქნება, წინ რომ გალავანი არა ჰქონდეს გა-ვლებული და არა ჰქონდეს თვალთაგან. მაგრამ კარგია კიდევ რომ ეს, ქუჩის-პირა კედლები ჰქონდეს ათასგვარ მინგრეულ-მონგრეულ ადგილებს და მათს ჭუკებიანობას.

ქალაქი ყაზვინი სხვა ირანის ქალაქებთან შედარებით უფრო სუფთად მოხანს. აქვს რამდენიმე კარგი და ძალიან ლა-მაზი შენობები, როგორც მაგალითად გუბერნიის გამგესი (ჰო-ქემისა), მეჩითები, ფოშტის სადგური და რამდენიმე ქარვას-ლა. აქვს ორი ძალიან კაი ქუჩა (ხეევანი<sup>19</sup>]). ერთი მათგანი მიღდის ფოშტის სალგურიდან გამგებელის სახლამდე. ძალიან განიერია პროსპექტივით, ორივე მხარეს მაღაზიები აქვს დაზარ-თული, არხის ნაპირებში ორივე მხრიდან ფარნები აქვს ჩარი-გებული და დიდობის კანდრის ხეები და ქუჩის თავშიაც, გამ-გებელის სახლის წინ, ზედ შუაზედ სდგას ზარბაზანი და ზარბაზნის უკანაც ერთი პატარა აუზი. მეორე ქუჩა ძალიან გრძელია; იმასაც ორივე მხარეს მშვენიერი ხეები აქვს ჩარიგე-ბული და მიღდის თეირანის მხრივ გალავანის კარებამდე (დარგააზე). კარგი აქვს აგრევე ბაზარი, რომელიც ქალაქის ერთ მხარეს არის გაშენებული და არა შუაზედ, როგორც ჩვეულობა აქვთ ხოლმე სპასეთის ყველა ქალაქებში.

აქ ვნახე პირველად ამათი საპყრობილე. ერთი ღიდი ბნე-ლი ოთახია, რომლისაც კარი მუდამ ღიაა და ყველას შეუძ-ლიან დაათვალიეროს. კარებში დაგანან მცველნი. ოთახის სი-გრძეზედ გადებულია ღიდი ძელი და აქეთ-იქიდან ახლო-ახლო, მატკულულებივთა სხედან პატიმარნი, რომელთაც ყელზედ ჯაჭვი აქვთ შებმული და ეს ჯაჭვები იმ ძელზეა დამაგრებუ-ლები. მეორე თავში ოთახისა იყო ერთი ასეთივე ტივის ხე გარდიგარდონ გადებული და იქაც ორივე მხარეს ჩამწკრივე-ბული პატიმრები. როდესაცა ვკითხე, — ღამეც ესე ხართ-მეთქი?

<sup>19)</sup> ევროპიულს სწორესა და განიერს ქუჩებს, ხეებ ჩაყოლებულს, ხეევანს ქაბინან და თავიანთებურს, წერილსა და მიკლაქნილ-მოკლაქნილს—ქუჩის.

მიპასუხეს: არა, ღამე ხელ-ფეხსაც ზედ გვიბამენო. არ იყო სასიამოვნო საცქერალი, ვაჩუქე ერთი მანეთი (წყრანი) საზო-გადოდ ყველას და საჩქაროდ გამოვბრუნდი.

აქვე ვნახე პირველად ამათი სასწავლებელი. სხედან ერთს ოთახში 40—60 ყმაწვილი სხვა-და-სხვა წლოვანობისა და სხვა-და-სხვა მომზადებით. ყველას წიგნი უძევს წინ გაშლილი და წამოჩინქებულები<sup>20)</sup> არიან ნეკაზედ. იმათ პირდაპირ აზის ერთი ხალიჩის ნაგლეჯზედ წვერ შეღებილი მოხუცი და გარეშემო ულაგია სხვა-და-სხვა ნიერები, ზოგი გაშლილი, ზოგი დაკეცილი. ამას ჩაცუცქებული უზის წინ ერთი პატარა ყმაწვილი და რაღაცასა კითხულობს. მასწავლებელს მუხლებზედ პატარა ქალალდის ნაგლეჯი უძევს, სწერს და ყური კი იმ ყმაწვილისა-კენა აქს, ღროვამოშვებით სიტყვებს უსწორებს. სხვები ისე სხედან, არასა კითხულობენ. ერთი მათგანი თავში უფაჩუნებს თავის ამხანაგს. მეორეს რაღაც ნავივით გაუკეთებია ქალალ-დისა, უძევს წინ წიგნზედ და უბერავს უკანილან რაც ძალი და ღონე აქს,—უნდა რომ აცურაოს, მაგრამ წამოჰქრა შეო-რემ ხელი და წაართო. სხვას ცერი დაუსველებია მელანში და თავის ამხანაგს შუბლზედ მთვარე გამოუსახა. დანარჩენები სეირს უყურებენ; ზოგნი ხმა-მალლა ჩეუბობენ, ზოგნი გულიანალ ხარ-ხარებენ ამხანაგების ეშმაკიბაზედ. ერთბაშად წამოდგნენ რამ-დენიმე ყმაწვილები წიგნებით ხელში, მიეხვივნენ შასწავლებელს და მოჰყენენ საჩივრებს. ამან ერთი კი შეანათა მათ თვალები და საჩივარი არ მოუსმინათ. გამოიწოდა სახრე, რომელიც იქვე გვერთ ედვა და ყმაწვილები ფხოჭა-გლეჯით გაიქცა-გამოი-ქცნენ თავ-თავის ალაგის. ერთი მათგანი, რომელიც უფრო კუდრაჭა იყო, არ გაიქცა: გადაუშალა ერთ-ბაშად წიგნი და ერთ სიტყვაზედ დაუდო თითო, ვითომ-და, მე საჩივლელად არ მოვსულვარ, ეს სიტყვა ეერ ამოვიკითხეო და იმანაც წაუკი-თხა. ყმაწვილებში ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი და-წყნარდნენ. მასწავლებელმა შესძახათ,—წაიკითხეთო და ისინიც

<sup>20)</sup> მოკეცით სხდომა არ იციან სპარსელებში.

მოჰყვნენ კითხვას. კითხულობდნენ და, თითქოს ქანაობენო, წინ და უკან ზანზარებდნენ. კითხულობდნენ ხმა-მაღლა ანუ, უკედ რო ვთქვათ, მღეროდნენ. ყველა წასაკითხს თავისი ხმა, თავისი კილო აქვს და ამდენი ხალხის სხვა-და-სხვა ხმაზედ, სხვა-და-სხვა კილოთი კითხვა რაღაც ახირებული რამ გამოდიოდა. თან, რასაკვირველია, თავისას არ იშლიდნენ და ერთი მეორეს ხან ენას უყოფდა, ხან შუჯლუგუნსა სცემდა, ხან წიგნზედ ხელს უფარებდა. ვნახოთ, ამ ღროს ერთმა თავით-ფეხამდე ჩა-დრში გახვეულმა ქალმა ერთი 6—7 წლის ყმაწვილი მოიყვანა. ყმაწვილს ცალ-ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში ჩაის თებ-შით ორი კუფხალი ყურძენი, ისიც ნახვრად გაკენკილი: ეტყობოდა ყმაწვილს გზა-გზა შიგა-და-შიგ მარცვლები გამოეძრო. დედამ შიგ კარებში შეაცილა და თან სულ მისძახოდა: „სალამ, სალამო!“ ყმაწვილიც მივიდა მასწავლებელთან, შეს-ძახა „სალამო“ და თებშით ყურძენიც წინ დაუდგა. მასწავ-ლებელს ზევითაც არ აუხედნია. შეგირდები გაჩერდნენ, წიგნის კითხვას თავი გაანებს და იმ ყურძენს შესცეროდნენ. ვინ იცის, რამდენს მოუვიდა პირში ნერწყვი და აუკაწყაწდა კბი-ლები..

ქალაქის გალავანს რამდენიმე შესავალი კარები აქვს და ეს კარებები სალამოს 7—8 საათზედ, პირველსავე დაბინდება-ზედ დაკეტილია. მშვენიერი გემოვნებით იციან კეთება სპარ-სელებმა საზოგადოდ ამ ქალაქის გალავნის კარებებისა, რომ-ლებსაც „დარვაზეს“ (ლია კარი) ეძახიან. ჩინებულის მრგვა-ლი სვეტებით არის შემკული და ფიგურებად გამოყვანილი. წინა პირს ყოველთვის ფერადის მარტაცით <sup>21)</sup> ანუ შორენკე-ცით უკეთებენ, გარმონიულად შეხამებულს ფერს-ფერთან და, რო შედის პირველად კაცი რომელიმე ქალაქში, ძალიან სა-სიამოვნო შთაბეჭდილებას იღებს. სპარსელს ძალიან უყვარს კარის ბჭის გალამაზება, ქალაქის გალავნისა იქმნება ეს კარი, მეიდნისა, ეზოსი თუ სახლისა, სულ ერთია. და რო შეივლი

<sup>21)</sup> მარტაცი ანუ შორენკეცი—ფერად-ფერად დახატული, მოელვარე ფერი.

ამ შშვენიერ კარს და პნახავ, რომ შინაგანი მომართულობა, მისი მის გარეგნობას სრულიადაც არ შეეფერება, წამოგაგონდება ქართული ანდაზა: „გარედან მტერს უყენებს თვალს, შიგნიდან მოკეთესაო“.

ქალაქის გალავანს დიდი ადგილი უჭირავს შემოფარგლული, მაგრამ არც ბაღი, არც სახნავები შიგ არა აქვთ-რა, როგორც ეს სხვა ქალაქებში იციან ხოლმე. ამათ ყოველივე იმის-თანა რამ ქალაქ გარეთა აქვთ გატანილი. 7-9 ვერსის რადი-უსით გალავნიდან მოყოლებული ქალაქს ყველა მხრიდან გარშემო ბაღები აქვს შემორტყმული. ბაღებში პირალებით სულ თითქმის ვაზია და ფსტის ხე. ვაზი აქ მიწის პირად არის ნასხალი და რქები ზედ მიწაზედა აქვს გართხმული, ისე რომ შორიდან ერთის შეხედვით კაცს ბოსტნეული ეგონება.

ფსტა არ არის დიდი ხე, მაგრამ ლამაზი ქოჩიანია. ფოთოლი მოყვანილობით თითქმის ლეგვის ფოთოლს მიუგავს, თუმცა ფერი სხვა დაპერავს და სუნიც კალის ფოთოლისა უდის. ნაყოფი წენგოიანი აქვს წვრილი ნუშივით და დასხმა მტევან-მტევანად იცის. არსად, მთელი ირანის ზეგან ადგილებზედ, გარეითად ამ ქალაქ ყაზვინის მიღამოსი, ფსტა არ მოდის, არა გვარობს. სახელი ამისი წმინდა სპარსულია და პნიშნავს კანს, ტყავს, წენგოს, ნაკუჭს, ქერქს, ქერეჭის, გარსს, აფსას, ფერფლს, ერთის სიტყვით, რაც კი რამ საგანს აქვს ჩატმული, გარეშემოკრული. თვით ჩატმაც იმავე სიტყვის ძირიდან არის: „ფუსთ“ — ტყავი, „ფუშიდან“ („ფუშ“ ძირია სიტყვისა) ჩატმა.

ბაღებს არც ღობებს და არც გალავნებს არ უკეთებენ. ყველა მებატრონე ერთ არშინზედ აუმაღლებს მიწას თავის ბაღს გარეშემო, როგორც კვლების გაკეთებაში იციან, დაატკეპნის და გაანებებს თავს. შორიდან ერთი მთლიანი ბაღი ეგონება შეუჩვეველს თვალს, ერთის პატრონისა, რომ ესე საშინელი დიდი არ იყოს.

ყაზვინელებს კაი სახელი არა აქვთ სპარსეთში. ყოველივე სიბრივეებს და სირევნეებს იმათ მიაწერენ, როგორც ჩვენში იციან მოხისელებზედა და ქიზიყელებზედ. „ყაზვინ“ იმათე-

ბურად ქალაქის სახელია და „ყაზვინი“ კიდევ ყაზვინის მცხოვ-  
რები, ყაზვინ ელი კაცი; ხოლო როდესაც უნდათ სთქვან,—  
ერთი ბრიყეი ანუ ერთი რეგვენიო, მაშინაც ამბობენ, „ყაზ-  
ვანი.“ დღეს ეს სახელწოდება უფრო ამ უკანასკნელის აზრით  
არის გავრცელებული მთელს სპარსეთში და ძალიან ხშირად  
შეხვდება კაცი აგრედევ წიგნებშიც. მაგრამ, რომ სამართლია-  
ნადა ვთქვათ, ყაზვინ ელები თუ არა სჯობიან სხვა ქალაქე-  
ლებს, არავის ჩამოუვარდებიან. რაიცა შეეხება მატერიალურ  
მხარეს, ხომ შედარებაც არ იქმნება: ყველა ყაზვინელი შეძლე-  
ბულია და თვით ყაზვინიც საზოგადოდ ძალიან მაღლა სდგის  
ამ მხრივ ირინის ყველა სხვა ქალაქებზედ.

ყაზვინიდან თეირანამდე სწორე გზაა და ეტლები მუშაო-  
ბენ. ჩავლადრით რო წაესულიყავ, 5-6 დღე კიდევ უნდა მე-  
ჩანჩალა ცხენით და მე, როგორც უჩვევი, ჯერ ისეც ძალიან  
ვაყავ დაღლილი. ამისათვის შევუმხანაგდი იმ რუსის ურიას  
და ერთად გავურჩიდით ერთ ჩასაჯდომში, რომლითაც 18 საათის  
ყანავლობაში უნდა მივეყვანეთ თეირანს. გასავლელი გვქონდა  
შემდეგი სადგურები: ქავანდარ, ჰენგიმან ანუ ყიშლაყ, ასარჰაქ,  
შაჰაბად და მერე თეირანი, სულ 22½, ეჯი ანუ 160 კერსი.

ყაზვინიცა და თეირანიც ერთ სწორე ვაკეზედა ძევს: შუ-  
აში არც ღელებია, არც მთები; ერთი ერთ თავშია ამ ვაკი-  
სა და მეორე—მეორეში. გზა სწორეა და, რასაკვირველია, ბე-  
გრი შეკეთებაც არ ენდოშებოდა, რომ ეტლების სასიარულოდ  
გამომდგარიყო. ამისათვის არის, რომ, როგორც ამბობენ, პირ-  
ველი ეტლით სასიარულო გზა თეირანს ყაზვინამდე ჰქონდაო.  
დღეს ესევე გზა თავრიზამდე მიღის და მეორე მხრიდანაც ყუ-  
მის ქალაქი აქვს თეირანს გზა-ტკეცილით შემოერთებული. გა-  
მოსცდება კაცი თუ არა ყაზვინის ბალებს, გათავდება აგრედევ  
ფსტის ხეების უბანიც. აქედან კვლავ უდაბნო ადგილები შის-  
დევს, მხოლოდ აღილ-აღილ, საღაც კი მცირეოდენი წყალი  
მოიპოვება, იქ პატარ-პატარა სოფლებია მოშენებული. მოჰყავთ  
აქ გარდა პურის მცნარეებისა, ბამბა, ხაშაში (თრიაქისათვის)  
და განაგერჩაგი.

ამ გზაში კაცის ყურადღებას იქცევს ერთნაირი პატარა-პატარა ბორცვები. თითქმის თეირანამდე მისდევს ეს ბორცვები წერილად ლარივით გაბმული, ერთი და იმავე სიღიღისა, ერთი და იმავე სიმაღლისა, ერთი და იმავე მოყვანილობისა, ერთი და იმავე მანძალით დაშორებული ერთმანეთს. ერთის შეხედვითვე შეატყობს კაცი, რომ ის ხელოვნურად არის შეკვეთის აღაშიანისაგან. როდესაც ვიკითხე ამისი ამბავი, მითხვეს, რომ შტანგის<sup>22)</sup> მისაცემად ყოფილა დამართულებითი თითო ბორცვზედ შიშიანობის დროს თითო კაცი მდგარა საყირით და როდესაც ერთს თავში რაიმე ამბავი მოხდებოდა, ამ ბორცვზედ მდგარი კაცი მეორე ბორცვამდე საყირით ხმას მიაწვდენდა; ეს მეორე მესამე ბორცვს გარდასცემდა, ის—მეოთხეს და ამ გვარად ერთი თავიდან მეორემდე უშალ ამბავი მიდიოდათ. ხოლო ვის დაუდგავს ეს ბორცვები, ამის შესახებ სწორე ვერა შევიტყე-რა. ერთნი ამბობენ, რომ, როდესაც იაზიდების მეფეთ ხელთ ებყრათ თეირანი, მაშინ იმათ გაუკეთებიათ თეირანიდან არაბეთის ნახევარ კუნძულისაკენ, ქ. „შამა“-მდეო. მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოსო, უმატებენ თვითვე, რადგან იმათმა ბატონობამ სულ ოთხ-ხუთ წელიწადს არ გასტანა და აბა როგორ მოახერხებდნენ იმ მცირე ხანში ამოდონა ბორცვების დაკეთებას თითქმის 500—600 ეჯის სავალზედათ. მეორეები ამბობენ, რომ ეს ბორცვები ნაღირ-შაჰს გაუკეთებინებია თეირანიდან ყაზვინამდე და როდესაც ის გერათში ომობდა, ყაზვინიდან თეირანს წაშედ მოსილიდათ ამბებით. მაგრამ ჩვენ არც ეს მიგვაჩნია სარწმუნოდ. სხვა საბუთები რომ არა ვთქვათ-რა, საკმარისია მარტო შემდეგი მოსაზრება.—ჰენგიიმანის საღვურჩედ არის ერთი სასტუმრო შიგ იმ ბორცვის ძირში. აქედან რომ სწორე ხაზი გაავლოს კაცმა ყაზვინისაკენ, შეპნიშნავს ცხალად, რომ ბორცვები სამხრეთი-საკენა ჩებება და ყაზვინი კი შორს, ჩრდილოეთისაკენ (ასევე ცხალად ეტყობა აგრედვე ქავანდარის სადგურთან).

<sup>22)</sup> შტანგი—ნიშანი, „სიგნალი“:

საყურადღებოა აგრედვე ის გარემოება, რომ ამ გზაში თითქმის ცველა სოფელი იყრება ზაფხულობით და ადგილსა ნაცვლობს. მიხვალ, მიაღვები ზედ სოფელს, ჩამი-ჩუმი არსაღ არის: არც კაცი, არც ძალლი, არც ქათამი არა ჭაჭანებს. სამაგიეროდ იქვე, რამდენიმე ვერსის მანძილზე პნახავ შავად დაფენილს მინდორს: ეს არის მათი სააგარაკო ადგილი, შავის კარვებით მოფენილი. კედლები კარავს ფიცრისა აქვს, უფრო მომეტებული ნეპისა; ზევიდან შავი ნაბდები ჰეურავს, ძირს, პალოებზე დამაგრებული. როდესაც ვიყითხე ამის მიზეზი, მითხრეს: ზაფხულში სახლში სხვა-და-სხვა მწერნი აწუხებენ და ეგ ჩვეულობა იმიტომა აქვთ შემოღებულიო.

კარეტა ჩინებულად მიღიოდა. მივედით პირველ სადგურზედ, ეშტაბში, გამოუცეალეს ცხენები და გაგვიტაცეს ისეთი-სავე სისწრაფით. სულ 12 ვერსი გვექნებოდა ჯერ გავლილი ამ მეორე სადგურიდგან, იქექა ერთაშად კარეტაშ და ჩაჯდა მიწაში, თურმე, უკანა ღერძი კიტრივით გადასტეხოდა. გადავკიდეთ ორ ცხენს ბარგი, შევსვით ერთზედ ის რუსის ურია, რადგან სიცხე ჰქონდა და ფეხით სიარული არ შეეძლო და ერთ ცხენზედაც შეჯდა მეკოფოვე, შემოისო წინ იმ ურიის პატარა კამაწვილი და წავიდნენ ისევ ეშტაბის სადგურზედ. მედა იმის ცოლს კი ფეხით მოგვიხდა ჩანჩალი. სულ ერთი ვერსი აღარ გვაკლდა, რომ სადგურიდან ტარანტასი მოგვაგებეს. ჩვენ მისვლის უმალევ ეაფრინეთ კაცი ყაზეინს, რომ კარეტა ჩქარა მოეშველებინათ. სრული 24 საათი დაგბანდდით ამ სადგურზედ და მეორე დღეს ძლივს ველირსენით სხვა ჩასაჯდომს. მაგრამ როგორც მივედით იმ სახიფათო ადგილს, იქ შევნიშნეთ, რო ამ მეორე კარეტასაც რესორი გასტეხოდა და ესეც უალა-გოალაგას საღმე გადმოგვყრიდა. კარგია კიდევ იქვე იყო ყაზეინიდან გამოყოლებული ჩილინგდარი, რომელსაც უნდა შეემოწმებინა ძველი ჩასაჯდომის საჭმე და ყაზეინში გაესტუმრებინა. ამან რაღაც ხის ნაჭრებით და თოკებით შეკრა რესორი და დაგვაარხეინა.

უკანასკნელ სადგურზედ გვითხრეს, რომ დარჩით ამაღამ  
აქ და გათენებისას წაბრძანდით თეირანშიო, თორემ ეხლა ქა-  
ლაქის გალავნის კარებები დაკეტილები იქმნება და ხუთი-ექვსი  
საათი მინდორში ცდა დაგჭირდებათო. ჩვენც, რა გაგვეწყო-  
ბოდა,—დაერჩით და დილით აღრიან, როდესაც იქ ჯარების  
აღლუმი იყო გაჩალებული, თოფ-ზარბაზნების სროლით, შევე-  
დით თეირანში.

---

## თეირანი — დედა-ქალაქი სპარსეთისა

თოფხანის მოედანი.—ძველი და ახალი ქალაქი.—დამოკიდებულება ევროპელთა და სპარსელთა შორის. — ბასტა.—ტატრი მარმარილოსი, — სასახლე ზაჰისა. — სასახლე ნაიბ სალთანესი. — სასახლე ამინ სულთანისა. — ჩაფიქოლოფიანი და თავადი სულეიმან ხან სომხეთისა. — სიკვდილით და სჯა. — სომეხთა ეკლესიები და საფლავი ზარეანოვისა. — საფლავი ალექსანდრე ბატონიშვილის ქალის ელისაბედისა. — ამბავი სამსონ ხან მაკანცოვისა, ალექსანდრე ბატონიშვილის სიძისა. — ძეგლი ზაჰისა. — ჩვენი ნაცნობი ქარიმა. — ზაჰაბდულ აზიმში წასვლა და ერთი შემთხვევა. — უცნაური ქართველი ბიჭი. — ღოქმან თაფე. — ზაჰის დაბრუნება სააგარაკო აღგილებიდან. — ილლიუმინაცია.

თეირანი კაი მოზრდილი ქალაქია, მცხოვრებთა რიცხვით ტფილისზედ ცოტა პატარაა, თუმცა აღგილი კი ბევრად ტფილისზედ მეტი უჭირავს. ლამაზი სანახავია მეტის-მეტად მისი მიღამო, როდესაც კაცი შორიდან თეირანს უახლოვდება. პატარ-პატარა სოფლები და აგარაკები აქვს შემომწკრივებული გარს, ყოველ მხრიდან და ნამეტავად აღმოსავლეთის მხრივ, მთის ძირში, საღაც თეირანის მთელი დიდყაცობა გაიხიზნება ხოლმე ზაფხულობით.

სამაგიეროდ ვერაფერ შთაბეჭდილებას ახდენს თეით ქალაქი, რაღაც შორიდან არ მოჩანს ფერად-ფერადად მოელვარე გუმბათები და მაღალ-მაღალი შენობები, როგორც ეს არის ხოლმე რომელიმე ევროპული ქალაქის მიახლოვების

დროს. მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ის არის, რომ ერთი ინ-თრ-სართულიანი შენობები იციან და ისინიც სრულიად ჩამა-ლულებია ბალებსა და ხეივნებში. ქალაქს გარშემო შემოვლე-ბული აქვს კაი დიდი თხრილი და თხრილს შიგნიდანაც სკუ-რა ანუ ტალახის გალავანი, თავისის მრავალი ჭის კარებებით, რომელთა შორის ბევრი ძალიან ლამაზია და შნოიანი.

შეგ შუა ქალაქში ერთი დიდი მოედანია, სახელად „თოფ-ხანის მოედანს“ ეძახიან. შუაზედ ამ მოედანს აუზი აქვს, აუ-ზის გარშემო ევროპულიად გამართული ყვავილის კვლები და პატარ-პატარა ხეები; ოთხივე მხარეს სდგას ოთხი ფანტასტი-ური ჭორტი (სტატუი); კუთხებში მაღლად, თლილი ქვის ძირებზედ შეყვენებულია ოთხი დიდი ზარბაზანი, რომლებსაც ოთხივე მხარეს, მგლებივით პირდაღრენილებს, გაუშვერიათ ტუჩები. გარშემო ყველა ამას ოთხ-კუთხად შემოვლებული აქვს ძველი ჩუსული ხიშტიანი (შტიკიანი) ოთვებას ლობე. მოედანი კაი მოზრდილია და ოთხ-კუთხი სანახაობა აქვს. გარს შემოვლებული აქვს შენობები. სულ სხვა-და-სხვა სახელმწიფო სამსახურებისა და უფრო მომეტებულად სამხედრო. ყველა შე-ნობაზედ, ყოველივე კარების ზემოდან გამოყვანილია უშვე-ლებელი სახელმწიფო ღერბი სპარსეთისა, ლომისა და მზი-სა, ფერადის წამლებით შეღებილი. ამ შენობებში უფრო თვალსაჩინოა სპარსეთის სახელმწიფო ბანკი ინკლისელები-სა, ნახევრად ევროპული შენობა, ლამაზის სართით<sup>1)</sup> შემკული. მოედან მი შემოდის ექვსი ძალიან გრძელი და გა-ნიერი ქუჩები და ამისთვის მოედანს სიმმეტრიულადა აქვს დატანებული ექვსი ძალიან ლამაზი ალაყაფის კარი სხვა-და-სხვანარიად მოხატული ფერადის მარქაცით. აქვე იყრება ოახი ცხენის რკინის გზა, რომელიც ჯვარედინად შემოდის მოედან-ში ოთხი სხვა-და-სხვა მხრიდან.

მოედანი დაფენილია ქვით. აქ გამოდის სასეირნოდ თე-რანის ხალხი. აქვე ირევიან წერილი ხელ-და-ხელი მოვაჭრები.

<sup>1)</sup> სართით—წუქურთმა (მოზივე).

ზოგს ტაბაკით კაჟლის კუჭუჭი დააქვს, ყინულში გაცივებული; ზოგს აქვე გაუჩენია მასმორით (მაყლით) ცეცხლი, სტრუსავს ზედ ნედლი სიმინდის ტაროებსა და ღრიალებს, რაც ძალი და ღონე აქვს; აქვე ფილოსოფოსივით სდგას კონდიტერი, რომელსაც გაუშლიათავისი „სამფეხი“ და დაუდგავს ზედ დიდი მრგვალის სინით თავისი ხმელი ხილი, რომელთა შორის ყველაზედ მეტია დახალული და გაშავებული გოგრის თესლი და მუხუდო; ზოგი ხელით მოათრუალებს სამთვლიან კასრებს და შესთავაზებს გამვლელ-გამომვლელს მზრალსა (მაროენას). ზოგს ჩვენებური კინტოსავით თავზედ შეუდგავს გრძელი ხონჩა ანუ მრგვალი ტაბაკი და მოსთქვაშს ლექსად ქებას მოხარული კარტოფილისას. ვირიანებისა ხომ თვლა არ არის, ბუზებივით ირვენიან: რიგისა კიტრსა ჰყიდის, რიგისა წვრილ საჭმელ გოგრას, რიგისა შაქრის კარხალს,—რა ხილი სთქვას კაცმა, რასანოვაგე, რომ სულ ვირით არ დაეზიდებოდნენ კარ და კარ. ვარზედა აქვთ გადაკიდებული ერთი განიერი და დაბალი საცალო, რომელსაც აავსებენ ხილით და თავს ისე მოუბამენ და შეუკუკოლავებენ, რომ ორივე მხარე გაერთებულია ვირის ზურგზედ და ლამაზი სანახავია.

ეს ზოედანი ჩაითვლება შუაგულ ადგილად თეირიანისა. ამის ქვემოდ ძველი ქალაქია და ამის ზევით ახალი. სამს ქუჩას მიჰყავს აქედან ძველ ქალაქში, სამს ახალში. ცხენის ორი რეინის გზა მიდის ძველი ქალაქისკენ, ორი ახლისაკენ; ახალი ქალაქი ბევრ რამეში მოაგონებს ევროპულ ქალაქს და ძველი ქალაქი კი ნამდვილი აზია.

ახალ ქალაქში ქუჩები სწორება და განერი, ქუჩის პირებში ჩაყოლებულია ყველგან ხეები. სახლებს ცოტა-ცოტაობით ამსგავსებენ ევროპულს. ქუჩის პირებში აღებენ და აკეთებენ სათითაო მალაზიებს. სახლის პირი გამოაქვთ ქუჩაზედ და ქუჩის პირიდგან ატანენ კარ-ფანჯარასა და დერეფნებს. ამ ნაწილში საყურადღებოა უფრო ორი ქუჩა: ერთია „ლალაზარისა“ და მეორე „ჰალლადოვლესი“; ორივე თოფხანის მოედანში შედიონ აღმოსავლეთის მხრიდან. პირველზედ ძალიან

ბევრი ხალხი დასცირნობს და მეორე მთლად ევროპულად უნდა ჩაითვალოს. აქ, თოფხანის მოედნიდან მოყოლებული ჯერ მაღაზიებია ეეროპელებისა და სომხებისა და მერე მოსდევს სულ საელჩოები. ყველა საელჩო თითქმის ამ ქუჩაზეა გარდა რუსისა, რომელიც აზიურ ნაწილშია. ევროპული მაღაზიები სხვაგანაც ბევრია: არის ძველ ნაწილებში, ქარვასლებში, ლალაზარისა და სხვა ქუჩებზე. ერთი მათგანი, მაღაზია ტოკასი, ლალაზარის ქუჩაზედ საუკეთესო მაღაზიად ჩაითვლება ყველა ევროპულ ქალაქებშიაც.

ორივ ქუჩა და აგრედვე თოფხანის მოედანი განათებულია გაზით და ისე ახლო-ახლო სხედს ეს გაზის შანდნები, ნამეტნავ ლალაზარის ქუჩაზედ, რომ კაცს ილლიუმინაცია ეგონება, თუმცა წშირად ისე უბედურად ბეუტავს, რასაკვირველია, მოიჯარადრეს წყალობით, რომ ქონის ჭრაქებს ამჯობინებს კაცი. შესრულდება ახლა ცხრა საათი თუ არა, მოსდევს ერთი თავიდან კაცი და აქრიბს ფარნებს და დგება სწორედ ჯოჯოხეთის უკუმეთი მთელს თეირანში.

სრულიად სხვაა ძველი ქალაქი. აქ ქუჩა ბევრად ვიწროა ევროპულზედ და სრულიად უსწორ-მასწორო; ზედ შეა ქუჩაზედ გაჭრილია არხი წყლისთვის და არხის ორივე პირზედ ჩაყოლებულია ხეები, წყლის დასაჩრდილებლად. ამის გამო ქუჩა უფრო ვიწროვდება და აქეთ-იქით მხოლოდ საცალ-ფეხო ბილიკი-ლა რჩება. სახლებს ქუჩისაკენ ზურგები აქვთ მიქცეული და პირი კი შიგნით ეზოსკენ შებრუნებული; არც ერთი სპარსელი არ დაატანს სახლს ქუჩის პირიდან კარ-ფანჯარას.

ეს ჩვეულება ასახსნელია იმითი, რომ ამათ ქალები შეკერილში ჰყავთ დაკრძალულები და ქუჩის ცრუსა და მავნეს ხომ, რასაკვირველია, უფრო მოერიდებიან. რომ ვინმემ კიდეც გაპბედოს ასეთი საქმე, ნამეტნავ პატარა ქალაქებში, მეზობლები უჩივლებენ,—ის იქიდან გვზვერავს და გვითვალყურებსო. ერთი სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა ისპაანში, ჩემს იქ ყოფნის დროს და, წარმოიდგინეთ, ეს შემთხვევა იყო სომხებში, იმათს ჯულფაში. ესევენა აგრედვე მიზეზი მისი, რომ

მთელს ირანში სახლი ერთ სართულიანი იციან. ვინმე რომ მაღალი სართული დაღვას, მეზობლობა ნებას არ მისცემს: შენ მანდედან ყველა ეზოებში გადაიყურები და ჩვენი დედაკაცები თავის სახლ-კარშიაც კი ვერ გამოდიანო.

ბაზარს აქაურს ადვილად წარმოიდგენს ჩვენებური კაცი, ვრ-საც კარგადა აქვს ნანახი და გასინჯული ავლაბრის ქარვასლები, თუმცა დიდი განსხვავებაცაა მათ შორის. აქ ერთი ქარვასლა მისდევს მეორეს, მეორე მიბმულია მესამეზედ და მიღიხარ ასე დაუსრულებლად გალერეიებში; არ იცი, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. აქ ყველა მხარეს ჩამწკრივებულნი არიან მოგა-ჭრენი და ხელოსნები. ერთი რომ ლამაზი კოხტა ევროპული ძალაზია, გვერდით ჭუჭყიანი და მყრალი დუქანია გამართული. ერთში რომ აბრაშუმეულს უზომავენ მუშტარს, მეორეში კბილით ჯლანს ეჭიდებიან; აქა ზის ყველანაირი მოვაჭრე; აქ-ვე არიან ხელოსნები და არახუნებენ კვერით სხვა-და-სხვა სა-მუშაოს; აქვე სხედან სეულნი—ნოტარიუსნი; აქვე არიან საჭ-მელების მომხარშავნი; აქ არიან მისანნი და მერამლენი, აქ არიან ზარაფნი; დილით ბინდამდის ხალხი ჭინჭველასაერთა ფუტფუტებს—რიგისა მიღის, რიგისა მოდის, რიგისა ვაჭ-რობს; ზოგი მღერის, ზოგი ყორანსა კითხულობს და ილოცება, ზოგი გალობს, მოწყალებას თხოულობს. აქა პნეაზოთ მოხელეებს, საქმეზედ მიეშურებიან; აქვე შეგხვდებათ თეთრი ვირი, ოქრომკედით ნაკერი, ხავერდის ფალ-ნით შეკაზმული, რომელზედაც აღმხედრებულა კოხტა სპარსე-ლი და სადარბაზოდ მიეშურება თავის მხლებლებით; აქვე მო-უდის მეაქლემეს ერთი ან ორი აკიდებული აქლემი, თორე ხშირად მთელი ქარვანაც; მოდის და მოათამაშებს ჯოხს ხელ-ში კოხტა-პრეზია ევროპელი მაღალი ცილინდრით და ლაი-კის თაომანებით. მოსდევს უკან მევირე და მოერეცება ტა-ლახითა და აგურით დახაპალნებულ ვიჩებს; გვერდში იქვე კალიასაერთ მიჰსევიან მაღაზიას პირბადე ჩამოფარებული და მუთაქასავით ჩადრში გამოხვეული ქალები; მოახლოებითა ზის-სეიდა, გაუშლია ჭინ სურათი ალის წამებისა და გრძელი ჯო-

ხით უჩვენებს და უხსნის ხალხს მათ მნიშვნელობას. მის გარე-შემო გაოცებული ხალხი ჩატურქებულან და სულგანაბულ-ნი შეპყურებენ ხან სურათსა და ხან სეიღდს; აქვე მო-უდის ჩავლადარს ჯორ-ვირები ჩეოთი და ჰოროლით, საიდგა-ნაც შიგ-მსხდომ დედა-კაცებს გადაუწევიათ ცოტათი პირ-ბადე და ცალი თვალით, ჩუმ-ჩუმად ათვალიერებენ ამვლელ-ჩამელე-ლებს; აქვე მოდის გადახდილი კალიასკა შაპის ცოლებით, რო-მელსაც გარს აუარებელი ამაღლა ახლაցს და ხალხს განზედ აყენებენ, რომ არავინ გაბედოს და არ შეხედოს მათს მშვე-ნიერებას.

თეირანში მოსვლის უმაღვე, მე გადავწყვიტე, რომ სა-სტუმროში უნდა მეცხოვერა, რადგან ენა არ მეყურებოდა. აქ კი შესაძლებელი იყო, ვინმე შემხვედროდა ისეთი, რომელსაც ან ქართული ან რუსული ენა სცოდნოდა. ჩემი მოლოდინი გამართლდა თვით სასტუმროს პატრონი ცოტ-ცოტაობით ამ-ტვრევდა რუსულს; აქვე სცხოვრობდა ერთი ახალგაზთა რუსი ერთ კერძო რუსის ბანქში მოსამსახურე და რუსულს გარდა, არავითარი ენა არ ეყურებოდა.

დღეს თეირანში ორი სასტუმროა: ერთი ის, სადაც მე ჩამოეხდი და რომელსაც ალბერტის სასტუმროს ეძახიან, ლა-ლაზარის ქუჩაზედ და მეორეც ინგლისელებისა, ჰალლადოვ-ლეს ქუჩაზედ. ორივ უხეიროებია ძალიან, თუმცა რაც ლონეა ისევ მეორე სჯობია და ორივეზედ კი უკეთესია ანზალიის სა-სტუმრო. დღეს თეირანი დიდი ქალაქია, საქარისადა ჰყავს წამსვლელ-მომსვლელი და დიდ ნაკლულევანებად უნდა ჩაე-თვალოს, რომ ერთი რიგიანი სასტუმრო არ მოეპოვება.

ჯერ არც კი დამესვენა, ჩემთან შემოვიდა ერთი უცნო-ბი, ალ—ე თ—ძე შ—ლი. რუსულიდ ლაპარაკობდა. მთხოვა: რუსეთს მივალ, თქვენ, როგორც ახლად მოსულს, რუსის ფუ-ლი გექნებათ და, თუ შეიძლებოდეს, მომყიდეთო. აქედან გა-მოველაპარაკენით ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ მთის ინჟი-ნერი ყოფილიყო, ექვსი წელიწადი საქართველოში ეცხოვა, ხოდაშენში (კახეთის) მამულებიც შეეძინა და ბევრი საზოგადო

ნაცნობები დამისახელა, ნამეტნავ კახეთში. ცოლი ქუთაისში შეერთო (ქართველი ქალი არა) კაი ქართულის მცოდნე, თო-თონაც ორი-სამი სიტყვა იცოდა. მერე ყოველისფერი გაეყი-დნა და ცოლ-შვილით აქეთ წამოსულიყო. ეხლა აქა ჰყიდდა კიდევ ყველაფერს და მოსკოვს მიღიოდა, იქ ჩაღაც სამსახური ეშოვა. ჩაც სიჩქარის გამო ვერ გაეყიდნა, ლატარიაში ჩაეგდო. ფული ბევრი მოეგროვებინა. ლატარიის შემდეგ ვახშამი გაე-მართათ და მეორე ღამეც ზედ მოებათ. მე ავად ვიყავი, ვერ ვეწვიე და როგორც სასტუმროს პატრონისაგან გაეიგე, ის, ლატარიაში აღებული ფული, იქვე მიეფლანგა. როდესაც შე-მდეგ ჩემს სანახავად შემოვიდა, მე ვუსაყვედურე: მართალია, ამ შეუ სპარსეთში ძალიან მიამა, როდესაც თქვენი მრავალ-ჯამიერის ხმა შემომესმა, მაგრამ რა იყო, ის იმოდენა ფული რაზე გაპელანგე-მეთქი. იმან მიპასუხა: ყველას რო გაუკვირ-დეს, შენ არ უნდა გაგკვირვებოდა, როგორც ბუნებით ქარ-თველს,— მე ხომ თქვენი შეგირდი ვიყავით. ეხლა მე ვეხდავ, რომ შენ ექვს წელიწადზე შენი მასწავლებლებისათვისაც გა-დაგიჭარბებია, ძალიან ნიკიერი შეგირდი გამომდგარხარ-მეთქი.

ამის შემდეგ ხშირად დაიარებოდა ჩემთან, ვიდრე თეი-რანიდან გავიდოდა და ვსაუბრობდით სხვა-და-სხვა საგნებზედ. ერთხელ, როდესაც მე ვკითხე, რად დაანგებე კახეთს თავი, რა-ტომ იქვე არ დაპისახლდი-მეთქი. იმან ასეთი პასუხი მომუა: იმისთვის, რომ ცხოვრება მინდოდათ და გაიღიმა. კახეთი მშვე-წიერი ქვეყანაა, ძალიანაც მიყვარს, მაგრამ იმისი სიმშვენიერე მე კუჭს ვერ გამიძღობდა. იქ, იქაურები ვინც არიან, ისინიც კარგი მომზადებულები არიან, იმათ თითონაც გასჭირებით თა-ვის დარჩენა და აქ კი მე „მეფე ვარ ბრმათა შორისაო“ და კიდევ გაიცინა.

ეს იმისი სიტყვები, ჩემის აზრით, მრავალმნიშვნელოვანია, მართლაც-და, ვინც კი აქ ევროპელია, სულ ისეთი, რომელ-საც თავის ქვეყანაში ვერ შესძლებია ლუკმა პურის მოპოვება. მოდის აქ, ამ სიშორეზედ, გადმოიკარგება და ჩაც უკადრისია დმასაც იკადრებს, ოლონდ თავი დაირჩინოს— და ანუ, თუ დღვ

გამოუდარებს, ბევრიც შეაგროვოს, რომ შემდეგში თავ-მოწონებით გაბრუნდეს ისევ თავის ქაეყანაში და უკანასკნელი დღეები სიტკბოებით გაატაროს. რას იტყვის კაცი უსინდისო საქმეს, რომ უფრო მომეტებულად იმათი ხელიდან არ გამოდიოდეს. ყველა ხელზე მოსამსახურე, ყველა მეკოფოე, ყველა ქუჩის მაწანწალი ამისთანა შორ ქვეყანაში და გაუნათლებელ ხალხში მიეშურება. რა უნდა შეიტანონ ამისთანა ყარტალ-ყურტალებმა რიგიანი და გამოსადეგი რამ იმ უცხო ხალხში? რასაკირველია, ყოველივე ის, რაც ნაკლულევანებას შეადგენს ევროპული ცივილიზაციის, რაც დასაწუნი და გასაკიცხი მხარეები აქვს მას-აქედან წარმოსდგება სიძულილი სპარსელი ხალხისა „ჭარანგისა-დმი“, როგორც ისინი უწოდებენ ევროპელთ; ეს არის უპირველესი მიზეზი, რომ, როგორც აზიაში ბევრგან, ისე სხვა ქვეყნებში ევროპელებს კარი გამოუხდეს. რა ჰქმნან, რომ ასე არ მოიქცნენ? სად იყო ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ევ-როპელთ, უანგაროდ, სხვა ხალხთათვის სასიკეთო რამ განეზრახოთ და ამ განზრახვის შესრულებამდე ეს გუნდი და გუნდი სალახანათა და მაწანწალათა უწინარეს არ შექსეოდეს იმ ქვეყანას კალიასავით? სად იყო ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ევროპელმა ფეხი შესდგა გაუნათლებელ ქვეყანაში და ეიღრე იმათ თავის ცივილიზაციის მიაწვდიდა, თვით იმავე ცივილიზაციის არ ამოაჭამა ხალხი? რას პროწმობს ვანდიმენების ქვეყანა? რას ასწავლის მთელი ავსტრალია და ამერიკა თაეისის განათლებული მეხიკელებითა და პერულებით? რა მაგალითია უფრო კარგა მოშზადებულის და ძველად დიდის განათლების მექონის აზიის სხვა-და-სხვა ერთა, მოყოლებული ინდოეთიდან? მერე თვითონვე შიძყვებიან და უგუნურებაში ამტყუცებენ: კარგ დაკეტილში სხედან, ევროპის ცივილიზაციის უკვდავებას არ ეწაფებიანო. ხალხს თავისი ალლო აქვს, რომლითაც ის ყოველთვის ხელმძღვანელობს. რა ჰქმნას? უნდა დეეწაფოს, მაგრამ რად უნდა, თუ კი ჰერძნობს, რომ ის უკვდავება პირად მისთვის პირველი მომაკვდინებელი იქმნება. ნუ თუ გასამტყუნარია, რომ ხალხი თავისის ხელით თავს არ იკლავს!

ეს მაგონებს ერთ პატარა ქართულ ლექსის: „ცხვარს ყვავები დაჰსეოდა, არწივება მათ ზარი დასცა; ცხვარმა მაღლობა შესწირა, მან კი სარჩოდ წარიტაცა“. უკაცრავად მკითხველთან, რომ ჩვენ აქ ცოტა სიტყვა გავაჭიანურეთ, მაგრამ ეს მოგვაუგანა სპარსელებისა და „ფარანგების“ ერთმანეთში დამოკიდებულებამ. სპარსელს სძულს ჭირივით, თუმცა ეშინიან კიდეც იმისი. ისე არ გაივლის ქუჩაზედ ევროპელი, რომ დღესაც ხშირად ან მასხარად არ აიგდონ და ან თავსიცილი და კიური არ დააყარონ, თორე ხანდისხან პატარ-პატარა კენჭსა და ჯახებსაც მიაყოლებენ ხოლმე უკანიდან.

ჩემს ისპაანში მყოფობის დროს ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, სახელმწიფო ბანკში მოსამსახურე, მიდენილიყო სამსახურში, თავიდან ფეხებამდე ევროპულად გამოწყობილი. ერთს ვიღაცის, ერთი საჩაიედან ესროლა ზედ ქუჩაზედ ქვა უკანიდან და თავი გაეჩენა. ყმაწვილი პირდაპირ ზილლი სულთანთან შესულიყო და ქივილი. ზილლი სულთანს იმავე წამს 60 იასაული გაეგზავნა და ის საჩაიე სრულიად ეეფორიაქებინა. მსროლელი დამალულიყო, დანარჩენები კი სულ დაეჭირათ და საპყრობილები ჩაეყარათ. მერე ზილლი სულთანს სამისათვის სამი თვით საპყრობილე გადაეწყვიტა, ორისათვის საპყრობილის გარდა ას-ასი სპარსელი თუმანი (200 გ.) ჯარიმა და მსროლელისთვის, ამების გარდა, ყურის ჩამოთლაც. იმ ჭიში მსროლელს ერთი ახლო ნათესავი ვიღაც დიდი კაცი აღმოსჩენოდა; ჰელებოდა ზილლი სულთანს და ეთხოვნა: ის დამნაშევე ჩემი ნათესავია, ამ ჯერად აპატიე და, თუ მერე რაიმე დაშაოს, როგორც გენებოს, ისე დასჯეო. ზილლი სულთანს ყურის მოჭრა ეპატიებინა და გამოეცხადებინა, რომ უკეთუდელების შემდეგ შენიშნული იქნება ვინმე, რომ ევროპელს ანუ სომებს ჩაიმე დაუშავა, სამი თვით ციხეში ჩაისმება, 100 თუმანი ჯარიმა გარდახდება და ყურიც ჩამოეთლებათ.

ტყუილად ინუგეშებდნენ ზოგნი თაეს, რომ ეს ფანატიკოსების ბრალიათ. მე საკმარისად დაუვახლოვდი ამ ხალხს, თუმცა არ შემიძლიან ეთქვა, რომ ზედმიწევნით ვიცნობ-ვეთქი,

მაგრამ მაინც ის ჩემიანი ფანატიკოსობა არსად შემიმჩნევია. მართალია, არიან ფანატიკოსებიც, მაგრამ განა ამ ჩვენ კურ-თხეულსა და დალოცვილ ქვეყანაში კი არ არიან ფანატიკოს-ნი? რატომ ამ ფანატიკოსობას სხვა რჯულის ხალხთან არა სპარობენ სპარსელები? რაღა სწორედ ქრისტიანი ევროპელის-თვის გახდა ფანატიკოსი? ცოტა რჯულის ხალხი არის შიგ სპარ-სეთში? ამისი მიზეზი ეს არ არის, ნამდვილი მიზეზი ის გა-ხლავთ, რაც მე ზეით მოეიხსენი.

მე ვნახე აქ, სასტუმროში ერთი ევროპელი, შთამომა-კლობით ირლანდიელი იყო, 50 წელიწადს გადასული იქ-ნებოდა. ოსმალეთის ჯარში ემსახურნა, მაიორობა მიეცათ და გამოეგდოთ. იქიდან ერთს იმის მეგობარს მოეწვია თეი-რანში,—მოდი აქ, აქ ერთი ევროპელი ღენერალი მოკვდა, იმის ადგილს შენ მოგცემენო. საშინელი ლოთი იყო: იჯდა ამ დღით და ვისკისა თხოულობდა და რო გამოიბრუებოდა, სკამიდან ბრავვა მოსძვრებოდა. გორავდა საზაზრიად იატა-კზედ და ადგომის თავი არა ჰქონდა. ლოგინიდან გაღმოვარ-დნისა ხომ ანგარიში აღარ იყო,—ღამეში, სულ რომ ცოტა, ერთი სამჯერ უნდა ჩამოვარდნილიყო. დეეცემოდა ძირს და შეინძრებოდა მთელი სასტუმრო. ჩვენ, მდგმურები გულდხე-თქილები წამოვცვივდებოდით ზეზე და ის კი არხეინადა გო-რავდა ძირს და იძახოდა: „სულეიმან! ვისკი.—სულეიმან, ვის-კიო!“

როდესაც თეირანიდან ისპანისაკენ მივდიოდი, ერთგან გზაში ერთ სადგურზედ შემხვდა 4 ევროპელი.—ეზოში გამო-სულიყვნენ: ერთი ქათამსა ჰბტყვიდა, მეორე ხახვასა სჭრიდა, მესამეს წყალი მოჰქონდა და მეოთხე ქვაბსა ჰრეცხავდა. ოთხივ დატიტვლებულიყვნენ, მარტო ერთი პერანგის შედეგის სი-ნაბარა იყვნენ და თავზედაც ინგლისური დიდი ქუდები ჩამო-ეფხატათ. არ ვიტუყვი იმათ სახეებს, საქმარისი იყო კაცს მარ-ტო ფეხებზედ დეეხედნა იმათთვის, გული ეერეოდა. განა ისი-ნიც რომელიმე განათლებული ქვეყნის შეილნი იყვნენ? და-მეტწმუნეთ, რომ არა. ეს იყო ოთხი პირუტყვი, პირუტყულის

ალლოვი ალჭურვილი. და სად ან რად მიბრძანდებოდნენ, როგორა გვონიათ? ირანში, ველური ხალხის გასანათლებლად, — ცივილიზატორნი გახლდნენ. მაგრამ რა ჰქმნან იმ უბედურთ, რომ ისინიც კი, იმ თავისის თავგანწირულობითაც ვერას გახდნენ ამ ბარბაროს ხალხში. ნუ გეგონებათ, რომ ამას მე ჩემად ვიგონებდე. სწორედ ეს პასუხი მივიღე, როდესაც ერთ ევროპელს ვკითხავდი დაბრუნების მიზეზსა.

ეს იყო ყაზვინსა და თეირანს შუა, არ მახსოვს რომელ სადგურზე წამოვეწიენით. თეირანიდან რუსეთს მიღიოდნენ, ერთი ვირი ექირავნათ და ჯერ-ჯერითა სხდებოდნენ. რომ დამინახეს, მოვიდნენ სამივენი და თამბაქო მთხოვეს, — აქ სასკი-დელი არსად არის და შემოგველიაო. მე ერთი ყუთი თამბაქო მივე და სამ-სამიც არაყი დავალენე და როდესაც გამოველაპარაკე სხვა-და-სხვა რამეზედ, ერთმა მათგანმა ასე მიპასუხა: ეს ისეთი ბარბაროსი ხალხია, რომ ამათში განათლებულს და განვითარებულს ხალს არ ეცხოვრება. თქვენ წარ-მოიდგინეთ, იქიდან აქ კაცი მოდის და იმის მაგიერ, რომ ის მადლობით მიიღონ, ცხოვრების გზას არ იძლევენ. დამერწმუნეთ, ესინი იმ გზაზედა დფანან, რომ თავის დღეში არა ეშველებათ-რა, — ამათი საქმე მორჩიომილიაო. და ზედ მეორემ დაურთო, — მაშ რა იქნება, როდესაც კაცი განათლების არ მიესწრავის და განათლებულს ხალხს გაურბისო და სხვა და სხვა. ვინ მოსთვლის, რამდენი უმაღლებება და უკმაყოფილება გამოაცხადეს. რა ამბავი უნდა ჩაიტანონ იმათ თავიანთ ქვეყნებში? რა აზრი უნდა შეადგინონ ამათის ლაპარაკიდან, მათმა მოწინავე ხალხმა, რომელნიც თავიანთ კაბინეტში სხედან და ამათ-თანაების ლაპარაკის მეტი არა ესმით-რა? რა გაეწყობა მოთ-მინების მეტი-მეტქი, დავანუგეშე, ჩვენ მაინც გული არ უნდა გავიტეხოთ და თავგანწირულებით, უნდა ვემსახუროთ ციეილიზაციის გავრცელებას კაცობრიობის სასარგებლოდ და სანუგე-შოდა-მეტქი და გავშორდი. არ ვიცი, რათი აიხსნება, მაგრამ მე თვითონ, მინამ სპარსეთში ვიყავი, ევროპელებთან გული არ მიღებოდა და მუდამ სპარსელებში ყოფნს ვამჯობინებდი.

სპარსეთში ენის უცოლინარობა ყველაფერში მაბრკოლებდა და უნდა უსათუოდ მოენე მეშოვნა. ღვივირე მეც ერთი სომეხი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც მოენობა უნდა გაეწია ჩემთვის და სამსახურიც, რაც კი დამჭირდებოდა. ეხლა თავისუფლად შემძლო ყველგან წასვლა-წამოსვლა და განვიზრახე დამეთვალიერებინა ყოველივე, რაც თეირანში უფრო ღირს-შესანიშნავი იქნებოდა. პირველი იყო ამათში შაპის „ამარატის“ დათვალიერება.

თოვებანის მოედნიდან ქვეით მხრივ ერთი ლამაზი ალა-ყაფის კარებია, საიდანაც იწყობა ერთი მოკლე, მაგრამ ძალიან ლამაზი და განიერი ქუჩა. ეს ქუჩა მიღის მეფის სახლამდე, პირ-და-პირ კარის ბჟემდე. შერე იქ იყოფა ორ ძალიან წვრილ ქუჩად და უხვევს ორ მხარეს მეფის სასახლისას. ეს არის ბჟე, რომელსაც სპარსელები უწოდებენ „ლარალმასს“ (ალმასის კარს), ჩინებული სანახავია. მთლად ერთი წინაპირი შაპის სახლისა ლამაზის ხელოვნებით არის გამოყვანილი სპარსულს გემოვნებაზე, სულ სარკით მოჭედილი. როგორც ეს, ისრევე გალავნის კარებები, მეჩეთის გუმბათები და მინარეები და ბევრი ამგვარი სხვა საქმე არწმუნებს კაცს, რო სპარსელს დღემდე, ამდენს განსაკუდელში გამოვლილს, ზოგიერთი რამ ხელოვნება კიდევ არ დაუკარგავს.

ჩავყევით აქედან ერთ გვერდის წვრილ ქუჩას და შევეღით ერთ ბალში. აქ ყველაზე უპირეველესად თვალში მეცა ერთი საშინელი დიდი ზარბაზანი, რომელსაც გარეშემო ხიშტიანი თოვების ღობე ჰქონდა შემოვლებული. ეს, როგორც შიამბეს, რომელიდაც მეფეს ეჩუქებინა შაპისათვის და მას აქეთია ესე სდგას აქ, ერთს ადგილს. როდესაც მის მნიშვნელობაზედ ვეკითხებოდი, მითხრეს: ეს ადგილი „ბასტა“ არისო. და არ რა არის ბასტა ანუ რა და რა ადგილები ითვლება ბასტად.

სიტყვა ბასტა წარმოსდგება სიტყვიდან ბასთან — შეკვრა, დაკეტვა და პნიშნავს შეკრულს ანუ დაკეტილს. ყოველივე დამაშავე და ზოროტ-მომქმედი კაცი, რომელსაცა სდევნის

ხალხი, მთავრობა და მართლ-მსაჯულება, უვნებელ იქმნება, უკეთუ ის მოასწრობს და თავს შეაფარებს ამ ზარბაზანს. მისი ხელის ხლება აღარავის შეეძლება, ვიდრე ის იქიდან არ გამოვა და მინამაც, ავად თუ კარგად, რასმეს მოაგვარებს თავის საქმისთვის; სწორედ ისე, როგორც ეს ძველად იყო ურუმ-ში. ამისთანა აღვილად ითვლება აგრედვე მეჩითები, სომხების ვანქი ისპაანში, ყუმი მთლად, როგორც წმინდა ქალაქი, მეფის ბოსელი (ეს კი არ ვიცი რად?) და ზოგიერთი სხვა აღვილები.

ამ ზარბაზნის უკან იწყება ერთი უშველებელი აუზი; მე ამოდენა ჯერ აჩხად მენახა. აუზს უკან რამდენიმე ფეხი კიბეა ასასვლელი და იქიდან მისდევს ლამაზად ნაკეთები ბალი. ამ ბალში სდგას ტახტი მარმარილოსი. ეს წარმოადგენს ერთ კაი მოზრდილ შენობას, რომელსაც ამ შესავალი კარის მხრივ ერთი პირი წინა კედელი არა აქვს. გარედან კედლებს მარმარილოს ქობა აქვს შემოვლებული და მთლად კედელიც შარტაცით არის გამშვენებული. შიგნიდნ როგორც იატაკი, აგრედვე ქობა კედლებისა ამავე მარმარილოსია, ხოლო უფრო სუფთა. წინ, ღრა მხარეს შეყენებული აქვს ორი გრეხილი სვეტი ამავე ქვისა. ამ სვეტებ შუა, ზედ შუაზედ გამართულია ტახტი. ტახტი სავარძელსა ჰგავს მოყვანილობით, მთლად მარმარილოსია. სულ ფიგურებად არის ნაკცევი და მარმარილოს ფიგურებზედვე შეყენებული. კედლები ოთახისა სულ სარკისაა. შიგა და შიგ სიმმეტრიულად ატანია დიდრონი სარკები და ფერადად ნახატი დიდრონი სურათები შემდეგ პირთა: 1, ნასრედლინი, დლევანდელი მბრძანებელი სპარსეთისა; 2, შამად შაპი, შამა ამისი; 3, ვალიადი, ტახტის მექუვიდრე; 4, ფათალი შაპი, პაპა ნასრედლინისა; 5, გმირი რუსთემი; 6, ამირ თეიმური; 7, შაპ-ისმაილი და 8, ნადირ შაპი. შენობა იზოდონად მაღლა სდგას, რომ აქედან იატაზედ მჯდომი კაცი, ზედ თავებზედ გალაპურებს ძირს, ეზოში მდგარ ხალხს. აქედანვე თვალწინ გადაეშლება კაცს ლამაზად მოვლილი პატარა ბალი, სადაც იქვე, წინ გამართულია თეთრი მარმარილოს აუზი კვერცხივით მოყვანილობისა, სამის შადრევნით;

შის შემდეგ არის ერთი სხვა ძალიან გრძელი ქვის აუზი, სა-  
დაც 15 შადრევანი დაკოვალება და იმის უკანაც შემოსასვლე-  
ლი კარი, რომელზედაც ფერადის მარტაცით არის გამოყვანი-  
ლი ბრძოლა რუსთემ გმირისა დევთან. შაპი ამ სასახლეში მო-  
დის წელიწადში ერთხელ, მარტში (იმათ ახალი წლის დღეს);  
და მაშინ, როდესაც შაპი დაბძნდება ტახტზედ, ტახტის ყვე-  
ლა ფიგურიდან დაიძვრის შადრევნები, რომლებიც ზედ შაპის  
გვირგვინზედ ბრილიანტის მარცვლებივით სხვა-და-სხვა შხარეს  
ცვივიან. ძირს აუარებელი ხალხი სდგას, მისალოცად მოსული  
და იქვე სასახლის მგოსანნი მოსთქვამენ მის შესხმა-დიდებას.

აქვე, გვერდში არის კიდევ ერთი სხვა ოთახი, როგორც  
კაბინეთი იმ ერთი შემთხვევისათვის. მოჭედილია მთლიად სუ-  
რათებით. ყურადღებას იქცევს ამ სურათებში, შობა ქრისტე-  
სი სწორედ შაპის სამწერლო მაგიდის ზემოდან და ლხინი ქრი-  
სტეს შობის გამო მის პირდაპირ, მეორე კედელზედ. აქვე  
არის დაივით მეფე ურიათა და მეფე სოლომონ ბრძენი. დანარ-  
ჩენი სურათები სულ სპარსეთის მეფეებისაა.

აქედან შევბრუნდით ოვით იმის სადგომის სანახვად. სა-  
ხლი ოთხ-კუთხია, ქარვასლის მაგვარ ფორმაზედ აშენებული.  
საზოგადოდ სულ ამნაირად აშენებენ მთელს ირანში სახლებს,  
სადაც გარეშემო ოთახებია ხოლმე შემომწკრივებული, შუაში  
ბაღი ანუ ცარიელი ეზო და ეზოს გულშიაც აუზი. აი ამის  
მაგვარი მოყვანილობა აქვს მეფის სადგომ სახლსაც. გარედან  
კედლებს მარმარილოს ქობა აქვს შემოვლებული, იმის ზევით  
შარტაცი და ამ შარტაცისა გამოყვანილია სხვა-და-სხვა გვარი  
სახეები, სურათები და ზოგგან მთელი მხატვრობა ისტორიუ-  
ლის შინაარსით.

ეს მეორედ ვიყავ წასული, მაგრამ შიგნიდაან ვერც ეხლა  
დაეიარეთ; თუმცა ამ ჯერად კაი გავლენიანი პირი მყვანდა  
თანა, მაგრამ ის, რომელსაც გასაღებები ჰბარებოდა, სადღაც  
ჯანდაბას წასულიყო.

აქ ზოგიერთი ოთახი სხვა-და-სხვა სამსახურებისათვის არის  
დანიშნული, აქვეა ერთგან მოთავსებული ხაზინა. არის ერთი

ოთახი სპეციალურად მხოლოდ სხვა-და-სხვა უცხო ფრინველთა შესანახავად და ერთიც დიდი განცოფილება მუზეისათვის, სადაც ინახება ყოველგვარი ძველის-ძველი ნივთები. აქვეა სამს სხვა-და-სხვა კუთხეში გამართული არანერეიებსაფით სავალები, რომლებსაც უკანა და გვერდის კედლები ქვითკირისა აქვს და წინა კედლები ბაღის მხარეს და სახურავები შუშისა. ამ სავალების იატაკი და ქობა თეთრი მარმარილოსია და იმის ზემოდან მარტაცი, სხვა-და-სხვა სახეებად გამოყვანილი: იატაკში, ზედ შუაზედ ჩამჯდარია ღრმად ღარი თეთრი მარმარილოსივე და შიგ მუდამ მოჩხრიალებს ან კარი წყლის ნაკადული, აქეთ-იქით მისდევს შიგ მარმარილოში ჩარგული დიდრონი ხეები სხვა-და-სხვა გვარი ფორთოხალისა. აქვე ადგილ-ადგილ სდგას მარმარილოს სკამები, მარმარილოსავე ფიგურებზედ შეყენებული.

ბაღი თუმცა პატარაა, მაგრამ კოხტაა და ძალიან ლამაზი. შუაზედ გამართულია აუზი და უვლის ყოველგან ამ ბაღს: ზოგან სრუტეს მავვარად უერთებს ერთ ნაწილს მეორეს, ზოგან ყურეების სანახაობა აქვს თავისის ნახევარ კუნძულებით. შიგა და შიგ ნამცეცა კუნძულებია ყვავილებით შემკული. ადგილ-ადგილ გაყვანილია სრუტეებზედ პატია კოხტა ხიდები. მთლად ნაპირები ამ აუზისა შემომწკრივებულია ფერად-ფერად შელებილი პატარა ჭორტებით. ზოგი მათგანი ისე დასამ-შვენებლადა სდგას, ზოგზედ ლიფლიფა გაკეთებული და ზოგზედ ყვავილის ქილები. ადგილ-ადგილ დიდრონი ჭორტია (ირმისა, გვდისა), ადგილ-ადგილ დაყოლებულია ლამაზი მარმარილოს შადრევნები. სდგას აქა-იქ ლიფლიფა ელექტრონისა და უფრო მომეტებული კი გაზისა.

სასახლე ნაიბ სალთანესი<sup>1)</sup> ორ-სართულიანი შენობაა. სდგას შიგ შუა ბაღში და სახლის აქეთ-იქით მხარეს ორი დიდი აუზი აქვს. ბაღი ძალიან დიდია და ევროპულად მოვლილი. ძირის სართული სასახლის მიწის პირად არის. აქ გამართულია ერთი დიდი ჯვარედინი დარბაზი. დარბაზი მთლად

<sup>1)</sup> შეილია შაპისა.

სარკისაა, შიგ შუაში მარმარილოს აუზია, იატაკზედ დაბლა რამდენიმე საფეხურით. აუზის შუაში და გარშემო შადრევნებია. აუზის ზემოდან დაკიდებულია დიდი ბროლის ჭაღი ფერადის შუშებით. კედლებზედ ბევრი ბროლის კანდელიაბრებია აგრედევ ფერადის შუშებით და რაღაცა ფანტასტიური რაშ გამოდის დამით, როდესაც კანდელიაბრებისა და ჭაღის ფერად ფერადი სინათლე შეერთებული შადრევნების ბეჭერიალთანა და დენასთან გადავ-გადმოვა სარკის კედლების შემწეობით.

მეორე სართული მუდმივი საცხოვრებელია. აქ ოთახები მთლად ევროპულად არის მოწყობილი გარდა ერთის დარბაზისა, რომელიც ევროპულიც არის და აზიურიც.

ქალაქის ერთს ნაპირში ბაღია და სასახლე ამინ სულთანისა, მაგრამ ვიღრე მის სახლ-კარზე ვიტყვით რასმე, უმჯობესია გავაცნო მკითხველს, ვინ არის თვით ამინ სულთანი. ამინ სულთანი, იგივე სადრაზამი, კანცლერია სპარსეთისა და მარჯვენა ხელი შაპისა. ღრღს თუ ვინმე იხსენიება სპარსეთში— მხოლოდ ის. ისე აქვს დაყენებული საქმე, რომ რაც და როგორცა ჰერის, ისე აკეთებს. უყვარს შაპს ძალიან და დიდი პატივის მცემელიც არის იმისი. ასე რომ განგებ იმისთვის, რაც აქამდის არა ყოფილა, ახალ-ახალ ტიტულებს იგონებენო. უყვარს აგრედევ ხალს და მას მიაწერენ ბევრს მსხვილ-მსხვილ საქმეებს. ასრე, მაგალითად, მე გავიგონე თვით ხალხისაგან, რომ ქ. ყუმის უპირველესი ემამზადე ჰაზრათ მასსუმისა მას გაუმშევნიერებია და ახალი გუმბათი დაუგამს და ამბობენ, ეს გუმბათი ოქროსია; მასვე მიაწერენ და ძალიან აქებენ სპარსეთის სამზღვარზედ ერთ მისალოცავს, მაქა-მერდინში მიმაგალ მლოცვავთათვის აშენებულს. სახით ლამაზი კაცია. უფრო ახალგაზღებში ჩაითვლება,— დიდი სიმდიდრის პატრონია. ბაღი იმისი არ არის ისე დიდი, როგორც ნაიბ სალთანესი, მაგრამ მოვლილია უკეთესად, ვიდრე რომელიმე ბაღი მთელ სპარსეთში. ისე შეწყობილი და შერჩეულია ერთმანეთში ყვავილები, ფერითა და მოხაზულობით, დახატულსა ჰგავს, ნამდვილი ევროპული გემოვნებით. მაინც ყოველის-

ფერი ევროპულადა აქვს გამართული და თითონაც ევროპულადა სკეოვრობს. კაბინეტი იმისი, სასტუმრო, დარბაზი, საწოლი და თვით შენობა—სულ ევროპულია.

გავიცან ერთ დღეს რაფიელხან ენაკოლოფიანი და მირზა სულეიმან ხანი, თავადი სომხეთისა. რაფიელი ძლიერ ახალგაზდა კაცია და აფიცრად არის სპარსეთის სამსახურში, ხოლო მირზა სულეიმანი კაი მოხუცებული კაცია. ორივე ამათი საგვარეულო გადმოსულები არიან. საქართველოდან, როგორც ესა სხანს თვით მათის გვარებიდან და მომყავს აქ ორივე ამ საგვარეულოს ცნობები მათის საქართველოდან გამოსვლის დღიდან.

გამოსულან საქართველოდან სამნი ენაკოლოფაშვილები: აღალარ ხანი, მანუჩარ ხანი და მარზა როსტამი და მოუყვანიათ თან აგრეთვე დისტული ერთი აღალარ ხანისა, იუსტ ბეგი, რომელსაც იმ დროს მამა მოპედომია და ობლად დარჩენილა. აღალარ ხანს ცოლი კი შეურთავს, მაგრამ შვილი არ მისცემია. მანუჩარ ხან გამაჰმადიანებულა და არ იციან, ძალით თუ ნებით დასკურისებული ყოფილა. მირზა როსტამს ჰყოლია ორი შვილი: სულეიმან ხან და მირზა გორგინ ხან, რომელიც გამაჰმადიანებულა. სულეიმანს ჰყოლია ორი ქალი და სამი ვაჟი, რომელთაგან ერთი ჩერა მომკვდარა, მეორე ჯანგირ ხან უცოლშვილოდ გადაგებულა და მესამე, ნარიმან ხან დღეს ევრაშია სპარსეთის მოციქულად. ჰყავს ცოლი და ორი ქალი. ამგვარად ამ სამთაგან ენაკოლოფიანთ საგვარეულოს არც ერთი ვაჟი, როგორც წარმომადგენელი გვარისა აღარ შერჩენია და შრო ამათი სრულიად შეწყვეტილა.

დისტულს მათასა იუსტ ხანს მისცემია ორი ვაჟი: ბაბახანი და ასლანხანი. ასლან ხანსა ჰყავს ეხლა ოთხი ქალი და ერთი ვაჟი, ფარგიზ ხანი, ხოლო ბაბახანს დარჩეომია სამი ქალი და ორი ვაჟი: რაფიელ ხანი და მიქაელ ხანი.

ამ რაფიელმა მიამბო, როდესაც პაპა-ჩემი, იუსტ (იოსებ) მოსულა საქართველოდან, თან დიდალი ქართველობა მოუყვანია, ზოგი, როგორც მოსამსახურები და ზოგი, როგორც ხელოსნებით. თვითონაც ერთი სომხური სიტყვა არა სცოლნია და, მე ვგონებ, ის ქართველი უნდა ყოფილიყოს და შემდეგ აქ გავსომხებულვართო, ასე მოუთხობს დღეს იმ გადმოსახლებული იუსტის შვილის-შვილი, რაფაელი.

ამათთან ერთად, ჩემის აზრით, ანუ იმავე ხანგბში მოსულა საქართველოდან აგრძელებული მირზა დაუდ ხან სომხეთისა, რომელიც ყოფილა ძირი მანუჩარ ხან ენაკოლოფიანისა. ამას ჰყოლია სამი ვაჟი: მირზა იუსუფ ხანი, მირზა სულეიმან ხანი და მირზა პეტროს ხანი. ამათში მირზა პეტროს უცოლშეილოა, სცხოვრობს თეირანში, მირზა სულეიმანს ჰყოლია ერთი ვაჟი, მირზა გურგენ ხანი და მაჲკდომია, თითონ თეირანში სცხოვრობს; მირზა იუსუფ ხანს ჰყოლია ორი ქალი და ორი ვაჟი, რომელთავან უფროსი, მირზა დიმიტრი ხან უშვილოდ გადაეცემულა და მეორეს, მირზა თამაზ ხანს ჰყავს შეიღები, თითონ დღეს მირფანჯია (სრული იარანალი) და თეირანში სცხოვრობს. აქაც, როგორცა ხედავთ, თავადი სომხეთსკის შტოებლა მარტო ამ თამაზ-ხანზეა დამყარებული.

ამათი გადმოსახლების შესახებ მირზა სულეიმან ხანმა მითხრა, რომ ერმოლოვის დას წამოსულა მამა-ჩემი საქართველოდანაო. იმანვე მიამბო აგრძელებე, რომ მამა იმისი, მირზა ლოუზთხანი დიდი მცირე ყოფილიყო ქართული ენისა, და ერმოლოვის თხოვნით რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენას შესდგომოდა. ისე რომ, როდესაც იმას გადაეწყვიტა სპარსეთს წამოსვლა, ერმოლოვი, თურქე, არ უშეებდა, ვიღრე ლოუდხანი არ დაპირებოდა, რომ ჩემი გავათავებ იქ ამ ლექსიკონს და იქიდან გაახლებოთ.—მერე იმას დეესრულებინა კიდეც ლექსიკონი, მაგრამ გამოგზავნით ვეღარ გამოეგზავნა, რადგან იმ დროს ერმოლოვი გადაეყვანათ საქართველოდან. ეხლა ეს ლექსიკონი აქვს მირფანჯის, მირზა თამაზ ხანს, მაგრამ ვერ მომიხდა მისი გადასინჯვა, რადგან ორჯელ ვიყავი ამ ამბების შეტყობის შემდეგ იმასთან და ვერც ერთხელ ვერ მიესწარ სახლში. მესამეზედ კიდევ, როცა თვით იმას დეენიშნა დრო, მე ვეღარ მოვიცალე და მეორე დღეს უნდა თეირანიდანაც გავსულიყავი, დაცდა აღარ შეიძლებოდა.

ერთხელ მითხრა ერთმა ხანმა, დღეს უნდა ორი კაცი სიკვდილით დასაჯონ და, თუ გნებავთ, წავიდეთ სანახავადაო. მე ვუთხარ, მე ვერ ვუყურებ, წალი შენ ნახე და მერე ყველაფერი მიამბე-მეთქი. და იმანაც, როდესაც უკან დაბრუნდა, მიამბო შემდეგი.—„მოიყვანეს ის ორივე დამნაშავე, ხელ-ფეხ შეკრული იმ დიდ ზარბაზანთან, გადააწვინეს იქვე, დედამიწა-

ზედ, გულალმა, ჩაჰკიდა ცხვირის ნესტოებში ზელი ჯალათმა, გადუგრისა ცხვარივით კისერი და გამოუსო ყელში თავისი ოფალმარგალიტით შექედილი დანა. ჩაბეს მერე ფეხებში ორი-ვეს თოკი და ისე თრევით მოატარეს ბაზრები და ზოგიერთი ქუჩები. თან ახლდა ამ საზიზღარი პროცესის დროს რამდენიმე მეფის მოხელე და მანდატურნი, როგორც მცველნი. აფგილ-ადგილ აყენებდნენ, რომ მაგალითად დექტომებინათ ხალხისთვის! მოგეხსენებათ, ყველას თავისი ცნობის-მოყვარე ა.რ დაელევა, და ამასაც აჰკოლოდა ბლობა ხალხი, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი ასდენენებოდნენ სისხლის ლოკვით ძალები.

ამბობენ, ერთი მათგანი ქურდი იყო, სდევნიდნენ დასა-კერად და ამ დევნაში ერთი უბრალო პოლიციელი მოეკლაო, ხოლო მეორე ყოფილა მანდატური ნაიბ სალთანესი და ისე, შემთხვევით შემოჰკდომია ერთი მეფის მანდატურთაგანი; მაგ-რამ რადგან სიკვდილისათვის სიკვდილივა განსჯილი, ამისთვის ისიც უთუოდ სიკვდილით უნდა დაესჯათ.

თეირანში ორი საყდარია სომხებისა. დავათვალიერე ორივ, რადგან გაგებული მქონდა აქვე, რომ ალექსანდრე ბატონი-შეილის საფლავი აქ, თეირანში ანუ იმის ახლო სოფელში სადმე უნდა ყოფილიყო. ერთი ამ საყდართაგანი, რომელიც უფრო ახალ უბანშია თეირანისა, არასფერს წარმოადგენს საი-მისოს; ახლად არის აგებული ერთი ძველი პარი საყდრის ალა-გას და, რასაკვირეელია, არც ძველი და არც თუ ახალი სა-ყურადღებო რამ იქ არა მოიპოვება-რა. მეორე საყდარი „შაჰ-აბდულ აზიმის“ უბანშია და ძალიან განაპირად არის ქალაქი-სა. აქ ყოფილინ დასახლებულნი უწინ სომხები და დღეს კი ორიოდ-სამი კომლი-ღა დარჩომილა, დანარჩენი სომხობა სულ ქალაქის ახალ ნაწილში გადმოსულიან. ამ საყდრის ეზოში სა-კარისად ბევრი ძეგლებია: რუსისა, ფრანგისა, ნემეცისა და ყველა ქრისტიანი ხალხისა, აღბად, ვიდრე რუსისა თუ სხვა ქრისტიან ხალხის საყდრები დაარსდებოდა ქ. თეირანში. არის ბევრი ძალიან ძვირფასი და ლამაზი ძეგლები, მაგრამ ჩემი ყუ-

დღება მიიქცია აქ ერთმა სალა ქვამ, რომელზედაც ძალიან ხა-  
და წარწერა იყო.—„Фотографъ В. В. Баркановъ. 1892 года“. საწყალი ბარკანოვი-მეთქი, ვთქვი ერთბაშად, რამწმმს დავინა-  
ხე იმისი საფლავი და ძალიანაც დამენანა. მართლაც-და, ხა-  
წყალი! თქვენ წარმოიდგინეთ, პატრონი არავინა ჰყოლია, რომ  
დაბადების დღე მაინც წაეწერათ მის საფლავის ქვაზედ და მი-  
სი ფოტოგრაფიული სურათები კი რა დიდ-ძალია მოფენილი  
სპარსეთში. ისე სახლს ვერა ჰნახავს კაცი იქ საზოგადოდ და  
ნამეტნავ თეირანში, რომ ორი და სამი რამ იმისი ვადალებუ-  
ლი ანუ იქაურივე და ანუ აქედან წალებული, კუდლებზედ არ  
იყოს ჩამოკანკურებული. ერთი სომხის სახლში დავთვალე, სულ  
უკანასკნელი, ორმოცამდე იმისი ვადალებული სურათები, რო-  
მელთა შორის იყო: რუბინშტეინი, ზარულინი, ტარტაკოვი,  
მედვედევი და თითქმის ყველა რუსის არტისტი ქალი და კა-  
ცი, რაც კი მას ოდესმე ტფილისში გადაეღლო. როდესაც მე  
ვკითხე სახლის პატრონს, რად ვინდა ეს სურათები, იცნობ გა-  
ნა მაგათა-მეთქი? მან მაპასუხა: რად მინდა მაგათი ცნობა, რა-  
ში მეპრიანებიან: მოედანზედ გროვა-გროვად ჰყიდდნენ და  
მეც ვიყიდე რამდენიმე ცალი ოთახის დასამუენებლადათ. ვინ  
იცის, ვინ და როგორ ეპურობოდა მის ნაოხარს!

შევედით შიგ საყდარშიაც. აქ რამდენიმე უფრო წარჩი-  
ნებულნი გვამნი არიან დასაფლავებულნი და ყოველი მათგა-  
ნის საფლავის ქვა კედელშია დატანებული. მათ შორის ყვე-  
ლაზე მეტი უურადღება მიიქცია ჩემი ერთმა თეთრია მარმარი-  
ლოს ქვამ, რომელიც ტრაპეზის გასწვრივ სამხრეთის უკანა კე-  
დელშია ჩასმული და ზედ ოქროს ვარაყით აქვს ლამაზი ზედ-  
წარწერა. მოგვყავს აქ უცვლელად თავისის შეცდომებით:—  
„Здесь погребено тело усопшей рабы Елизаветы: дочь царе-  
вича грузинского Александра греко-кафолического исповедания,  
супруга сартиш хана Самсонъ Яковлева сына Маканцова.  
Родился въ Эриванѣ 1811 года Іюля 13 дня, а умеръ въ  
Тегеранѣ 1836 года 17 Сентября.“ აქედან, როგორც ჰედავთ,  
ქალი ილექსანდრე ბატონიშვილისა ელისაბედ აქა ყოფილი  
დასაფლავებული. ხოლო სად არის დასაფლავებული თვით ბა-

ტონიშვილი ალექსანდრე, ამაზედ არა იციან-რა: ყველა იმ საყდარზედ მითითებდა, რომ ნამდვილად იქ არის დასაფლავებულიო, მაგრამ არ აღმოჩნდა. ზოგიერთმა გამოაცხადეს იქვი, რომ შეიძლება თავრიზში იყოს დასაფლავებულიო, მაგრამ რამდენადაც დღეს მე ეს სარწმუნოდ ვიცი, დასაფლავებულია ის მაზანდარანში. ასაფლავია ანუ თვით იმ სოფელში, რომელიც მას უწყალობა საცხოვრებლად შავშა და ანუ იმ სოფლის ახლო-მახლო ადგილებში, ვერ ვიტყვით კი სწორედ და გადაწყვეტით; რომელია ეს სოფელი და რა ჰქვიან გას სახელი, რადგან თვით ამით მთქმელთაც არ იცადნენ იმ სოფლის სახელი და ადგილი. მაგრამ პოვნა მისი არ იქნება ისე ძნელი, უკეთუ ვინმე მოჭხვდება იმ შხარეს და მოინდომებს მის ნახეას.

ერთმა ხანმა მომიტანა სურათი ალექსანდრე ბატონიშვილისა, როდესაც მე მოვიკითხე მისი სახე, და აგრევე ელისაბედის, მისი ქალისა და ირაკლისა, მისი ვაჟისა. ერეკლეს პატარაობის სურათი ქულაჯითა და ბუხრის ქუდით ხელით არის დახატული პეტერბურგის აკადემიის საღებავებით ერთი რუსის მხატვრისაგან. ალექსანდრე ბატონიშვილის სურათი რუსულის მაგვარი მუნდირით არის და ელისაბედისა ძველებური ქართული ქალის ჩატულობით. თუმცა სამივე ამ სურათების პირები გადავიდე მეც ფოტოგრაფიით, მაგრამ ისეთი საშინელი ჭუჭუიანები იყო, რომ რიგიან წარმოდგენას ვერ შეადგენს მათით კაცი.

არის თეირანში ერთი ბალი, სადაც შშვენიერი სასახლე აქვს შავს სააგარაკოდ გამართული. აქ არიან დახატულნი ყოველნი წარჩინებული პირნი სპარსეთისა და მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილიც. ის პატარა სურათი, რომელიც მე მომიტანეს ხანებმა, იმ სასახლიდან იყო ფოტოგრაფიულად გაღმოღებული და მეც მოვინდომე ახლად გაღმომელო იქიდან ფოტოგრაფიით, მაგრამ ჩემს იქ მყოფობის დროს შეუძლებელი იყო იქ პატარატის შეტანა და დამპირდნენ თეირანელები, რომ ჩვენ თითონ გადავალებინებთ და გამოგიგზავნითო,

ვინ იყო ეს მაკანცოვი, სამსონ ხან სართიფი, სიდე ალე-  
ქსანდრე ბატონიშვილისა, მე ამაზედ საიმისო ცნობები ვერა  
შევკრიბე-რა. გავიცან მის შვილი-შვილი, ისკანდერ ხანი, სიდე  
რაფიელ ხან ენაკოლოფოვისა, მაგრამ იმისაგანაც იმდენი ვერა  
შევიტყე-რა. იმან თავის-თავისაც არა იცოდა-რა. როდესაცა  
ვკითხე, რა ხართ ეხლა, ორ ეროვნებას აკუთვნებთ თქვენ თა-  
ვსა-მეთქი, იმან ასეთი პასუხი მომცა: პაპა რუსი მყავდა, ბე-  
ბია—ქართველი; მამა ისევ რუსი, დედა—ინგლისელი; ეხლა მე  
მართლმადიდებელი ვარ, სპარსეთში აღზრდილი, რუსულისა  
არა მესმისრა, ცოლი მყავს სომეხი, ნათესაობა აგრძევე ყვე-  
ლა სომხები და რა ვარ მე თითონაც არ ვიცი და აბა თქვენა  
ბძანეთო.

გავიგე დარწმუნებით მხოლოდ ის, რომ ჯერ ისევ ახალ-  
გაზდა 22—25 წლისა, მაიორის ჩინითა ყოფილა. გასჩენია შე-  
მდეგ ერთი რაღაც მიზეზი და რუსეთიდან გავარდნილა. ერთმა  
სპარსელმა მიამბო, რომ ის და ერთი ასლან ხანი ერთად მო-  
ვიდნენ სპარსეთს, რუსეთიდან გამოქცეულნიო. სამსონ ხანმა  
ჩეარა მიიღო სართიფობა, დიდს ჯარებს განაგებდა თავრიზში  
და ბერი კაი საქმეებიც ჩაიდინაო, მხოლოდ რომელი იყო ის  
კაი საქმეები, თითონაც არ იცოდა. ზოგმა სთქვეს, რომ რუს-  
სპარსეთის ომის დროს მოსულა პირ-და-პირ თეირანშიო. ზო-  
გმა მითხრა, რომ დავით ხან საგინაშვილი (ნაზე ფერებიდან).  
იმას შეეგულიანებინა და იმასვე მიეყვანა თავრიზშიო და სხვა.  
და სხვა...

მთხოვა ერთხელ ერთმა რუსის ვაჭარმა, წამობძანდით,  
ერთი ძეგლი მე უნდა გაჩვენოთო; მე თანხმობა გამოვუცხადე-  
წამოგვყვა კიდევ რამდენიმე ყმაწევილი კაცი და წავედიო. გა-  
ვედით ქალაქის ჩრდილოეთის მხრივ. აქ, გალავნის კარის პირ-  
და-პირ ნახევარ ვერსტის მანძილზედ იყო კაი მოზრდილი ბა-  
ლი და შეგაც რაღაც შენობები მოჩანდა. ეს ის ბალია შაჰისა,  
საღაც ჩეკენ მიეცილით. შევყავით თუ არა თავი ბალის კარგ-  
ბში, შეგვაყენა ერთმა ჯარის-კაცმა, რომ აქ სიარული აღკრძა-  
ლულიაო. აკი წინად ყოველთვის დავდილით და არაერთ რას

გვიშლიდაო, უთხრა რუსის ვაჭარმა.—მართალია წინად და-  
დიოდით, უპასუხა ჯარის-კაცმა, ისიც ვიცი, რომ მეც მაჩუ-  
ქებთ რასმე, მაგრამ არ შეიძლება, ძალიან მყაცრი ბრძანება  
გვაქვსო. ჩვენც რა გაგვეწყობოდა, გამოვბრუნდით უკან.

ახლა იცით, რა ძეგლია ის, რის სანახავადაც ჩვენ მოვ-  
დიოდით. ეს არის ძეგლი თვით ნასრედინ შაპისა. მართალია,  
ის ჯერ ცოცხალია, მაგრამ ეს საქმეს არას უშლის. არ ვიცი  
გაგიგონიათ თუ არა, — ერთი საწყალი კაცი ყოფილა. უფი-  
ქრია, ვაჲ თუ, როცა მოვკვდე, კუბოც არავინ მაღირსოსო და,  
მოდი, სანამ ერთი-ორი შაური მიგდია ჯიბეში, კუბოს გავა-  
კეთებინებ და მხად მექმნებაო. გაუკეთებინებია და აუყუდებია  
ოთახში. შაპიც შორგამქვერეტელი კაცია. უფიქრია, ვინ იცის,  
როცა მოვკვდე, ძეგლი არავინ მაღირსოს; თუმცა მრავლადა  
მყავს შვილები, შვილიშვილები და შვილის შვილებიც  
კი, მაგრამ უმჯობესია ჩემი საქმის თადარიგი მევე დავიჭირო-  
ვო და სწორედ ასეც მოქცეულა. ერთ ჯერად, როდესაც პე-  
ტრეს ქალაქში ყოფილა, იქ პეტრე დიდის ძეგლი ძალიან მოს-  
წონებია და რო დაბრუნებულა, სწორედ იმისთანა ჩამოუს-  
ხმენებია. შაპი ნამდვილი სიღიდისაა, აღმხედრებული ცენზედ.  
ძეგლი მთლიად ყვითელი თითბერისაა და აქვე სპარსეთში გაკე-  
თებული. დღემდე ბალი ლია ყოფილა და ყველას ნება ჰქო-  
ნია იქ სიარულისა. ეხლა, ალბალ, გონს მოსულა შაპი, რომ  
ამ საქმეზე ბევრნი დასცინოდნენ და შესვლა აღუკრძალია.

იქიდან რომ დაბრუნდით, შემხვდა ქუჩაში ერთი ვილაც  
შავწვერ-ულვაშა პერანგითა და ჩალის ქუდით და მომაძახა:  
„კრიაზს გამარჯოსო!“ მე ძალიან გამიკვირდა. აქ ქართველი  
არავინ მეგულებოდა, გარდა ერთი თელაველ ახალგაზდა ყმა-  
წვილი-კაცისა, გვარად ელიოზიშვილისა, ოომელიც რუსის სა-  
ელჩოში იყო მედავითნედ და რომელსაც უკვე კარგა ვცნო-  
ბდი. მე იმავე წამს ბიჭი დავადევნე უკან და შევუთვალე, რომ  
დილაზედ მნახე-მეთქი. მინდოდა შემეტყო, რა ქართველია, რა  
ქარმა გადმოაგდო აქა და მეც მესიამოვნებოდა, ამდღნი ხნის  
დანატრულებულს, ერთი-ორი სიტყვა გამეგონა ჩემს სამშობლო.

ენაზედ. მომივიდა მეორე დილაზედ ჩემი მოწვეული სტუმარი. მიამბო თავისი თავ-გადასავალი და საინტერესოდ მიმაჩნია გა-ვუზიარო მკითხველსაც.

ის იყო კახელი, სოფელ უ—დან, გვარად თ—შეილი, ჯერ კიდევ ახალ-გაზღა. ჰყოლია ერთი ძმა, რომელსაც ის გა-ჰყორია, გაუყიდნია ყველაფერი, გამოსთხოვებია იქაურობას და წისულია ბედის საძებნელად. ამ ხანობაში მიღენილა ჯარით ღენერალი სკობელევი შუა აზიაში; გაუმართავს ამასაც რა-ლაც-რალაცა სავაჭრო და დასდევნებია უკან. სკობელევს აუ-ლია დღევანდელი ასხაბადი და ბ. თ—შვილსაც გაუჩართავს აქ თავისი სავაჭრო. რამდენიმე წნის შემდეგ დაურიგებიათ მუ-კთად მიწები ახალი ქალაქის მოსაზენებლად და ბ. თ. შვილ-საც მიულია ერთი საკომლო ადგილი, ჰქონია აგრედევ ერთი ორასიოდე თუმანი ფული; ესეც ზედ მოუხმარებია და წამოუ-კიმავს სახლი. მიუყვია იმ ღროს ხელი სახარების კითხვისთვის და აქედან მხოლოდ ის გამოუტანია, რომ ხალხთა შორის უნ-და სუფევდეს სიყვარული, სიყვარული და კვალად ისევ სიყვა-რულიო.<sup>1)</sup> გაუტაცნია ამ აზრს და უთქვამს: თავ-მთელმა და თავ-ცოცხალმა უნდა ვიპოვო, თუ კი საღმე არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც სწორედ სახარების სიტყვას აღვას და ნამ-დვილის სიყვარულითა სცხოვრობდნ, რომ მეც იქ დაესახლდე, თუ არა და, თავი ცოცხალი არ მინდაო. რაღა ბევრი გავა-ჭრელოთ, უფიქრია, უფიქრია და, როგორც გაუნათლე-ბელ კაცს, გადაუწყვეტია: მთლია ეს სარწმუნოება, ეს სწავლა, ეს აზრები, აღორძინდა იერუსალიმის ქალაქს და იქი-დან მოეფინა მთელს ქვეყანას და, მაშასადამე, თუ იქმნება სა-დმე ესეთი ერი, იქმნება მხოლოდ იქ, თუ არა-და, სხვაგან არ-სადაო. დამდგარა ამ აზრზედ, დაუკეტია ვაჭრობა, უშოვნია ძალის-ძალიად სახლის მუშტარი, გაუყიდნია, გამოჰსალმებია იმ არე-მარეს და გასდგომია გზას. მისულა იერუსალიმს, უნახვეს, რომ იქ, არა თუ ის სახარების სწავლაზედ დამყარებული, იდე-ალური ურთი-ერთ სიყვარული, არამედ თვით იმ სახარების

<sup>1)</sup> ვწერ სიტყვა-სიტყვით იმის ნილაპარაკევს.

სწავლა და ქრისტიანობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვაგან, მცვაში არ მოჰველია. დაუკრავს ფეხი და უკნვე დაბრუნებულა.

მერე უთქვამს, მოდი ერთი, წავალ პეტრეს ქალაქში, ვნახავ, რა არისო და წასულა კიდეც. დიდი სურვილი ჰქონის, როგორც თვითონ მოგახსენებთ, სხვა-და-სხვა ქვეყნებისა და ხალხის ნახვისა. იქ მეორე-მესამე დღეს უტაცნია ხელი პოლიცის და წამოუბძანებიათ. „სრული ხუთი თვე მატარეს იმ დაწყევლილებმათ—სულ ციხიდან ციხეში მიკრავდნენ ხოლმე თავსაო“. ამბობს, რომ ბილეთიცა მქონდა, ფულიც და ვთხოვდი, გნებავთ დეპეშა დაპკარით ჩემის ხარჯით, რომ სანდო კაცი ვარო, მაგრამ არავის-რა შეუწყნარებია. ტფილისში რომ მოუკვანიათ, აქ რკინის გზაზე შესულა მოსამსახურედ. ამავე დროს მოჰკვდომია იმას ის ერთად ერთი ძმა და დაპრეზიდია ქვრივი ხუთის წვრილის ობლით. მაგრამ ამისთვის საიმისო უურადღება არ მიუქცევია და ახლა სპარსეთს მოუნდომებია გასეირნება. მისულა ურუმს, რომელიც მას ისე საშინლად მოსწონს და აქებს, და იქიდანაც თავრიზს. იქ უმსახურნია ესე ხუთიოდ თვემდე და გამოუკრავს თეირნისაკენ. ეს სულ ორი თვე თურმე, რაც აქ არის. სდგას ბიჭად ერთ რუსის ბუჭხალტერთან. ეხლა მას გასცხოვლებია იმ თავისი დაობლებული ძმისწულების სიყვარული და სულ იმის ფიქრშია, თუ რა მოუხერხოს. ეგების ერთი სადმე მომცეს რუსის ხაზინამ ორმოციოდე დღიური მამული, რომ მიწის მუშაობას დავადგე და ობოლი ძმისწულები გამოვზარდო როგორმეო, მეუბნებოდა მე. და თუ ესეც ვერ მოვახერხეო, დავკრავ მაშინ ფეხს და ინდოეთისკენ გადავიკარგები სადმე: გაეხდები რასმეს და, ან მკვდარი და ან ცოცხალი, გამოვადგები ვისმე, რომ რა კარგი, თუ არა-და, მაინც უსარგებლოდ ვიყავ ჩემიანებისთვის და მაინც. ერთგან სადმე ამომივა უპატრონოდ სული და არავის-რა ეცოდინება, ვითომც არცყი ვყოფილვარ ქვეყანაზედაო.

მეორე მოსვლაზედა მთხოვა, რომ ისპაანს მეც წამიუვანებო. ერთი სამ თუმანზე ხელი აიღე, მე ის მეყოფა, და ეგმ-

ბის იქ, ქართველებში, გაეხდე რასმეო. მე ძალიან შორს და-  
უუჭირე. მე იქ ისე უბრალოდ წაყვანა ვისიმე, და ნამეტნავ  
ქართველი კაცისა, ძალიან მერიდებოლა. მაშინ მე უნდა ვყო-  
ფილიყავ მოპასუხე ყოველი მისი სიტყვისა თუ ქცევისა და  
ერთი რამ ურიგო და უადგილო სიტყვით შეეძლო მას გაე-  
ფუჭებინა ჩემთვის ის საქმე, რისთვისაც ამ სიშორებედ თავს  
შეიკულავდი. მით უმეტეს, რომ, როგორც თქვენც შეიტყობ-  
დით მისი თავგადასავალიდან, მეტის-მეტი უცნაური ადამიანი  
იყო. ვუთხარი, დამაცალე ერთი ათიოდე დღე, მე თეოთონ არ  
ვიცი, როგორ და რანაირად მომზხდება წასელა-მეთქი.

არ გასულა სამი-ოთხი დღე, კიდევ მოვიდა. მითხრა, სა-  
მსახურს თავი დავანებე და რას მირჩევ, როგორ მოეიქცე,  
საით წავიდეო? ეს დაკითხება იმას ნიშნავდა, რომ გაეგო, წა-  
ვიყვანდი ისპანს, თუ არა და მეც ვურჩიე: წადი, ჩემო ძმაო,  
ისევ ჩვენს ქვეყანაში, კიდევ ის გერჩიოს ყველისა-მეთქი. ბა-  
ქომდე როგორც იქნება მიაღწევ, იქ რკინის გზის სამსახურში  
შედი, ხომ წინადაც ყოფილხარ? ცოტა რამ ტული მოაგრო-  
ვე, და დაბრუნდი ისევ შენს უ—ში, იმისობას სხვა ადგილი  
ვერ გაგიწევს, ტყუილად ივლი ესე უპატრონოსავითა-მეთქი,  
და ისიც დამეთანხმა. თუმცა კი არ ვიცი დღემდე: აქეთა ჰქმნა  
მართლა პირი, თუ უფრო შორს საღმე გადიკარგა.

ათ ვერსზე ქ. თეირნიდან არის ერთი კარგი სოფელი  
„შაპებდულ აზამი“. ამ სოფელში დასაფლაებულია ერთი წმი-  
დანი წამებული შაპი, სახელად აბდულ აზამი, რომლის სახე-  
ლიც გადუტანიათ შემდეგში თეით სოფელზედაც. საფლავზედ  
აშენებული აქეთ ერთი მშვენიერი ემამზადე ოქროს გუმბა-  
თით, როგორც თვითონ ამბობენ. ეს წმიდანი ძალიან მიჩნეუ-  
ლია სპარსეთში და ღიღ-ძალი ხალხი დადის სალოცავად ყო-  
ველდღე. ამ მლოცავთათვის გაყვანილია თეირნიდან შაპებდუ-  
ლაზიმადე რკინის გზა.

მოვინდომე ერთხელ იქ წასელა. ამოვარჩიე ამისათვის პა-  
რასკევი დღე, იმათი კვირა, რომ ხალხი ბევრი იქნება და  
აშებსა ვნახავ რასმე-მეთქი. წავიყვანე ჩემი ბიჭი, ჩავსხედით

ცხენის რკინის გზაში და წაეყდით. კაცის თავზედ სამი შაი (კაპეკი) გამოგვართვეს და საშინელი დიდი მანძილი გაგვატარდეს.

ვაგონი ცხენის რკინის გზისა გაყოფილია სამ ნაწილად. წინა და უკანა ნაწილებში ორ-ორი სკამია კაცებისათვის, ხოლო შუაში ორი სკამი თავ-და-თავ აფიცრულია ქალებისათვის. კაცს არ შეუძლიან გაიჭაჭანოს იმ განყოფილებაში, როგორადაც ქალს არა აქვს ნება ფეხი შესდგას კაცების განყოფილებაში.

მე ავედი უკანა განყოფილებაში და ვარჩიე ფეხზედ დგომა, რადგან ასე უკედ შემეძლო აქეთ-იქით ყურება და ადგილების დათვალიერება. მოვიდა ერთი ახალგაზღა სპარსელი, მოგვიხია ბილეთები, ჩამოგვართვა ფული და გაბრუნდა. გავიარეთ ცოტა გზა, ამოხტა ერთი სხვა სპარსელი, მოახია ცველა ბილეთს თითო კუთხე დაუნიშნა წიგნში კონდუქტორს და წავიდა. ამოვიდა რამდენიმე ხნის უკან ახლა სხვა კონდუქტორი, მოახია იმანაც ბილეთს ერთი სხვა კუთხე, დაუნიშნა იმანაც წიგნში კონდუქტორს და წავიდა. მინამ ადგილას მიგვიყანდნენ ორი კიდევ სხვა კონტროლიორი ამოვიდა, იმათაც დაგვისინჯეს ბილეთები, კუთხეები კი აღარ მოუხევიათ და დაუნიშნეს წიგნში კონდუქტორებს. რომ ვიკითხე, ეს ამოდენა კონტროლიორები რა ამბავია-მეტქი, მიპასუხეს, დიდი ბოროტ-მოქმედებაა და იმისთვისაო. მე ძალიან გამიკვირდა, რადგან ეს ცხენის რკინის გზა იმავე ბელგიელი ანონიმური საზოგადოებისაა, რომლისაც ჩვენი და, სჩანს, თეირნის კონდუქტორები უფრო დიდი არტისტები ყოფილან, ვიდრე ტფილისისა, რომ იქ ოთხი-ხუთი კონტროლიორი ჰყავთ ხოლმე თითო გზაზედ და აქ კი ხანდისხან თითო ~~ასაკის~~ ვერ შეხვდება კაცი:

ენახოთ, ჩვენ მხარეს ამოხტა ერთი პატარა ყმაწვილი, შთამომავლობით სეიედი, — თავზედ ლურჯი მაუდი ჰქონდა და ხეეული. ხელში ერთი პატარა ყუთი ეჭირა და ყუთშიაც ელაგა: ეაქსი გაუხსნელი, დიდრონ ნაჭრებად, შეოტკი წალებისა,

სულ მთლიად გაცემილი, ძაღლა პირ-განიერი ჭურვლით, ერთო-ორი ჯლანი ტყავისა და ხის შპილები. ორი განკუთვილებაც დახურული ჰქონდა იმ ყუთს. თვითონ ბიჭს სულ მოსვრილი ჰქონ-და მურით პირი, ხელები და ტანისამოსი. იპოვა იმ პატარა ბიჭმა იქ ერთ სკამზედ პატარა ადგილი, ჩაჯდა და მოიდგა ყუთი გვერდზე. ამოჰყა ამას თან ის კონდუქტორი, რომელმაც ბი-ლეთები მოგვიხია, მიაჭირა ფეხი-ფეხს, გაიძრო ფეხსაცმელი და მიაწოდა იმ პატარა სეიედს. ღმერთო ჩემო! რა სუნი და-ტრიალდა! დაგვბნიდა კინალმ ყველანი, მერე რამოდენა ხალ-ხი იყო ამ ბაქანზედ (პლატფორმაზედ). შიგა და შიგ კაი პა-ტივისადები სპარსელებიც ისხლნენ, მაგრამ კრინტი არავის და-უძრავს, თითქო ეს ესე იყო საჭიროვო. იმ სეიედმაც ამოილო ჯერ შჩიტკი და ჩევნ ცხვირ წინ გააყრევინა წალას მტვერი. მერე სადგისითა და ნემსით მიუჯღანა საპირე საპირესა. ახლა ამოილო ხელით ძაღლა და გააშავა მიკერებული ჯლანი და თე-ორი ძაფები. შემდეგ ამოილო მუჭით ვაჭსი, გაუსვ-გამოუსვა ხელითვე წალას, გაპკრა ჩითქი და მოართვა. მოჰყვა ახლა, რასაკვირველია, მეორეს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მივედით ჩევნც რეკინის გზის საღურზედ და გადავხტით ვაგონიდან.

რეკინის გზის საღურზედ დაგვხვდა ერთი ნაცენბი სპარ-სელი, იქაურივე მოსამსახურე და მითხრა:—დღეს ნუ წაბჭან-დები, დღეს ძალიან ბევრი ხალხი იქმნება და ხვალ მე თითონ გიახლები და ყველაფერს გაჩვენებო. მე ვუთხარ, რომ დღეს განგებ მივდივარ, რადგან ბევრი ხალხი იქმნება, მეც ეგ მინდა ვნახო, თორე მეჩითს ხომ არც დღეს, არც უხალხობაში მე არ გამასინჯებენ-მეთქი. კარგიო, მითხრა იმანაც, ამართვა ორი პირ-ველი კლასის ბილეთი, მომატარა სადღაც შორს და გამიყვანა ბაქანზედ. ხალხი სრულიად არავინ ჩანდა, მე ვიყავ და ჩემი ბიჭი. დაპკრეს პირველი ზარი, კიდევ არავინ გამოჩენილა. მე ჩემი ადგილი დავიჭირე. დაპკრეს მეორე — კარებმა ჭრიალი მოილო და ქვეყნის დედა-კაცები გამოიფინენ. უჩვენეს ამათ თავისი ვაგონები და, უნდა გეყურებინათ, ეს, პირ-ბადე ჩამო-ფარებული და თავით ფეხებამდე მუთაჭასავით ჩადრში გამოხვე-

ული ხალხი რა ფაცა-ფუცით ექვეია ვაგონებს. ესენი რომ დასხლნენ, გააღეს ახლა სხვა კარი და გამოიყვანეს კაცები. ხალხი მართლა ბევრი უნდა მოგროვილიყო. ეხლა მეც შევ-ფიქრიანდი. ვუთხარ ჩემ ბიჭს: მოდი ეხლა წავიდეთ კი, რად-გან ბილეთები უკეე ნასყიდი გვაქვს, მაგრამ სოფლად ნულარ შევალთ და ისევ ამავე მატარებლით დავბრუნდეთ უკანა-მეთქი. „რადა, ბატონო! რისა გეფიქრებათ? მე ეს ადგილებიც და ეს ხალხიც ჩემი ხუთი თითივით ვიცი, წამობძანდით სოფელსაც დაგატარებთ, მეჩითსაც გარედან გაგასინჯებთ. ჩვენი ხმის გამ-ცემი არავინ იქნებაო“. მივედით შაჰაბდულაზიმის სადგურზედ და ამოდენა ხალხი რომ ვაგონებიდან ჩამოვიდა და ჭინჭველა-სავით იქაურობას გუნდ-გუნდად მოეფინა, მე კიდევ გაუშეო-რე ჩემ ბიჭს და ამანაც იგივე პასუხი მომცა.

წავედით სოფლად, შევედით გალავნის კარებში და იქი-დან პირ-და-პირ დახურული ბაზარი იწყობოდა. კვირა დღე იყო ამათი, იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ავყევით ჩვენც ბაზარს. წინადან სამი პატარა ბიჭი მორბოდა; დაგვინახეს, გა-მოიშვირეს ჩვენკენ თითები და დაცინვით რაღაც შემოგვიკურ-თხეს. კაი რომ, არა მესმოდა-რა, მაგრამ ვერცარა ჩემმა მეს-როვმა გაიგო, თუ არ ვიცი, იქნებ, განგებისაღაც არ შემა-ტყობინა. მერე, რამდენიც წავდგიო წინ ფეხი, ხან ერთი მე-დფუქე, ხან მეორე, ხან ბრივულად ჩაგვიხველებდა, ხან ვი-თომ—დააცემინებდა,—მოგვყვნენ აქეთ-იქიდან და ისეთი თავ-სიცილი დაგვაყარეს, თქვენი მოწონებული. მე წინადაცა მქო-ნდა გაგონილი ზოგიერთ ევროპელთაგან, რომ მათთვის უფ-რო ცუდი დღე დაუყენებიათ, რომ უამისოდ ძნელად გადარ-ჩება ამათში კაცი და სრულის მოთმინებით აღჭურებილი მივ-დიოდი წინ, თან კი თავი ძირსა მქონდა ჩაღუნული და არა-ვის ვუყურებდი.

ერთბაშად თითქოს მიწიდან ამავიდნენო, ჩვენ წინ ორ-მოცი ყმაწვილი გაჩნდა. დაგვინახეს თუ არა, მოჰყვნენ რაღა-ცის ძანილს და თან ჰაერში ხელების ქნევით მოდიოდნენ. მე ესეც უბრალო მასხარად აგდებად ჩავთვალე, ვცდილობდი არა-

შემემჩნია-რა და იმავე ნელის ნაბიჯით მივაბიჯებდნ. თურმე, ნუ ბრძანებთ, გაუჩერებიათ ჩემი მესროვა და თითების ქნევითა და მუქარით უთქვამთ, რომ ეხლავე უკან გაბრუნდითო. მესროვას გული გაპხეთქია, გამოქცეულა და მომძახის ყვირილით: „ბატონი, უკან დაბრუნდით! — არ გვიშვებენ... ბატონი! ბატონ! ალკრძალულია! არ გვიშვებენ, ბატონი...“ რო შევხდე, ერთბაშად მეც შიშის ალმა ამკრა: თვალები გიუს მიუგავდა, ტუჩებში ფერი არა ჰქონდა, ცხვირის ნესტოები გასდიდებოდა და ციებიანსავით ქვევითა ყბას ვეღარ იმაგრებდა. არ გვიშვებენ და, გაებრუნდეთ ამ საათში-მეთქი.

ის პატარა ყმაწვილები იქავე ტრიალებდნენ და ერთი ღრიან ცელი გაემართათ. გამოებრუნდით ჩვენ და ისინიც აგვეღებნენ, — ზოგი წინ მიგვიძლოდა, ზოგი უკანიდან მოგვდევდა და საზოგადო ხმაურობას არა სწყვეტავდნენ. მე, რასაკვირველია, ამ უსიამოვნო ამალით სიარული მეჩოთირებოდა, მინდოდა გზა ამხევია, მაგრამ მისაბრუნი არსადა სჩანდა. მაშინ მიუუბრუნდი ერთ დარბაისელ მეღუწეს და განგებ ლაპარაკი დავუწე, ვფიქრობი, ეგებ მინამ ეს ყმაწვილები თავის-თავად დაიშალნენ-მეთქი.

— რად არის ალკრძალული აქ გავლა, ჩვენ ხომ მეჩითში არ შევდიოდით-მეთქი?

— აგერ აის ძეგლი რომ ძევს, — დამანახვა ერთი ამაღლებული ადგილი, — იმის იქით არა-მუსულმანს არ შეუძლიან გაელაო, რადგან მერე ეს ქუჩა პირდაპირ შებ მეჩითში შედისო.

— ჩვენ ეგ არ ვიკადით, უკაცრავადა-მეთქი, — ბოდიში მოვიხადე. — კარგი ახლა, მაშ ჩემისთანა კაცს, რომ ესე გარედან უნდოდეს დათვალიერება, არ შეიძლება-მეთქი?

— რატომ, როცა გნებავთო, მხოლოდ მაგისთვის აი აქეთქენ სხვა გზა არისო და გამიშეირა იქით თითო.

მე დიდი მაღლობა გადავუხადე. სანამ ის ყმაწვილებიც დაშლილიყვნენ. მე აღარც იქით, აღარც აქეთ არ გამიხვევია და გავწიო პირდაპირ რკინის გზის საღურისაკენ, თან ძალიან ვუსაყვედურე ჩემს „ნეტარ მესროფას“ (ასე ვუძახდი სახელს),

რომ თუ არა იცოდი-რა, რა ბელადივით მიმიძლოდი წინ და მარწმუნებდი, რომ ხმასაც არავინ გაგვცემსო. სადგურზედ რომ მივედით, ბაქანისაკენ გზა კლიტით იყო დაკეტილი. და ძალა-უნებურად ჩვენც იმ ოთახში უნდა დაგვეცადნა, სადაც ასობით სხვა სპარსელნი ისხდნენ.

პატარა ხანს უკან ჩვენს მხარეს, კაცების ოთახისაკენ მო-დიოდა ერთი დედაკაცი, დაინახეს ჯარის-კაცებმა და ასტეხეს ერთი საშინელი ხმაურობა. დედაკაცმა ვერა გაიგორა. მაშინ გადმოხტა რამდენიმე ჯარის-კაცი დასტაცეს დედაკაცს ხელი და ცივ-ცივად გაარბეინეს დედათა განყოფილებისაკენ. დღემდე მე ბევრჯელ მენახა ამისთანა ადგილებში რამდენიმე მეომარნი თო-ფებითა და ყოველის გაწყობილობით, მაგრამ არავისთვის მეკი-თხნა, თუ რად იყვნენ და რა მნიშვნელობა ჰქონდათ. ეხლა თავის-თავად ცხადი გახდა ჩემთვის და, იმედი მაქვს, თქვენც მიხვდებოდით მათს მნიშვნელობას.

გახსოვთ თუ არა ქარიბა? დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ის აქ დანავარდობდა და დიდი მეკობრის სახელი ჰქონ-და. მთელი კავკასია შესძრა, ყველა თავისწედ აალაპარაკა. სა-დაც ის მიმინოსაებ დაჲქროლავდა, ხალხი მწყერსავით განაბუ-ლი სახლებში იმალებოდა, ყველა თრთოდა მის სახელის გა-გონებაზედ. რა ჯარი, რა პოლიცია, რა აღმინისტრაცია არა სიღებიდა იმას დასაჭერად. გაზეთები ხო დღე მუდამ იმის სა-ქმებს იყო მონდომებული.

ასე ზარი დასცა ქარიშამ მთელ კავკასიას, მაგრამ ხალ-ხი ისე არ უყურებდა მას, როგორც წუწკ მეკობრეს. ხალხს გულში თითქოს რაღაც სიმპატია ჰქონდა მისღამი: ხალხი მის საქმეებში თითქოს გმირობასა და რაღაც დიდ-სულოენობას ხედავდა. ეშინოდა იმისი, ურუანტელი უვლიდა თავით-ფეხამ-დე მარტო იმისი სახელის გაგონებაზედ, მაგრამ თან გულში რაღაც პატივისცემაც ებალებოდა. სად არის ეხლა ეს ქარიბა? მოგვსვლია როდისმე ფიქრად ეს კითხვა?

ქარიბა, გაძვებული კავკასიიდან, შეჰფარებია სპარსეთის შაპს. შაპს ძალიან უყვარს გმირი ხალხი და დრდის მოწყალე-

ბით მიუღია. უბოძებია მისთვის ხანის წოდება და ღენერლად ჩაუყენებია თავის სამსახურში. დღესაც, როცა კი შაპი მოჰკრავს სადმე მას თვალს, უთუოდ გამოელაპარაკება, ისე უყვარს. სცხოვრობს ეხლა თეირანში. იცნობს იმას ყველა, როგორც პატიოსან კაცი და არცარავინ ერიდება იმის მეგობრობას. თანა ჰყავს სამჩვევ თავისი ძმები და ერთიც ბიძა. ჰყავს ორი ცოლი და ცხოვრობს თავისთვის ისე, როგორც ერთი და ორი სხვა გენერალი სპარსეთის სამსახურისა.

მე აქვე მქონდა ჭორივით გაგონილი, რომ ის სპარსეთის სამსახურში იყო და ეხლა, თეირანში მისვლისათანავე, მომაგონდა ქარიმა და მომინდა იმის ნახვა. ვთხოვე ერთ ნაცნობს ხანს, რომ თუ იცნობ ქარიმას, გამაცან, იმისი ნახვა მინდა-მეთქი. ბატონი ბძანდები, ქარიმას ვინ არ იცნობს, დღესვე გაჩვენებო, და იმას მართლა იმავე დღეს გარდაეცა ქარიმასათვის ჩემი გაცნობის სურვილი. ქარიმაც იმავე საღამოს გადამჯდარიყო ერთ მშენებელ თეთრ ცხენზედ და ორის ძმით და თავისის ამალით მომადგა ქარს, სასტუმროში. ჩინებული სანახაობის კაცია, როგორც სახით, აგრედვე მოყვანილობით: კოხტა და ნებიერი. თან ერთი ისეთი რაღაც მიწიდველობა აქვს, რომ ვინც ნახოს, შეუყვარდება. მე ძალიან მიამა იმისი ნახვა და იმ საღამოს დიდ ხნობამდე აღარ გავუშვი. ის იყო და ის. დამიმეგობრდა ისე, რომ სულ უნდოდა ერთად ვყოფილიყავით და ხშირად მიწვევდა სახლში. მითხრა, რომ „შენი, ნახვა ძალიან მიამა, მე კავკასია ძალიან მიყვარს და ვისაც იქაურს ერთი თვალს მოვკრავ, ამეშლება ხოლმე იქაური მოგონებანიო. მე ქართველებისა დიდი პატივის-მცემელი ვარ ყოველთვის და ნამეტან ქართველი თავადების სიკეთეს თავის დღეში ვერ დავიციწყებთ, იმათ ჩვენზე ყოველთვის ამაგი ჰქონდათ. იმათა ზრუნვა ჩვენს ქვეყანას თავისდღეში არ მოჰკლებია.“ ემდურის რუსებს ძალიან, რომ „მე იმათ ძალად დამაყენეს ამ გზაზედ, მე ესეთი კაცი არ ვიყავიო.“ ჰყიცავს, „არც ერთხელ, არც ფულისათვის და არც სხვა რაიმე ინტერესისათვის არცერთი კაცი არ მომიჯლავსო“, და ამას სხვებიც

ემოწმებიან. ამისი მომდევნო ძმა უფრო პირ-ქუშტი და გულ-ლრძო შეხედულებისაა. თვით ქარიმა ამბობს, რომ „მარტო ამას 400—500 კაცი ეყოლება მოკლულიო.“ მეორე ძმა უფრო სულ ახალგაზდაა და ყველაზე ლამაზი სახისა. მეორე ძმა უფრო სულ ახალგაზდაა. ქარიმამ მითხრა იმაზე ერთხელ, — „როდესაც ეს ჯერ ძალიან პატარა იყო, ბანზედ აბობლებულიყო. მამას დაენახა და დაეძახნა: აბა, თუ ბიჭი ხარ, მანდელან გადმოხტოი. ამას ეთქვა, მოვკვდებიო, მაგრამ მამა გასჯავრებოდა და ებრძანებინა კიდევა, უთუოდ უნდა გადმოხტეო: შენ თუ მოკვდები, შენს მაგიერი სხვა მეყოლება და თუ მაგეთი ლაჩარი იქნები, არ მინდიხარო და საწყალი პატარა ბიჭი ძალით გადმოხტუნებინათო“. ჟყავს ერთი თაჯღელი (ნათლუხის ახლოა ეს სოფელი) ბიჭიც, რომელმაც კარგად იცის ქართული. თვითონ ქარიმამა და იმისმა ძმებმა კი სრულიად არ იციან, გარდა ორის სიტყვისა: „გამარჯობა“ და „თავადი“.

საყურადღებო იყო ერთი რითიმე, როდესაც მე იმან პირველი სადილი გამიმართა. შევდგი ეზოში ფეხი და მარჯვნივ ერთ თავ-და-თავ ხალებით დაფენილ ღია ოთახში დავინახე ერთი გრძელი მაგიდა და გარეშამო ოცამდე კაცი. დამინახეს, წამოიშალნენ ყველანა და რე წინდებიანი მომეგებნენ. ქარიმამ გამაცნ ყველანი და მიმიწვია სუფრაზედ, რომელიც დიდი ხნის მომზადებული ჰქონდათ და ჩემს მოლოდინში ყოფილი ყვნენ. მაგიდაზედ ყველანაირი სასმელები და ადგილობრივი ლვინოები იყო მშრალ საჭმელებით. შემოჰკონდათ გაუწყვეტლივ მწვადები, ჩვენებურად გაკეთებული. აქ რომ კარგა შევნაყრდით, მიგვიწვიეს მეორე ოთახში, სადაც იატაკზე დაფენილი იყო სუფრა და გაშლილი ნამდვილი სადილი, ესე იგი ცხელი საჭმელები და ფლავი. როდესაც სადილი გავათავეთ, მიგვიწვიეს ისევ წინანდელ ადგილას; მოჰყენენ ნელ-ნელა სმასა და მასლაათს. აქ შევიტყე მე მხოლოდ, რომ ყველა, ვინც აქ სტუმარი იყო, სულ რუსეთიდან გასული ხალხი იყო. მომეტებულად განჯისა და ერევნის გუბერნიიდან. ყველა ისინი

დღეს შაპის სამსახურში ითვლებიან და იქაურს დიდკაცობას შეადგენენ. იყვნენ ისეთნიც, რომლებმაც რუსული ლაპარაკი იცოდნენ; იყვნენ პრინცები, რომლებიც სპარსეთიდან ყოფილან გაძევებულნი, იყვნენ გენერალნი, იყვნენ კაი განათლებულებიც და ერთი მათგანი უმაღლესი სწავლა დამთავრებულებიც.

თეირნიდან ერთი ეჯის მანძილზედ არის ზოოლოგიური ბალი, ამის გვერდზედაც ერთ მაღალ გორაკზედ, ზედ წვერზედ მისდევს ერთი ლამაზი სიგძის შენობა. ლამაზია ნამეტნავ შორიდან, ეს ყოფილა აგარაკსავით შენობა მეფის, უკეთუ ის ოდესმე კეთილ-ინებებს, თეირნიდან აგარაკად მიმავალი, აქ დასცვენებას.

მოგონებაზე გეტუვით, თუ როგორ სცოდნია შაპს აგარაკად ცხოვრება. გავა, ვთქვათ, თეირნიდან, გაივლის ათ თხუთმეტ ვერსის მანძილს და ჩამოხტება. აქა აქვს სასახლეები, ბაღები და ყოველი მოწყობილობა. დარჩება აქ ერთი-ორი კვირა, აიყრება მერე ისევ და გადინაცვლებს ადგილს, ეხლა ცოტა უფრო იმაზე შორს, ცოტა იმაზე მაღლა. დარჩება აქაც რამდენიმე კვირა და გადინაცვლებს კიდევ ადგილს. მისდევს ასე ცოტ-ცოტაობით და ყველაზე ცხელ დროს გაატარებს ხოლმე მაზანდარანში. ასრულე სჩადის, როდესაც ბრუნდება უკან, თეირანისაკენ. ამისათვის იმას ყველგან გზებში სჭირდება სასახლეები, სადაც კი ის მოისურვებს ჩამოხტომას ან ცოტას ხნით, ან ბევრის ხნით, ან მარტო ამალის სანაბარა და ანუ მთელის სახლობით, მოსამსახურეებითა, გამდლებით, პირისფარეშებით, მხლებლებით და მონებით, რომელთა საზოგადო რიცხვი დღეს, როგორც ამბობენ, 3000 სულიდან შესდგებაო. აქედან წარმოსდგება ოვით იმ სასახლეების ესეთი საშინელი სხვა-და-სხვანაირობა: ზოგი პატარაა, ზოგი მეტის-მეტი დიდი, ზოგი უფრო უბრალო და ზოგი ძალიან ლამაზი და ყოველისფრით მოწყობილი. ერთი ძათგანია ის სასახლეც, ზევით რომ დაისახელეთ, ხოლო ნამდეილად როგორი დანიშნულება აქვს, ძნელი სათქმელია. სახელად „დოუშან თაფეს“ ეძახიან.

ამის გვერდზედ არის, როგორცა ვთქვი, ზოოლოგიური ბალი. ბალი კაი მოხრდილია. შესავალშივე დგას ერთი დიდი მკეიდრი შენობა, რომელიც უჯრა-უჯრადაა დაყოფილი. აქა ჰყავთ ცხოველები, მაგრამ ძალიან ცოტა.—სულ იყო, როდესაც მე ვნახე, ორი ლომი, ორი დიდი ჯიქი, ორი ვეფხვი და რამდენიმე მაიმუნი და დათვი. გარჩევა ისა აქვს ევროპულ ზოოლოგიერ ბაღებთან, რომ აქ ეს ცხოველები თავისავე ჰავაში არიან და ისეთი ფხიზელი და მაღაზი სანახაობა აქვთ, თითქოს თავის ნებად მინდვრად არიან გაშვებულნიო. აქვე, ცოტა მოშორებით არის სამ-სართულიანი სახლი, სასახლე მეტისა. როცა ინტებს ის აქ მობრძანებას, ამ დარბაზებში განისვენებს. ლირსია ნახვისა ამ სახლში ძირის სართულის სარკის ოთახი. შუაზედ შადრევანი აქვს და ევროპული ავეჯეულობით არის მოწყობილი. წინ ეზოში ერთი აუზია ყვავილებით მორთული და ამის ზევითაც მაღლობზედ გამართულია მეორე ძალიან დიდი აუზი. გზა თეირანიდან ამ ბალამდე და იმის იქითაც ათ ვერსამდე ძალიან კარგია. განივრად არის გაჭრილი, ორივე მხარეს არხები ჩამოუდის წყლით საესე და არხის თრივე პირზედ ორ-ორ პირად ჩაყოლებულია საჩრდილობელი ხეები.

ერთ დღეს მითხრეს, შაპი უნდა შემოვიდეს ხვალ ქალაქში, აგარაკიდანა ბრუნდებათ. მე გავაფრთხილე ჩემი ბიჭი და ვუთხარი, რომ ხვალ დილით აღრე სულ იმ ქუჩაზედ იყავ და როდესაც დრო იყოს, მოდი, შემატყობინე-მეთქი. მეორე დღეს, ასე, 12 საათი იქნებოდა, გაველ შეც ლალაზარის ქუჩაზედ, საიდანაც შაპი უნდა შემობრძანებულიყო. აქ ერთი სომხის დუქანში ვიშოვე ადგილი შიგ თოვხანის ჭიის კარის შესავალში.

ვნახოთ, გაჩნდა საიდანაც ერთი დაბალ-დაბალი, ახლად წვერ შემოხვეული, ყვიციანი ბიჭი და თვალი არ მომაშორა, ამხედა და ჩამხედა. როცა კარგა დამათვალიერა, ნელ-ნელა მომიახლოვდა და ბოლოს ჩემს გვერდზედ ჩაცუცქდა. წამავლო პატარაზანს უკან წალის ჭვინტზედ ხელი და მკითხა: „კნიაზ-ჯან! ამ წალებს ქალაქში აკერვინებო“? ეს კითხვა, რასაკვირ-

ველია, იმას ნიშნავდა, რომ გამოლაპარაკება უნდოდა. მეც ვუთხარ, დიალ, ქალაქში ვაკერვინებ, მაგრამ შენ ქართული საიდან იცი-მეთქი?

— როგორ თუ საიდან! დალოცვილო, მეც ქართველი ვარ.

— თუ ქართველი ხარ, აქ რას აკეთებ?

— აქ ხარაზადა ვარ, რა ვიცი, ეს მოხდა ჩემი საქმე.

— კარგი-და, შე კაი კაცი, თუ ხელობაც იცი, განა ხელობით იქ კი ვერ დაირჩენს კაცი თავს, აქ რა მოვარბენებდა. იმინ ერთი უფემურად ჩაიცინა და მითხრა: „კი არ გამოვიქეც, გამომაქტიესო“. აღმოჩნდა იმისი ლაპარაკიდან, რომ რაღაც საქმეში რეულა, ციმბირში გაუგზავნიათ და ეს აქ გამოპარულა.

ამგვარი ხალხი აქ საზოგადოდ ბევრია, ვინც საიდან გამოიპარება, აქ მოიკიდებს ბინას. ესეც ისეთი თავისუფალი ქვეყანაა ამ მხრივ, რომ კაცი არ არის ჰერიტოს მოშველელს თუ წამსვლელს, ვინა ხარ, ანუ რისთვის მოსდიხარო და სცხოვრობენ თავისათვის არხეინად; ისე არიან, როგორც შინ, როგორც თავის საკუთარ სახლში.

რასაკვირველია, არც გვარი მითხრა თავისი, არც სახელი და რამდენიც დავვკითხე, რა საქმეზედ იყავ გაგზავნილი-მეთქი, სწორე მასუხს არ მაძლევდა, მოპყვებოდა და ჩამომითვლიდა მაშინდელ მეკობრეთ, რომელნიც იმის საქმეში რეულან, უნდოდა გადაკვრ-გადმოკვრით მივეხვედრებინე: „იცნობ ამასა და ამას, იცი რა საქმეზედ იყო გაგზავნილი? იცნობ მაენსა და მავანს, იცი რა საქმე ჩაიდინესო“?... უუყურე, უუყურე და მერე შეუტიყე: თუ გინდა სწორეთა თქვე, თუ არა-და, რას მიედ-მოედები-მეთქი. შენ ხომ არა გვინია, რომ მეც იმათი ამხანაგი ვიყავ და ციმბირიდანა ვარ გამოქცეული? აბა საიდან მეცოლინება-მეთქი. იმან ერთი გულიანად გადიხარხარა და მითხრა: „უკაცრავად, კნიაზო! მაგრამ სანამ თეირანში იქნები, მე შენ არ მოაშორდები; მიბრძანე, შენი სულის ჭირიმე, რაცა გნებამდეს და მე შენი ყურ-მოჭრილი ყმა ვარ: ეგ არა-

ომ ეხლა გაგაჯავრე, ახლა ხვალა მნახეთ რა ბიჭი ეა-  
რო” და გადახტა და გაიქცა. როგორც მე იმას დავაკირდი,  
ის ქართველი არ იყო, უფრო თათარსა ჰგვანდა, საქართვე-  
ლოში დაბადებულს.

მე ისევ ქუჩაზედ ვიყურებოდი, ხალხი ბუზივით ირეოდა.  
ჯარები და მოხელეები აღიად-ჩამოდიოდნენ, ყველა ლაგდე-  
ბოდა. არ გასულა სულ სამი წუთი, ამ დუქანში შემოვიდა  
ერთი სხვა კაცი. დუქნის პატრონშა მისთავაზა სკამი და ჩემს  
მახლობლად დაჯდა. შეხედულობით სპარსელსა არა ჰგვანდა:  
რაღაც მშვიდი, წყნარი და სასიამოვნო სახე ჰქონდა. ევრო-  
პულად ეცვა და ქუდიც გარიბალდის ქუდის მაგვარი ეხურა.  
ხნით 45 წელიწადს იქნებოდა მიღწეული. მცირე ხნის შემ-  
დევ წამოდგა ადგილიდან და ბოდიშის მოხდით მომიახლოვ-  
და. რუსულად ლაპარაკობდა.

— ეგ თქვენი ტანისამოსი ჩვენი ძველი ქართული ფორმა  
არ გახლავთო?

დიალ-მეთქი და სანამ მე შევეკითხებოდი, საიდან თქვენი  
ძველი ქართული-მეთქი, იმან ზედევ დაყოლა:

— გუშინ მოგყარით პირველად თვალი. მე და ერთი ჩე-  
მი ოსმალელი ამხანაგი მოვდიოდით და კიდეც გამოვიშვირე  
თქვენსკენ თითო! იმას დავანახვე და ვუთხარ, რომ ეგ ჩვენი  
ძველებური ტანისამოსია.

აქედან შეჰყვა ჩვენი ლაპარაკი, საიდანაც მე ვიცან, რომ  
ის ქართველია, ოსმალეთის მოხარჯე და სტამბოლში სცხოვ-  
რობს. საჩმუნოებით მუსულმანია და ოსმალეთის მთავრობი-  
საგან ნამსახურობისათვის დაჯილდოებული. იმერეთისაკენ შე-  
მოუვლია ორჯელ-სამჯერ, როგორც ქართველს. ყოფილა ტფი-  
ლისში გამოძიებაზედ ოსმალეთის მთავრობისაგან გამოგზავნი-  
ლი, როგორც რუსული ენის მცოდნე, როდესაც აქ, მტკვრის  
პირის კუჩაზედ მოკლეს ოსმალეთის კონსული. ყოფილა აგრე-  
დვე სამსახურისა გამო დანიშნული პეტერბურგს, სადაც რუ-  
სის მთავრობისაგანაც ერთი ჯილდო მიუღია. მიამბო აგრე-  
დვე, რომ იქ, ჩვენში ქართველობა კარგა დაწინაურებული

არიან, თუმცა ცოტა-და მოსდგამთ მათ ქართველობისამ. ღი-დად შიღებულია სხეათა შორის პრინცი (ბატონიშვილი) და-დიანი, ყორჩიბაშიც და ერთიც კიდევ ვიღაც თავადი, რომელ-საც უფრო მეტად აქებდა და რომლისაც მე გვარი დამავიწყდა. როდესაც მე იმას თავის შთამომავლობაზედ დაველაპარაკე, გა-ბედვით ერას ამბობდა: ხან სიტყვებსა ჰყლაპავდა, ხან ლაპა-რაკის საგანსა სცვლიდა. სოქვა, რომ ამ 150 წლის წინად ჩვე-ნი წინაპარი ხელმწიფის ტოლი (თუ მოადგილე) კაცი ყოფი-ლა, მთელი მცხეთა იმათა ჰკუთვნებიათო... ბოლოს რაღაცა უსიამოენობა გამოჰქონდათ, დევნა დევწყოთ, დევკრა იმასაც ფეხი და ოსმალეთში გადავარდნილიყო. როდესაც გვარი ვკი-თხე, თქმა აუ უნდოდა და ასე მიპასუხა: მაშინდელი მე აღარ მახსოვს და ეხლა ოსმალეთში კიდევ გვარების ტარება არ ვი-ცითო და თან კი ჩუმად წამომჩურჩულა სახელი—ერეკლე ხა-ნიო.

ამ დროს ხალხში ძალიან ხმაურობა ასტეხს: შაპი მოდის, შაპი მოდის! მე ჩამოვართვი ხელი ერეკლე ხანს, მივე ჩემი ადრესი და სულითა და გულითა ვთხოვე, რომ სანამ აქა ვარ, ძალიან ხშირ-ხშირად შემომიარეთ, ან ავს ვიტყვით, ან კარგს; თქვენც მარტო ხართ, მეც, თქვენც უცხო ყოფილხართ აქ და მე ხომ სულ გამოვყრუვდი მარტოობითა-მეთქი.

ამის შემდეგ ორჯელ მოსულიყო და არც ერთხელ შ.ნ არ დავხვდი და ისე გაველი თეირნიდან, რომ მხოლოდ ერთ-ხელ შემხვდა ქუჩაზედ. როდესაც უკან დაბრუნებაზე თეირან-ში მოველ, პირველი ამას შევეჯახე. დიდად გაუხარდა: გამა-ჩერა, მომიკითხა და მომიყვა ლაპარაკს.— ეხლა სპარსეთის სამსა-ხურში შეველ. ერთი კვირა პოლკოვნიკად ვიყავ და ერთი კვირის უკან შაპშა გენერლობა მიწყალობა. ეხლა სულ აქა ვარ და რაც გნებავს დამავალეო. თანაც ადრესი მთხოვა, რომ ხვალვე მოვალ შენთანაო. მოსალაპარაკებელი საქმეები მაქვს: მე აქ დიდ ხანს ვერ გავჩერდები, მინდა ერთი სახლი ვიყიდო ან ბაქოს, ან ტფილისს და გამოვსახლდეო. მე ძა-ლიან დალლილი ვიყავ, კარგა ვერ გამოველაპარაკე. ადრესიც

ვერ ვუთხარ, რადგან მე თვითონ არ ვიცოდი, სადა ჰქონდა სახლი ჩემს მეგობარს, რომელთანაც მე უნდა ჩამოეშტრაზეავ. მაშინ იმან ერთი პაპიროზის მაღაზია მათხრა, იქა ვარ ხოლმე ხშირადაც, მაგრამ ვერც იმ პაპიროზის მაღაზის მრევევნით და ვერც იმისი ნაცნობი ვინმე ვნახეთ, რადგან მე თვითონ კარგა არ ვიცოდი იმისი აღრესი და მარტო ერთის სახელით, როგორც ახალი კაცი, ძნელი საპოვნელი აღმოჩნდა.

ამ ჩვენს ლაპარაკში გამოჩნდა კიდეც კარეტა შაჰისა. კარეტა მთლად მოვარაყებული იყო და სამი წყვილი ცხენი ება შიგ, წყვილ-წყვილად. კარეტას მოსდევდა ფორმის ტანი-სამოსით გამოწყობილი პოლიცია. შევიდა კარეტა თოფხანის მოედანში და პოლიცია ამ შესავალ კარებთან ქუჩის პირზედ დამწერივდა.

ნუკი გეგონებათ, რომ ეს პოლიცია რასმე აკეთებს. ესენი იდგნენ ისე, ფორმისათვის და მხოლოდ ადგილი ეჭირათ. სხვა დროს პოლიციის საქმეს სამხედრო ხალხი აკეთებს; უფრო მომეტებულად კი მანდატურნი. სხვა-და-სხვა მანდატურთ სხვა-და-სხვა ტანისამოსი აციათ, მაგრამ ყველას ხელთ ჯოხი უჭირავთ. ჯოხი სიგრძით არშინ-ნახევარი იქნება, თავი მსხვილი აქვს, როგორც ჩვენი მღვდლების ხელ-საბჯენ ჯოხსა და ეს ჯოხი მას მხარზედ აქვს გადებული. თვით ამ ჯოხებსაც სხვა-და-სხვა-ნაირი თავები აქვს: არის სულ უბრალო თავიანი, არის მოჭრელებული, არის შევერცხლილი, არის მოოქროვილიც. საკირველი იყო, რომ იმ დღეს არც ეს მანდატურნი უგდებდნენ ყურს წესსა და რიგს, არც მეომარნი. თვით სპასალარმა მიაყენა გვერდზედ ერთ ჯერად ჭუჭყიანი ხალხი, რომელიც შიგ პირველ შესავალ ალაყაფის კარებში მოგროვილიყო. საზოგადოდ არავითარი წესი და რიგი არა სუფევდა, გარდა იმ ერთი მტკაველი ალაგისა, სადაც თვით შაჰი მობრძანდებოდა: სად მეაქლემე გაარღვევდა ჯარის წყობას და გადატარებდა თავის ქარვანას, სად ჩალვადარი შეაყენებდა მომდინარე ჯარს და მიერკებოდა აკიდებულ ჯორსა და ცხენს. ვინ იყო ყურის მგდებელი?

ხალხმა რომ კარეტა დაინახა, დაიძახა, — შაპი ცხენით შე-  
მობძანდებათ. პროცესიაც თანდისთან მოვეიახლოვდა და აი  
გამოჩნდა კიდეც ერთი სპილო, კისერზედ კაცი აზის, კავიანი  
რკინის ჩანგალი უკირავს ხელთ სპილოს დასამორჩილებლად. შორიდან ისე მოჩანს, თითქა სპილოს კისერზედ მუწუკი ამო-  
ჰსვლიათ. ამას მოსდევს მეორე სპილო, მეორეს მესამე და მე-  
ოთხე. მოდიან მძიმედ, ნელის ნაბიჯით, ფილოსოფისებსავით  
და მოაპარტყუნებენ ტაბაკის ოდენა ყურებს. ეს არის ნიშანი  
შაპის ძლიერებისა. ამათ მოსდევდნენ მეფის მანდატურნი. მე-  
რე რამდენიმე ცხენოსნები — მოხელენი და აფიციები და, რო-  
გორც ეტყობოდა, ესენი სულ განკარგულების მიმცემი და  
რიგის დამცველნი უნდი ყოფილიყვნენ. მერე გამოჩნდნენ ისევ  
მანდატურნი, მაგრამ ეხლა ძალიან ბევრნი და ჯარსავით რი-  
გზედ დალაგებულნი. პირველების ჯოხები უბრალო თავიანები  
იყო, მეორეებისა მოჭრელებული და ბოლოს-ზა-ბოლოს ვერ-  
ცხლის თავიანები. ესენი ქუჩის აქტო-აქტი პირებში მოდიო-  
დნენ რამდენიმე წყებად და შუაში ცარიელი აღგილი ჰქონ-  
დათ დატოვებული. ამ დატოვებულ აღგილში, მანდატურთ  
შუა, უფრო ბოლოში მოდიოდა ერთი ცხენოსნი და მის  
შორი-ახლო ჯალათნი. ცხენოსანი წარმოადგენდა ძველებურ  
მეომარს, აბჯარ-ჩაქანით გამოწყობილს და ხელშიაც ნაჯა-  
ხი ეჭირა მალლა აშვერილი. ცოტა არ იყოს, აუშნოიანებ-  
და ეს ფიგურა პროცესის და რაღაც ტეატრალურს მასხა-  
რაობას აგონებდა. შემდეგ მოდიოდა მანდატურთ - უხუცესი  
ოქროს თავიანი ჯოხით და იმის უკანაც თვით შაპი. შევე-  
ნიერს ცხენზედ იჯდა და დინჯად, მაგრამ ძალიან კოხტად  
მოჰყავდა ცხენი. სულ უბრალოდ იყო ჩატმული. გვერდში  
ცოტა მოშორებით ახლდა ცხენითვე შვილი, ნაიბ სალთანე, თეირანის გუბერნატორი. უკან ახლდნენ ვინც კი ვინ დიდ-  
კაცობა იყო სპარსეთში სრულის მუნდირებით და ჯილდოვ-  
ბით შეჭედილნი: ამინ სულთანი, სპასალარი, ვეზირნი, გამგე-  
ბელნი, გენერალი და სხვანი. არსადა სჩანდა მხოლოდ აზიზ  
სულთანი, რომელიც შაპს განუშორებლივ გვერდსა ჰყავს ხო-

ლმე. არც ერთს თავი არ დაუკრავს, ისე ჩინარა მეფემ ამო-  
დენა ხალხში. ქულის მოხდა და „გაუმარჯოს“ ძახილი ხომ  
სრულიად არ იციან და ისე მუნჯად მიღიოდა მთელი პრო-  
ცესია, თითქო მიცვალებულს მიასვენებენო. ამათ შემდეგ მი-  
ღიოდნენ ისევ მანდატურნი ლამაზი წითელი ტანისამოსით  
და ვერცხლის-თაერანი ჯოხებით. შემდეგ მუსიკა და შაპის სა-  
ყვარელი ცხენოსანი ჯარი, რომელიც, როგორც ამბობენ,  
სულ ქურთთაგან არის შემდგარი, თავისის აღილობრივის  
სპარსულის მორთულობით კაციან-ცხენიანად. შემდეგ კვალად  
მანდატურნი, მუზიკა და ყაზახის ჯარი, რომელსაც რუსის  
აფიცრები სწროვნიან. მერე კიდევ მანდატურნი, მუზიკა და  
ნაიბ სალთანეს ჯარი, თავისის მშენებელის ტანისამოსით და  
თეთრის თაომნებით, რომელიც სულ სამოც კაცზედ მეტი არ  
იქნებოდა. მერე ისევ მუზიკა და ქვეითი ჯარი, რომელსაც  
ავსტრიის ჯარის ფორმა აცვია, და უკანასკნელად კიდევ მან-  
დატურნი და ზარბაზნები (არტილერია).

ჩემი ყურადღება მიიქცია ამ პროცესიაში ორმა გარემოე-  
ბამ. პირველი იყო ის, რომ ნაიბ სალთანეს ჯარის მუსიკა,  
სულ პატარა ყმაწვილებისაგან იყო შემდგარი და ზოგი მათ-  
განი რვა-ცხრა წლისა ძლივს იქნებოდა. მეორე კიდევ ის, რომ  
შაპის დასახვედრად გამოსულიყო ზოგი 10—11 წლის ყმაწვი-  
ლი სრულის მუნდირით, პოლკოვნიკის ჩინით და ზოგი მათ-  
განი ჯილდოებითაც. როდესაც მე ვიკითხე, ეს რას პიშჩავს-  
მეთქი და მივუშვირე ხელი ერთ პარია ყმაწვილზედ, მითხრეს  
მაგას მამა ჰყავდა მაგ ღირსებისა, დიდად დამსახურებული და  
როდესაც ის მოკვდა, შაპის იმისი აღგილი მაგას მისცა თავისის  
ჩინითა და ჯამაგირითა, რომ სახლობა უნუგეშოდ არ დარჩომი-  
ლიყო. რასაკვირველია, მაგას არაფერი შეუძლიან, მაგის მაგიერ  
საქმეებს სხვები ასრულებენ, მაგრამ სახელი კი ყველგან მაგისია  
და ეგვე უნდა დაუხვდეს შაპისა. ეს ჩვეულება, აღნად, ამითი აიხს-  
ნება, რომ როჭიერის<sup>1)</sup> მიცემა არ იციან და რომ ულუქმა-პუ-  
როდ არ დასტოვონ დაობლებული ოჯახობა, ასე იქცევიან.

\* ) როჭიერი — პენსიი.

ჯარებში ყველაზედ უკეთესი იყო ქურთების რაზმი. მშვენიერი გმირული შეხედულობის ვაჟკაცნი, თითქოს განგებ და ურჩევიათო. არა უკირს-რა აგრედვე ყაზახის ჯარს და ნაიბ სალთანების, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ვთქვით, სულ 60 კაცი ძლიერ იქნება. რაიცა შეეხება ქვევითა ჯარს, სწორედ რაღაც სამასხარო იყო, თოფის ჭერა არ იცოდნენ და სიარული, ისე მილახლახლახებდღნენ, როგორც ბეჭებ-დამტვრეული ბატები.

დისციპლინა ხო—რა მოგახსენოთ. ერთს რომ მხარზედ ჰქონდა თოფი თასმით ჩამოკიდებული, მეორეს ილლიაში ამოებარა, მესამეს სახრესავით ზურგზედ მოედო და ხელები გე-ეყარნა, ზოგი ისე ხელში ათამაშებდა, ზოგს თავდაყირა ეჭირა, ზოგს როგორ და ზოგს როგორ. ფეხის აყალება სიარულში, ვვონებ, ერთმაც არ იცოდა. ერთი რომ მიდიოდა, მიღილინებდა, მეორე გვერდით თავის ნაცნობს მიიყოლებდა და მიელაპარაკებდა, მესამეს თოფი ამხანაგისათვის მიეცა, თითონ რიგობიდან გამოსულიყო და ვიღაც ჩალვადარს ესაუბრებოდა.

აქედან წარმოიდგინეთ ამათი დისციპლინა: აფიცერმა შენიშვნა მისცა ერთს სალდათს, თოფი სწორედ დაიჭირეო. ის მიუბრუნდა და შეტევით უპასუხა: ასე მეჭიროს თუ ისე, რა საქმე წახდება, ამის მეტს ველარასა ხედავო. ეს თოფი ჩემია, როგორც მინდა ისე დავიჭირო, და ჩაკერინდინა ხმა თავის უფროსს.

მოგახსენებენ ცოდვილი ხალხნი,—ვითომ, შაპი არაფერ ხარჯს არა ჰეოგავს საზოგადოდ ჯარისათვის, მაგრამ იარანლები ფულებს ჯიბბში იდგენ და ჯარს არ ინახავნო. როდესაც საჭიროა შაპის წინაშე ჯარის წარდგენა, მაშინ, იმ შემთხვევასათვის 5—10 კაპეკად მუშებს ჭირაობენ, მუნდირს აცმევენ, თოფს აძლევენ ხელში და აბა რა ეცოდინება ხავ ხალხსაო. მე ამების განხილვაში ვერ შევალ, რასაკვირველია, და არც თუ ჩემი საქმეა, მე მხოლოდ ის ვნახე, რომ ჯარს სპარსეთისას მხოლოდ სახელი ჰქვიან ჯარისა და 100 კაცი,

ევროპულად გაწერონილი სულ კუდით ქვას ასროლინებს, მთელს იჩანის არმიას თავისის არტილერიით გარდა ქურთთა კხენოსანი ჯარისა.

მეორე დღეს სალამოს გამართეს შილინგი<sup>1)</sup> პატივად შაპის მობრძანებისა. შაპის სასახლის გვერდის კარის ბჟის წინ იყო გამართული ერთ პატარა მოედანზედ. დიდი სამზადისი ჰქონდათ: კედლებზედ ყველგან ხალები ჰქონდათ ჩამოკიდებული; რა მშვენიერი ჭალები, ლამპრები, კანდელიაბრები იყო აქ ანთებული! რა შუშხუნები არ აუშვეს, რა ფეიერევერები არ დაწვეს. სპარსელებს ეს ხელობა კარგა სცოდნიათ. უყვართ კიდეც ძალიან ამისთანა გასართობი. დიდ ძალი ხალხი იყო მოგროვილი, ნემსის ყურწი არ ჩავარდებოდა, როგორც იტყვიან.

პირდაპირ ერთ მაღალ დერეფანში შაპის სასახლისა დიდ ძალი დედაკაცობა ისხდა და უფრო იმათზედ მეტი კიდევ ფეხზედა ტრიალებდა. აქვე შემოვიდა ერთ ჯერად შაპი. მე ვიკითხე, ეს რას პნიშნავს, შაპს სტუმრობა აქვს გამართული-მეთქი? „ეგ სულ ცოლები არიან და რაც მაგათ გამდელები, პირის-ფარეშები, მატრაკეცები და სხვა ათასი მოახლეები ჰყენან, ისინიც რო პნახო, მაშინ რალას იტყვიო!“ მიპასუხა ერთმა ჩემმა მეგობარმა.

<sup>1)</sup> შილინგი — საზოგადო მნიარულება, როგორც ილლიუმინაცია (ტოპ-ჟესტერ).

თუირანიდან ისპაანამდე და ქადაქი ისპაანი.

პანძილი.—ბიჭის—ბიჭი.—ჯორიდან გადმოგარდნა.—პოლი-  
ტიკური საუბარი ერთ სპარსელ აფიცერთან.—მუქთა ხორა-  
ნი.—ჩეოში ჯდომა.—ერთი პატარა ტბა.—ქარგასლა-სადგუ-  
რი.—ემაზზადე ჰაზრათ მასსუმისა და მისი სასწაულთ-მოქმე-  
დებანი.—შმინდა ქალაქი ყუმი.—პატივი და სახელი ყუმელი  
კაცისა.—სიიაფე ხილისა.—სემსენი და ფლიდობა ჩემი ბიჭი-  
სა.—ქალაქი ქაშანი და მისი მზეშველობა.—ყურუდის გადა-  
სავალი.—შრომა და მოხერხება სპარსელისა.—გაცნობა ყოვ-  
ლად სამღვდელო, სპარსეთისა და ინღოვთის სომეხთა არქი-  
ეპისკოპოზის ისაისისა.—ამბავი აზარფეშაზედ.—ამბავი ერეკლე  
მეფის ერთი გალაშქრებისა.—საზერე სპარსეთისა.—უპირატე-  
სობა ისპაანისა ირანის სხვა ქალაქებთან.—შაჰაბაზ პირველი  
და მისი საყვარელი ისპაანი.—ხილები შაჰაბაზისა.—ნაშთნი დი-  
დებულ მეფეთა სასახლეებისა.—მოძრავი მინარეთი „ჯომჯო-  
მი“.—მოკითხვა ქართველების ამბისა.—მღვდელი ტერ-გალუს-  
ტა.—პირველი შეხვედრა ჩემი და სპარსეთის ქართველებისა.—  
ზამთარი ისპაანში.—ზილლი სულთანი.—მისი შეთქმულობა  
ჰუსეინ ყული ხანთან.—დასჯა შეთქმულთა ნასრედდინ შაჰის-  
მიერ.—ყურბანის დღესასწაული.

თეირანში ვიცხოვრე თითქმის თვე ნახევარი. ამდენი ხა-  
ნიც არ ვაპირებდი იქ დარჩომას, რადგან მინდოდა, ვიდრე  
ზამთარი მისწრობდა, დროზედ ქართველობაში გადაესულიყავ,  
მაგრამ წამიტყუილა სპარსეთის პაეამ. ისეთი უდიერი სიცხეები  
იდგა თეირანში თვით ღვინობისთვეშიაც, რომ ვიფიქრე, სჩანს,

აქ საიმისო ზამთარი არ ეცოდინება და ყველაფერსაც დრო-  
ზედ მოვასწრობ-მეთქი.

როდესაც შეეტყოთ ზოგიერთებს, რომ მე თეირანიდან  
გავლიოდი და გზაში კაცი მჭირდებოდა მოენედ, სამნი-ოთხნი  
მოვიდნენ ჩემთანა და მთხოვეს: მე გიახლებით, ჯაშაგირი არ  
მინდა, ოლონდ ხარჯი თქვენი იყოსო. მე ამათ არავის არ უ-  
ცნობდი და, რადგან მესროფა უკვე ერთი თვის ნამსახური იყო  
ჩემთან და საიმისო ჯერ არა შემემჩნია-რა, ყველას უარი ვუ-  
თხარი და ისევ მესროფას წაყვანა ვირჩიყ.

გაუურიგდით ჩალვადრებს, გავისტუმრეთ წინ და მე და  
ჩემი მესროფა წავედით რკინის გზით, რადგან გზა შაპაბდულ-  
აზიმზედა გვქონდა; იქიდან კი ჩალვადრებს უნდა შევერთებუ-  
ლიყავით. გასავლელი იყო ისპაანამდე 12 სადგური.

მივედით პირველ სადგურზედ და მოვიწეოე ბიჭი ჩემთან  
ჰურის საჭმელად, მაგრამ მითხრა, მიირთვით თქვენ და მე  
მერე გიახლებითო. პატარა ხანს უკან ვნახე, იჯდა ჩემი მეს-  
როფა ჰურის ჭამაზედ და გვერთ მოესვა შემაქცევრად ერთი  
ვიღაც ახალგაზდა ყმაწვილი. შემდეგში, როდესაც მე ვკითხე,  
ვინ იყო ის ახალგაზდა ყმაწვილი, შენ რომ მოვეპატიქნა-მე-  
თქი, —მიპასუხა:

— ის ჩვენია, სომებია, უმოწყალეო ლარიბია. არავითარი  
ლონისძიება არა ჰქონდა ისპაანში წასასვლელად და მე ვიკი-  
რე. ეს ხომ ჩვენ ორნი ვჭამთ ჰურს და, სულ ერთია, ერთიც  
რომ მოგვემატოს, ხარჯს საიმისო განსხვავება არ ექნება.

— ჩვენი დარიბი სომხობა ბევრია და შენ რომ ყველა  
გზაში აიკიდო, ავიტანთ ხარჯსა?

— არა, ბატონ! ეგ ერთი თორე, მე სხვებთან რა საქმე  
მაქვს. მაგან სწავლა დაასრულა თეირანში ინგლისელების სკო-  
ლაში და საქმე ვერა იშოვა-რა. მისულიყო ჩვენს ვართაპეტ-  
თან და იმასაც ეთქვა: წადი ისპაანს, მეც ეხლა იქ უნდა მო-  
ვიდე და იქ გიშოვი რასმეო.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ შენ მაგეთი მაღლიანი და  
ჩეილი გულის პატრონი ჰყოფილხარ, მაგრამ უნდა იქვე გვ-

თქვა ჩემთვის თუ არა? ეხლა რომ მე ეგ არ ვიყისრო, ხო შენც  
შერცხვი და ეგეც უფრო მეტს გაჭირვებაში ჩაგდე, მაშინ რას  
აპირებ?

— თქვენ მაგას არ იზამთ, განა არ ვიცი თქვენი ხასიერო.

და მხოლოდ შემდეგში შევიტყე, რომ ამას ის თავის მო-  
სამსახურედ წამოეყვანა. მთელი გზა ისპაანამდის, რასაც მე მე-  
სროვასა ვსაქმებდი, ის იმას უბრძანებდა. რომ იტყვიან: ბა-  
ტონმა ყმას უბრძანა, ყმამ მოსამსახურესაო, სწორედ ისე. სპა-  
რსეთში ძალიან არის მიღებული ამგვარი საქმე. თქვენ რომ  
ერთი მოსამსახურე გყავთ, ის თავის მორჩილს გაიჩენს, თორე  
იქნებ იმ მეორემაც კადევ სხვა ბიჭი იშოვოს თავის ხელ-ქვევი-  
თად.

აქედან ძალიან ადრე უნდა გაესულიყავით, რადგან ათი  
ეჯი მანძილი გვქონდა ერთჯერად გასავლელი. დღით სიარუ-  
ლი არ გვინდოდა, ჯერ ისევ დიდი სიცხები იყო და პირველ-  
სავე მობინდებაზედ შევუდექით მომზადებას. საშინელი სიბრე-  
ლე იყო, მთვარე გათენებისას ამოდიოდა; ამოვარდა თანაც ისე-  
თი ცივი ქარი, რომ ყველას ბაბანი დაგვაწყებინა; ქვეყნის ქვი-  
შასა და მტვერს პირში გვაყრიდა და ტანისამოსს ტანიდან გვა-  
ძრობდა.

ჩემთვის ამ სალამოს სხვა ჯორი შეეკაზმათ და მე მხო-  
ლოდ მაშინ შევნიშნე, როდესაც ქარვანა უკვე გასული იყო და  
მე და ჩემი ბიჭიც უნდა იგჩერებულიყავით, რომ იმათ წამო-  
ვწეოდით. პირველ შეჯლომაშივე რაღაც უსიამოვნობა განაც-  
ხადა ჩემმა ჯორმა, მაგრამ დავამშვიდეთ, როგორც იყო, შევ-  
სხედით და გამოვეკიდენით უკან ქარვანას. გზაში ერთი-ორ-  
ჯელ რაღაზედაც შემიტხუკუნდა და გვერდზედ გამიხტა. როცა  
დავეწიენით, ჩავლადარს ვუსაყველურე, რომ ეს ცუდი ჯორი  
შეგიკაზმნია-მეთქი; მან დამარწმუნა, რომ მე ვანგებ გამოგი-  
ცვალე, რაღაც ეგ უფრო ფხიზელი და მასიმოვნებელია. არ  
გასულა სულ 15 წამი ამ ლაპარაკის შემდეგ, დაფთხეა რა-  
ღაზედაც ეს ჯორი, გაძრა გვერდზედ, გადახტა გზის არხზედ  
და გამიტაც მინდოოში. ავუკრიბე აღვირი და მოვწიე, რაც

კი შემეძლო; მე ჩემსასა ვცდილობდი, ის თივისას არ იშლიდა—მირბოდა და მიიქნევდა ძალაზედ თავს, რომ ხელიდან გაშშვებოდა. მერე ერთბაშად კალხზედ შედგა, დაიქნია ლონიერად თავი და ისეთ კისრულზედ წამომილო, რომ ასტმით ასაფხეყი გამხადა. ამავე ღროს ჯორს უნაგირი ჰედ კასერზედ მოექცა. ამას, რასაკვირველია, ხუობდა და უფრო მეტად მოჰყვა თავის ქნევას. რამდენიც თავს დაიქნევდა, უნაგირი უფრო რო წინ მიდიოდა, გარსაყრი ფეხებში ედებოდა და ბოლოს ისიც კისერზედ გადაგორდა. რო წამოვდევ, ტკენა ვიგრძენ გულისა, გუნება მომეშალა; ახალობი ორგან გამხეთქოდა და საათი სალასავით გაბრტყელებულიყო. აღმოჩნდა, რომ წინა ღამეს ჩავლადარს ჩემი უნაგირის საძუე დაეკარგნა და გარსაკრებიც კარგა არ მოეჭირებინა.

სანამ მე წამოვიბამბდვლებოდი, მანამ ჯორს მომიმზადებდნენ, ქარვანას კარგა გაესწრო, მე უარი გამოვუტხადე იმ ჯორზედ შეჯდომისა და ჩავლადრები გაეჩქარნენ, რომ სხვა ცხენი ან ჯორი მოეყვანათ ჩემთვის. ვნახოთ, ამ ღროს ახლა სხვა ჯორი დაფთხეა რალაზედაც, მოისხლიტა ხელად ზურგიდან კურტანი თავისის ბარე-ბარეანით და მოუსო მინდერად ჯეირანივით. გააჩერეს მთელი ქარვანა, ურეკეს ზარი, უხებევინეს: თითონ მოვა, ქარვანას არ დაჰქარგავსო! მაგრამ ამაოდ, განცქრა როგორც მოჩვენება. მაშინ კი იკალრეს ჩავლადრებმა და ზოგი ცხენით, ზოგი ჯორით, ზოგი ქვევითად, გამოეყიდნენ საძებნელად. ამ ხანობაში გამიშალეს ზოგიერთმა მგზაერებმა მიწაზედ საბნები და იმ ქარში, ზედ გზაზედ გამომაძინეს სრული ორი საათი. ვიდრე ჯორს დაიჭერდნენ. მაგრამ ვერც-არა ამ ძილმა მიშველა და გზაში ორჯელ მომცა სიცხე. ისე ვიჯექ მთელი გზა ცხენზედ, არა მეუყრებოდა-რა. მეორე დღეს ძლიეს ჩამომილეს ცხენიდან. საღურზედ მისვლის უმალვე ვავახსნეინე ბარგი და ამოვილე სასაქმებელი წყალი და ქინაქინა. დავიბარე ჩავლადარი და გამოვუტხადე, რომ ცხენზედ ჯდომა არ შემიძლიან და ყუმამდე ან ჩეთ ან ჭართლი უნდა მიშვეო და ყუმშიც ერთი დღე და ღამე მეტი უნდა დარჩეს სანამ მე კარგა არ შევიქნები-მეთქი.

სალაშონ ხანს გამოველ ცოტას ხნით კარზედ, ქარვასლა დავათვალიერე. მშვენიერი რამ იყო: უშველებელი დიდი, სუ-ფთა და ყოვლის ფრით მოწყობილი. გვერდში რაღაც პატა-რა ბალი მოჩანდა და გადუხვიე იქით. იქ შემხვდა ერთი სპარ-სელი ყმაწვილი კაცი ისმ.—ხ.—ჰოს.—ხანი, ასე—30—32 წლისა იქმნებოდა. სასიამოვნო სახის კაცი იყო, სუფთად ჩა-ცმული და ეტყობოდა, სახელმწიფო სამხედრო სამსახურში უნდა ყოფილიყო. დამინახა, სალაში მომცა და დამელაპარაკა. მეც სალაში მივე და ვუთხარ, სპარსული ლაპარაკი არ მეყუ-რება-მეთქი. მივიარ-მოვიარე, ისევ ჩქარა შემოვბრუნდი და წამოვწერ.

არ გასულა ნახევარი საათი, მოვიდა ერთი პატარა ბიჭი და მომიტანა მშვენიერი ბროჭეულები, წვრილი კიტრები, ნე-სვი და ქართული ბაღრიჯნები. ვიკითხე, რა ამბავია-მეთქი და იმან მიპასუხა: ეს, წერან რომ ბაღში კაცს ენახეთ, იმან მოგართვათ და თითონაც გიახლებათ ოქენს სანახავადაო. მა-რთლაც, რამდენიმე წამის შემდეგ თითონაც მოვიდა და ერთი პარკუჭა სპარსული ხმელი ხილი შემოიტანა. მე ბოდიში მო-ვიხადე, ავადა ვარ-ვეთქი და ჩემი ბიჭი მიეუჩინე.

— მე ეკროპელნი ძალიან მიყვარან და საღაც კი შევ-ხდები, მინდა ხოლმე უთუოდ გამოველაპარაკა, ეგების ცო-ტაოდენი ჭიკვა ვისწავლო იმათვანაო,—ასე დაიწყო იმან თა-ვისი ლაპარაკი, შემდეგ ათასი მოკითხვისა და ბოდიშის მო-ხდისა.

— მერე, ვერა ჰერდავთ, ეგ ეკროპელნი რას ვიპირებენ: ერთი ერთის ხერიდან მოგწოლიათ, მეორე — მეორე მხრიდან, ლამის არის სული ამოგხადონ და რაღად გიყვართ-მეთქი.

— იმისათვის რომ ისინი ჭიკვიანები არიან, თორე ამ სა-ქმისთვის ძალიანა მძულანო. თუმცა კიო, დაუმატა თითონვე, რად უნდა მეჯავრებოდნენ: ჩვენ თვითონ ამას ყველაფერს კარგადა ვხედავთ და, თუ ჭიკვა გვაქვს, ჩვენ კიდევ ჩვენსას უნდა შევეცალნეთო.

— მერე-და, რატომ არა ცდილობთ? მე თქვენ ცდილო-ბას ვერაფერში ვხედავ-მეთქი.

— აბა, შენი ჭირიმე, ჩვენი ცდილობა რაში უნდა გამოჩნდეს: შაჰი ზის არხეინად, კარგსა ჰსეამს, კარგსა სქამს, პატივი ჯერ კიდევ საკმარისი აქვს და ასე გაიძახის: მე მინამ ცოცხალი ვარ, ვერავინ ვერას შემომბედავს და ჩემს მერე, დევ ყველა თავისას ეცადოსო.—ამინ სულთანი ამბობს, რომ ვინც უნდა დაიჭიროს სპარსეთი, ჩემთვის სულ ერთია, მე ყველასათვის საჭირო ვარ და, თუ მეტს არა, ამაზედ ნაკლებ ჯილდოებსა და ჯამაგირს ვინ შემომბედავსო.—ნაიბ სალთანეც გაიძახის, რომ ვინც უნდა დაიჭიროს ეს ქვეყანა, იმოდენა რენტას დამინიშნავენ, რომ დღევანდელ ჩემ ჯამაგირზედ მეტი იქნება და ვაცხოვრებ ჩემთვის უზრუნველადაო.—დიდრონდიდრონი ნაზირ-ეზირნი, მხედართ უფროსნი და იარალნი ჰქვეყნ და ისებენ ჯიბე-უბეს, ვიდრე დრო უდარით, სანამ მეთაურებად არიან და აბა ჩვენთვის ვინ უნდა იზრუნოსო.

— კარგი-და, ხალხი რალას აპირებს, როცა საქმეს ასე ჰქვედავს?

— ხალხს ვინ რასა ჰქითხავს. ჩვენ ისე გვიყურებენ, როგორც პირუტყვს და თუ ვინმე რამ გაბედა, თავს გააგდებინებენ. ან კი რა შეუძლიან ხალხს, რა ხალხია? ყველა მაჯუნითა, ხაშიშითა და თრიაქითა სქდება, რომ დავიწყებას მისცეს ყოველი ამა სოფლიური ზრუნვა და შეწუხება, რომ ტკბილს ოცნებაში გაატაროს თავისი მოშამული წამები. თორე კარგა ვხედავთ, რომ სპარსეთს, როგორც ცხერის ფარებს, გარშემო შემოჰქვევიან პირდაღრენილი მგლები და გადაყლაპვეს ელამიან. და თუ სპარსეთი დღემდე ცოცხალ არს და სული უდგას მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს მგელს მეორისა ეშინიან და ერთმანეთის შიშით ფარებს ვერ შექსევიან; თორემ შენი მტერი ჩვენი საქმე აქმნებოდა.

შემოვიდა ჩემთან ამ სადგურზედ სეიედი; ძალიან სუფტა კაცი, ხნით ორმოც წელიწადს იქნებოდა გადასული. სულ ისეთი შახი-შუხიანებისა ეცა, რომ შეგეხელნა, შაჰის მეორე პირი გეორგინებოდა. მოგვიყვა თავის ამბავს: მე ქალბალაში<sup>1)</sup> ვი-

<sup>1)</sup> ქალბალა—ქერბალა, წმინდა ქალაქის შირქეშის სამარტინის საზრდვარზე.

ყავ სალოცავად, რაც მქონდა—შემომეხარჯა, წასასვლელი ფული აღარ დამჩრია და მიწყალობეთ რამეო. მე ვათქშეინ ე ჩემს მესროფას, რომ ჩვენც ძალიან შორიდან მოვდივართ, ჩვენც შემოგვაკლდა ფული და აი ავადაცა ვარ, მაგრამ მით მაინც ჩვენ თქვენსაებ ხელს არავის არ გავუწვდით-მეთქი. იმან ჯერ კიდევ შებრალების კილოზედ მორთო ლაპარაკი. არა ჰნებავ-და ხელცარიელი წასულიყო, მაგრამ როდესაც ჩვენ სულ იმ კილოზედ ვაძლიერ პასუხები, იკადრა და აიბარგა. რომელ ერთს იტყვის კაცი, რომელი ერთი უნდა არივლოს! რა სე-იედი, რა სხვა; აქ ყველა თხოულობს, ყველა მუქთა ხო-რაა. გადახედეთ ამა ერთი ამ მოლლა-ახუნდებს, თეთრად რომ თავი შეუბვევიათ და თეთრი სარტყელი შემოუჭირებიათ, რა ჯარია, რა მრავალი და ის სულ უნდა საწყალმა ხალხმა გამოკვებოს. გადაავლეთ თვალი ამ დავრიშებს, თმა-კაწაწ გაწეწილებს, ხელში ნაჯახი რომ უპყრიათ და კარდა-კარ ყველას სათითაოდ უგალობებენ; რა ჰნებავთ, რა სწადიანთ? მუქთად თავის ჩერნა და ყოველი საქმიდან კისრის გარი-დება. მაგრამ ეს ორივ გუნდი რა შესაღარებელია სეიდე-თან. ესნი ათჯერ, თორე იქნებ ოცჯერაც მეტი იყვნენ ყვე-ლა შოლა-ახუნდ-დარვიშებზედ. და ეს ამოდენა ხალხი ხელს არ ანძრევს მუშაობისათვის; ეს ამოდენა მუშა ხელი აკლდება სპარსეთს და ამოდენა მუქთა ხორა ემატება საწყალ გლეხს. დაუმატეთ ახლა ამას რა რიგად ტყავს აძრობენ ამავე საწყალ ხალხს მათი მოხელენი და მებატონენი და დამეჯანხშებით, რომ ისიც დიდად საკვირველია, თუ დღემდე მთელი სპარსეთის ხალ-ხი ჯერ კიდევ მიწასთან არ გასწორებულა. კარგი კიდევ, რომ აქამდის პირში სული შეპრია საწყალს, მაგრამ ან კი რაღა სუ-ლის დგმაა!... განა ამათი ცხოვრებაც ცხოვრებაა!!.. აბა ახლა ნახეთ, რამოდენა გლახა და მთხოვერა გამოდის თვით ამ გლე-ხი ხალხიდან. სხელან დამწკრივებულნი წეროებივით ყოველივე ქალიქის ან სოფლის მისავალში და ზედ კალთებზედ ეკანჩუ-რებიან გამვლელ-გამომვლელს. ძალიან ღვთისნიერიც რომ იყოს კაცი, სწორედ შეპბეზრდება.

რომ დენიშე ხანს უკან ჩავლადარმა შემატყობინა, რომ ერთი კაცი დავათანხმეთ, ის გითმობს ჩეოში ალაგს, მაგრამ სამ თუმან (ნ მან.) ნაკლებ არა კისრულობსო. მე შევუჩინე ერთი სპარსელი კაცი და ბოლოს ორ მანათად დავათანხმეთ. ეს ჩეო იყო სეიდებისა. ორი ძმა იჯდა შიგ. ეხლა ერთი მათგანი უნდა ჩემს ჯორზედ შემჯდარიყო და მე იმისი ადგილი დამეჭირა.

მთელი ის ერთი მანძილი, ნ ეჯი ამითი გავიარე. მოკეცილი ვიჯექ შიგ (სხვათრივ არ შეიძლება) და მუხლები ძალიან მეტკინა. მართალია, მოსვენებითა ზის შიგ კაცი, მაგრამ ძალიან საშიშია, ნამეტნავ შეუჩეველისათვის. ისე უბრალოდ, ხურჯინივით არის გადაკიდებული ცხენზედ, ხოლო იმ განსხვავებით, რომ არასოდეს ისე მაგრად ვერ ჩეკვერება ცხენს, როგორც ხურჯინი. სხედან შიგ და აღი-ჩადიან სასწორის თვლებივით. თუ ერთ-ერთმა მხარემ დასძლია ანუ სხვა დასაპალნებულ ჯორს გაეხახუნა და ანუ ცხენმა ცოტაოდენი ცელქობა დაიწყო, მორჩა — გადატრიიალდება წიმზედ და დაეშვება ძირს თავდაყირა, მშეიდობით მაშინ ცოლო და შეიიღო!

როგორც კი მოატანა გათენებამ, სეიდმა გამომიცხადა: ეხლა შენთან ჩეოში ჯდომა ალარ შემიძლიან; ეხლა გათენებულია და ვინც დამინახავს, დამკინებს, რომ მე, სეიდი ფარანგისთანა ეზივარ ჩეოშიო. შენი ნებაა-მეთქი, ვუთხარი მეც და მოვისვი გვერდით ჩემი ბიჭი. ის კი იმისეულ ჯორზედ შეჯდა და პირველსავე შეჯდომაში ჯორმა ძირს დასცა; მაგრამ კურტინიდან გადმოვარდნა არაფერია, კაცი ყოველთვის მოაწრიობს ან ერთს, ან მეორე მხარეს დაცურებას და საიმისოდ არა ეტკინებარა. ამისათვის მეც გადავწყვიტე დანარჩენ მგზავრობაში სულ კურტანზედ ვმჯდარიყავ, მით უმეტეს, რომ დიდი მანძილზედ, როდესაც ჩავლადრებს ნელის ნაბიჯით მიუდით საქონელი, კაცი უნაგირზედ მეტად იღლება, ვიდრე კურტანზედ. ორი-სამი დღის განმავლობაში შევეტვიე მეც და მერე, როგორცა მსურდა, ისე ვჯდებოდი: მინდოდა — ფეხს-ფეხზედ გადავიდებლი, მინდოდა მოვიკეცავდი, მინდოდა გვერდზედ გადაჯდებოდი.

მთელი ეს გზა თითქმის შემდეგ სადგურამდე სულ ერთი ტბის პირად მიღის. ტბა კაი მოზრდალია: სიგრძით 20—25 ვერსტი იქნება და სიგანეც მისი შესაფერი, როგორც ეს ზე-ვიდან გადახედვით ეტყობა. როდესაც უფრო ახლო ნაპირზედ ავუარეთ, ხალხში ამის შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდა. ეს ტბა სულ ამ ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში გამხდარა ესე თვალ-საჩინო და იმის წინად კი ერთი პატარა გუბე ყოფილა. ამისთანა მოვლენას, რომ ესე მცირე ხანში ესე საშინლად გა-ზრდილა და კიდევაც დღე-დღეზე სულა მატულობს, სპარსე-ლების ოცნებაზედ ნაყოფიერად უმოქმედნია და ამის გამო ყველას თავისებური ზღაპარი გამოუგონია. ასრე მაგალითად, ჩავლადრებმა მითხრეს: — „უწინ ამ ადგილას იყო მდგარი წყა-ლი ერთი პატარა გუბესავით. მაშინ ეს ჩვენ არას გვიშლიდა დი თეირანიდან ყუმს ერთ დღეს მივდიოდითო. აქ, ამ გუბის ნაპირში იყო ერთი ქარვასლაც, რომელიც დღესაც ისევ მო-ჩინს ერთ ამაღლებულ ნაპირზედათ. ერთხელ თურმე ამინ სულ-თანს ეთხოვნა, რომ ეს ადგილი და ეს ქარვასლა მე მომყიდე-თო და არ მიყიდნათ. მაშინ ისიც ამდგარიყო და ერთი დი-დი მდინარე, რომელიც უწინ ზღვაში ჩადიოდა, აქეთ მოეგდო და აი ეს ამოდონა ზღვა გაგვიკეთდათ. ეხლა აქ რვა მდინარე ჩადის და ტბა დღე-დღეზედ მატულობს. ამის გამო ყუმშა ყვე-ლა სახლები დანესტიანებულია და ცუდად იქნება ჩვენი საქმე, თუ ასე მიჰყა, სულ ხელში დაიჭერს აქაურობასაო“.

დილის 8 საათზედ მივედით საჯურზედ. ეს იყო ერთი უშველებელი და ძალიან კარგად მოწყობილი ქარვასლა. გუ-ლი ქარვასლას ჰქონდა სიგრძით 100 არშინი, სიგანით 90 არ. გარეშემო ყველა მხრიდან შემორიგებული ჰქონდა მგზავრთა-თვის თახები, სიგრძეზედ ოც-ოცი, სიგანეზედ თოთხმეტ-თო-თხმეტი. თახები კაი მოზრდილები იყო. თოთო ამ თახების ტოლა ადგილიც წინ დერეფნადა ჰქონდა დატოვებული. თა-ხებს მოსდევდა გარეშემო უკანიდან განიერი სავალები (და-

ლანები), რომლებსაც შენობის კუთხეებიდანა ჰქონდა შიგნით ეზოში გამოსავალები. შიგ შუა ეზოში იდგა აბაშბარი \*).

ეს არის. ღრმად მიწაში ჩადგმული შენობა და მიწის ზევით კაცის სიმაღლეზედ არის მთლიან ამოცილებული. შუაზედ ორად არის განყოფილი. პირველი განყოფილება, ანუ ოთახი, სადაც წყალი იქრიბება, ყოველის მხრიდან არის დაბშული. ერთგან მთლიან ერთ სიმაღლეზედ შუა ყედელს აქვს კარივით გამოჭრილი ადგილი, საიდანაც გადმოდის წყალი მეორე განყოფილებაში. ამ მეორე განყოფილებას ყველა მხრიდან ატანია კარის მაგვარი ადგილები და ჩასდევს ძირს, წყლის პირამდე, თლილი ქვის კიბეები.

მთლად ქარვასლა მკეიდრი ქვითკირის შენობაა მშვენიერის მოჭრელებული კარით. კარებში ზის მექარვასლე, არის იქვე გამართული მგზავრთათვის პატარა დუქანი და სახაიე. ხოლო, რადგან ქარვასლას ვერ დაუტევია მოგზაურნი, გარედან მიუღავთ კიდევ ფრთხედნი\*) და თვით შენობას წინაპირიც ოთახებად გადაუქცევიათ. ეს არის საზოგადო ტიპი შაპაზის ქარვასლებისა, თუმცა, რასაცირველია, წვრილ-წვრილ რამეებში ყოველთვის გაირჩევა ერთი მეორისაგან.

ამ ქარვასლის გარეშემო, 40—60 ვერსის მანძილზედ ვერა ხედავს კაცი ვერც სოფელს, ვერც წყალს, ვერც ხეს, ვერც ბალახს და გული სიამოვნებით ექსება, როდესაც მგზავრი მიატანს ამ უდაბნო ადგილებში ოაზისსავით სადგურს, ქარვასლას. აი შემოვიდა ქარეანაც. გამოიშალა ხალხი და შეუდგათ ფაციუუცი: ყველა ცდილობს უკეთესი ოთახი დაიჭიროს, უკეთესად მოწყობს. ზოგი ჰყვის, ზოგი წყლისათვის გარდის, ზოგი საცეცხლურივით რაღაც იარაღს ატრიალებს ჰაერში, რომ სამოვრისათვის ცეცხლი ჩქარა გააჩალოს. ჩავლადრები საპალნეებსა ჰელიან საქონელს და აბძენ ეზოს გარეშემო, ოთახების წინ. ზოგი ჯორი ტლინკებსა ჰყრის და ჩხეუბობს, ზოგი ეზოს ბუჩოში გორაობს და აყენებს საშინელ კორიანტელს, ზოგი კი

\* ) აბ—წყალი; აბბარ—ბედელი, ჯიროლი: აბაშბარ—წყლის საგუბარი, ანუ ყწლის შესანახვი ადგილი.

\*\*) ფრთული—ფლიგელი.

დინჯად თავის ქნევით ახრამუნებს საჭმელს და ამ თავის ქნევაში აწყარუნებს ზარებს. ზოგ ჩავლადრებს დაუდგავთ წინ ერთი დიდი ჯამფილით მაწონი ჰუცვიანი შიგ ლავაშს და ასხავენ ზედ წყალს, რომ უფრო მეტი გამოვიდეს; ზოგნი საქონელს უურვებენ და უფრო მეტს აჩხაუნებენ სამურველებსა, ტყილისის უხეირო დალაქებივით, ვიდრე საქმეს აკეთებენ. ზოგი ჯერ ახლად მოსულა, ვაღაუბამს 20—40 ჯორი ერთმანეთზედ და ერთ კალისავით ადგილზედ ატარებს გარეშემო, თითონ კი შუაზედა დგას ცირკის მხედარივით და იქიდან აძლევს რიგს, რომ რომელიმე ჯორმა ან ფეხი არ შეაყენოს ან უდროვოთ ხუნტრუცი არ მოინდომოს. ხალხი დერეფანშია გამოფენილი: ზოგნი ჩაისა ჰემენ, ზოგნი პურს მიირთმევენ; ერთგან იძინებენ, მეორეგან ლოცულობენ — ზოგი ხმა-მალლა, ზოგი გალობითაც; უვალის გარეშემო დაგრიში, ამბობს საშინელი ხმით ზეობრივ საგალობლებს და აგროვეგს ფულს; უვლიან გლახები, უვლიან სეიდედები და ჰყვლეფავენ ხალხს; უვლის მოლა და გულამოშვილის, მწუხარის ხმით მოუთხრობს ჰუსეინის წამებასა და დედაკაცებიც იწყობენ წუწუნსა და თავში ცემას.

უუში ამათი წმინდა ქალაქია. ექ არის დასაფლავებული „ჰაზრათ მასსუმი“, ქალწული ანუ უმანკო მასსუმი. მასსუმი ყოფილა ქალი ემამ მუსა-ჟაზემისა და ემამ რიზასი, რომელიც ხორასანს, მეშედები არის დასაფლავებული. ჰაზრათ მასსუმი დიდად არის მიღებული დღეს სპარსეთში, უფრო მეტად ვიდრე სხვა რომელიმე წმინდანი, ვინც კი სპარსეთის მიწა-წყალში არიან დასაფლავებულნი, გარდა ერთი მის ძმისა, ემამ რიზასი. მშეენიერი ემამ ზადე აუშენებიათ ამის საფლავზედ; ამბობენ, გუმბათი ოქროსი აქვსო. აქვე არიან დასაფლავებულნი ზოგიერთი წარჩინებულნი პირნი სპარსეთისა, აწინდელი სამეფო საგვარეულოსანი, როგორც მაგალითად, მამა და პაპა დღევანდელი შაპისა, მამად შაპი და ფათალი შაპი. დიდი სიმღიდიდრე ჰქონია შიგ, როგორც ამბობენ, ამ ემამ ზადეს, რადგან ცველა იქ დასაფლავებულთა ნივთეულობა იქვევა დაკრძალულითა; ასე მაგალითად, ყოფილა იქ სამი არა ჩვეულებრი-

ვი ფირუზი ფათალი შაპისა, რომელთაგან მარტო ერთი რამდენიმე მილიონი ლირსო (მე ვამბობ იმათ ნალაპარაკევს). ყოფილა შიგ, როგორც მიამდეს, ოქროს აგურები, ზოდები, ალმასები და მრავალი ნივთები თვალ-მარგალიტით მოჭედილები. ალბად ამისათვის უნდა იყოს, რომ ამ ემამ ზაღეს 200 ლამის მცველი ჰყავს დაყენებული, რომელთა უივილ-ხივილი და ბანიდან-ბანებზედ ხტომა და სირბილი მოსვენებას არ აძლევს კაცს მთელი დამე.

ბევრ სასწაულთ-მოქმედებას მიაწერენ ჰაზრათ მასსუმს, მაგრამ უპირველესი, რომელსაც შეპირენავს ყველა ახლად მოსული—არის ბრძათა თვალების ახილება: ბევრი შემხვდა გზაში, ჯერ ვიდრე ყუმს მოვაწევდი, ბრმა და უსინათლო, რომელნიც აქ, ყუმში, ჰაზრათ მასსუმთან მიეშურებოდნენ. თვით ყუმის მკიდრნი—ბრმანი კი ქუჩა-ქუჩა დეეცეცებიან და მოწყალებასა თხოულობენ, თითქო ჰაზრათ მასსუმი უცხო ბრმებს არჩენს და ყუმის მკიდრო კი უწყრებათ. ერთს ამისთანა ბრმასა ვკითხე, როცა მოწყალებასა მთხოვდა, შენ ხო აქაური ხარ, ემამზადე ახლო გაქვს და რატო არ ილოცებ, რომ თვალთ აგიხილოს, განა ეს კარგია, რომ დახვალ და ქვეყნას თავ-პირს აღადრი-მეტქი?

— ჰაი, ჰაი! რომ კარგი იქმნება, მაგრამ სად არის. ყოველ დღე მაგ დალოცვილის კარს ამამდის სული ჩემის სიყმა-წვილიდან და დღემდე არ გადმომხედა, არ ვიცი, რა ცოდვა მიმიძლვისო. ახლა უნდა იცოდეთ, რა განსაცდელი მოელის უბედურ ბრმას, რომელსაც კი რომელიმე წმინდანი ამათი, ვითომ თვალს აუხილებს. ჩემს თეირანში მყოფობის დროს მიამდეს, რომ, ვითომ, შაპ-აბდულ-აზიმის ემამზადეს ექხილებინა ერთი ბრმისათვის თვალი, ესე იგი, ბრმა თვალებ ახელილი ყოფილიყო, მაგრამ თვალის ჩინი არა ჰქონდა. როდესაც აქ ელოცნა, ერთბაშად ეგრძნო, რომ თვალთ სინათლე მისცემოდა და თავის გარშემო ყველაფერი დაენახა და გაერჩია. ასე მიამდეს სწორედ თეირანში. მაშინ მისხვევოდა იმ საწყალ ბრმას ალხი და სულ მთლად შემოეხიათ, რაც ტანისამოსი ჰქონოდა

და დედისშობილა გაეშვათ უბედური ბრძანება: ეს მაღლიანი ადამიანია, რომ შაპ აბდულ აზიმთა ამაზედ სასწაულთ-მოქმედება იჩინაო და, როგორც მაღლიანი კაცისა, თითო რამ ნახევი იმისი ტანისამოსისა, ყველას წაელო თავის სახლში.

გასაოცარია სწორედ, რა დიდალ მიცვალებულებს მიეზიდებიან სხვა-და-სხვა აღილებილან იქ დასასაფლავებლად. როდესაც გზაში პირველადა ვნახე ერთი ამისთანა კუბო, ძალიან გამიკვირდა. კუბო საშინელი ვიწროა, გარედან ზედ ჩამოცმული აქვს შეკერილი ნაბილის ბუდე და გადაკიდებულია წყვილ-წყვილად ჯორებზედ. მერე რაღ მიაქვთ და მიეზიდებიან იქ? იქნება გგონიათ, რომ შიგ ემამზადეში ანუ მის კარმიდამოში დაასაფლავებენ? სრულიადაც არა. ერთი დღე იქნება კუბო იქ დასვენებული; ის არის მისი პატივი და დიდება და მერე კი გაიტანენ ქალაქ გარედ და ჩატფლავენ საზოგადო სასაფლაოზედ.

არის აქ ბევრი სხვა ემამზადეებიც, მაგრამ მათ არავითარი სასწაულთ-მოქმედება არ გამოუჩენიათ და ისე უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. ამბობენ 60—80 ემამზადე იქნება მარტო აქაო, რომელთაგან ზოგი მეჩითსა ჰგავს, ზოგი გოდოლს და ყველას კი გუმბათი აღგა თავზედ. ქალაქი ამ პაზრით მასსუმის ემამზადეს გამო წმინდა ქალაქიდ არის აღიარებული და „ბასტაა“: ვინც უცხო ვინმე (სხვა აღილს მცხოვრები) მოასწრობს, თავის შეფარების იგი ამ ქალაქში ხელშეუხებელი იქნება მართლმსაჯულებისა და მდევნელთაგან.

თვით ქალაქი ნამდვილი ტიპია ირანის ქალაქებისა. ერთი პატარა მდინარის ნაპირზეა გაშენებული, გარს სკირის გალავანი არტყავი; სახლები მინგრეულ-მონგრეული, ქუჩები ნანგრევებით სავსე, წვრილი და ძალიან მიხვეულ-მოხვეული. ქალაქი ძალიან ძველია, როგორც ეტყობა, რაღან ერთი ათჯერ მაინც ექმნება აღვილი გადანაცვლებული. ეხლა ქალაქი ზედ მდინარის ნაპირზედა დგას და, როგორც ნანგრევებზედ ეტყობა, უწინ კაი სამი ვერსის იქითა ყოფილა შიგ მთის ძირში. უცოცნია აქედან ნელ-ნენელა, უცოცნია და დღეს ზედ წყლის პირ-

ზედ მოსულა. მაგრამ ეხლია ამასაც არა კმარობს და წყლის შეორე ნაპირზედ გადადის. დღეს ამ მეორე ნაპირზედ, გაღმა, გალავან შემოუვლებელად, მოდენავე ქალაქია გაშენებული, რაც გამოლმა, შიგ გალავანში და ერთი ხიდის მეტი არა ჰყოფს-რა ამ ორ ნაწილს ქალაქისას. იმედია ამ ცოტა ნანში ახალს უბანს დაუთმობს უპირატესობას ძველი უბანი ყუმისა და გადინაცვლებს მოლად ადგილს მდინარის გაღმა შხარეს. დარჩება აქ ობლად მხოლოდ ჰაზრათ მასსუმი სხვა კმამზადებით.

არის აქ რამდენიმე ქარხანა შუშისა, თიხის ჭურჭლისა, ფაიფურისა, დასაჩითები და საქსოვიც. მოპყავთ ყცელაზედ მეტი ამ არემარეში ბამბა.

თვით ხალხი ყუმისა ძალიან ეჯავრებათ სპარსელებს. არ უყვართ აგრედვე ქაშაანელი ხალხი, მაგრამ ყუმელთან შედარებით მაინც მაღლა აყენებენ, როგორც ესა სჩანს შემდეგი ხალხური ლექსიდან: „ძალლი ქაშაანისა სჯობს ყუმის უპირველეს კაცსაო და ძალლი საზოგადოდ უკეთესია თვით ქაშაანელზედაო“.

აქ მაჩვენეს ერთი დიდი სეიედი: უშნო, ულაზათო, უნდილი, მცვდარი; რომ შეგეხედნა—მჟადში ნახშირს ვერ გამოარჩევდა, როგორც იტყვიან; მაგრამ, როგორც დამარწმუნეს, დიდი თანამედროვე პოეტი ყოფილა და ამასთანავე დიდი მდიდარიც, ისე რომ, მთელი ნახევარი ბალები და სახნავსათესი ყუმისა, სულ ამისი არისო. თუმც სარწმუნო პირები მელაპარაკებოდნენ, მაგრამ მით მაინც მე დღემდე ძლიერ მეტვება, თუ იმას შეეძლებოდა ის, იმოდენა სიმღიდრის შეძენა და ნამეტნავ პოეტობა.

ყუმში საშინელი სიიაფე ენახე ხილისა. აქ, ვთქვათ, ყველაფერი იაფია, რაღაც თვით ფულია ძვირი, მაგრამ ის, რასაც მე ვამზობ, მეტის-მეტია. ვიყავი ერთი ბალის სანახავად, თანა მყვანდა ბიჭი და ერთიც სპარსელი კაცი. ადგილ-ადგილ გორებივით იდგა ზეინები დაკრეფილი ბროჭეულისა. მე ძალიან გამიკვირდა, ვთქვი: ნეტა რა მუცელმა უნდა შთანთქას ეს

ამოდენა ხილი, ალბალ, სამზღვარ გარეთ თუ გააქვთ-მეთქი. რას ბრძანებთ, მიპასუხა მებალემ: ეს ამოდენა ბალები ყუმისა, მარტო ყუმის მცხოვრებთაც ვერ ასდითო. მივიარ-მოვიარე ბალი, მინდოდა რაიმე სარგებლობა მიმეცა მებალისათვის, რომელმაც ბალი დამატარა. ვამოვართვი ერთი ლიტრა (9 გირვან წამდე) ბროწეული, ერთი ლიტრა ყურძენი და ერთიც—ლევ ლვი. მივეცი სულ ერთი შაური: თითო ლიტრა კაბეიკ-ნახევარი ლილდა. მოგვიტანეს სამი ხახლით და წინ დაგვიდგეს. დილა იყო, მე ხელი არაფრისთვის არ მიხლია, და შინ წალების ვაპირებდი. თან ვთხოვე ჩემს სტუმარსა და ბიჭს, თუმცა დილაა, მაგრამ იქნებ გესიამოვნებოდეთ, გემო გაუსინჯეთ-მეთქი. ჩემმა ბიჭმა სულ ერთი კუთხალი ყურძენი აჰელიჯა და ერთი ბროწეული გამოსუტა. სპარსელმა კი, რო გაუსო ხელი, ისე მოაცალიერა სამივე ხახალი, რომ გაშტერებული დავრჩი. ჯერ ყურძენი გაათავა, შერე ლელვი და ბოლოს ბროწეულები გამოსუტა და ისე ვატყობდი, რომ თუ კიდევ ყოფილიყო, უარს არ იტყოდა! ეხლა კი ჩემის თვალით დავრჩმუნდი, რომ მებალე მართალს ამბობდა,—ნახევარ ფუთხედ მეტი ხილი ერთმა კაცმა გაათავა და ისიც დილა აღრიან, ჯერ შეიღი საათი არ იქნებოდა.

მივედით სენსენში. ვიდრე მუ ჩემთვის საწოლს გავიმართავდი და ბიჭი ბარგს მოუვლიდა, დიდ ქალი ხალხი მოგროვილიყო ჩემი ოთახის წინ. გავიხედე, უნდა დავკითხებოდი, რა გინდათ-მეთქი, მაგრამ დამინახა თუ არა ხალხმა, უფრო ახლო შემომხევივნენ: ზოგი შეხვეულ მუხლს იხსნიდა, ზოგი გულს იღებავდა, ზოგი თვალების ქუთუთოებს იბრუნებდა, ერთი სიტყვით, ორმოცამდე კაცი მოგროვილიყო და ყველა თავის სატკივარს მიჩვენებდა. მიეხვდი, რაშიაც იყო საქმე და ძალიან გამიკვირდა. ამის წინა სადგურში, ლანგერულში 7—8 ავადმყოფი მოვიდა ჩემთან და, როგორც მეურნალს, თავთავის ავადმყოფის შემომჩინდნენ. მე, რასაკვირველია, არა მესმოდა-რა და როდესაც ჩემ ბიჭს დაუუძახე და ვკითხე—ეს რასა პირნავს-მეთქი,—იმან მიპასუხა:

— რა მოგახსენოთ, ვიღაცას ხმა დაუგდია, რომ თქვენ ეითომ მკურნალი ბრძანდებით. ამათაც შეუტყვიათ ეს და მოსულან, გთხოვენ რომ უწამლოთო.

— მერე, შენ ხომ იცოდი, ვინცა ვარ და რაცა ვარ, განა შენ შენთავად ვერ ეტყოდი? რალად უშვებდი ჩემამდე ამ ხალხ-სა-მეთქი.

— განა ეხლა კი ვერ ვეტყვი, რად მიწყრებითო და იმავე წამს რალაცა უთხრა იმ ხალხს და ხალხი უნდომრად, ნელ-ნე-ლა დაიშალა. არ ვიცი, რა უთხრა, რა არა, ხოლო დღეს ეს ამოდენა ხალხი მომადგა კვლავ კარზედ. დავუძახე ისევ ბიჭს და ვუთხარი:

— ეს რა ამბავია? რატომ არ ეუბნები ხალხს, რომ მე მკურნალობისა არა მესმის-რა და ტყუილად სწუხდებიან?

— რად ვუთხრა ბატონო! გიერ ხომ არა ვარო, და თან გაილიმა. ამ ხალხს მტკიცედა სჯერა, რომ თქვენისთანა მკურნალი ქვეყანაზედ არ დაბადებულია. თქვენც ერთი რამე მიბოძეთ, ან მტკერი მიწისა, ან თამბაქოს ნაფხვენი, ან პურის გული და მე თითონ ჩავაყრი ამათ თვალშიაც და პირშიაც. ამათ ხომ არაფერი გაეგებათ ქეეყნიერობისა და ჩვენ ჩვენთვის ფულს გამოვრჩებითო. თქვენ, ბატონო, ნურათერში გაერევით! ყველა-ფერი მე ვიცი, თქვენი მარტო სახელი იქნებაო.

მე ბალანი ამეშალა, აღარ ვიცოდი რა მექმნა. მივუბრუნდი ხალხს და ჩემი სპარსულით (სულ ათიოდ სიტყვა არ ვიცოდი) ვუთხარ, რომ მკურნალობისა არა მეყურება-რა, ამას თქვენთვის ტყუილი უთქვამს-მეთქი და მივუშვირე ხელი ბიჭ-ზედ; თან სულ ხელებითა და ფეხებით ვანიშნებდი, რომ მიმხევდრებინა როგორმე ეს ხალხი ჩემს ლაპარაკს. ხალხმა, მართლაც, გაიგო რაც მე ვუთხარი, ბიჭს წყრომის თვალი გა-დაავლო და დაიშალა. ის იყო და ის, არც ერთი პაციიერი აღარ გამომჩენია დანარჩენს მეზაერობაში. ბიჭს ძალიან გა-ვუწყერ და დავემუქრე, რომ თუ მცირედი მაგისთანა რამ კი-დევ შემიჩნევია, შენ ჩემთან აღგილი აღარ გექმნება-მეთქი. მაგრამ დათხოვნა კი, სანამ სხვას არ ვიშოვიდი, არ შემეძლო,

რადგან ენა აჩ ვიცოდი და არც ვაპირებდი მის სწავლის, სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო.

ამის მაგვარი შემთხვევა ბევრი მქონდა: ხან რა დამარტვეს, ხან რა გამხადეს, ვინ მოსთვლის. მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ვიდრე მე ენა არ მესმოდა (ენა შევისწავლე მხოლოდ ისპანიდან გამობრუნების დროს), ყველა, ვინც კი ჩემს ახლო იქმნებოდა, რასაც უნდოდა—იმას გამხდიდა, როგორც მას ხელს მისცემდა, ისე გააცნობდა ხოლმე თავის მეფიბრებს ჩემს ვინაობას, ასე მაგალითად.—

როდესაც პირველად ანზალიიდან რაშტის წაველ, თან ერთი მდიდარი სპარსელი მყენდა, რომელმაც ორიოდ სიტყვა რუსული იცოდა. იმ დროს ხმა დადიოდა, რომ რუსეთს ანზალიიდან თეირანამდე გზატკეცილი გაპყავსო. თითონ ის სპარსელი დიდი მეიჯარადრე ყოფილიყო, სდომებოდა, რომ ამ გზის იჯარაც მას ხელში ჩაჭერდნოდა და ისარგებლა იმით, რომ მე იმას რაშტში მყოფობის დროს გვერდიდან არ ვიშორებდი. ყველგან ხმა მოეფინა, რომ მე დიდი ინჟინერი ვიყავ, რუსეთის მთავრობის მიერ გზების საკეთებლად გამოგზავნილი და ისიც პირველივე მისვლაში თან ახლდა ამისთანა დიდ ინჟინერს. მაშასადამე, მორჩიმილია იჯარის საქმე და ვინდა გაუბედავს მას შეცილებას.

მე ამებისა, რასაკვირველია, არა ვიცოდი-რა. როდესაც რაშტიდან სეჭიდ რუდის ღელეში გავედით, მე ვუთხარ ჩემს თანამოგზაურს, ერთ რუსის ურიას, რომელიც თეირანში პოლიკოვების ბანქში მსახურობს, რომ, თუ სპარსეთს როდისმე გზატკეცილი, ანუ რკინის გზა ელირსა ამ მხრიდან, ამ ღელეს ერთ ასცდება, ეს ბუნებას განგებ გაუჩენია ირანისათვისა-მეთქი.

— აბა რა მოგახსენოთო, მიპასუხა იმან. ეგ თქვენი საქმეა, თქვენს სპეციალურ საგანს შეადგენს და მე კი აბა რა მესმის მავ საქმეებისაო.

— როგორ თუ ჩემი საქმეა? თქვენ მაგრე რადა გგონიათ?

— იმიტომ რომ თქვენ ინჟინერი ბრძანდებით და განგებ მყვ საქმისათვისა ხართ ხო აქ გამოგზავნილი.

— ვინ მოგახსენათ? ჰეუმრობთ თუ დამცინით-მეთქი და მაშინ მითხრა იმან, რომ იმ სპარსელმა, რომელიც თქვენ ან-ზალიიდან მოგყვათ, მთელი რაშტი ასე დაარწმუნაო. მე, რა-საკვირველია, გავიცინე ამაზედ და ვუთხარი, რაც ვიყავი და ვინც ვიყავი.

აქვე სენსენში მომართო ერთმა სპარსელმა ერთი სინი ბროწეული და კომში. არ ვიცნობდი, არ მიცნობდა და იმა-თი გამორჩომის ხასიათი რომ ვიცოდი ორი აბაზი გაუუგზანე. ფული წყენით უკან დაებრუნებინა და საღამოზედ თვითონაც შემოვიდა ჩემთან გასაცნობად. მითხრა, თქვენი გაცნობა მსურ-და; დაგინახეთ, მომეწონეთ და დალაპარაკება მომინდაო. ეს მესამე თუ მეოთხე შემთხვევა იყო და ძალიან გამიკვირდა.

ქაშაანი კაი დიდი ქალაქია, დიდი ყველა ქალაქებზედ, რაც მე დღემდე ვნახე, გარდა თეირანისა. ქალაქი ისეთივეა, რაც ყუმი, რაც ყაზვინი, საზოგადო ირანის ქალაქების ტიპი-საა, გრძელი, ვიწრო, მიკლაკნილ-მოკლაკნილი ქუჩებითა და ნანგრევებითა, თუმცა ერთ-ცს შეხედულობით უფრო სუფთასა ჰგავს სხვა ქალაქებთან შედარებით. ხალხი აქ თითქმის უფრო ლამაზია და უფრო შეშეყობილი სახის მოყვანილობისა. ბევრი აქვს სხვა-და-სხვა წვრილ-წვრილი ქარხნები, რომელთა შორის ყველაზედ მეტია საქსოვი აბრაშუმეულისა, თუ ბამბეულისა. ამ ქარხნებში არა მუშაობენ ევროპულად მანქანებით და ყველგან მხოლოდ ხელია და ძალა ადამიანისა. ეს ერთის მხრივ თუმ-ცა ნაკლულევანებასაც შეადგენს, მაგრამ მეორეს მხრივ დიდ უპირატესობადაც უნდა ჩაითვალოს. ესეთი ქარხანა, საღაც ათას ნაირი როტლი და ძნელი მანქანები არ არსებობს, ისეა რო-გორც უბრალო რამ ხელობა. როგორც ხარაზს შეუძლიან ადვილად გააღოს თავისთვის დუქანი, ისე შუშის გაკეთების მცოდნე ჰესნის შუშის ქარხანას. ისე მეორე ჰმართავს საქსოვს. დაიქერს ქარგლებს, მიაჩემებს თითო მათვანს თითო რამეზედ და გაიჩარჩება საქმე. მუშა ბევრი სჭირდება და უსაქმოდ არა-ვინა რჩება. თვით აშათი ნაკეთობაც ბევრად იაფადა ჯდება. ასე, მაგალითად, ქაშაანში აკეთებენ მშენიერ წმინდა ხავერდს

და ადგილის მისი ფასი არ აღემატება 1-50—2 მანათს, მაშინ როდესაც ამ გვარისავე ხავერდი ევროპული ნაკეთობისა 6—7 მანათ ნაკლებ არ იყიდება.

ბევრია აგრედევე ძალიან სპილენძის მუშაობა, სადაც ყველა წითელის კეთებას იწყობს კაცი კვერით და ათავებს კვერითავე, თითქმის არავითარ სხვა იარაღს არ ახმარებს. აქვე ვნახე პირველად სპილენძზედ საროთით ნამუშევარი: უბრალო იარაღით უბრალო ბიჭს გამოჰყავს რომელიმე სპილენძის ჭურჭელზედ შიგნით გარედან სხვა-და-სხვა ნაირი მხატვრობა, სხვა-და-სხვა შინაარსით და სურათებით, სუფთად, სინამდვილით, სიმეტრიულად და ნამდვილის გემოვნებით.

აქ, ქაშაანის ახლო-მახლოც, როგორც ყუმისა, ყველაზედ მეტი მოჰყავთ ბამბა.

ეს ის ქაშაანია, რომელსაც უწინ გაუცვნია საქათველოს-თვის პირველად ერთნაირი ჭურჭელი და რამლისთვისაც ქართველს უწოდნია სახელით „ქაშანური“: ქაშანურის ჭურჭელით, ასე ეძახიან კახეთში დღესაც გლუსუნიან თიხის ჭურჭელს. მაგრამ დღეს თვით ქაშაანში ეს ხელობა ძლიერ ნაკლებად აჩის. ქაშაანზედ მეტია ამისი ქარხნები დღეს ყუმში, თუმცა იქაც თანდისთან ნიჟარის\*) კეთებაზედ გადასულა ეს ხელობა.

აქედან ყურუმდე სულ 8 ეჯი იყო. უნდოდათ ერთ ჯერად გაეარნათ, მაგრამ მე ნება არ მივე, რადგან ჯერ ისევ ზერავერად ვიყავ და თითქმის ყოველ დღე ჩუმ-ჩუმად მაცხელებდა. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ ისევ ღამლამობით დავდიოდით. თუმცა ღმევ ძალიან ციიდა, რადგან აქედან სულ მთებში გვექონდა სავალი, მაგრამ მაინც დღის სიცხესთან ისევ იმას ვამჯობინებდით. და ღამით რომ ჩალვადრის ცხენმა ამოდენა სავალი გაიაროს, უნდა ადრე მობინდებისასვე გაუდგეს გზას და ძლიერ დილის 6—7 საათზედ მიაღწევს სადგურსა. ეს ჯერ შეჩვეული კაცისთვისაც ძნელია, რომ ორი კვირა მგზავრობაში იყოს და ყოველ ღამ ბინდიდან მოყოლებული გათენებამდე

\*) ნიჟარა—ფაიფური.

ცხენზედ იყოს წამოსკუპებული, და ისიც ჩავლადრის ცხენზედ. თითონ დაჩეულნი არიან, წააწვებიან პირქვე ვირს კურ-ტანზედ და, ხელ-ფეხ ძირს ჩამოშვებულებს სძინავთ, ტკბილის ძილით, არც გადოւცვივდებიან, არც დაცივდებიან. ჩვენ კი ეს არ შეგვიძლიან და თუ ჯდომელის ჩაგვთვლიმა, ან ერთ მხარეს გადავიტანთ კურტანს ან მეორეს და თავპირს ჩავილე-წავთ. ამისთვის მე გამოვუტხადე, რომ არსად 8—9 ეჯს ერთ გზობად არ გაგატარებთ-მეორე და ასეც ვუყავით. ერთ ჯერად გავიარეთ 5 ეჯი მეორეზედ სამი.

როდესაც გებრ-აბალიდან გამოვედით და უურუს გზას დავადექით, ჩასძინებოდათ სეიედებს თავის ჩეოში და ერთი სა-შინელის გრიალ-გრიალით წამოვიდნენ ძირს. ისე გაიტყაპნენ თრივენი ქვებზედ, რომ გვეგონა, ეგ არის, დაიხოცნენო; მაგრამ ერთი ფიცხლავ წამოხტა ზეზე და მეორებაც, როდესაც გამოვაძრეთ ჩეოს ქვეშიდან და წამოვაყენეთ, თქვა, არა მტკენიარია, —მხოლოდ ეწყინა, ესე რად მოგვიდაოთ. თუ ერთს ჩაეძინა, არა უშავს-რა, მაშინ მეორე უთანასწორებს თავის საბუდარს სასწორის უღელივით: ცხენისაკენ მიიწევს — შეაძსუბუქებს თავის მხარეს და განზედ გამოიწევს — დაამდიმებს. ხოლო თუ ორივეს ჩეეძინებათ, მაშინ ეს თანასწორობა დაირღვევა და საითაც დასძლევს, საბუდრები იქით გადაეშვება და გადაიტანს შიგ მჯდომთ.

ეს გზა, როგორც უკვე ვთქვით, სულ მთებში სასიარულო იყო. წინა დღითვე შევუდექით მთებს და სრული ორი ეჯი მთებში ვიარეთ. ეხლა გებრ-აბალიდანც სულ მთები იყო და მერე კი დავადექით ერთ საშინელ ვიწრო ხეობას: ორივე მხარეს ამართული აქვს კედლებივით მაღალი მთები და ზედ შეაზედ დარჩომილია სწორედ იმოდენა ადგილი, რაც მხოლოდ ორ ცხენოსანს შეუძლიანთ აუქციონ ერთმანეთს გზა. ვიარეთ კი ხანი იმ ღელის აყოლება და მერე ერთ სხვა ამისთანავე ღელეში უნდა გადავსულიყავით. ამ ადგილებს ეძახიან ყურუდის უღელტეხილს. მშვენიერი სანახავია ეს გადასვალი. მეტის-მეტი ვიწრო, კარივით შესავალი, აქვს ამ ერთი

ხეობიდან მეორეში, სადაც კედელი გამოუმტვრევია ერთ პარია მთის რუს და გამოუტანებია მეორე ღელეში. აქ, ამ ვიწრო გასავალში ამოუშენებიათ სქელი და მკვიდრი კედელი. კედელს დატანებული აქვს სწორედ იმოდონა ხერელი, რაც იმ წყალს ეყოფა გასავლელად. გამართული აქვს აგრედვე დასაკეტი და როცა როგორც უნდათ, ისე გაუშვებენ წყალს ქაშაანისაკენ. თუ წყალ-დიდობაა, წყალი გროვდება გადასავლის იქით, მთებში და როდესაც წყალი იკლებს, მაშინ მას ემატება ეს წყალ-დიდობას გადარჩენილი, მთებში დაყენებული აუზი. აგრედვე, როდესაც ზამთარში ქაშაანს ისე ბევრი წყალი არა სჭირდება, ჰკეტენ ერთ ნაწილს და ჰყინავენ ზაფხულისთვის.

აქედან იწყობა, როგორც ვთქვით, მეორე ვიწრო ხეობა და აქ გაშენებულია სოფელი ყურუდ\*). აქედანვე იწყობა ამ წყლის ნაპირებზედ საშინელი თავ-განწირული ბრძოლა კაცისა თავისი თვით-არსებობისათვის. ვისაც უნდა სამართლი-ანი აზრი შეადგინოს სპარსელის შრომის-მოყვარეობაზედ, უნდა ეს ადგილი ნახოს. გასაშტერებელია, თუ რამოდენა თველი ჩაულერია აქ კაცს, რამოდენა შრომა და მოსაზრება შეულევია მისთვის. მეექვება, თუ თვით იმ განთქმულ შვეიცარიაში მოიპოვება ასეთი რამ ადგილი. თითქმის ათი ვერსტის აყოლება ასდევს ამ ვიწრო ხევში ბალი-ბალს, სახნავი სახნავს ერთი მეორეს მობმული და აფენილი ორივე მთის კალთებზედ. მაგრამ რა სახნავია და რა ბალია ის, რომლებზედაც მე ვლაპარაკობ.

მდინარის ნაპირის ახლო გავლებულია პატარა ყორე ასე 1½ ან 2 არშინის სიმაღლეზედ და ოთხი საეკნის სიგანეზედ. ამ ყორის ორივე პირიდან აყოლებულია ზევით მთისაკენ ასე-თივე ყორეები, ამავე სიგრძისა; ხოლო რამდენიც ყორე ზევით, მთაში მიღის, იმდენი უფრო დაბალია. ჩიმოპშლის მერე ამ ოთხ-კუთხში მთის კალთას, დასტკეპნის, გაავაკებს და გა-კეთდება პაწია მინდორი. ეხლა იქ, ზევით თავში, სადაც ეს

\* ) ყურუდ—ქუშრუდ (ქუშ—მთა, რუდ—რუ, მდინარე, ხევი),

გვერდის ყრარეები მიზჯენილი ჰქონდა მთას, ამოიყვანს ასეთ-საფე და ამ სიმაღლე ყორეს, ამოუშენებს იმასაც გვერდებს, ჩამოპეტენს შიგ ზემოდან მთის მიწას და გაავაკებს. მიაყოლებს ამას მესამეს, მეოთხეს და მისდევს ესე ბაქან-ბაქნად თითო კალთა ხოდაბუნები, სადაც შემდეგ შეაყენებს აჩარის ერქვანს და ჰენავს ორი ხარით. შევენიერი სანახავია, როდე-საც ეს პატარა ხოდაბუნები ჯეჯილით არის მოუქნილი. სემირა-მიდის ბალები მოაგონდება კაცს ერთის შეხედვით. ესრევე აქვთ გამართული ბალები და სულ თავში მოშენებულია სოფელი, სადაც სახლები ესევე კიბე-კიბედ არის შევენილი ერთი-მეო-რის ზემოდან. ხებილში ბევრია აქ კავალი, მაგრამ ყველას თი-თქმის პირ-ალებით მოჰყავთ ალუ (ალიბუხარი), რომელიც, რო-გორც დამარტმუნეს, ყურუდის გარეითად ირანში არსად იცი-სო.

აქედან ისპაანამდე საიმისო აღარა შემმთხვევეია-რა, გარდა იმისი, რომ ჩემს ბიჭს ბევრი ძალიან ცუდი მხარეები შევნიშნე. ისეთი საშინელი უსინილისო რამ აღმოჩნდა ყოველისფერში, რომ ენა ვერ გამოსთქვამს კაცია და გადავწყვიტე, ისპაანში მისელისათან ავე გამედევებინა.

მივედით ისპაანს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამოდონა ქა-ლაქს, რომელსაც დიდი ხანი არ არის წარართვა ტახტი თეი-რანმა, არ მოეძებნება დღეს არც სასტუმრო, არც ქარვასლა — არ ვიცოდი, სად უნდა ჩამოემსტარიყავ. ბიჭმა მითხრა ბო-ლოს, რომ აქ ჩენს ჯულფაში არის ვანქი (მონასტერი), სა-დაც ყოველი სომეხი ჩამოხტება ხოლმე პირველ ხანებში და, თქვენც ხომ ქრისტიანი ხართ, თქვენც იქ წამობრძანდითო. მე ეს ძალიან მეჩოთირებოდა, მაგრამ სხვა არა გამეწყობოდარა და გავწიეთ პირდაპირ ვანქისაკენ. აქ დაგვხვდა მექარე, რომელსაც შევატყობინე ჩემი განძრახვა და გარდავეცი ამასთანავე ყოვ-ლად სამღვდელოსთან წასაღებად ჩემი სადარბაზო ქალალდი ქართულის ზედ-წარწერით. ყოვლად სამღვდელოს რომ ენახა, ძალიან გაჭხარებოდა და პირდაპირ თავისთან მიმიწვია. მე უა-რი შევუთვალე, რადგან ისეთი საშინელი ჭუჭყიანი ვიყავ იმ-

დენი ხნის მოგზაურობისაგან, რომ ერთი კალაპოტი საპონი ჰირს ვერ ჩამომბანდა.

მაშინ გვიჩვენეს ერთი ოთახი და წაგვიყენეს. მე იმავე წაში დაეიძანე ჰირი, გამოვიცალე ტანისამოსი და ვიახელ სანახავად ყოვლად სამღვდელოს. ეს არის არქიეპისკოპოსი სპარსეთისა და ინდოეთის სომხებ-გრიგორიანთა აღსაარებისა—ისაია, დაბადებულა და აღზრდილა ჩვენში, ხაკართველოს დედა ქალაქში, ტფილისში, გვარად ასტვაციტუროვი (ალავერდოვი). მშვენიერი კაცია ყოვლის მხრივ: სახით, ახოვნებით, მოყვანილობით. მკაცრი ზნეობრივი პრინცაპებისა და თან კეთილი და ლმობიერი. მცოდნე შვადის ენისა (სომხური, ქართული, თათრული, ინგლისური, ფრანგული, რუსული და სპარსული), ჩინებულად გონება-განვითარებული თავისის საკუთარის მეცადინეობით, ფრიად მოყვარე და ზედ გადაკლული თავისის ეროვნობისა, კაცი აღსასვეს მხნეობითა და ქველობით. ჭრიანიტად ბეჭრიერია სომხის ერი, უკეთუ მას შეეძლება ამასთანა მამულისშვილთა წამოყენება!

მე ჰირველსავე დღეს იჭახან დავრჩი სადილად. აქ სადილზედ სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოვარდა ღვინოზედ, კახელების ღვინის სმაზედ, მათს ყანწებზედ და კულებზედ და ყოვლად სამღვდელო ისაიას მოაგონდა ერთი შემთხვევა, როდესაც ის ინგლისში ყოფილიყო.

„იქ იმ დროს ჩემს მეტმა ქართული არავინ იცოდა. ერთ-ხელ ერთი აზარფეშა შემოიტანეს და მთხოვეს: ამის ზედ-წარწერა გადავკითარებონ. მე სუჯრაზედ ვიჯექ, წინ კაი ჩასუქებული ინდაური მედვა და ის ზედაწარწერა ისე მიამა, რომ იმავე წაში გადავუთარებნე. ზედ ეწერა: ჰოი, შენ, აზარფეშავ! სუფრის ლხინო და შვებავ... თუ რაღაც, აღარ მახსოვს ეხლა სისრულით, ველარ მოვიგონებ. მერე მკითხეს, თუ თვით სიტყვა აზარფეშა რას პნიშნავს? მეც ვუთხაჩ: ჰაზარ—ათასსა პნიშნავს და ფეშა—ხელობასა-მეტქი. იმათ ძალიან გაუკვირდათ: როგორია? ეგ როგორი სახელია? აი როგორია-მეტქი: როდესაც შენ ამას საესეს მიირთმევ, ისეთი ზე სჭირს, რომ

ათას ხელობას გამოგაჩენინებს-მეოთქი და წაპსქდათ ყველას სი-ცილიონ“.

შერე ერთი საუბრის გამო ამავე სადილზედ მიამბო ერთი ისტორიული ამბავი, რომელიც სრულის სავსებით მოყვანილია ისტორიებში, მაგრამ მოყვავს აქ სიტყვა-სიტყვით, როგორც ზეპირ-გადმოცემა, რომელიც მას ყმაწვილობაში ასე გაუგონია.

„ერევნის ხანი ხარჯს ერეკლეს აძლევდა. ერთხელ სპარ-სეთის შაპს შემოეთვალა, რომ შენ თითონ მაჰმალიანი ხარ, ხარჯს ქრისტიანს რად აძლევ, ჩვენ უნდა გვაძლევდეო. იმასაც პასუხად ასე მოეხსენებინა: მე შევატყობინებ ერეკლეს, თქვენ იცით და იმან,—ვინც თქვენში ძლიერი იქმნება, მეც ხარჯს იმას მივცემო. როდესაც ეს ერეკლესათვის შეეტყობინებინათ, შეეკრიბა იმას საჩქაროდ 2000 კაცი და წისულიყო. დაბანა-კებულიყო ერევნის ახლოს, ერთ პატარა სოფელში (სახელი აღარ მახსოვრი). ვნახოთ მოსულიყო სპარსეთის ჯარიცა, ასი-ათასი მეომარი. ერეკლეს ჯარში რევებულიყვნენ თათრების თავადებიც, რომლებსაც თურმე „სულთანებს“ ეძახოდნენ. ჰელებოდა მაშინ ერეკლეს ერთი მათგანი და მოეხსენებინა: სი-ჭიკვიანე არ იქმნება, მეფევ, ჩვენის მხრივ, მაგოდონა ჯარს შე-ვებათო. მაშ კარგი, ვნახოთ, ეთქვა ერეკლეს და მანამ კი ებრძანებინა, რომ ის სულთანი ჯაჭვებით შეეკრათ და დექა-ტიმრებინათ. მოეწვია მერე ერეკლეს მღვდლები, მღვდელ-მთა-ვარნი და მთელი ლამე გაუწყვეტლივ წირვები ეწირვინებინა, ამოელო შემდეგ უბიდან ჯვარი, რომელშიაცა ჰქონოდა ნაწი-ლები ჭეშმარიტის ძელისა და ყველა ზედ ემთხვინა. შემდეგ შე-ჰბმოდა სპარსეთის ჯარს და სულ კულით ქვა ესროლინებინა. მაშინ ერევნის ხანსაც მოეხსენებინა: ეხლა მე თვით კარგადა კხედავ, დიდებულო მეფევ, ვის უნდა ვაძლიო ხარჯიო და იმავ წაშ ჩვეულებრივი ხარჯი მიერთმია. მოეკითხა ერეკლეს ახლა ის სულთანიცა, გეენთავესუფლებინა და ეკითხა: სიჭიკვიანე იყო შებმა, თუ არაო? იმას ეპასუხნა,—სჩანს, ეს ყოველივე განგება იყო ღვთისაო, და თითონაც მონათლულიყო“. მე თვითონ ვი-ცნობდი იმის შვილებსაო, დაუბატა ეპისკოპოსმა, რომლებიც

სულთანებად იწერებოდნენო და კიდეც დამისახელა, რომელი მათგანი სადა მსახურობდა.

ამავე დღეს ბიჭმა, რომელიც პირდიპირ გზიდან მყავდა საზერეში გაგზავნილი ჩემის ბარგით, შემატყობინა, რომ ბარგს არ გვანებებენო. გასინჯეს ყველაფერი, გადაქექეს ჩემ თვალწინ და ასე მითხრეს: ჯერ თითო ყუთზედ თითო თუმანი გახეხეთ და მერე წაიღეთო.

მე ამოდენა ფულის მიცემა არ მინდოდა, მით უმეტეს, რომ ბარგში ისეთი არა მქონდა-რა, და ვითქმირე მე თითონ წავსულიყავი და გამომეტანა. როდესაც ეპისკოპოზს შეეტყო, რომ მე იქ წასვლას ვაპირებდი, შემ-იეთვალა: „მოითმინეთ, ჯერ ნუ წახვალთ. მაგათ ყოველთვის ესე იციან უცხო ხალხთან. ჯერ მე მაგათსავე მანდატურს გავგზავნი და მერე თქვენ წადითო. გავგზავნეთ მანდატური და იმისთვის ეთქვათ: ვინ გითხრათ, რომ ჩეენ თითო სკივრზედ თითო თუმანი ვთხოვთ, მობრძანდეს, ვნახოთ და, თუ შიგ არა აღმოჩნდება-რა ისეთი, ინებოს, ხმის გამცემი ვინა ჰყავსო.

ახირებული დაწესებულებაა ამათი საზერე. ყველა ქალაქ-ში, ყველა დიდ სოფელშიაც კი არის დამართული. სადაც კი სადგურზედ მივსულიყავით შემოგვიცვივდებოდნენ ვილაც ვიღაცანი, როგორც უფლების მექონნი, და ყველა ზეერსა თხოულობდა; ხოლო როდესაც მეც შეეუტევდი, უკან-უკან დაიწევდნენ და ბოლოს ყელს გვიწევდნენ, გვაჩუქეთ რამეო და ამ თხოვნით ხანდისხან სამსა და ოთხს ვერსს მომყოლიან ხოლოე ფეხ-და-ფეხ. თვით ნამდვილ საზერებშიაც უნდა კარგა ივაჭროს კაცმა, თორემ, ყუთზედ რომ ერთი აბაზი იყოს გადასახდელი, იმათ ერთი თუმნიდან იციონ დაწყობა.

მეორე დღეს წაველ საზერეში, წავიყვანე თან ბიჭი და ის მანდატური. ექვსი-შვიდი დარბაისელი სპარსელი იჯდა ქარვასლის ერთ დერეფანში. დამინახეს, წამომიღვნენ ფეხზედ და მომესალმნება: „აპვალი შუმა ჩითოურ ჰასტ? აპვალი შუმა? აპვალი შუმა?“. და როდესაც მეც მაღლობა გადავუხადე და მოვიკითხე, —თქვენ როგორლა ჰბრძანდებით-მეთქი, —უნდა გეყუ-

რებინათ. მოპყვნენ თავისებურ ქათინაურებს\*) (თააროფებს) და დასასრული აღარა ჰქონდა: „ელეფათი შუმა ზიად!... მარკა-მათი შუმა ქამ ნაშევად!“ და სხვა და სხვა. კაცს ეგონებოდა ეს დიდი ხნის მეგობრები ყოფილან და ეხლა მხოლოდ შემთხვევით შეჭხვედრიან ერთმანეთსაო. შემდეგ შემატყობინეს, რომ აი გამოვატაინებთ თქვენს ბარგს, გაკინჯოთ და, თუ იმისთვის არა აღმოჩნდება-რა, ინებეთ, ამ სააგში მოგარომევით. თან ერთმა მათგანმა ნელის ღიმილით ბოლიშივით დაუმატა: რა ვქნათ, უმაგისოდ არ შეიძლება, ჩვენი მოვალეობა ეგ არისო. მოიტანეს ბარგი და როგორც თქვენ არ გაგისინჯავთ, ისე იმათ. ან კი რა უნდა გაესინჯათ, რომ წინა დღეს უკვე ყველაფერი გაჩერეკილი ჰქონდათ. ბარგს ცხენებსა ვკიდებდით, წასძლია სულმა ერთ იმათაგანს, ვეღარ მოითმინა, მიუახლოვდა ჩემს ბიჭს და ყურში წასურჩეულა, — ჩვენ ვინდა გვაჩუქებს ფულსაო. მე უკვე დამზადებული მქონდა ექვსი აბაზი (ყრანი) ამათ საჩუქრად. მიველ სულ უფროსთან და ვთხოვე: ეს ჩემს მაგიერ ბიჭებს აჩუქევით-მეთქი, ამის ეჩოთირებოდა ფულის ჩამორჩმევა, ვითომდა, მაგისთანა რამეები ჩემი საქმე არ არისო. ის კა არა თუ, ორ-ორ კაბეიქსაც (შაის) იღებენ ხოლმე. სხვებს შეეშინდათ, უკან არ წაიღოს ისევ ეს ფულით და ერთი იმათაგანი წამოდგა წინ და იმათ თვალ-წინ გამომიშვირა ხელი. იმათაც ნიშნად თანხმობისა, დაიქნიეს ყველამ თავები. ჩავუყარე მუჭაში ის ექვსი აბაზი და დიდის ლოცვა-კურთხევით გამომისტუმრებს იქიდან.

ქალაქ ისპანს დაუკარგავს სრულიად უწინდელი თავისი პატივი და დიდება, რადგან ყაჯართა საგვარეულოს მიერ ტახტი მისი გადატანილ იქმნა თეირანს. ფლეს იგი წარმოადგენს ისეთ-სავე პატარა ქალაქს, როგორც ქაშანი. ხოლო ბუნება და მდებიარობა მისი ძალიან განსხვავებულია ყველა სხვა ქალაქებიდან ირანისა. ისპანი დგას შეგ შუა გულში სპარსეთისა და თითქმის ერთ სიშორეზედა აქვს გარეშემო შემომწკრიებული ყველა სხვა დიდი ქალაქები. მაგალითად: ქერმანშაჰ, რაშტი, ასტრაბადი, მე-

\*) ქითინაური — სპარსულად „თააროფი“, კომპლიშენტი.

შედი (ხორასანი), ქირმანი და ბენდერაბადი ლარით; თავრიზი და ბამპური; ჰამაღანი, თეირანი, იაზდი, ბუშერი შირაზით და მაჰამარა. გარდა ამისა ისპაანს ჩამოუდის დასავლეთის მხრივ კაი მრავრდილი მდინარე ზენდერუდი (მდინარე სიცოცხლისა), რის გამოც ისპაანი და მის გარემო ადგილები, საღამლისაც კი სწვდება ეს მდინარე წარმოადგენს მდინარ ბუნებას, რომელიც შეუდარებლივ სჯობია ყველა სხვა უდაბნო ადგილებს ამ ირანის ზეგაანისას. პირველის შეხედვით საშინელი დიდი რამ მოჩანს ისპაანი, ისე მიბმულია ერთმანეთზედ სოფელი სოფელს ამ მდინარის აყოლება და ჩაყოლება. თვით ისპაანი თუმცა ძალიან შორს, სამხრეთით არის თეირანისა, მაგრამ უფრო მაღალი მდებიარობა აქვს თეირანზედ და ამის გამო ჰავაც ბევრად უმჯობესია ყველა სხვა ქალაქებზედ და ზომიერი. ერთი უპირატესობა აქვს მხოლოდ თეირანს ისპაანთან. ეს ის არის, რომ თეირანი თითქოს კრიჭაში უდგას რუსეთს, რომელიც დღეს ყველაზედ საშიში მტერია სპარსეთისათვის. თვით ტახტის გადმოტანა მოხდა ყაჯართა საგეარეულოს გამეფებაში სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს მეფეებმა ფეხი მაგრა მოაკიდებინეს რუსეთს კავკასიაში. მაგრამ ეს გარემოება უპირატესობად ჩაითვლება მხოლოდ დღეს და საზოგადოდ კი გამოწირვა ისპაანისა სატახტო ქალაქობიდან ცოდვაც არის და დანაშაულიც.

ისპაანი აღაყვავა და განამშვენიერა შაჰაბასმა, რომლის მხენობას და გონიერებას, როგორც მმართველისას განკვირვებაში მოჰყავს დღემდე ადამიანი. თუ ვინმე ჰყავდა სპარსეთს გონიერი და ძლევა-მოსილი მეფე, შეგვიძლიან თამამადა ქსთქვათ, რომ ეს იყო მხოლოდ შაჰაბაზ პირველი და დღემდე ხალხსაც დაუვიწყარი ჰყავს თავისი საკუარელი მამულის-შვილი და მას მიაწერს ყოველივე დიდ საქმეს, თუნდა იგი მისი გაკეთებულიც არ იყოს. მან აქცია ისპაანი „ნახევარ მსოფლიოდ“, როგორც ამას ჰმოწმობს თეით სახელწოდება ისპაანისა. მან შეუერთა იგი ყველა კუთხე-კუნძულებს თავისის სამშობლოსას და დაუმართა გზები; მან დადგა ამ გზებში

ხიდები და ააშენა მეფის სასახლეებსავით ქარვასლები, მან ააღორძინა კვალად ხელოვნება; მან განაძლიერა ხელოსნობა და ვაჭრობა; მან განამხნევა უძლური ირანი, მან შთაპბერა მას სული ერთობისა და მმობისა და აღადგინა კვლავ მკვდრე-თით.

დღემდე ჯერ კიდევ ბევრი რამ შეჰრჩენია ისპაანს ზოგი მთლად დანგრეული, ზოგი ჯერ კარგა შენახული ნაშთები, რომელნიც მოუთხრობენ შორით მიმსვლელს მის წინანდელ დიდებასა და მისი აღმადგინებელი მეფის გონიერებასა.

შეუ ქალაქში არის ერთი უშველებელი მოედანი და მის გარეშემო შემომწყრიცებულია სახლები, მეჩითები და დაწესებულებანი სულ, სხვა-და-სხვა ხუროდ-მოძღვრებითი გემოთი ნაგები, მაგრამ დღეს ისე დარღვეულნი და გაოხრებულნი, რომ, ვინც ნახოს, მისი ესე გაოხრება და უპატრიონობა, დე-ენანება. დასანანია ნამეტნავ ბულვარები, სადაც დღემდე უპატრიონდ სჭრიან ხევნად ჩაყოლებულ ჭანდრებს და აძრიბენ მიწიდან ტროტუარისა და აუზის თლილ ქვებს. რა ყოფილა ეს ბულვარი, დღესაც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ამ ნაშთებით. ეს ყოფილა 3—4 ვერსის სიგრძეზედ და მეორე, ამის გარდიგარდმო 5—6 ვერსის სიგრძე. სიგანე ამ ბულვარებისა, სულ რომ ცოტა, 15—18 საერნია. ორივე მხარეს იყოლებული აქვს მკვიდრი და მაღალი კედლები. კედლების ძირში ორივე მხარეს თლილი ქვაა დაგებული სასიარულოდ და პირში ჩაყოლებული დიდრონი ჭანდრის ხეები. ხეებს შიგნით 3—4 საერნი მიწა გაშვებული ორივე მხარეს და სულ ვარდები და ყვავილები ყოფილა ზედ კვლებად გაშენებული. ამების პირში ორივე მხარეს ისევ თლილი ქვის ტროტუარებია. შემდეგ ისევ დიდრონი ჭანდრის ხეები ორივე მხარეს და ხეების იქითკენაც ისევ ტროტუარები. ზედ შუაზედ მისდევს თლილი ქვის აუზები და შადრევნები თლილის ქვისავე ლარებით.

აი ამისთანა ყოფილა ეს ბულვარები და ეხლა კი რაა. კედლები დანგრეული, ხეები დაჭრილი, ტროტუარები და აუ-

ზები დათხრილი და ვარდებისა და ყვავილების მაგიერ ზედ  
ბულვარზედ სოესავენ კარტოფილს, ხაშაშს და ქერს.

ამ ბულვარს ჰქონია ზენდე რუდზედ შემაერთებელი ხი-  
ლი, რომელიც დღემდე კარგად არის შენახული. ხილსა აქვს  
34 კონჭი გადაყვანილი წყალზედ და ზედ შშვენიერი კამარ-  
კამარა კურტიმელად \*) გაკეთებული მაღალი კედლები ადგილ-  
ადგილ მოხატული ფერადი მარტაცით. ეს არის უპირველესი  
და განიერი სავალი ხალხისა, მაგრამ ამას გარდა ორივე პირ-  
ზედ დატანებული აქვს ხილი ორი სხვა ისევ კურტიმელებად  
კედლებით შეკრული და დახურული წვრილი სავალები.

ამის ქვემოდ არის ერთი სხვა ხილი ამაზედ უფრო დიდი  
და მშვენიერი შენობა; სამ სართულად არის დაყენებული წყალ-  
ზედ. პირველი მისი სართული გამართულია შიგ კონჭებში.  
კონჭები ძალიან მაღალია და ზედ შუაზედ თლილის ქვის ვი-  
წრო სავალებია სამ რიგად გაყოლებული და როდესაც წყალი  
პატარაა, ნახევარ არშინზედ დაბლა სდგას ამ სავალებიდან. სა-  
ვალებიდან მოყოლებული ყველა სვეტს თლილი ქვის კიბეები  
აქვს გარეშემო შემოყოლებული ძირს, წყალში ჩასასვლელად,  
სადაც მრავალი ხალხი გამოიფინება ხოლმე, როდესაც წყალი  
პატარაედება. აქვე ამ სავალებში ჰქონია უწინ დატანებული  
კარებები წყლის დასაყენებლად და ეისაცა ჰსურდა ზაფხულო-  
ბით ბანაობა, როდესაც წყალი ძალანა კლებულობს, ჩაუღვავ-  
და ამ კარებებს და ხელად გაკეთდებოდა ოთახი წყლით სავსე,  
ანუ ნამდვილი საბანაო აუზი. ეხლა ესენი მოშლილებია, რო-  
გორც მითხრეს, თუმცა მაჩვენეს ყველა ჩასადგმელი და დასა-  
მაგრებელი ადგილები. ამეცბას ზემოდ, მეორე სართულად მის-  
დევს სამი სავალი ხალხისთვის, რომელთაგან შუალა ძალიან  
განიერია და ისევე კამარა-კამარა კედლებით არის გამართუ-  
ლი, როგორც პირველი ხილი. ამის ზემოდანაც რამდენიმე  
ოთახივით ადგილებია გამართული და თვით ბანიც ხილივით  
არის ერთი თავიდან მეორემდე გაყვანილი. ეს ხილი ისე დი-  
ღია, ისე მშვენიერი და ყოვლისფრით მოწყობილი, რომ ხუ-

\*) კურტიმელა—პატარა-პატარა კონჭი (თაღი).

როთ მოძღვრებითი საკვირველებად შეიძლება იყოს ჩათვლილი ჩვენის აზრით.

ამ ხიდის ყურიდან იწყება სხვა-და-სხვა ძველი ამარატების (სასახლეების) ნაშთები; საზოგადოდ ისპაანში ბევრი ამისთანა რამ არის აქა-იქ მოფანტული. მაგალათად, მშვენიერი სანახვია ჯერ კიდევ „ჩელსუთუნი“ ანუ ორმოც სვეტიანი შენობა. ნამდვილად ამ შენობას 20 სვეტი აქვს, ხოლო რაღაც მცირე ეს სვეტები აუზშიაც მოჩანს, „ჩელსუთუნი“ \*) იმიტომ დაურქმევიათ.

ამ ხიდის ახლოა ამარატი შაპთამაზისა; ოთხი ერთმანეთზედ მიწყობილი თლილი ქვის ლომის თავები შეადგენენ ძირს ყველა სვეტისას და ყველა ლომის პირიდან, როგორც ეტყობა, ამოდენილა უწინ შადრევანი. დღეს სრულიად მიგდებულია; უპატრიონობა ამათი აქედან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ დღეს ერთ ვიღაც ხელ-ბედნიერს (ხელმწიფის ქალი იყოვა) დაუძერია ამ ცოტა ხნის წინად, რაც აქ სარკეები ყოფილა, როგორც ამბობენ, და გადაუზიდნია თავისი სახლის გასამშვენიერებლად, ქალაქ თეირანში,—სრულიად ურცხვად და მოურიდებლად, თვალ-და-თვალ მთელი ისპაანის ხალხისა.

იქვე ხიდის ახლოა სასახლე შაპაბაზისა. უფრო უკედ დაცული, თუმცა ესეც სრულიად გაცარულია, გაღარსლული. რა ხელოვნებაა, კაცი რომ კარგა დაათვალიერებს, სწორედ გაშტერდება. ზედ მდინარის პირზედ ამ სასახლესა აქვს აბანო. აბანოს ერთ კედელში ატანია პატარა გადასაძრომი კარი, რომლის იქიდან გამართულია ერთი სხვა პატარა აუზი, მაგრამ ნამდვილად ეს აუზი კი არ არის,—ხაზინაა, სალარო. აქ სდგას უშველებელი ყუთები მარმარილოს ქვისა, რომლებიც განძეულობითა ჰქონია სავსე და რომლებსაც ზემოდან კაი სიმაღლეზედ წყალი ჰქონია შეუქნებული, ისე რომ ყველაფერი შიგ წყალში ყოფილა ჩამალული. ვინც აბანოში შევიდოდა, ძნელად თუ შეამჩნევდა კარს (ეხლა ის კარიც აღარ არის) და

\*) ჩელ—ორმოც, სუთუნ—სვეტი.

თუ შეამჩნევდა და შეამტკრევდა, იქაც ისეთივე აუზი დაუხ-  
ვდებოდა და ფიქრად სრულიად ვერას მოვიდოდა.

ისპანის შესანიშნავ ადგილებს ეკუთვნის აგრეთვე „მინა-  
რეთი ჯომჯომი“ — მინარეთი მოძრავი, რომელიც 5—6 ვერ-  
სის მანძილზეა დღევანდელი ისპანიდან. ეს არ არის მეჩითი, ეს  
მხოლოდ მინარეთია ანუ უკედ რომ ვთქვათ, ქეგლია ნამდვი-  
ლი მისი ამშენებელისა. გარედან შესახედავად სრულიად სა-  
კვირველი არა არის-ჩა; ბევრია ძალიან სხვა მინარეთები ამა-  
ზედ შალლებიც და ხელოვნურის მხრითაც ძალიან ბევრით უფ-  
რო მშვენიერები. შენობა თავის-თავად წარმოადგენს სამს კე-  
დელს და წინა პირი მთლად ლია აქვს. შეგ შუა ადგილის და-  
საფლავებულია მისი ამშენებელი „ამუ აბდულლა“ (ბიძია აბ-  
დულა) და ზედაც ჩინებული მარმარილოს ქვა აძევს მთლად  
სპარსულის წარწერით მოკრელებული. სიმაღლე შენობისა გა-  
მოიანგარიშება კიბის საფეხურებით: სულ 33 საფეხური ას-  
დევს ძირიდან ბანამდე: წინა მხარეს, სადაც კედელი არა  
აქვს, ორსავე პირზედ ადგას თითო მინარეთი 5—6 საუნის  
მოშორებით ერთი მეორიდან. მინარეთებს თავზედ ასხედს  
ალის ხელები სპილენძისა, — ერთს მარჯვენა, მეორეს მარცხენა.  
მინარეთებში ასავალი ხელული კიბის საფეხურები 16-ია და  
ამის ზევითაც რჩება კიდევ, თითქმის ორ საუნიამდე. ისე რომ,  
ჩემის დაახლოვებული ანგარიშით, მთლად შენობა მინარეთე-  
ბიანად ძლივს უნდა იყოს 9—10 საუნი სიმაღლისა.

ავჭავნეთ ზედ ერთი კაცი, რომელმაც ჩაავლო ხელი მი-  
ნარეთის ლანძვებივით ამოჭრილ ადგილებში და გააჯანჯლარა. მინარეთმა ზანზარი დაიწყო; შევხედეთ, მეორეცა ზანზარებდა. როდესაც კაცმა უფრო მაგრა მოსწია, საქანელასავით ქანაობა  
შორთეს ორივემ: ორივე ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე  
შხარეს მიქანობდა და, მითხრეს, როცა უფრო ღონიშრად აქა-  
ნებენ, მთელი შენობაც იძვრის ხოლმე ძირიანადაო.

აშენებულია, როგორ დაგვარწმუნა ამ მინარეთის მცველ-  
მა, მოლლა სეიდმა, 596 წლის წინადაო, მაგრამ ძალიან სუფთად  
ირის შენახული, რადგან, როგორც ეტყობა, მოვლა და ზრუნ-

ვა არა ჰკლებია; დიდ სამსახურს გაუწევდნენ ერსა და ქვეყანას, რომ დანარჩენ ყველა ნაშთთათვისაც ასრე მოევლოთ და თითონ არ დევბარათ იქიდან ქვები, სარკეები და ხეები.

ისპაანში მისვლისათანავე მოყიფთხე ქართველების ამბავი. აქამდე, თეირანიდან მოყოლებული, მე ამათზედ არა ვიცოდი-რა. ვიცოდი მხოლოდ, რომ ქართველები აქ, ისპაანის ახლოსა სკხოვრობენთ და მივეჩქარებოდი, რომ სიცივეებს არ ესწრო და ზამთარი იქ, იმათში გამეტარებინა. ეხლა მინდოდა დაწვრი-ლებით გამომეკითხნა ყველაფერი და გავდგომოდი გზას. დავა-ვალე ჩემს ბიჭს, რომ ამის შესახებ ყველან ყველაფერი გა-მოიკითხე და შემატყობინე-მეთქი. ვუთხარი აგრედვე, რომ შეეტყო მათი სადგომები, თუ სად ჩამოხტებიან ხოლმე, რო-დესაც ფერეიდანიდან ისპაანს ჩამოდიან. მინდოდა შემეტყო ეს და მერე, ვინც იქიდან ჩამოსული იქმნებოდა, თვით იმისთვის გამომეკითხა დაწვრილებით. მით უმეტეს საჭირო იყო ეს, რომ აქ, ისპაანში ძალიან ჭრელი და მრავალ ფერი ხმები ტრიალებ-და. ზოგი ამბობდა: ისინი ისეთივე ქართველები არიან, რო-გორც მე, ერთი სიტყვა ქართული აღარ იციან, თავის თავს ქართველად აღარა ჰრაცხვენ და კიდევაც ჯაერობენ მაგისთანა რამების გავონებაზედათ. ზოგნი ამბობდნენ კიდევ, რომ მარ-თალია, ერთ დროს აქ ქართველები ყოფილან, მაგრამ ესლა ისეთი მკაცრი მუსულმანები არიან, რომ ღმერთმა ყველა დაიფაროს იმათ ახლო გავლიდან და ნამეტნავ ქრისტიანი აღამიანიო. ერთის სიტყვით, ზოგი რქიანებად მისახვდა, ზოგი კუდიანე-ბად და არც ერთმა კი არ იცოდა, თუ ან სად, რა და რა ადგილებში ცხოვრობენ, ან რა გზით შეიძლებოდა იქ წასვლა.

გავიდა ერთი კვირა მეტი და ჩემ ბიჭს არა შეეტყობი-ნებია-რა. ის როგორც ყოველისფერში საზიზლარი იყო, აქაც იგრივე თვისება გამოიჩინა და თითქოს განგებ იმისა ცდილობ-და, რომ მე ამაზედ სწორე პასუხისა: ვის, ვინიცობაა, ყური არსად მომეჯრა. ამას დაერთო ერთი-ორი კიდევ სხვა საქმე და მე, მოთმინებილან გამოსულმა, ანგარიში ჩამოვართვი და თავიდან მოვიშორე.

იმ დღეებში შევიარე ყოვლად სამღვდელო ისაიასთან და ვკითხე: ხო არა გავიგიათ-რა, რომ, აქ სპარსეთში საღმე ქართველებიცა ცხოვრობდნენ-მეთქი? არაო, მითხრა ყოვლად სამღვდელომ და ან საიდან მოგსვლიათ თქვენ ეგ ფიქრიო. მე აქ მოვკერ ყური, რომ ვითომ ამა და ამ სოფლებში გამაჭმაღიანებული ქართველები არიან, ამას თეთო აქაური სომხები ამბობენ-მეთქი. მაგ სოფლებში, მიპასუხა ყოვლად სამღვდელომ, მე ერთი ყოჩაღი ბლალოჩინი მყავს და ყოველისფერს დაწვრილებით გაგვიგებს; გნებავთ, მივწერ წერილს, რომ ჩამოვიდეს, სულ ერთია მაინც ჩამოსასვლელი იყო ერთ რამ საქმეზედ, პირად მოლაპარაკება უნდოდაო. მერე ერთბაშად მოაგონდა და მითხრა: მოითმინე, მოითმინე! ეხლა, ამ საათში აქ ერთი მღვდელი მყავს იქაური, თქვენ თვალშინვე დავუძახებ და ვკითხოთ ყველაფერი, რაუა გნებავთო. მე ძალიან დავუძალე და ვთხოვე, რომ თუ შესაწუხარი არ იქნება, ძალიან იარგს ინებებთ-მეთქი.

არ გასულა ათი წამი, ამოვიდა ჩვენთან ერთი ახალგაზდა მღვდელი, ტერ-გალუსტა, რომელიც დღეს ბუშერშია მღვდლად გადაყვანილი. თვითონ ამ მღვდელს საშინელი ქართველური სანახაობა ჰქონდა. მე ვკითხე: არიან მართლა იქით, თქვენს მხარეს ქართველები-მეთქი? მიპასუხა: დიალ, არიან! ძალიან ბლომადაც არიან, თითქმის 20 ათას სულზედ მეტნი იქმნებიან. მერე როდესაც დავეკითხე: იცი ან იმათი სოფლები? ან გზა? ან ბინები, როდესაც აქ ჩამოდიან-მეთქი, მიპასუხა: ჩვენს მეზობლად არიან; ჩვენი სოფლები და იმათი სულ ერთმანეთშია არეული; ჩვენ იმათთან ყოველთვის მისვლა-მოსვლა გვაქეს; კაი ხალხინი არიან, მაგრამ რჯულზედ ძალიან მტკიცედა დგანან; მშვენიერი სოფლები აქეთ ზოგიერთი, როგორც მაგალითად, ახორა, აზუსი, ბოინი; კარგა ლაპარაკობენ ქართულად, — შირთაღია, მე არ მესმის, მაგრამ, ასე ამბობენ. აქ ხშირად ჩამოდიან, თუ გნებავთ, მე თეთონ გაჩვენებთ, ვიცი საცა ჩამოხტებიან ხოლმეო. მერე მითხრა, — „ლ(ყ)ურძენი, მარილი, ყ(ვ)ური“, „ბიჯო, წყალი, მოიდა“, — ქართული არ არისო? ყო-

ვლად სამღვდელოს ძალიან გაეცინა იმის ქართულზედ. მე მო-  
ვუწონე და ვუთხარ: ნამდვილი ქართულია, ძალიან კაი ქარ-  
თულია, მხოლოდ შიგა და შიგ თითო-თითო ასოს სწორედ  
არ ამბობთ-მეთქი. მე ხომ ქართული არ ვიციო, მიპასუხა, ეს  
ისე, თუ სადმე ყური მომიკრავს და თავის-თავად გონებაში ჩა-  
შრენია, თორე, ალბად, ისინი ასე არ იტყვიანო. ერთის სი-  
ტყვით, ისეთი ჩინებული მღვდელი აღმოჩნდა, რომ დღემდე  
სხვა იმისი ცალი და ბადალი მთელს ჯულფაში არ შემხვედრია:  
ტკბილი, საყვარელი და ლვისნიერი. რაც იცოდა, გვეუბნებო-  
და, რაც არ იცოდა, ამბობდა, —არ ვიციო. ბოლოს მითხრა,  
რომ თუ გნებავთ, ვნახავ იხავ ადგილებს; ხვალ, სულ ერთია,  
საქმე მაქვს ქალაქში (ისპაანში) და თუ ენმე ჩამოსულა, მო-  
გიყვანთ და გაჩვენებთო. მე დავეხათრე. ვთხოვე: თქვენ მითხა-  
რით იმათი სადგომები და მე თვითონ მოვნახავ, თქვენ როგორ  
შეგაწუხებთ-მეთქი, მაგრამ არა ჰქმნა: თქვენ აქ სტუმარი ხართ,  
მაგისთანა საკეთილო საქმეზედ წამოჰსულხართ და ვალად არა-  
ვის წაგვიერა, რომ, ვისაც ჩა შეგვიძლიან, ცოტ-ცოტა დამა-  
რება აღმოგიჩინოთ; მით უმეტეს, რომ მე თითონაც საქმე  
მაქვს ქალაქში და რახამ იმათაც მოვიკითხავო. მე დიდი მაღ-  
ლობა გაზავუხადე, გამოვეთხოვე ეპისკოპოზს და მეორე დღეს  
მოუთმენლად მოველოდი ტერ-გალუსტას ქალაქიდან დაბრუ-  
ნებასა.

მეორე დღეს მოვიდა ჩემიან ტერ-გალუსტა და შემატ-  
ყობინა, რომ აქ არიან ხანები სოფელ ახორიდან, მხოლოდ  
დღეს საქმე ჰქონდათ და დილაზედ გიახლებიან თქვენს სანა-  
ხავადაო; მე ვასწავლე თქვენი სადგომი და ისინი პირ-და-პირ  
თითონ მოვლენ, თქვენ ნულარაფერზედ შესწუხებითო.

მეორე დილით მართლა კარს მომაღდა ცხენებით რვა კა-  
ცი. ორი მათგანი ხანი იყო, ერთი ახალგაზდა მოლა და და-  
ნარჩენებიც გლეხები, სულ სოფელ ახორიდან მოსულიყვნენ. როგორიღაც იყო ჩენი ერთმანეთთან შეხვედრა, დღემდე ვერ  
გამომირკვევია. მე საშინლად გახარებული ვიყავ, მაგრამ იმათ  
რომ ვუყურებდი, უფრო მეტად იყვნენ ნასიამონებნი. ყვე-

ლას სახე უცინდათ, დიდად გახილებულ თვალებს ჩემს გარეშემო ატრიალებდნენ და თითქოს გარედან უჩანდათ, თუ როგორ უტოკდათ და უთამაშებდათ გული. კაი ხანი ვიყავით ასე, ლაპარაკი თითქოს ვერა ხერხდებოდა, სიტყვა სიტყვასთან არ მოღიოდა. ბოლოს, როგორც იყო, გავაბით ლაპარაკი; ვინ იყის, რა არა მკითხეს, რას არ მელაპარაკენ. მითხრეს, რომ ძლიერ ერთი ჩვენი კაცი ხელში ჩაგიგდეთო, მორჩა ეხლა, აღარ გაგიშვებოთ,—იყავ ჩვენში და იქაური ამბები შეგვატყობინე ხოლმეო.

თვალი შეასწრეს ამ დროს იქ, ტახტზედ, რუსულსა და ქართულ წიგნებს და მკითხეს: ეს რეებია, რა წიგნებიაო. მე ვუთხარ ეს ქართული წიგნებია-მეთქი და გადაკუშალე პატარა ანბანები. მე აქედანვე წალებული მქონდა 200 წიგნი ჩემი „ახალი ანბანისა“, რადგან ზამთრობით იმათში ვაპირებდი დარჩომას და ვფიქრობდი, რახან ქართულ წერა-კითხვესაც შევასწავლი-მეთქი. დაინახეს თუ არა, დაიტაცეს და დაიწყეს გაფაციცებით შლა და თვალიერება. იცით-მეთქი მაგისი წაკითხვა, ვკითხე ამათ და მოლამ მიბასუხა: როგორ არა, როგორ არა მიბოძეთ, მიბოძეთ, მე წავიკითხავო. მიე, მიე, ევ წაკითხესო, დაიძახეს სხვებმაც და მიღაწოდე. უყურა, უყურა, იბრუნა, იტრიალა, ხან წალმა, ხან უკულმა, ვერას გახდა და მითხრა: ეს რა არის? ეს ჩვენებური არ არის, ეს სხვა, ხატიაო“. შეშ ახა თქვენი „ხატი“ რომელია-მეთქი და სპარსული დამიწერა, იმათ ისე ჰქონდათ წარმოლევნილი, რომ ქართულიც უთულდ სპარსულის ასოებით უნდა გამოიხატებოდეს და, რადგან იმათ სპარსული წერა-კითხვა და ქართული ლაპარაკი იციან, მაშესადამე, შეეძლებათ კიდევც ქართული წიგნების წაკითხვაცა და გაგებაც. მე ავტბენ, რომ ქართულს თავისი საკუთარი „ხატი“ აქვს და აი ეს არის სწორედ ქართული ენის „ხატი“-მეთქი. იმათ გულ-მოღინედ დაუწყეს სინჯვა და იძახოდნენ, ძალიან ლამაზიათ.

მერე გადაძიშაფეს აქეთ-იქიდან ეს წიგნები; ადებდნენ თითქოს თითქო-თითო სურათსა და მეკითხებოდნენ: ამას რა ჰქვიან,

ამას რა ჰქვიანო. უნდოდათ შეემიტებინათ, როგორი სახელები გვიქვიან ჩვენ აქ და ძალიან გაიზჩევა იმათებურისაგან თუ არა. შეც ვეუბნებოდი: ამას — ცხენი, ამას — ვირი, ამას — ხე, ამას ხარი, ამას — კატა... კატა კი არა, ციცაო, გამისწორა ერთმა ხანმა. ამას ჩვენც ციცას ვეძახით-მეთქი, გავისწორე ვითომ ჩემი შეცდომილება, კატას ისე ზოგიერთი ეძახიან, თორე ხალხი სულ ციცას ეძახის-მეთქი. თითქმის რაც სურათზედ დამიღეს თითო, მართლაც, თითქოს განგებ, სულ ერთნაირი სახელებიანი აღმოჩნდა და ძალიან გაეხარდათ. ერთმანეთს სიხარულითა და გაკვირვებით შეჭყურებდნენ და ეუბნებოდნენ: „ჩვენი სახელები ასლი გურჯისტანულა“ ყოფილაო.

— ახლა მოხოვეს: მაშ აბა წაგვიკითხე, ვნახოთ, გავიგებთ თუ არაო. მე ამოვარჩიე წვრილი აშბების წიგნი და წავუკითხე. თითქმის სულ წმინდალ ესმოდათ და სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ. მიმაყოლეს ასე, ერთი ამბავი მეორეზედ, ერთი მეორეზედ და მთელი წიგნი წამაკითხეს. ისინი კი ისხდნენ, ყურს უგდებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ, როცა მელიას ეშმაკობას, ან სხვა იმისთანა რამეს შევხვდებოდით ხოლმე იმ წიგნებში.

შემდეგ ერთმა მომაწოდა ერთი „ივერიის“ ნომერი, რომელიც იქვე წიგნებთან ეგდო და მკითხა: „ესეც გურჯის ხატიაო? დიახ-მეთქი და ავუხსენ რას ჰქვიან გაზეთი („რუზნოომე“). მოხოვეს, აბა ეგეც წაგვიკითხეო. წავუკითხე ერთი ამბავი იქიდანაც და მხოლოდ შიგა-და-შიგ თითო-ოროლა სიტყვებსა შეკითხავდნენ, ეგ რასა ნიშნავს, ეგ რასაო.

ბოლოს ერთმა მომაწოდა „ვეფხეის ტყაოსანი“ და მკითხა: ეს რაღა არისო.

მე დამჭინდა თან, საცა კი დავდიოდი, ერთი პატარა ვეფხვის ტყაოსანი, ბ. ჩარკვიანის გამოცემა, მხოლოდ ის ერთი ცალი განგებ ჩემთვის სრულიად სრვა ქალალდზე იყო დაბეჭდილი, მშეენიერის ხავერდის ყდით და ყდშიაც ძვლის ჩარჩოებით ჩასმული ჰქონდა თვით რუსთაველის სურათი.

მე ავუხსენ, რაც იყო და ანუ როდინდელიც იყო ეს წიგნი. იმათ ძალიან გაუკვირდათ, რომიმ ხნის წიგნები ჰქონიათ

ქართველებს და მთხოვეს, რომ ერთი პატარა აღგილი მაინდანაც გაგვაგონეო. წავუკითხე მეც და მითხრეს, ეგ ძალიან ცოტა გვეყურებაო. მე ვუთხარ, რასაკვირველია, რომ ეგ არაფერია, ეგ ძალიან ძველი წიგნია, ძველი ქართული, ეგ იქაც ესე თქვენსავით ცოტა ეყურებათ-მეთქი.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოვუგდე ჩემს წასვლაზედ, რომ თქვენთვისა ვარ მოსული და აქამდინაც მოვიდოდი თქვენს სოფლებში, რომ გზა და კვალი მცოდნოდა-მეთქი; და ეხლა რადგან თქვენა გნახეთ, მეც თქვენთან წამოვალ-მეთქი. მაგრამ იმათ ძალიან შორს დამიჭირეს. მითხრეს, რომ ეხლა არამცა-და-არამც არ გაბედო იქ წამოსვლა. ეხლა საშინლადა ცივა, გზები თითქმის შეკრულია, კაცის სიმაღლე თოვლი იქნება და შენ როგორ წაგიყვანოთ. რა ამბავია, რად იცის მაგეთი თოვლი-მეთქი, ვკითხე იმათ. ჩენ შიგ მთებშია ვცხოვრობთ, მთელს ირანში ყველაზედ მაღალი აღგილი ის არისო და მთხოვეს, რომ აპრილის გასვლამდე ნუ გაპჩედავ წამოსვლასაო. მე ძალიან საწყენად დამჩრა, არ მინდოდა ტყუილ-უბრალოდ ვმჯდარიყავ ისპანში, მაგრამ რა გაეწყობოდა.

წასვლის დროს ყველამ თითო-ოროლა ანბანის წიგნი წაიღს და თან დიდის ლოცვა-კურთხვით გამომეთხოვნენ. მთელი ის ხანი, სანამ ისპანში ვცხოვრობდი ზამთრის შემყურე, ისინი მარტოს არა მტოვებდნენ. რო მისულიყვნენ თავიანთ სოფელში, ხმა დაეგდოთ, რომ „ერთი ჩვენი ძველი მოსულაო“ და ვინც რაიმე საქმისთვის მოედინებოდა თურმე ისპანს, ყველას ეუბნებოდნენ, იმის უნახავი არ მოხვიდეო. ამგვარად მე მომიხდა მთელი ზამთარი ისპანში ჯდომა და ისინიც ხან-გამოშვებით მოდიოდნენ ჩემთან, ნამეტნავ ახორელები, რადგან მამულის გამოსყიდვას შესდგომოდნენ ხაზინიდან და ძალა-უნებურად ხშირად უხდებოდათ ისპანში ჩამოსვლა. ხოლო ყოველთვის ლაპარაკში მაგონებდნენ: ჰა, არ მოგვეზრდეს ესე ჯდომა და, ვინიცობაა, ჩვენს უნახავი არ წახვიდე, არ გაგვეპაროო.

ისპაანის გენერალ-გუბერნატორი დღეს ზილლი-სულთანია. ამასვე ექვემდებარება იაზდის გუბერნია, მაგრამ ადგილ-სამყოფელი ისპაანში აქვს. ზილი სულთანი, უფროსი შვილია შაჰისა და ჰყელაზედ კიკიანიც მთელ საგვარეულოში, მაგრამ, რაღაც იგი კანონიერის ცოლიდან არ არის, იმისთვის მემკვიდრედ ტახტისა აღიარებულია მეორე შვილი, თავრიზის გენერალ-გუბერნატორი. ცხადია, რასაც ირველია, რომ ზილლი-სულთანი შურით უყურებს მემკვიდრეს (ვალიალს) და მოწადინეა თეით შეიქმნას მეფედ მამის შემდეგ.

ამბობენ, მას ჰქონია ამ ოცი წლის წინად მტკიცე კავშირი ინგლისელებთან. მათის შემწეობით მას გაუწყევა რამდენიმე ათასი ჯარი და გაუწროვნია მათისავე აფიცრების დასმარებით. თოფები სულ ახალი სისტემისა შეჩინულით, არტილერია ამისი შესაფერი, ერთის სიტყვით, ყოველივე სამზადისი ჰქონია. მიუმხრია შემდეგ ჰქსეინ ყული ხანი, მეუფროსე ბახტიართა და შეთქმულან, რომ მამის შემდეგ ტახტი „ვალიალს“ არ დაანებონ.

ეს ის ბახტიარი არიან, რომლებიც ქართველებთან ერთად შეუპოვრად იბრძოდნენ ავლანსა და ინდოეთში; ზალხი გმირი და მამაცი, როგორც ჩევნი თუშები. ამ ჰქსეინ ყული ხანსაც გაუწყვია 10 ათასი ჯარი ბახტიართაგან სულ ჰქნი მარტინის სისტემის თოფებით.

ვნახოთ, სწორედ ამ დროს, ესე იგი, ამ 18 წლის წინად გამოაჩენილა ვინმე ენაკავალა, „ჭუჭული“, როგორც ეტყვიან სპარსელები, ჰელებია შაჰს, და დაურწმუნებია, რომ შენი შვილი ტახტიდან გადმოგდებას გიპირებსო. ალბად, ეს ენაკავალი ინგლისელების მეტოქეთაგანი ვინმე უნდა ყოფილიყო. შაჰს დაუჯერებია და შვილისათვის შეუთვლია: თუ მოჰკლავ ამ წერილის მიღებისათანავე ჰქსეინ ყული ხანს, ხომ-რა კარგი, თუ არა-და, მე შენ მოგულავო.

ამ კაი შეთქმულსაც მიუწვევია თავისთან ჰქსეინ ყული ხანი. უჩენებია მისთვის აღლუმი, უთავაზებია ხალათი და მკლავი-მკლავ გაყრილი შეუყვანია ოთახში. აღლუმიდან გა-

მობრუნებული ჯარი ამავე დროს საიდუმლოდ გარს შემოუკრავთ იქაურობისათვის. სადილი რო უკამია ჰუსეინ ყული ხანს და დაუძინია, ზედ მუთაქაზედ წაულრჩეიათ მძინარე. ჰუსეინ ყული ხანს ჰუსეინ ერთი ნამდვილი არაბული ცხენი და ამ შეთქმულს ახლა იმისი საღერღელი აჲშლია, მოუნდომებია იმისი დაპატრონებაც. მაგრამ ჰუსეინ ყული ხანს ჰუსეინ თან ამასთანავე ერთი ფრიად ერთგული და თავდაღვებული ბიჭი და როდესაც იმას შეუტყვია, რომ ბატონი დამილრჩესო, მოსჯდომია იმ ცხენს და გაუფრენია. დაუდევნებია ზოლლი-სულთანს 50 ცხენოსანი, მაგრამ ამაოდ, კვალიც ვერ უპოვნიათ. ამბობენ, ისპაანიდან ჯალახორამდე (მათი საცხოვრებელი იდგილია) 21 ეჯი, 5 საათში გაუვლია.

შუირე-წლოვანი შვილი (9—10 წლისა) ჰუსეინ ყული ხანისა, საპყრობილები ჩაეგდოთ, სადაც მას სრული 7 წელიწადი გაეტარებინა. საპყრობილიდან განთავისუფლების შემდევ შაპს დიდი მოწყალება მოედო მასზედ და აევსო ჯილდუებით. ეს ყმაშვილი დღესაც ცოცხალია და მშვენიერი შესახედავი და სამაგალითო ვაჟკაციაო, ძალიან აქებენ.

ეხლა, როდესაც შაპია ამ ერთის მხრივ გული დაიარხეონა, შეუდგა თურმე თავისი შვილის, ზილი-სულთანის საქმეს. რამდენიმე ხნის შემდევ შაპს თავისი შვილი თეირანში მიეწვია. ისიც ჰელებოდა. სასახლეში რომ შესულიყო, გარს ჯარი შემოერტყათ. შაპის მაგიერ ერთი ვეზირთაგანი დაპირებულდა, მიეკა ხელში ზილი-სულთანისათვის ერთი ბრძანება შაპისა და ეთქვა: თუ მოაწერთ ამ ბრძანებას ხელს, ხომ კარგი, თუ არა—და, შაპი თვალიებს დაგთხრისო და საბყრობილები ჩაგაგდესო. იმასაც, რა გაეწყობოდა, მოეწერა ხელი.

ამ ბრძანების ძალით მთელი სამხედრო სამზადისი ზილლი სულთანისა მოეტანათ თეირანს და დღესაც ამის გარეითად სხვა სასხეულო სამზადისი არა აქვს—რა სპარსეთს: ის თოფები, ის ზორბაზნები და სხვა რამ სამხედრო კუთვნილებანი სულ ზილლი სულთანისეულია.

ბოლოს გამოესტუმრებინათ უკან ზილლი სულთანი, მაგრამ წინანდელი 7 გუბერნიის მაგიერ, დღეს ორი გუბერნიის უფროსი-ღაა: ისპაანისა და იაზდისა.

23 მაისს ვაპირებდი ისპაანიდან გასვლის ფერეიდანისაკენ, სადაც ქართველები მოსახლობენ, მაგრამ სრულიად დამავიწყდა, რომ იმ დღეს დიდი დღესამწაული იყო სპარსელებისა „ყურბანი“. თუმცა ნამდვილი სიტყვა გვქონდა ჩავლადრისაგან მოცემული, მაგრამ, რადგან იმასაც დაპვიწყებოდა ეს შემთხვევა, რასაკირველია, არ უნდოდა ამისთანა დღეს გზაში ყოფილიყო და გაგვიმტყუნდა, არ მოსულია. ისე რომ, მე მხოლოდ მეორე დღეს, 24 მაისს დილით მომიხდა გასვლა ისპაანიდან ფერეიდანისაკენ.

რა არის ყურბანი? ეს არის მოგონება იმ შემთხვევისა, როდესაც მამა აბრაამს უნდოდა თავისი შვილი ისაკი მსხვერპლად შეეწირა ღვთისათვის. ხოლო აბრაამს, როგორც ვიცით, ჰყავდა გარდა სარჩასი, მონა ცოლი აგარა, რომლისაგანაც მას მიეცა პირველი შვილი ისმაილა. ვიცით აგრძელვე, რომ მაჰმადიანი საზოგადოდ სთვლიან თავის წინაპრად ამ, აბრაამის სიყმას შვილს, ესმაილს და, მაშასადამე, ადვილი საფიქრებელია, რომ თვით ეს საქმე, ისაკის მსხვერპლად შეწირვა, ისმაილისათვის მიუწერიათ. სწორედ ასეც მოუთხრობენ ისინი: აბრაამს უნდოდა თავისი სიყმის შვილი, ესმაილი მღვთისათვის შეეწირა და, როგორც კი მოულერა ხანჯალი, ყელის გამოსაკრელად, ანგელოზმა ხელი დაუჭირა და შეაყენა. აი ამის მოსაგონებლად არის დადგენილი „ყურბანი“.

გამოიყვნენ ერთს, შიგ არჩეულ აქლემს, მოპროტავენ ძვირფასის ქსოვილებითა და სამკაულებითა, წაუმძღვარებენ წინ დაფა-ზურნას და დაატარებენ ქალაქში ზოგიერთ ქუჩებს. ხალხი დიდძალი იყრის თავს და დასდევს უკან ხმაურობითა და სიმხიარულით. მიაცილებენ ამ ყოფით აქლემს სასაფლაოზედ, წამოაქცევენ და გამოსჭრიან ყელს. აქლემი ამ შემთხვევისათვის ყველა ქალაქში უსათუოდ უნდა შაჰისა იყოს. აქლემსა სწირავენ და არა ცხვარს, ილბად იმისთვის, რომ მთლად ეს ჩვეულება არაბეფთიდან არის შემოტანილი და გავრცელებული მაჰმადიანობის რჯულთან ერთად და იქ ხომ აქლემს მეტი პატივი აქვს, ვიდრე ცხვარს.

## სომხობა სპარსეთისა და ახალი ჭულფა

რიცხვი სომებთა მოსახლეობისა სპარსეთში,—ჩაცმა-დახურვა.—მაგარი სასმელების სიყვარული.—სომები და შაჰაბაზი.—ნაეთი და სტერინის სანთლები საყდრებში.—ფიცრის კაცუნი ზარების რეკვის მაგიერ.—ნათლობა.—სასაფლაო.—სასწაულთ-მომქმედი ვართაპეტი.—მახვილ-გონიერება ზაჰ-სულთან-ჰესეინისა.—სასაფლაოს ქვები ქართულის ზედწარწერით.—ტერტერის კურთხება.—ერთი შემთხვევა ნათლისლების დღეს.—სარ-წმუნოების ცვლა სომებთაგან.—შეი ლოთრანგ-კათოლიკების მისიონერებისა.—საუბარი სომხურ გალობაზედ.—ახირებული აზრი სომხებისა ყოველივე მის ეროვნულ კუთვნილებათა შესხებ.—თავისუფალი აზრები სომხების ზოგიერთ საკუილ-ზედ.—ქართველთა გაქრისტიანება ჩამჩიანის ისტორიით.—ერთი ჩვეულება ჯულფელებისა.—ფეხის ბანვა.—ჯულფა და მათი არქიტექტონიკური.—ერთი სასულიერო პირი.—ინდოეთის დიდ-ვაჭარი.—სინიდისით მოვაჭრე.—სომხობა სხვა-და-სხვა ადგილებში.—გაზეთი „შავილი“ და მისი კორესპონდენტი.—სწავლა-განათლება.

სომხობა სპარსეთისა გაიყოფება ორს საარქიელოდ: თავრიზისა და სპარსეთ-ინდოეთისა. პირველი მათგანი შესდგება ცოტა რამ 30 ათასზედ მეტი სულისაგან და მეორე—ცოტა რამ 30 ათასზედ ნაკლებისაგან. ისე რომ, მთლად სომხობა დღე-ებნდელის ანგარიშით სპარსეთსა და ინდოეთში არის ზედმიწევ-ნით სულ 60 ათასი სული. ამათში პირველი ეპარქიას სომხობა ჩაითვლება უფრო ბინადარ ხალხად და მეორე კი უბრალო

თაეშეფარებულებად ანუ ძალად გადმოსახლებულებად და ჩვენც ამ წერილში შევეხებით მხოლოდ ამ უკანასკნელთ, რადგან ამ ჯერობაზედ თავრიზის მხრივ გზა არა გვქონია.

ახალი ჯულფა მდებარეობს ქ. ისპაანის ჭინ, მდინარე „ზენდერედის“ მარჯვენა ნაპირზედ, იქ, საღაც ამოდის დიდი ბულვარი ქ. ისპაანისა და საღაცა ჰქონიათ სასახლეები ზოგიერთ სპარსეთის ყეინებს. უწინ ჯულფა ძალიან ახლო ყოფილა ისპაანთან, ზედ მდინარის პირზედ, როგორც ეტყობა დღესაც მის ნანგრევებს, მაგრამ შემდეგ თანდისთან უკან დაუწევია და ეხლა კი სამ ვერსზედ იქნება ქალაქს დაშორებული. მიზეზი უკან დაწევისა იგივეა ამ შემთხვევაში, რაც ყოველ ირანის ქალაქისა, როდესაც იგი ადგილსა ნაცვლობს, ესე იგი, რამდენიც ამ მდინარის ახლოს სახლი დაძველებულა და დანგრეულა, ის ბაღად გაუშენებით ანუ ხოდაბუნებად უქცევიათ და სახლი მის იქიდან ახალი აუშენებიათ. დღეს მთელი მისავალი ჯულფისა მთლად მინგრეულ-მონგრეულია და დაცარიელებული.

ჯულფა ახლა სრულიად ცალკე ქალაქია,— საქმარისად სუფთა, სპარსეთის სხვა ქალაქებთან შედარებით, და მრავალის მცინარეულობით შემკული. ქუჩები, სახლები, ბაღები, ეზოები და ოვით საყდრის გუმბათებიც კი სულ სპარსულია; ქამა-სმა, ჩატა-დახურვა და ზნე-ჩვეულებანი აგრედვე. ძალიან მცირედის რითომე განსხვავდებიან აქაური სომხები სპარსელთაგან, ასრე მაგალითად.

სომხის ქალებს არა აქვთ ჩამოფარებული პირბადე, თუმცა სპარსეთის ტახტის ქალაქში, თეირანში ამასაც ხშირად შეჰნედება კაცი. ჩადრი პირალებით თითქმის სულ თეთრი იკიან, გარდა ორიოდ შეძლებული კაცის ცოლებისა, რომელნიც სპარსელი ქალებივით შავ ჩადრებსა ხმარობენ. მოხუცებულებს, როდესაც ჩადრს გადაიხდიან, თავი უფრო სპარსული დედაკაციებითა აქვთ გაკეთებული, იმ განსხვავებით, რომ ნიკაპს თეთრი მიტკლის ნაჭრით აიკრიან; ხოლო ახალგაზდებს ქართულადა ჰხურავთ თავი, მაგრამ კავები შიგნითა აქვთ შებრუნებული და ბლონდის ლეჩაქის მაგივრადაც მიტკლის ნაჭრას

ხმარობენ ხშირად. არიან ისეთებიც, რომ სრულის სისრულით იხურავენ თავს ქართულად, ნამეტნავ თეირანში და უმეტესად რაშტრში.

ჩემი ყურადღება მიიქცია მათს ჩაცმულობაში მათმა სიყვარულმა მოსართავებისა და ლია ფერების მატერიისადმი. ვინც უნდა იყოს, მოხუცი თუ ახალგაზდა, მდიდარი თუ შეუძლებელი,—აქეს უსათუოდ საყბეური, ორი ან სამი ყელსაბამი, ხუთი-ექვსი სამაჯური და ორი-სამი ამდენიც ბეჭდები; ხელის საბრტყე სპილენძის ქამარი მუშტის ოდენა ბალთებით-ხო აუცილებელია ყველა დედაკაცისათვის. თან ეს მათი ქამრები ბეჭრით უფრო მძიმეებია და ბრტყელები, ვიდრე ეს იციან ხოლმე ჩვენი ქალაქის კინტოებმა. სულ ერთია რისაც უნდა იყოს შოსართავები: ტყვიისა, კალისა, ქარვისა, გიშრისა თუ სპილენძისა, ოლონდ კი ჰქონდეს.

რაიცა შეეხება ფერად ჩასაცმელებს, მათ ბევრად გადაუჭარბებიათ სპარსელებისათვის. ძალიან მწვანე, ლურჯი, ყვითელი და ნამეტნავ ძალიან წითელი, მიჩნეული ფერებია ამათში. პატარების თავით ფეხამდე წითელ ტანისამოსს წითელის ჩაღრით ვინ იტყვის, როდესაც სამოც-ოთხმოცი წლის მოხუცებულებსაც ყველას წითელი კაბა აცვიათ, წითელის, სახლებ-გაყრილი ქათიბით. ასე წარმოიდგინეთ, როდესაც ერთს მიცეალებულს მიასვენებდნენ, დედაკაცებს თავიდან ბოლომდე სულ წითელი ტანისამოსი შევამჩნიე და როდესაც დავეკითხე ერთს ჩემს მეგობარს ოფეფთას,—ეს როგორ შეიძლება, რატო სიმგლოვიარო არ აცვიათ-მეთქი, მიპასუხა: რა უშავს, ღარიბი ხელხია; წითლები ხო არ უჩანთ, თეთრ ჩადრებში არიან გახვეულნი, სულ ერთიაო.

კაცებს იგივე ჩაცმულობა აქვთ, რაც სპარსელებს, გარდა, ესრედ წოდებულის, ინტელიგენციისა, რომელნიც მთლად ინგლისურ გემოენებაზედ არიან გამოწყობილნი და გარდა ზოგიერთ ახალგაზდებისა, რომლებიც არც ევროპულად არიან ჩაცმულნი, არც სპარსულად და ორივ ერთმანეთში გადაურევიათ დომხალივით.

სომხობა, როგორც ყველა ქრისტიანი ხალხი, ეწყობა ყოველგვარ მაგარ სასმელებს. ჰედიან თვითონვე თავის საკმარის არყს, აყენებენ ღვინოებს და ისე ძალიან ეტანებიან ორივ ამ სასმელებს, რომ ღვინის სმაში არ ჩამოურჩებიან კახელს და არყის სმაში რუსს. ხშირად შეპხვდება კაცი გასეირების დროს, რომ რომელიმე ინტელიგენტს ედგას ერთ ჯიბეში არყით სავსე პატარა მობრტყო ბოთლი თავისის ფიალით და მეორეშიაც ეყაროს დახალული გოგრის თესლი და მუხული — შესატანებლად.

ამბობენ, ერთი ტერტერა სტუმრად ყოფილა და ისე დამთვრალა, იქვე დასძინებია. კაი ხშირ-ბინდი წამოსულა. მასპინძელს გონით რო ვერ ჩაუგდია, შეუბმეინებია ურემი, ჩაუწვენია შიგ მძინარი ტერტერა და გაუსტუმრებია. ტერტერას გზაში გამოჰლვიდებია, გულალმა მწოლარეს ცაში „მრავალი“ შეუმნევია და მეურმისათვის დაუძახნია.

— ბიჭო, ეი, მეურმე! იმ ვარსკვლსვებს თავი ერთად რად შოუყრიათ?

— იქ, ტერტერჯან, წვეულობა გამართული, ღვინოს გიახლებიანო, — უთქვამს ცოტა დაცინვის კილოთი მეურმეს.

— მაშ, შენ გარდას, თუ არ გეზარება, ყინწი იქით მიუბრუნე ამ ურემსაო, — უპასუხნია ტერტერას. ეს, რასაკვირველია, საოხუნჯოდა აქვთ თვით ჯულფელებს გამოგონებული, თუმცა ჩინებულად არის ამ ოხუნჯობაში დახასიათებული მათი ღვინის სმის სიყვარული. ეხლა მე გიამბობთ მოგონებაზედ ერთს ამგვარ შემთხვევას, რომელსაც პირალებით კველანი ამოწმებენ და, როგორც დამარტინუნეს ზოგიერთებმა, თვით ჯულფის ისტორიაშიაც არის მოყვანილი, როგორც ნამდვილი და უტყუარი ამბავიო.

სომეხი და შეჭაბაზი. ყოფილა ერთი ლოთი სომეხი. მუდამ დღე, თურმე, თერტებოდა და სიმთვრალეში, რასაკვირველია, არც დიდი, აღარც პატარა აღარ გააჩნდა. ერთხელ სალამი ხანს ესე მთვრალი მოდენილა ხიდზედ ისპაანიდან ჯულფას. ამ დროს მეფე შავაბაზი მიდენილა აქედან ქალაქს. რო-

დესაც მოერალს შაპ-აბაზი დაუნახავს, გადაჭიშტომია წინ, უტა-  
ცნიი ცხენის ჯილაბში ხელი, გაუჩერებია და უთქვამს: ეს ცხე-  
ნი ამ საათში მე უნდა მომყიდოვო.— კარგიო,— უპასუხნია მე-  
ფეს,— მობრძანდი დილაზედ და წაიყვანეო. დილით ადრე,  
შეორე დღეს მეფის ხელჯოხიანნი გამოსცხადებიან ამ სომებს  
და უთქვამთ: შაპაბაზმა დაგიბარა; ეხლავ, ამ საათში იქ უნდა  
გამოსცხადდეო. გუშინ რომ ცხენს შეპვაჭრებიხარ, იმის თაო-  
ბისედ უნდა მოგელაპარაკოსო“. ამას, თურმე, აღარა ჰესომე-  
ბოდა—რა და ამის გაგონებაზედ ელდა სცემოდა. შესულიყო  
უოლთან შეშინებული და შეეჩივლა, ცოლს ეთქვა: „რისა გე-  
შინიან? ჩაიდგი ჯიბეში ერთი ჩარექა ღვინო და წადიო“. ისიც  
ისე მოქცეულიყო, როგორც ცოლს დეერიგებინა და წასუ-  
ლიყო. შაპს რო დექნხა, ეთქვა: „გუშინ ცხენს მევაჭრებო-  
დი და აი, მობრძანდი, ეხლა მოვრიგდეთო. სომებსაც ჩეცყო  
ჯიბეში ხელი, ამოელო ღვინით სახსე ჩარექა და მოეხსენებინა:  
„ორა, თქვენო დიდებულებავ! ცხენის მუშტარი გუშინ აი ეს  
იყო, მე მხოლოდ შუაკაცი გახლდით ამისი და ამან კი ეხლა  
უძრი განაცხადაო“. შაპს ძალიან მოსწონებოდა იმის მოსწრე-  
ბული პასუხი, ერთი გულიანად გადაეხარხარა და დიდის სა-  
სუქრით გაესტუმრებინა.

ჯულფა, როგორც მოუთხრობენ დღესაც, ოდესლაც ბევრს  
რასმეში განსხვავდებოდა თურმე ირანის სხვა ქალაქებიდან.  
უწინ, როდესაც შაპაბაზ პირველს გადმოესახლებინა აქ ძეე-  
ლი ჯულფის მცხოვრებინი, მაშინ იმათ პირველადვე კაი სახე-  
ლი დევმსახურებინათ. თუმცა იგინი ძალით აყრილნი, მიწა-  
წყალს მოშორებულნი, თვის და ტომს მოკვეთილნი, ათას ვაე-  
ბას, ტანჯვა-წვალებას, შეჭირებასა და უბედურობას გამოვ-  
ლილნი ყოფილიყვნენ, მით მაინც თვისის დაულალავის მხნეო-  
ბითი და მეცალინეობით ისე დაეყენებინათ მათ თავისი ახალი  
ჯულფა, რომ მით თავი მოჰქონდა ყოველივე მის მცხოვრებ  
სომებს. ეხლა? ეხლა კი, საუბედუროდ, იკლო მცხოვრებთა  
რიცხემი, იკლო მათ მხნეობამ და შრომის მოყვარეობამ და  
დღეს ჯულფა იქცა ერთ უბრალო ქალაქის უბნად, რომელსაც

ჟველაფერში მაგალითად გაჭრომია გაუნათლებელი და დრო-  
თა ვითარებისაგან დაბრიყვებული სპარსელი თავისის ცხოვრე-  
ბითა და ზე-ჩვეულობით. არავითარი მზგავსებაც კი აღარა  
აქვს მას, გარდა ცარიელ სახელისა, წინანდელ ახალ-ჯულფას-  
თან.

დღეს ჯულფაში ითვლება 50.0 კომლი სომეხი, და რომ  
ძალიან არ გადავაჭროთ, ცხრა მეტელი ამ 500 კომლ მცხოვრე-  
ბთაგან სულ მუქთა ხორანი არიან.—გაუხდება თუ არა ჯულ-  
ფელს შვილი 8—9 წლისა, გაისტუმრებს ინდოეთს: უნდა თვა-  
ლი მოიჩიჩენოს იმ თითის ტოლა ბავშვმა, იშოვოს იქ ერთი  
ორიოდ შაური და უგზავნოს თავის შშობელ მამას, ჯერედ  
სრულიად ახალგაზდას, რომ მან ხელვაუნძრევლად იცხოვროს  
აქ განცხომითა და ფუფუნებით. რა იქნა ის მათი ხელოსნო-  
ბა და ვაჭრობა, რისთვისაც, როგორც თვითონ მოუფხრობენ,  
იგინი განგებ იყვნენ აქ ჩასახლებულნი შაპაზაზის მიერ? რა  
იქნა ის ნიჭი და მხერობა, რომლითაც იგინი ირჩეოდნენ უწინ  
და რომლითაც დღემდე ისევ თავი მოაქვთ ზოგიერთებს?

დღეს ჯულფა დამდორებულია, გუბესავით. არავითარი  
მოძრაობა, არავითარი სიცოცხლე არ ეტყობა. ნეტავი თუ  
რაიმე აინტერესებდეს! სასუნის ამბავი რა იყო და იმანაც კი  
ვერავინ გამოაფხისლა. ვერ გამოიყანა იგინი თავისი განურ-  
კვეველი მდგომარეობიდან იმისთანა ამბავმაც კი, რომელმაც  
აღაშფოთა და ააღლელვა არა თუ მარტო სომეხი, არამედ ყვე-  
ლა არა-სომეხიც კი. ერთი ახალგაზდა ყმაწვილი შემომჩინდა,  
„რა ქნას კაცმა ამ ხალხში! შენ წარმოიდგინე, ვისაც კი შევ-  
ჩივლე სასუნელების ამბავი, ასე მიპასუხესო, — ეყრებოდნენ თა-  
ვისთვის და არავინ რას დაუშავებდათო“.

არ კი გეგონოთ, რომ, მართლა, სულ ყოველთვის დავი-  
წყებული ჰქონდეთ მათ სომეხთა საზოგადო ინტერესები. უყუ-  
რეთ, როცა გადაპკვრენ, როგორ შემოსძახებენ ხოლმე: „კეცე  
ჰაიასტან!...“ „ჯან ჰაირიკ!...“ სწორედ ისე, როგორც ჩვენმა  
ყმაწვილებმა იციან სმაში: — „ყანწით ვსვამ ლვინოს, შენს სა-  
დღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს“.

ერთი ტყე აქვთ ზენდე რუდის მარჯვენა კიდეზე, ჯულფის პირში, სადაც ჯულფელები ხანდისხან სასეიროდ დაიარებიან. გავისეირე ერთხელ მეტ. შეგვხვდა იქ ერთი ხანში შესული მელალი ტანის კაცი, ძალიან საქმარისად ნასვამი. გარეშემო ოცამდე წვრილ-ფეხი გოგო-ბიჭები ჰყვანდა შემოხვეული. და-გვინახა თუ არა, მოჰყევა ჰაიასტანსა და ჰაირიკზედ სიმღერებს და როდესაც უფრო ახლო მივედით (გზად ისე უნდა გაგვივლო), ჩამეტი ქამარში ხელი და ვეღარ მოვრშვი,—მნახე, რა პატრიოტი ვარო და ი ეს გოგო-ბიჭობაც სულ მე შევძინე ჩემს სამ-შობლოსაო... დამალრჩო ღვინის სუნით. ღმერთმა უშეველოთ, ამხანაგებმა მიშველეს და დამიხსნეს, როგორც იყო, იმ ახირე-ბული პატრიოტის ალერსიდან.

უპირველესი და მასთან ერთად-ერთი განსხვავება ჯულ-ფისა არის, რასაკირველია, მისი საყდრები და ენა, თუმცა ამ უკანასკნელშიაც დიდალი შეურევიათ სპარსული სიტყვები.

ვიყავ ერთ კვირა დღეს ვანქის საყდარში. შესავალი სა-ყდრისა და თვით კარებიც სულ მთლად სავსე იყო ფეხსაცმე-ლებით,—ქალისა, კაცისა, დიდისა და პატარისა; იყო ევრო-ბული ფეხსაცმელები ყელიანი და უყელო, იყო ადგილობრივი ყოველგვარი. ზოგი დაბლა, ფილაქანზედ ელაგა, ზოგი კიბეების საფეხურებზედ, ზოგი კარნიზებზედ, კაცს ეგონებოდა—აქ ფეხ-საცმლების მაღაზია უნდა იყოსო. ამათ, რასაკირველია, სპარ-სული ჩვეულება აქვთ და როდესაც სახლში თუ საყდარში შე-დიან, ფეხსაცმელს კარჩე დასტოვებენ და შიგნით წინდიანნი ანუ ფეხშიშველანი დგანან.

პირველს შესვლაში ყველა სომეხი შუბლზედ ხელს მიი-დებს, თვალებს ძირს დაჭრის და მოჰყვება ტუჩების ტოკებით ლოკების; შემდეგ პირჯვარს გადიწერს ჭიდევ და მაშინ შეუ-ძლიან აქეთ-იქით მიხედ-მოხედვაც.

დედა-სქესი სულ მთლად ჩადრებშია გამოხვეული. პატარა ყმაწვილებიც კი, თუ ქალია, სამი-ოთხი წლიდანვე ჩადრებში ჟყავთ შეგვეული, მაგრამ ამათი ჩადრები პირალებით სულ მხია-

რული ფერებისაა, მომეტებულად წითლები. ჩაღრებშიც არიან გამოხვეულნი ქართულად თავ-დახურული ქალებიც.

კაცებს, დაბალ ხალხს ყველას თავი აქვს გადაპარსული, მაგრამ ესეც მცირედის განსხვავებით: იპარსვენ უფრო მომეტებულად წინა ნახევარს, რასაც გადაიტანს სწორე ხაზი ერთი ყურიდან მეორემდე, ქოჩორზედ გადატარებული. ბევრია აკრედვე ამ დაბალ ხალხში თავნაპარსი წმინდა სპარსულს გემოვნებაზედ.

საყდარი კაი მოზრდილია, მთლად მოხატული და საზოგადოებრივია არის მოწყობილი. იქნება შიგ ტფილის-შიაც ერთის მეტი არ მეგულებოდეს ამის უმჯობესი ეკლესია. იატაკი თავ-და-თავ დაფენილია ხალებით, ხალხი მუდამ მოკეცილი სხედს და წამოლგებიან ფეხზედ მხოლოდ ზოგიერთს უაღრეს შემთხვევაში, როგორც მაგალითად: წმ. საიდუმლოს გამოსვენებაზედ, სახარების წაკითხვაზედ და სხვა.

საყდრებში, როგორც ქალაქებში, აგრედვე სოფლებში უნთიათ ყველგან სტეარინის სანთელი, რომელსაც კარტოფილისას ეძახიან და ზოგიერთ საყდრებში ლამპებიც კი, როგორც მაგალითად, „პატარა თავრიზის უბანში“, „დიდი დეკანოზის“ საყდარში. ამავე „კარტოფილის“ სანთლებსა ხმარობენ ქორწილში, დამარხვაში, ნათლობაში, ერთის სიტყვით, ყოველგან და ყოველისფერში. და ძალიან უკვირდათ, როდესაც მე ვეუბნებოდი, რომ, როგორც ჩვენ და რუსებს, აგრედვე თქვენს მოძმე სომხებს კავკასიაში საჩრდინებრივ წესებისათვის სხვა სანთლები გვაქვს განგებ შემოლებული და იმ სანთელს წმ. სანთელი ჰქვიან-მეთქი. მიკვირს, თუ დანარჩენი სომხობა რატომ არ მიაქცევს ყურადღებას ამისთანა ჩეცულობას! მერე, რომ ძვირი იყოს ფიჭის შოვნა, კიდევ სხვა არის. იმოლონა თაფლსა სჭამს მთელი სპარსეთი და თვით სომხობაც და სად მიღის იმისი ფიჭა? რასაკვირველია, მხოლოდ დაუდევ-რობას უნდი მიეწეროს ეს მათსას, მათი მოძმებისას და სასულიერო წოდებისას უმეტესად. სხვა არა იყოს-რა, საშიშია ლამპა საყდარში, მის სიმყრალეზედ რომ არა ვთქვათ-რა. სა-

კმელის კმევა ძალიან ხშირად იციან საცეცხლურებით და ამ მყრალ ნავთს კი ოღრჩოლებენ განუწყვეტლივ წმ. ხატების წინ.

მეორე დაუდევრობა მათი გამოიხატება ზარების უქონლობაში. სულ ორმოც-სამოცი წელიწადი იქმნება, როგორც დამარწმუნებს, რაც მათ ნება მიუღიათ სპარსეთის მთავრობისაგან ზარების ჩამოყიდვისა და მაინც ზოგიერთ საყდრებში შიგ ქალაქში და უველგან პირადებით სოფლებში დღემდე ჯერ კი-დევ ფიცრებს აკაკუნებენ, თითქოს ფუტკარი გავშვებიათო. მაგრამ უკაცრაოდ, ჩვენში, როდესაც ფუტკრის დაჭერა უნდათ, რაიმე სპილენძის კურკელს აკაკუნებენ და ამას ხო ბევრით უშვილესი ხმა აქვს მათს ფიცრის კაკუნზედ. განა ეს დაუდევრობა არ არის, მაშ რა ეშვაკია?! თუ კი ერთ ჩაელადას შეუძლიან თავით ფეხამდე ზარებით შემოსოს მთელი თავისი ცხენ-ჯორები, ნუ თუ მთელს ჯულფას და საზოგადოდ მთელ იქაურ სომხობას არ ძალუდს თითო პატარა ზარი იქონიოს ცველა საყდარში!! კომლზედ რომ თითო აბაზი (ყრანი) გაროილონ, სრულიად საკმარისი იქმნება ამ საქმისათვის, მაგრამ აკი წელანაც მოგახსენეთ, რომ ჯულფას არა სცალიან არავითა-რი საქმისათვის, საზოგადო იქმნება იგი თუ კერძო – სულ ერთია. ჯულფა გულ-ხელ დაკრეფილია და უსაქმობისა გამო ჭორებს უნდება დილიდან სალამომდე, კვირიუან კვირამდე, თვი-დან თვემდე და ასე მისდევს წელიწადი წელიწადს და სრულიად ვერას ამჩნევს, რომ დამპალი მძორის სუნია შიგ დატიალებული.

ერთხელ ჩემს სახლის პატრონს ყმაწვილი გეესტუმრებინა საყდარში მოსანათლად. თან გეეყოლებინა თავისი დედა და ცოლი კი შინ დარჩომილიყო. მე არა ვიცოდი-რა. ვნახოთ პატარა ხანს უკან დამიძახეს: მოდი, მოდი, „თამაშა“ ნახეო. გვევლ მეც. ეზოში შემოსულიყო სამი პატარა ბიჭი. ორს ხელში თითო პატარა უენო ზარი ეკირათ და სპილენძის ჯოხით იწყიარუნებდნენ; მესამეს სპილენძის თებშები, ციმბალი ეპურა ხელთ და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა ატყაპუნებდა. მე ვი-

ფიქრე, — ეს, უთუოდ, ჩვენში რომ იტალიელებმა იციან მუ-  
სიკით ქუჩა-ქუჩა სიარული, იმას აეგად იქმნება-მეთქი, მაგრამ მი-  
კვირდა, რომ მეტის-მეტად უშნოდ უკრავდნენ. მე რომ ამ  
ფიქრში ვიყავ, შემოყო ეზოში თავი ერთმა კაცმა, ხელთ სა-  
ბანში გამოხვეული ყმაწვილი ეჭირა. მოჰყეა ამას უკან ერთი  
ახალგაზდა მღვდელი ჯვრითა და ლოცვნით ხელში, მთლად  
წითელის სამოსლით შემოსილი. გვერდში, აქეთ-იქიდან ახლ-  
და მღვდელს ორი ყმაწვილი, გრძელ თეთრის პერანგებით და  
ხელშიაც თითო მათგანს თითო თავის სიმაღლე ანთებული  
სანთელი ეჭირა. ეხლა კარგა მიეხვდი, რასაცა პნიშნავდა ეს  
ამბავი და ცოტა არ იყოს შემრცხვა ჩემის თავისა, რომ პირ-  
ველად, მესაკრავე ყმაწვილების დანახვაზედ, შეუფერებელმა  
ფიქრმა გამივლო გულში, თუმცა არავისთვის არა მქონდა იგი  
გაზიარებული. თურმე, აქ ასეთი ჩვეულება ჰქონიათ: საყდარში  
რომ ნათლობას შეასრულებენ, ამ ყოფითა და ამბით მოაცი-  
ლებენ ყმაწვილს სახლში ნათლია და მღვდელი. მერე ყმაწვილს  
თავის დედას ჩააბარებენ, მღვდელი ერთ-ორ ამოსუნთქვა რა-  
ღაც ლოცვას იტყვის კიდევ, ყველას ჯვარს ამთხვევს, ჩაიხსრი-  
ალებს ჯიბეში უულებს და გათავდება.

ვიყავ ჯულის სასაულოზედ. აქ ყველა საფლავის თავით  
მიწაა მცირედ ამოჩიჩქნილი. შიგ სდგას ერთი პატარა ფიალა,  
მთლად გაშავებული და ანუ უფიალოდ, ამ ამოლრუნტულე-  
ბში ემჩნევა — ცეცხლი ყოფილა ნანთები. ვიკითხე: ეს რასა  
პნიშნავს-მეთქი? და მიპასუხეს: ჩვენ ჩვეულებადა გვაქვს, რომ  
წელიწადში ორჯელ ან სამჯერ და ნამეტნავ წითელ პარას-  
კევ დღეს ამ ამოჩიჩქნილ ადგილებში ცეცხლს გავაჩენთ და  
საკმელს ვუკმევთ ხოლმე ჩვენს მიცვალებულებსაო.

აქვე მაჩვენეს ერთი ძეგლი. ეს წარმოადგენს ოჯხი ქვითკი-  
რის სვეტს, რომლემზედაც დამყარებულია ზემოდან სახურავი  
(ბანი). ამ სახურავ ქვეშ არის ერთი უშველებელი ლოდი ლა-  
მაზის ზედწარწერითა. აქ ყოფილა დასაულავებული ერთი  
სომხის ვართაპეტი (არქიმანდრიტი), რამელსაც ხალხი ხბოს  
მკვდრეთით აღმაღგენელს ეძახის. და თქვენ წარმოიდგინეთ,

რომ ზოგი სპარსელიც ასე ეძახის ამ ვართაპეტს. ის ეს მეცხრა-  
მეტე საუკუნის სასწაულთ-მოქმედება როგორა კოფილა: ვარ-  
თაპეტს ჰყოლია ერთი ძროხა. ერთ დღეს ამ ძროხას ისეთი  
საშინელი ბლავილი შეუქმნია, რომ როგორც თვით ვართაპე-  
ტი, აგრედვე მეზობლობა ძალიან შეუწუხებია მის საცოდაო-  
ბას. ვართაპეტს უკითხნია, თუ ეს რა ამბავიაო? მოუხსენე-  
ბიათ: დილას ხმო მოუკვდა და მას აქეთია პირი აღარაურისა-  
თვის დაუკარებია, დაჲყურებს სულ იმ მკვდარ ხბოს და ესე  
გულმოსაკლავადა ბლავისო. ჩასულა მაშინ იქ ვართაპეტი, გა-  
დუწერია ჯვარი მკვდარ ხბოსათვის, გადუსვამს ზედ ხელი და  
ხბო ფეხზედ წამომდგარა.

ყოფილა ერთი ყეინი, შაპ-სულთან-ჰუსეინი. ამას მოუ-  
თხოვნია სომხებისაგან, რომ სარწმუნოება უნდა გამოიცვალო-  
თო. სომხები არ დაჲყოლიან, მტკიცე უარი განუცხადებიათ.  
შაპ-სულთან-ჰუსეინი განრისხებულა და რომ ველარა გაუწყვია-  
რა, უბრძანებია თავის მხლებელთათვის: წადით იმათ სასაფ-  
ლაოზე და რაც საფლავის ქვა იყოს, ყველას თითო კუთხზე  
ჩამოსტეხეთ, — ეგ იქმნება იმათი წინადაცვეთა და, თუ ცოხლებ-  
თან ვერას გავხდი, მაგათ მკვდრებს სულ მაჭმადის სარწმუნოე-  
ბას შეეუერთებო. მართლაც-და, არ შეიძლება კაცმა ყურად-  
ღება არ მიაქციოს, რომ ამ სასაფლაოზედ ყველა საფლავის  
ქვას თითო კუთხე აქვს ჩამოჩენილი. გადარჩმილია მხოლოდ  
რამდენიმე და ისიც იმიტომ, რომ მათი პატრონები დიდი კა-  
ცები ყოფილან და ფულით გამოუსყიდნიათ თავის მიცვალე-  
ბულთა წინადაცვეთა.

ერთი კუთხე სასაფლაოსი დათმობილი აქვს არა სომეხ-  
ერთიანებს. არიან აქ დასაფლავებულნი: ინგლისელი, ფრან-  
გი, ნემცი, პოლანდიელი, რუსი, ქართველი და სხვანი. ქარ-  
თველის საფლავი სულ ორი იყო, მაგრამ სიძველისა გამო ისე  
იყო გადაცვეთილები და ამოჭმულები, რომ ვერცერთის ზედ-  
წარწერა ვერ აღმოვიყითხე. ერთს კიდევ ცოტათი ეტყობოდა  
და იქ ეს ორი სიტყვა გავიჩიე: „აქ განისვენებს .....შვილი  
დაბა...“

ჯულფაში საზოგადოდ საქმარისად შეხვდება კაცს საფლა-  
ეის ქვები ქართული: ზეღწარწერით, ნამეტნავ ქველი საყდრე-  
ბის ეზოებში, მაგრამ სიძველისა გამო ზოგი ქვა სრულიად ჩა-  
შლილია მიწაში, ზოგისა თითო ნატეხი-ლა შერჩენილა და ზო-  
გიც მთლად ამოჭმულია მზისა და წვიმისაგან. აღმოვიკითხე  
სისრულით მხოლოდ ერთი ქვის წარწერა „მალე თავრიზის“  
(ჯულფაშია) საყდრის ეზოში. აქეე იყო სამი სხვა საფლავის ქვა  
და სასაფლაოს მცველთა გამოანგარიშებით, ერთი იყო სამასი  
წლის მიცვალებული, მეორე 1740 წელიწადს დასაფლავებული  
და ორიც თითქმის ერთსა და იმავე ხანში დასაფლავებული. ამ  
უკანასკნელთაგან ერთი ეკუთვნოდა „მოქალაქე თათული  
პატას შვილს“ და მეორე მომყავს უცვლელად თავისის მართლ-  
წერით: „ქ. უფალო:.. ლმერთო:.. შეიწყალე:.. აქა:.. მწოლე-  
ლის:.. გორელი:.. მირიანთ:.. რამაზასა:.. შეიღლის:.. ზურბის:.. სულ-  
სა:.. სმოთხე:.. და:.. ნთელი:.. აღირსე:.. შეუნდე:.. ცოდვანი:.. მი-  
სი:.. ვინაც:.. წაიყითხოთ:.. შენდობა:.. უთხარითა:.. ლმერთმა:..  
თქვენც:.. შეგინდოსა:.. ცოდვანი:.. თქვენი:.. მიცვალა ქრისტი-  
შობის ქადაგში „ცეკვა“. ეს იმავე საფლავის მცველთა ანგარი-  
შით გამოიყიდა 184 წლის მიცვალებული.

ერთხელ შემატყობინეს, რომ დღეს სამი ტერტერა უნდა  
აკურთხონ, ალბად, არ გენახვება და მოდი, დექსწარით. მე,  
მართლაც, არ მენახა, მაგრამ, თუნდა ნანახიცა მქონოდა, მით  
მაინც წავიდოდი, რადგან მთელი ზამთარი იქ მომიხდა ყოფნა  
და დროს გასატარებელი კი არა რაი მოიპოვებოდა.

მოპყვნენ კურთხევას შაბათ დღეს, დილით აღრიან. ზამთა-  
რი იყო, საქმარისადა ციოდა. როდესაც მე მიველ, ეპისკოპო-  
სი გარედ, ერთის ტალანის თავში სავარძელში იჯდა და  
ლოცვებს უკითხავდა სამღვდლოებს, რომელნიც მის წინ მუ-  
ხლის თავებზედ იყვნენ დაჩოქილები. ეს მოხდა ვანჭის ტაძარ-  
ში. სამს ერთად აკურთხებდნენ. აქ რომ გაათავეს ლოცვების  
კითხეა, გადაიარეს მთლად ტალანი და ახლა საყდრის შე-  
სავალ წინა-კარებთან გამართეს ასეთივე ლოცვა. აქვე აკურ-  
თხეს სხვათა შორის ერთ ტირაცუას საყდრის გასაღები, რო-

მლითაც იმ ტირაცუამ გააღო კარი და შევიღნენ საყდარში. აქაც, ჯერ შიგ კარებში დაიწყეს იმგვარიე ლოცვა, ახლა შეუა საყდარში და ბოლოს საკურთხეველში, და დააყენეს კი- დეც წირვა. მთელი წირვის განმავლობაში განაგრძობდნენ კურთხევასაც, მაგრამ მაინც ვერ გაათვავეს. საღამო ლოცვაზედ იყივე ამბავი იყო და მეორე დღეს, ჭირას მთელი წირვაც ამათ მოანდომეს.

მეტის-მეტი გაზვიადებული ცერემონია ჰქონიათ, ძარღვე- ბის სისუსტე შეიძლება მოჰვეაროს მაყურებელს. ბევრი სრუ- ლიად მეტი რამა აქვს უწინდლიდან შერჩმილი, რაიცა დღეს სრულიად აღარ შეესაბამება. არ ვიტყვით იმას, რომ ესენი ყო- ველისფერს უკურთხებენ: გინგილას გადაპყიდებენ — უკურთხე- ბენ და აკურთხებენ, პერანგს ჩაცმენ — უკურთხებენ და აკურ- თხებენ, ფილონს წამოასხმენ — აგრედვე, მიტრას დაპურებენ — აგრედვე, სახარებას მისცემენ ხელში — აგრედვე, თითქმის ცო- ცხაც კი (ტირაცუებს) უკურთხებენ, რომ დღეიდან ნება გაქვს ეკალესის დაგვისაო.

ვერაფერი მოსაწონია, როდესაც ახალ ტერტერებს სა- კურახევლის პირში აყენებენ დაჩოქილებს, რაღაც ტიატრა- ლურ სცენას მოაგონებს: პირი ხალხისაკენა აქვთ მიქცეული, წირვა თავის რიგით მიდის, და ესენი მოვალენი არიან ამ დროს, ხელები წიგნივით ეჭიროთ თვალებ-წინ გადაშლილი და შიგ ჩაიყურებოდნენ ანუ ხელები ხელის ზურგის მხრივ თვალებ- ზედა ჰქონდეთ თვარებული, თითქმ კეკემალულობასა თამა- შობენო. კი არ გეგონოთ, რომ ამეებს დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, — გვერდში უდგანან მღვდლები და ხელებს უს- წორებენ, თუ ამ გამაუცდელმა სამღვდლოებმა ხელები სწო- რედ ვერ აიფარეს.

მაგრამ უველაზედ უფრო შეუფერებელია დღეს მათი ჩო- ქით ტარება. სრული ორი დღე, რაც ისინი ეკურახებიან, ნება არა აქვთ ფეხით სიარულისა, სულ ჩოქით უნდა მიჩო- ჩივდნენ. მერე რამდენს ატარებენ იმ უბედურთ! თანაც თე- თრი ვრძელი პერანგები აცვიათ და სულ მუხლებში ედებათ.

მითხრეს, როდესაც ესე ჩოქვით დაჰყავდათ, ყოველთვის აქეთ-იქიდან თთო მღვდელს ყურში ჰქონდა ხელი ჩავლებული და ისე მიათრევდნენო, მაგრამ ეხლა ეს ჩვენი ახალი ეპისკოპოსი ამას აღარა სჩადისო. მინახავს, როდესაც კამეჩი უნდათ შეა-ბან უღელში, ყურში ხელ-ჩავლებული მიჰყავთ ხოლმე, მაგ-რამ სამღვდელო კაცის ყურში ხელ-წავლებული თრევა კი იმოდონა მრევლის თვალ-წინ, არც გამეგონა, არც მეგონა. თვით ის მუხლის თავით სიარულიც მთელი ორი დღის გან-მავლობაში, ჩვენის აზრით, პირდაპირი დამცირებაა კაცის პი-რადი ღირსებისა. იტყვიან, ეს ღვთის გულისათვის ღვთისა წინაშე იმცირებს კაცი თავშაო, მაგრამ განა ის, ქადაგად და-ცემული დედაკაცი კი ღვთისა წინაშე არ იმცირებს თავს, რო-მელიც, რენის ჯაჭვებ შემობორბლილი, უვლის გარს საყდარს დაოთხებული? ნუთუ ღმერთი მოითხოვს თავის მოსავთაგან მისი კაცური ღირსების დამცირება! ამისთანა რამეგბს თუ მნი-შვნელობა ჰქონდა უწინ, ერთს რომელმე დროს, რომ გან-გებ გაეძნელებინათ უბრალო მსურველთათვის სასულიერო წო-დებაში შერიცხვა, ეხლა ჩვენის აზრით ყოველივე მნიშვნელო-ბას არის მოკლებული. დღეს პირიქით ამისთანა ჩვეულებები დააფრთხობს ბევრ კეთილშობილსა და გონება განვითარებულ ხალხს და ბურთი და მოედანი დაპირებათ მხოლოდ იმისთანებს, რომელნიც ყოველგან, ყოველთვის და ყოველისფერში იკის-რებენ თავის დამცირებასაცა და ყოველივე სიმღაბლესაც.

ნათლილება დღეს წაველ ისევ ვანქის საყდარში, რადგან გაგონილი მქონდა, რომ იქ იმ დღეს გარდა სომხებისა სხვა სარწმუნოების ხალხიც დადიანო. მართლაც, შეველ თუ არა საყდარში, ბლომა სპარსელი ხალხი მეტა თვალში,—ვინ მო-ლა, ვინ მოხელე, ვინ სეიედი; იყვნენ თთო-ოროლა ლოთ-რანგნი და კათოლიკენი. იყო აგრედვე ბიშოპი ლოთრანგთა მისიონერებისა და თან ახლდა ერთი ვიღაც სომეხი, სახელად მნაცაკანა. ეს მნაცაკანა, როგორც ბოლოს მე შევიტვე, წინად სომეხ-გრიგორიანი ყოფილა სარწმუნოებით და მერე ლოთრან-გობა მიულია. შემდეგ, ამ ორი წლის წინად შესულა ერთ

დღესასწაულ დღეს სომეხთ დედათა მონასტერში და მასხარად იგდება დაუწყვია თავის მოძმეთ, სომეხ-გრიგორიანთ სჯულისა: რა ყვირილი, რა თამაშობა, რა ლანძღვა-გინება არ გაუმირთავს შიგ ეკლესიაში. ხალხი საშინლად აღელვებულია, მაგრამ დიდი მოთმინება და სულ-გრძელება. გამოუჩენია. მერე, როდესაც ეპისკოპოსისათვის შეუტყობინებიათ, ეპისკოპოსს მიუმართავს თხოვნით მისის უფროსებისათვის, რომ ამ შემთხვევას დაუსჯელად ნუ ჩაუტარებთო; მაგრამ იმათ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ეპისკოპოსის თხოვნისათვის და საქმე უბრალოდ ჩაუფუქებიათ, გაუჩემებიათ. ეხლა ეს ახალი ბიშოპი რომ ამ დღესასწაულების წინადღეებში ყოვლად სამდედელოსთან სადარბაზოდ მოსულიყო, ის ცნობილი მნაცაკანიც თან მოეყვანა, როგორც მოეწე. ყოვლად სამღედელოს გეოთხილებინა ის ახალი ბიშოპი, რომ შედეგში მაგ მნაცაკანის ჩემთან ნულარ მოიყვანთ, არ მესიამოვნებათ და თან ემზანა კიდეც წინანდელი მისი საქციელი. მერე წყალ-კურთხევების წინა დღეს მიეწერა კიდევ განგებ ერთი წერილი ბიშოპისათვის, რომ უკეთუ ინებებთ ხვალ ჩვენს ეკლესიაში მობრძანებას, არამც და არამც ის მნაცაკანა ჩვენს საყდარში არ მოიყვანოვო, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ბიშოპი იქა ბრძანდებოდა და ის მნაცაკანაც გვერთ ახლდა გამოჭიმული.

მწირველი იყო თვით ეპისკოპოსი. ყველაფერს მეტი შნორელი საყდარში. წყალი შიგ საყდარში აკურთხეს, კაი ცერემონიისაც ჰქონდათ. გალობა მწყობრი და სასიამოვნო იყო, ყველი სასოებაში მოჰყავდა. ეპისკოპოსს მთელი წირვის განმავლობაში არა შეუმჩნევია-რა, მხოლოდ, ბოლოს, წირვა თითქმის გათავებაზედ იყო, ეპისკოპოსი სავარძელში ჩაჯდა: მიავლის მოვლო იქიდან ხალხს თვალი, შეამჩნია ბიშოპის გვერდში ის მნაცაკანა და იმავე წამს აღელვება შეეტყო. გაუგზავნა ერთი მუშაობისილი მღვდელი, რომ წადი ეხლავე მანდედანაო, მაგრამ იმან ყურიც არ გაიძერტყა. მაშინ გადმოდგა საკურთხევლის წინ თვით შემოსილი ეპისკოპოსი და მნაცაკანა საყდრიდან დაითხოვა. ის კიდევ არას აპირებდა, ფეხიც არ მოუცვლია.

მაშინ ეპისკოპოსმა უბრძანა მრისხანედ იქვე მდგომ, შეუმოსავ მღვდლებს, რომ ახლავე გაიყვანეთ აქედანაო და იმანაც იყალრა და თავ-ჩალუნული გაბრძანდა საყდრილან.

ეს ამბავი მნაცანასი ჩვენ, რასაკვირველია, გაგვაოცებს, მხოლოდ ჯულფას კი საიმისო რამ საკვირველ მოვლენად არ ჩაუგდია, რადგან ყური ძალიანა აქვს ამგვარ ამბებს შეჩვეული. აქ ისრე აღვილად იცვლიან სარწმუნოებას, რომ თითქოს ერთი რამ უბრალო ძველი ჩიხა გიხადა და გადააგდოვო.

აქ იყო ერთი მღვდელი. მღვდელობაში რაღაც დაეშავებინა და თავის მთავრობას დროებით სამსახურიდან გადაეყენებინა. ის გაჯავრებულიყო, გამაჭმადიანებულიყო და სპარსულის ტანისამოსით დააფრატუნებდა, თურმე, თავ-მოწონებული, თითქოს ამითი ჯავრს ამოვიყრი ვისმესასაო. შემდევ, ამითიც რომ ვერას გამხდარიყო, ინდოეთს წასულიყო და იქ ლოთრანგობა მიეღო, ისე რომ მცირეს ხანში იმათი მღვდელი შექმნილიყო. ამასაც ვერ დეექმაყოფილებინა მისი უწააური სურვილები, დეექრა ფეხი და ტფილისში ამოეყო თავი. აქ კათოლიკეთ შემდგარიყო. გამოსხენოდა ბოლოს ერთი ვიღაც მაღლიანი კაცი, გონთ მოეყვანა, ისევ სპარსეთს გაესტუმრებინა და სხვა-და-სხვა მეგობრების წყალობით კვალად ტერტერად ჩეკეებინათ. ასე მოუთხრობენ დღეს მთელს ჯულფაში და დასძენენ თან, რომ ეს შემთხვევა სრულიად ახალთ-ახალიაო, ესე იგი წელსა თუ შარშან დაუსაფლავებიათ ჯულფაში ამისი მომქმედი ტერტერა. ამ ამბავს შეიძლება ვინმეშ კილევ ეჭვის თვალით შეხედოს; ამისთვის მე მოვიყვან აქ უფრო დანამდვილებულსა და თითქმის ჩემის თვალით ნანას ამბაეს, დასამტკიცებლად იმისა, თუ რა უბრალო ვაჭრობად გარდაქცეულა იქ სარწმუნოების აღიარება.

მე მყავდა ერთი სინიდის გარეცხილი ბიჭი, რომლის შესახებ ცოტა რამ უკვე უწყიან მკითხველებმა. როდესაც ის რაშტში ყაფილიყო, გრიგორიანობის სარწმუნოება მუსულმანობაზედ შეეცვალა და, როდესაც მე ის თეირანში ჩემს მოსამსახურედ ავიყვანე, უკვე კათოლიკე იყო. როცა საქმარისად

გავიცან ჩაც ვაუბატონი ბრძანდებოდა და გავპანჩურე, იქვე, ჯულუში იშოვა საცოლე და ჯვარი გადაიწერა, — იტყვიან, იღხანას ჩალხანა არ დააკლდებათ და მართალიც არის, საცოლე მისი ლოთრანგი იყო სარწმუნოებით, თითონ კათოლიკე და გაემართათ ვაჭრობა კათოლიკების არქიმანდრიტსა და ლოთრანგების ბიშოპს. ბიშოპს ეუბნებოდა, რომ აი ცოლს ვართავ, რას მომცემთ? ჩემი საცოლე ხომ ლოთრანგია და მეც ლოთრანგი შევიქმნებით. კათოლიკების არქიმანდრიტისათვის კიდევ ეთქვა: რას მომცემთ, ჯვარს აქ დავიწერ? მე ხომ ვარ და ვარ კათოლიკე და ჩემს ცოლსაც გავაკათოლიკებო. ბიშოპს ეპასუხებინა, რომ ხუთ თუმანს (10 მან.) მოგცემ და ვეცდები, სიმსახურიც აღმოგიჩინო რამეო; კათოლიკების არქიმანდრიტს კი ეპასუხებინა, რომ მე სამს თუმანსაც (6 მან.) ძლივს მოვახდებო. მაშინ აშას ერჩია, რასაკვირველია, პირველი და თვითონაც ლოთრანგად შემდგარიყო. მე იქვე ვიყავ, როდესაც იმან ჯვარი დაიწერა, მიიღო ხუთი თუმანი და მასთან ლოთრანგობაც. ვნახე კიდეც, საყდარში იჯდა და ლოცულობდა, როდესაც მე წაველ ერთხელ ლოთრანგების სალოცავის სანახევიდ და, რომ დამინახა, ცოტა არ იყოს, გაწითლდა და სირცევილის აღმა აჰერა სახეზედ.

ამგვარად, როგორცა ჰელდავთ, ერთი და იგივე პირი სხერხებს ორსა და სამს წელიწადში, თორე რამდენიმე თვეშიაც ოთხი-ხუთი სარწმუნოების გამოცვლას. რა ზეობრივი პრინციპები და რწმენანი უნდა ჰქონდეს ამისთანა ხალხს, ჩვენ ამის განხილვაში არ შევალთ. ჩვენ აღვნიშვნავთ აქ მხოლოდ ფაქტს, რომ ამ საზიზღარ მოვლინებებში ყველაზედ მეტი შრომა და ღვაწლი მიუძღვით, ასრულ წოდებულ ლოთრანგ-კათოლიკეთა მისიონერებს.

ეს მისიონერები, ჩემის აზრით, სრულიად ხრწნიან ხალხს ზნეობრივი შხრივ, არა თუ ასწავლიან მათ ქრისტეს მაღალ ზნეობიან მცნებებს. თქვენ კარგა მიხედებოდით მათს მოქმედებათა სახსრებს მარტო ამ, ზემორე აღნიშვნული, ერთის ფაქტიანაც. რა უნდა იყოს მათი ზნეობრივი ზედგავლენა, რო-

დესაც იგინი საქმით სულ რამდენიმე მანათად აყიდვინებენ და გააყიდვინებენ კაცს ქრისტეს სჯულს? შერე ნეტავი თუ იცით ახლა, ვისგნით მოინადირებენ იგინი ამ თავისი ლოთრანგ-კათოლიკობის მიმდევართ? სომეხ-გრიგორიანთაგან. რადა? რა დააშავა ამ სარწმუნოებამ? განა სომეხთა გრიგორიანობას იგივ მოქალაქობრივი უფლება არ უნდა ჰქონდეს, რაც ლოთრანგობასა და კათოლიკობას? განა ის კი იმ მაღალ ქრისტეს მცნებებს არა ჰქადაგებს? რითა იგი სხვებზედ ნაკლები?! რითა იგი უკანასკნელი? განა ეს ის სომხები არ იყვნენ, რომლებიც ქართველებთან ერთად ქრისტეს სჯულისათვის იხოცავდნენ თავებს და იქლიტებოდნენ? განა ეს ის სომხები არ იყვნენ, რომლებიც ქართველებთან ერთად ჰქონდნენ აზიაში ნათელს აზრს ნათელი სწავლისა! განა ეს ის სომხები არ იყვნენ, რომლებიც ქართველებთან ერთად თითქმის ყველა ევროპელებზედ უწინარეს დაწაფნენ ქრისტეს სწავლას და თავისის საკუთარის მხნეობითა და თავდადებით, დაუხმარებლივ ევროპელ ქრისტიანე ერთა, გაიტანეს იგი მეოცე საუკუნის დამდეგამდე! და მოღიან დღეს მათში ლოთრანგ-კათოლიკეთა მისიონერები და მოინადირებინ მათ შორის თავისათვის მრევლს. საკეირველია სწორედ! თუ კი მათ რაიმე შნო და უნარი აქვთ, რატომ თავიანთ ქვეყნებში არა მისიონერობენ? იქ, მაგალითად, ლივერპულში, როგორც იუწყებიან მათივე გაზეთები, ხალხი ათიათა-სობით გადადის მუსულმანების სარწმუნოებაზედ და ესენი კი აქ გამორბიან, ამოდენა ფულსა და შრომას აოხრებენ. მერე ნეტავი ერთი კერპო-მსახური ანუ სხვა ათასი ბნელის სარწმუნოებისა ვინმე გააქრისტიანონ და მაშინ კიდევ არაფერი, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, იმათ ამისი შნო არა აქვთ, ისინი კალია-საებ შესხვიან სომეხ-გრიგორიანებს და ქრისტიანებს აქრისტიანებენ! მართლაც-და, რაც კი დღეს სპარსეთში კათოლიკობა და ლოთრანგობაა, თქვენ წარმოიდგინეთ, მომეტებული სულ სომხები არიან. საკეირველია, რომ სომხობაც, თითქოს მას ჯერ კიდევ საკმარისად არ ესმოდეს ამ თავისი ეროვნული სარწმუნოების მნიშვნელობა, ესე ადვილად ასდევს ლოთრანგ-

კათოლიკეთა და სხვათა მქადაგებლებს. თითქოს ავიწყდება მას, რომ თუ ეროვნობა სომხისა ცოცხალ არს დღემდე, ეს სულ შესი ეროვნული სარწმუნოების მეობებით არის; რომ თუ მათ შორის პსუფევს ერთობა, მხოლოდ იმავე სარწმუნოების წყალობით. ვერავინ ინუგეშებს თავს; თუ ვითომ დღეს იმოდენად იყოს მათ შორის გავრცელებული ეროვნული გრძნობები, რომ უფრო სარწმუნოებოდ შეეძლოთ მათ თავის დაჭერა. ეს კიდევ ჯერ აღრეა მათთვის. ჯერ ისრეც, სამ სამფოთა შორის და ნაწილებულნი და მთელის დედა-მიწის ზურგზედ დაქსაქსულნი, რა ერთობას მოახერხებდნენ, უკეთუ მათში სარწმუნოებრივი სხეა-და-სხვაობაცა ყოფილიყო.

წირეის შემდეგ აველ პირდაპირ ეპისკოპოსთან, რადგან მალიან აღელვებული იყო და რამდენიმე თანაგრძნობიანი სიტყვა გულს მოულბობდა. ჩემთან კიდევ რამდენიმე სხვა კაციც მოვიდა. ჩენ, რასაკვირველია, მოვუწონეთ საქციელი და კიდურაც ვამხნევებდით.

აქ სხვათა შორის ჩამოვარდა ლაპარაკი საეკლესიო გალობაზედ. მე ვკითხე, რომ საიდან და როგორ იციან იმათ ესე ჩინებული გალობა-მეთქი? იმან მიპასუხა: „როდესაც მე პირეულად აქ მოველ და ვნახე, რომ ძალიან უხეიროდა გალობაზენ, დავიბარე ერთი ახალცახელი ტერტერა. ვიცნობდი მე იმს წინადვე, ჩინებულად იცოდა პრაქტიკაცა და ტეორიაც ჩაღობისა. თითონაც საშინელი კაი კაცი იყო: საქმის მოყვარე და პატიოსანი. ღმერთმა უშველოს, არ დაპარებოდა. მოვიდა, სრული ექვსი თვე დარჩა აქ და აი, როგორცა პხედავთ, ესე საწილა ექვს თვეში გალობა და ჩენი, სომხური ნოტების კითხვა. ეხლა ამათში ურევიან რამდენიმე კაცი, — რაც უგალობოთ, დასწერენ ნოტებზე, ისე კარგა შეისწავლესო.“ დააძახებინა აქვე ჩემს თვალ-წინ ერთ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცს, სოჩექისას, რომელიც ხელობით მკერვალი იყო.

ეიდრე სარქისა მოგეივიღოდა, მე ვკითხე ეპისკოპოსს: თქეენ არ გიცდით, რომ რამდენიმე ხმად დაგეწერინებინათ ეს საგალობლები? ბევრი ჩინებული კილო გაქვთ და როდერ

საც ეს ამოდენა ხალხი სულ ერთის ხმით გაიძახიან, ძალიან შნო ეკარგება ხოლმე-მეთქი.—არა, მე არ მიცდიაო,—მიპასუხა ყოვლად სამღედელომ და მე ვთხოვე, რომ, თუ ვინიცობაა, შემთხვევა გქონდეთ როდისმე, უსათუოდ სცადეთ, ერთიორად ჰატიფი მოემატება-მეთქი.

საკირველია სწორედ, რომ სომეხთა მუსიკის მცოდნენი ამას ყურადღებას არ იქცევენ. მე მქონდა შემთხვევა და ერთიორჯელ ველაპარაკე ამ საგანზედ ყარამურჩას, მაგრამ არავითარი წარმატება არ შემიჩნევია მის უკანასკნელ კონცერტებზედ, ისევე ყველანი ერთხმად გაიძახიან ყველა სიბრძეებს.

მოვიდა ბოლოს სარქისაც. ყოვლად სამღედელომ უგალობა მას ერთი ჰატარი საგალობელი და იმანაც ხუთს წამში გამოხატა სომხურის ნოტებით და იმღერა კიდეც. მე გამიკვირდა და ვთხოვე სარქისას, სრული გამმა დეეწერა ჩემთვის ამ ნოტებით. იმანაც დამიწერა და მითხრა, რომ ჩენი სომხური ნოტები უფრო მრავალფერია, ვიდრე ევროპული და ამითი თითქმის ყოველი ხასიათის გალობა და სიმღერა გამოიხატებათ. მე, რასაკირველია, ამაზედ ვერ დავეთანხმებოდი და დღესაც ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე ხალხის ნოტები უკეთესად იყოს შემუშავებული, ვიდრე ევროპული, რომლითაც დაწერილია მუსიკა ვერდისა, მოცარტისა, ბეთხოვენისა და სხვათა მრავალთა. ეს ესოდენად შემუშავებული ევროპული მუსიკა, ესეც კი ვერ გამოხატავს სისრულით, რამოდენადაც მე ვიცი, ქართული სიმღერის ხასიათს და იქ, ჯულფაში კი მარწმუნებდნენ, რომ სომხურ ნოტებით ყოველი ხასიათის სიმღერა და გალობა გამოიხატებათ.

მაგრამ ეს სწნადა სჭირო დღეს თითქმის მთელ სომხობას საზოგადოდ. აზირებული აზრის შედგენა იციან ყოველივე თავის რაიმე ეროვნულ კუთხინილებაზედ. თუ ნოტებია სომხური, მაშასალამე, ვერავითარი ქვეყნის, ვერავითარი ერის ნოტები მას ვერ შეეღრძება; თუ სჯულია სომხისა, ეს იმას მოასწავებს, რომ ყოველივე ქრისტიანული სარწმუნოება მხოლოდ მის მიერ წარმოებს, რომ იგი იყო პირველ-სახე ქრისტეს სჯულისა;

უკეთუ საგანი შეეხება ენას, რომ პირველი ენა დედა-მიწის ზურგზე მხოლოდ სომხური იყო, რომ თვით ნოე ამა ენითა ლაპარაკობდა და შემდეგ მის მიერ აღორძინდა ყველა სხვა ხალხთა ენებით და სხვა და სხვა. აქედან წარმოსდგება გადამახინჯება და გადასხვაფერება მათ მიერ ყოველივე საქმისა. რას პბრძანებთ დღეს, რომელ საგანს წავლებთ ხელს, რომელ წყაროს, ისეთს, რომ იგი სომხის მიერ იყოს აღნიშნული სომხურსავე ენაზედ და სანდო იყოს სხვათათვისაც. მე მქონდა ამ 9—10 წლის წინად ერთი გლობუსი, რომელიც სომხებს შვეიცარიაში გაეკუთხებინებინათ. მთელ საქართველოს და მასთან მთელ კავკასიასაც „სომხეთის პროვინცია“ ჰქონდა ზედ წარწერილი ფრანგულად და, ვგონებ, სომხურადაც, კარგი აღარ მახსოვს. ბაქოში ვნახე ერთხელ ერთი დიდი რუკა, სომხების გამოცემული, სადაც, არა თუ მარტო კავკასია, მთელი სამხრეთ რუსეთიც ვარონეების გუბერნიამდე სომხეთად იყო შოხესენებული. ეს, ვთქვათ, გეოგრაფიაა, ეს არაფერი. ბევრიც რომ მოინდომონ რისამე ჩაჯიბვა, არავინ რას აკანკებთ. ეს შხოლოდ იმას მოასწავებს, რომ, რადგან ვერსად ფეხ-ქვეშ ვერა ჰერძობენ ისეთ მტკიცე ნიადაგს, რომელსაც ნამდეილი სომხეთი ეწოდოს, აუკრავთ თვალები და ბრძებივით ხელებს იპორინებენ. არც ის არის, რასაკავირველია, კარგი, როგორც ქართველებმა ძირიან: არავითარ თავის სიკეთეს, სიკეთედ არ შიიჩნევს და სხვათა ლირსებებთან შედარებით ხომ, სრულად უარსაც ჰყოფს ხოლმე. გადაჭარბებული არც ერთი ვარგა, არც შეორე.

უველაზედ სამწუხარო აქ ის არის, რომ იგინი ამისთანა შოდვრებას ჰქადაგებენ სასწავლებლებში და მათის წყალობით უკრელებენ ხალხში. ეს დიდი ბოროტ-მოქმედებაა ჩვენის აზრით და მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს სომხის ჟელაგოგიას, თუ შეიძლება ასრე ვსოდეთ. ნორჩი ბუნება ყმა-შეიღინა ლვედივით არის,—ვისაც საითაც ჰსურს იქით გადაპ-ხრის, რასაც და როგორც ჩასხახებენ, ისე შეითვისებს. მაგრამ ეს არეის არ უნდა აძლევდეს უფლებას, ისარგებლოს ამ

გარემოებით და აწარმოვოს ყმაწვილის უბიშო ბუნება, როგორც თვით ეპრიანებოდეს. პირიქით, ფრიად გაფრთხილებული უნდა იყოს ამის გამო მასწავლებელი და ვინც გზას უხვევს ამ აზრს რაიმე მოსაზრებით, იგი სცოდავს წინაშე თავისის სინიდისისა, წინაშე კაცობრიობისა. რაკე ერთხელ შეითვისებს და შეისისხლორუებს ყმაწვილი რომელიმე ცრუ მოძღვრებას, შერე ძლიერ უჭირდება მას შეგნება ნამდვილის, მეცნიერულ გამოკვლევაზედ დამყარებული აზრებისა. ბევრად უფრო ადგილია მოსწავლისათვის ათი და ოცი ახალი აზრის შეთვისება, ვიდრე ერთი რომელიმე, შეცდომილად შესწავლილი, საგნის უარყოფა და მის სამაგრეროდ ახლის შეგნება. მე მოგახსენებთ ამის მაგალითს იქაურის ცხოვრებიდანვე.

იყო ერთი ფრიად სასიამოვნო სანახაობის ყმაწვილი ვ. სწავლა დექსრულებინა ინდოეთს, ქ. კალკუტაში, ერთს იქაურ სასუკეთესო ინგლისურ სასწავლებელში. ჯერ სრულიად ახალგაზდა იყო, მასწავლებლობდა ჯულფის სომეხთა სასწავლებელში. ერთხელ იმის თანადასწრებით ლაპარაკი გამართეს იქაურმა ყმაწვილებმა სხვა-და-სხვა ენათა წარმოების შესახებ და მკითხავდნენ და მკითხავდნენ, რომ ქართული ენა რომელ ენათა შტოს ეკუთვნისო. მე ვუპასუხე, რომ არც ერთს, დღემდე არსებულ, ენათა ჯგუფს არ ეკუთვნის და როგორც ჰგონებენ დღეს ზოგიერთი მეცნიერინი, იგი თავით თვისით საკუთარს შტოს უნდა წარმოადგენდეს-მეთქი. აქედან გადვიღნენ სომხურს ენაზედ და ერთმა იმათგანმა, რომელმაც საკმარისად იცოდა ბენგალური ენა, სოქვა, რომ სამართლიანად აკუთვნებენ ევროპელნი სომხურ ენას ინდო-ირანულ ენათა ჯგუფსაო და თან მრავალი მაგალითებიც მოიყვანა სანსკრიტულის ენიდან. ჩვენ სრულიად ვერ შევნიშნეთ ამ ლაპარაკში, თუ რა საშინელი ბრაზი მოპრეოდა ბ. ვ. ეთმინა, ეთმინა, და ბოლოს საშინელი აღშეფეხბული წამოუფრინდა ფეხზედ მოლაპარაკეს: „როგორ არა გრკვენიან, რომ შენც მაგასა ჰლაპარაკობ! ვითომ შენც სომეხი ხარ! თუ ეგ საზოგადო სიტყვები აღმოგიჩნია ჩვენსა და სანსკრიტულს ენაში, ეგ იმას მოასწავებს, რომ იმათ

აულიათ ჩეენგან ეგ სიტყვები და არა ჩვენ იმათაგან. ნუ თუ დღემდე არ იცი, რომ პირველი ენა დედამიწის ზურგზედ სომხური იყო? სად გაჩერდა ნოეს კიდობანი? განა ნოეს გარდა სხვა ვინმე სანსკრიტიც გადაურჩა „წარლენასო“?... მე სულ ოვალებ-დაჭუებილი შევყურებდი. მესმოდა და არ მეჯერებოდა, რადგან იმათში ვ. თითქმის ყველაზე მეტი სწავლა მიღებული იყო. მობასემ ორიოდ კაი პასუხი მიარტყა, მერე ჩვენც წავეშველენით და ბ. ვ. რო ველარას გახდა, დაიხურა ქული და გავარდა გარეთ.

ამ დღეს ყოვლად სამღვდელომ საღამომდე არაენ სახლში არ გავიშვა. საღამო ხანს ჩაის სმაში გაგვემართა საუბარი სხვა-და-სხვა ხალხთაგან ქრისტიანობის მიღებაზედ და მათს ნათლის-ღებაზედ. მაშინ ეპისკოპოსმა გაღმომილო სომეხთა მეისტორიის, ჩამჩიანის თხზულებათა პირველი ნაწილი და ასე გაღმომითარგმნა იქიდან ერთი ადგილი ქართველთა გაქრისტიანების შესახებ.

„სამას ჩვიდმეტ წელს, როგორც ჰმოწმობენ მოსე ხორენელი, სოკრატ \*), სოლომენოს \*\*) და თეოფანე \*\*\*), მიუღია ქართველობას ქრისტიანობა. ამ დროს მოუყვანიათ საქართველოში ტყვედ ერთი რიფსიმიანთაგანი, სახელად ნუნა. ეს მცხეთაში დაბინავებულია და თავისის კარგი ცხოვრებით მიუქცევია თავისზედ ზოგიერთების ყურადღება. ამ დროს მეფე მირიანს გაპხდომია ავად შვილი. ბევრისათვის მიუმართავს, მაგრამ ვერავის მოურჩენია. წაუყვანიათ მერე ნუნასთან და ჩას გადუწერია მისთვის ჯვარი და უთქვამს: განიკურნოს სახელითა იქსო ქრისტესითა, ვითარცა იგი თვით იყო სნეულთა მკუნალით და ყმაწვილი განკურნულა. შეძლევ თვით დედოფალი შექმნილა ავად. ამას მაშინვე მიუწვევია თავისთან ნუნა, მაგ-

\*.) შე-IV საუკუნის სწოლისტიკი, კონსტანტინეპოლიში. დაუწერით საეკლესიო ისტორიი 7 ტომად.

\*\*) შე-IV საუკუნეში დაუწერით საეკლესიო ისტორია 9 ტომიდ, რომელთაგან დაკარგულია + ტომი.

\*\*\*) შე-XVIII საუკუნის აზეიზნდრიტი.

რამ ნუნას შეუთვლია: მე ერთი უბრალო მხევალი ვარ, ღირს არ ვარ მეფის დარბაზისაო. ამდგარა მაშინ დედოფალი და თითონ მისულა ნუნასთან. იმის წამლობაზედ ესეც მორჩენილა და მაშინ მეფესაც ყურადღება მიუქცევია. გაპეტირვებია მხოლოდ ის, რომ მე ამოდონა საჩუქრებს ვუგზავნი და ის არა-ფერსა კისრულობსო. ერთხელაც თვით მეფე სანადიროდ წასულა. ერთბაშად ტყეში თვალთ ბინდი მოჰსელია, მოპგონებია სომეხთა მეფის ტრდატის საქმე, შევშინებია და მოპყოლია თავისი კერპი ღმერთების ლოცვასა. ამათ რო ვერა უშველიათ-რა, მოუწოდებია მაშინ ღმერთი ნუნასი: ოღონდ ამ განსაცდელს გადმარჩინე და შენ გიწამებო. ის მართლაც გადარჩენილა იმ განსაცდელს და უღიარებია თითონაცა და ხალხსაც ღმერთი ნუნასი. გაუგზავნია ნუნას მაშინ კაცები გრიგოლ განმანათლებელთან. იმასაც შემოუთვლია, რომ შემუსრეთ ყველა კერპებიო. შეუმუსრავთ აგრედვე კერპი არმაზისა, რომელიც წყალ გაღმა მთაზე ყოფილა აღმართული და მუდამ თვალ-წინ სდგომია ყოველ ქართველს, რამწამს იგი, თურმე, დილით ფეხზედ წამოდგებოდა. სამაგიეროდ ამისა აღუმართვინებია ნუნას მთაზედ აღმოსავლეთის მხრივ ჯვარი ძელისა. ხალხს რომ ეს უნახავს, დაცინვა დაუწყვია,—მაგისთანა ძელები ჩვენს ტყეებშიაც ბევრიათ. ნუნას ღმერთი ულოცნია: ღმერთო, შენ მოუვლინე ამათ სასწაულთ-მოქმედება შენი, რომ ხალხი უფრო განმტკიცდეს შენს სარწმუნოებაშიო, და ჯვარი ნათლით შემოსილა. სწორედ იმ ჯვრის ოდენი ნათელი ჩამოსულა ციდან და გარსაც 12 ვარსკვლავი გამოჩენილა. ხალხს მტკიცედ უწამია. მაშინ მეფეს უთხოვნია, რომ მღვდლები დაიბარეო და ნუნასაც კაცები გაუგზავნია სომხეთსა და საბერძნეთში. შემდგომ შესდგომიან ნუნას ხელმძღვანელობით საყდრის აშენებას. დაუყენებიათ მანქანებით რამდენიმე სვეტი, ხოლო ერთი მათგანი აღმაცრივ, გვერდზედ გაჩერებულა და ძვრა ვერ უქმნიათ,—ვერც დაუწვენიათ, ვერც სწორედ დაუყენებიათ: დაუწყვეტიათ თოკები, დაუმტვრევიათ რკინები და ვერას გამხდარან. მაშინ ნუნა მისულა იქ ერთხელ ღამით მარტოდ-მარტო და დაუ-

წყვია მხურვალე ლოცვა: ღმერთო, შენ მოუვლინე ამათ სა-  
სწაულთ-მოქმედება შენი, რომ უკედ დამყარდნენ სჯულზე-  
დაო, და ბოძი ჰაერში იმავე წამს გასწორებულა და ჰაერშივე  
გაჩერებულა. დილით, მეორე დღეს მოსულა აქ მეფე თავისის  
ხუროთ-მოძღვრებითა და გაოცებული კი დარჩომილა. ამ დროს,  
ყველა იმათ თვალ-წინ დაშვებულა ბოძი ჰაერიდან და ჩამდგა-  
რა სწორედ იმ ადგილს, სადაც თვით იმათა სდომებოდათ მი-  
სი დაყენება. ნუნას აქ რომ განუმტკიცებია სარწმუნოება, წა-  
სულა ახლა სხვა ადგილების გასქრისტიანებლად”.

ეს მოთხრობა, როგორც ჰქედავთ, ძალიან ბევრში ეთან-  
ხმება ჩვენს ისტორიულ მოთხრობებს. საკვირველია მხოლოდ,  
რომ სომებს მეისტორიეთ ვერ მოუსვენიათ ისე, რომ აქაც კი  
შიგა და შიგ ადგილები არ წაერყანათ. ძალიანა ჰსურვებიათ,  
რომ საქართველო ამ შემთხვევაშიც კი სომხეთის ზედგავლე-  
ნის ქვეშე ყოფილიყო და თავისებური დამოკიდებულობა შე-  
უთხავთ, ესე იგი წა ნინოს გრიგოლ განმანათლებელის რჩე-  
ვითა და დარიგებით ამოქმედებენ და შემდეგ ხალხის გასანა-  
თლადაც მღვდლებსაც თვითვე მოუვლენენ, — მაშინ როდესაც  
არც ერთ ქართულ ისტორიის წყაროებში, რაც კი დღემდე  
აღბეჭდილა, არც ერთი სიტყვა არ არის ამაზედ ნახსენები.  
ეს, რასაკვირველია, კვალად ამტკიცებს იმ აზრს, რომელიც  
ჩვენ ამის ზევით მოვიხსნიეთ, — რომ იგინი ჰრყვნიან ხშირად  
ყოველივე ფაქტს, რათა აიმაღლონ თავი თვისი.

წყალკურთხევის მეორე დღეს მთელი ჯულფა მისალო-  
ცად მისულიყო არქიეპისკოპოსთან. ყველა უბნიდან იკრიბება  
ხალხი: დიდი და პატარა, ხელოსანი და ვაჭარი, მოქალაქე და  
მოხელე, მღვდლი და ბერი, გარდა დედათა სქესისა, და ესე,  
უბან-უბან მიღიან და ულოცავენ დღესასწაულს. ეს ჩვეულე-  
ბა საზოგადოდ დიდად გავრცელებულია მათში. გახსნილებაა  
ოუ დამარხვება, შობაა თუ აღდგომა, ვარდან მამიკონიანისა  
ოუ სხვა რამ მისებრ დიდი დღე, მიღის და მიეშურება მთელი  
ჯულფი ეპისკოპოსთან: მიღიან აგრძელე ვაჟთა და ქალთა სკო-  
ლის მოსწავლენი. — ყმაწვილები უგალობებენ მას სხვა-და-სხვა

საგალობლებს, წაუკითხვენ რაიმე სიტყვას იმა დღესასწაულისა გამო და ეპისკოპოსიც ეტყვით სამაგიერო სიტყვას, გადუხდით მაღლობას. შემდეგ ხალხი დიდიან-პატარიანად ეამბორება ხელზედ და დაიშლება. ამითი თავდება მთელი ამბავი.

მე დავვსწარ ორ ამისთანა შემთხვევას. ერთი იყო დღე ვარდან მამიკონიანისა, როდესაც მე განგებ წაველ მისალოცად, და მეორე—ყველივრის აღების დამა. რამოდენადაც პირველმა დღემ მოახდინა ჩემზედ ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება, იმოდონად ამ მეორემ გამიცუდა სრულიად იმედებირა იყო? რა მოხდა ამ მეორე ჯერობაზედ? დღეშიდე მე ჩემის თვისთვის ანგარიში ვერ მიმიცია. ორასი სული მეტი მოგროვილიყო ეპისკოპოსთან. ნახევარზედ მეტი ბავშვები იყვნენ. მოეკეუნათ ხალიჩაზედ და განუჩევლად წოდებისა. და ხნისა ერთმანეთში ყაყანობდნენ. ყველა მათგანი რაღაც მოლოდინში იყო. ვნახოთ, დაირკეა ზარი. იგრიალა ამოდენა ხალხმა და დაეშო კიბეებზედ ძირის სართულში. იქ ერთ დიდ დარბაზში რამდენიმე პირად დაფენილი იყო ხალებზედ სუფრები. ხალხი ფიცხლავ მიესია კალიასავით ამ სუფრას და გაიმართა ყურთა გლეჯა“—ვინ წინა და ვინ უკან! არავითარი რიგი და წესი, არავითარი თავ-დაჭრილობა, თუმცა ყოვლიც სამღვდელოც მათ შორისვე იჯდა. ბევრი, რასაკვირველია, უადგილოდ დარჩა და ბევრიც ჯერ კიდევ ახლად ემატებოდათ. ზოგი მათგანი ნავამში იყო, ზოგი უკვე მოვრალი და, როდესაც დანარჩენებმაც გადახუხეს ერთი-ორი ჭიქა, მოჰყვნენ: ეს ჰაისტანიო, ეს ჰაირიკიო, ეს ეჩმიაწინიო... ყურთა სმენა აღარ იყო, ერთს მეორისა არა გეეგებოდა-რა.

გათავდა ბოლოს ვახშამი, აიშალა ხალხი და აჰყა ისევ უკან ზევით სართულში ეპისკოპოსს. მოართვეს ამ დროს ყოვლად სამღვდელოს ტომარა-ტომარაზედ ნუში. იღებდა ისიც ერთი უმველებელი ბაღით სავსე-სავსეს და ურიგებდა თავისის ხელით. აბა რომ ეხლა დატრიალდა ორონტრიალი: ყიირილი, სიცილი, ნუშის კნატა-კნუტი და „ჯოვთ-კენტის“ ძახილი ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ კაცს მეორედ მოს-

ვლის დღე ეგონებოდა. სრულ 12 საათამდე ისხდა ეს ამოდონა ხალხი და თავისი „ჯოვთ-კენტით“ უჭირებდა საქმეს საწყალ ეპისკოპოსს და უნდა ისიც ძალა-უნებურად მჯდარიყო იმათში ის იმოდონა ხანი და ეძლია პასუხები მათს გულის გამაწვრილებელ „ჯოვთ-კენტზედ“.

ეს ჩვეულობა შემოულიათ, როგორც სჩანს, იმისთვის, რომ სიამოვნებით გაატარებინონ ეს ლამე შვილებმა თავის სულიერ მამას, მაგრამ დამტერწმუნებით, როგორც თვალით მნიშველს, რომ უსიამოვნობა მეტი მიაყენეს და სასიამოვნო რამ კი მე იქ არა მინახავს-რა. იქნება უწინ ეს ჩვეულობა ძალიან კარგი და სანაქებოც იყო, მაგრამ ის, რაც მე ვნახე, უმჯობესია აღარ განმეორებულიყოს. ნეტავი იყოდეთ ახლა, თუ რა ხალხი იკრიბება იქ იმ დღეს? მუხანათი, ლოთი, ჭირვეული, ბრიყვი, კალინერი, ყარტლიანი, შარიანი, ზოგი სრულიად გამოპინტრიშვებული და ზოგიც მხოლოდ იმისთვის, რომ იქ ამოიყოროს მუცელი და ჩასხას თავის მოუკუპრავ ტიქს, რაც შეიძლება მომეტებული დვინო და არაყი. არც ერთი რიგიანი და პატიოსანი სომეხი მე იქ არ შემხვედრია, არც ერთი ინტელიგენტი იქ არ დაჰსწრებია.

სომხებსაც სცოლნიათ კათოლიკებსავით ფეხის ბანეა დიდხუთშაბათ დღეს. მე ეს ტფილისში არ მენახა და წაველ „მალე თავრიზის“ საყდარში. გამოვიდა ერთი ღრმად მოხუცებული დეკანოზი, თავით-ფეხამდე თეთრად შემოსილი, მაგრამ, უკაცრავად, ფეხები შემოსილი არა ჰქონდა, ფეხ-შიშველა იყო. საკურთხევლის წინ ჩამომწყრიებულიყვნენ 12 ყმაწვილი თეთრის ჰერანგებით და ანთებული კელაპტრებით. ესენი მოასწავებდნენ 12 მოციქულს ქრისტესას. მაღლა, საკურთხეველში ერთს ადგილს იდგა ტასტით წყალი და აქეთ-იქიდანაც მიწყობილი ჰქონდა თეთრი მიტკლის ნაჭრები. ტასტის ერთ მხარეს იდგა საყარძელი და მეორე მხარეს მირენის ჭურჭელი.

ტეკანოზი იყიდა საკურთხეველში; ჩაიჩოქა სავარძლის პირდაპირ და დიდის ამბით შეამზადა წყალი. ამოვიდა ამ დროს ერთი ვეება მღვდელი, ჩაჯდა სავარძელში და წამოუწყო დეკა-

ნობის უშველებელი ტოტყი ფეხები. დეკანოზმა დაასველა წყალში ერთი თეთრი მჩვარი, მიუსვ-მოუსვა ოდნავ, შეუმშრალა შეორე მჩვრით და ჯვარის სახედ სცხო ორივ ფეხზედ მირონი. მოჰყვა ამ მღვდელს ეხლა ორი ტირაცუა; დაიძრა შემდეგ თითო თითოდ ის 12 ყმაწვილიც, მოციქულებს რომ წარმოადგენდნენ. ყველა მათგანი, რომ ადიოდა, ხელზედ ჰკოცნიდა დეკანოზს და, რომ ათავებდა, აგრედვე. როდესაც მორჩნენ ყველაფერს, მაშინ თვით დეკანოზი ჩაჯდა სავარძელში და იმ პირველმა გოლიათ-მღვდელ-მა დაპბანა მას ფეხები.

ეს თეატრალური ჩვეულება პირველადა ვნახე მე კათოლიკების საყდარში და სამისოდ არ გამკვირვებია, რადგან იმათ ბევრი რამ იციან თეატრალური. იციან ეს ჩვეულება, მართალია, რუსებმაც, მაგრამ იმათში ძალიან თავდაჭრილად არის ხოლმე. რუსეთში მხოლოდ ეპისკოპოსი ასრულებს ამ ჩვეულებას, რადგან მხოლოდ ის ითვლება ქრისტეს მოადგილედ და სომხებში კი ყველა ტერტერა ჰბანს ფეხს 12 მოციქულ-ყმაწვილს. ამასთანავე რუსის ეპისკოპოსი ჰბანს ფეხს 12 სულიერ მამათ, კათოლიკებისა პატრი 12 ჰატარა ბაჟშვს და სომხის ტერტერა კი 12 ქაბუქს.

მაგრამ აქ ერთი კიდევ სხვა განსხვავება მეცა თვალში. რუსებში და კათოლიკებში, ვგონებ, თვით ფეხის მბანელს ალარავინა ჰბანს ფეხს და იმათში კი თვით ქრისტეს წარმომადგენელსაც ფეხსა ჰბანენ. ალბად, რომ ქრისტე, ფეხ-დაუბანელი, არ დაიწყებდა პურის ჭამას, თანხმად მაშინდელის ჩვეულებისა და ეს ნაცლი სომხებს თავის-თავად შეუცსიათ.

ამას კი, ვთქვათ, მივხვდი და ჭკვასთან ახლოც იყო, მაგრამ იმისი კი ვერა გავიგე-რა, თუ ის სამნი ვინდა იყვნენ, გარდა 12 ჭაბუკისა, რომლებსაც დეკანოზმა დაპბანა ფეხი? გამეგონა, რომ საიდუმლო სერობაზედ გარდა 12 მოციქულისა არავინ დასწრებიათ, მაგრამ, ვთქვი, იქნებ მე არ ვიცოდე და იქ კი ერთი-ორიოდ შემოსწრებული სტუმრისათვისაც დაებანოს ქრისტეს ფეხი-მეთქი, ვინუგეშე თავი და, მართლაც, არ ვიცი დღემდე, ვინ იყო კიდევ ის სამი კაცი, რომლებსაც დეკანოზმა დაპბანა ფეხები.

ამ საშის წლის წინად დაენიშნა ჯულფას ახალი ეპისკოპოსი, კაცი აღსავსე მხნეობითა და გამსჭვალული სომეხთა ერის სიყვარულით. სწორედ ზედ მისწრებული იყო ჯულფისათვის, თითქოს განვებას მოუკლენია. მაგრამ, რომ ჩენ ეს ქებადიდება ლიტონ-სიტყვაობაში არ ჩამოგვერთვას, უმჯობესია მოყვანოთ აქ მაგალითად თუნდა მხოლოდ ერთი შემდეგი მისი საქციელი, რომელიც, იმედი გვაქს, საქმარისად დაასურათებს მის საზოგადო მოღვაწეობას, როგორც ჰეშმარიტი მამულის შეილისას. ბოდიშს ვიხდით მხოლოდ მის მეუფებასთან, უკეთუ ჩენ ამ ფაქტის მოყვანაში მოვიხდეს, ვინიცობაა, რაიმე ისეთი სიტყვის ან საქმის გამომეღლავნება, რაც, იქნება, მას არა სდომნებოდეს გასაქვეყნებლად.

როდესაც ყოვლად სამღვდელო ისახა ყოფილა არქიმან-ღრიტად ინგლისში, მოუგროვებია თავისის გაჭირვებულის ცხოვრებით ზოგი თვისი ჯამაგირი, ზოგიც სხვა-და-სხვა შემოსავალი და შეუდეგნია ნალღი ხუთასი თუმანი ფული. შემდეგ, ტფილისში ჩამოსვლისათანავე, შეუტანია ეს ფული სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემენარიაში შემდეგის პირობით: ფულის პატრონს არას უამს არა ჰქონდეს უფლება მისი უკან გამოტანისა და შეეძლოს ისარგებლოს მხოლოდ მისის მოვებით, უკეთუ ფულის პატრონი, რაიმე მოულოდნელი მიზეზისა გამო ჩავარდეს რაიმე უუკიდურეს მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში თანხას ყოველ წლივ ზედ უნდა მიეკეცებოდეს თავისი სარვებელი და როდესაც იგი იმოდონად გაიზრდება, რომ შეეძლება მის სარგებელს ორი მოსწავლის დარჩენა, მაშინ სემენარიის მთავრობამ უნდა იყოლიოს მის სახელზედ ყოველ წლივ ორი სტიპენდიატი. ამისათანა საქციელმა ეპისკოპოსისამ დიდი უკმაყოფილება დაპატიჟადა მის შინაურ ცხოვრებაში და შეაძულა ბევრი ახლო ნათესავები, რომლებიც იმ დროს თვით ჰავიროებდნენ, თურმე, მაცერიალურ დახმარებას. მაგრამ ვერც ამ გარემოებამ შეაფერხა ყოვლად სამღვდელო და ვერ მიატოვებინა მას გზა, ერთხელ და სამუდამოდ აღმორჩეული.

როდესაც იგი ამ ოთხის წლის წინად სპარსეთ-ინდოეთის ეპარქიის უფროსად დევნიშნათ, მას კიდევ ჰქონდა გადარჩენილი რამდენიმე ასი თუმანი. იქ ამ ფულს დიდი სამსახური გერჩია მისთვის. მონასტერს, თურმე, იმ დროს ფირჯლი არ გააჩნდა, სკოლა ხელიდან მისღიოდათ და ისეთი კაცი ისეთს გარემოებებში ჩავარდნილი, რასაკირველია, არას დაიშურებდა: ყველგან და ყოველისფერში თავისის ჯიბიდან ატანდა ზედ ფულს და საქმე მუდამ საქმედ მიჰყავდა. ხოლო, როდესაც მან საქმარისი წყაროები აღმოუჩინა მონასტერს და ფული, ვალად მიცემული (მონასტრის საჭიროებაზედ დახარჯული), უკანვე დაიბრუნა, შემდეგი ანდერძი შეადგინა ინდოეთში გამგზავრების წინა დღეებში.—ეს დანარჩენი ფულიც, რომელიც წინანდელთან ერთად შეადგენდა სრულს ათას თუმანს, უნდა მისცემოდა იმავე სომეხთა ნერსესიან სემენარიას იმავე პირობებით. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ეხლა ეს ფული იმოდონად უნდა გაზრდილიყო თავისი სარგებლის ზედ მიკეცვით, ვიდრე იმის სარგებელს არ შეეძლებოდა ოთხი ყმაწვილის აღზრდა. ამ ოთხ სტიპენდიატში ორი ისევ სემენარიაშია უნდა აღზრდილიყო, ორიც ეჩიმიაწინის აკადემიაში და ეს ოთხივე სტიპენდიატი აუცილებლივ „ახალი ჯულფის“ სომეხთაგანნი უნდა ყოფილი ყვნენ, რაღან, მის მეუფების აზრით, „არსად, მოელს ქვეყანაზედ ესე უკან დაქვეითებული, განუვითარებელი, მხნეობა დაკარგული და ზნეობა გახრწნილი სომხობა არ მინახავსო“.

აი ამისთანა კაცი მიუჩემეს ჯულფას. ჯულფა კი იმ დროს სრულიად ხელიდან მიღიოდა: ყოველივე ეროვნული თუ საზოგადოებრივი ინტერესები მკვდარი იყო მათთვის. მოთავეებად და მათ გარეშემო იდგა ხალხი, რომელსაცა სწამდა მხოლოდ და გაღმერთებული ჰქონდა თავისი საკუთარი პიროვნობა და პირადი ინტერესები. სასწავლებელი დაკეტვას ჰლამობდა; ამის გამო ყმაწვილები მიჰყავდათ მისიონერების სასწავლებლებში, საიდანაც იგინი ნელნელაობით ლორთუანგთა და კათოლიკეთა სარწმუნოებაზედ გადაჲყავდათ. მონასტერიც მას შემწეობას ვერას უჩენდა, რაღან თვით ვალში იღწობოდა.

ეპისკოპოსი მისვლისათან ავე ამ ორ საქმეს შეუდგა უპირ-  
ველესად. დაიტრინა ამ ადგილებიდან ყველა მუქთა მჭამელი,  
საქმის უმეცარნი და მპარავნი. დააწესა რუსეთის სომეხთ კონ-  
სისტორიისავით დაწესებულება, გაუჩინა დავთრები და არც ერ-  
თი კაპეიკი არც შემოდიოდა, არც გადიოდა თავთავის ადგილს  
აღნურიშვნელად. ყოველივე თავის კალაპოტში ჩააყენა, ყველა-  
ფერს თავისი გზა გაუჩინა. გამოუჩინა ათასი სხვა-და-სხვა გვა-  
რი წყაროები და ეს, ყელამდე ვალში ჩაფლული ვანჭი, ვა-  
ლიდან ამოიყვანა და დღეს, რამოდენადაც მე ვიცი, მცირე-  
ოდენი თანხაც კი გაუკეთა.

სკოლა, სადაც მასწავლებელი ორ თუმანს (4 მან.) ღებუ-  
ლობდა თვიურ ჯამაგირად და ამის მისაღებადაც იგი 8—9  
თვე, თორე ხშირად ერთი წელიწადიც, უკან მისჩხაოდა გლა-  
ხსავით თვის ხაზინადარს; სადაც მასწავლებელმა ანბანისა და  
დავითნის მეტი არა იკოდა-რა; სადაც 20—30 შეგირდი ძლივს  
მოიყრიდა თავს და სადაც არავითარი სწავლა არა სუფევდა,—  
ეს სკოლა ყოვლად სამღვდელომ ნამდვილ სკოლად აქცია.  
დღეს აქ 8—9 საქმარისად მომზადებული მასწავლებელია, 200-ზე  
მეტი მოსწავლე ჰყავთ. სკოლაში დღეს 7 კლასია და საკმა-  
რისად რიგიანი პროგრამმა აქვს. ისე რომ, თუ აქამდე სომეხ-  
გრიგორიანი მიდიოდნენ ლოთორანგთა სასწავლებელში, ებლა,  
შოსალოდნელია, რომ იქიდან გადმოვიდნენ ამათ სკოლაში.

ეს გარემოებები სრულიად საქმარისი იყო, რასაკვირვე-  
ლია, რომ ეპისკოპოსს მტრები გასჩენოდნენ: ზოგს, პირთან  
მიტანილი, არამი ლუქმა ხელიდან დააგდებინეს, ზოგს აპყარეს,  
არა ლირსეულად მობოჭილი, პატივი და დიდება, ზოგს ხელ-  
უქებში ბორკილი გაუყარეს და მოუსპეს უფლება უზნეო თვით-  
მნებელობისა. გაჩაღდა ძმათა შორის შეურიგებელი მდვინვარე  
შტრობა და ქიშპობა; არავითარი ლონისძიება არ იწოდებოდა.  
ვერც ერთი სომხის სახლში ვერ მივიღოდა კაცი მაშინ და  
ჯერ ებლაც კი, რომ ეპისკოპოსზედ არა ყოფილიყო ჩხუბი  
და დავიდარაბა. ერთნი ყოველისფერს უწუნებდნენ, მეორენი—  
უწონებდნენ. წინააღმდეგნი იყვნენ უფრო მსხვილი ხალხი, რო-

მელთაც ერთხელ და სამარადისოდ მოესპონ ანგარების იმედები; მომხრენი იყვნენ — უბრალო ღარიში ხალხი, რომელიც მუდამ პრაქტიკულის თვალით უცქერის ყოველივე საქმეს. ემდუროდნენ სულ ისეთნი, რომელთაც თავის დღეში თითოც კი არ გაუნძრებათ არავითარი საზოგადო სასარგებლო საქმისათვის.

მე ვიცნობდი ერთ დიდ პირს, სომხთაგანს. დიდი ადგილი უკირავს, დიდი შეძლება აქვს, დიდი პატივი და დიდი სახელი; კაცი ევროპულიად აღზრდილი, ევროპულიად განათლებული და მოსმენილი. რა მოინდომოს თავისიანებისათვის, რომ არ შეეძლოს, მაგრამ თავის დღეში გულშიაც არ გაივლებს. რომ სომხი ვინმე იღრჩობოდეს და მას გადარჩენა შეეძლოს, ხელს არ გაუწვდის. და რომ ჰკითხო—რატომაო? გიპასუხებს: ეგ არ უამება არც ერთ მთავრობას, არც მეორეს, იმათ მაგათავის არავითარი კეთილდღეობა არა ჰსურთ და მე შუაში რად ჩავეჩრებიო. მე თუ მაგეთი მეტიჩარა და არამკითხე ვყოფილიყავ, დღეს ეს პატივი, ეს დიდება, ეს სახელი არ მექმნებოდა. და აი ამათთანა ხალხი ჰქიშპობს და ხელს უცარავს იმასაც კი, ვინც თავგანწირებითა და სასოწარკვეთილებით იბრძვის საერთო საკეთილდღეო საქმეებისათვის.

ეს მოვლენა, რასაკვირველია, მარტო სომხებში არ არის და მარტო მათ არ ეკიუნებათ, მაგრამ იმ ხარისხამდე კი, რომელიც მე იქ ვნახე, მართლა იშვიათი შემთხვევაა. იქ მაინც ხშირად სცოდნიათ, ანგარებით გატაცნილთ, ესეთი თავწასულობა. ერთ ჯერად, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე დაბრიყვებული ჰყოლიათ ერთი რომელილაც ეპისკოპოსი, რომ ახორმინ ხეწყალს მეორე სართულის დერეფანში, დაუვლიათ ხელი და ძირს გადმოგდება დაუპირებიათ, თუ მას იმავე წაშს არ მოეტრიალებინა ისე საქმე, როგორც უფრო სარფა და ხელ-მისაცემი იყო რამდენიმე მოწინავე პირდაღრენილი მგლებისათვის. ჩვენ აქ მაინც და მაინც ამაების კვლევა-ძიებას ვერ შევუდგებით, ჩვენ აღენიშნავთ აქ მხოლოდ სამს იქაურ შემთხვევას და დეე, მკითხველმა თვით გასაჯოს, თუ რა სიკეთე შეეძლება დანერგოს მათ შორის კაცმა, თუნდ რომ სულ ფოლადის ხასიათითაც იყოს იგი აღჭურვილი.

5) ყოფილა ინდოეთს ერთი დიდ ვაჭარი, დიდი ქონების პატრონი. ერთი და ერთი ჩვეულებად შემოუღია ამ ვაჭარს, რომ ყოველ წელს თავისის ნაღდი შემოსავლის ათის თავი, რომელიც, თურმე, კაი დიდ ფულს შეადგენდა, უგზავნოს ხოლმე საღმე გაჭირებულ სომხობას საქველმოქმედო განზრახვით. იქვე, ინდოეთში ყოფილა მის დროს ერთი სომხის ბლალოჩინი, ფრიად პატიოსანი კაცი. ამ ვაჭარს დიდად ჰყოლია მიჩნეული ის ბლალოჩინი და როდესაც, წლიური ანგარიშის შემდეგ, ფულს დაამზადებდა, იმ ბლალოჩინს დაეკითხებოდა, თუ სად უნდა გაიგზავნოს ეს ფული, სად უფრო საჭიროა და ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც მას ბლალოჩინი ჩეცებას აძლევდა. მიმდინარეობდა ასე საქმე მრავალი. წელიწადი. ერთხელ ბლალოჩინი მისულა თითონ იმასთან და უთქვამს, რომ ამ წლობით თქვენი ფული ახალ ჯულფაში გავგზავნოთო: იქ ახლომახლო სოფლებში ისე ღარიბი ყოფილა ჩვენი გლეხობა, რომ, როგორც მესმის, თურმე, სულ დედიშობილანი დაიარებინო. კარგი, იყოს ნება თქვენი, თქვენ უკეთ იცით ჩვენი ხალხის გარემოება და საჭიროებაო, უთქვამს ვაჭარს. ფული მართლა ჯულფაში გაუგზავნიათ. გაუგზავნიათ ეპისკოპოსის სახელობაზედ, როგორც უფრო უველაზედ სანდო პირისათვის. თან მიუწერიათ, რომ ეს ფული, ვინც უფრო გაჭირებული იყოს, იმ გლეხებს დაურიგეთ სოფლებშიო. ეპისკოპოსის ამქრებითურთ თვისითა, როდესაც ეს ამოდენა ფული ხუშტად დაუნახავთ, სხვა გვარი საღერლელი აშლიათ: გაუყვიათ ერთმანერთში და ჯიბეებში ჩაუსვენებიათ. ეს ყოფილა ერთი დიდი დღესასწაულის წინა დღეებში.

უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი დღესასწაულის (აღდგომა, შობა...) წინა დღეებში ჩამოდიან ქალაქად სოფლელი გლეხები და ჰყილიან იქ ყველს, ერბოს, კვერცხს, რაც კი გააჩნიათ. ხოლო, რაღვან იმათ ჩამოტანილ საქონელს, როგორც ქრისტიანებისას, სპარსელები არ იკარებიან, ისინი ძალა-უნებურად ყველაფერს ჯულფაში მოეზიდებიან. აქ, როდესაც ცოტა რამეს გაპილიან და ორივე გროშს მოიხელობდნ, ჯერ ყველაზედ უწინარეს იბანოში მიეშურებიან ხოლმე საბანებლად.

ეს, რასაკვირველია, ჩვენზედ უკედ მოეხსენებოდათ იმ ზემო-დასახელებულ ვაჟ-ბატონებს. ამისათვის თითო კაცი ჩაე-ყუნებინათ თითო აბანოს კარებში და ეთქვათ: რამდენიც სო-ფლელი გლეხი პნახოთ აბანოში მობანავე, თითო აბაზი (4 კა-პეიკი) მიეცით და უთხარით, რომ ინდოეთის დიდ ვაჭარს გა-მოუგზავნია თქვენთვის დასარიგებლადაო. გამომგზავნელთან კი ამასთანავე შემდეგი წერილი დაუწერიათ: ვერ წარმოიდგენთ, რა ზედ-მოსწრებული იყო ეგ თქვენი ფული ამ ყოვლად უმო-წყალეო გლეხობისათვისაო,—სულ ისეთ ხალხს დაუურიგეთ, რომ ნაკარტი ტანისამოსი არ გააჩნდათ ტანზედ, დედიშობი-ლა ტიტვლები იყვნენო. ვაჭარს რო ეს ამბავი მიეღო, მოეწვია თავისთან თავის საყვარელი ბლალოჩინი, ეჩვენებინა წერილი და ეთქვა: ნახე, რა გაჭირებაში ყოფილან იქაური ხალხი და ჩვენ კი არა ვიცოდით-რაო! დღეის შემდეგ, მამაშვილობას, სულ იქა ეგზავნოთ ხოლმე ეს ჩვენი ფულიო.

ორისა თუ სამის წლის შემდეგ ერთი ახალგაზდა ყმაწვი-ლი გამგზავრებული ჯულფიდან ინდოეთს და სხვათა შორის შეუვლია იმ დიდ ვაჭრის სანახვად, როგორც პატიოსანი და ქველმოქმედი კაცისა. იქ ლაპარაკი ჩამოუგდიათ ამ მთის—იმ მთის საჭმებზედ და ბოლოს სპარსეთის გლეხი სომხების გაჭა-რებულ მდგომარეობაზედ. მაშინ ახალგაზდა კაცს უთქვამს მმისათვის, რომ სამწუხაროდ თქვენი ფული ვერ მიდის იმ უქე-დურ გლეხობამდე და იგინი იდებენ ჯიბეში, ვისაც უიმისოდაც ბევრი აქვსო. მოხუც ვაჭარს გაღმოელო ჯულფიდან მიღებუ-ლი წერილი, ეჩვენებინა და ეთქვა: თქვენ სცდებით! აი, ბა-ტონო, წაიკითხეთ ეს წერილი,—სულ დედიშობილა ხალხისა-თვის დაურიგებიათო. ახალგაზდას გასცინებოდა ამ სიტყვებ-ზედ და ეთქვა: მართალია, ტიტვლებს ურიგებენ ფულს, მაშ აბანოში ტანისამოსიანი ვინა ბანაობსო და მერე ექნება და-წერილებით, თუ როგორ ან რას ურიგებენ ხალხსაო. მოხუ-ცებული დიდად შეწუხებულიყო ამ ამბავზედ, დეებაჩებინა იმა-ვე წამს ბლალოჩინი და შეეჩივლა. ბლალოჩინს ბევრნაირად ენუგეშებინა: ტყუილი იქმნება, იმ ყმაწვილს კარგა არ ეცო-

დინებოდა. მაგრამ, როდესაც ვაჭარი სხვა გზითაც დარწმუნებულიყო, ასე გამოეცხადებინა ბლალოჩინისათვის: მამაშეილობას, ნურც ერთ კაპეიქს ნულარ მიაწვდი სპარსეთის სომხობას და ნურც-ღა გამიხსენებ იმ ქრისტეს მოლალატეების სახელსათ.

ბ) ერთ სომებს სპარსეთის მთავრობა ჩასუიებოდა და ერთ საქმეში ამტკუნებდნენ. საქმე ძალიან ცუდად იყო წასული და ის საწყალი თავიან-ფეხიანად, ცოლიან-შეილიანად იღუპებოდა. მაშინ იმას წარედგინა მოწმად რამდენიმე ტერტერა და ერთი თუ ორი კათოლიკების პატრი. დეკნიშნათ სამართლი. სამართლის დღეს გახენილიყო იქ ერთი სხვა სომები, რომელიც, თურმე, ერთ რასმეს გამოელოდა სპარსეთის მთავრობი. საგან და დღემუდამ ცდილობდა დეკნიტკიცებინა მათვის თავისი ერთგულობა და სიყვარული. გასამართლების დროს მოწამე ტერტერებსა და პატრებს ისე ეჩვენებინათ საქმე, რომ ის უდანაშაულო სომები სრულიად მართლდებოდა. ეს რომ ენახა იმ მეორე სომებს, მიჰბრუნებოდა. მოსამართლე მუშთაფადებს \*) და ეთქვა:

— მაგათ რა სიტყვას უჯერებთ? ეგენი ყოველთვის ტყუიან, თავის დღეში მართალს არა ღაბარაკობენო.

„ეგ როგორ შეიძლება! ღვთის მოსამახურენი არიან, ესენი თავის დღეში არ იტყუებენო“, — ეთქვათ მუშთაედებს.

— რას პბრძანებთ! ეგენი იმასაც კი იძახიან, რომ იქსოჭრისტე მღვთის შვილი იყოვო \*\*), და განა მაგაზედ დიდი სიცრუე კიდევ შეიძლებაო?

„ეგ როგორ შეიძლებაო!“ — ეთქვათ ისევ მუშთაიდებს. — „ესენი მაგას როგორ იტყვიან, რომ ვინმე ქვეყნიური ადამიანი მღვთის შვილი ყოფილიყოსო?“

\*) მუშთაფადები პეტრიანთ იმათ დიდ ხასულიერო პირებს, როგორც ჩემი შლედელ-მთავარნი.

\*\*) მავშადიანთ სწამით იქსოჭრე, როგორც ერთი უპირველეს წინასწარმტკულობაზე, შაგრამ უარპყოფენ მის მღვთის შვილობას, მათის შეხედულობით შეუძლებელია, რომ ქვეყნიური ადამიანი იყოს ამასთანავე ძე ღვთისა.

— აი ბატონი, შორს რაღ მიპატრანდებით! ჰკითხეთ თქვენ თვითონ და, იმედი მაქს, აქაც კი, თქვენს წინაშე გაიმეორებენ მაგ სისულელესაო.

ეკითხნათ მაშინ იმათაც და მღვდლებს, რასაკვირაველია, ეთქვათ, რომ იქსო ქრისტე ღვთის შეილი იყოვო და მუშთაედებსა სრულიად შეეცვალათ თავისი გარდაწყვეტილება.

ის ერთი სომეხი დაიღუპა, მართალია, მაგრამ რა მიიღო იმ მეორე იუდამ,—ამისი კი დღემდე არა გამიგია-რა.

გ) ერთს ხუცესს ეიცნობდი. დიდი ადგილი ეჭირა და ძალიან დიდი შეძლებაცა ჰქონდა. როდესაც სადილობა მოვიდოდა, მოართმევდა ცოლი სადილს და ვერ კი გაპატებდავდა, რომ თითონაც გვერდთ მოსჯდომოდა და, როგორც კანონიერ ცოლს, ქმართან ერთად ეჭამა სადილი; ედგა მონასავით თავს და უსრულებდა ყოველივე სურვილს თავის ბატონს (ასე ეძახდა ქარს); ხოლო როდესაც იგი ინებებდა სადილის გათავებას, მაშინ ის საწყალი ცოლიც ჩაცუცქდებოდა საღმე და ნახორმახალით. ამოიყორავდა მუცელება.

აი ეს სულიერი მამა მოდენილა ერთხელ ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქს. იქ, იმ პირველ ქალაქში მიუკია მისთვის ერთ სომეხ ვაჭარს ხუთასი თუმანი იქრო და უთხოვნია: მოძღვარო, მამაშვილობას, ეს ფული წაიღე და მავანსა და მავან კაცს გარდაეციო. კარგი, შეილო, არხეინაც იყავო, უთქვამს ხუცესს, ჩამოურთმევია ფული და წასულა. როდესაც ეს ხუცესი მოსულა მეორე ქალაქში, გამოსცხადებია თავისის უპირო პირით იმ მეორე ვაჭარს, ვისთანაც ფული ჰქონდა გატანებული, და უთქვამს: ასე და ასე იყო ჩემი საქმე, მავანმა კაცმა ამდენი და ამდენი ფული გამომატანა შენთან, მაგრამ უკაცრავადა ვარ, გზაში დავკარგე, უნდა მაპატიოვოს. ის ვაჭარი სინიდისიანი კაცი ყოფილიყო. ეფიქრა-ეფიქრა, აელო-დაელო და ბოლოს ასე გადაეწყვიტა: მართალია, ამს ფული არ დაუკარგნია, მაგრამ რა უნდა ვუყო! თუ ვუჩივლო, სად უნდა ვუჩივლო? სპარსეთის მთავრობას ხო კიდეც გაუხარდება ასეთი საქმე. ვინ იცის, რა უნდა ილაპარაკონ ჩვენზედ! ჯერ ისეც

სახელი გვაქვს გატეხილი, ჯერ ისრეც თვალში არავის ვუზი-  
გართ და მაშინ ხომ სულ თავები მოგვეპრება. რომ სასულიე-  
რო პირი მაინც არა ყოფილიყო, კიდევ ჯანი გაპვარდნოდა  
და ამა ეხლა რაღა გამეწყობაო. და გაენებებინა თავი. ხოლო  
იმ სასულიერო პირისთვის ასე ეთქეა პასუხად: წადი, წადი!  
დამყარგე თვალოვან, შე ნამუს გაწყვეტილო, იუდა! შე ქრის-  
ტეს გძიყიდველოვო! და მოეფინა ეს ამბავი მთელს იქაურ  
სომხობაში.—მაგრამ ეს კიდევ არაფერია.

ერთხელ, თურმე, ესევე სულიერი მამა მეუღლითა და ასუ-  
ლითა თავისითა წასულა გასასეირებლად ჯულფის სასაფლაო-  
საკენ. როდესაც უკან დაბრუნებულან და შინ მოდენილან,  
შექმნედრიათ იქვე, სასაფლაოს პირში ერთი მარჯვე სპარსელი  
ბიჭი. დაუნახავს პირ-ახდილი ლამაზი ახალგაზდა ქალი ამ  
სპარსელს, დაუკვლია ხელი და გაუქანებია. მერე, იკითხავთ  
თქვენ: რა ჰქმნეს ამ დროს იმისმა მშობლებმა, მამამა და დე-  
დამ? ეცნენ თუ არა გაასპიტებულნი იმ სპარსელს ყანყრატო-  
ში და გამოპატრეს თუ არა ფრჩხილებით ყელი. შეაკვდნენ  
თუ შემოიკლეს ის სპარსელი? არც ერთი, არც მეორე, არც  
მესამე. ყველა პირუტყენა აქვს მშობლური ჯიგარი და მათ კი,  
თურმე, არა. წამოსულან ესენი ცოტა მოშორებით, ჩამომსხდა-  
რან იქვე ერთი საფლავის ქვაზედ და რამდენიც შემოსმიათ  
გოდება და ბრძოლა თავმოყვარე ახალგაზდა ქალისა, უტყა-  
პუნებიათ მათ მუხლებში ხელები და „აფსუს, აფსუს“ უძახნიათ.  
სპარსელს, რასაკვირველია, შეუსრულებია თავისი პირუტყუ-  
ლი გულის წადილი, მშობლების თვალ-წინ აუყრია მათის ქა-  
ლისთვის ნამუსი და მერე თვითვე უშიშრად ჩაუბარებია დედ-  
მაშისათვის მათი ქალი, როგორც კანონიერ სიძეს.

ეხლა მე თქვენა გკითხავთ: არის აქ კაცობრიული რაიმე  
გრძნობა? თუ თქვენ ეს ამბავი საარაკოდ მიგაჩნიათ? დამერ-  
წმუნეთ, ეს ნამდვილი და უტყუარია, ასე ამბობს მთელი ჯულ-  
ფა, ასე მოუთხრობენ იქ დიდი და პატარა, კაცი და ქალი,  
ერი და ბერი.

ჩვენ ვამბობდით აქამდე სულ ჯულფაზედ, მაგრამ სხვაა  
სხვა ადგილის სომხობა. ეს არ ითქმის ფერეიდანის სომხობა-

ზედ, ეს არ ითქმის თეირანისა და სხვა აღგილების სომებს ხალხ-ზედ. თეირანში სულ სამასი კომლი არ იქმნება სომხობა, მაგრამ, როდესაც შეხვალ ამ ასი-ათას მცხოვრებიან ქალაქში, უთუოდ თვალში გეცემა სომებიც. სომები აქ სჩანს, სომები აქ ყველგან, ყველა საქმეში გარეული: არის სომები დიდი მოხელე, არის სომები დიდი ვაჭარი, არის სომები კაი ინტელიგენტი, არის სომები კაი ხელოსანი და სხვა. ჯერ რაშტანც რომ შევიდეს კაცი, სცნობს იმავ წამს, რომ აქ სომხებიცა მოსახლობენ, თუმცა სულ სამოცი კომლი რომ იყოს, ისიც დიდი საქმეა; და ეს სამოცი კომლი მეტად სჩანს რაშტანც, ვიდრე 500 კომლი ისპანში. და რისაგან არის ეს? იმისაგან, რომ ჯულფის სომები გულ-ხელ დაკრეფილი ზის და შეჰყურებს ცას,—აცა, ციდან ჩამოვარდებათ! ჯულფასა ჰყავს სულ ოთხისუთი, ესრულ წოდებული, ინტელიგენტი და ისიც ისეთი, რომ რაშტის ყველა უბრალო ვაჭარი, იმათხედ მეტი მოსმენილია.

თეირანის სომხობას არა უჭირს-რა.—ჰყავთ კაი ინტელიგენტები, რომელნიც დღე-მუდამ ფიქრობენ სომებთა საზოგადო საქმეების ავ-კარგიანობაზედ. მე ვიცნობ დღესაც იქ ერთ ახალგაზდა ყმაწვილს, რომელსაც სულ რვა თუმანი აქვს თვეში ჯამაგირი და იქიდან ოთხ თუმანს ყოველ თვე ჰგავნის სომებთა საზოგადო საქმეების საჭიროებებზედ. მას ერთი და ერთი წესად დაუდვია და რაც ის სამსახურშია, ნახევარს თავისის ჯამაგირისს სულ ესე თვე და თვე უგზავნის, თურმე, ერთ საზოგადო დაწესებულებას საზოგადო საქმეებზედ მოსახმარებლად. აი ამასა: ჰყენიან საქმე! ჰყავთ ისეთი ინტელიგენტებიც, რომელნიც ლიტერატურულ საქმეებს ადგანან და ერთს მათგანს შექსპირის დრამებიც გადაუთარებენა და, როგორც დამარწმნეს, უფრო მეტის ხელოვნობითა და უკეთესის ენით მოუხერხებია, ვიდრე ტფილისის სომებთაგან არის იგი ნათარგმნი. ჰყავთ აგრედვე, როგორც ვსთქვით, მოხელენი, რომელთაც კაი თვალსაჩინი ადგილები უჭირავთ სპარსეთის სამსახურებში. აქვთ პატარა სტამბა, პატარა გაზეთი, „რაფის კლუბი“ (სამკითხველოა) და სხვა.

აქვთ აგრელვე ჯულფაშიაც პატარა სტამბა, რომელიც, ეგონებ, ეპისკოპოსს გაუმართავს, და „რაფის კლუბიც“. ერთხელ, ჩემს იქ მყოფობაში შეიკრიბნენ ამავე კლუბის საქმე-ებზედ და, როდესაც წევრები უნდა ამოერჩიათ, ხმის მოკრება ვერ მოახერხეს, ორი საათი დაიტანჯნენ და სულ კი 16 კაცი იყო იქ შეირებილი.

ვთქვათ, თეირანის გაზეთი, „შავილიც“ რაღაც სამასხარო მოვლენაა, მაგრამ რაც არის — ხო არის, ისიც კარგია. მაინც ცოტაოდნად ავწერთ ამ გაზეთს, რომ დაახლოებითი წარმოდგენა ჰქონდეს მკითხველს საზოგადოდ სპარსეთის ცხოვრებაზედ.

ეს არის ერთი ფურცელი საწერი ქალალდის ფორმატისა. გამოდის კვირაში ერთხელ და ღმერთმა უწყის, რითი ავსებენ — რითი არა. რედაქტორი სრულიად განუვითარებელი კაცია და მისმა კორესპონდენტებმა ანა-ბანა არ იციან, კალმის ჭრა არ იციან. წუ გეგონებათ, რომ მე ამას გაზვიადებით ვამბობდე. მე ვიცნობდი, ჩემს ისპაანში მყოფობის დროს, ერთ იმის კორესპონდენტს და, როგორც ის თვეოთონ მარწმუნებდა, ამ კორესპონდენტობისათვის მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად.

ერთხელ შემოვიდა ჩემთან სახლში და მოხვა: მცირეს ხნით შენი მაგიდა დამითე, კალამი და ქალალდი მიბოძე, ერთი კორესპონდენტია უნდა გამოვჭიმო „შავილი“-სათვისაო. მეც მივართე ექვსი თაბახი ფოშტის ქალალდი, რამდენიმე კალამი და მოვუცალე მაგიდა. დაჯდა. ფიქრობს, სწერს, ჰულის; სწერს — ასწორებს, სწერს — ჰულის. დაწერა ოფლითა და მწუხარებით ერთი გვერდი პატარა ფოშტის ქალალდისა. დაიწყო ახლა გადაწერა და მოჰყვა კვალიად წერასა და შლას, წერასა და სწორებას დაუსრულებლად. მორჩა, როგორც იქმნა, გადაწერას და ისევ შევი გამოუვიდა. მაგრამ მით მაინც გული არ აიცრუა, შოჰყვა ხელისლად გადაწერას: სწერდა და ფხევდა დანის წერით ღორის ქალმანივითა. არ იქმნა-და, ვერ მოახერხა მისი თეთრად გადაწერა. მორჩა ბოლოს, როგორც იქმნა. წაუკითხა

ერთ ჩემს მეგობარს. იმან რამდენიმე ადგილი გაუსწორა და ამან კვლავ მორთო შლა და წერა, გადაწერ-გადმოწერვა. სრული რვა საათი მოუნდა; ექვსი თაბახი ქალალდი წაახდინა და ხუთი კალამი. სულ კი რა დასწერა,—სრული ცამეტი სტრიქონიანი ანბავი და რა ამბავი?— „მოგვივიდა ჯულფაში ახალი ვართაპეტი. ვართაპეტი კაი კაცია, ეპისკოპოსს სჯობია. ეპისკოპოსი ბევრსა სჭამს და ჰევამს, ბევრს იძინებს. ეპისკოპოსს ჩხუბი უყვარს. ვართაპეტი მხიარული კაცია, ამ დღით სულა ზის და მღერის. გვევონება, სხვა არავერსა ფიქრობსო;—მოჭიკჭიკე ჩიტივით არის. ჩვენ ვართაპეტი ძალიან მოგვწონს, ეპისკოპოსი აღარ გვინდა. ეპისკოპოსი და ვართაპეტი ყოველდღე ჩხუბობენ“.

ეხლა რა უნდა გამოიყენოს აქედან რედაქტორმა? მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, მექურჭლებს საითაც უნდა, ყურს იქითვენ უზამს ქოთანსაო და მართლაც, ხშირად გადმოუთარებმინათ ხოლმე ჩემთვის ჩემს ამხანავებს ამის მაგრარი შინაარსიანი წერილები „შავიღისა“.

„შავიღს“ საზოგადოდ ძალიან არ უყვარს სომეხთა იერარხია და დიდის სიამოვნებით აძლევს ადგილს ყოველივე ამგვარ შენიშვნას, თუნდ რომ სულ მტკნარ სისულელებს წარმოადგენდეს, იგი ამ დღით „ქვა-ქვაზედ“ ურახუნებს; სულ იმას გაიძახის, რომ არ გვინდა „შავთავიანნიო“,—არ გვინდა ვართაპეტი, არ გვინდა ეპისკოპოსი, არ გვინდა პატრიარქ-ქათალიკოსიო, და ისე წარმოუდგენია, რომ იგი (რედაქტორი) თავისის „შავიღია“—თურთ შეაღებენ სამყაროს სოშებთისას და, მაშასადამე, ყოველი სომეხი უნდა ესწრაფებოდეს და ეწაფებოდეს მხოლოდ ამ ერთად-ერთ, სომხეთის განახლებისათვის, უკედავების წყაროსა და უებარ მაღამოსათ. მე კი რომ მკითხოს ვინმე, ათასს ამისთანა „შავიღს“ თავისის რედაქტორითა და თანამშრომლებით ვანაცვალებდი სულ მოლად ერთ რიგიან „შავ-თავს“. არ ვიტყვით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ სომხის ერისათვის მის შავ-თავიანებს ამ 1600 წლის განმავლობაში, რადგან ჩვენ ამისათვის არც დრო გვაქვს და არც ადგილი; მოვაგონებთ მხოლოდ იმას, რომ ჯერაც, ეხლაც, ამ

სათშიაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სომხის ერისათვის მთს განსაკუთრებულ სარწმუნოებას და ვინც მაგრე ქოქოლის მიყრით წამოპროშავს მაგისთანა რასმე, ის მით ქვეყნის წინა-შე აღიარებს მხოლოდ თავის საკუთარ განუვითარებლობას და წინდაუხედაობას. რომ შორს არ წავიდეთ, დავუსახელებთ იმ გვარ ვაჟბატონებს დღეს, ამ გამწვავებულ წამებში თუნდა მხო-ლოდ მარტო სტამბოლის თავ-შავიანს და ვთხოვთ ღრმად ჩაუ-ფიქრდნენ მის მოჭვედებას.

ეს გაზეო, რასაკეირველია, ვერ აკმაყოფილებს ოეირანე-ლი სომხების მოთხოვნილებას და უკვე შემდგარნი იყვნენ ახა-ლი გამოცემის დასაარსებლად. ეს ახალი გამოცემა უნდა დაე-წყოთ წარსული წლის პირველ მარიამბისთვიდან, ხოლო პირველი იანვრიდან 1896 წლისა უნდა ებეჭდათ ყოველ კვი-რა „არძაგანკის“ ფორმატით. სახელიად უნდა ჩემეოდა „ასტრ არაველან“ (აღმოსავლეთის ვარსკვლავი). ჩედაქტორად დანი-შნული იყო ახალგაზდა ყმაწვილი, არსენ მარქარიანი, შვილი აღა-მიქაელისა და გამომცემლად მაელი ამხანაგობა, რომელიც შესდგებოდა 30 კაცისაგან. ამ ამხანაგობას მზად ჰქონდა უკვე სტამბა (დაზგა), მიელო მაღლერისაგან ტფილისით გაწერილი ახა-ლი ასოება. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს „აღმო-სავლეთის ვარსკვლავი“, თუ მართლა განახორციელეს მის და-მწყობრ, ჩერა დაიმსახურებს თეირანის საზოგადოების ყურად-ღებას და აღვირს ამოსდებს „შავილის“ ჩედაქციას უწმაწურ აბდა-უბდას.

ერთი ძლიერ სანაქებო ხასიათი სჭირს სხვათა შორის სო-მებ ხალხს. ჰერძნობს იგი კარგად თავის აწინდელ მდგომარეო-ბას და სრული თავისი მომავალი დანდობილი აქვს თავის ახალ-თაობაზედ. ამისათვის არა ჰზოგავს თეით არაეითარ ღონის-ძიებას, რომ ბედნიერ ჰყოს თავისი მომავალი თაობა და მის-ცეს ხელთ ყოველთა საიმედო იარაღი თვით-არსებობისათვეს საბრძოლველად. სადაც კი 10 და 20 კომლი სომები მოიპო-ვება, იქ უსათუოდ აშენებულია საყდარი და საყდართანაც დაარსებულია სკოლა. აბა რა სათქმელია ქ. ანზალის სომხო-

ბა; რომ იყოს, სულ 20 კომლი სომხობა ძლიერს იქნება, მაგრამ, როდესაც თეირანიდან უკანა ებრუნდებოდი და ანზალიაში რომ გემში ჩაესხედით, ამოვიდა ჩემთან ერთი ახალგაზღა სომები, მომაწოდა ხელში დავთარი და მოხოვა: ანზალიაში სკოლა უნდა დავარსოთ და შემოსწირეთ რამეთ. მე ძალიან მოვუწონე, ვაკე მათი მოქმედება და ხელიც მოვუწერე.

დღეს სპარსეთი ჭალიან უკან ჩამორჩომილი ქვეყანაა, მაგრამ აქაც სომხები თავისას არ იშლიან. ესმიჯ ჩინებულია მალალი მნიშვნელობა სწავლა-განათლებისა და, როგორც ბუზი თაფლს, ისე ეტანებიან. თუმცა, სისწორით რომ თქვას კაცმა, ეს სპარსეთის სომხების შნოს არ მიეწერება. იგინი ბედნიერ არიან იმითი, რომ, თუ თვით უკან ჩამორჩომილ ქვეყანაში სკხოვრობენ და თავისთავად ვერ შეუგნიათ განათლების ღირსება, მათ ამ შემთხვევაში ჰშველიან თავის მოძმენი, რომელნიც უკეთეს პირობებში არიან ამ ხრივ ჩაყენებულნი. ასე მაგალითად: თეირანის პირველი სკოლა სომხეთათვის დაარსებული იქმნა, რამოდენადაც მე ვიცი, ერთი უბრალო ოსმალელი სომხის მიერ, რომელმაც თავის მიუსყიდველი და თავგანწირული შრომით დიდი სახელი და სიყვარული დაიმსმეურა თეირანელ სომეხთა შორის. ეს იყო აღა-მიქაელ მარქარიანი, რომლის მომხრეთა და ნაშეგირდალებმა იმოდენად წინ წასწიეს ეს, მის მიერ დადგენილი საქმე, რომ შარშან თეირანში ერთი სხვა განყოფილება გახსნეს ამ სკოლისა. ვგონებ, ინდოელი სომხის თაოსნობითა და შესაწირავით არის დაარსებული აგრედვე პირველი დედათა სასწავლებელი სომხებისათვის ისპაანში (ჯულუში). არ მიეწერებათ აგრედვე იდგილობრივ სომხებს დაარსება თვით უდიდესი ვაჟების სასწავლებლისა იქვე, ისპაანში, თუ საქმეს კარგა ჩავუკვირდებით, ეს სასწავლებელი დაარსებულია სხვა-და-სხვა ეპისკოპოსთა მეცადინეობით, რომელნიც თითქმის პირალებით სულ ან ოსმალეთიდან იყვნენ და ანუ კავკასიიდან. თვით მისი გამაშევნიერებელი და მკვდრეთით აღმადგენელი სულ უკანასკნელია იყო ტფილისელი არხიეპისკოპოსი ისაია. არა თუ სასწავლებლები, ვანქს რომ უწყვეტელ

წყაროდ დღემდე კიდევ ინდოეთი არა ჰქონდეს, თავს ვერ და-იქცერდა. მაგრამ მიზეზი ეს არის თუ სს, ჩვენი საგნისათვის სულ ერთია: დღეს სომხობა სპარსეთისა ისევე ესწრაფის სწავლას, როგორც სომხობა კავკასიისა. ავსილია სომხის შეილებით სო-მეხთა სასწავლებლები; სჭარბობს რიცხვით სომეხთა მოსწავლე თეირანის მისიონერების სასწავლებლებში; საკმარისად მოიპო-ვებიან თეით შაჰის მაღრასეშიაც. დაუმატეთ ახლა ამას, რამო-ლონა ხალხი მიდის ამათაგან სასწავლებლად ინდოეთს, ევრო-პაში და რუსეთში და დამერწმუნებით, რომ დღეს ამ მხრივ ისინი სხვა თავის მოძმეთ არ ჩამოურჩებიან.

ვაღრე სრულიად დავაბოლოვებდეთ ჩვენს ლაპარაკს სპარ-სეთის სომხების შესახებ, მე მინდა ერთი ისტორიული ამბავი ჯულფისა ვაუწყო მკითხველებს.

ისპაანში მყიფობის ღროს გავიცან ერთი შუა ხნის სპარ-სელი შაჰმალ-ჯაფარ-ხანი და ქმა მისი მოხუცებული და დიდად დამსახურებული გენერალი სპარსეთის სამსახურისა. ეს ქმები არიან შეილი-შვილები ერთი დიდი კაცისა, რომელიც საღრა-ზამად (კანცლერად) ყოფილა მეფე მამალ-შაჰის ღროს.

ამ მამალ-შაჰს, მამას დღევანდალი ნასრედინ-შაჰისას, ჰყო-ლოდა თავის ჰარამხანაში ერთი მოსამსახურე გოგო. ამ გოგოს ერთხელ ორი ჰარკი ოქრო მოუპარავს შაჰისათვის და იქავ, სახლის სხვენში დაემალნა. ამ სახლში მუშაობდა, თურმე, იმ ღროს ორი მეშუშე სომეხი, ესენი იმ მუშაობის ღროს ისე, მოულლოდნელად წასწყდომოლინენ იმ ოქროებს, თუ როგორა ყოფილიყო—ეპოვნათ, დაევლოთ ხელი, წაელოთ და საიდუმ-ლოდ თავის ვენახებში დაემარხათ. შეეტყო ფულის დაკარგვის ამბავი მამალ-შაჰს და ებრძანებინა: სადაც კი აღმოჩნდეს ის ოქროები, მთელი იმ არემარის ხალხი დაულიტეთ, სულ ტყვიით დახვრიტევითო.

ბექრის ძებნისა და ძიების შემდეგ, გეეგოთ, რომ ოქროე-ბის მოპარავი ის მოსამსახურე გოგო ყოფილიყო. შეეპყრათ დაუყოვნებლივ და საშინელის ჯაჯა-წამებით მოექლათ, მაგრამ შიო შაინ ცე ვერა აღმოეჩნათ-რა, რადგან თვით გოგოსაც არა

სცოდნოდა, ეის მოეპარა მისთეის სხვენში დამალული ნაპარა-  
ვი და ანუ სად წაელოთ — სად არა.

გასულა ამის შემდეგ რამოდენიმე ხანი, ხმა სრულიად  
მიწყნარებულიყო.

ერთხელ ერთი იმ შეშუშეთაგანი კარგა ლაზათიანად გა-  
მომთვრალიყო და შექეიფანებულს სიმთვრალეში წამოეროხნა:  
„შენ ეი! რატო ესე მიყურებ! მიცნობ მე ვინა ვარ? თუ მინდა  
მთელ ისპანს სულ ოქროთი შევისყიდიო“. ამ სიტყვებზედ  
ბევრს ყურები ეცევიტნა. ბოლოს ამ ხმას თვით მამალ-შაპამ-  
დისინაც მიეღწია. შეებურა მამალ-შაპს ეს ორავე მეშუშე თა-  
ვისის ნათესავებით და წამებით ამოეწყვიტნა. მაგრამ ვერცა-რას  
ამ ჯერად გამხდარიყო: ფული ვერას გზით ვერ ამოეჩინა. მა-  
შინ გაეყენებინა მას ჯარები ჯულფაში, რადგან ის მეშუშე  
სომხები იქაურები ყოფილიყვნენ, და ებრძანებინა: წალით და  
ამ საათში მთელ ჯულფას მუსრი გაავლეთ, სულ ლიდიან-პატა-  
რიანად გაელიტეთო.

ეს ამბავი შეეტყო იმ საღრაზამს, ჰელებოდა იმავ წამს  
მამალ-შაპს და მოეხსენებინა: „დიდებულო მეფე! რად ინებებ  
მთელი ხალხის გაწყვეტას? ერთ ხალხში რომ ორიოდ ავი სუ-  
ლი გამოერიოს, დანარჩენებისა რა ბრალია, სხვებს რად უნდა  
გადაჭრეთ მათი დანაშაულიო?“

— მე წინადვე გავეც ეგ ბრძანება და სიტყვა მეფისა არ  
დაირღვევაო, — უპასუხნია მამალ-შაპს.

— მაშ თუ ესეაო, — მოეხსენებინა კვლავ საღრაზამს, — ნე-  
ბა მიბოძე გამოვისყიდო იმათი სისხლი და დანაკარგი მე გი-  
ზდათო. და ამის თქმისათანავე ამრელო ოც და ხუთი ათასი  
თუმანი და მიერთმია მეფისათვის. მაშინ მამალ-შაპსაც მიეცა  
საღრაზამისათვის ახალი ბრძანება და ეთქვა:

— აპა, ათ ჩემი ბრძანება! ჯარები უკან დაბრუნებინე და  
ეგ ფულიც ხაზინაში წარადგინეთ.

გახარებულ საღრაზამს ეფრინა იმავე წამს კაცები და ჯა-  
რები ნახევარ გზიდან ისევ უკან დაებრუნებინა.

შეყრილიყო, რასაკვირველია, მთელი სომხობა, ჰელებოდა  
თავის სიკედილიდან დამხსნელ საღრაზამს, მიერთმია მთელის  
ჯულფის მცხოვრებთა სახელით ბარათი, რომ ეგ ფული ჩვენი  
გადასახადია; და ნიშნად მაღლობისა, იმის უქთით ზვარად  
შეწირვა სღომნებოდათ ძროხისა. საღრაზამს ორივეზედ უარი  
განეცხადებინა, მაგრამ ესენი არ მოჰშვებოდნენ,—ხელწერილი  
ჩაებარებინათ და ყასაბს კიდევ რომ ძროხა წამოვეჭუია, შეეძახნა  
საღრაზამისათვის: „შენ ოც და ათი ათასი სომები დაიხსენ სიკე-  
დილიდან და ჩვენ ერთი ძროხა ჭერ უნდა გამოვიმეტოთო!“!—და  
გამოესო ძროხისთვის ყელში ხანჯალი.

ბოლოს, როდესაც საღრაზამი მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო  
და სიკედილის მრახლოვება ეგრძნო, დაებარებინა სომხის  
მღვდლები და ეთქვა: „მე თუ ერთი რამ საჭმე ჩაეიღინე, ეს მე ჩემი  
სულისათვის ვქმენ. არ მინდა აქ დარჩეს ეგ ბარათები, ვაჲ თუ  
ჩემი შეიღები წამოგედავნენ. წაიღეთ, შვილო; ღმერთმა მშვი-  
ლობაში და სიკეთეში შოგახმაროთო“.

## ფერებისა და ქართველთა მოსახლობა სპარსეთში

დაბრკოლებანი ისპაანიდან გამგზავრებაში,—მანძილი და სადგურები ფერებიდანამდე,—ერთი დარციშის ამბავი,—შიში გზა-ში და აბუჩი თანამგზავრი.—ნიავლვარი დომენესი ახლო და სოფ. დომენეს.—პირველი შეყრა ქართველებისა,—ტაშვესანაში, ქართველების სოფელში (გულის-გაფუჭება; ჩემი მასპინძლები; ხალხში საუბარი; სახლის აღწერა).—წასვლა მარტყობს.—დედაკაცები სოფლის მისავალში.—სოფელში.—„ნაპარები“ (მაზრა ანუ თემი) ფერებიდანისა.—საზოგადო მიმოხილვა.—ქართველთა სოფლები ამ „ნაპარები“.—აზრი ათამ ონიკაშვილის ბ-ნი ზ. ჭიქინაძის წიგნაკით.—რიცხვი იქაური ქართველობისა.—საქმიანობა ქართველთა (საქონლის მოშენება; ბალონობა; ხვნა-თესა).—ტიპი, ტანის მოყვანილობა და სილამაზე.—მათი სილარიბე და მისი მიზეზები.—მამულების დასხნა ხაზინიდან.—სახლის აშენება.—ურმის ხმარება.—ქალის გათხოვება.—მათი გვარები.—ქრისტიანობიდან შეჩრენილი ორი ჩვეულობა.—სპარსეთის ზედგავლენა: სარწმუნოება, სახელები, ჩაუმა-დაბურვა, კამა-სმა...—უმთავრესი ნიშნები მათის ქართველობისა: ენა, თვით-უნიბირება (cavocozinanie), ტიპი და ზე. —ძევლი რამ ნაშთი და მათი უნდობლობა.—მათი სიხარული ჩემი ნახვის გამო და ჩემი განზრავების შეცვლა.—სომეხთ მესირობიერი, არაქელ არხისანდრიორის აზრი მათის გადასახლებაზედ.—მათი ხსოვნა მათ პირველ ხანობის ქრისტიანობაზედ.—ნამდვილი მიზეზი მათი ფერებიდან-ში დასახლებისა.—თქმულება.

აპრილის დამდეგს ზამთრის სუნი აღარსად იყო, თითქმის ზაფხულის სიცეები ჩამოვარდა. მეც ნელნელა შევუდექ წასვლის ფიქრს, მაგრამ ახლა სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი გამომივარდა: ხმა დაყარეს, რომ ფერებიდანის გზებზედ საშინელი მეკობრობა სუფევს, მდიდარს თუ ლარიბს, დიდს თუ პატარას, ყველასა სკარცუავენო. მიზეზად სხვა-და-სხვა რასმე ასახელებ-

ღნენ; ამბობდნენ, ვითომ, ზილი სულთანს ეთქვა, რომ რაც იქით მხარეებში ავკაცია ხდება სულ ბახტიარების ბრალიაო. ბახტიარებს ეს სწყენოდათ და შემოეთვალათ: ზილი სულთანი თითონა სუარცვავს ხალხს და მერე ჩვენ გვაძრალებს, რომ თავისი თავი წმინდად გამოიყვანოს და ბახტიარების სახელი გაცეხოს. და მაშ თუ ასეა დღეის შემდეგ ჩვენ მართლა ასე მოეიცევით და, ენახოთ აბა ერთი, ზილი სულთანი რას იზამსო.

სხვანი ამბობდნენ, რომ ვითომ ერთ ვილაც „ქოქემს“ (გამგებელს) დიდი ხარჯი წაურთმევია რამდენიმე სოფლისათვის, ისინი აჯანყებულან და გზებში აღარავის ატარებენო. რომელი მათგანი იყო მართალი და რომელი ტყუილი, ეს სულ ერთი იყო,—საქმე ის იყო, რომ იმ გზაში მეკობრენი თარეზობდნენ და ხალხში შიშის ზარი ტრიალებდა. ჩვენც, რა გავეწყობოდა, უნდა ცოტაოდენი ჩამოგვეცალნა, ვიდრე ეს ხმები მიწყნარდებოდა.

გავიდა თითქმის სამი კეირა, ხმები ისევ ისე დადიოდა. მე გული აღარ მიდგებოდა და გადაწყვიტე უსათუოდ წასვლა. გაფურივილი ჩავლადარს, ჩავაბარეთ ნახევარი ქირა წინადვე და მეორე-მესამე დღეს ვაპირობდით გამგზავრებას. ჩემთან უნდა წამოსულიყო ჩემი მეგობარი, ისპანელი ყმაწვილი კაცი, რომელიც მეუბნებოდა, რომ ვიდრე მე შენ თეირანში მშვიდობით არ მიგაბრუნო, არ მოგშორდებიო.

ჩემდა საუპედუროდ, ახლა ამას გამოუჩნდა სხვა-და-სხვა მიხეზები: დეეცალა სახლი და უნდა ახალი მდგმური ეშოვნა, რომ იმის დაბრუნებამდე სახლი ცარიელი არ დარჩომილიყო. მოუკედა ამასთანავე ერთი დამწვარი შორეული მოვალე და თუ იმისთვის საქმე არ გეეთავებინა, ვიჯრე აქ იყო, იმის წასელის შემდეგ, დაჭკრავდა ისიც ფეხს და ისევ შორს სადმე გადაიკარგებოდა.

ამ საქმეების ცდაში გავიდა კიდევ თითქმის ერთი იმდენი ხანი. ჩავლადრებს მეტი ცდა აღარ უნდოდათ; თანაც ყური

მოექრათ, რომ ეს გზა საშიშიან და უნდოდათ როგორმე თავი დეველტიათ ამ სახითათო მგზავრობიდან. მაშინ მე გამოვუცხადე ჩემს ამხანაგს, რომ, არა უშაეს-რა, შენ აქ დარჩი, დაამთავრე შენი საქმეები და მე წავალ-მეთქი. იმას არ უნდოდა ჩემი მარტო გასტუმრება, მაგრამ საქმეების ესე აწეწილ-დაწეწილად დატოვებაც ეძნელებოდა და რადგან ჩავლადრებიც აღარ იცდილნენ და მიზეზს ეძებდნენ სიტყვიდან გადაბრუნებისას, მითხრა: კარგი, წალი და იცოდე, სანამ შენ ფერეიდანს შემოივლი, მე ვეცდები საქმეები გავათავო და ყუმში დაგხედეო.

ვისაც შეეტყო, რომ ეხლა კი ნამდვილად მივდიოდი, მოლიოდნენ და მეუბნებოდნენ: ნუ წაბრძანდები, დიდი არეულობაა, მოითმინე აქ რამდენიმე ხანი: დაწყნარდეს ყველაფერი და მერე წალითო. ესრუე მეუბნებოდნენ იმ ჩემი მეგობრის დედა, ცოლი და ნათესაობა. ერთი სიტყვით, იმდენი მითხრეს ამისთანა რამ, რომ მეც ძალიან ეჭვში შემიყვანეს და რაღაც გამბედაობა დამაკლდა, თუმცა წასვლას კი ვერ დავიშლიდი. მაშინ მივწერე წერილი ერთს ჩემს მეგობარ სპარსელს, ლაშქარნევის ბაშს, რომელიც წინად ჩემს უთხოვნელად თვითონვე იყო დაპირებული, რომ გზაში წერილები ეგზავნა და, ვინიცობაა, არავისაგან არა დამშავებოდა-რა. იმის პასუხად იმას შემოეფალა, რომ მოითმინე ორიოდ დღე, ხვალ ზევით მე-თქვენთან უნდა მოვიდე, საქმეცა მაქეს და ჯერ ხომ არც გამოგთხოვებივარ, რა მიგაჩარებსო, მაგრამ მე, საუბედუროდ, დაცდა აღარ შემეძლო, თავად ისეც მომიცდა ერთი დღე იმათის დღესასწაული ყურბანის გამო.

სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი მოხუცებული ბლაღოჩინი და შემდეგი საუბარი გამიმართა.— „მე, ჩემო საყვარელო შვილო, დღევანდლამდე არ ვიცოდი, თუ შენ ფერეიდანის ქართველობაში აპირობდი წასვლას. მე ნავალი და გამოცდილი კაცი ვარ და თუ მცოდნოდა ეგ ამბავი, ბევრს გამოსადეგ რჩევას მოგცემდი. ეხლა კი ამას გეტყვი, რომ ერიდე, რაც წეიძლებოდეს იმ ხალხსა. ისინი საშინელი საზიზღარი ფა-

ნატიკოსები ირიან, შეუძლიანთ შენც გადამაპმატიანონ. აი ამ რამდენიმე წლის წინად ერთი ჩვენი ღვდლის შვილი მისულიყო იმათში და იმათ ძალად გეემაპმალიანებინათ. ეგ საქმე, რაც შენ გიფიქრია, სრულებით კუუაში მოსასვლელი არ არის. მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ, დიდი პატივისმცემელი ვარ თქვენი, თქვენთვის ძალიან გული შემტკივა და იმისავის მოგახსენებთ. თუ სულაც არ წაბრძანდებით უკეთესია და თუ არ დაგიშლიათ, მაშინ თქვენ ბინა უსათუოდ სომხების სოფლებში უნდა იქონიოთ და როცა იმათ სოფლებში მისდიოდეთ, სულ ერთი-ორი საათით შეიარეთ ხოლმე. თანაც თან რამდენიმე სომეხი წაიყვანეთ და ისე იარეთ. მე მიკვირს, ამ თქვენს მეგობარს რატომ არ გაუფრთხილებიხართა“. მე მოვახსენე, რომ დიდად მაღლობელი გახლავართ, რომ ჩემის გულისათვის შეწუბება მიგიღიათ და განვებ მაგისთვის გარჯილხართ; ძალიან ზედ მოსწრებული იყო ეგ თქვენი დარიგება, დამერწმუნეთ, რომ არც ერთს სიტყვას მაგ თქვენის მამაშეილურის რჩევისას მიწაზედ არ დავუშვებ და ისე შევასრულებ, როგორც სახარების სიტყვებსა-მეთქი.

ახირებული რჩევა იყო. იცის თვით იმ წმინდა მამამ, რომ ეს ხუთი თვეა აქა ვცხოვრობ და იმათთან კავშირს, არა თუ არა ვწყვეტავ, დღითი-დღე უფრო ვამტკიცებ; იცის, რომ მე განვებ ამ განზრახვითა ვარ აქ ორი ათას ვერსზე წამოსული და მხოლოდ ამისთვის ვიტან ყოველ გვარ გაჭირვებასა და მწუხარებას; იცის, რომ როგორც მე, ისევე ისინი ერთმანეთის ნახვით ყოველთვის ცათა ფრენას ვეკიდებით,—და მაინც მეუბნება: არ ვიცოდი თუ მაგ საქმეს ეპირებოდიო..., მოერიდე, იმათთან ნურავითარ კავშირს ნუ იქმნიებო.

გაბრუნება იყო იმისი და შემომეხვივნენ აქეთ-იქიდან ჩემი ამხანაგები და მეკითხებოდნენ, რას გეუბნებოდაო. მეც სიცილით ვუამბე იმის ნალაპარაკევი და უნდა ეყურებინა კაცს, რახარხარი და მასხარაობა გამართეს. ეტყობა, საზოგადოად, რომ ჯულფაში ეს ტერტერა არავის უყვარს, მე ეს წინადაც ბევრ-

ჯელ გამუგონა, მაგრამ მიზეზები კი არ გამომეცითხნა და, რა-საკვირველია, არც თუ საჭირო იყო.

აქედან ფერეიდანამდე გასავლელი გვქონდა შემდეგი სა-დგურები: ნეჯეჭ აბადი—5 ეჯი, თითრანი—4 ეჯი, ყალანა-ზერ—7 ეჯი, დომენეი—5 ეჯი, დომბექამარ ანუ თოლერი, ქართველების სოფელი—4 ეჯი; სულ—25 ეჯი ანუ 175 ვერსა.

პირველი სადგური იყო ნეჯეჭ აბადი. ნეჯეჭ აბადი კაი დიდი სოფელია მრავალის დუქან-ბაზრით და, უფრო სამართ-ლიანი იქნებოდა, რომ მისთვის დაბა ეწოდებინათ. ჩამოვხდით აქ ქართველაში, რომელიც საშინელი ძველი და მინგრეულ-მონგრეული იყო. შემოვიდა ჩემთან მცირე ხანს უკან ერთი დარვიში და მოწყვალება მთხვევა: ოთხნი ეართ, ტანისამოსი არა გვაქვს, საჭმელი არა გაგვაჩნია-რა, „ჭალირები“ ვართ, გვაჩუქე ცოტა რამ, პური ვიყიდოთ და შევნაყრდეთო. მე უჰპასუხე, რომ მე „ჭალირიცა“ ვარ და „ყარიბიცა“-მეთქი. იმან იმ წამსვე ბოლიში მოიხადა, რომ შეგაწუხეთო და თუ ნებას მიბოძეთ, ერთ ჭიქა ჩაის შემოგთავაზებთო. გმადლობთ, რად ირჯებით-მეთქი, მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა და მცირე ხნის უკან ერთი ჭიქა ჩაი შემომიტანა. ჩაი კარგი იყო, გამოწურული ლი-მონის წვენით.\*.) როდესაც დარვიში შემობრუნდა ჭიქის წასა-დებად, ერთბაშად შემომძახა: „საჭაბ, ეგ რა არის? ქუდზედ „როთეილი“ (ლრიანკელი) გაზისო და ქუდი ლრიანკელიანად ძირს გადამიგდო.

ერთი უშველებელი რამ იყო. მე შევშინდი და მექარვა-სლეს გამოვუცხადე, რომ აქ აღარ დავდგები-მეთქი. იმანაც მომიმზადებინა ერთი სხვა ოთახი და დამარტმუნა, რომ აქ არა არის-რაო.

სპარსეთში საზოგადოდ დიდალია ლრიანკელიცა და მო-რიელიც, არის თეთრი მორიელიც და შავიც. ორივ ძალიან შხამიანები არიან. ყველაზედ მრავალია ნამეტნავ ქალაქ ქა-შანში და ამ მხრივ ის ქალაქი მთელს სპარსეთში განთქმულია.

\*.) მთელს სპარსეთში გამოწურულ ლიმონის წვენსა ხშარობენ ჩინში.

სალამოთი ვახშამსა ვჭამდი, რომ იგივე დარვიში შემოვიდა ჩემთან. ლუკა მეჭირა ჩანგლით ხელში და შემომსელელს დარვიშს შევსცეროდი. დარვიში შემოვიდა და მეც, ის იყო, ლუკა უნდა ჩამედო პირში, რომ სწორედ იმ ჩანგლიან ხელზედ შევამჩნიე ერთი იმ, პირველზეც უფრო დიდი ღრიანკელი. ისე საშინლად შევშინდი, რომ ის ჩანგალი ხო გავრტყორცნე ხელიდან, მაგრამ მოვარტყი ხელი ბოთლს და ბოთლი, სანთელი თუ ჭურჭელი სულ წკრიალ-წკრიალით წავიდა ძირს. მერე ალარც ერთ ოთახში ალარ დავდექ და მთელი ღამე ეზოში „აბამბარის“ თავზედ გავატარე, და ალარც სანთელი ამინთია, რადგან დამარტმუნებს, რომ ყოველი მაგისთანა რამ სანთლის შუქზედ გამოიშლება ხოლმეო.

დარვიშმა არც აქ დამტოვა მარტო, მომიჯდა ახლოს და შემომჩივლა, რომ ეს კი ეხლა „ჰოქიმთან“ ვიყავ, მოწყალება ვთხოვე და აი ეს მომცაო და მიჩვენა თანაც ერთი ლუკა ლავაში, რომელიც დიდის სიფრთხილით ერთ ვეებარა ხელსახოცში გამოეხვივნა. მერე მომიყვა მთლად თავისი თავგადასავალი დი მიამბო შემდეგი.

ის ყოფილა შეძლებული დედ-მამის შვილი ქ. ბალდადიდან. შეურთავს ცოლი, მისცემია შვილები და უფიქრია, მოდი საჩაიეს გავხსნი—ცოლშვილს ამითი დავირჩენო. საჩაიე ერთი წელიწადი უმუშშავებია, სულ შიგ ჩაუყრია რაც რამა ჰქონია. მერე ხელი ალარავის გაუმართნია, დაუკრავს ამასაც ფეხი და დარვიშად წასულა. სად არა ყოფილა, რა ქვეყნები არ მოუკლია, მაგრამ ვერას გამხდარა. ბოლოს ისპანისაკენ წამოსულა; თან ჰყოლია სამი კიდევ სხვა ამხანაგი, დარვიშები. შირაზს რომ გამოსცილებიან, დაპხედრიათ ხუთი მეკობრე. უთქეამთ ამათ დარვიშებისათვის, რომ მოგვეცით თქვენის ნებით, რაც რამ გაბალიაონ და ტანისამოსებიც დაიხადეთ, თორე სულ გაგრუვეტავთა. ამათ ქადაგება და უწყვიათ: ჩვენ ღვთის ხალხნ ვართ, კარგი არ არის, რომ ჩვენზედ მაგისთანა საქმე მოიმოქმედოთ, ღმერთს ეწყინებაო... ამათ უნასავთ; რომ ნებით ვერას გამხდარან და ძალა მოუხმარებიათ.

მაშინ დარვიშებსაც გამოუღიათ ხელი, მაგრამ აბა რას გახდებოდნენ სუსტი დარვიშები ხუთს თავით-ფეხამდე შეიარაღებულ მეკობრესთან. წაურნმევიათ მეკობრეებს, რაც რამე ჰქონიათ და დედიშობილა დაუყრიათ. თანაც ჩხუბში და ძიგილში ზოგისთვის მკლავი ვადაუმტვრევიათ, ზოგისთვის თავი ვაუჩეხიათ. მოსულან საწყალი დარვიშები ისპაანს და გაუწევიათ საჩივლელად პირდაპირ ზილი-სულთანისაკენ. ზილი-სულთანს უურიც არ გაუბერტყნია ამათ ჩივილზედ და „ერთი პერანგიც კი არ გვაჩუქა ოთხ-ოთხ დატიტვლებულ კაცსაო“, ამბობდა გამწარებული დარვიში. ერთ ამათ ამხანაგს ქაღალდის ხელოვნური ყვავილების ჭეთება სცოდნია. დაჭმარებიან სხვა ამხანაგებიც. დაუკეთებიათ ბლობად და დაუყიდნიათ ქ. ისპაანში. ასე რომ, ფეხსაცმელი, პერანგები და რიდები უყიდნიათ და წასულან თეირანისკენ. უნდათ ახლა შაპი ინახულონ და იმას შესჩივლონ თავისი უბედურება.

მორჩია ამ ისტორიას დარვიში და მერე დაუმატა: „გავათავეთ რაცა გვქონდა და დღეს მთელი დღეა პურის ნაწილი არ ჩაგვსვლია პირში. წელან ერთი ჭიქა ჩაი მოგაროვით და მეშინოდა, ისე არ იფიქროს, რომ ჩაი მომიტანეს და ფული დამტყუჯსო. ამისათვის წელანდელს აქათია დავდივარ ამ სიფელში და ვერა ვიშმვერა. „ჰოჭიმთან“ ვიყავ და იმანაც ამის მეტი არა გაიმეტა-რა, რა ვემნა, მეძნელება ამისი თქმა თქვენთვის, მაგრამ ხომ მოგეხსენდებათ, ამ ოხერმა შიმშილმა სირცხვილიც კი ალარ იცისო და უნდა შენის სულისათვის ერთი რამ გვაჩუქო, რომ პური ვიყიდოთო. მივეცი ერთი „ყრანი“ და ვუთხარ, რომ ჩემთან ნულარ მოხვალ, თორემ ყოველ შენს მოსვლაზედ თითო ლრიან კელი გაჩნდება ხოლმე-მეთქი. გაიცინა, დიდი მადლობა. გადაიხადა და წავიდა, მაგრამ მთელი ლამე სულ თავზედ დამტრიალებდნენ თოხივენი, უნდოდათ ვესიამოენებინე და სამსახური რამ გეეწიათ ჩემთვის.

მეორე დღეს გავედით აქედან მე და ჩემი ჩავლადარი. მივედით თითრანში და აქ შემოგვიერთდა ორი ცხენოსანი, შირაზიდან მომავლები და ერთიც სერედი ერთი პატარა ბიჭით.

სეიდს მეჯები ჰქონდა დამტვრეული თუ-რა, ფეხით ვერ და-  
დიოდა. აქ, ამათა გვთხოვეს, რომ აქედან მოყოლებული სულ  
ერთად გავიაროთ, თორე ძალიან საშიშია.

გავედით აქედან ყველანი ყალანაზერისაკენ დილის 4 სა-  
ათზედ; არ გვინდოდა ლამით გვევლო შიშის გამო, თუმცა  
დღისით მზე სულ ცეცხლს გვიკიდებდა. სამჯერ გადამძრა პირ-  
ზედ კანი იმ რამდენიმე დღეში, ისეთი საშინელი მწვავე მზე  
იყო. გზაში წამოგვეწია ერთი სხვა ცხენოსანი, ფაშატ ცხენ-  
ზედ იჯდა. აგვათვალ-ჩაგვათვალიერა და გაპქუსლა. ჩვენი ცხე-  
ნები სულ ულაყები იყვნენ და ისე გამოეკიდნენ იმ ჭაკ ცხენს,  
რომ ძლიერს ვიმაგრებდით. იმ საწყალმა სეიდმა აკი ველარ  
შეიმაგრა თავისი ცხენი და გადმოგვივარდა. ცხენი გაიქცა. სე-  
იდი, თავად სულ დამტვრეული იყო ისეც, და ეხლა ძლიერ  
მოვასულიერეთ. ახლა ცხენსა ვდიეთ და სანამ დავიჭრდით,  
კარგა დრო დაგვეკარგა. ამ დროს შეგვხვდა ერთი დარვიში  
ვირით. წინ ორი პატარა ყმაწვილი, თავისი შვილები წამოე-  
მძლვარა და ჩვენსკენ მოდიოდა. რომ დაგვინახა, გაჩერდა და  
გვითხრა, გირჩევთ, ნუ წახეალთ. ის მეც ყალანაზერამდე მი-  
ველ, ხუნსარს მივდიოდი და, როცა ყველაფერი კარგა შევი-  
ტყე, წინ წასვლა ველარ გავბედე, ისევ უკან დავბრუნდი. გუ-  
შინ ღამ თრი კაცი მოუკლავთ დომენეისთანაო. ჩვენ, მართა-  
ლია, შევფიქრიანდით, მაგრამ მაინც წასვლა არ დავიშალეთ.

ცოტა გზა რომ გავიარეთ, დაგვიხვდნენ ახლა მეაქლე-  
მეები თავის ქარავნებით და იმათაც გვითხრეს, რომ უკან და-  
ვბრუნდითო, წინ წასვლა ველარ გავბედეთო. ჩვენ მაინც გა-  
დავწყვიტეთ, რომ ყალანაზერს მიესულიყავით და იქ გვეფი-  
ქრა ეს საქმე.

ყალანაზერის შესავალში ენახეთ ის ჩვენი ნაცნობი ცხე-  
ნოსანი. ცხენი საძოვრად გაეშვა და თითონ გულდალმა იწვა  
და ხერინავდა.

ყალანაზერში ერთი სასახლე იყო ზიღლი-სულთანისა. ჩა-  
მოხდომას იქ ვაპარობდით, მაგრამ ერთი ფეხით წინ ერთ ვი-  
ტაც დიდ გენერალს მიესწრო იქ ჩვენთვის. თან დიდალი ამა-

ლა ახლდა, თვით ზილი-სულთანის საქმეზედა ყოფილიყო მოსული. ჩვენ უადგილოდ დავრჩით. მაშინ შეაღეს ჩემმა თანამოგზაურებშა კარი ერთი გლეხის სახლში და შევიდნენ. სახლის პატრონი დიდი უარზედ იდგა, მაგრამ ამათ ყურიც არ ათხოვეს. შეგ ნ კაცი ეძინა კიდევ სხვას, წამოყარეს ყველანი და თითონ დაიჭირეს მთელი ოთხი; ერთ კუთხეშიაც ჩემთვის მოემზადებინათ. მე იმ დროს ზილი-სულთანის სახლის დასათვალიერებლად ვიყავ და რომ დავბრუნდი, ისეთის ყოფით გადამიპატიუეს, იმ ჩემმა სპარსელმა თანამოგზაურებმა, თითქოს პატრონებიცა და ბატონებიც ესენი ბრძანდებიან იქაურობისათ.

ვნახოთ, საღამოხანზედ მოვიდა ჩემთან ის უცხო ცხენოსანი, თავიდან ფეხებამდე შეთოფიარალებული იყო და საშინელი ავი სახის გამომეტყველება ჰქონდა. დაიწყო ამ მთისა, იმ მთისა და მერე მითხრა, გნებავთ, წამობრძანდით, გავისეიროთ, თქვენ ხომ ამ არე-მარეში პირველადა ჰბრძანდებითო. კარგი-მეთქი, ვუთხარი და წაევედით. გზაში მითხრა: „ვისი გეშინიანთ? მაგ ვიღაც-ვიღაცებს რას აჰკვიატებიხართ? აქ, მართალია, ლორები ხშირადა სუარცვავენ ხოლმეზალხს, მაგრამ თქვენ ნურაფრისა გეფიქრებათ. სანამ თქვენ ჩემთანა ხართ, ბუზსაც ვერავინ ავითრენთ თავიდან. მე თვითონ ლორებიცა ვარ და, თუ გნებავთ, მეკობრეც. ყველას ის ემჯობინება, ამაღამ პირველ ღამესვევ გავუდგეთ გზას, რომ დილაზედ უმშეოდ მივიდეთ შემდეგ საღურჩეო“<sup>4</sup>. ბატონი ბრძანდებით, ძალიან კარგი იქმნება-მეთქი, ეუპასუხე მეც. მივიარ-მოვიარეთ: იქვე, ახლომახლო ადგილები და ჩქარა შემოვტრუნდით. იმან გული დაიარხეინა და მითხრა: მაშ ეხლა თქვენ მიბრძანდით და მეც ამ ნახევარ საათში გიახლებით. პური ერთადა ვჭამოთ და მეც აქვე დავიძინებ, რომ ღამით ერთად გავუდგეთ გზასათ.

მე მოველ ჩემს ამხანაგებთან. ეუამბე იმის ნალაპარაკევი და ჩემი იჭვიც გამოვუცხადე იმ კაცზედ. ამათ ყველამ კვერი დამიკრეს და მითხრეს: ჩვენ თქვენზედ წინ შევმჩნიეთ, რომ ეგ წმინდა სული არ იყო და, იცოდეთ, თუ ეგ თქვენთან წა-

მოვა, ჩვენ აღირ წამოგყვებითო. მაშინ, ვიდრე ის დაბრუნდებოდა, ჩვენ კიდევ მოვილაპარაკეთ ერთმანეთში ხვალინდელ მოგზაურობაზედ და კიდევ გადავწყვიტეთ. უნდა ჩვენ აქ გვეცანა, ვიდრე ოომელიძე ქარვანი არ მოვიდოდა და მერე იმათ უნდა შევერთებოდით და სულ ისე გვევლო სადგურიდან სადგურამდე.

იმ ლორმა, რასაკეირეელია, თავისი არ დაიშალა: მოვიდა ერთი საათის უკან, ჭამა ჩემთან ვახშამი და იქვე წამოიტყლარქა. ღამე ორჯელ წამოდგა. გააღვიძი ჩემი ჩავლადარი, მაგრამ იმან დაითხოვა, ბატონი არ მობრძანდებაო.

მეორე დღეს მთელი დღე იქვე დავრჩით. სალამოზედ ერთი დიდი ქარვანა მოვიდა მეჯორებისა. ჩვენ იმათ მოველაპარაკეთ და გადავწყვიტეთ ერთად წასვლა. ამისთვის იმ სალამოთივე გადავზიდეთ ჩვენი ბარგიც მინდვრად, სადაც ისინი იდგნენ, რომ ღამით ერთად გავდგომოდით გზას.

მაშინ იმ ცხენოსანმა ერთი კიდევ გამიმეორა, რისა გეშინიანთ, ტყუილად დროს რადა ჰყარგავთო? მე ვუთხარ: მე რისა უნდა მეშინოდეს, ვინ მოვა ჩემს გასაცარცვად, გიურ ვინ იქნება: მე რაც რამე მქონდა, სულ ისპაანიდან პირდაპირ თეირანში გავისტუმრე, ერთი „ყრანი“ რა არის, და ერთი „ყრანის“ დასაფასი არა მაქეს-რა ხურჯინ ებში-მეთქი. მართლაც და, რაც ბარგი მქონდა, ჩემს მეგობარს დავუტოვე, ისპაანში რომ წახვიდე, თან წაიღე-მეთქი, რადგან გზაში გაცარცვის შიში იყო.

მინდორზედ რომ მივედი, ამხანაგებმა მითხრეს: ამ სალამოს, შენ რომ კარზედ გახველ, იმან აქეთ-იქიდან რამდენჯერმე სელები მოუცაცუნა შენს ხურჯინს, უნდოდა დარწმუნებულიყო, პლირდა გასაცარცვად თუ არაო. ჩვენც გატრუნულები ვიწევით და განვეძ თვალებსა ვხუჭავითო, მხოლოდ ჩუმ-ჩუმად ქვე? - ქვე? გავიყურებოდითო.

პატარა ხანს უკან დავიწყეთ ვახშმის ჭამა: მობრძანდა ის ყმაწვილიც და მე შემომიერთდა. მე დავიჩიელე, რომ არაყიცა და ლვინოც გამითავდა და, რაღა მეშველება, ხომ თეირანამდე ველარსად ვიშოვი-მეთქი.

— რატომაც,—მიპასუხა დაუპატივებელმა სტუმარმა,—ამაა ღამევ გიშოვიო. აი, აქედან რო წავალთ, მანდ, გზაში ერთი პატარა სოფელია ქრისტიანებისა, იქ ექმნებათო. მე ვიცოდი, რომ აქ სომხების სოფლები ჯერ არ უნდა ყოფილიყო და ვკითხე—ვის ქრისტიანებისა-მეთქი?

— სომხებისაა.

— აქ, ვგონებ, სომხები არ უნდა მოსახლობდნენ-მეთქი?

— არაო! სომხები კი არ არიან, ქურთები არიან მონათლუ-ლები... ამიტომ ასე ვეძახითო,—გაასწორა, ვითომ, თავის ჰკვაში. მე შევხედე ამ სიტყვებზედ ჩემს ამხანაგებს და იმათაც ულვაშე-ბში ჩაიცინეს.

გავუდექით გზას სწორედ შუალამისას, საშინელი კუმეტი იდგა. ის ლორიც ჩვენთან მოდიოდა და წამ და უწუმ ცხენს გვერდში ამომიყენებდა. ერთი საათის სავალი გვექმნებოდა გა-ვლილი, მომიბრუნდა და მის.ხრა: აგერ, ბატონო, იმ ქრისტიანების სოფელი წამობრძანდით, თუ გნებავთ, არაყი გამოგირ-თოთო და გამიშვირა ხელი მთებისაკენ.

— ბრიყვადა მთვლი თუ როგორა გვინია, რომ ეხლა, ამ შუალამისას ჩემი არყის გულისთვის იქ ხალხი დავათხო-მეთქი, — უპასუხე მე შეტევით. ეხლა კი ნამდვილად დარწმუნ-და, რო არა გამოვიდოდა-რა, დაჰკრა ცხენს მათრახი და მი-გვემალა თვალიდან. ჩეენ მივედით დომენეის ახლო, ასე 6—7 ვერსის მოშორებით და დავდექით მინდვრად.

გზა სულ მთებ შუა მისდევს და თითრანიდან მოყოლე-ბული სულ შეუმჩნეველი აღმართია. ბუნებაში დიდი განსხვა-ვებაა. თითრანამდე ისპაანიდან მოყოლებული სოფელი თით-ქმის სოფელს იყო მობმული და ერთ მთლიან ბალსა ჰგავდა; სოფლები და გზები ხეებით იყო დაბურული, მინდვრები სხვა-და-სხვა ფერად ღალანებდა. ქერი აქა-იქ გაეჭრათ, გაზაფხუ-ლის ხილი ყველა შემოსული იყო. აქ კი ქერი ჯერ ორი გო-ჯის სიმაღლე ძლიერს იყო, თუმცა თავ-თავი აქა-იქ კიდეც გა-მოსხენოდა, ჯეჯილი ყველგან საშინელი თხელი იყო — და თი-თო ნამცეცია, თაგვის კუდებივით ამოეშვირათ თავები. ხილი

ხომ, რაღა სახსენ ებელია: ხეხილი ჯერ სულ არსადა სჩანდა  
და თუ საღმე იყო, ჯერ ნაყოფი არც კი გმოპნას კვოდა.

პატირა ხანს უკან მოგვემატა ერთი ვირების ქარვანა: 40  
კაცი იქმნებოდა და სამასამდე ვირი ეყოლებოდათ. საჭმელი  
აქ, რასაკეირველია, ვერა ვიშოვეთ-რა და ძლიერ სოფლიდან  
ჩამოვატაინეთ პური და მაწონი.

დაწოლილები ვიყავით, გვეძინა უკვე, საშინელი კოკის  
პირული წვიმა წამოვიდა; თან ისეთი სიცივე გამოუშო, რომ  
ყველას ბაბანი დაგვაწყებინა: ხე, ბუჩქი რამ არ მოიპოვება,  
რომ კაცი იმას მაინც ამოპტარებოდა. წამოისხეს ყველამ თა-  
ვისი „აბა“ და ასე ფეხდგომელები იდგნენ წვიმის ქვეშ. მე ვე-  
ლარა მოვახდებოდა, გავშალე ფორმოგრაფიის სამფეხი, გადავა-  
ფარე ზედ საბნები და შეეიკუნ ტე შიგ, პალტოში გახვეული.  
მოელი ერთი საათი სწვიმდა და ისე ვაიუენთა დედა-მიწა, რომ  
ველარც წვიმის შემდეგ შეიძლებოდა იქ ძილი. ღამის ორი საა-  
თიდან სიცივემ უფრო უმატა. საწყალი დასველებული ხალხი  
ისეთმა სიცივემ აიტანა, რომ იმათი კბილების ჩახი-ჩუხი კაი  
მანძილზედ გაისმოდა. გაცივდნენ მერე აქეთ-იქით და იმ ბნე-  
ლაში მოების აყოლება ეკალა ბალას დაუწყეს გროვება. მცი-  
რე ხანში კაი საკმარისი მოზიდეს; წაუკიდეს ცეცხლი ჭიაკო-  
კოლასავით და თბებოდნენ. დილის ხუთ საათამდე ცეცხლი არ  
გაუნელებიათ: რიგისა რომ ცეცხლზედ ითბობდა გაყინულსა  
და გათოშილს ხელფეხს, რიგისა მთის კალთებში ეკალს აგრო-  
ვებდა.

დილით ჯორების ქარვანა წავიდა, რაღაც სხეა მხრიდან  
ჰქონდათ გზა და ეს ვირების ქარვანა კი ადგილიდან დაძერას  
არ აპირობდა. გვიახრეს: თუ გინდათ, რომ ჩეენთან იაროთ,  
უნდა დაიცადოთ, ჩვენ ხვალ დილამდე აქედან ფეხს არ მოვი-  
ცვლითო. ჩვენც რა გაგვეწყობოდა, ახლა აქ უნდა გაგვეტა-  
რებინა ერთი მეტი დღე.

მე ძალიან არ მომწონდა, მოთმინებიდან გამოვდიოდი.  
ბოლოს ვუთხარი ჩემს ჩავლადარს, რომ ცხენები მოიმზმდე, მე  
ამდენი შეყურება ხელს არ მომცემს-მეთქი. ჩავლადარმა ერთი

კი ლრეჯით შემომხედა და მთხოვა, რომ ნუ ინგბებთ, ყველაზედ საშიშ ადგილის ეხლა ვართ, ამხანაგებს ნუ მოვშორდებით, მაგრამ ეშინოდა, არ გაჯავრდესო და ფიცხლავ ტხენების მომზადებას შეუდგა. მაშინ მოვიდა ჩემთან ერთი იმ თანამოგზაურთაგანი და დიდის ბოდიშით მითხრა: „თქვენ როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, ეგ თქვენი საკუთარი საქმეა, მაგრამ მე კი ერთ რამეს მოგახსენებთ. აბა მიყურე! მე „სარეაზი“ (ჯარის-კაცი, სალდათი) ვარ, ხმალი, ხანჯალი, თოფი, დამბაჩა, „პატრონტაში“ ტყვიოებით სავსე, სუჟველაფერი ზედა მაქვს და მაინც ვერა ვძელავ წასვლას, მეშინიან. განა მე კი არ მეჩქარება, განა მე კი მიამება ამ წვიმა-ავდარში, ქარსა და სიცივეში ყოფნა. თუ სადმეა საშიში, სწორედ აქ და თუ კი აქემდე გაუძელ მიგ ამბებს, ეს ერთი მანძილიც მოითმინე და მერე, როგორცა გსურს, ისე მოიქე. მართალია 5 ეჯი-ლა არის ქართველების სოფლებამდე, მაგრამ 5 ნაბიჯიც რომ გქონდეს, შემთხვევა კაცის თავს ყოველთვის შესაძლებელია. მერე რომ შენ ევროპელი კაცი ხარ: ვინც გხედავს ამბობს, „საპაბიაო“ და ჰეროინი, თუ მთელი ქვეყნის ხაზინა ჯიბით დააქვსო. ეხლა რომ სადმე ერთი წუწი ლორი გამოჩნდეს და ჩვენ ხმა არავის გაგვცეს, შენ გაუცარცვავს არ გავიშვებს. მერე ახლა სდიო შენ იმას. ტიტველა ხომ ვერსად წახვალ და უნდა ორიოდ კვირა დაპბანდე, ვიღრე ან სადმე უჩივლებ ან რასმეს გაჭედები. და ან კი რას გაჭედები, რა პასუხს მიიღებ? მე უფრო უკედ ვიცი ჩვენი მთავრობის ამბავი და დამტერწმუნეთ, ეხლა მოჩქარეს, შეიძლება ძალიან მოგიგვიანდეთ და სანაცური საქმე გაგიხდეთ. სჯობს ისევ ერთი დღეც მოითმინოთ და არხეინად გავუდგეთ გზასათ“.

მე ცოტა დავუფიქრდი ამის ლაპარაკს და ძალიან ჭკვაში დამიჯდა. მით უმეტეს, რომ მოსაგერებელი იარაღი არა მქონდა. კაი ხანჯალი თეირანში მქონდა გაგზავნილი ბარგთან ერთად და ეხლა ისეთი დაეანგებული ხანჯალი მება წელზედ, რომ პირი ქარქაშიდან არ ამოდიოდა. ერთი რევოლვერი მქონდა, ისიც ლაშქარნევის ბაშის შეილმა მთხოვა ისპანში

მყოფობის დროს, რომ მე მაგეთ ლამაზ რევოლუცის ვერ ვიშვეთ და მეც ვერ დავუკერდი, რადგან ძალიან დიდი სიკეთე და პატივის-ცემა ჰქონდა იმას ჩემთან. თუმცა მითხრა, მე ჩემს რევოლუცის მოგართმევო, სამგზავროდ ისა სჯობიაო, მაგრამ მე უარი ვუთხარ, რადგან იმ ყმაწყილს, რომელიც მე უნდა წამომყოლოდა ფერეიდანში და თვით თეირანამდე, კაი რევოლუცირი ჰქონდა. მერე ხო იმასაც მოუცდა ჩემთან წამოსვლა და დავრჩი სრულიად უიარალოდ იმ სახიფათო გზაში.

მეტი სახსარი არ იყო, უნდა დამეცადნა ქარეანისათვის და იმათ წაყვოლოდი. მაგრამ სალამოზედ სოფელში ავედით, არ შემიძლიან აქ დარჩომა-მეთქი, ვუთხარი ჩემს თანამოაზაურებს და ყველანი სოფლად ავედით. სოფელი მთებშია. ჩაჭერილი, ერთი კალას ტოლა ვაკე ადგილი არ მოიპოვება. ამ ადგილას იყრება მთები ყველა მხრიდან, მაგრამ უფრო დაბალი მთებია. აქედან იწყება მეორე ღელე ძალიან ვიწრო ორი მთის შუა აყოლებული. აქვს წმინდა მთიური კამპამა წყაროები, რომლებისაც საკმარისი წყალი გროვდება. მამულები სარწყავია და ჩინებული ჯეჯილები აქვთ. ხე ერთი არ მოიპოვება. პატარა ხანს უკან ამოვიდა აქ ერთი სეიდი და გვითხრა, რომ ეხლა სწორედ იმ ადგილას, სადაც თქვენ იდექით 7 ცხენოსანი მოვიდა, თავით ფეხამდე შეიარაღებული. მიიარ-მიიარეს იქაურობა, დაპურეს ფეხი და მერე ისევ მთებში ავიდნენო. ღამე აქაც კარზე გვეძინა. ღამე ერთი დედალი ქურდი მოსულიყო და დარაჯ ჩავლადარს ეკითხნა, ვინა ხარო, იმას პასუხი არ მიეცა და ამას დაეძახნა, თქვი, თორე მოვიდა თოფიო და ის ნელნელა უკან გაბრუნებულიყო. ჩვენც ყველანი წამოვაშალენით. დარაჯმა თოფი მიაყოლა. ზოგიერთმა მგზავრებმაც დაუშინეს თოფები, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ მოიტყავდნენ, ბნელი ღამე იყო, არა ჩანდა-რა.

გამოვედით დილით. გასავლელი გვქონდა 4 ეჯი. უკანასკნელი სადგური იყო, „დომბე-ქამარე“ და აქედან კი ქართველობის. მოსახლობა იწყებოდა. გავიარეთ სამი ეჯი, ქარეანი შინდვრად გაჩერდა,—სოფლად არ ავალოთ. მეც ჩამოვხდი,

შევნაყრდით ცოტაოლნად, ცხენებსაც მოვაჭამეთ და ოთხ სა-  
ათზედ გავუდექით ისევ გზას. ვაპირობდი პირდაპირ მარტყოფ-  
ში ასვლას და თუ, ვინიცობაა, შორს აღმოჩნდებოდა და თვალ-  
ნათლივ ვერ ვუწევდი, მაშინ იმ სოფელში, „დომბე-ქამარე“-ში  
უნდა დავრჩომილიყავ, მინდვრად დგომა არ მეწადა.

მიველ იმ სოფლად. დამხვდა სოფლის პირში ერთი სპარსე-  
ლი. ვკითხე, ეს რა სოფელია-მეთქი? მიპასუხა—დომბე-ქამარეო.—  
აქედან ახორამდე რამდენი მანძილი უნდა იყოს-მეთქი? სამს  
ეჯზედ მეტი იქმნებაო. მე ეს ძალიან მებევრა. ცხენები დალ-  
ლილები გვყვანდა და ჩვენც თვალნათლივ ვეღარ ვუწევდით.—  
ახორამდე გზაში სოფლები არა არის-რა-მეთქი?—როგორ არა,  
სულ სოფლებია, ერთი მეორის მოყვლებაო.— მაშ აბა მით-  
ხარ, რა სოფლებია-მეთქი? მითხარა იმან ერთი სოფელი და მე-  
რე ტაშკესანა. ეს სახელი მენიშნა, რადგან წინადვე ჩაწერილი  
მქონდა წიგნში ქართული სოფლების სახელები, როდესაც ის-  
პაანში მოდიოდნენ ხოლმე ჩემთან ქართველი ხანები.— რამდე-  
ნი მანძილია-მეთქი ტაშკესანამდე? ვკითხევი იმავე სპარსელს.—  
ცოტა რამ ერთ ეჯზედ მეტი იქმნებაო. ეს მე კევაში დამიჯდა  
და როგორც კი ვაპირობდი გაბრუნებას, ჩავლადარმა ჰკითხა:  
იმ სოფელში ქართველები ცხოვრობენო?— დიალ, დიალ! ქარ-  
თველები ცხოვრობენო, გვითხრა და ჩვენც გავწიეთ ტაშკ-  
სანასაკენ.

გავიარე ერთი ვერსის ოდენა გზა. გზაში ერთი დიდი ყა-  
ნა იყო. თავში ერთი გლეხი იდგა და ყანაში წყალს ურუებ-  
და. გზის პირიდან, ყანის მეორე თავში, საიდანაც ჩვენ მივ-  
დიოდით, ერთი ახალგაზდა კოხტა ბიჭი მოვიდა და ძალიან მა-  
ლალის ხმით გასძახა იმ პირველს: „<sup>1)</sup> ბიჭო, ეიძ! იადოლლა!  
იადოლლა!“ იმან დარუვებას თავი გაანება და ხელი მაღლა  
აიშვირა. ვითომ მესმის რა გინდაო.— „რა უყავ, ბიჭო, ი ჩვე-  
ნი ვირიო?“ ჰკითხა ისევ პირველმა.— „შენ რაით გინდა? შინ

<sup>1)</sup> სადაც სიტყვებს ბრჭყალები უსხედს, ის ნამდვილი იქაური ლაპარაკია, სიტყვა-სიტყვად მოყვანილი და სადაც უბრჭყალებოდ არის, იქ შეოლოდ აზრია გადმოლებბული ჩვენის სიტყვებით.

არი“. — „როგორ არ მინდა, პური უნდა წაეილო წისქვილში“. — „ჩვენ გომშია, წილი წაიყვანეო“. მე ამ მინდორში, ამ შიგ შეუა სპარსეთის გულში ამისთანა ქართული ლაპარაკის გაგონებამ ერთბაშად რაღაც თაებრუ დამხვია; შევაყენე ცხენი და ისე გაშტრებული ვიდექ;. მე თვიოთნ არ ვიცოდი, რასა ვფიქრობდი იმ დროს. დარწმუნებული ვიყავ წინადვე, რომ ამათ ქართული ლაპარაკი უნდა სცოდნოდათ, რადგან ბევრნი მიღიოდ-მოღიოდნენ ჩემთან ისპანში, მაგრამ სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ესე მინდორ-ტყეში, მთებსა და სოფლებში წმინდა ჩვენებური, გლეხური კილოთი ლაპარაკს გაეყიდნებდი. დიდი ხანი აღარ დავაცადე მე ამათ ლაპარაკი და დავუძძახე გზის პირში მდგომ ბიჭს: ბიჭო, ეი! შენ ვინა ხარ, გურჯი ხარ-მეთქი? იმან მოიხედა და კაი ხანი მაცეკეროდა გაკვირვებული. მერე მითხრა: „ჰო, გურჯი ვარ! მაგრამ შენ ვინა ხარ? ჩვენებური სად იციო?“ — მეც გურჯი ვარ: გურჯისტანიდან მოველ თქვენს სანახვად-მეთქი? — „იიი, გურჯი კი არა!!..“ — ჰო, მართლა გეუბნები. — „მაშ გურჯი ხარ?!“ მითხრა და ჩემ-სკენ წამოვიდა. დამიწყო რაღაც-რაღაცა ლაპარაკი და მერე ჩემჩუმად თავის ამხანაგს ხელი დაუქნია. გაიდო იმანაც ბარი მხარზედ და გამოიქცა ჩვენსკენ. მე ნელ-ნელა მიმყავდა ცხენი, ამას უზანგზედ ევლო ხელი და ლაპარაკით მოგვდევდა. როცა მეორეც მოგვიახლოვდა, პირველმა უთხრა: „იცი, ეს გურჯია, გურჯისტანიდან არი“. — „იი, გურჯი კი არა?!“ თქვა იმანაც და როცა მე ქართულად დაველაპარაკე, გაუხარდა, მოვიდა ესეც ახლო, ჩაჭკიდა ხელი ცხენს ფაფარში და აგვედივნა. მე ვკითხავდი: შენ რომელ სოფლიდანა ხარ, შენ რომლიდან? შორს არი ეგ სოფელი? ბევრნი ხართ იმ სოფელში თუ ცოტა-მეთქი? ისინიც სულ კბილების ღრეჭით და სიცილით მაძლევდნენ პასუხს. ამ დროს მოდიოდა გზად ახლა სხვა კაცი. დაინახეს ამათ, იცნეს და უთხრეს: „ბიჭო, იცი? ეს ჩვენი ძველია“ და ახლა ის აგვედევნა. ამათ მოემატათ მეოთხე, მეხუთე, მეექვესე, ასე რომ ნახევარი გზა ტაშქესანამდე ათი — თორმეტი კაცი მყავდა გზაში აკიდებული: ზოგს ცხენის ჯილაბში

ჰქონდა ხელი ჩაელებული, ზოგს უზანგში, ზოგს ძეუში და ესე კიუინითა და ხარხარით მიმაცილებდნენ. ბოლოს თითო-თითოდ ჩამომრჩნენ უკან და მარტო შეველ სოფელ ტაშკე-სანაში.

აქ, გზაში გაფიგე მხოლოდ, რომ ის დომბე-ქამარე, სადაც მე მიველ პირველად, ისიც ქართული სოფელი ყოფილიყო. მხოლოდ, რადგან მე მარტო ქართული, სახელები მქონდა იქა-ური სოფლებისა ჩაწერილი, იმ მეორე სახელს იმიტომ ვერ მივხვდი. აქ, ხშირად არის, თურმე, რომ ქართველებს თავისი სახელები უქვიანთ თავის სოფლებს და საარსელები კიდევ თა-ვისას ეძახიან. ისე რომ, ის დომბე-ქამარე ყოფილიყო სოფელი თოლერი, რომელიც მე უბის წიგნში უკვე მქონდა, აღნიშნუ-ლი, როგორც ქართველების სოფელი.

ტაშკესანას რომ მოველ, ნაცნობი არავინა მყავდა; არ ვიცოდი ვისთან ჩამოვმხდარიყავ და მამასახლისი (ქეთხულა) ვიკითხე. მიმასწავლეს იმის სახლი, მაგრამ შინ არ იყო,—ის-ვანს წასულიყო სოფლის მამულების ხაზინიდან გამოსყიდვის თაობაზედ.

იქვე ერთი მოხუცი კაცი იჯდა და მითხრეს: აი თუ გინ-და იმას დეელაპარაკეო. მეც ვიფიქრე, ალბად, ეს იმისი ვინმე იქმნება-მეთქი. შეველ ეზოში, მოვიყითხე, მომიკითხა და და-ვიწყეთ ლაპარაკი. ძალიან მოხუცებული იყო და საშინელი ლარიბი, როგორც იმის ტიტველა გოგო-ბიჭებს ეტყობოდა. როდესაც ვლითხრ, მე ქართველი ვარ და თქვენ სანახავადა ვარ მოსული-მეთქი, ერთი საშინლად ამოიოხრა და მითხრა: ეჲ, შვილო! რალა ქართველები, რის ქართველები! ძლიერს გვი-დგა პირში სული. დღე-ყოველ პურის ლუქმა გვენატრება. ვის-ლა ავონდება ქართველობაო. აი შეხედე ამ პატარებს. ტაბზე ნატისუსალი ასდით, ხელის ტოლა ჩითი არ გაგვაჩნია, რომ სიტიტვლისა და სიცივისაგან დავითაროთო. საშინელი გულის შესაწუხებელი ლაპარაკი დამიწყო. მე დიდი ხანი ვერ გავუ-ძელ იმის ყურებას, შემეცოდა და აეჩქარდი წამოსასვლელად. აღმოჩნდა, რომ ამას მამასახლისთან არავითარი დამოკიდებუ-

ლობჩ არა ჰქონდა. თუმცა ორივენი ერთ ეზოში იყვნენ, მაგრამ ორივე თავთავიანთთვის ცხოვრობდნენ. რომ წამოვდექ და ვეთხოვებოდი, მითხრა: ეხლა შენ მოსული კაცი ხარ, გნდომება საღმე ჩამოხდომა და აბა რა ვქმნა, მე შენი საკადრისი არც სახლი მაქვს, არც კარიო. თუ ინებებ, შენი ნებაა, აი ეს ჩემი სახლი და ორგორცა გსურს, ისე მოიხმარეო. მე დიდი მადლობა გადაუსხადე და ვანუგეშე, გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი დიდია, როდესმე ჩვენც გადმოგვხედავს-მეთქი და გამოვტრიალდი. იმან გზა-გზა მომაძახა, რომ საცა ბინა იშოვო, პური, კვერცხი, რაც გნებავდეს, ჩვენგან მოითხოვეო. მე კვალად მადლობა ვუთხარ და წამოველ.

ლაპარაკში სრულებით ვერ შემემჩნია, რომ, თურმე, ქვეყნის დედაკაცობა ზედ დამდებოდა. შეეტყოთ, ქართველი მოსულაო, მოგროვილიყვნენ ეზოში და თავიდან ფეხებამდე თვალითა მხომავლნენ.

ამ ლაპარაკის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გული გამიფუჭდა. შიგ სოფელში დგომა აღარ მოვინდომე, მექნელებოდა ვისიმე შეწუხება. გამოველ იქვე, განაპიროს და ვუთხარი ბიჭს, რომ აქ გამიმართე ლოგინი, აქ დავბინავდეთ და რაც საჭმელი რამ მოვგინდება, ფულით მიყიდე ხოლმე სოფელში-მეთქი. ვფიქრობდი: ჭამა-სმა, წოლა და ძილი ჩემთვის ცალკე მქონოდა და რაც დრო დარჩებოდა, სოფლად, ხალხში შეტრიალა. მაგრამ ჩავლადარი ვერ დავითანხმე. ასტყადა, რომ აქ ლორები არიან ახლო, შეიძლება ღამე ან ცხენები მოგვპარონ ან ბარგიო. მე კიდევ ჩემსას არ ვიშლიდი, და არა ვთანხმდებოდი. ამ შეცილებაში რომ ვიყავით, ვნახოთ თავს წამოგვდგომია ერთი კაცი და ერთი დედაკაცი, გაუგიათ ჩვენი ლაპარაკი და ისინიც ჩამოერივნენ.—როგორ იქმნება აქ დგომა, განა სოფელი გაწყვეტილაო! მითხრეს იმათ ორივემ ერთად და ჩამკიდა დედაკაცმა ხელი კალთაში.—იუ სახლი არა მაქვს შენი შესაფერი, ეზო კარგი მაქვს, იქ დაბინავდიო. მე ძალიან უარ-ზედ ვიყავ, მაგრამ არ მომეშვნენ და წამიყვანეს.

როგორც ეტყობოდათ და ორგორც მერე გამოეიყითხე, მუშაობიდან მოდენილიყვნენ. ქალს ორი სათიბელი ჰქონდა

მხარზედ გადებული და კაცს პატარა კონა მწვანე ბალახი და კიდევ რაღაც-რაღაცეები ზურგზედ წამოკიდებული. ცოლ-ქმარნი იყვნენ, ახალგაზდა ხალხი. კაცი ძალიან ლამაზი იყო, წაბლის ფერი წვერ-ულვაში ჰქონდა და ნამდვილი ქართული სახე. ცოლი უფრო ახალგაზდა, უფრო ლამაზი. წარბები დაბასმული ჰქონდა, შუბლზედ, ნიკაპზედ და ერთ ლოყაზედ პატარა ჯვარის სახედ მოლურჯო ფერის ტატუიროვა გეგეთუებინა და სულ თეორ-წითლად ღუოდა.

მიმიყვანეს სახლში. ცოლი იმ წამს ჯარასავით დატრიალდა: მოჩრწყო, დაგავა, დაასუსტავა ეზო და გამიშალა საფენი. გადავაფინე ზედ ზეწარი, გავშალე ჩემი საბნები და წამოვწექ. მომისხდნენ აქეთ-იქიდან ცოლი და ქმარი და დამიწყეს ლაპაკი. ქართულად კარგა ველარა ლაპარაკობდნენ, თუმცა სმენით კი კარგა ესმოდათ. გეეგოთ მეზობლებს ჩემი მოსელა და ცოტ-ცოტამბით მოგროვდა ხალხი. ყველაზედ მეტი აქაც დედაკაცობა შეიყარა. დამაყარეს აქეთ-იქიდან სხვა-და-სხვა კითხვები და მე ველარც კი ვასწრობდი პასუხის ძლევას. ხუთი წამის შემდეგ სულ გაიჭედა ხალხით ეზო, გზები და ბანები. ყველას უნდოდა ახლო მოსულიყო, ყველას უნდოდა დამლაპარაკებოდა. ბოლოს თანდისთან დიდი კაცებიც მოგროვდნენ.

უინც მოდიოდა, ჯერ ყველაზედ წინ იმას მეტყოდა: „აქ რად დაჰგდებულხარ“, ვითომ აქ რად ჩამომხდარხარო?“<sup>1)</sup> ყველას უნდოდა თავის სახლში წავეყანე, — აქ როგორ შეიძლება, ცის ქვეშ როგორ დაგტოვებო! „ადე, წამო ჩემ სახლჩიო“, ყველა ამას მეუბნებოდა. ამათმა ამისთანა მიპატიუებამ თავმოყერება აღუძრა იმ ცოლ-ქმარს, რომელთაც პირველად სოფლად შემომიპატიუეს და ყველას ეუბნებოდნენ: არავისაც არ დაგანებებო! კაი საკადრისი სახლი არა გვაქვს, მაგრამ რაცა გვაქვს, ისე დავუხვდებითო.

<sup>1)</sup> ეს სიტყვა გადამთარგმნილი აქეთ, როგორც მე შევატყვ, სპარსული სიტყვიდან „ოუფადან“, რომელიცა ჰინშეავს დავდგბასაც, დავარდნასაც, წაჭევასაც, ჩამოვარდნასაც, ჩამოხდომასაც და დაბინავებასაც.

მართლაც, დიასახლისი შეუდგა ოთახის მომზადებას და ამათ კი ყურები დამაძრეს ლაპარაკით. მე რომ მეკითხნა რამე, რიგიანად პასუხს არც კი მაძლევდნენ, სულ უნდოდათ, რომ მე მელაპარაკინა და მე მეამბო მათვეის აქაური ჩვენი ქართველების საქმეები. ვნახოთ, გამოჩენდა ამ დროს ერთი დაბალ-დაბალი უსახური კაცი. რომ დაინახეს, ყველამ იქით მიიღოთ ჯეს კისრები და დაუძახეს: „მოდი აქ, მოდი აქაო!“ თურმე ის ამათი ხუმარა ყოფილიყო. თითონ ზემო მარტყოფელი იყო და ეხლა, რამდენიმე დღით აქ სტუმრად მოსულიყო. დამინახა იმან თუ არა, და მოჰკრა ყური ჩემს ქართულს, მიუბრუნდა ხალხს: — „ეგ ვინ არი! ჩვენი ნაგლეჯიაო? — და წასქდა ხალხს სიცილი. მეც სიცილი მომივიდა. დიალ, დიალ! თქვენი ნაგლეჯი ვარ, მაგრამ შენ ვიღას ნაგლეჯი ხარ-მეთქი? „მე მარტყოფის ნაგლეჯი ვარო“, მიპასუხა და „რატომ ჯერ მარტყოფში არ მოიტანე თაშრიფიო?“<sup>1)</sup> იქ შორი იყო, დავიღალე და თვალ-ნათლივაც ვეღარ ვუშვევდი-მეთქი. ასეთი საუბარი მქონდა სულ ხალხთან მობინდებამდე. ბინდისას სახლის პატრონმა შემიწვია სახლში.

სახლს ერთი შესავალი კარი ჰქონდა, კარიდან მოყოლებული შიგ სახლში, მხარ-მარჯვნივ ფიცრის ძგიდე (კედელი) იყო გავლებული კაცის სიმაღლეზედ. ძგიდე ოთახის შუა სიგანემდე მიღიოდა, ისე რომ შესავალი ტალანს ემსგავსებოდა. შუა-ზედ ორგან, ტოლ ჩანძილზედ მოშორებული, კაი სრული ბოძები ჰქონდა შეყენებული და ერთ ამ ბოძზედ იყო მიკრული ის ფიცრის ძგიდე. ბოძებ შუა, ზედ შუა აღვილზედ დატანებული ჰქონდა ჭრის სანათური, საიდანაც მთვარე ჩამოიყურებოდა. ტალანიდან მხარ მარცხნივ, გვერდში შედიოდა ერთი კიდევ სხვა კარი ერთს ბნელ საეალში, რომელიც ორი მხრიდან უვლიდა გარს ოთახს და საღაც, როგორც შეკნიშნე, შინაური ფრინვლები ჭყაფდათ შენახული.

<sup>1)</sup> „თაშრიფი“ საპატიო სიტყვაა სპარსულს ენაზედ და როდესაც ტიატები მიტანას ან მოტანას, შაშინ ნიშნავს ჩვენებურად წაბრძანებას და მობრძანებას.

აანთეს ჭრაქი და შემოვუსხედით გარს. ერთ მხარეზედ მე ვიყავ წამოწოლილი. ჩემს პირდაპირ ისტენენ ჩემი მასპინძლები და აქეთ-იქიდანაც 4—5 უცხო კაცი. ჩემს ბიჭს მოვხრაკა გზი-დან მოყოლილი ოთხი მტრედი, მაგრამ ისე უგემურები გამო-დგა, რომ ხელი არ მიხლია. მიმიწვიეს მაშინ თავის ვახშამზედ ჩემმა სახლის პატრონებმა, რომლებიც ლავაშ ჩაბუქბუქებულ შაწონს შეექცეოდნენ. მე მაღლობა გადავუხალე. მნახავნი რი-გისა მიღიოდნენ, რიგისა მოღიოდნენ და ღამის პირველ საა-თამდე თავის დანებებას არ აპირობდნენ, თუ სახლის პატრონს არ დევთხოვნა.

მეორე დღეს, დილით ადრიან წავედი ზემო მარტყოფი-საკენ. გავედით თუ არა ტაშკესანაზან, თითო-თითოდ წამო-გვეწივნებ უკანიდან გლეხები; ვიღრე ერთი ვერსის მანძილს გავივლიდით, 40 მეტი კაცი მყვანდა გარეშემო შემოხვეული და მძიმედ, ლაპარაკით მივდიოდით. ვნახოთ, ერთი ვიღაცა გამოჩნდა ცოტა მოშორებით და დაგვიწყო ძახილი: „დაიცა, დაიცაო“. ამათ რომ დაინახეს, სიცილი დაიწყეს: „ჩვენი სუ-ლელია, იმასაც უნდა გურჯისტანის აჩბები გაიგოს“. არ გა-სულა 3—4 წამი, წამოგვეწია ქაქანით ეს გიურ, მომიდგა ცვე-ლაზედ ახლო და დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ რა ლაპარაკი,— სულ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა. — „მაშ გურჯისტანში ტაშ-კესნა არ არიო“. მე ვეტყოდი, არა-მეთქი. „მაშ გურჯისტან-ში ტყემალი გაქვთო“? — ჰო-მეთქი — და სანამ სხვა რამეს დამეკითხებოდა, ის ისევ გამიშეორებდა: „მაშ გურჯისტანში ტაშკესანა არ არიო“? გამიკირა საშინლად საქმე. არ მინდო-და ამ გიურის კამპანიით მევლო, დავკარ ცხენს და გავაჩქარე; მაგრამ ეს ამოდენა ხალხიც აჩქარდა, სულ ჩაქჩაკით წამოვი-დნენ. გიურ ხომ სულაც არ გეანებებდა თავს და ცველაზედ წინ ის ეჩრებოდა. მეტი ილაჯი არ იყო, უნდა ამეტანა ამ გიურის ყბედობა, რომ ის დანარჩენები არ შემეწუხებინა და ჩა-ქაკით არ მერბეინებინა. გამაცილეს ამათაც ასე კაი გზა და მერე თითო-თითოდ ჩამოვფრჩნენ უკან, მაგრამ ცველაზედ მეტი ხანი შეგვრჩა ის სულელი ტაშკესანელი.

ახორას რომ მიუუახლოვდი, იქ, სოფლის პირში ორი დე-  
და-კაცი წყალს ავსებდა. დამინახეს და გამართეს ლაპარა-  
კი: ერთმა სთქვა—ეს „საჰაბიაო“. მეორემ უთხრა,—„არა ეს  
ჩევნია, გურჯიაო“—„არა, საჰაბიაო, ფარანგიაო?“—„არა, ეს  
ჩევნი ძველია, გურჯია. ხანმა არა თქვა, ერთი ჩევნი ძველი  
ისპაანში ზისო“. და როდესაც ის პარელიც დაეთანხმა, წა-  
მოხტნენ თრიკენი, დაყარეს იქ წყლის ჭურჭელი და გაიქცნენ  
სოფლისაკენ. მირბოლენენ და ყველა გამვლელ-გამომვლელს  
უუბნებოდნენ: „ჩევნი ძველი მოდის! გურჯი მოდის გურჯის-  
ტანიდანაო“!

სანამ შიგ სოფელში შევიდოდი, აუარებელი ხალხი იყო  
ყველა გზებზედ გამოშლილი: კაცი და ქალი, დიდი და პატა-  
რა აქვთ-აქიდან მომძახოდა—აქვალი როგორა გაქვს? <sup>1)</sup>—„სა-  
ლამ! <sup>2)</sup>—„ჩალი როგორა გაქვს? <sup>3)</sup>“ მე ყველას თავს ვუკრავ-  
დი და მაღლობას ვეუბნებოდი.

ვაპირობდი ალი მირზა ხანის სახლში ჩამოხტომას. ჟყი-  
თხე ხალხს იმისი სახლი და მითხრეს: „შინ არ არის, პოქემ-  
თან <sup>4)</sup> წავიდაო“. იმისი შეილი-მეთქი და—„ეხლა ვენაბზი მუ-  
შაობსო“. მაშ ხოდარამ ხანის სახლი მასწავლეთ-მეთქი. წამი-  
ძლვა. წინ ორი-სამი კაცი, ამყვა უკან ეს აუარებელი ხალხი  
და ესე ყეინივით წამიყვანეს. შეველ ხოდარამის ეზოში. და  
შემომყვა თან ეს ჯარივით ხალხიც. შეველ ოთახში და ვიდრე  
ერთმანეთს მივეხალმებოდით, ისე დიდძალი ხალხი მოგროვი-  
ლიყო, რომ ეზო, დერეფნები და ბანები სულ გაჭედილი იყო.  
ხოდარამს შეეშინდა, სახლი არ დამიქციონო და სთხოვა ხალხს,  
ჩამოდით, თორე ბევრნი ხართ, ბანი ჩამოწვებაო, მაგრამ ყურიც  
არავინ გაიძერტყა ამის სიტყვებზე დ.

ასრე დავდიოდი ერთი სოფლიდან მეორეში. შემოვიარე  
თითქმის სულ მთლად, რაც აქ ახლო-მახლო სოფლები იყო.

<sup>1)</sup> აქვალი—გარემოება, მდგომარეობა.

<sup>2)</sup> სალამ—გამარჯობა,

<sup>3)</sup> ჩალი—გუნება.

<sup>4)</sup> პოქემი—გამგებელი, მოურავი.

ზოგან სამი დღე დავრჩი, ზოგან ორი, ზოგან ერთი და ზოგან მხოლოდ გავლით კი გავიარე, დავათვალიერე და შიგ ხანი არ დავრჩომილვარ.

მთელს იმ პროვინციას, სადაც მოსახლობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს და ზოგნი ფერიასაც. რეკლიუმ უწოდებს მას ფერიდუნად (ფერიდუნ). ფერეიდანი დიდი მოზრდილი აღგილია, —განიყოფება ოხთ ნაწილად. თითო მათგანს ეწოდება სახელად ნაპაია: 1) ნაპაია გურჯი, 2) ნაპაია თოჭმაპლუ, 3) ნაპაია ვარზალ და 4) ნაპაია ჩადეგუნ. პირველი იმათგანი, როგორც პეტედათ სახლწოდებიდან, ეკუთვნის ქართველებს და დანარჩენი სამი—თათრებს. ჩვენ, რასაკვირველია, გვექმნება. აქ ლაპარაკი მხოლოდ ქართველების ნაპაიაზედ.

სიმაღლით ფერეიდანი ირანის ყველა სხვა დასახლებულ ადგილებზედ მაღალია (2500 მეტრის სიმაღლეზედ არის).

ფერეიდანი შესდგება მთლად მთებისაგან და სადაც ეს მთები ცოტა შორი-შორს გადიან ერთმანეთისაგან, იქ, შუაში სოფლებია დამართული. მთები თავის-თავად არ არის საიმისო მაღალი, უფრო გორებსა ჰგავს, მაგრამ მთლად ადგილი იმოდონად მაღალია, რომ ამ პატარა გორაკებზედ გარდა ერთის თვისა, მუდამ თოვლი სძევს ხოლმე ადგილ-ადგილ ხევებში.

პატარი ძალიან წმინდაა და საღი; წყალი მშვენიერი. ყველა სოფელს აქეთ-იქით მხრიდან ჩამოუდის კამაგი მთიური წყაროები, რომელთაგანაც სდგება პატარ-პატარა ხევები. ეს მთები აძლევს წყალს თითქმის ერთ მესამედ ნაწილს სპარსეთის ქვეყნისას.

ზამთარი ძალიან ცივი იცის და ხანგრძლივი, ისეთი თოვლი მოდის, თურმე, ხშირად, რომ ბანიდან ბანზედ გადავდივართ, მეზობელთან მისვლა რო გვინდოდესო, მითხრეს აფუსელებმა. ამ დიდი ზამთრის შესახებ აფუსში გამოუთქვამს ხალხს შემდეგი ლექსი სპარსულს ენაზედ,

„ბადაზ პატად,  
ბარჭ იაჭთად;  
ბაპაყე ინ ფირ,  
ბე ყაღრ დე ინ თირ“<sup>1)</sup>)

1) შაისის გასულს შოვიდა ისეთი თოვლი, რომ, ვჭირავ ჩემს მოწუცებას, მისაღლით თითქმის სასლის ბანს უწიაო.

მცენარეობა ბუნებითად არავითარია, როგორც მთელს ირანში; მთები გაშელეპილებია და მინდვრად კი ხშირად შეჰედება კაცი ბალახს და ანუ მინდვრის ფერად-ფერად ყვავილებს. ცხოველები ივივეა, რაც დანარჩენ ირანში.

ამ ნაპაიაში, რომელიც მე თითქმის მთლიანად დავიარე, სულ 14 სოფელია ქართველებისა. აი მათი სახელებიც: შაანათი, თოლერი, ბოინი, ტაშკესანა, აჭუსი, ახჩა, შაიურდი, ჯალჯალი, სიბაქი, ჩულრუთი, ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, დექსური და ნინოწმინდა,

ზოგიერთ სოფლებს ორ-ორი სახელი ჰქვიან. ასრე მაგალითად: ზემო მარტყოფს ეძახიან კიდევ ახორაბალა (ზემო), ქვემო მარტყოფს — ახორა ფაინ (ქვემო), თოლერს — ღომბე-ქამარე და ნინოწმინდას — ქუდუბანაქ. პირველ სახელებს ეძახიან თვითონ ქართველები და ერთმანეთში სხვა რამ სახელს არა ხშარობენ, ხოლო მეორე სახელებს ეხახიან სპარსელები. ამ პირველ სახელებში მხოლოდ ნინოწმინდა ჰკარგავს თავის სახელს და ბევრ ქართველსაც კი ქუდუბანაქი უფრო ემარჯვება, ვიდრე ნინოწმინდა და ხშირად ლაპარაკში ნინოწმინდის სახელს, თუ ქუდუბანაქიც ზედევ არ დაურთე, ვერც კი გაიგებენ. დანარჩენი სახელები, როგორც თოლერი და მარტყოფი ძალიან მტკიცედ სწამთ და შეარჩენენ კიდეც ამ სახელებს სამუდამოდ.

აჭუსს წინად ორი სხვა სახელი ჰრქმევია. ჯერ ყოფილა ამის ადგილს დეი (სოფელი) რუისპირი, შემდეგ დეი (სოფელი) რუსთავი, მაგრამ დღეს ნიშნად ამ სოფლების ოდესმე არსებობისა მხოლოდ ორი სახლის ნანგრევი-ღაა დარჩენილი შიგ სოფლის პირში. უწინ ის სოფლები დიდებიცა ყოფილა და, როგორც მოუთხრობენ დღესაც თუსელები, ათას კომლამდე მცხოვრები ჰყოლია. დღეს კი განახლებულ სოფელს მიუღია სახელწოდება აჭუსისა და მცხოვრებიც, სულ რომ ბევრი, 240—260 კომლზედ მეტი არ ეყოლება.

დანარჩენი ქართული სოფლების სახელები, რომლებიც მოჰყვივს თავის წიგნაკში პატივცემულს ბ-ნ ზაქარია ჰიქინაძეს

და რომელიც შე მხოლოდ აქ, ტფილისში აღმოვიკითხე, სი-  
ნამდვილეს არიან სრულიად მოკლებული. ბ-ნ ზაქარია ჭიჭი-  
ნაძეს დამყარებული აქვს ეს თავისი ცნობები, რასაკვირველია,  
ბ-ნ ონიკაშვილის სიტყვებზედ. და რომ ბ-ნ ონიკაშვილს სრუ-  
ლის სისწორით არ უამბნია, ამაზედ შე დაევარწმუნებ მკითხველს  
შემდეგის მოსაზრებიდან.

წიგნაკში (ნახე გვ. 24 და 25), ონიკაშვილის სიტყვით, მო-  
ყვანილია გარდა მარტყოფისა ზემო აკურა და ქვემო აკურა,  
მაშინ, როდესაც, ორივე ეს სახელი ერთი და იმავე სოფლე-  
ბისაა. მე ზემოდაც მოვახსენეთ, რომ ზემო მარტყოფს სპარ-  
სელები ეძახიან ზემო (ბალა) ახორის და ქვემო მარტყოფს ქვე-  
მო (ფან) ახორის. აქედან სიტყვა ახორი დაუახლოვებია სი-  
ტყვასთან აკურა და გამოსულა ორი სოფლის ადგილის რობი  
სოფელი: ზემო მარტყოფი, ზემო აკურა, ქვემო მარტყოფი,  
ქვემო აკურა. ახორი კი არაბული სიტყვაა და ჰიშნავს ბაგას.

ბ-ნი ონიკაშვილი გადმოვარდნილი კაცი იყო, უნდოდა  
შეებრალებინა იქაური ქართველობა აქაური ქართველობისა-  
თვის და ზოგიერთ რამებში ცოტა გადაუქარდებია. ჰეონებია,  
რომ, თუ ესე არ მოვიქეც, ქართველები ყუჩის არ გაიბერტყა-  
ვენო, მაგრამ რა იცოდა იმ საწყალმა, რომ ამ გაზვიადებითაც  
ისე ჩქარა ვერ გაანძრევინებდა ხელს დარბაისელ ქართველს.  
ეს მის მიერ გაზვიადებული ამბავი მე სრულიად ჩვეულებრივ  
მოვლენად მიმაჩნია და არც უსაყვედურებ ამისთვის, მხოლოდ  
ჩვენ გვსურს აღვადგინოთ აქ სრული კეშარიტება.

ან კი არ საჭიროა, რომ თოლერი ძალის-ძალად არ გა-  
დავქმნათ თელავად და ჩუღრუთი ჩუღურეთად? განა აქ, ჩვენში  
კი არ არის დღეს ისეთი სოფელ-ქალაქი, რომელთა სახელე-  
ბის წარმოება დღემდე ძნელი გამოსაგნებია და ანუ სრულიად  
ქართულიც არ არის? ეს საქმეს არას უშველის. უველა ის სა-  
ხელები, რაც ჩვენ აქა გვაქვს ჩამოთვლილი, უმისიოდაც თა-  
ვისის დაბოლოებითა და თავისის გამოთქმით, როდესაც მათ  
შეუდარებთ სპარსულ სოფლების სახელწოდებებს, ამტკიცებენ,

რომ თითქოს სპარსული არ უნდა იყოს და უფრო ქართულის ენიდან ნაწარმოებისა ჰგვანან.

არ შემხვედრია არსად და არც ყური მომიკრავს მელანისა, მაჩხანისა და მუკუზანისათვის, მაგრამ, გარდა მის მიერ ჩამოთვლილებისა, მე ვნახე და დავიარე: შაანათი, სიბაქი, ჯაღჯალი, ჩულრუთი, შაიურდი, დევსური და ნინოწმინდა ანუ ქუდუბანაქი.

ასეთივე შეცდომა მოსდევს მას ამ სოფლების მეკომურთა აღრიცხვაში. ეს შეცდომები ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ბონიერაშვილს, რომელიმე გარემოების გამო, არ სცოდნია იქაური ქართველობის ამბავი. ჰქონია მხოლოდ მტკიცე რწმუნება, როგორც ყოველივე იქაურ მცხოვრებს, რომ ის ქართველია და, რისათვისაც ყმაწვილობაში ყური მოუკრავს, თავისებურად გადაუკეთებია. გაუგია, მაგალითად, რომ აჭუსი და თოლერი დიდი სოფელიათ და პირველისათვის 800 კომლი მიუწერია, მეორისათვის 900. მაშინ როდესაც, სულ ბევრი რომ ვთქვათ, აჭუსში დღეს 260 კომლი იქმნება და თოლერშიაც ცოტა რამ 200-ზედ მეტი. ტაშკესანა, სადაც ის 800 კომლს სთვლის, სულ 120 კომლი რომ იყოს, დიდი საქმეა. პირიქით, ახხაში 50 კომლს ასახელებს და ბოინში 60 და ეხლა კი ახხაში 200 კომლამდე მოსახლეა და ბოინში 200-ზედაც მეტი.

არც ისეთი დიდი ხანია იმისა და ჩემის ნახვის შესაბამის რომ ისეთი დიდი ცვლილებები მომხდარიყოს. ძნელია, მართალია, სპარსეთის სოფელ-ქალაქების მცხოვრებთა აღნიშვნა, რადგან არავითარი სტატისტიკური ცნობები არა აქვა. თვით მცხოვრებთაც რომ ჰკითხოს კაცმა, თავის დღეში ორს ერთმანეთის მაგვარ პასუხს ვერ მიიღებს,—ასეთია საზოგადოდ სპარსეთი. ზოგნი აშბობენ მარტყოფზედ, რომ იქ 1000 კომლიაო, ზოგნი—500-ით, მაგრამ დაახლოვებითი ანგარიში ყოველთვის შეიძლება.

აი ჩვენის აზრით დაახლოვებითი რიცხვი მცხოვრებთა:

|                     |       |          |            |        |          |          |       |            |   |   |   |   |     |        |
|---------------------|-------|----------|------------|--------|----------|----------|-------|------------|---|---|---|---|-----|--------|
| 1), შაანათი,        | საღაც | ნახევარი | ქართველები | არიან, | ნახევარი | თათრები. | მარტო | ქართველები | . | . | . | . | 100 | კომლი. |
| 2) თოლერი           | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 220 | —      |
| 3) ბოინი            | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 200 | —      |
| 4) ტაშკესანა        | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 100 | —      |
| 5) აფუსი            | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 260 | —      |
| 6) ახჩა             | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 160 | —      |
| 7) შაიურდი          | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 150 | —      |
| 8) ჯაღჯაღი          | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 100 | —      |
| 9) რაბაქი.          | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 140 | —      |
| 10) ჩუღრუთი         | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 40  | —      |
| 11) მარტყოფი ზემო   | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 700 | —      |
| 12) მარტყოფი ქვემო. | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 150 | —      |
| 13) დეესური         | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 60  | —      |
| 14) ნინოწმინდა.     | .     | .        | .          | .      | .        | .        | .     | .          | . | . | . | . | 80  | —      |

ისე რომ, ჩვენის აზრით, ამ ერთ ადგილას, ფერეიდანში, გურჯი ნაპირის, საიდანაც იყო, ბ-ნი ონიკაშვილი, სულ 2460 კომლია და სულად რომ ჩაგდით 12—15 ათას სულამდე იქნება.

ყველა სოფლებში ერთნაირად ვერ არის დაცული ენა. ასე, მაგალითად, ახჩაში და აფუსში უხეხროდ ლაპარაკობენ და ნახევარმა თითქმის აღარც კი იციან. შაანათში სპარსული ენაა, ქვემო მარტყოფში—სპარსული და ლორული, შაიურდში—თათრული (თურქული) და დევსურსა და ქუდუბანაქში ანუ ნინოწმინდაში—ქურთული. დანარჩენ სოფლებში კარგა იციან და ზოგიერთში ხომ ჩინებულად ლაპარაკობენ.

ზოგი სოფელი კაი მოზრდილია და ძალიან ლამაზი სანახავი. ზემო მარტყოფი შიგ მთებშია ჩაჭედილი თავისის სიგრძით და ვიდრე ზედ არ წაადგეს კაცი, სახლებს ვერ შეამჩნევს; რა ეს ხელით დაბურული. აფუსი ერთი შთის კალთაზე ისე სასიამოვნოდ შეფენილი, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებს. ლამაზი სოფელია აგრედვე სიბაქი და ბოინ-თოლერი, რომლებ-

საც ჰუმორის რამდენიმე საუკის სიგანე ხეობა და შორიდან ერთ სოფელსა ჰგვანან.

ხალხი მისდევს იმასვე, რასაც მათი მოძმენი, ჩვენი სოფელის გლეხობა, ესე იგი, ზნას, ბაღების შენებას და საქონლის მოვლას. ხელობა და ვაჭრობა ისევე იშვიათია იქაც, როგორც ჩვენში. ბაღისნობა ვერ არის საიმისოდ წინ წასული, როგორც საზოგადოდ ყველა ამისთანა ადგილებში ირანის ზეგანისა. ამ მხრივ ზემო მარტყოფი სჯობია ყველა სხვა სოფლებს. აქვთ აქ ხეხილის ბაღები და ვენახები, ხოლო, რასაკვირეელია, ღვინოს არ აყენებენ და ყურძნადა სჭამენ. უფრო უპირველესი ლონისძიება ამათი ცხოვრებისა არის ხვნა-ახსევა და საქონელი.

საქონელი ამათი ძალიან წვრილი მოდგმისაა, როგორც ჩვენში ლექური საქონელი და ითხსნება ერთის მხრივ იმითი, რომ ძალიან მაღალი მთიანი ქვეყანაა. თხა და ცხვარი კარგი ჰყავთ ისევე, როგორც საზოგადოდ მთელს ირანში.

მოჰყავთ მინდორში პური, ქერი, მუხუდო, ლობიო და იონჯა. ლამაზი სანახაეთი ამათი მინდვრები, როცა შორიდან უყურებს კაცი. ისე ფერად-ფერადი არის აჭრელებული ერთ-მანეთში მწვანე ჯეჯილი პურისა, ოქროს ფრად შემოსული ქერი და წითელ თავ-თავ დასხმული იონჯა. იონჯა დიღმალი მოჰყავთ და რაც ქერისა და პურის ხოდაბუნები აქვთ, იმდენივე თითქმის მარტო იონჯის მინდვრები იქმნებათ.

მოჰყავთ აქ, ფერეიდანში აგრედვე ერთნაირი ხორბალი, რომელსაც „ფარინჯს“ ეძახიან. სწორედ ხორბალივით მარცვალი აქვს, როგორც სილიდითა და მოყვანილობით, აგრედვე ფერითაც. ჰერიშავენ ერბოთი მთლიან-მთლიან მარცვალს, როგორც ბრინჯს და ბევრით ფლავზედ უფრო გემრიელიცა დგება და ნოკიერიც. საპატიო საჭმელად არის ძალიან მიღებული სპარსეთში, და, როგორც დამარტმუნებს, ფერეიდანს იქით არსად მოდის მთელს სპარსეთშიო.

ხალხს ტიპი ქართველისა საკმარისად აქვს, შენახული. ბევრი ისეთი წმინდა ქართველი სახის პატრონნი არიან, რომ გასაშრებელია. ნამეტნავ ის სპარსული ქუდები და წამოსა-

სხამები რომ არ აუშნოვებდეთ. ჩაცვით რომელსაც გნებავთ ქალსა თუ კაცს ქართული ტანისამოსი და, დაწერწმუნეთ, ვერ გამოარჩევთ აქაურ, ჩვენებურ გლეხობაში. როდესაც პირველად მეწვივნენ ქ. ისპაანში და მე ისინი ყოვლად სამდლვდელო ისაიასთან აციყვანე სანახაეთ, ყოვლად სამღვდელო გაკვირვებული შესცემოდათ: ნეტა ესე კარგა როგორ შეინახეს ტიპი ამ შიგ შუაგულ სპარსეთში — ამოდონა ხნის განმავლობაშით. ნამეტუნავ იმათში ერთი ერთი ხანი ზემო მარტყოფიდან, ხოლარამი, რომელიც გარეგნობით, სახით თუ გულით, რომელიც მის თვალებში და სახეზედ აღრბეჭდებოდა, იმ ტანისამოსითაც კი, ნამდევილი; რომ იტყვიან, პირიდან წამოვარდნილი ქართველი იყო.

ტანის მოყვანილობა ისეთივე აქვთ, როგორც აქაურ ქართველობას: არიან დაბალნიც, მაღალნიც, შეუა ტანისაც და მსეუანი და სქელი კი არავან. ტანადობით შესანიშნავნი არიან შიანათის მცხოვრებნი, ყველა მათგანი ახოვანია და ზოგნი ხომ „მდევის ნაგლეჯებსა ჰგვანან.

ქალთა სილამაზით უფრო ბოინი იხსენიება, თუმცა საზოგადოდაც არა უჭირთ-რა. რასაკვირველია, ამ ლირსებით უნდა აიხსნებოდეს, რომ ამ ორიოდე წლის წინად თვით ზილასულთანს მოწიწებით წაუყვანია ზემო მარტყოფიდან ერთი უბრალო ქართველის ახუნდის ქალი თავისი შეილის საცოლოდ.

სცხოვრობენ ძალიან დარიბად, გარდა რამდენიმე სოფლისა და მიზეზი ამისი აი რა არის.

სპარსეთში ერთი ჩვეულება აქვთ. ყოველივე სამსახური, ყოველივე თანამდებობა, ყოველივე საქმე, კერძო იყოს იგი თუ სახელმწიფო, სულ საიჯარადრო ნიადაგზეა დამყარებული. მაგალითად, თქვენ გინდათ გუბერნატორი გახდეთ ანუ ფოსტის მეუფროსე ანუ სხვა რამ, უნდა შეაგროვოთ საკმარისი ფული და დაუწყოთ ვაჭრობა მთავრობას. ვთქვათ პთაერობა მოვრიგდათ ერთ ან ორ მილიონ ყრანად, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წარმოადგინოთ ეს ფული და შეიქმნებით იმ საქმის მეუფროსე. სხვა არავითარი საქმე აღარა აქეს-რა თქვენთან

შთგორობას, როგორცა გნებავთ ისე დაიბრუნეთ ეგ თქვენი ფული, როგორც გნებავთ, ისეთი გააწერეთ ხალხს ხარჯი, როგორცა გნებავთ, ისე გაეცით თქვენს ხელ-ქვეითებზედ იჯარით თქვენი საბრძანებელის ნაწილები და უბნები. აი ეს არის სისტემა და მთელი ფილოსოფია სპარსეთისა, რომლითაც იგი განაგებს დღეს მთელ სახელმწიფოს და ეს არის იმისი მიზეზიც, რომ დღეს ქართველები ესე უმოწყალეო ღარიბები არიან. სადაც კი მიველ, ყველან პირველი საჩივარი იმათი ის იყო, რომ ჰოქემები (მოურავნი, გამგებელნი) გვაწუხებენ, ერთი სულის შეტყი აღარა დაგვრჩომია-რა პირში და ლამის არის, ესეც ამოგვახდინონო. მაგრამ ამ უბედურობაში ერთი დანაშაული თვით ქართველებსაც მიუძღვით.

როდესაც იგინი შაპბაზს აქ დაუსახლებია, ალბად, რაიმე ფირმანსაც გამოსცემდა მათ შესახებ, თორემ ესრე რომ არა ყოფილიყო, იმ თავით დღემდე სულ ამისთანა შეწუხებაში იქმნებოდნენ. „ამ შაპის ტახტზედ ასელამდის კარგა, მშვიდობიანად ვცხოვრობდითო ჩვენთვის, არავინ გვაწუხებდაო და ეხლა კი ლამის კეფიდან ტვინი ამოგვწოვონ“, მეუბნეოდნენ აჭუსელები. სჩანს, აქმდე რომ თავისუფლადა ყოფილან, რაიმე უწინდელი ბრძანების ძალით იქმნებოდნენ. ხოლო რა იქმნა ეხლა ეს ბრძანება, ვინ გადაყლაპა, არ იციან. ჰქონდათ თვითონ ხელში და დაკარგეს, თუ საღმე წინაშე შეფეთა ინახებოდა და, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა, გააუქმეს მათ დაუკითხავად, ეს ეხლა, რასაკვირველია, ძნელი გამოსაცნობია. ერთის სიტყვით, ასე იყო თუ ისე, დღეს შიდის იმათ სოფლებში ჰოქემი და, უკეთუ დღემდე სოფელს 10 თუმანი ჰქონდა გადასახადი, ეუბნება: დღეიდან სახელმწიფო გადასახადი ასო (100) თუმანი უნდა წარმოადგინოთ. შემოიტანთ—კარგია, არადა—აიყარენით აქედანაო. რა ქმნას მაშინ გლეხმა კაცმა და ისიც ისეზმა გლეხმა, როგორებიც არიან უველგან და ყოველთვის ქართველები?

ამ გარემოებისა გამო შესდგომია იქაური ქართველობა მამულების ხაზინიდან გამოყიდვის საქმეს. ვიდრე ჯერ მე ისევ-

ისპაანში ვიყავ, ზემო ბარტყოფელებმა გაათავეს ყველაზედ უპირველესად ეს საქმე. მერე გამოიყიდეს მამულები ბოინმა და თოლერმა და ეხლა, როდესაც მე ფერებიდანში ვიყავ, სიბაქისა, ტაშეესანისა და აჭუსის მამისახლისები წავიღინენ ისპაანში ამ საქმის დასაბოლოვებლად. ასრევე ფიქრობენ ყველა სხვა სოფლებიც, მაგრამ როგორ დაბოლოვდება ეს მათი საქმეები, არავინ უწყის, წინადვე გადაჭრით თქმა იქაური რამ საქმისა ყოვლად შეუძლებელია.

ჩვეულებანი, რომლითაც იგინი უნდა განსხვავდებოდნენ დანარჩენ სპარსელთაგან, ძლიერ მცირედი რამ-და აქვთ შერჩენილი. სახლებს იშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იმათი სახლი მიწის ზევითა სდგას, მაღლა. ძალიან ხშირად შეჰვდება აგრედვე კაცი უწინდელ ჩვენებურ დარბაზებს რამდენიმე სვეტით: ოთხით, ექვსით, თორე რვა სვეტითაც. მთელს ირანში, გარდა ამათი, არავინ იშენებს ასეთ სახლებს. ეხლა სახლი, მართალია, სპარსელებმაც ბანიანი იციან, მაგრამ ამათი სახლის ბანი რამდენიმე გუმბათს წარმოადგენს და ქართველებისა კი ყოველთვის ბრტყელი ბანიანია და შიგ შუა ადგილას, როგორც ვთქვით, სანათური ატანია. ეხლა ბევრგან მიუყვიათ ამათის წაბაძვით ხელი ასეთი სახლების შენებისათვის და სახელისაც „გურჯი ფუშს“ (ქართულად დახურულს) ეძახიან.

აქვთ ამათ აგრედვე ქართული, ნამდვილი ჩვენებური ურემი. აქვთ აგრედვე ზოგიერთ იმათ შეზობლებსაც, იქაურ სომხებს. ურემი ამათი საქმარისად ღილა ჩვენებურ საძნე ურემზედ და შეყენებული აქვს თავისი შესაფერი გორგოლები, მაგრამ ისეთი მაღლები კი არა, როგორც ეს იციან თაორულის ცხენის ურმებისათვის. ამ ურმებს მარტო მძიმე საქმეებში ხმარობენ და ადვილი საქმეებისათვის კი ამათაც ვირები იციან. ეს ხალხი შიგ მთის წვერებში სცხოვრობენ, ამათი ადგილი ძალიან ბევრად ნაკლები ვაკეა, ვიღრე ქაშაანიდან მოყოლებული ყაზვი-ნამდე, სრული 460 ვერსის სიგძეზედ, მაგრამ მით მაინც ამათ მეტი არავინა ხმარობს ურემს მთელს სპარსეთში.

დღემდე თავის ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდა სხვა ტომის ხალხს და არც თითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვა-თა ქალები. დღეს კი ამ ჩვეულებას რამდენიმე სოფელი-და ადგა. დანარჩენებს ცოტ-ცოტაობით დაურღვევიათ ეს ჩვეულობა და ეს არის სწორედ იმისი მიზეზიც, რომ იმ სოფლებში, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ენაც კი დაპირებიათ. თითქმის ყველა იმისთანა სოფლებში, საღაც ქართული აღარ იციან, ხალხი არეულია, რადგან ყველაზედ აღრე იმათ დაუწყიათ არა ქართველთათვის ქალების ძლევა.

საკვირველია, რომ სპარსეთში, საღაც საზოგადოდ გვა-რები (თაიჭები) არ არის ხმარებაში და საღაც კაცი იცნობება მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, ქართველებს წმინდად შეუნახავთ თავის გვარები. გვარები წმინდა ქართულია და ყო-ველი მათგანი დღემდე ისევა სკოცხლობს საქართველოში.

ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა მითხრა აჭუსში, როდესაც შეეტყო ჩემი გვარი, რომ თქვენ ჩემი ნათესავი ჰყოფილხარ-თო. როგორა-მეთქი-და—მეც აღიანთი ვარო. ეგ სხვა გვარია, მაგ გვარის ხალხიც ბევრი გვყავს საქართველოში, თავადებიც არიან-მეთქი. მაგრამ იმან მიპასუხა, არ მინდა არც თავადები, არც სხვები, მე მინდა შენი ნათესავი გავხდე და ჩემს გვარში დღეიდან „ნარსაც“ ჩავუმატებო. ჩვენ ყველამ გავიცინეთ და მე ვუთხარ, რომ დიდად სასიამოვნო იქნება, თუ ეგ სპარსუ-ლი „თააროტი“ ქათინაური<sup>1)</sup> არ იყო და ვულის წმინდით ამ-ბობთ-მეთქი.

აი იქაური გვარები, რაც კი შევკრიბე: აღიანი, ბათუა-ანი, ბასილაანი, ბურციაანი, გორგინაანი, გუგუნაანი, გულია-ანი, დარისპანაანი, ელარჩაანი, ვარღიაანი, ზეკოკიაანი, თამა-ზაანი, თარვერდაანი, ლაჩინაანი, ლობიტაანი (იოსებაანი), მა-თიაანი, მამუკაანი, მარტიაანი, ონიკაანი, სამადაანი, სეფიაანი, სულიკაანი, ფოცხვერაანი, ქევსიაანი, ქურდაანი, შოშიაანი, ხადიკიაანი, ხატიკაანი, ხუციკაანი. აქვთ აგრედვე ახალი გვა-რებიც, სულ სამი შემხვდა ამისთანა; შეითანიანნი—ქურდაანთ

<sup>1)</sup> კომპლიმენტი.

გვარის განაყოფნი არიან, ასლანიანნი—ალიანთ გვარის განაყოფნი და ისპანიანნი.

ხმარობენ გვარებს იშვიათად ვიდრე ჩვენში და ხმარება ისრევე იკიან, როგორც ჩვენმა გლეხებმა. მაგალითად: ალიმირზა ხანი ხუციცანთი, ხოდარამ ხანი ონიკანთი, ასადოლა ქურდანთი, მაჰმუდ სულიკანთი და სხვა.

შეტრიმიათ აგრედვე ორი ჩვეულობა, მათის ქრისტიანობის დროიდან, თუმცა დღეს მათ სრულიად აღარ ესმით მათი წინანდელი მნიშვნელობა და ასრულებენ ისე, როგორც ერთ რამ უბრალო ჩვეულობას. ერთი არის ის, რომ, როდესაც ცომის ზელას მოჩინებიან, ზედ ჯვარედინად დაჭირავენ ხელს. ეს ჩვეულობა მე თეოთონ არ მინახავს. ნაამბობი მქონდა ზოგიერთ სომეხთაგან და როდესაც დავეკითხე თვით ქართველებს თოლერსა და მარტყოფში, იმათაც კვერი დამიკრეს—მართალია, ეხლაც ესე ვიცითო.

მეორე ჩვეულობა არის სულთმოფენობა. ეს ისეთს დღეს მოდის, როდესაც მასელს სპარსეთში არავითარი დღესასწაული და სამხიარულო დღე არ არის. მაგრამ ესენი და ბევრი სხვა ფერეიდანელნიც იყრებიან იმ დღეს ქართველებთან ერთაუ, ირთვებიან სრულიად ახალის ტანისამოსით და გადიან მინდორ მთებში სალხინოდ, დროს გასატარებლად. ჰკრეფენ ყვავილებს და მთელი დღე სახლში არავინ შემოდის. ვერ მივუსწარ მე ამ დღესასწაულს, თუმცა იმათ სწორედ ამ დღისათვის დამპატიუ ეს. საშინლად აქებს ყველა ამ დღესასწაულს, არა თუ ქართველები, არამედ სომხები და სპარსელებიც, ვინც კი ოდესმე დასწრებია ამ აბბავს და ვისაც თავისის თვალით არ უნახავს, არც ის აქებს სხვებზედ ნაკლებად, რაღაც მუდამ ჰსმენია მნახავთაგან ქება და აღტაცება. ამ დღესასწაულს, როგორც მახსოვს, ყვავილების დღეს ეძახიან.

სხვა რამ ქართველური, გარდა ამ ზემორე აღნიშნული საგნებისა, არა შემიმჩნევია-რა, ჩემს იქ მოკლე ხნის მყოფობაში. სჯული მაჰმადისა აქვთ და ყველანი შიიტები არიან. სჯულის სიმტკიცეში მათ გადაუჭარებიათ თვით სპარსელები-

სათერისაც. ძალიან მკაცრი მორწმუნენი არიან მაშმადისა. ჰყავთ თავისი მოლები და ახუნდები, რომლებიც გულითა და სულით ჩინებული ქართველები არიან და ძალიან კარგადაცა ლაპარაკობენ ქართულად. ჰყავთ თავისი დარგიშები და „თაზიეს“ მთქმელნი. მე ენახე ამ „თაზიეს“ მთქმელი ქართველები ქ. ხუნსარში და, როგორც ოვით სპარსელებმა დამარწმუნეს, ერთი მათგანი, ახალგაზდა ბიჭი, რომელიც ალიაქტერის როლს თამაშობს, განთქმულია თითქმის მთელ სპარსეტშით. სულ 18—19 წლისა არის, ჰყავს ცოლი და ორი შვილი, შესანიშნავი ლამაზია, წმინდა ქართული სახისა.

ტანისამოსი ქალსა და კაცს მთლად სპარსული აქვთ, მხოლოდ ახალოხი ბევრად მოკლე იციან სპარსელებზედ, უფრო ჩვენებურსავით.

სახელები აგრედვე ცველას სპარსული სახელებია აქვთ. ვიკითხე სახელები მარტყოფში, ბოინში და თოლერაში და არც ერთი ქართული სახელი არ შემხვედრია. აი ნიმუშად რამდენიმე სახელები ქალებისა და კაცებისა, რომლებიც მე ბოინში ჩავიწერე: იადოლლა, ასადოლლა, ეინოლლა, ჰაფასულლა, ურუჯალა, როვია, თააპარა, ააბელინ, ებრაჟიმ (აბრამ), ჰალიმა, ფერია, მინავარა, გულია, ლეილა, ბანავშა, ზოპრა, ხალნანა, შაფასან, ნანაჯან, აღაჯან, აყოლია, მაბაბან, მუშაჯჯარ, ზაჩბანუ, მესკინა, ქორსუმ, სოლრა, ფათმანისა, შარაფა, მასმან, თურაფ.

ჭამა-სმა, ჭირი თუ ლხინი, მამულების მოვლა თუ საქონლის შენახვა ყოველისფერი სპარსული აქვთ და თუ რაიმე განსხვავებაა, ისე მცირედი, რომ სათქმელად არა ლირს.

არც თუ საჭიროა, რომ ძალიან გამოვეკიდნეთ იმისთანა წერილმან საგნებს, სულ ერთია, მარჯვენა ხელით იღებენ წყალს დასალევად თუ მარცხენათი? იპარსავენ თმას და იკვეცენ ულვაშებს (მართალია, ქართველები ულვაშს არ იკრეცენ) თუ არა? საკმარისია სრულიად მარტო ის საში ელემენტი, რომელიც მათ დღემდე მათ ძალიან კარგადა აქვთ დაცული.

პირველი მათგანი არის ენა. ჩინებულად ლაპარაკობენ ჩამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დევდვის

ჩვენ-მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურისას, ქიზიყელი გლეხისას ანუ რომელიმე ტეტია სოფლელისას ქართლ-კახეთის კუთხე-კუნკულებიდან, აგრედვე წუნს ვერ დავდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს. აქცენტი მათი ლაპარაკში სწორედ ისეთივეა, როგორც ჩვენებური სოფლელი გლეხისა ნამეტნავ ქიზიყელისა და ხევსურისა (ფშავისა). და საკვირველი ის არის, რომ ეს აქცენტი მარტო ქართულ ლაპარაკში აქვთ ესეთი.

მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მხოვანი, აღიარებს თავის თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხვა-ფრივ მოხსენებას, თუ არ გურჯი. მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამითი. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები. ჩვენ შეგვიძლიან უფრო შორს წავიდეთ ამ შემთხვევაში და ვთქვათ, რომ მას არამც თუ არ დაუკარგავს დღევანდლამდე თავისი ნაციონალური სიამაყე და მედიდურობა, არა-მედ ნამდვილი პატრიოტული გრძნობაც შეჰქმდება.

მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნოიანი, სტუმარო მოყვარე, პატიოსანი, თავ-მოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი (ლმობიერი) და პირში მთქმელი. გასაკვირველია, რომ ამ სპარსეთის ქვეყანაში, სადაც ამოდონა ჭირი და მწუხარება გამოუვლიათ, სადაც სრულიად უძლურნი და ულონნი ესე უპატრონოდ ღეთის ანაბარობაზედ იყენებ მიტრვებული ამ სამასი წლის განმავლობაში, მათ სპარსული ფლიდობა და პირფერობა არ შეუთვისებიათ. აქ, სადაც ეს საზიზღარი თვისებანი ესე გადამდებ სენსაცით არის მოდებული, როგორც სპარსთა, აგრედვე სხვა ერთა შორისაც, აქ ქართველი იგივე გულ-ახ-დილია, პირში მთქმელი და გულუბრყილო. ის არ ადგას არც აქ გამორჩომის გზას და ისრეთივე უანგაროა, როგორც მის მოძმე ქართველი გლეხი, მის ძევლს სამშობლოში, მის საქართველოში მცხოვრები.

არავითარი ქართული წარწერა სასაფლაოზედ, არავითარი წიგნი დაწერილი ქართულს ენაზედ ქართული ასოს მოხატუ-

ლობით არ შემხვედრია. შეიძლება ეს იმითი აიხსნებოდეს, რომ, რადგან საშინელი მკაცრი მაჰმადიანნი შექმნილან, თვითე შეემუსროთ იმ პირველ ხანებში ყოველივე იმისთანა ძეგლი თუ სახსოვარი, რაც კი მათ ძველს რჯულს მოაგონებდა. თუმცა საფიქრებელია ამასთანავე, რომ შეიძლება ჰქონდეთ კიდევ ზოგიერთი რამ—და ჩემთან კი არ გამოეჩინოთ, რადგან იმ ცოტა ხნის მყოფობაში, რაც უნდა ძალიან ვყვარებოდი და პატივისმცემელნიც ყოფილიყვნენ, ჯერ კიდევ გულსა და სულს ისე ვერ გამისწორებდნენ. რომ მე ის სრული მათი ნდობა ჯერ კიდევ არა მქონდა მოპოებული, მე შემდეგის გარემოებიდან დავრწმუნდი: როცა რომელიმე სოფელში მივიდოდი, ასობითა და ორასობით დედაკაცები დამეხვეოდნენ ხოლმე და მათი გამოკითხვა და ლაპარაკი საჭმეს მიჭირებდა, მაგრამ როგორც კი ვერყოდი, უნდა თქვენი სურათი გადავიღო-მეთქი, აღარავინ მეყარებოდა და თუ მნახავდნენ, რომ აპარატს გამოვიტანდი და მე ჩემსას არ ვიშლიდი—სულ წანაჯოგად იკარგებოდნენ. ისრე შემოვიარე მთელი ფერებიდანი, რომ ვერც ერთი დედა-კაცის სურათი ვერ გადავიდე.

სამასი წელიწადია ძალმომრეობით აყრილი არიან თავისი მიწა-წყლიდან და მოშორებულნი თავის თანა მოძმებს, დანატრულებულნი თავის საყვარელი სამშობლოს ხილვას. სამასი წელიწადია ჩასახლებულნი არიან უცხო მხარეს, უცხო ქვეყანაში, ობლად, ოხრად, უპატრონოდ მიტოვებულნი. სამასი წელიწადია ჯოჯოხეთის ცეცხლში ყრიან და ტანჯვითა და ვაებით ატარებენ თავის უსიხარულო წუთი-სოფელს მხოლოდ იმისთვის, რომ იგინი ქართველნი არიან. მაგრამ ისინიც აღჭურვილან სამასის წლის მოთმინებითა და უცვედრულად იტანენ ყოველივე ჭირსა და ბოროტს, დაბრიყვებას და თავგასულობას თავის ძალმომრევთაგან, რომ ეგების ოდესშე კვლავ ელირსოთ მათ თავისი საყვარელი სამშობლოს მიერ მშობლური, საშველად გაწვდილი, ხელის ხილვა და თავის მოძმეთა შორის ტკბილი, ალერსიანი სიტყვის გაგება. ამისათვის, როდესაც მე იქ მოველ და მნახეს, საზღვარი არა ჰქონდა იმათ სიამოვ-

ნებას, დაფეთდნენ მეტის სიხარულით. ზოელი იმ სოფლის კაცი და ქალი ჰედ მეხვეოდა, ყველას უნდოდა დავენახე და გავე-სინჯე; ყველას უნდოდა გაეგო ჩემი ხმა, ჩემი ლაპარაკი; ყვე-ლას უნდოდა დაეთვალიერებინა ჩემი ხელის აღებ-დალება, ფე-ხის გადადგმა, პირის გაღება; ყველას უნდოდა დამლაპარაკე-ბიდა, ეკითხნა არამე. დღესაც ყურებში მიბეჭის იმათი კითხვე-ბი. იქაც მოლის ტყემალი? რა გქვიან შენ სახელი? შენ ძმაო რაღა გქვიან? გაქვთ იქაც ჩვენისთანა წყლები? რა სახელები ჰქვიანთ თქვენს ქალებს? მოგყავთ კაკალი? იციან იქაც ვენა-ხები? ცივა იქ თუ ცხელა? გვარებიცა გაქვთ თუ არა? ჰქმა-რობთ თუ არა ურეშეს? იცის იქაც თოვლი თუ არა? აძლევთ ქალებს რუსსა და სომებს? გყავთ იქაც კატა, ძალი, ძროხა, ცხვარი, ვირი? და სხვა-დასხვა—მრავალი. ერთის სიტყვით, იმათ ყოველისფერი ეინტერესებოდათ, ყოველისფერი უნდოდათ გაევოთ.

პირველად მე ვფიქრობდი შემეტყო მათი აწინდელი გა-რემოებანი და შემეკრიბა ყოველი ძველი ცნობა, რაც კი დღე-მდე მათ შორის დარჩომილა და შენახულა, მაგრამ, როდესაც საქმე ესე ვნახე, გვანებებ თავი იმ ჩემ პირველ განზრახვას და ვცდილობდი, რაც კი შეიძლებოდა, შემეტყობინებინა მათვის მათი თანა მოძმეთა ამბები და შათი თავგადასაცალი, რომ უფ-რო გამემხნვებინა და უფრო მტკიცედ დამენერგა მათს გულ-ში ეროვნული სიამაყე და სიყვარული მათი სატრფო სამშო-ბლოსადმი. ამის გამო მე ვეღარ მოვახერხე შემეკრიბნა მათი ზეპირსიტყვაობითი გარდმოცემანი ანუ, თუ რაიმე ჰქონდათ, ისტორიული თქმულებანი.

თავიანთ გადმოსახლებაზედ არა ახსოვთ-რა; ისინი პირ-იქით მე მეკითხებოდნენ, თუ რადა და რისთვისა ვართ ჩვენს ქვეყანას მოწყვეტილნიო. უკეთუ მე დავასწრობდი ვისმეს ამის კითხვას, მეტყოდა მხოლოდ ამას: ამბობენ, შაჰაბაზისაგანა ვართ გადმოსახლებულნიო და სხვა არაფერს.

ამ გადმოსახლების შესახებ მქონოა მე ერთხელ ლაპარა-კი ერთ ინტელიგენტ სომებ ყმაწვილთან, იმან გადმომილო თა-

ვრიზელი არაქელ არხიმანდრიტის ისტორია და მითება: I, III და XXXI თავებში სწერს ამაზედ, ეს დრო ყოფილა 1586 წელიწადი, როდესაც ქართლში მჯდარა სვიმონ მეფე და კახეთში ალექსანდრეო. „ამ დროს აქა ყოფილან, მოგვითხრობს ისტორიკოსი, ალექსანდრეს შვილი კოსტანტინე და სვიმონის შვილები, ქალი და ვაჟი. ამ დროს გადმოსულან სომხეთი და ამავე დროს ქართველები და ამაზედ წინ — შაჰაბაზის დროსაცაო“. მე ეს ფაქტი არ მიმაჩნია სარწმუნოდ. ისრევე, როგორც არ არის, ჩემის აზრით, დასაჯერებელი არავითარი ცნობა საზოგადოდ, რაც კი რამ სომეხთა მიერ არი აღნიშნული ქართველების შესახებ. შესაძლებელია, რომ რაც სომხები აქვს, მართალი იყოს, რადგან სომხებს უყვართ ამგვარი გადასახლება ერთი ქვეყნიდან მეორეში. სადაც უფრო შეტ სარგებლობას და გამორჩიმას გამოიყოდდა, სომეხი იქ მიესწრაფოდა, მაგრამ, რომ ქართველი ნებით თვისით აყრილიყოს და გადასახლებულიყოს, ამისთანა მაგალითი თუ არა ვცდებით, ქართველთა ცხოვრებაში და ისტორიაში არც კი მოიპოვება. ქართველი კაცი მიჯაჭვულია თავის მიწა-წყალს და სულ რომ ოქრო-ვერცხლი დაუფინონ, ის მით თავის ქვეყანაში რჩეობს კირსა და მწუხარებას სხვის ქვეყნის ლხინსა და ნეტარებასთან. შეიძლებოდა თითო-ოროლა კაცი წასულიყო, მაგრამ მრავალთა იყრა და წასვლა ნებით თვისით, როგორც იწერება, — „მოსულანო“ — სრულიად დაუჯერებელ საქმედ მიგვაჩნია. ეკრ მოიჩნევთ იმ, ყოვლად პატივუფეროლ არაქელ ისტორიკოსის-მიერ აღნიშნულ ცნობას მით უმეტეს, რომ იგი ბრძანებს: „და ამაზედ წინ — შაჰაბაზის დროსაც“ გადმოსულან ქართველებით, რომელი იყო ეს ამაზედ წინ შაჰაბაზის დრო? შაჰაბაზი გამეფდა სწორედ ამ წელიწადს და „დრო შაჰაბაზისა“ იწყობა იმ 1586 წლიდან და, მაშასადამე, არც შეიძლებოდა, რომ ამაზედ წინა დრო „დროდ შაჰაბაზისად“ მოეხსენებინა.

იციან იმათ ნამდვილად მხოლოდ ის, რომ პირველ ხანებში ისინი იქ, სპარსეთშიაც ქრისტიანები ყოფილან. დღესაც მოუთხრობენ იქაური ქართველები, რომ ხუციცანთ გვარში-

ჰყოლიათ ერთი „ხუცი“<sup>1)</sup> (ხუციცა), და ამ სიტყვიდან წარმოსდგება თვით გვარიცაო. ახსოვთ აგრედვე, რომ ყოფილა ერთს დროს მღვდელი „მათია“ (მათე), რომლის სახელიდანაც გაკეთებულა შემდეგში გვარი მათიანი. არის აგრედვე, შაურდის გვერდზედ ერთი ადგილი, რომელსაც სპარსენი „ყარაქეშიშს“ (შავი მღვდელი) ეძახიან და ი რას მოუთხრობენ ამ ადგილის შესახებ ყველა იქაური ქართველები და აგრედვე სპარსელებიც.

ჰყოლიათ ქართველებს ერთი შავი მღვდელი, რომელსაც სპარსეთიდან საქართველოში გამოპარვა მოუწადინებია. როდესაც ეს სპარსელებს შეუტყვიათ, დასდევნებიან და იქ, შაიურდის ახლო დაუჭერიათ. უკითხავთ, იქ რას აკეთებდი, რა გინდოდათ? იმას უპასუხნია, — არაფერს, ღორებს მოვდევდი დასაკერადაო და მას აქეთ თვით იმ ადგილისათვისაც „ყარაქეშიში“ დაუტქმევიათ.

თვით ამ ღორების დევნა და ღორების ხორცის ჭამა ამ-ტკიცებს, რომ ადრევ ისინი ქრისტიანები ყოფილან. დღესაც ყმაწვილსაც რო ჰკითხო, ისიც გეტყვის, რომ უწინ ამ მთებში მათ ღორებზედ სანადიროდ უვლიათ, ღორის ხორცი ძალიანა ჰყვარებიათ. იმასაც კი უმატებენ ზოგიერთნი, რომ ჩეენ უწინ ნეჯერაბადში ვყოფილვართ დასახლებული, ხოლო, რადგან ამ მთებში დიდალი გარეული ღორი სცოდნია, ჩეენ ამ ღორებს გამოვყოლიერთ ცოტ-ცოტაობით, გამოვშლილვართ ამ მთებში და სოფლები აგვიშენებიათ. მაგრამ, ჩეენის აზრით, ეს მიზეზი უბრალო შედეგია უხეირო ოცნებისა. მიზეზი მათის და-მახლებისა ამ მთებში და თვით ნეჯერაბადშიაც, რამოდენადაც შე დავაკეირდი იქაურობას, სრულიად სხვა არის.

ეს მთები, ეს უღელ-ტეხილი ერთად-ერთი გზა არის ღორეთიდან (ღორისტანი) ისპანისაკენ, რომელიც დიდებული ტახტის ქალაქი იყო დიდებული ყეინებისა. ღორეთი, როგორც ვიცით, ბუდეა ერთის მხრივ რაინდი და გმირული ხალხის ბა-

<sup>1)</sup> ასე ეძახთან მღვდელი.

ხტიარებისა და მეორე მხრივ, წუწკი, ზნეობა-დაცემული, მეკობრული ხალხის, ლორებისა. ბახტიართაგან მუდამ ძრწოლვა და შიში ჰქონდა სპარსეთს, როგორც თავისუფლების მოყვარე და თანაც შეუპოვარ მეომარი ხალხისაგან; ხოლო ლორთაგან—მუდმივი შეწუხება და უბრალო უსიამოვნებანი. ამისათვის საჭირო იყო ჰირში მიეცა მათვის და კრიჭაში ჩაეყენებინა სწორედ ისეთივე მძლავრი და გულადი ხალხი, როგორებიც იყვნენ თვით ბახტიარნი და ლორნი; საჭირო იყო კარის შებმა ამ უღელტეხილისათვის, რომ სამედოდ დავეკეტნა ის ერთად-ერთი მარჯვე გზა იმ დროს დედა ქალაქის, ისპანისაკენ მიმავალი. სწორედ ამითი უნდა აიხსნებოდეს, რომ შაპბაზმა აქ ჩასახლო ესე დიდალი ქართველობა. აქ ყოფილა, როგორც დღესაც სჩანს, ოც და ათი მეტი სოფელი ქართველებისა ერთად, ერთ ადგილს მოჯგუფული, თითქოს შაპბაზს ჰსურდა მათვის ახალი რომ სამშობლო გაეკეთებინათ. არაოდეს კი არ ყოფილა, რომ რამდენიმე სოფელი უცხო ხალხისა, როდესაც მათი გაწყვეტა და აღმოფხვრა სდომნებოდეთ, ესე ჯგუფად ერთს ადგილს დაესახლებინოთ. ერთს სოფელს ან ერთ უბანს რომ ჰამადანთან ჩასახლებდნენ, მეორეს — ქირმანთან, მესამეს — შირაზთან, მეოთხეს — თეირანთან, მეხუთეს — გილანში ან მაზანდარანში, მეექვსეს — ხორასანში.

ახირებულად მოუთხრობენ ისინი ამბავს თავისი გამაპშადიანებისას. აჭუსში ვიყავ ჩამომხდარი ერთ შუა ხნის კაცთან, ქრიბალია ალი მირზა მამუკანთან (მამუკაშვილთან), რომელმაც მიამბო ამ საგნის შესახებ შემდეგი.

ყოფილან თრნი ძმანი, ასლანი და გორგინი. ასლანს დაუწყვია ყორანის სწავლა და ძალიან კარგადაც შეესწავლია. ეს საქმე არ მოსწონებიათ იმის ნათესავებს და საზოგადოდ ყველა ქართველებს, მაგრამ ასლანს, მიუხედავად ამისა, სწავლა ყორანისა ქეშმარიტად აღუარებია და მუსულმანობაც მიუღია. მაშინ იმის ძმას, გორგინს გადაუწყვეტია, რომ, რადგან ესეა, მე ჩემი ძმა ასლანი ჩემის ხელით უნდა მოეკლაო. ერთხელ გორგინი სანალიროდ მომზადებულა, გაუტყუებია თან თავისი

ქმა, ასლანი, წაუყვანია დიდი ამაღლა და წასულან. მთებს რომ კარგა გადასცდენიან, მიპბრუნებია გორგინი თავის ქმას და უთქვაშს: „რად მიიღე მაჰმადის სჯული, ეხლავე უარი უნდა განაცხადოვო; თუ მოუბრუნდები ისევ ჩვენს სჯულს—ხომ რა კარგი, თუ არა-და, ეხლავ აქვე ჩემის ხელით უნდა მოგაკვდინოვთ“. ასლანი მარტო ყოფილა, უნახავს—ძალით ამათან ვერას გახდებოდა და მოუწოდებია მეშველად თავისი ღმერთი: „ღმერთო დიდებულო! შენ მოუვლინე ამათ სასწაულთ-მოქმედება შენი, რომ აღიარონ ამათაც ღმერთი ჰეშმარიტი და მოიქცნენ სწორე გზაზედ“, და იმავე წამს იმათ თვალ-წინ გაზინდა უჩინარად ერთი ხონჩა, სავსე ყოველის სასოფაგით. ხალხი და თვით იმისი ქმა გორგინი დიდად გაოცებულან ამ სასწაულთ მოქმედებაზედ. მოსხდომიან მერე გარეშემო ამ ხონჩას და დროება გაუტარებიათ. როდესაც უკან დაბრუნებულან და უაშნიათ ეს შემთხვევა ხალხისათვის, მთელ ქართველობას მაჭმიდის სჯული უწავებია. ასლანს კი ხონჩა დაუმალავს თავის სახლში და მერე თავის კედელში დაუტანებია. ამისათვის არისო, ამბობენ აფუსელები, რომ ასლანის ოჯახში ყოველთვის ოლური (დვრიტა) ტრიალებსო.

ეს მოთხოობა, რასაკეირველია, ისეთივე დაუჯერებელია, როგორც ამბავი მათს გაღმოხახლებაზედ. პირველში მცირეს ხნით შესაძლებელია ქრისტიანებად დაეტოვებინათ. მით უმეტეს, რომ შაჰაბაზი დიდი ძლიერი მეფე იყო იყო და მეზობელ ხალხთაგან არა ეფიქრებოდა-რა, არ ეშინოდა. შაჰაბაზს, რომელმაც ესანი გადარეკა, უნდოდა, როგორც ზევითა ვთქვით, ეს გადასახლებული ხალხი სასარგებლოდ გამოეყენებინა თავისი ქვეყნისათვის; უკეთუ მას მაშინ ძალით მოენდომებინა მათი გამაჭმილიანება და ქართველები არ დასთანხმდებოდნენ, როგორც ეს არა ერთხელა ჰქონდა ნაცადი, მაშინ უნდა სრულიად ამოცელობრა და ეს ხომ ხელს შეუშლიდა ზოგიერთი მის განზრახვებს. ამასთანავე იგი იყო გონიერი შმართველი და ქრისტიანეთა სჯულს ისე უდიერად არ ებყრობოდა. მაგრამ რა ჰქვაში მოსასვლელია, რომ მის შემდეგ სხვა მეფეებიც ესე ბოპბერობდნენ ქართველთა ქრისტიანობას. მომეტებული მათგანი სუსტი, ულონო მეფენი იყენენ, მოვლის თავი არა ჰქონდათ თავისი სახელმწიფოსი და თავისი ჩრდილისაც კი ეშინოდათ. როგორ დასტოვებდნენ ქრისტიანებად ამოდონა ქართველობას

შიგ შეუა სპარსეთში, როდესაც მათ მოძმეთ ჯერ ისევ დამოუკიდებელი ცხოვრება ჰქონდათ თავის ქვეყანაში და ხშირად ძალიან საშიში მეტოქენიც იყვნენ სპარსეთის მეფეთათვის. დაუშატეთ ახლა ამას ის მტრობა და სიძულვილი, რომელიც საუკუნოებით იყო დამყარებული ქართველთა და სპარსეთის ერის-შორის და დამეთანხმებით, რომ ქართველობა ძალით არიან გამაჰმადიანებულნი, სწორედ ისრე, როგორც წინადაც ხდებოდა ხოლმე მათის ძალ-მომრეობის წყალობით.

სრულებით საფრანგებელი არ არის, რომ ის ქართველობა,—რომელსაც ამ უკანასკნელ ხანამდე თითქმის სრულიად რელიგიოზური კულტი ჰქონდა და რომელიც მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული თავ-განწირვით იბრძოდა დაუსვენებლივ საჩრმუნოების დასაცელად, რომელიც მხოლოდ ამ სჯულის-თვის სწყდებოდა და იმუსრებოდა ათას ორასი წლის განმავლობაში,—ისე უბრალოდ გადაუდგა იმ სჯული, გაყიდა მამა-პაპათა ნაანდერძევი ქრისტიანობა და სულ რაზედ—ერთ ხონჩა საჭმელზედ. საქმიანისი გავიხსენოთ პატო იმ უგულო აღა-მაჰმად-ხანის დრო, როდესაც იგი შემოექა საქართველოს და მის აღმოფხერას ჰლამოდა. რას აბოვინებდა ის იქ, შეუა სპარსეთში ამდენიმე ათას ქართველობას თავისის განსაკუთრებული სჯულითა და კულტურით?

ეს ისეა შეთხული და მოგორც ყოველთვის იციან ხოლმე, საზოგადოდ, ამგარ დიდ მოელინებათა სხვა-და-სხვა სასწაულო-მოქმედებით შებურვა. ამასთანავე ეს ზღაპარი აკმაყოფილებს მათს მყაცრ მუსულმანურ თავ-მოყარეობას, რომ, ვითომ, იმათ არა თუ ძალატანებით შეიძლეს ეს სჯული, არამედ ნათლად სცნეს მისი ჭეშმარიტება და მისთვის არიან დღესაც ესეთი საშინელი მტკიცე მაჰმადიანნი.

მხოლოდ ერთი რამ გამოსცეირს ამ ზღაპარში. ეს ის არის, რომ ყოველივე ერში რომელიმე დიდი საქმის მეუკულმართვის არიან ხოლმე მათივე მოწინავენი; რომ მხოლოდ მათის წყალობით და ზედ-გველენით იცვლის ხოლმე გზას შემდეგში თვით ხალხიც. პირველი მაჰმადიანობის მიმღები, ამათ შორის, ყოფილი ასლან და შემდეგ ძალის მისი კორეგინ და ორივე ესენი ყოფილია პირველი მოწინავე პირები ამ დროს და დღემდეც მათ სახლში გამოულეველია წოდება ხანისა. გეარი ამათი ამ ასლა-

ჩვენი საქართველოს სოფლებში, იმადევ დარჩომილთა და არა-  
ვითარი წინ-სვლა არა პქონია ამოღონა ხნის კანმავლობაში.  
ამის გამო ბევრი იმათი სიტყვა გაირჩევა ჩვენიდან ლექსიკო-  
ნურის მხრივ, ესე იგი ხმარობენ ისინი ბევრ ისეთ სიტყვას,  
რომლებიც ჩვენ უკვე დაგვივიწყნია და პრ ესმით ისეთები,  
რომლებიც ჩვენ ანუ ახლად შემოვილია და ანუ რომელთა-  
თვისაც დროს განმავლობაში მეტი უპირატესობა მივიცია  
ძველს უწინდექლ სიტყვებთან შედარებით. ამავე მიზეზის გამო  
ზოგიერთ შემთხვევებში განსხვავდება მცირეოდნად თვით მო-  
ქსევაც კი მათის ენისა. სხვათრივ მათი ენა წმინდა ქართული  
ენაა და მასთან ძველებურიც, ურევენ, მართალია, კიდევ ორიც  
ოდ სხება სიტყვას, მაგრამ უფრო ნაკლებადა აქვთ გარეუნილი  
მათ ენა, ვიდრე ჩვენ ამ ასის წლის განმავლობაში.

აი ზოგიერთი რამ, რაც კი მე შევნიშნე იმაზს ენაში.  
ბევრსა ხმარობენ ლაპარაკში „ყე“-სა და „კ“-ს, როგორც  
ეს დღესაც იციან კახეთში საზოგადოდ და ნამეტნაც ქიზიყში.  
ზმის ფორმა — „წავიდის“, „მოვიდის“, ძალიან მიღებულია.  
თანდებული „ში“-ს მაგიერ იხმარება უფრო მომეტებულოდ „ჩი“:  
სახლში — სახლი, ხელში — კელი...

კარგის მაგიერ ამბობენ ლაპარაკში მუდამ ლამაზს, თუმცა  
რციან ეს უკანასკნელი სიტყვაც და ცუდის მაგიერ — გონჯს.  
სიტყვა „ცუდი“ არც ერთხელ არ გამიგონია! ამისათვის, რომ  
გითხრას იქაურმა კაცმა — „ხო ლამაზათა ხარო“, ეგ ის იქმნება,  
ვიფომ, ხომ კარგადა ხარო:

შევის მაგიერ იხმარება ბიჭი, როგორც ჩვენს სოფლებშია  
დღემდე, თუმცა ესმით იმ პირველი სიტყვის მნიშვნელობაც.

არ ესმით სრულიად, რას პქვიან: ქართველი, საქართვე-  
ლო (გურჯა, გურჯასტანი), ბატონი (აღა, ჯანაბ), ბატონო  
(ბაალე)! — დიალ (პო, ბაალე, არე), არ ესმით აგრედევე — გა-  
მარჯობა, ცუდი, ლაპარაკი, ხოლმე, ბტრობა, ბუმბული, სა-  
ზამთრო.

ხმარობენ ბევრი ჩვენი უხეირო ხნუ უცხოთაგან შეშოტა-  
ნილი სიტყვების მაგიერ ნამდვილ ძველ ქართულ სიტყვებს. —

ლაპარაკის მაგიერ ამბობენ უბნობის და აქედან წარმომდგარ სიტყვებს: „უბნობს, ებნას, ვუბნობ, ნუ უბნობ“. თოკის მაზ გიერ „საბელს“, თუმცა ესმით თოკიც. საბელს ეძახიან დღეს კახეთში მხოლოდ იმ მოკლე მატყლის თოკს, რომელსაც საკონლის უდელში შესაბმელადა ხმარობენ. ბუმბულს ერთ ცალს ეძახიან „ფთეს“ და როცა უნდათ, რომ ბევრი ბუმბული თქვან, ამბობენ „ფოთოლს“. (ეს მითხრეს თოლერელებმა). ძალს ეძახიან კედს: „შენ კედის წინდები გაციია?“ მითხრა ერთმა ყმაწვილმა ბოინში. ამბობენ ნამღვილ ქართულ სიტყვას — „მეკობრე“ ჩვენებური „ავაზაკისა, ყაჩალისა, თულისა, და ფირალის“ მაზ გიერ, რომელთაგანაც არც ერთი არ არის ქართული. მტრობის ადგილის ხმარობენ „შულლს“, თამაშობისა — „შუშკრობას“. ასე ზემო მარტყოფში ერთმა ახალგაზდა. ყმაწვილმა, აღაჯან ბეგმა, ხოდარამ ხანის ონიკა შეილმა მითხრა: „თქვენც იცით ერთმანეთში შულლობა“ — ა? და მერე თვითონვე დაუმატა: ქარგი არ არის შულლი; ა ჩვენ სულა ვშეუშკრობთო“.

ამბობენ ძველებურად „თოლი, ცხორი“ ჩვენი თვალი, ცხვარის მაგიერ, როგორც დღესაც იციან ფშავ-ხევსურეთში და სამეგრელოში. ეს, ვთქვათ, მთელ საქართველოშიაც დღე-მდე ჯერ კიდევ შეუმუშავებელია; ერთგან საღმე რომ ამბობენ გვალვა, კვამლი, ხეაჩბალი, — მეორე ადგილს იტყვიან გოლვა, კომლი, ხორბალი,

იტყვიან „ბლენა“ ბნელის მაგიერ და „ღურბელი“ ღრუბელის მაგიერ და ეს ასოების გადასმ-გადმოსმა ჩვენებურაც ჩვეულებრივი მოელენაა. მეგრულში მაგალითად, თავის დღეში არ გააჩერებენ ერთად სიტყვაში „რ“ და „ბ“ და უსათუოდ გადასხავ-გადმოსხამნ: ერბო — ებრო, ორბი — ობრი, და სხვა.

ხმარობენ აგრედვე ზოგიერთს სიტყვებს მცირედის შეცვალით: ბუზი (ბზუკი) — „ბუზუკი“, სტაფილო — „სტაფილი“, და უფრო მეტის შეცვლით: ბაყაყი — „ბაყბაყი“, „ბაბაყუა“; გოგრა „გეგრა“, „გუგურა“; ალი (ცეცხლისა) — „ალერ“.

აქვთ აგრედვე ისეთი სიტყვები, რომ თითქო ახალი მოგონილიათ: საზამთრო — „ზამთრული“, (ყველა სოფელში), ხერ-

ხი — „ფხაჭი-ფხუჭა“ (ზოგ სოფელში), ციბრუტი — „თაუშტერა“ (ზოგ სოფელში); კაკალი — „ხატრუქი“ (ზოგ სოფელში).

შევნიშნე აგრედვე, რომ ზოგიერთ საგნებს სხვა-და-სხვა-სოფელში სხვა-და-სხვა ნაირ სახელს უწოდებენ, მაგალითად: ქალს, ქალსავე ეძახიან და ზოგგან კი „ყორ“-ს; ციბრუტს მარტყოფში — „თაუშტერას“ და თოლერში — „შალფის“; კაკალსა და ხერხს ასრულე ეძახიან ყველგან, მხოლოდ ახაში და აჭუშში, პირველს, — „ხატრუქს“ ეტყეიან, მეორეს — „ფხაჭი-ფხუჭას“; ნიტრას ახაში და აჭუშში ეძახიან — „სურას“, თოლერში — „ყარყარას“ და მარტყოფში „ჭურჭელს“.

ამგარად, როგორც შეატყობით ამ მცირუდის მაგალითებითაც, მათი ლაპარაკი უახლოვდება უფრო კახურს, მის ძველებურის გამოიწმით, რომელიც უფრო უკედ არის დაცული დღეს. ქიზიყში და ნამეტნავ ფშავ-ხევსურეთში. აქედან შეიძლება გამოვვეყვანა ის დასკვნაც, რომ იგინი კახეთიდან ყოფილიყვნენ გადასახლებულნი, მაგრამ საფიქრებელია ერთი სხვა გარემოებაც. ეს საქმე არის 300 წლის ამბავი. მწერლობას იმ დროისას თავისი. საკუთარი სახე ჰქონდა შემუშავებული და ხალხის უბრალო, ცხოველ ენასთან თითქმის არავითარი კავშირი და დამოკიდებულობა არა ჰქონდა. სად ან როგორ ლაპარაკობდა იმ დროს უბრალო ხალხი, ჩვენ ამაზედ არსად არავითარი ცნობა არ მოვალეობა. უკეთუ ჩვენ ისე, ჩვენად ვითიქრებთ-და, შესაძლებელია, რომ სწორედ ამ 300 წლის წინ, როდესაც იგინი აქედან აპარეს, ყველგანაც და ნამეტნავ ქართლ-კახეთის ყველა კუთხეში სწორედ ისეთი ლაპარაკი ყოფილიყოს, რომელიც დღემდე იმათ შეჰქენიათ. მაშინ, რასაკირველია; იმ პირველ ჩვენ მოსაზრებასაც მოკლებული ექმნება ყოველი საფუძველი, თუმცა მომეტებული მათი გვარები და სახელწოდება ზოგიერთი სოფლებისა, რომლებიც დღემდე ჯერ კიდევ წმინდად დაუცავთ. (ზემო და ქვემო მარტყოფი, ძველი რუსთავი და რუსპირი და აგრედვე (ქუდუბანაქი) ნინოწმინდა, ამართლებს იმავე აზრს, რომ იგინი გარე-კახეთიდან ანუ იერის ხეობიდან უნდა იყვნენ წაყვანილნი.

ყოფილია იქ ჩემზედ ადრე, ამ ორი-სამი წლის წინად, ერთი ვიღაც ჩენებური კაცი. ხოლო ვინა ყოფილა, ვერ მანჩშეს კარგა. ზოგი ამბობდა, სახელად ალექსი ერქვაო; ზოგი კი — ზაქაროო; კარტუზიან ქუდს იხურავდაო; ხელობით აბრეშუმის მოვაჭრე იყოვო. რა საქმე უნდა პქონოდა იქით; იმ მხარეებში აბრეშუმით მოვაჭრეს, მე დღესაც ვერ გამიგია. თბილისელი ყოფილა. ქართული არა სკოლნია კარგა. „ის სხვა ქართულს უბნობდა, ჩვენ არ გვეყურებოდა; არც იმას ეყურებოდა ჩვენი ქართულიო“, მითხრა ხოდარამ ხანმა მარტყოფში; — „აი შენი ქართული რა ლამაზად გვეყურებაო“. როდესაც ამათ უთქვამთ ან შენ არ იკავი ქართული ან ჩვენი ენა ქართული არა ყოფილაო, იმას უპასუხნია: მე პატარა ეიყვა, როცა რუსეთში გამგზავნეს სასწავლებლად; მე იქ გავიზარდე და ქართული დამავიწყდაო, მაგრამ რუსული და სხვა ენები ძალიან ვიციო.

საზოგადოდ ეს, ალექსი თუ ზაქარა, რაღაც უცნაური, თავისებური რამ კაცი ყოფილა. — როდესაც ისინი (ლოცვას) ნამაზს შეუდგებოდნენ, ისიც, ზურმე, მოჰყვებოდა ლოცვას ყოველ დილა საღამოს. ისინი რომ სამხრეთისკენ იზამდნენ პირს, ეს კიდევ ჩრდილოეთისაკენ მიბრუნდებოდა. როგორც ისინი აღაპყრობდნენ ხელებს და მუხლს იყრიდნენ, ისიც ისე იქცეოდა. აჭუსში მკითხა ერთმა ქალბალამ: „რატო შენ კი ნამაზს არ აკეთებო“? მე კუთხარი, რომ ჩვენ, ქართველები ქრისტიანები ვართ და ქრისტიანებში ნამაზი არ იციან-მეთქი. — „მაშ ზაქარო ბიჭი რო აკეთებდაო“? ეგ არ ვიცი, იქმნება ის ქრისტიანი არც კი იყო-მეთქი.

მაპყოლია ეს ვაებატონი და, ვინ იცის, რა არ უთქვამს ამ საწყლებისათვის — რას აკეთებთ, რა დაგრჩომიათ აქა? ადეკვით, აიყარენით, მე ყველას წაგიყვანთ იქაო. ისე მოგივლით, ისე გიპატრონებთ, ერთის სიტყვით, დაპჰერებია ისეთ რამეებს, რაც იქმნება მაპმადის სამოთხეშიაც არ იყოს აღთქმული. თქვენი სახლები, კარლიანი, გამოსკერიან თქვენს გზას; თქვენი გუთნები, თავაშვებულნი, დგანან მინდვრებში და ელიან თა-

ვის ძველ პატრონებს; თქვენი სოფლები, დაცარიელებული მგლოვიარესავით არიან მოწყენილნი და შეჰყურებენ თქვენს დაბრუნებასათ. ერთის სიტყვით, თქვენი ქათმებიც კი ჯერ ისვ იქვე დაკრახურახებენ მწუხარებითა და ძალლები განუწყვეტლივ ღმუიან მოუსვენრადათ. ამ საწყლებსაც დაუჯერებით ზოგიერთი მისი ბოდვა და ისე სოფელში არ მივიღოდი, რომ პირველ საკითხავებად ესენი არ მოეხალებინათ ჩემთვის პირში: „აბა, მოხველ ჩვენ წასაყენად“? „ლამაზი სოფელია ჩვენი იქაური „დაოშექსანი“, „ნოღანიო“, და სხვა და სხვა. თურმე ამისვე აუსწნია ამათვის, რომ ყველა აქაური სოფელი დღესაც იქაც ისვ არის, მშვენიერი სოფლებით. ამისათვის გამოუძებნია ყველა იმათი სოფლის სახელებიკათვის თითო რამ შესაფერი სიტყვა ანუ, თუ ის ერთბაშად ვერ მოუხერხებია, ერთი რამ სხვა სიტყვა და დაურჩმუნებია, რომ ეს სოფელი არის ეხლა იქ და თქვენ იქიდანა ხართ გაღმოსახლებულიო. მაგალითად, აჭუსი—აუზსა ჰნიშნავსო, იქ არის ეხლაც ეგ სოფელი და აჭუსელები იქიდან არიან გაღმოსახლებულიო; ტაშკესანა—დაოშექსანიდან არი, შაიურდი—ნოღანიდან, თოლერი თელავიდან და სხვა და სხვა. ისე გაუცრცელებია ეს რაღაც თავისი უაზრო მითქმა-მოთქმა და ისე დაუჯერებია ეს გულ-უბრყვილო ხალხი, რომ, როდესაც მე ვკითხულობდი რომელიმე სოფელში, თუ საიდან არის მაგ თქვენი სოფლის სახელი? საიდანა ხართ თქვენ თითონ გაღმოსახლებული? ვის რა გაგიგონიათ თქვენი ძევლებისაგანა-მეტქი? ისინი იმ ალექსოს ლაპარაკს მომიყვებოდნენ და ნამდვილი იმათი რამ კი აღარა მესმოდა-რა. ბევრი და უბრალო შრომა დამჭირდა, დამერჩმუნებინა ხალხი, რომ იმისი ლაპარაკი თავიდან-ბოლომდე სიცრუე ყოფილა და ის თითონაც ქართველი არა ყოფილა-მეტქი.

მოგიყვანთ აქ ნიმუშს ჩვენი ლაპარაკისას ერთ სოფელში:

— „მაშ ჩვენი გუთნები აღარ არისო? მაშ ჩვენი სახლები რა უყვესო“?

— თქვენი გაღმოსახლება სამასი წლის ამბავია, როგორც თქვენც იცით, და ის თქვენი სახლები, თუ ხისა იყო—დალ-

პეტოლა, თუ ქვითკირის იყო დაინგრეოლა და ჩკინაც რო ყოფილიყო, აძღენი ხანი მზესა და წვიმაში, უპატრონოდ დატოვებული, იმასაც უანგი შესჭამდა და მტკრად ჩაიშლებოლა მიწაში-მეთქი“.

— „სწორედ უბნობს აი, სწორედ უბნობს... ლამაზად (კარგა) უბნობსო“... იტყოლა ერთი და მერე იმის ნათქეაშს იმეორებდნენ ერთად ორმოც-სამოცი კაცი, „იალლა! მართალს უბნობს... სწორედ უბნობსო“...

— „მაშ ეხლა რომ მოვიდეთ, ჩვენ ბალებს, ჩსენს სახნა-ვებს არ მოგვცემენო?“

— ვინ მოგცემო, როდ, მოგცემენთ-მეთქი. თქვენ რომ წა-მოსულხართ, იქ სხვები დასახლებულიან და ისევ სოფელი აუ-შენებიათ.. ეხლა რომ იქაური მარტყოფი ჰნახო, ორჯელ დი-დია აქაურ მარტყოფზედ. სამასი წელიწადი ეხლა ისინი ცხო-ვრინბენ იქა: სამასი წელიწადია ოფლხა ჰლვრიან შიგა, თავებს იხოცავენ შიგ მუშაობით და განა სულელები (გიუები) არიან, აილონ და მზა-მზარეულად თქვენ მოგართონ-მეთქი?!“

— „რა ვქნათ,—რო ჩვენები იყო? უნდა მოგვცენ, მა-შოო?“

— კარგი! ეხლა თქვენ ამ ახალ თოლერატია სცხოვრობთ, თქვენზედ წინ ხომ აქ სხვა ხალხი იქნებოდა-მეთქი და—„ჰო-ვო“.—ეხლა თქვენ სამასი წელიწადია აქა ხართ; საცა ბალი არ იყო — ბალი აგიშენებიათ, საცა სახნავი არ იყო — სახნავები გაგიმართნიათ, საცა სახლი არ იყო — სახლი და კარი მოგი-წყეიათ; რამდენი გიტანჯნიათ და სწვალებულხართ, ხელმწი-ფისათვის და ჰოქემებისათვის ამდენი ხარჯი გიძლევიათ, მტრი-სა და მეკობრისათვის პასუხი გიძლევიათ — და ეხლა რომ მი-წიდან თავი ამოყოს იმ ძველმა პატრონმა და გითხრას: წადი აქედან, ეს სუკველაფერი ჩემი იყოვო, — მისცემთ-მეთქი?“

— „სულელი ვარ? აბა, რათ მივცემ?“

— მაშ, განა იქაური ქართველები კი სულელები არიან, რომ მოგცენ-მეთქი? და მოპყებოლნენ თაეისთვის ერთმანეთში ლაშარაქს: ერთი — მეორეს უმეორებდა ამ ჩემ ნათქეაშს, მეორე

მესამეს, მესამე—მეოთხეს, და მთელი ხალხი გაიძახოდა: „იალა! სწორებს უბნობს ა! რა ლამაზად უბნობსო!“

— „მაში ი რატო უბნობდა იგრეო?“

— თქვენ ხომ კკვიანები ხართ და ის რომ მაგისთანებს ამბობდა, თქვენ თოთონ რატომ არ უთხარით, რომ ქათამი და ძალლი სამახი წელიწადი ვერ იცოცხლებდა-თქო? და მოჰყვებოდნენ ისევ ერთმანეთში ჩემი სიტყვების გამეორებას.

— „მაში ეხლა რო იქ მოვიდეთ, არ მიგვიღებთ?“

— რატომ, სტუმრად თუ მოხვალთ, ძალიანაც გაგვიხარება, თუნდა წლობით იცხოვრეთ იქა. აი ჩემი ადრესი და ძალიან კარგი იქმნება, თუ წამოხვალთ. აყრა და გადმოსასახლებლად წამოსვლა კი არ ევარგება. ეხლა რომ ესე წამოხვიდეთ, აბა რა გიყოთ, კისრებზედ ხომ არ შეგისხავთ. ჯერ უნდა თქვენთვის ადგილი ვიფიქროთ, ყველაფერი მოვიმზადოთ და მერე ბატონი ბძანდებით-მეთქი.

— „ქალებს არ მოგვცემთო?“ — მითხრა შაშინ აყოლია ბეგმა, ალი-მირზა-ხანის შეილმა და გადიხარხარი ხალხმა.

— რატომ, რატომ! ისეთ ლამაზ ქალებს მოგცემთ, რომ გაგიკირდეთ, მაგრამ ერთხედ მეტს არ მოგათხოვებთ და არც გავდების ნება გექმნება, ვიდრე არ მოკვდეს-მეთქი.

— „უში! უში! ეგ ხო გონჯათ არი, ჩენებურათ ლამაზიაო!“ მითხრა იმანაც სიცილითა და ზუმრობით.

თეირანში ამობრუნების დროს მე გაფიცან სრულიად შემთხვევით ერთი სპარსელი მოხუცებული კაცი, ესმაილ ხანი, შვილი ჰუსეინ ხანისა, რომელიც ერთ დროს სარდალი ყოფილა ერევნისა. ლაპარაკი ჩამოვარდა სპარსეთის ქართველობაზედ. ხანმა სთქვა, რომ მე კარგად ვიცნობ იქაურებსო, ჩინებული ხალხნი არიან ისინი,—პურადი და მეომარნიო. აქებდა ძალიან და სხვათა შორის ლაპარაკში მიამბო, რაგორც დამსწრემ, ორი ზღაპრული ამბავი.

1) ჯაფარ-ყული-ხანი, პატრონი ბახტიართა, მამა ჰუსეინ-ყული-ხანისა (რომელიც წინად მოვიხსენიერ) მოდენილა ერთხელ დიდის ჯარითა და ამალით ფერეიდანზე. მის ამაღლები ცო-

ყილა მაშინ მთქმელი ამისი, ესმაილ ხანი. რომ მოსულან ქართველების სოფლებში, აქ გზის პირას მდგარა ერთი ქართველი ქაცი თავის ყანაში და საქმე უკეთებია. შესუწვრია თვალი ჯაჭარა-ყული-ხანისათვის; მობრუნებულა და დიდის პატივითა და მოწიწებით სალამი მიუკია, მაგრამ ერთი-ორიოდ ფეხი რომ წინ წაუდგავთ, მიუკია პირი იმავე ქართველს და ახლა საშინელი ლანძღვა მიუყოლებია. ჯაჭარ-ყული-ხანსაც შეეყენებინა ცხენი და ეკითხნა იმ ქართველი კაცისათვის:

— მითხარი, თუ ღმერთი გრწამს, რას პნიშნავდა ან ის, ისეთი შენი მოწიწებით სალამი და ან ეგ, უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინებაო?

— პირველი იმას პნიშნავდა, რომ, როდესაც შენსაებ დიდი პირი გამოივლის ჩვენს მიწა-წყალზედ, ყველა ჩვენგანი მოეალეა ლისსეული პატივი სცეს—ლიდ-პატარაობის გარჩევა და უცხო კაცის დახვეცრა კარგა იციან ქართველობამაო. და მეორეც იმასა პნიშნავდა, რომ შენ მაგ პატივისკემით თავს არ წახვიდე, თვალები არ აგებას და არ გეგონოს: რომ შენი გვეზინან და პატივს იმიტომა გცემთ — ქართველებს არავისი არ ეშინიანთო“.

2) ერთხელ ერთი აჯანყების გამო, რომელიც ამ ქართველების სოფლებს ახლო მომხდარიყო, გამოეგზავნა შაშს ეს ესმაილ ხანი დიდის ჯარით. როდესაც ქართველების სოფლებში შესულიყვნენ და ერთ მინდვრად გზის პირად მცირედ დასასვენებლად ჩამომხდარიყვნენ, რამდენიმე მეომარს კენი ყანა-ში შეჰპაროდათ. საღ იყო — საღ არა, გაჩენილიყო ამ დროს ერთი ქართველი დედაკაცი. დევნახა რომ ცხენები ყანასა სძოვენ, მიკრილიყო ესმაილ ხანთან და ეკითხა:

— ვინა ხართ და ან რისთვის მოქასულხართ აქაო?

— ჩვენ უნდა აჯანყებულები დავამშვიდოთო, — ეთქვა ესმაილ ხანის: — ჩვენ უნდა თქვენი მტრები გავრეკოთ აქედანაო.

— სტრები თქვენა ხართ, რომ ყანაში ცხენებს აძუებთ და სე თითონ დაგირეკავთ აქედანაო, — ეთქვა დედაკაცს, დე-

ევლო ერთი უშველებელი კეტისთვის ხელი და სულ კუდით  
ქვა გვასროლინაო, სოჭვა სიცილით მოხუცებულმა ხანშა.

ეს არის სულ, რაც ჩვენ ვნახეთ და გავიგონეთ ფერე-  
დანის ქართველობაზედ. ეს არის ის კუთხე, რომელსაც დღეს  
შველაზედ მეტი ინტერესი აქვს ქართველი ერისათვის. აქ რი-  
ცხვით ყველაზედ მეტი ქართველობა შეჯგუფულა ერთად, აქ  
დაუცავთ დღევანდლამდე ენა მამა-პაპათა, ხასიათი, ტიპი და  
სიძლიერე სულისა: აქ დღემდე ქართველი არ იყიწყებს, რომ  
იგი ქართველია; ამბობს ამას შინ და გარეთ, მტერთანა და  
მოყვარესთან, ძლიერთანა და უძლურთან, ამბობს უშიშრად,  
მოურიდებლივ, ამბობს და თავიც მოსწონს ამ თქმით. სრული  
სამასი წელიწადი ებრძოდა იგი მტერთ თავისის ეროვნობის  
დასაცველად, ებრძოდა მათს უსამართლოებას და ძალმომრეო-  
ბას, ითმინა ყოველგვარი გაჭირვება და შეწუხება, გაუძლო სა-  
ლი კლდესავით ათას გვარ გაისა და უბედურობას, შესწირა  
მათ ბევრი ძნელად დასამობი რამ ქართველი კაცის-მიერ, მა-  
გრამ მით მაინც თავი ქართველად შეინახა. დაიცო რაც და  
როგორც შეეძლო დღემდე და აცნობა თავის უფროს მოძმეთ,  
რომ ჯერ კიდევ ქართველის სული მიღდა და ეს სული ვერ  
აღმომზუთა ვერც დროთა და უამთა დენამა, ვერც ძლიერთა  
ამა სოფლის ძალ-მომრეობამაო. მან თავისი მოვალეობა სამა-  
გალითოდ შეასრულა და ყოველივე ვალი აიყარა წინაშე შთა-  
მომავლობისა. და უკეთუ დღეიდან ივი დეეცა და უკეთობაში  
არ წავიდა, ეს იქმნება დანაშაული ჩვენი და ბრალი ედება  
მთელს საქართველოს. თუ მან დღემდე არ იცოდა, დღეს იცის  
მათი არსებობის ამბავი, იცის რომ იგინი დღემდე ქართველე-  
ბად დარჩომილან და მოვალეა გაუწოდოს მას ხელი ძმობისა  
და შეწევნისა. მათი საქმე გმირული საქმეა, მათით გაიზომება

სულის ძლიერება ქართველი ერისა, მათით უნდა მოიწონოს თავი ქართველობაში.

ქართველები დიდმალი ყოფილა სპარსეთში გადასახლებული. მაგრამ, საუბედუროდ, არსად, როგორც სჩანს, გარდა ფერებიდანისა არ შეჰქენიათ მათ დღემდე ქართველობა. და მიზეზიც ამისი ის არის, რომ არსად ესე ჯგუფად, როგორც აქ, არ დაუსახლებიათ. ერთგან, ერთ მაზრაში ანუ გუბერნიაში რომ ერთ სოფელს ასახლებდნენ, მეორეგან, მეორე მაზრაში მარტო ერთ უბანს და თანაც დაუყოვნებლივ უცვლიდნენ ძალით სჯულს. როგორ შეეძლო თავის შენახვა ამისთანა მოსახლობას? რასაკვირველია, არც როგორ. ნეჯერაბადში, ისპანს ახლო არის დღემდე ერთი უბანი, რომელსაც ქართველის უბანს ეძახიან (გიურჯი მაპალა). შირაზსა და ქირმანშას ახლო ყოფილა აგრედვე თითო სოფელი, რომლების შესახებ რიგიანად ვერ, გავიგე-რა, მაგრამ ის კი დარწმუნებით მითხრეს, რომ ქართული არა იციან-რაო. ხორასანთან (მეშედი) ყოფილა რამდენიმე ქართული სოფელი, სადაც ხალხი დღევანდლამდე წითელ გულისპირებს იკეთებენ, მაგრამ ქართული ერთი სიტყვა აღარ იციანო. ვერამინთან, თეირანის ახლო ყოფილა აგრედვე ქართული სოფელი, ქართული არ იციან. ჰამადანის ახლო ყოფილა რამდენიმე სოფელი, ქართული არ იციანო, მაგრამ ერთმა მეგობარმა სომხემა მითხრა თეირანში, რომ, როდესაც მე ვიყავ ერთ იმათ სოფელში, „ჰარზანუუთში“, სადაც ასი კომლი ქარველობა მოსახლობს, ასე მითხრეს, რომ დღევანდლამდე ქართული იციანო და ეხლა თუ დაივიწყეს, ვგეც არ ვიციო. გილანში ყოფილა ერთი სოფელი „გიურჯი მაპალა“ (ქართველის უბანი), სადაც 400 კომლი სულ ქართველი მცხოვრებლები არიანო.

საუბედუროდ, არ მქონდა ისეთი შემთხვევა, რომ მე თვითონ შევსულიყავ ყველა იმ აღვილებში და დავრწმუნებულიყავ ჩემის თვალით, იციან ქართული და ანუ მოსდგამთ კიდევ რამ ქართველობისა თუ არა. და ვერ შევიარე მხოლოდ იმის-თვის, რომ ყოველი მათგანის არსებობის ამბავს ეცნობულობდი მუდამ ისეთ დროს, როდესაც უკვე გამოსული ვიყავ ხოლმე იმ არე-მარედან და დიდად დაშორებული. ასრე მაგალითად, როდესაც ისპაანიდან გამოველ, პირველი სადგური მქონდა შიგ ნეჯერაბადში და, როდესაც ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ აველ ფერეიდანში, ქართველობაში, იქა ვცან მხოლოდ, რომ თურმე ნეჯერაბადშიაც ყოფილა ერთი უბანი ქართველობის მოსახლობა. როდესაც სულთან-აბადსა და ჰამადანს გავ-ცდი და მიველ თეირანში, იქ შევიტყე, რომ ჰამადანს ახლო ყოფილა რამდენიმე სოფელი ქართველებისა. როდესაც გამოვე-თხოვე თეირანს და მოველ რაშტში, იქ გავიგე, რომ თეირა-ნის ახლო და გილანში ყოფილა თითო მოსახლობა ქართვე-ლობისა. მე რომ თეირანში მცოდნოდა ეს ამბავი, რასაკვირ-ველია, იმ თეირანის ახლო სოფელსაც ვნახამდი და იქიდან პირ-და-პირ ბარფრუშში გადავიდოდი, რომლის ახლოც ყოფი-ლა თურმე ის მეორე მოსახლობა და ეს გზაც ჩემთვის ბევრად უფრო მოკლე იქნებოდა, ვიდრე რაშტის გზა.

მიზეზიც იმისი, რომ ესე გვიანა ვტყობილობდი ამბებს, ის იყო, რომ მე პირველში არ ვიცოდი სპარსული ენა და არც ვცდილობდი მის შესწავლას ზოგიერთ მოსაზრებათა გა-მო. შევუდექ ენის შესწავლას ორის თეით წინ, ვიდრე ისპაა-ნიდან გამოვიდოდი და ისიც იმისთვის, რომ მინდოდა ხარჯი შემემოკლებინა და მოენები ალარ მეტრია. რომ მცონდა ენა, მაშინ ეს ამბებიც აქედან გავლაშივე მეცოდინებოდა და საქმე-

საც იმის დაგვარად დავიკერდი. მაგრამ, მაღლობა ლმერთს, რაკი ერთი ნავსი გატყდა, იმედი მაქეს, ქართველობა ამ საქმეს დაუბოლოებლად არ დასტოვებს. ერთიც იქნება, გამოჩნდება ვინმე და დაადგება ამ საქმეს. მართალია, დღეს სპარსეთში მოგზაურობა ძალიან ძნელია, რადგან არ არის იქ არსად რიგიანი გზები და რადგან თვით ქვეყანაც მეტის-მეტი თავისებურია, მაგრამ თვით საგანი იმოდონად მრავალ-მნიშვნელოვანია, რომ ამისთანა უბრალო დამაბრკოლებელ მიზეზებს ვერა ქართველი ვერ დევრიდება.

ყოველი ერი ცდილობს, რომ სხვანიც თავისად გადაჭმნას და გადაჯუის და ნუ თუ ქართველობას არ ძალუს უბრალო ნუგეშნის-ცემა გაუწიოს და მცირედი რამ მხნეობა შთაუნერგოს თავის ღვიძლ ძმას, თავისის სხეულიდან მონაკვეთ ასოს, შორს, შორს, უცხოთა შორის გადაძევებულს. ესეც რომ არ იყოს, დროა ქართველებმაც ხელი გასძრან, ყოველი თავისი საქმე თვით აკეთონ, სხვათა ხელში შეყურება ხელს არ გვაძლევს. ნუ თუ დღემდე ვერ დავრწმუნდით, რომ ყველა თავისასა ცდილობს და ვიღრე ჩვენც ჩვენსას არ ვეცადნეთ, ღმერთი ციდან არას ჩამოგვიყრის! ნუ თუ საიკვთა, რომ ქართველს, მცირედის მომზადებითაც რომ იყოს, უფრო მეტი შეუძლიან შესძინოს თავის ეროვნებას, ვიღრე უცხოს, რაც უნდა დიდის მომზადებით იყოს აღჭურვილი. და ამ მხრივაც ხომ სპარსეთი დიდს ინტერესს წარმოადგენს; მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრება ყველაზედ მჴიღროდ ირანის ზეგანთან და მცირე აზიასთან იყო შეკავშირებული; ენა უნდა თავისი ქართველს თუ ნათესაობა—პირველი ამ ადგილებიდან უნდა შეჰყვეს კვლევა-ძიებასა. კვალი ქართველისა ამაში თუ იმაში დღესაც კიღვე ემჩნევა სპარსეთს. და არც თუ გასაკვირველი უნდა იყოს ეს მოვლენა. სად იღუპებოდა ის იმოდონა გადასახლებული ხალხი, რომელთაგან რამდენიმე სოფელი-და შერჩენილა დღეს ფერეიდანში? რა იქმნენ ის იმოდონა ტყვედ წაყვანილნი და მონებად დაყიდული ქართველები? სად წავიდნენ ის ხარ-

ჯად შეწერილი ახალ-გაზდები, რომლებსაც ყოველ წლითა პგზაენიდნენ საქართველოს მეფენი? შაანთქა ყოველივე ეს უძირო ზღვაშ სპარსეთის ეროვნებისამ, მაგრამ მონელებით კი ვერ მოიხელა, რომ აქა-იქ ნიშნები არ დასტუროდა. გადაჭარბებული არ იქნება, ვთქვა, რომ დღეს თუ არ ნახევარი სპარსეთი, ერთ მესამედზე მაინც მეტი წმინდა ქართული სისხლია. რომელი მხარე გნებავთ ავილო, — გილანი თუ მაზანდარანი, ირანი (ირაჟი) თუ ფარსისტანი, თითო ისეთი ტიპი წარმოგიდგება თვალ-წინ, რომ გაჭრერდები. ხშირად ვძღვარვარ ესე გაოცებული რომელიმე ქუჩაზე ანუ რომელიმე სოფელში და მიდევნებია ხოლმე თვალი გამვლელ-გამომლელთა-თვის.

გაოცებიდგან გამომიყვანა უველაზედ მეტად ფერეიდანმა. აქ ყველა სომხის სოფელი და რამდენიმე სპარს-თურქ-ქურთებისა წმინდა ქართული სოფლებია. აიყვანეთ, რომელი სოფლი-დანაც გნებავთ, იქაური სომხი, ჩააცვით მას ქართული ჩოხა და, დამერწმუნეთ, ვერ გამოარჩევთ მას ვერცერთ აქაურ სოფლისაგან. მაგრამ, რომ ვკითხოთ დიდად პატივცემულს, გეოგრაფიის დამადგენელ რეკლიუს, აი რას გვიპასუხებს ამაზედ — „Но на съверо-западѣ (ისპაანისას), въ долинѣ Феридунъ (ფერეიდანის), лежащей на высотѣ слишкомъ 2500 метровъ, на границѣ съ землей бахтиаровъ, многія деревни сплошь населены армянами. Въ иѣкоторыхъ общинахъ, всѣ гайканы, <sup>1)</sup> пришедши изъ Грузіи, обратились въ исламъ, но говорятъ еще грузинскими языками“... (გვ. 219, ტომი IX).

აი საკვირველებათა საკვირველება, თუ გნებავთ, ამას ჰქვიან! სომხობამ, რომელმაც ვერ შეინახა საქართველოში თავისი საკუთარი სამშობლო ენა, იმავე სომხობამ ესე ჩინებულად დაიცო სპარსეთში სხვისი, უცხო ქართული ენა სამასი წლის განმავლობაში? სომხობამ, რომელმაც საქართველოში დაივიწყა თავისი საკუთარი დედა-ენა, არ დაივიწყა სპარსეთში დროებითად შეთვისებული სხვათა, ქართული ენა? სომხობა,

<sup>1)</sup> ირა აქვს, რასაკვირველია, დასახელებული არც ერთი სიბური ანუ პოსაზრები, თუ რად უწოდეს იმ, საქართველოდან გადასხვლებულ ხალხს სომხებად.

რომელიც სრულიად გაქართველდა საქართველოში, როდესაც მას ხელშეუხებელი ჰქონდა საფუძველი სომხობის ეროვნობისა, მისი სარწმუნოება, იგივე სომხობა არ გასპარსელდა 300 წლის განმავლობაში, როცა მას ის სჯულიც კი დაკარგული ჰქონდა? დიდ არს, უფალო, სახელი შენი და საკვირველ არიან სასწაულთმოქმედებანი შენნი!

ამ შემთხვევაში ჩეკლიუ, რასა კვირველია, არაფერ შუაშია. ის მუდა სხვა-და-სხვა წყაროებზედ და სხვათა გამოკვლევებზედ ამყარებს ხოლმე თავის აზრს. ის ყოველთვის შეჰყავთ ამგვარად შეკადომილებაში და აქაც ის უჩვენებს პირდაპირ ამის მთქმელს, — ერთ ვიღაც ნემეცების ავტორს. მაგრამ არ შეიძლება, მცირედი საყველური იმასაც არა ჰქვდეს, რადგან ეს ისეთი საგანია, რომ, თუ მას კრიტიკულად შეეხედნა ამ საქმისათვის, ცოტა იქვით მაინც გამოსთქვამდა და ესე დაბეჯითებით არ იტყოდა.

მე კი სრულიად წინააღმდეგს ვამტკიცებ ამისას. ფერეიდანში არ ყოფილია არც ერთი მისი ჭიათურა და თუ ეხლა არიან დროთა და ვითარებისა გამო, ეს წინად სულ ისეთივე წმინდა სისხლის ქართველები ყოფილან, როგორც თეითონ მე და მთელი დღევანდელი ქართველობა, ეს ჩემი ღრმა რწმენაა, რამდენადაც დაუგახლოვდი მე მათ და გავიცან მათი გარემოებანი. დაპირის იმ უხეირო გეგმას, რომელიც მე შევადგინე და სადაც სომებთ სოფლები აქა-იქ ჭია-ნაჭამი კშილივით გაჩხირულან ქართველების სოფლებშია; დაპირის მათს ტიპს, ქცევა-ყოფას, ხასიათსა და ცხოვრებას და დამეთანხმებით ამის სინამდვილეში.

რას ჰპრანგეთ, რომ ერთნაირი არა ჰქონდეთ უველავერი მათ და გამაპმაღიანებულ ქართველობას? ხენა-თესვა, საქონლის მოვლა, სახლის აშენება, ურემი, და, ასე გასინჯეთ, ის, ძველად დარჩომილი უშმეც კი სულთ-მოფენობისა. და თუ ამათ ყოველივე ერთი აქვთ, მაშასადამე, ერთი ხალხისაგან არიან ეს ორნივ — გამაპმაღიანებულნიცა და გასომხებულნიცა, ამაზედ ხომ თვით ის ნემეცების ავტორიც გვეთანხმება — „Въ шѣ-

которыхъ общиахъ (тайкане) обратились въ исламъ.“ მაშ გადასაწყვეტი ხდება მხოლოდ ის კითხვა: სომხები არიან ეს ორივენი შთამომავლობით, თუ ქართველნი?

ჩვენ საკმარისად ბევრი ვილაპარაკეთ იმ გამაპმაღიანებულ ქართველობაზედ, მათს ზნება და ჩვეულებაზედ, მათს ტიპსა და სულის სიძლიერეზედ, მათს ქართულ ენაზედ, მათს გვარებზედ და მათს ძველს ქრისტიანობაზედ და დავადექით იმ აზრს, რომ იგინი წმინდა ქართველები არიან. მაშასადამე, თუ ისინი ქართველებად ვცანით და თუ, როგორც გვეთანხმება ამაზეც თვით რეკლიუცი თვისის წემეცების მწერლით, ის მაჟმაღიანნი და ის სომების ერთი შთამომავლობისანი ყოფილან, სჩანს, ის სომების მათთან ერთად ქართველთა შთამომავლობისანი არიან. ეს ესეა, რასაკირველია, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ მოვიყვანთ აქ რამდენიმე მოსაზრებას, რომ უფრო ნათლად დაეანახოთ მკითხველს და აღვადგინოთ კეშმარიტება, რეკლიუსა და მის დამქაშთა მიერ დაბურვილი და დაბნელებული.

სომების ქრისტიანენი არიან, აქვთ თავისი აღდგომაც, ამალებაც და სულთ-მოფენობაც, მაგრამ მით მაინც იმ მაჟმაღიან ქართველებთან ერთად მიღებული აქვთ აგრედვე მათი ყვავილობის დღე, მაშინ როდესაც არსად არავის სომებს არა აქვს-რა ამის მაგვარი, გარდა იმ ფერეიდანის სომხებისა.

სომხები, რაც უნდა გაქართველდნენ, არასოდეს არსად საქართველოში არ დაუძახებენ თავიანთს ტერტერას მღვდელს ანუ ხუცესს და ყოველთვისა ხმარობენ თავის მღვდელზედ — ტერტერას, ჩვენსაზედ — მღვდელს. მაშინ როდესაც გამაპმაღიანებულნი, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ეძახდნენ (დღესაც ასე ეძახიან) ხუცესს და როგორც თვითონვე გვიხსნიან, გვარი ხუციცაანთი წარმომდგარა ამ სიტყვიდან.

სომები და ქართველი, რაც უნდა ერთნაირ გარემოებაში აღზარდო, მით მაინც განსხვავდებიან თავისებს ეროვნულის ხასიათით. ფერეიდანში, როგორც მაჟმაღიანნი, აგრედვე იქაური სომხები გულადი და გმირული ხალხია და ეს თვისება კი, რამოდენადაც ჩვენ ვიცით, სომხებთან ცოტა მწყდალად არის.

თორემ ამზედ დაგვემოწმება თვით ის ჩეკლიუ, რომელიც ერთ სხვა ადგილას დიდად გაკვირვებული იხსენიებს იმავე ფერეიდანის სომხობას (ნახე 160 გვ., ტამი IX). — „Въ верхнихъ долинахъ, лежащихъ на съверо-западѣ Испагани, нѣ-которыя деревни заселены единственно гайканскими земледѣльцами, храбрыми горцами, которые замѣчательно разнятся отъ боязливыхъ городскихъ армянъ и которые умѣютъ защищать свои поля отъ окрестныхъ разбойниковъ бактиаріи“ (ნაჩვენებია იგივე ავტორი ნემენცებისა).

აქ, როგორცა ჰედავთ, თვით იმასაც კი უკეირს მათი სიმამაცე და გულადობა და ამბობს „შესანიშნავი განსხვავება აქვთო“. და, მართლაც, ვინც კა, მცირედაც არის, იცის ზე და ხასიათი სომებთა ეროვნობისა, იმას არ შეიძლება არ გაპკვირვებოდა სიმამაცე ფერეიდანის სომხობისა და განგებ ყურადღება არ მიექცია ამ მოვლენისათვის. სომხებს ბევრი ჩინებული და შეუდარებელი თვისებები; აქვთ ნაციონალური, მაგრამ, სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა გამო, ეს თვისება, თვისება უშიშარის მეომრისა დეეკარგა და ვერ მიჩვენებთ ვერა სად ისეთ ადგილს, რომ რომელიმე მიუდგომელი შეერალი მათ გულად ხალხადა ჰსახავდეს. ეს სომხობა კი წმინდა სისხლის მონათესავეა იმ ქართველობისა, რომელნიც ბახტიართა ჯარებთან ერთად წინ მიუძღვდა დიდება-მოსილ ნადირ შაჰს და მიამტკრევდა ივლანისა და ინდოეთის ციხე-გალავნებს. ეს რომ სცოდნოდა ბ. ჩეკლიუს, დარწმუნებული ვარ, კი არ გაიკვირვებდა, თუ როგორ უდგანან ესენი კრიკაში ბახტიართა და ლორთაო, არამედ იტყოდა, რომ ეს ერთი მუჭა მამაცი ქართველობა განგებ მხოლოდ ამ აზრით ჩაუსახლებია აქ, ბახტიართა და ლორთა პირში რომელიმე სპარსეთის შორს-გამჭვრეტელს მეფესა, რათა მით უზრუნველ ეყო მათ მხრივ ტახტის ქალაქი სპარსეთისაო.

გასაშტერებელია აგრესვე, რომ ის გამაპმალიანებულნი ესე ჯიუტად გაიძახიან ყველგან და ყოველთვის იმ თავიდან მოყოლებული, რომ ქართველნი ვართო და მათ მთელი სპარსეთიც, დიდიდან მოყოლებული პატარამდე, ყველა გიურჯის ეძა-

ხის. ნუ თუ გაქართველებულა როდისმე აქ, ჩვენში სომეხი, რომ თავს სომხად აღარა სცნობდეს, თუ კი მას ჯერ სარწმუნოება კიდევ შეჰქენია, და მათ რომ ქრისტიანის სარწმუნოება პერნილათ პირველ მისვლაში, ეს ყოველსავე ეჭვ გარეშეა. განა არ არიან სხვაგან სომხები, რომელთაც ქრისტიანობა მიუტოვებიათ და გამაჰმადიანებულან, მაგრამ სპარსეთში იმათ დღემდე ისევ ნასომხერებს ანუ სომხებს უწოდებენ. ასევეა ყველგან გამაჰმადიანებული ქართველობაც. ამის ზევით ჩამოვთვალეთ ჩვენ რამდენიმე ადგილას თითო-ოროლა სოფელი გამაჰმადიანებული ქართველებისა, რომლებსაც დღემდე, როგორც თვითონ, აგრძევე სპარსენიც გიურჯის უწოდებენ.

მთელი ფერეიდანი, როგორც ზევითა ვსთქვით, განიყოფება ოთხ ნაჰაიად და არც ერთ მათგანს არა ჰქვიან სომხეთა ნაჰაია და არც „გიურჯი ნაჰაია“ იქმნებოდა, თუ რომ ქართველობა უწინ ისე ცოტა ყოფილიყო, როგორც დღეს. სჩანს, უწინ მეტი ყოფილან, ესე იგი ის დღევანდელი სომხები და რამდენიმე სხვა ერთა სოფლები იგივე ქართველები ყოფილან და მთელის ნაჰაიასათვის ქართველთა ნაჰაია უწოდებიათ. მაგრამ დროთა ეითარებისა გამო ზოგს მათგანს სომხის სარწმუნოება მიუღია და სრულიად გასომხებულა და ზოგსაც მაჰმადისა და ანუ სპარსად სცნობს დღეს თავს, ანუ ქურთად, მაგრამ მომეტებულნი გამაჰმადიანებულთა შორის ისევ ქართველებად დარჩომილან.

რომ ისინი წინად ქრისტიანენი ყოფილან და ამასთანავე ქართველი ქრისტიანენი, ჩვენ აქ მოვიყენთ, გარდა ზემოდ, ფერეიდანის აღწერაში ნათქვამისა, კიდევ ერთ საბუთს. როდესაც მე ისპაანში ვიყავ, იქ გაეიცან ყოვლად სამღვდელო ისაიასთან ერთი კათოლიკე პატრი, გვაროვნობით სომეხი, უნ (ოვანეს) მურადიანი, რომელიც, როგორც შევიტყე, ანტიკურნივებს აგროვებს თურმე და ჰყიდის. ხელობას არა უჭირს-რა პატრიისათვის, არ არის ჭუჭყიანი საქმე, მაგრამ მოგახსენებენ, ცოტა ბოროტად ხმარობს ამ ხელობასათ, ესე იგი ძალიან იაფადა ყიდულობს ეს სულიერი მამა ამ ნივთებს, რაღან მათ

პატრონთ არა გეეგებათ-რა მისი მნიშვნელობისა და მერე ოვითონ ძეირადა ჰყიდის სხვა-და-სხვა ევროპის ქალაქებშიც. მაგრამ ეს ჩვენთვის სულ ერთია.

საქმე ის არის, რომ მას ერთხელ მოეტანა ერთი ძველი ხუცური ხელთ-ნაწერი ებისკოპისთან წასაკათხად, უნდოდა მისი ღირსება შეეტყო, რომ მის დაგვარად გეეყიდნა. ებისკოპისმა ხუცური კითხვა არ იცოდა და ჩემთან გამოესწავლებინა.

ეს იყო ეტრატზედ ხუცურად ლამაზის ხელით დაწერილი. ეტრატი სიგანით ოთხი გოჯი იქნებოდა და სიგრძით კი კი საქმარისი გრძელი იყო. გადაკერებული იყო სიგრძეზედ სამი ეტრატის ნაკერი, რომელთაგან პირველისა ორი გოჯის სიგრძე-ლა იყო დარჩომილი, დანარჩენი მოხეული ჰქონდა. მეორე და მესამე ნაკერი მთელები იყო. პირველსა ჰქონდა სიგრძე სამი სრული მტკაველი და მეორეს—ორი. დაწერილი იყო შავის მელნით ახალი სტრიქონები იწყობოდა ლამაზად მოხატული წითელი ასოებით. საკუთარი სახელები, ღმერთი—უფალი და სახელები ლოცვებისა აგრედვე წითელის მელნითა ჰქონდა ჩაწერილი. აღმოჩენილიყო ერთ სომებს კათოლიკის, კოსტანტინოს ოლუმიანის სახლში.

ეტრატი ძალიან დიდის ხნისა იყო, როგორც ეტყობოდა: ისე იყო გალესილი, რომ ნაწერი აღარ სხანდა და აქა-იქ აღილები ძლიერ-ლა აღმოვიყოთხე. ეს იყო წირვის რიგი ანუ ასამაღლებლები პატარ-პატარა ლოცვებითა. აი ზოგიერთი ადგილები, რაც მე გავარჩიყო.

გვერდი შირგელი. — „ხსნად ჩვენდა ყოელსაგან ჭირისა, რისხვისა იწროებისა [უფ]ლისა მიმართ ვილოცოთ: 2) და ყოველთათვის რომელნი ითხოვენ ლეთისაგან შეწევნასა (ორი ასო იყო) შეწყნარებასა (აქაც ერთი სიტყვა ქარაგმით); 3) შეგვეწიენ გვაცხოვნენ შეგვიწყალენ და გვიცვენ ღმერთო შენითა მაღლითა: 4) უფალო ღმერთო ჩვენო აცხოვნე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი სავსება ეკლესისა შენისა (მერე მისდევს ისევ... „შეგვიწყალენ, გვაცხოვნენ“) 5). რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენი არს სუფევა ძალი დაბა აწ-

და: 6) ღმერთო წმიდაო რომელი წმიდათა შა განისვენებ რომელი..... 7) უფალო ყოვლისა მბყრობელო ღმერთო მამათა ჩვენთაო გევედ: 8) უფალო ღმერთო ჩვენო რომელი მაღალთა შინა დამკვიდრებულ ხარ და მდაბალთა ხელ'ვ რომელმან ცხოვრებისათვის ნათესავისა კაცთასა მოუვლინე მხოლოდ შობილი ქე შენი.....“

გვერდი მეორე.—„ჭდ წმიდისა უხრწნელისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობლისა მთის ქალწულისა მარიამისა 2) და სულისა შენისათა (1 სტრიქონის შემდეგ) კარნი კარნი (4 სტრ. იქით) ზეგვაქმნდენ გულნი (1 სტრ. იქით) ლირს არს და მართალთა 3) წმიდა არს წმიდა არს წმიდა არს (ორი ასოა ქარაგმით) ღმერთი საბაოთ საფსე არიან ცანი და ქეყანა დიდებითა მისითა ოსანა მაღალთა შინა კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა ოსანა მაღალთა შინა 4) მიიღოთ და ჭამეთ ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა ეგრეთვე სასუმელიცა ჭდ სერობისა მეტყველმან სვით ამის გნით ყოველთა ესე არს სისხლი ჩემი ახლისი ალთქმისა და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა (5 სტრიქონის უკან) შენთან შენთვის შენდა შემწირველნი ყოველისათვის და ყოველთა (1 სტრ. უკან) მერმეცა შევწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას და უსისხლოსა მსხვერპლისა და გხადიდ და შეგივრდებით და გევედრებით გარდამოავლინე სული შენი წმიდა ჩვენ ზედა.... 5) აქა სახელებია მიცვალებულთა მერმეცა გევედრებით შენ მოიხსენე ღმერთო ყოველისა ეპისკოპოსისა მართლმადიდებლობისა მართლ მკეთელობისა სიტყვისა შენისა... 6) გმაღლობთ შენ მეუფერ უხილაო რომელმან უზომითა ძალითა შენითა ჩვენ, დაგვბადნენ და სიმრავლითა წყალობისა შენისათა....“

ეს არის სულ, რაც მე იქ აღმოვიყითხე. დაცულია ამ ამოწერილებში მათი მართლწერა, ხოლო შიგ-და-შიგ გამოშვებული მაქს 2, 5, 10 და ზოგან 30 სტრიქონიც, რომლებიც მე ვერ გავარჩიე. მე შევამჩნიე, ჩემის აზრით, რამდენიმე შეცდომა ამ ხელთნაწერში და ვთიქრობ, რომ ეს, როდესაც წიგ-

ნები არა ჰქონიათ წირვის რიგის შესასრულებლად, ზეპირად დაუწერიათ. მაგრამ, ასეა თუ ისე, საყურადღებოა აქ, როგორც თქვენ თვითონაც შეპნიშნავდით, შეორე გვერდზედ მე 5-თე ადგილი, სადაც იხსენიება ეპისკოპოსი მართლმადიდებლობისა; თუმცა თვით ასამაღლებლებიც, რომლითაც განსხვავდება წირვა მართლმადიდებელთა სხვა ქრისტიანეთა წირვისაგან, თავისის რიგითა და წესით ცხადად ჰმოწმობენ, რომ იგი მართლმადიდებელთა ეკკლესიისაა და, მაშასადამე, იქ, სპარსეთში ყოფილან ოდესმე ქართველები და ჰქონიათ წირვა-ლოცვა თავისებური, მართმადიდებლობისა. ხოლო შემდევში, როდესაც შეუვიწროებიათ, იგინი მიჰკედლებიან სხვა-და-სხვა სარწმუნოებას და ბოლოს თვითონაც შექმნილან იმ ეროვნების ხალხად, რომელი ერისაც ყოფილა იგი, მათ მიერ ალიარებული სარწმუნოება. ამ სარწმუნოებათა შორის ყველაზედ უკეთესი ყოფილა მათის ეროვნობის დასაცველად, როგორც ეს დღესა სჩანს, სარწმუნოება მაპმადისა, რადგან, მხოლოდ მმდებთა ამ სარწმუნოების, შეუნაჩიათ დღემდე თავისი ეროვნობა.

რომ ქართველები ხშირად გადადიოდნენ სომეხთა კათოლიკეთა და სხვათა ქრისტიანეთა სარწმუნოებაზედ, ამას, მე ვვონებ, დიდი ჩხრეკა-ძიება არ უნდა. ქართველი, როგორც ქრისტიანი და ქრისტიანობის კულტით აღზრდილი, ყოველთვის ამჯობინებდა, უკეთუ შეცვლა სჯულისა მისთვის აუცილებელი შეიქმნებოდა, ისევე ქრისტიან ვისმეს მიჰკედლებოდა, თუ რომ ეს შესაძლებელი იქმნებოდა. და ამისი მაგალითები ხომ აუარებელია.

როდესაც მე მივეღ სოფელ აჭარაში, ძალიან დაღლილი ვიყავ. ცოტა სიცხეცა მექონდა და გუნება — მოშლილი. ჩამოვხდი აჭარისის სასაფლაოების გვერდზედ ჩრდილოებში და ცოტა ხანს შესვენებას ვაპირობდი. ვიდრე ბიჭი გამიშლიდა რასმეს და მომიშალებდა, მოგროვდა აქაც ჩვეულებრივად აუარებელი ხალხი. მნახეს იქ წამოწოლას ვაპირობდი, თავები გადაიკლეს: ყველა მეცვეწებოდა, არა ჩემთან წამობრძანდი, არა — ჩემთანაა. მაგრამ ყველაზედ ძალიან გულმოდგინედა მთხოვდა ორი კაცი: ერთი

იყო ქალბალაი ალი მირზა მამუკაანიშვილი და მეორე სომები, სოფელ დაუნიდან. რაღაც ალი მირზა მამუკაანთი იქვე მეზობლადა ცხოვრობდა, მე ვარჩიე ისევ იმასთან წასვლა და ეს ამოდნა ხალხიც, რასაკვირველია, თან ამედევნა.

მოვიდა იქვე ის სორებიც. ძალიან გულნატკენად იყო, რომ თხოვნა არ შევუსრულე და სულ ისე დალონებულივით, თავ-ჩაკიდებული იჯდა. მე თუმცა ლაპარაკის გუნებაზე არ ვიყავ, მაგრამ მაინც ბოლიში მოვიხადე იმ ჩინებულ კაცთან და ერთი-ორიოდ სიტყვა გამოველაპარაკე.

ძალიან ვწუხვარ დღეს, რომ მე მაშინ უქეიფოდ შევხვდი ამ შემთხვევას და მერეც კიდევ ღრო აღარა მქონდა გადავსულიყავ იმათ სოფელში და დაწვრილებით გამომეკითხნა ზოგიერთი რამ ამბავი.

იმან შემატყობინა პირველად, რომ ჩვენ, სომხები ასე ვიწერთ პიჯვარსაო და ჩვენებურად კი დაიწერა პირჯვარი. მე გაეუსწორე, ვუთხარ: სომხურად პირჯვრის დაწერა ესე არ შეიძლება, ასე უნდა-მეთქი და მაგალითიც ვუჩვენე. იმან დაცინვის კილოთი გაიღიმა და იგივე გაიძეორა სიტყვითაცა და საქმითაც. აჭუსელებმაც და თვით ჩემმა ქალბალამაც ცველამ დაუმოწმეს, რომ ასეა, ესენი, დაუნელები ესე იწერენ პირჯვარსაო.

იმისაგანცე შევიტყე, რომ მათ ნამაზისაებაც რაღაც ჰქონიათ: ყოველი მათგანი დილით მზის ამოსვლისას პირს იქმს, თურმე, აღმოსავლეთისკენ და პირჯვრის წერით, მუხლის მოყრით და ქრისტიანულის რაღაც ლოცვით ასრულებს თვის ნამაზს. თვით მღვდელის მოვალეობებზედაც ძალიან სხვანაირი ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ მე ყურის გდებაც კი აღარ შემეძლო და ვთხოვე სახლის პატრონს, მამუკაშეილს, მცირეს ხნით ხალხი დევთხოვნა.

რა გამოდის აქედან? ქრისტიან ქართველობას, როდესაც იგინი შევიწროებული ყოფილან სჯულისა გამო და როდესაც მღვდლებიც აღარა ჰყოლიათ, დაუწესებიათ ნამაზი (ლოცვა) ქრისტიანული. ჰქონიათ აქვე აგრედვე ერთი შენობა

საყდრის სამაგიეროდ, სადაც, თურმე, იკრიბებოდნენ ხან-გამო-შვებით ყველანი ერთად, და აღამაღლებდნენ წინაში მღვთისა მხურვალე ლოცვას ყველანი ერთად, ერთის ხმით, უმღვდლოდ (ესეც აქ მითხრეს აჭუსელებმა). მაგრამ ყველაფერსაც რომ თავი გავანებოთ, რას პინშნავს სომეხთა მიერ ქართულად პირჯვრის წერა? ეს, რასაკვირველია, ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ის დღევანდელი სომეხი კოფილან წინად მართლმადიდებელი ქართველნი და ზოგიერთი რამ თავისი ქართველობისა კიდევ არ დაუკიტყნიათ დღევანდლამდე.

აი მე მოგახსენებთ აქ ერთს მაგალითს ნამდვილსა და უტ-ყუარს ქართველის მიერ სომხის სარწმუნოების აღიარებისას და შემდეგ სრულიად გასომხებისასაც, რომელიც მომხდარა დღეს, ჩვენ თვალთა-წინ და რომლის ზოგიერთ შეილებსა და შვილი-შვილებს ეხლაც კარგა ეიცნობ ქალაქ თეირანში.

ყოფილა ერთი ახალგაზღდა ყმაწვილი კაცი, დავით საგინა-შვილი. სულ 25 წლისა ყოფილა, რომ უკვე მაიორის ჩინი ჰქონია, ქალაქში, რუსის სამსახურში. ასტყოდომიან სხვა-და-სხვა მეცნიერები და სხვათა შორის, როგორც ამბობენ ზოგიერთინ, სამსონ ხან მაჟან ცევიც, სიძე ილექსანდრე ბატონიშვილისა, რომ გაანებე რუსების სამსახურს თავი, წამო სპარსეთში, დიდი კაცი შეიქმნებიო. უფიქრია ამასაც, უფიქრია და წასულა სპარსეთს.

თავრიზში რომ მისულა, მაშინ აქ, ტფილისში, შეუტყვია მისი ამბავი მის ძმის ზაალს და ისიც უკან დასდევენებია. უფროს ძმას, დავითს ბევრი უშლია თავისი ძმის ზაალისათვის, რომ წადი შინ, აქ ნუ ხარო, მაგრამ იმას არ გაუგონებია: „მე უშენოდ არსად გაძლება არ შემიძლიან, სადაც შენ იქნები, მეც იქ უნდა ვიყოვთ და არც წამოსულა.“

თავრიზში მისულისათანავე დავით საგინაშვილისათვის მიუკით ჰოქემბა (მმართველობა) ქალაქ ისპანისა და შექმნილა „დაუთხან სართიფად“. შემდეგში, რასაკვირველია, თან-დისთხან წინ წასულა და უფრო დიდი კაცი გამხდარა.

ბევრს ქებას აშბობენ იმაზედ. მითხრეს, რომ იმის მისვლა-  
მდე, სპარსეთს არაფერი გეეგებოდა ჯარების დისკიპლინისა და  
იმან პირველმა შემოილო და დააყენა ფეხზედ (?) ეს საქმეო.

მითხრეს აგრედვე, რომ ერთხელ სპარსეთის ხაზინას ფუ-  
ლი არა ჰქონდა, გაუჭირდა ჯარების ჯამაგირების ძლევა და  
მაშინ დაუთხან სართიფი რამდენიმე წელიწადი თეითონ თაეი-  
სის ჯიშიდან ურიგებდა ჯარს ჯამაგირებსათ.

უქებდნენ ძლიერ აგრედვე ვაკეაცობას და მითხრეს, რომ  
ერთხელ ერთს ისეთ სამაგალითო ბრძოლაში გაიმარჯვა, რომ  
შევილმა ფათალი შაისამ აიხსნა თავისი საკუთარი ხმალი და  
თავისის ხელით ჩამოჰკიდა მხარხედ დაუთხან სართიფსათ.  
მაგრამ, ასე იყო თუ ისე, უკანსკნელ ხანებში ძალიან უნანია  
დაეითხ, რომ კევა წავაგე, ტყუილად დავტოვე რუსეთი; 25  
წლის ბიჭი მაიორი ვიყავ და იქმნება იქ უფრო დავწინაურე-  
ბულიყავით.

სულ 30-33 წელიწადი იქნება, მომკვდარა და სიკვ-  
დილამდე მართლმადიდებლად დარჩომილა. უვლიაო ყოველ-  
თვის მართლმადიდებელთ ეკლესიებში, — როცა კი შემთხვევა  
ჰქონია, თავრიზში ანუ თეირანში მყოფობისა, — რაღაც დღემ-  
დეც მხოლოდ ამ ორ ქალაქშია რუსის ეკკლესიები. აგრედვე  
მართლმადიდებლად მომკვდარა ზაალ ხანი, რომელსაც ცოლი  
არა ჰყოლია თავის სიცოცხლეში. დავით ხანს შეურთავს ცო-  
ლად, ისპაანში მყოფობის დროს, ერთი სომხის ქალი, რომლი-  
სავანაც მისცემია ერთი ვაჟი, გიორგი ხან და სამი ქალი, რო-  
მელთაგან ერთი ჩქარა მომკვდარა, ერთი დღეს ვენაში ცხოვ-  
რობს და ერთიც, მაიხანუმ მშვენიერი შეხედულობის ხანში შე-  
სული დედა-კაცი, მეულლე ალა ჰეტროს ნერსესიანისა, თეირან-  
შია.

გორგინ ხანს შეურთავს ცოლად აგრედვე სომხის ქალი  
და მისცემია იმისგნით სულეიმან ხანი, ზაალ ხანი, ივან ხანი,  
დავით ხანი, და სამიც ქალი. ივან ხანი დღეს ურმიაში ცხოვ-  
რობს; სულეიმან ხანი თავრიზს, ტელეგრაფის უფროსია და ზაა-  
ლი—თეირანს, სამხედრო სამსახურშია. ზაალი ახალგაზდა კა-

ცია, კაი შესახედავი ვაჟუაცი—და ცოლად ჰყავს და რაფიქულ  
ხან ენაკოლოფიანისა.

დღეს არც ერთმა შეილმა და არც ერთმა შეილიშეილმა  
დაეითისამ არც ერთი სიტყვა არ იციან ქართული. აღიარებენ  
სომეხთა სარწმუნოებას და იწერებინ საგინიანებად. „მამა-ჩემი  
გარჩევას არ აძლევდა სომეხთა და ქართველთა სარწმუნოე-  
ბასათ, — მითხრა იმისმა ქალმა, მაიხანუმზა, — გვეუბნებოდა:  
იარეთ, შეილო, სომხის საყდარში, სომეხთა და ქართველთა  
სარწმუნოება ორივ ერთია, ორივ ქრისტიანობაათ“.

ეს, რასაკირველია, ასეც უნდა ყოფილიყო. მაშ სხვა რა  
უნდა ეთქვა, როცა ისპაანში მართლ-მაღიდებელთა საყდარი  
არ იყო. ხომ ვერ ეტყოდა,—ნურსად ქრისტიანების საყდარში  
ნუ იყლით, ქრისტიანობაზედ ხელი აიღეთ, რადგან ჩვენი სარ-  
წმუნოების საყდარი არა გვაქვს აქაო?

ჩვენ ამოვწერეთ აქ მხოლოდ ერთი შეცდომა ბ. რეკლო-  
უსი, მაგრამ ხშირად შეგვხვედრია ჩვენ ამისთანა შეცდომილ-  
განი სხვა-და-სხვა დიდი ავტორიბისაც და ყოველთვის მათ შე-  
მაცდენელიად ყოფილან ძალიან წვრილფეხობანი, რომელნიც  
თითქმის განგებ ამისთვის არიან მუდამ განმზადებულნიო. სა-  
კირველია, ამასთანავე, რომ ასეთი შეცდომები ხდება ყოველ-  
თვის იქ, სადაც საქმე ქართვლის ინტერესს შეეხება. გადაშა-  
ლეთ X ტომის X გვერდი რეკლოუს თხზულებისა და იქა ჰა-  
ხავთ კავკასიელ ხალხს თავისის ნაციონალურის ტანისამოსით  
დახატულს. იქ არის დახატული ყურთმაჯებ-გადაყრილი კაბით  
სომეხი და ქვეშ უწერია:

„აქედან ცხადადა სჩანს, რომ სომხებსა აქვთ რამდენიმე  
ნაირი ნაციონალური ტანისამოსი“, და ერთი მათგანი არის ის,  
რომლითაც შეუმოსნიათ კავკასიელი სომეხი და რომ ქართველს  
ქქონდეს ამგვარი რამ ტანისამოსი, ამაზედ კრინტიც არა  
ქქს დაძრული!

ქართველ ხალხს, დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეს ტანი-  
სამოსი შემოულია. და თუ მთლად თეთონ არ გამოუგონია,  
იშოდენად შეუცვლია და შეუკეთებია თავისი გემოვნებისა. და

შნოს მიხედულობით, რომ დღეს თითქმის მგზავრებაც კი აღარა აქვს არავითარი სხვა აზიურ ტანისამოსებთან. ეს ტანისამოსი მიკუთვნებული ჰქონდა პირველად მარტო თავად-აზნაურობას. ხოლო უკანასკნელ დროს, ზოგიერთმა სხვებმაც დაიწყეს ამ ტანისამოსის ხმარება და მათ შორის ჩვენმა ვაჭრებმაც. მაგრამ, რასაკირველია, ეს იმას არა პიშავას, რომ კავკასიელი სომხები ესე ყოფილიყვნენ ჩატმულნი. ვის გაუგონია დღემდე ესე-თი ჩატმა განჯა-ყარაბალის და ერევან-ნახიჩევანის სომხები-სა? თორემ თვით საქართველოში კი ყველა სომხებს ეცო ესე? სრულიადაც არა. მთელი დასავლების სომხები სხვა ნაირად იყენენ ჩატმულნი და ჩვენებური კაბა თუ შეპხვდებოდა კაცს სომხებში — მარტო აღმოსავლეთ საქართველოში და ისიც მხოლოდ ვაჭრებში. ცოტა იყო განა იმ თავით საქართველოში არა ვაჭარი სომხობა? სად ეცვათ იმათ ეს ტანისამოსი? ამგვარად ათი და ოცი ვაჭარი კაცის ჩატმულობა გადაიტანეს კავკასიის სომეხთა ნაციონალურ ჩატმა-დახურვად.

მერე, ნეტავი მართლა მათი ყოფილიყო და მაშინ კიდევ ისეთი მნიშვნელობა არ ექმნებოდა — ბევრი ხმარობდა მას კავკასიელ სომეხთა შორის თუ ცოტა! მაგრამ ძნელიც ის არის, რომ მათი არ იყო. „საღაც მიხეიდე, ქუთი იქაური დაიხურეო“, რომ იტყვიან, სომხები სწორედ ისე იქცევიან და, მე ვგონებ, თვით ეს ანდაზაც, ესე კარგა ზედ-გამოჭრილი სომხებზედ ანუ სომხების გამოგონილი უნდა იყოს და ანუ სომხების ყოფა-ცხოვრებას გამოუშვევია ეს ანდაზა ქართველებში. მართლა და, რომელს ქვეყანაში გინახავთ სომები, რომ მას იმ ქვეყნის ტანისამოსი არ ეცვას, და რა იყო საკვირველი, რომ ჩვენ სომხებს, ისე საშინლად გაჩვენებურებულებს, ჩვენი ტანისამოსი ეტარებინათ? თუ ეს კარგი იყო, როდესაც ბ. რეკლიუმ საფრანგეთი აღწერა და იქაური სომხები მოიხსენია, რატომ ფრანგების ტანისამოსით არ დაბატა და ქვეშ არ მოუწერა: საფრანგეთის სომხები თავისის ნაციონალური ტანისამოსითაო“.

მერე რაკი ერთი სთქვა ამისთანა მიღებულმა მწერალმა, — მორჩა: რაც სახელმძღვანელოები გამოდის გეოგრაფიული,

ყველგან გამეორებულია ბ. რექლიუს ლირსებაცა და ნაკლუ-  
ლევანებაც. მარტო რუსული სახელმძღვანელოებიც რომ აი-  
ლოთ, საღაც უკედ უნდა იცნობდნენ თავიანთ კავკაზს, აქაც  
ყველგან სომეხი ყურათმაჯიანის კაბით არის დახატული, რომ  
გორუ ნაციონალურის ტანისამოსით. მართალია, ამას საიმისო  
დიდი მნიშვნელობა არა აქვს—რა: ამით არც საქართველო დაი-  
ღუპება და არც სომხეთი აშენდება, მაგრამ ყოველივე საგანსა  
და მოვლენას თავისი ხახელი უნდა ერქვას, თავისი ფერი უნდა  
ედოს.

მე გიამბობთ კიდევ ერთ ანალოგიურ შემთხვევას ამ ჩაცმა-  
დახურვაზე. როდესაც მიველ სპარსეთის პირველ ქალაქში,  
ანზალიაში, ძალიან გამაკვირვა ერთი ქართულად თავდახურუ-  
ლი ქალის დანახვამ. აღმოჩნდა, რომ სასტუმროს პატრონის  
ცოლი იყო. მე დავუძახე, სასტუმროს პატრონს და ვკითხე:

- თქვენ აქაური სომეხი არა პბრძანდებით?
- დიალ, აქაური, სპარსეთის მოხარჯე ვარ?
- თქვენი ცოლი?
- ისიც.

— მაშ ესეთი თავის დახურვა საიდან უსწავლიათ?

— ათი წელიწადი ტფილისს გახლდით. იქ ყველა ჩვენს  
მეზობლებს ესე ეხურათ და ამანაც დაიხურა და, რაკი ერთი  
შეეჩვია, მოსწონს და აქაც აღარ იშლისო.

შემდეგ, როდესაც რაშტაში მიველ, ვნახე, თითქმის ყვე-  
ლა სომხის ცოლებს ქართულად ეხურათ თავი. თეირანში რომ  
მიველ, აგრედვე იყო, თუმცა რაშტელებსავით შნოთი ვეღარ  
იკეთებდნენ თავსა და უკანასკნელად, როდესაც ისპანში მო-  
ველ, აქ სულ ძალიან უხეიროდ ეხურათ თავები. თანაც გაუ-  
თხოვარი ქალი არ იხურავს თავს და მოხუცი კიდევ, როგორც  
შეჩვეული ძველის, ძველებურად არის ნიკაპ-აკრული.

აქ საჭმე ის არის, რომ ჩეკენიდან ვაკრების მეტ გატანი-  
ლი ქალების თავის დახურვა ჭკუაში მოსვლიათ სპარსეთის  
სომხის ქალებს და ისპანამდე თითქმის ყველა სომხის ქალები  
ქართულად არიან თავდახურულნ. ხოლო რამდენიც ახლოა

როგორც ზევითაცა ვთქვით, ტახტივით არის ზემოდან ამომ-ჯდარი. ხოლო ამ ზეგანზე, თითქო სულ ერთის სიმაღლისა და ერთს მანძილზე დაშორებული ერთი მეორისაგან, მისდევენ სწორე, სარტყელსაცით გაბმული გორები და საღაც იგინი ტო-ტებით ერთმანეთს უახლოვდებიან, იქ ჩნდება, მთებში მოზღუ-დლული, სწორე ვაკეები სხვა-და-სხვა ნაირი მოყვანილობისანი და სხვა-და-სხვა სიდიდისანი. ყველა ეს გორები თავის-თავად დაბ-ლებია, მაგრამ, რაღაც თვით ირანის ზეგანი, რომელზედაც ისინი დგანან, ძალიან მაღალია, ამისათვის ამ გორების სიმაღ-ლე ზღვის პირიდან იმოდენად დიდია, რომ თოოქმის მთელი. ზაფხული, გარდა მარიამობისთვისა, ყველა ამ გორებზედ აღ-გილ-ადგილ თოვლი ძევს. ძალიან მაღალი მწვერვალი მთელს ირანში მხოლოდ ერთია. ეს არის დაზვენდი. სდგას თეირანის ახლო, თითქოს სრულიად განმარტოებული და ზამთარ-ზაფხულ თოვლით შემოსილი. დამავენდი ძალიან ლაშაზი მოყვანილო-ბის მთაა და ძალიან მაღალიც. სიმაღლით ყველა კავკასიის მწვერვალებზედ მაღალია, გარდა ერთის მყინვარისა, რომელთა-ნაც დადი განსხვავება არ უნდა ჰქონდეს. სდგას მდევრებით ამა-ყად და მისი ბამბასავით თეთრად გადაპენტილი ქოჩორი მე-დიდურად გადაპყურებს მთელს ირანის ზეგანს. სჩანს ყუმიდან წათლად, გამორჩეული ყველა მთებში და მოჩანს კიდევ ქაშა-ნის მახლობელ აღილებიდან თითქმის სამას ვერსზედ. სპარსე-ლები ამბობენ, რომ დამავენდი ყველა მთებზედ მაღალია მთელს ქვეყანაზედაც და, ვინ იცის, რა თქმულობა არა აქვთ მათ მასთან შეკავშირებული: როსტომი და ჯემშიდი მის წვერზედა სცხოვ-რობდნენ, ნოეს კიდობანი აქ გაჩერებულია და სხვა.

ჰაერი საზოგადოდ კარგია მთელს ირანის ზეგანზედ. არა-ეითარი აეადმყოფობა და სნეულება, გარდა თეალების ტკივი-ლისა. იგივე სიმაღლე აღილმდებიარობისა აზომიერებს ამ შეის გულა ქვეყნის სიცხეს და რომ ამ შერივ თეირანის ჰაერი, რო-მელიც უფრო ცხელია სხვებზედ, შევადაროთ ტფილისისა და კახეთის ზაფხულს, არავითარი საიმისო განსხვავება არ ექმნე-ბა. გარჩევა მარტო იმაშია, რომ იქ, თეირანში ეს ჩვენებური

უდიერი ზაფხულის სიცხვები გასტანს სრული რვა თვე და აქ კი ოთხ თვეშაც არ გასწევს ხოლმე.

წყლით სპარსეთი საშინელი ღარიბია, ნამეტნავ ირანი. ყველა იმისი ღილი მდინარე უბრალო ჩვენებური ხევების ტოლი ძლიერ იქმნება. ყველაზედ ღილი მდინარე, ზენდერედი, ძლიერ არაგვთან მოვა, თუმცა აღიდების დროს მტკვარსაც არ ჩამოუვარდება. მაგრამ ეს ცოტა მოზრდილი მდინარეც, თითქოს ბუნებას შეჰურებია ირანისათვისაო, გასცილდება თუ არა ქ. ისპანს 10—15 კერსის მანძალზედ, შიგ მიწაში იღუპება. და მხოლოდ გარეშემო ატებილი ლელი და ჭაობები-ლა ჰმოწმობენ, რომ აქ ერთი რამ ღილი მდინარე უჩინარად ხდებათ. თუ ბევრი ყოფილიყო ეს პატარა ხევები, კიდევ არაფერი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ხევებიც კი ასი-ორასი ვერსის სავალზეა ერთი მეორიდან დაშორებული.

არ იცის ისრანში აგრედვე წვიმა. ისე გავა რვა-ცხრა თეოანი ზაფხული, რომ ცაზედ ერთი ღრუბეოთ არ გამოჩნდება და ვაკეები ღრუბლის მაგიერ ხშირად სულ სიცხის. ბულით არის დაბურული. აქედან ადვილი მისახვედრია, რასაკვირველია, რომ, სადაც კი მოახელებს სპარსელი ხალხი მცირედ წყალს, დაუკუნენებლივ მოაშენებს მის ნაპირებზედ სოფელსა და ჭალაქებს. სად ზედ მთის წვერზეა დასახლებული ხალხი, სად თვალ ჩაუწვდენელ ჯურმულებში, — არსად არცერთი წყაროც კი არ არის მოცდენილი, რომ მის ჩაყოლება მის შესაფერი ბალები და სახნავები არ იყოს დამართული. ამის გამო მთელი იჩანის ზეგანი თავის-თავად რაღაც დაჩითულ რასმეს წარმოადგენს. რომ შეიძლოს კაცმა მაღლა, ჰაერში იფრენა და იქიდან დაპერდოს მთელს იჩანს, თვალ-წინ გადაეშლება ერთი უშველებელი ვაკე უდაბნო აღგილი, მოწითელ შაოდ მოელვარე, რომელზედაც, როგორც დაჩითულ სუფრაზედ, ატყვია აქა-იქ ხელის ტოლ-ტოლა ხალები, — ეს არის იჩანის ჭალაქ-დაბები და სოფლები, გაშენებული ხევებისა და წყაროების ნაპირებზედ, თავისის ტითონ ნაკეთა ხოდაბუნებითა და ბალებით. მიღიხარ სშერად 40—60—100 ვერსის და გარეშემო სულ ვერანა

უდაბნო ადგილებია. მთაცა და მინდორიც სავსეა ნაშალი კლდის ქეთ, ნაშალი მთის მტერით, არსად ხე, არსად ბალახი, მხოლოდ აქა-იქ გაისრიალებს უდაბნოს ფერი ჯოჯო და დიდრონი მორიელი, ან ღრიანკელი. კაცს ხალისი ეკარგება, სული უმძიმდება, ბოლმა აწვება და სწორედ სამოთხედ წარმოუდგება, როდესაც იგი ამ დროს მოჰკრავს საღმე შორს თვალს და მიატანს ოზისსავით რაიმე პატარა ადგილს, რამდენიმე ხითა და „აბამბარით“ შემკულს.

ამ წყლის სიმცირეს მოვლაც კარგი უსწავლებია სპარსელისათვის. მთელი ირანის ზედა პირი თხუნელის ნაჩიჩქნსა ჰგავს, ისეა ყველგან ბადესავით მოდებული მიწა-მიწა გაყვანილი, წყლის სავალი. სპარსელი ყოველთვისა რჩეობს მიწა-მიწა გაიყვანოს წყალი, რომ მზის სიცხოვლემ არ ამოაშროს და თუ რაიმე საჭიროება მოითხოვს, მაშინ წყლის ორთავე ნაპირებზედ მისდექს ხშირი ხეები დასაჩრდილებლად. მორწყვა მაშულებისაც კი ისე იცის, რომ ერთი წვეთი წყალი რა არის-და, შეიძლება ვთქვათ, ის ერთი წვეთიც კი არ დაეკარგება ტყუილუბრალოდ. წყალს მორწყვაში თავის დღეში ჩვენებურად ზედ არ გადაატარებს: სახნავია თუ ბალი, ყველგან თითო ადლისა და თითო საუენის სიშორეზედ ღრმა არხები აქვს გარეშემოშემოთხრილი, კვლებად არის დაყოფილი. როდესაც მიუგდებს შიგ წყალს და გაასებს ამ თხრილებს, წყალს ისევ მოსწყვეტავს. წყალი იმ სავსე თხრილებიდან საკმარისად გაუჯდება ყველა მხრიდან დედა-მიწას და მეტი კი არსად ცარიელ მინდვრებში მუქთად არ დაეკარგება.

რასაკვირველია, საღაც წყალი არ არის ან ძლიერ ნაკლებია, იქ მცენარეულობაც არ იქნება უხვად. და, მართლაც, მთელი ირანი ტიტველა ადგილია, გარდა ქალაქებისა და სოფლების მიღამო ადგილებისა. იქაც ძალის-ძალად ახარებენ ტირიფს, ალვის ხესა და ვერხებს. ნამეტნავ ძალიან უყვართ ალვის ხე, რადგან ჩეარა იზრდება და ჩეარა შეუძლიანთ მისი საქმეში გამოყენება: ღეროები ხე-ტყედ იხმარება და წვრილი ფი-

ჩხიერით შტოები ან ძირკვები შეშად, რომელიც ძალიან ძვირია და წონით იყიდება.

თუ რამოდენად იშვიათი და ძნელი საშოვარია ირანში ხე, ეს იქიდან შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ, როდესაც რუსის ერთ საზოგადოებას გაეძართნა თეირანში „წევირას“ საკეთებელი ქარხანა და მისი სამყოფი ხე ვერ ეშოვნათ, ეყიდნათ ერთი დღიურის ტოლა ადგილი შიგ თეირანის პირში და ალვის ხე მოეშენ ებინათ.

ეშირად შეხვედება კაცს აგრედვე ჭანდრის ხე, ნამეტნავ ისპანის მხარეებში, სადაც თითქმის ყველა სოფელში უდგიათ დასაჩრდილებლად სასწვრის მეიდნებზედ თითო ან რამდენიმე მართლა მშვენიერი ხე. ისპანიდან მოყოლებული ყაზვინამდე კი იციან ერთი სხვანაირი ხე, „ნარშანდი“. ეს ხე ჭანდარზედ პატარაა, წვრილი ფოთოლი იცის, მაგრამ ისე ხშირი და ისე მშვენიერად არის ხოლმე ქუდივით შეკრული, რომ ერთი სხივი მზისა არსაიდან არ ჩეებარება.

ხეებში სპარსელები უფრო ამჯობინებენ ხეხილის მოყვანას, რადგანაც ხილი ძალიან უყვართ. მართლაც, ხილი დიდ-ძალი მოჰყავთ და უკეთესიც იცის, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწილში სპარსეთისა. მშვენიერი იცის ყველგან ბროჭეული, მსხალი და ყურძენი. ბროჭეული იქაური ძალიან მსხვილია, მსხვილ მარცვლიანი და ყველანაირი გემოსი: მჟავე, ტკბილი, მარახოში. მსხალს სპარსულად გულაბი ჰქვიან სახელად და სულ წყლიანი და ჩვენებური გულაბის გემოსია ყველა მსხალი: მსხვილი იყოს თუ წვრილი, აღრეული თუ გვიანა, სულ გულაბია და გულაბი. ყურძენი არ არის ბევრნაირი, უკეთესია ყველაზედ საჭმელად უწიოწო, ქიშმის ყურძენი, რომელმაც სუფთა, უქუჭყო მტევნები იცის და ქარვის მარცვლებივით გაღუის ხოლმე მზეზედ. ყურძენს უფრო მომეტებულად საჭმელადა ხმარობდენ და ქიშმიშს აკეთებენ. აყენებენ აგრედვე ღვინოსაც, მაგრამ ღვინის დასაყენებლად უფრო სხვაგვარ ყურძენს ამჯობინებენ. უცხო ხილებში ვნახე მე პირველად ირანში „შალილი“. ეს არის მოზრდილი ქერმის ოდენა, მრგვალი ნაყო-

ფი; ფერი ადგილ-ადგილ წითელი აქვს, ადგილ-ადგილ ყეითელი, კანი ვაშლა-ატამსავით უბუსუსო და შემოდის პირველ ალუჩინბასა და ჭერმობის დროს. გემოთიც თითქოს არც ალუჩია, არც ჭერამი. მითხრეს, როდესაც ჭერამს ალუჩიაზედ ვამყნობთ, ესეთი ხილი გამოდისო, თუმცა მე ეს სარწმუნოდ არ მავიჩნიე.

ეპ გემოიანი ხილით გათქმულია ყველაზედ მეტად ისპაანი. აქ იცის ერთნაირი კომში, რბილი, ვაშლივით საჭმელი; ჩინებულ გემოსია და ისეთი მშვენიერი სუნი აქვს, რომ სულ ხელიდან ხელში გადადის ხოლმე სასუნებლად თაიგულივით. აქვე იცის შესანიშნავი ისპაანის ნესვი და როდესაც სხვა ქალაქებში პყიდიან ადგილობრივ ნესვებს, გაიძახიან გამყიდველნი: „ისპაანის თესლისაო“. მართლაც, ეს ნესვი თუმცა ისე ტკბილი არ არის, როგორც ჩარჯულია, სამაგიეროდ სუნნელოვანია და ისეთი წყლიანი, როგორც საზამთრო.

მიწის მოსავალად მოჰყავთ ყველა ის, რაც ჩვენ: პური, ქერი, ლობითი (თეთრი), მუხუდო, ფარინჯი, კართოფილი, თამბაქო და სხვა. მოჰყავთ ბევრი ბამბა, განაგერიაგი, კანაფი, რომლისასაც აკეთებენ მაჯუნს<sup>1)</sup> და ღიღძალი ხაშხაში თრიაქის-თვის. ბევრსა სთესავენ აგრედვე საქონლისათვის იონჯას, სამყურას, „გერგერას“ და „გოგდუნეს“. მწვანილეულში უფრო შესანიშნავია ერთნაირი მოგრძო წვრილი გოგრა, რომელსაც გრძელი ბადრიჯნის ადგილასა ხმარობენ და ძალიან გემრიელია; და აგრედვე ერთნაირი ბალახის პარკები, წიწაკის მოყვანილობისა, ცოტა უფრო მომსხო და საშინელი ლორწოიანი; ამასაც გრძელი ბადრიჯნის ადგილასა ხმარობენ; სახელად „ბამიეს“ ეძახიან.

ყვავილებში, რომელიც ისე ძალიან უყვართ სპარსელებს, უფრო შესმჩნევია მშვენიერის სუნით თეთრი იასაშანი, ნარგზი და ნარჯიონი<sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> მაჯუნი—ხაშხაში.

<sup>2)</sup> ნარდიონი—სუმბული.

გარდა ამისა მთებში აგროვებენ ერთნაირ ეკლიან დაბალ ბალახს „იოვშანს“, რომელსაც მთელს ირანში შეშის მაგიერად ხმარობენ ცეცხლისათვის.

საზოგადოდ, ერთი და იგივე რამ არ ითქმის ირანის მცხ-ნარეულობაზედ: რუდბარში რომ ზეთის ხილის ხე ხარობს, ყაზვინში ფსტის ხე, ყურუში აღუ, ფერეიდანში მოჰყავთ ფარინჯი.

საქონელში იჩენენ: ცხენს, აქლემს, ჯორს, ვირს, ხარს, ცხვარს. ცხენი ირანისა სწორედ შესანიშნავია, როგორც სილამაზით, აგრევე ტარებით და თუ ჩამოუვარდება — მხოლოდ არაბისას. ვირი ძალიან მარდი მატარებლები ჰყავთ, უფრო მომეტებულად იორდები და საჯდომად სულ თეთრი ფერისა იციან. აქ ვირი უფრო მიჩნეულია თითქოს და არც ფასში ჩამოუვარდება ბევრ კაი ცხენს.

ჰერაკლი, მოდის ვინმე ახალგაზდა სპარსელი, ჩინებულს ცხენზედა ზის და ლამაზადა ჰყავს თვით ცხენიც შეკაზმული. უკან მოსდევს უფრო დარბაისელი, ხანში შესული სპარსელი. ეს უკანასკნელი ზის კოხტა თეთრ ვირზედ, რომელზედაც უდგას ოქრო მკედით ნაკერი და მოქარეული ხავერდის კურტანი. რომელია ამათში ბატონი და რომელი მოსამსახურე? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ წინა მოსამსახურეა და უკანა — ბატონი. მოსამსახურე წინ მიუძლვის; რომ გზა ჩამოუცალოს თავის ბატონს. მაგრამ რატომ თითონ ბატონი არა ზის იმ მშენიერს ცხენზედ? იმისთვის, რომ, ცხენი, არც უნდა კარგა დალიოდეს, მაინც ანჯლრევს და ვირი კი, რომ იტყვიან, წყალივთ მიღის.

ამათგან ეს ჩვეულება გადაულიათ ზოგიერთ ეეროპელებაც. მე ვიცნობდი ერთს ინგლისელ მკუტნალ-ქალს. სცხოვრობდა ჯულფაში და დღეში ორჯელ-სამჯერ მიღიოდა ქ. ისპაანში: გადააბიჯიდებდა კურტნიან თეთრ ვირს თავისის ლაიკის თათმანებით და უკანასკნელი „მოდის“ ქუდით, გაიმძლვარებდა წინ ცხენიან კაცს და მიღიოდა. არხეინად.

ხარი და ძროხი ძალიან წვრილი მოდგმისაა, გარდა გილანისა, სადაც ტიბეტის ჯიშის მაგვარი, მსხვილი და კუზინი საქონელი გაუჩენიათ. სამაგიეროდ ცხვარი მთელს ირანში სამაგალითოა: ტანით ძალიან დიდრონია, მატყლი გრძელი და დაწმენდილი აქვს, ხორცი საჭმელად ძალიან გემრიელი და ღუმა ისეთი უშველებელი, რომ ხშირად ვორგოლაქებს შეუკენებენ ხოლმე. ცხვარსა და ძროხს ბევრს იჩენენ მთობ აღილებში, ხოლო დანარჩენს ადგილებში უფრო ჯორებსა და ვირებს, რაღაც ყოველისფერს, საქონელსა თუ ხალხს ამეებით გადაეზიდებიან.

ქუჩა-ქუჩა ირევა აუარებელი ძალია. ნამეტნავ თეირანში ყველა ქუჩის არხი სავსეა ძალლებით: აქა ჰირიან ლეკვებს, აქვე ჰურდიან, აქვე ქეციან ლებიან და აქვე იხოცებიან. ამ ძალლებს, რასაკირველია, პატრონი არავინა ჰყავთ, მაგრამ ამასთანავე ყველანიც მისი პატრონები არიან; ყველა მიუგდებს ერთს ლუკ-მა რასმე და არავინ არ დაჰკრავს.

დიდძალია ტურა და ბუი ამათ ქალაქებს ახლო. ისეთი კონცერტია ტურებისა ყოველ-ლამ ისპაანში, რომ ყურთა-სმენა არ არის ხოლმე. ბუ ხომ განუწყვეტლივ გაჰკივის თავის ერთფერსა და გულ-მოსაკლავ „ბუჭ“-ს. ბუ ნანგრევებს ეტანება და ტურა კიდევ მძორს, რომელიც ისე მრავლადა ყრია იმათში, როგორც ქალაქებ განაპირო, აგრძელე შიგ ქალაქში. კარგი კიდევ, რომ ეს უსასყიდლო სანიტარები გაუჩენია ყოვლად მზრუნველ ღმერთს მათვის, თორემ რა უნდა ყოფილიყო უამისოდ მათი ქალაქების ყოფა?

იცის მთელს ირანში ჯეირანი, სცხოვრობს თითქმის ყველა ხრიოკ მთებში და უყვართ სპარსელებს მასზედ ნადირობა. ამასთანავე ვინც რამდენ ჯეირანს მოჰკლავს, დააყრეინებენ რქებს და წყვილ-წყვილად წამოასკუბებენ თავის სახლის წინაკედლებელ: „ნახე, რა ბიჭი ვარ, ჯეირანიც კი მომიკლავსო“. ამ მხრივ საყურადღებო იყო ნამეტნავ, როდესაც მე ვნახე პირებელად ზილლი სულთანის ერთი სახლი ქ. ისპაანში; ყველა შხრიდან კედლების თავებზედ ჯეირნის რქები იყო შემომწკრი-

ვებული. როდესაც ამისი მიზეზი ვიკითხე, მიპასუხეს: აქ ასეთი რიგია, ვისაც რამდენი წყვილი რქა აქვს სახლზედ გაკეთებული, სჩანს, იმდენი ჯეირანი მოუკლავსო.

უყვართ აგრედვე ნადირობა მტრედებზედ. ამისათვის იგინი ძალიან ზრუნავენ: აშენებენ დიდსა და მშვენიერ ბურჯებს. ხშირად შეხვდება კაცი ხუთსა და უფრო მეტს გუმბათიანებს. ბევრია ნამეტნავ ეს ბურჯები ისპაანის მხარეს. უპირველესად ისინი ეცემა კაცს ოვალში ქ. ისპაანში შესვლის დროს, რადგან მათთან შედარებით დანარჩენი სახლები რაღაც უბრალო მიწურ ქოხებს მოაგონებს. შიგნიდან კედლები ამ ბურჯებისა დაყოფილია უჯრა-უჯრა და თითო მათგანს (ბურჯს) შეუძლია ათასობითა და ათიათასობით ფრთე მტრედი დაიტოოს. ხოლო მათზედ ნადირობა, როგორც დამარტმუნებს, ყველას არ შეუძლიან; იგი შეადგენს მხოლოდ მეფის საგვარეულოს უპირატესობას.

ძნელია ძალიან სპარსელი კაცის ტიპის დახატვა, ისე საშინლადა აქვთ არეული სისხლი ირანის მცხოვრებთ. ვის იტყვის კაცი ისეთს, რომ დღევანდელი სპარსელის ტიპის შემუშავებაში მონაწილეობა არა ჰქონიდეს: ქალდეველი, ქურთი, თათარი, ქართველი, არაბი, ავლანი, ზანგი, ოსმალი, აბესინელი და თვით ეკროპელნიც, ყველანი მოწილენი არიან სპარსელის ტიპში, ყველას სისხლი. ურევია დღევანდელ სპარსელს. სპარსეთი ისეთი ადგილ-მდებიარება ჰქონდა, რომ ამას ვერ ასცდებოდა: დასავლეთის ერნი წამოვილოდნენ ილმოსავლეთისაკენ, უნდა სპარსეთი გადმოველოთ, რომ აქედან შეჰსეოდნენ სამოთხის მგზავს ინდოეთს, ავლანს და თურანს; ილმოსავლეთისა დაიძროდა და ისევ უნდა სპარსეთს მოსდგომოდა, რომ იქიდან გადაელახა კავკასია, სირია და მცირე აზია და მოჰქენდა ევროპას ანუ არაბეთსა და მისრეთს. ვინც ვინმე გაძლიერდებოდა, ჯერ სპარსეთის დაეტაკებოდა და მერე იქიდან ყველა გზები ღია ჰქონდა. რამდენი სახელმწიფო გაჩნდა და განჰქრა დღევანდელ სპარსეთის მიწა-წყალზედ, რამდენი აღყვავლა და დაკრა მის მეზობლად, მის მომიჯნავედ. ყველა მათგანს რაიმე ელემენტი აქვს შეტანილი სპარსეთის ცხოვრე-

ბაში, ყველა მათგანს უდევს იქ წილი. ეს არის მიზეზი, რომ დღეს კაცი ველარსად შეჭხვდება იმ ტელის-ტველ ნამდვილ სპარსელის ტიპს, თუმცა დღესაც ამ ახალი, თუ რომ შეიძლება ესრა ვთქვათ, სპარსელის ტიპი ბევრად განსხვავებულია ირანის ყველა სხვა ხალხთან.

დღეს თუ სადმე ირანში მოიძებნება უკეთესი ტიპი სპარსელისა, ისევ შირაზის ახლო-მახლო ადგილებში, რომელსაც დღეს კიდევ ფარსისტანის (სპარსეთის) სახელს უწოდებენ და თვით შირაზს თავის დედა ქალაქად ჰსახავენ. ამგვარად როგორც ჰედავთ, ძველი სპარსეთი შეიცვალა ირანად (ასე ეძინან თვით სპარსელები) და იმ მქუჩარა, დიდებული სპარსეთის სახელი შემრჩა მხოლოდ-ლა ერთს გუბერნიას. მაგრამ მით მაინც თავი მოსწონს სპარსელს თავისის შირაზითა და ამაყოვნობს. შირაზი თუმცა პატარა ქალაქია, შაგრამ კოხტა და ლამაზი, შემცული მდიდარის ბუნებითა. აქ ასაფლავია ორი დიდებული პოეტი სპარსეთისა: საადი და პატიზი. აქაური იყო რეფორმატორი ბაბი, რომლის სარწმუნოებრივმა სწავლამ სრულიად მცირე ხანში შესძრა და შეარყია მთელი სპარსეთი; იქვე, ძალიან მახლობლიად არის ნაშთი და ნანგრევები ღიღესმე სპარსეთის დიდებული და ყველაზედ შესანიშნავი დედა ქალაქისა, პერსეპოლისისა. თვით შირაზიც ხომ რამდენიმეჯერ იყო მთელი სპარსეთის ტახტის ქალაქად.

დღევანდელი სპარსელი სასიამოვნო კოხტა სანახაობის კაცია. აქვს მოგრძო სწორე მოყვანილი სახე, შავის თვალწარბით, შავის თმითა და წვერ-ულვაშით, ზომიერის, მცირედ მოხრილი ცხვირით და პატარა პირით; მომცრო ხელ-ფეხი, გაშლილი გული-მყერდი და შეწყობილი ასო-ტანი. საზოგადოდ, სპარსელს ძალიან მოხდენილია სახე აქვს და კეთილ-შობილური სანახაობა, თუმცა ჩვენებური ლამაზი კი არ ითქმის მასზედ. ამ მხრივ დედაქაცები უფრო გარჩეული არიან; ითქმის ყველა მათგანი ლამაზია, მაგრამ, რასაკვირველია, თავისებურის სილამაზით. მსხვილი დიდრონი კუმეტივით თვალები, გრძელის დახრილი წამწამებით და, კამარად გადაყვანილის ლა-

შინის წარბებით, გამოპმეტყველებენ მის მიმზიდველობას, მის ეშხსა და სილამაზეს, მის შინაგან ღირსებებს, მის მომჯადოებელ ძალას.

სპარსელები ტანით სულ ერთი ზომისანი არიან; რომ იყოს მათში მაღალ-დაბალი, ძლიერ ორი-სამი თითის დადება არ ექნებათ განსხვავება. არ არის მათში აგრედვე სქელი და მსუქანი ხალხი, თითქოს სულ ერთს ყალიბში არიან ჩამოს-ხმულნიო. ფერი სპარსელს ყველას გაცრეცილი, მკრთალი და გაფითრებული იქვს. ერთის შეხედვით უცხო თვალს მთელი ხალხი იყადმყოფი ეგონება. ნამეტნავ შესანიშნავია ამ შხრივ გილანი, რადგან აქ თვით ქვეყანაც დაჩრდილულია; ხალხს ამის გამო თეორი ფერი აქვს და სისხლ-ნაკლებობისაგან პირის კანი სრულიად გამჭვირვალი, ციცინათელა გასდით.

მიზეზი ამისი არის ჩეელობა სისხლის გამოშვებისა. ყველა სპარსელი ახალს გაზაფხულზედ იშვებს სისხლს. მომეტებული ნაწილი კი ამითი არა კმაყოფილდება: ზოგნი ყოველ ახალ მოვარეზედ იშვებენ სისხლს და ზოგნი ყოველ კვირა ანუ კვირაში ოჯახელ-სამჯერაც. ისე შებუნებებული აქვთ ეს ჩვეულება, რომ ვინც თავის ვადას ვადააცდენს, ავად ხდება.

სპარსელი კაცი იღებავს ინით წვერსა და ულვაშს, ხელი-და და ფეხის ფრჩხილებს, იპარსაეს თავს და იყრეინებს ტანზედ ბალანს. ქალი კიდევ იდებს წარბებზედ ბასმას და ფრჩხილებზედ ინას.

სპარსელი კაცი საშინელი ტკბილი, საყვარელი ადამიანია. დიდი პატივისცემა იცის უცხოსი, ანუ, როგორც ისინი ეტყვიან, ყარიბი კაცია. საღაც კი მიესულეარ, ნამეტნავ სოფლებში, დიდი პატივისცემა მქონია მუდამ მათგან. კაცი თუ ქალი ბუზებივით ეხვევიან უცხო კაცს, ერთს წამს არ მოაწყენენ, თუ ნამეტნავ ავი და ცუდი არა შეამჩნიეს-რა. ზრდილობას მისას ხომ საზღვარი არა აქვს; ვიდრე ერთს რამეს დაგელაპარაკებოდეს, ათჯერ ჰირს მოგქამს, ოცჯერ თავს შემოგვევლება.

მე და ერთი სომეხი მიედიოდით ლალაზარის ქუჩაზედ, თეირანში. წამლებეჭია ერთი სპარსელი და სალამი მოგვცა;

შერე რამდენჯერმე მოგვიყითხა და, როდესაც ჩემმა ამხანაგმა მაღლობა გადაუხადა, მაშინ ხომ სულ ჯიგრიანად დაუწყო მო- კითხვა და გამოყითხვა, გეგონებოდა ოცი წლის უნახავი მე- გობრები შეხვედრილან და ერთმანეთის სიყვარულით ვერ გამძლა- რანო. სულ კი რა იყო ეს ამოდენა ამბავი? სპარსელს უნდოდა ეკითხნა ამ ჩემი ამხანაგისთვის, რომ აქეთ მავანსა და მავანს უნდა გაეყლო და ხომ არ დაგინახავსო? და როდესაც ამისა- გან პასუხი მიიღო, ახლა ერთი იმოდენავე ხანი ბოლიშებს, მა- დლობასა და გამოთხოვებას მოუნდა.

ამ ენა-ტკბილობასა და ზრდილობინობაში, სპარსელი პირ-ფერია. ისე მოაჯადოებს ენას და ისე გაგაშიშვლებს ამ თა- ვისის ენა-ტკბილობით, რომ შენვე მაღრიელი დარჩები. უყვარს ძალიან ტყუილი სიამოვნება კაცისა ანუ, როგორც თვითონ ეძახიან „თააროტი“: გეტუების და დაგპირდება,—ერთ წამს ათ- ჯერ გასიამოვნებს, მაგრამ, რასაკვირველია, ცარიელის სიტყვით, ტყუილის დაპირებით.

როდესაც, დაბრუნების დროს, თეირანიდან ყაზვინს მივ- დიოდი, ერთ ყაზვინელ სომეხთან გასაცნობი წერილი მქონდა თეირანიდან, იქაური ჩემი მეგობარი სომხებისა. მოსვლისათა- ნავე ვინახულე ყაზვინში ის ყმაწვილი და გადავეც წერილები. იმის გარეგან სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა,—არ იკოდა როგორი პატივი ეცა. მეორე დილით მოვიდა ჩემთან ქარვას- ლაში ხანახვად. მომიყვა ისეთ სასიამოვნო და საყვარელ ლა- პარაკს, რომ ძნელიდ თუ რომელიმე სპარსელი მას გადააჭარ- ბებდა, ქათინაური ქათინაურს შეუწყვეტლივ მისდევდა. მერე მითხრა: თუ შეიძლებოდეს, უმორჩილესადა გთხოვთ, გამაბედ- ნიეროთ და, დღეს საღილს უკან, ქალაქში გამომყეოთ სახეი- როდაო; თქვენ ხომ კარგა არ გექმნებათ ეს ქალაქი დავლილი; მოვაყვანინებ შშეენიერს ცხენებს და სულ დაგატარებთ ყველა კუსახე-კუნკულსაო. მე იმათ ქათინაურს ყურადღებას არ ვაქ- ცვედი, როცა რომ ჭივაში დამიჯდებოდა, იმავე წამს თანხ- მობას გამოვუტადებდი ხოლმე და ამ შემთხვევაშიაც, რასაკვი-

რევლია, დიდის სიამოენებით მიეიღე იმისი წინალადება და ძალიან დაუუმადლენ. წავიდა ის, დავრჩით მე და ჩემი თანამოგზაური ხანები. ხანებმა მითხრეს, რომ, რად დასკანხმდი, ეგ უბრძლო ქარინაური იყო, უნდოდა ესიამოვნებინე, თორემ განა მართლა წამოვა სასეიროდა; შენ უნდა იმისთვის • ტყუილი მოდლობა გადაგეხადნა, ის კიდევ გეტყოდა, შენ კიდევ მადლობას ეტყოდი, ის უფრო ძალიან შეგეხვეწებოდა... და მაგითი გათავდებოდა საქმეო. და, მართლაც, არ გასულა ორი საათი მის შემდეგ, ბიჭი გამოეგზავნა იმ სომებს და შემოეთვალა, უკაცრავად, თავრიჩიდან სტუმრები მომივიღნენ და ველარ გიაზლებითო.

ისე ძალიან უყვარს სპარსელ კაცს საზოგადოდ გამორჩომა, რომ ხშირად სალახანობაზედაც გადადის. სადაც კი ჩამორჩეთ, ეინ გინდა და ვინ არა, ყველა თქვენთან მოდის: ეს ქარვასლის პატრონი ვარო, ეს წყლის მომტანიო, ეს ეზოს დამგველიო, ეს საზვერეს მოსამსახურეო, ეს „ზიარათ“ მოსულიო, ეს დარაჯიო და ესეკ არაფრის მოლარე, არაფრის გამკეთებელი, მაგრამ, გახსოვს, წელიან რო დაგელაპარაკეო; — მოდიან და ფულსა გთხოვენ, ყველას უნდა გამოგრჩეს როგორშე. ერთი ტფილი-სიდან წასული ფოტოგრაფი შემომჩიოდა: მოვლენ დიდრონი ხანები და მოხელენი, გამაკეთებინებენ 5—10 თუმნის საქმეს, წაიღებენ სურათებს და მერე ერთი ბალიშის პირს ან მაგიდის გადასაფარებელ სუფრას გამომიგზავნიანო; არ ვიცი თუ როგორ ახერხებენ იმათგან ფულის აღებას მათივე სპარსელი ფოტოგრაფებიო.

როდესაც თეირანიდანა ვბრუნდებოდი, ვარჩიეთ მე და ჩემმა თანამოგზაურმა ხანებმა, ერთი ფურგუნი დაგვეჭირა ყაზვინამდე. ფურგუნში ჩეენს გარდა ორიც კიდევ სხვა იყო, უცხო პირი. ერთი მათგანი მშევნივრად იყო ჩატმული, სულ აბრე-შუმეულით და ჩინებული შალის ტანისამოსით. მიწყნარებული ნებიერი სახე უმტკიცებდა, რომ უბრძალო ეინშე არ უნდა ყოფილიყო, კი შთამომავლობისას ჰგანდა. ბარგი არა ჰქონდარა, ერთს ხელცახოცმი გამოეკრა მთელი თავისი ავლა-

დიდება. ჩვენც, რასაკეირველია, შევთავაზებდით ხოლმე, თუ ვახშმობა იყო—ვახშამს, თუ სადილობა—სადილს. თითონ არც არაფერსა ჰქარჯავდა, არც არასა სჭამდა და თუ, ვინიცობაა, ჩვენთან ან სხესათან როგორმე ვერ მოახერხებდა მუქთად გამოკვებას; მოსწევდა თრიაქს და მთელი დღე გამოუფხიზ-ლებლად იჯდა ფურგუნში დარეტიანებული ინდაურივით. როდესაც ყაზვინის ბალებში შევედით, ვნახოთ, ეს ვაჟბატონი გადმოხდა ფურგუნიდან, წამოისხა აბა, დაიჭირა აბის ქვეშ თავისი ნაკრაული და მოჰყვა ფეხით ფურგუნს. მე ძალიან გამიკვირდა, რადგან ჯერ კიდევ 5—6 ვერსი გვაკლდა ყაზვინამდე. მეფურგუნებ რომ შენიშვა, დაუძახა: შენ, ეი! რისთვის ჩამოსულხარ? თუ მაგრე გინდა, ჯერ ფული გადიხაჲეო! იმან უპასუხა:—ვერა მხედავ, ფურგუნს მოვდევ, დავილალე და ქვეითად იმიტომ ჩამოველ, განა გავრბივარ სადმეო! ერთ ვერსამდე კი ასე მოსლევდა ფურგუნს და მერე სად ჩაიყლაპა, ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, არავის-რა გაუგია. აღმოჩნდა, რომ თურმე წინდიც<sup>1)</sup> კი არა ჰქინოდა მიცემული მეფურგუნისათვის.

ხალხი საშინელი მშვიდობის მოყვარეა. ჩხუბი, კაცის-კვლა, იარალის ხმარება, წარმოულგენელი საქმეა იმათში. სრული ერთი წლის განმავლობაში, ყურიც კი არსად მომიკრავს ამგვარ საქმისათვის. ორჯელ-ხამჯერ იყო ჩხუბი, დამიძახეს: მოდი, „თამაშას“ უყურეო, და რა მოხდა? ორი კაცი ედგა ერთმანეთს პირში და ხმა-მალლა ლაპარაკობდნენ. გარს სამას-ოთხასი ცნობის-მოყვარე შემოჩხვევიდა. იმათ თათო დაპიკილეს ხელების ქნევით, თითოც შეუკურთხეს ერთმანეთს და გაშორდნენ, ვითომ, აქაც არაფერი ყოფილაო. ხალხი დიდის მითქმა-მოთქმით დაიშალა, თითქო ერთი რამ სეირი ნახა. მორჩა-მეთქი, შევეკითხე ჩემს ამხანაგს-და, „მაგაზედ მეტი რალა გინდაო“.

მხდალია ამასთანავე სპარსელი ხალხი და საშინელი მშიშარა. ერთი რომ დაპიკილო, ენა მუკელში ჩაუგარდება. ვაჟკაცობა, გულადობა და რიხი მეომრული მწყრალად არიან

<sup>1)</sup> წინდი—ბეი.

დღეს სპარსელებთან. ბევრი კაი სხვა ზნეობრივი მხარეებიც შექმნევია მას. ყოველივე ის, რაც ძველად სასახლო და სა-სიქადულო რამ სჭირდა, დღეს ყოველივე ის დაპირიშებია, ყო-ველივე ის საძრახის საქმედ შესცვლია.

ეს ასეც უნდა მომზდარიყო, რადგან ისტორიულად, ვვო-ნებთ, არც ერთ ხალხს არ გამოუვლია იმდენი ჭირ-ბოროტი, რაც სპარსელს. მართალია, მას დიდი კულტურა ჰქონდა ოდესაში, მაგრამ იმანაც ვერ გაუძლო იმოდენა ნადირი ხალხის დარბე-ვასა და ბატონობას და იგი თითონაც უკან ჩამორჩა წუთი-სოფელსა. მან ამ ბრძოლაში, როგორც უღონომ და სრულიად ძალა-გამოლეულმა, შეითვისა პირვერობა, ფლიდობა და ნა-თხოვრობა. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მარტო ამდენი სხვათა ბატონობა ვერ აიტანა ხალხმა, დაიჩავრა, გაილახა. მერე რო-გორი ბატონობა? ამ წარჩინებული ხალხის ბატონებად ხდე-ბოდნენ თითქმის მუდამ ულირსი ნადირი ხალხის წარმომადგე-ნელნი. ჯერ დღესაც თურქთაგანია (ყაჯრების გვარი) მისი მე-ბატონუ და, ამბობენ, ამ უკანასკნელ დრომდე სულ თურქუ-ლი ენა ჰქონდათ სახელმწიფო ენად შემოადგებული ამ ყაჯრე-ბის საფარეულოსათ. და აბა ახლა თქვენ გასინჯეთ, როგორი ასატანი უნდა ყოფილიყო თუნდა მარტო ეს თურქთა ბატო-ნობა სპარსეთის ერისათვის, რომელიც ეს საშინლად ამაყობ-და და თავს იწონებდა თავისის მრავალ საუკუნიანის კულტუ-რიდა.

მართალია, ძალიან მკაცრი კანონ-მდებლობა იქნა სპარ-სეთს, რომ კაცი კარგა ჩაუკვირდეს, მაგრამ რა ზნეობის გამა-სწორებელი უნდა იყოს იგი სიმკაცრე, როდესაც თვით მეუ-ფრისენი და თვით სჯულთ-მდებელნი წამდაუშუმ არღვევენ ამ თავის საკუთარ კანონ-მდებლობას საქვეყნოდ, მოურიდებლივ. რა ზნეობრივი ზედ-გავლენა უნდა იქონიოს მან ხალხზედ, რო-დესაც ხალხი ცხადად, თავისის თვალითა ჰქონდავს მის დამარღვე-ველად მისსავე დამადგენელს.

სპარსეთში ჩვენი ფოშტალიონის მაგივრად ჰაფრე-ბი, რომელებსაც ნება არა აქვთ არავითარი იარაღის ტარები-

სა. დააქვს მას სახელმწიფო ფული, ათას გვარი რამ ძვირფა-  
სი ანაბარები და, დანა რა არის, დანაც კი არ მოეპოვება ჯი-  
ბეში, რომ დაიცვას ეს ანაბარები. ამბობენ ბოროტ ენანი, რომ  
თვით გუბერნატორები დაახვედრებენ ხოლმე მათ გუბერნიის  
საზღვარზედ თავის საკუთარ მეცნიერებსა და სცარცუავენო და  
როდესაც შაჰი მოჰკითხავს პასუხს, ორივ მომიჯნავე გუბერნა-  
ტორები თავს იმით მართლულობენ, რომ ჩემს სამფლობელოში  
არ მომხდარაო. და მერე ვინ არიან ეს გუბერნატორები?  
შვილნი და შვილი-შვილნი ანუ ძმანი და ძმისწულნი თვით შა-  
ჰისა. მაგრამ აკი მოგახსენეთ, ამას მარტო ავნი ენანი მოუთხ-  
რობენ.

დაუმატეთ ახლა ყოველივე ამას თვით ყორანის სწავლა,  
რომელიც აგრედვე ხელს უმართავს ზოგიერთ უზნეურობაში  
და დამეთანხმებით, რომ დღეს სპარსეთის ქვეყანა ზეობრივად  
ძალიან ძირს უნდა იღეს ყველა სხვა ქვეყნებზედ. ყორანის  
სწავლებით, მაგალითად, შეგიძლიან სამ-გზის გეეყარო შენს კა-  
ნონიერ მეუღლეს; უკე თუ გაჭირვება და განსაცდელი რამ  
შეგემთხვა, შეგიძლიან უარი განაცხადო შენს სჯულზედ, შეა-  
გინო თვით ყორანსაცა და მაჰმადსაც, ხოლო გულსა შინა შენ-  
სასა. ნუ უარ-ჰყოფო და სხვა...

სხვა თუ ისე, მით მანც ისევ სპარსელი სჯობია დღეს  
ყველა სხვა ხალხს სპარსეთში. თუ ვინმე იხსენიება იქ რიგიანი  
და პატიოსანი, ისევ სპარსელი, და მით უკეთესია იგი, რაც უფ-  
რო შირაზის ახლო-მახლო მთებშია შეხიზული და ისე ძა-  
ლიან არ აპრევია უცხო ტომებში. მასთან საუბარი ყოველთვის  
სასიამოენოა, მას კიდევ შეუძლიან მეცნიერობის გატანა, სიტ-  
უცის შესრულება და ქველობა.

სპარსელი, სასოწარკვეთილებას მიცემული ამ თავისის  
უბედური ბედის წერით, მისჩვევია სხვა-და-სხვა რამ მაგარ მო-  
საწევებს, როგორც, მაგალითად, ორიაქსა და მაჯუშს, რომ მით  
გადიყაროს გულიდან ჯავრი, დაივიწყოს ამა სოფლის მწუხა-  
რება და რამდენიმე წუთით მიეცეს ზე აღმაფრენ ოცნებებსა.  
თრიაქს ბევრნაირად ხმარობენ, მაგრამ ყველაზედ უფრო გავრცე-

ლებულია მისი აბივით მიღება. ყველას ჯიბით დააქვს პატარა კოლოფით და შიგ უყრია გორველას მარცვლებივით გაკეთებული თრიაქი. მოუნდება, გაპხსნის კოლოფს, ამოიღებს და გადაპყლაპავს ერთ მარცვალს. ზოგი დღეში ერთხელ მიიღებს, ზოგი ორჯელ, ზოგი სამჯერ და ზოგიც ნ-ნ-ჯერ. მეორე ნაირი ხმარება თრიაქისა არის წევა. ამისათვის აქვს მას ერთი კაკლის ოდენა მრგვალი ნიუარის ჭურჭელი, ამ ჭურჭელს ერთ ადგილას გაყრილი აქვს ერთი ციდა წვრილი ლერწამი ანუ წვრილი რამ ჯოხი, სივრძეზედ ჩახვრეტილი, ეს არის მოსაწევი ტარი. ერთგანაც, ამ ჭურჭელს ქინძისთავის ოდენა ადგილი იქვს შეხვრეტილი შიგ გვერდში. აიღებს ერთი პაწია მაშით, რომლებსაც განგებ ამისთვის აკეთებენ, გაღუებულ ცეცხლის ნაკვერჩხალს, მიადებს ამ ჭურჭელს კედელზედ, სადაც დახვრეტილი ადგილი აქვს და გაახურებს. მოკვლევავს მაშინ თრიაქს, რომლებიც დაზელილი და ტყვიოებსავით დამრგვალებული დააქვს ცალკე ყუთით, ერთი ლობიოს მარცვლის ოდენა ნაჭერს, მიაკრავს იმ გამთბარ კედელზედ, მაგრამ ისე, რომ გახვრეთილი ადგილი სულ არ ამოივსოს. დაიჭრს ცალის ხელით პირში ამ იარაღს და მეორეში განუწყვეტლივ უპყრია იმ პაწია მაშით გავარვარებული ნაკვერჩხალი. შეუბერავს ნაკვერჩხალს, რომ ნავლიარა შეჭრებს-რა, მიუახლოვებს თრიაქს და წწევა. თრიაქი ლხვება ცეცხლისაგან, იწვის, ბოლს უშვებს და ისიც ამ ბოლს ისუნთქავს და ეზიდება ტარიდან.

მე ვნახე სხვათა შორის ქ. ისპაანში ერთი თრიაქის მწეველი ახალგაზდა სპარსელი ბიჭი, ასე 16 წლისა, რომელიც სამი წელიწადია, თურმე, თრიაქს ეწეოდა. თვალები ჩაღრმავებული ჰქონდა ისე საშინლად, თითქოს კეფიდან გამოიყურებათ და თანაც მიმქრალი, სიცოცხლეს მოკლებული, როგორც მომაკვდავი კაცის თვალები. ფერიც აგრედვე მკვდრისა ედვა. ხმა კაცური დაპკარგოდა და რაღაც ხრინწიანი ხმითა წრიპინებდა. ისე საშინლად იყო გაძვალ-ტყავებული, რომ ხორცისა ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა, ხელები და ფეხები დიპლიპიტოს ჯოხებს უგვანდა და სახე მკედარი კაცის გამოხ-

რულ კენჩხას. არავითარი სიცოცხლე არც ლაპარაკში, არც მოძრაობაში, არც ჭამა-სმაში არ ეტყობოდა. მოღუნებული, მოძაბუნებული და ყოვლისფრით გამოფიტული არსება, ზეზეურ მკვდარს მოაგონებდა.

მე ამ ბიჭს კარგა ვიცნობდი, ბევრი ვეცადეთ მეცა და ჩემი ისპაანელი მეგობრებიც, მაგრამ, არ იქნა, ხელი ვერ ავალებინეთ. ხანდისხან, ისიც ვითომ დაგვუვებოდა, დაგვეთან-ხებდოდა, მაგრამ ხასიათი არ შესწევდა; წათლად ჰქედავდა მის ვნებას, თვითვე ამბობდა ამას, მაგრამ გადაჩვევას ვერ ახერხებდა. მაინც ძნელი გადასაჩვევი უნდა იყოს, თუ კაცი ერთი და ერთი მიეჩია, რადგან ჯერ ერთი, თვით კვამლი იმსი საქმარისად მოტკბილოა და სასიამოვნო. და მეორე, ვისაც კა ერთი უგემთა, მის მიერ მინიჭებული ტკბილი წამები, როდესაც იგი ავიწყებს ყოველივე ამა ქვეყნიურ უბედურებას და მიანიჭებს ზეაღმატრენ და სიტკბოებით სავსე ოცნებას, ძალიან ძნელი დასათმობია.

მაინც და მაინც სპარსეთში არ არის ისე ძალიან გავრცელებული თრიაქის წევა. უფრო ნაკლებად არის და ძალიან იშვიათად მაჯუმის ხმარება. სხვა არის სრულიად წყლიანი ყალიონი. ამას ყველა ეწევა პირალებით: დიდიც, პატარაც, კაციც და ქალიც.

სპარსელს, როგორც ყორანის მიმდევარს, რამდენიმე ცოლი ჰყავს და ძალიანაც უკვირთ, რომ ჩვენ ერთის ცოლით ვკმაყოფილდებით. ისინი, როგორც აღზრდილნი ამ ჩვეულებაში, დიდს უპირატესობას აძლევენ ამას. ჯერ ერთი, რომ მომუშავე ხელი მემატება, ამბობს სპარსელი, რასაკვირველია, სოფლელი კაცი, თორე იქაურ დიდ ქალაქებშიაც დიდი კაცის ცოლები ისეთივე მუქთა-მჭამლები არიან, როგორც ეპროპელი ქალები. და მეორე, რომ შთამომავლობას მოვამრავლებო და ეს უკანასკნელი ნამდვილი ჭეშმარიტებაა. როდესაც ჭათალი შაპი, პაპა დღევანდელი შაპისა მომკვდარა, 700 სული, საკუთრივ მის მიერ მომრავლებული, დაპრიმია, რომელთა შორის 100 შეილები ყოფილან ქალები და ვაჟები და 600-იც შვილიშვილები.

საზიზლარი ჩვეულება აქვთ ამასთანავე, რომ ქალს ძლიერ პატარას ათხოვებენ. შესჩულდება ქალი ცხრა წლისა, უნდა მოუძებნონ საქმრო, თორე თუ ათ წელიწადს გადასცილდა, რეგი დარჩომილი ქალი იქნება. ახლა, ამასთანავე, თუ ერთისა და ორის წლის განმავლობაში იმ თითის ტოლა გოგონას შეი-ლი არ ეყოლა, გაპერთქავენ წამლის სმით, რადგან ქალის უშვი-ლობა დიდს ღვთის წყორმადა და განჩრისხებად არის აქ ჩათვლი-ლი. ეს საზიზლარი ჩვეულებაც, რასაკვირველია, ყორანის წყა-ლობით არის შემოტანილი. მაგრამ საქმე ის არის, რომ სპარ-სეთი არ არის ისე ცხელი ქვეყანა, როგორც ტროპიკული არაბეთი და ცხრა წლის ქალი იქ ჯერ ისევ ბაეშვია. შესწო-რება კი ყორანისა შეუძლებელია, რადგან იგი ცით არის მოვ-ლენილი და თვით ღვთის ხელით დაწერილი.

აქვთ კიდევ რამდენიმე სხვა არ-მოსაწონი ჩვეულება. ერ-თი მათგანი არის ბატონ-ყმობა. დღემდე სპარსეთში ყიდულო-ბენ და ჰყიდიან პირუტყვიფით ზანგებს. თუმცა სწორე უნდა, სთქვას კაცმა, რომ ისინი ისე უდიერად არ ებყრობიან თავის ყმებს და უფრო მამაშვილურად ეკიდებიან. მეორე საძაგლო-ბა არის მიწის ჭამა. საიდან ან როგორ შემოულიათ ანუ შერ-ჩომიათ ეს ჩვეულება, ძნელი მისახვედრია.

მაპალათის ახლო ყუმსა და ხონსარს შუა ვნახე ერთი ადგილი. მთლად ნიერარის მიწა იყო თეთრი და ზედ როგორლაცი მოწითანო ზოლები მისდევ-მოსდევლა. სახელად ამ მიწას „თა-ბაშირს“<sup>1)</sup> ეძახიან. როდესაც ვკითხე: ამას არაფერში არ იყე-ნებთ-მეტქი, მიპასუხეს,—როგორ არა ეხლა ვიღაცა-ვიღაცა ევ-როპელები ყიდულობენ, დიდალს მიეზიდებიან და, როგორც შევიტყეთ, ნიერარის ჭურჭელს აკეთებენ. მაგრამ ჩვენ კი არა-ფერ საქმეში არ ვიყენებთ, ჩვენი ხალხი ამასა სჭამსო, და იქ-ვე ჩემი თვალის წინ სამმა-ოთხმა კაცმა აიღეს თითო პატარა ლუქმა და შექამეს. მეც მთხოვეს, რასაკვირველია, აბა თქვენც გასინჯეთო.

<sup>1)</sup> „თაბაშირ“, ჩვენის ძირით, უნდა პნიშნავდეს გვერდებილს.

დღევანდლამდე ყველგან შეჰვდება კაცს სპარსეთში ტა-  
ტუიროვეა, — ქალს, კაცს, ყველასა აქვს. გავრცელებულია უფრო  
სოფლებში, თუმცა ხშირად შეჰვდებით ხანსა და დიდ მოხე-  
ლესაც დადალულს. იკეთებენ პირზედ, ხელზედ, მკლავებზედ,  
მკერდზე და თითქმის კანკებზედაც. გამოისახავენ უფრო ხში-  
რად წრეს მენდლებივით ან სხვა რამე პატარა ფიგურებს. რაც  
მე შემხვედრია, სულ ლურჯი ფერისა. ფერეიდანისაკენ ქარ-  
თველობაში ბევრი ჰქონდათ ქალებს და საკვირველი იყო, რომ  
უფრო მომეტებული ჯვრის სახეებადა ჰქონდათ გამოყვანილი.  
როდესაც ვკითხე ერთ ქართველ ქალს, — რად გინდა, ეგ რომ  
გაგიკეონებია-მეთქი, მიპასუხა: „ლამაზიაო“, განა თქვენში ქარ-  
თველი ქალები არ იკეთებენ.

სახლი ირანში სულ ტალანისაა. მიწა ამრსაოვის ყველგან  
ერთნაირად გამოსაყენებელია, თუმცა უფრო უქებენ სიმკვიდ-  
რეს მიწას ისპანისას, სადაც მე შემხვედრია ასის და ორასის  
წლის ნანგრევები მიწისა, თორე შაჰაბაზის მიერ აყვანილი კე-  
დლებიც, რომლებსაც დღემდე ჯერ კიდევ კარგა უჭირავთ თა-  
ვი. საკვირველია, რომ ეს სკირა, მიწის შენობა, უფრო კედ-  
ლები, ისე ერთბაშად არ იქცევა, არამედ დროთა განმავლო-  
ბაში წვიმისა და სხვა ბუნების მოვლინებათა გავლენის ქვეშე,  
თანდისთან ილევა საპონივით და ცოტ-ცოტაობითა ცვლება  
თავიდან მოყოლებული.

აშენებენ ასე: ერთი კაცი სთხრის მიწას, მეორე წყალს  
ასხას და აუიებს, მესამე ფეხით სდგება ზედა და ჰქელავს, მეო-  
თხე კუბიკურ ფორმას აძლევს და მიეზიდება კალატოზთან. კა-  
ლატოზი აწყობს ამ ნაკრევებს ერთმანეთთან და აერთებს, ისე  
რომ სიგრძეზედ მთლად, რაც ადგილი შენობას უჭირავს, ერ-  
თი მთლიანი ნაკერი უნდა გამოვიდეს. ხოლო სიმაღლე ამ ნა-  
კრევებს უნდა ჰქონდეს ერთი ან ერთნახევარი არშინი და სი-  
განეც, როგორც ქვეაში დაუჯდებათ. ერთ სიგრძეზედ რომ  
გაათავებენ, მოჰყვებიან ახლა მეორეს, მესამეს და მეოთხე მხა-  
რეებს და სანამ ის პირველი კედლიც გამოშრება. მოჰყვება  
კალატოზი ახლა მეორე პირს, ისრეთსავე მთლიან სიგრძის ნა-

კერს და იმავე სიმაღლისას. მოადგმენ ახლა მესამე პირობას, მეოთხეს, ვიდრე იმ სიმაღლედ არ აიყვანენ, რამოდონადაც უნდათ. ხშირად შემხვედრია ძალიან სკირა, ესე ცარიელი ტალა-ხის კედელი, რომელიც ათ კეცად ყოფილა აყვანილი და, მა-ზასადამე, სიმაღლით 10—15 არშინი ჰქონია. კონქები ამ სახ-ლებს ალიზის აგურითა აქვთ შეკრული და გარედან შრითა<sup>1)</sup> ჰლებავენ.

ყველგან სახლის შენებას თუ სხვა რამ ჩვეულებას თავი-სი გასამართლებელი საბუთი აქვს. მაგალითად: ბაქოში და მის მახლობელ სოფლებში ბალახან-სურახანისაკენ, სახლები თლი-ლის ქვისა უდგათ, რადგან სხვა მასალა არა მოეძევებათ-რა ქვა კი ძალიან მორჩილია, რბილი და უბრალოდ სათლელი. გილანისა და მაზანდარანისაკენ, როგორც კახეთში და დასავ-ლეთ საქართველოში, სახლები სულ ფიცრულია და ხშირად ჩალისაც კი (ლაპური), რადგან ეს მასალა ყველაზედ მეტია და ადვილი საშონელი. ირანშიაც — ტყე არ არის, ბაქოს მაგ-ვარი ქვა არ მოეპოვებათ და მიწა კი ყველგან თითქმის თიხა მიწის მავვარია და კარგი იქერს თავს; მით უმეტეს, რომ ირა-ნმა წვიმები არ იცის და თუ მოვიდა, ისიც წელიწადში ორ-ჯელ-სამჯერ მოვა და, როგორც ჩვენში იტყიან „მხე პირს იბანსო“, ისეთი წვიმები იცის. ღვთის წყალობა გაქვთ, თუ დიდი წვიმები იქნება, როგორც გილანში იცის, ისინი ამისთა-ნა შენობებს ვერ გაპირდევნ. ამ ზამთარს ერთ ჯერად ორი საა-თი ნელიად გაბმითა სწვიმდა და, უნდა გეყურებინა იმათვის, არ იცოდნენ რა ექმნათ, და მართლაც ნახევარ სახლებში ის-პანისა ან ბანს გაპიროდა წყალი ან ერთი რამ ნაკერი ჩამო-წოლილიყო.

აგურს ძალიან იშვიათად შეჭკვდება კაცი; ისიც, თუ ან მეჩეთს ან მეფის რომელიმე სასახლეს აშენებენ — მაშინ. უფრო შეძლებული ხალხი კი სულ ალიზისას და სკირასას აშენებენ, რაც უნდა სამიგალითო სახლი უნდოდეთ. მარტო ფერეიდა-

<sup>1)</sup> შენ — ირის თბელი ტალახი, ცოტა ბზენარევი კედლების გასალესად.

ნის ქართველობაში და მათ ახლო-მახლო ადგილებშია ვნახე  
რომ შენობაში ქვს ხმარობენ, ოოგორუც უწინ იყო ჩვენი ქვით-  
კირის შენობები, მხოლოდ იქ კირის მაგიერ იგივე უბრალო  
ტალახია.

სახლებს თითქმის ყველა ქალაქებში ირგვლივ ოთხკუთხს,  
აშენებენ. კაი პირი შიგნით ეზოსაკენ აქვს შებრუნებული და  
შიგ შუაშიც აუზი. ეზოს სუფთადა და ლამაზად ინახავენ და  
ხშირად ყვავილებით ავსებენ. სარკმლების დატანება არ იციან.  
სარკმლის მაგიერ, თუ ჩვენში ერთი და ორი კარი იციან ერთ  
ოთახში, იქ 5—6 კარს აყოლებენ. სარკმელი არც გამოადგე-  
ბა საიმისოდ იქაურ სახლს, რადგან ხალხი ძირს, იატაკზედ  
არის ყოველთვის მოკეცილი და სარკმელს ვერ შესწვდება,  
რომ ჯდომელამ დაინახოს რამე; კარებიდან კი რომელიც ძი-  
რიდან, იატაკიდანვე იწყობა, ჯდომელისაც კარგა შეუძლიან  
კარში ცეკრა და ყურება. თუ ატანენ სადმე სარკმელსავით ამო-  
კრილ რამ ადგილს, შუშებს არ უსხმენ, ჩაჰსვამენ შიგ მისი  
მოყვანილობის მთლიან ფიცარს, რომელშიაც ხარატულად გა-  
მოჭრილია მშვენიერი საროთი, ამისთანა სანათურს ჰქვიან ქარ-  
თულად ლანძეო.

ერთად-ერთი ადგილია მთელს ირანში პატარა ქალაქი  
ხუნსარი, საღაც სახლებს ქუჩის მხარეს ანუ გარეთი პირის  
კედლებში ატანია ნამდვილი სარკმლები. აქვე შექმნდება კაცუ-  
ძალიან ხშირად ორ-სართულიანი სახლები, თუმცა იმავე სკირასი  
და ალიზისა, მაშინ როდესაც მთელის ირანში სულ ერთ-სარ-  
თულიანი სახლები იციან.

შიგნიდან ოთახს აუარებელი განჯინა-წალოები ატანია.  
იატაკი მიწისა აქვს, ზედ ნეკები ჭვენია და იმის ზემოდანაც  
ხალები. ეს არის მთლი იმისი მოწყობილობა.

უფრო შეძლებული უკედ არის, რასაკვირველია, მოწყო-  
ბილი. ამათთანებს ყველასა აქვს ერთი სასტუმრო ოთახი, რო-  
მელსაც წინა პირის კედელში, ეზოს მხარეს, ზედ შუაზედა  
ერთი დიდი სარკმელი აქვს ოთხკუთხი ანუ მომრგვალებული.  
სარკმელი წვრილ-წვრილის ჩარჩოებით სხვა-და-სხვა სახეებად.

რის გამოყვანილი და შიგაც შერჩევით უსხედს ფერადი შუ-  
შები. სადა ფანჯარა და ოქონი შუშა იმათში არ შეიძლება.  
კედლები ამ სისტუმრო ოთახისა საროთად არის გამოყვანილი  
და საროთის მიხედულობით ფერადი საღებავით შეღებილი.  
შიგა-და-შიგ ატანია პატარ-პატარა სარკის ნაჭრები და ფერადი  
სურათები.

მოწყობილობა ოთახისაც მეტი აქვთ: ამისთანა სახლებში  
უდგათ ერთი ან ორი ტახტივით შეკრული კუშეტკები უშვე-  
ლებელის მუთაქებით, ერთი მაგიდა ნაკერ სუფრა გადაფარე-  
ბული, ორი ან სამი სკამი და ორი ანუ სამიც ლამპა. ბუხარი  
ყველგან ძალიან ლამაზი იციან, თუმცა შიგ კი ცეცხლს არ  
აჩენენ, რადგან შეშა არ იშოვება.

ზამთარი არ იცის ძალიან ცივი და დაბრიყვებული აქვთ.  
დააღვიებენ ზამთარში ცეცხლს მაყალზედ, დასდგამენ შუა  
ოთახში, დააღვიებენ ზემოდან ერთ დაბალ ფეხებიან მაგიდას  
და გადაფარებენ ზედ დიდა და სქელ საბანს. ხალხი გარე-  
შემო შემოუმწურივდება, შეჰყოფენ შიგ ფეხებს, გადმოიფარე-  
ბენ მუხლებზე საბანს და რამდენიც უნდა უქშუვლოს ქარმა  
და სიცივემ ლანძვიდან ანუ სარკმელიდან და ხშირად ლია-  
კარებიდანაც, ისინი ყურსაც არ გაიბერტყავენ.

სულ ძალიან მდიდრისა ანუ რომელიმე დიდი პირის სახლი  
ხომ უფრო გაირჩევა ყველა დანარჩენებიდან. მათ სახლის კედ-  
ლები გარედან მთლად მარტაცის აგურისა აქვთ და შიგნიდანაც  
მთლად სარკისა საროთით გამოყვანილი. მშვენიერი სარკმლები-  
ლამაზის ფადებით არის შემზული და სახლის მოწყობილობა და  
ავეჯიც ბევრად განსხვავებული და სრული. სხვათა შორის ამ  
ოთახის მოწყობილობაში მიიქცევს უფრო კაცის ყურადებას  
შუშის კურკელი, როგორც მოსართავი რამ; შიგ შუა ოთახში-  
არის ერთი გრძელი მაგიდა და ალაგია ზედ 10—15 ლამპა,  
ამდენივე კანდელაბრები, ვაზები და სხვა-და-სხვა გვარი იშვია-  
თი კურკელი შუშისა და ნიუარისა. ხშირად შეჰვდება კაცი  
ამ დიდებულთა სახლებში ჯვარედინა მიჭვრიტანა ოთახს მრა-  
ვალ კალებითა და კანდელაბრებით და ბევრჯელ მარმარილოს-

აუზითაც, საიდანაც ამოდის მრავალი წვრილ-წვრილი შაღრევ-ნები. არიან აგრედე ისეთნიც, რომ სრულიად ეკროპულადა სცხოვრობენ, როგორც ამინ სულთანი, დღევანდელი საღრა-ზამი სპარსეთისა.

ლამაზი იციან ყველამ მისავალი სახლისა, კარის ბჟე. თვით შესავალი კარი სქელი ტლანქი ფიცრებისაა, შეერული და მუ-შტის ოდენა თავიანი ლურსმები უსხედს. რეინის გასაღები იმ ტლანქი კარისა იქმნება თითქმის ერთ არშინზედაც გრძელი და, იცოდე, რომ თუ ვისმეს ღამე კარი დაუკეტნია და ქუჩა-ზედ მიდის, იგი შეიარაღებულია: ხელთ უჭირავს ერთი ისეთი უშველებელი რეინის გასაღები, რომ ზოგიერთ ხანჯალსაც არ ჩამოუვარდება მტრის მოსაგერებლად. წამეტნავ ჯულფაში გა-მაკვირვა ამისთანა გასაღებებმა.

საზოგადოდ ამათ სოფელ-ქალაქებსა და ქუჩებს ციხე-გალავნების ფერი სდევს. მომეტებული სოფელ-ქალაქი სულ მაღალ-მაღალ გალავნებ შემოვლებულია და გალავნებსაც აქა-იქ ბურჯები ატანია. ქუჩაშიაც რომ შესდიხარ, ყველა ქუჩას თავის დასაკეტი ალაყაფის კარი აქვს ერთი თავიდანაც და მე-ორედანაც. ხშირად, ერთი ვერსის მანძილზედ რომ გინდოდეს გავლა ქუჩიდან ქუჩაში გასავლელად 6—7 ალაყაფის კარი უნდა შეიარო. ყველა ეს პმოწმობს, რასაკვირველია, მხოლოდ იმას, რომ დღემდე სპარსეთი სულ განუწყვეტელ შიშში ყო-ფილა; თუმცა ამტკიცებს აგრედვე იმასაც, რომ სპარსელს, თვით მხდალს, უნდოდა უშიშარ-ეყო თავისი ცხოვრება ამ ციხე-გალავნებით, რადგან თავისი საკუთარი შნოსი იმედი არა ჰქონდა. ფერეიდანში, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს კაცს, ვერ შექხვდება ვერც ერთ სოფელს, გალავანში შემომწყვდეულს, მაშინ როდესაც, თუ საღმეა შიში, უპირველესად აქ არის, რად-გან, გარდა გარეგან მტერთა, თვით მათი მეზობლები, ბახტი-არნი და ლორნი მზად არიან მუდამ აიკლონ და აამტვერონ მათი ადგილ-მამულები.

ქალი იცვამს პატარა და მოკლე ჯუბას, რომელიც სწო-რედ წელამლინ აღგია. აქავ წელზედ, საღაც თავდება ჯუბა,

შემოჭირებული აქვს ერთი მოკლე კაბა. კაბას ექმნება სიგრძე ნახევარ არშინზედ ცოტა რამ მეტი და ხშირის ნაოჭისაგან ისე ყალხზეა შეყენებული, რომ ძალიან გურიედ უფარავს სიტოტვ-ლეს. ფეხებზედაც გრძელ-ყელიანი წინდები და მორჩა მისი სამკაული. სახლში ქალს სხვა არა აცვია-რა; გვერდით უდევს ერთი უბრალო ჩაღრი და წამოისხამს, როცა ჰსურს. მათი შინაური ჩატმულობა საშინლიდ მოაგონებს ბალეტის ანუ ცირკის მოთამაშე ქალების ჩატმულობას. მაგრამ როდესაც გარეთ გამოიდის ამ ჩატმულობას ემატება კიდევ შემდევი.—წინდების მაგიერ ამოიცომს ფეხებზედ ორ საშინელ განიერ ტოტს, რომლებიც მუხლის ზევით უნდა იყოს ზორტებით შეკრული. ფეხის კოჭებთან ეს განიერი ტოტები ნაოჭად არის მოკრებილი და შეკრული, კოჭებს ქვემოდ კი წინდის მაგვარად არის გამოყვანილი. ჩატყოფს ფეხს მშვენიერ კოხტა ტუფლებში, გეეხვევა თავიან-ფეხიანად ძვირფას შავი ფერის ჩაღრში, აიკრავს პირზედ მაკნაკს და მზად არის კარზე გამოსასვლელად.

მაკნაკი ორნაირი იკიან: ერთია ძუის ნაქსოვი შავი ოთხკუთხი ნაჭერი, რომელიც შავის ზორტებითვე აქვს უკან შეკრული. ნაქსოვი ოთხელია ძალიან როგორც ბლონდი და ამიტომ ოვალებისათვის ამოკრილი რამ აღგილი არა აქვს. გარედან შესახედავად ბერიკასა ჰგავს და, როგორც დამარტმუნებს, ეს ჩვეულობა არაბეთიდანა ყოფილა შემოტანილი მაჭადის სარწმუნოებასთან ერთად. მეორე მაკნაკი არის პირსახოცივით გრძელი ნარმის ნაჭერი, რომელიც ორის წვერით უკან თავზედა აქვს შეკრული ფირუზებით ანუ ალმასებით მოკედილი შესაკრავებით. გასახედავად და დასანახად სწორედ თვალების ოდენა აღგილები აქვს დაჭვრეთილები.

სოფლებში ქალებს კაბა გრძელი აცვიათ, თითქმის მუხლებს არის ჩამოცდენილი და ანუ განიერი პერანგის შემდევი, მაგრამ კანჭები მაინც ამათაც ტიტოლები დააჭვთ. სოფლებში ქალები პირახდილნი დადიან და ჩაღრსაც, თუ არ ძალიან შექლებულნი, არა ხმარობენ.

სპარსელი დედაკაცი ქალაქებში ძალიან შეკეტილ ცხოვ-  
რებაშია, მაგრამ ეს სრულიად არას უშლის, რომ ჩვენი ქალე-  
ბისავით იმანაც თავისუფლად აშლაპუნოს ერთი კუთხიდან  
შეორებში. ბაზრებში ბუზებივით ტრიალებენ, ქუჩებში ხშირად  
კაცზედ მეტი ირევა. შეუძლიან გადაბოტოს ვირს, ჯორს,  
ცხენს, ჩაჯდეს ჩეოში, ჰოროლში, ცხენის რკინის გზაში და  
სხვა. ხშირად შეჭხვდება კაცი, რომ მას ქუჩაში ერთი წივილ-  
კივილი აუტექია, ანუ რომელიმე მეღუქნეს უცვირის და ეჩეუ-  
ბება მაღალის ხმით.

როდესაც ევროპელი ქალი ჰედავს ამათ ესრუ შეკრულ-  
შეჯაჭვულებს, წარმოიდგენენ ხოლმე იმ წამსვე და გადასწყვე-  
ტავენ: სპარსელ ქალს არც ტვინი აქვს, არც გული და არც  
სული; ეგ ხომ ადამიანი არ არის, პირუტყვიაო... მაგრამ მე  
იმედი მაქვს, ვინც უკეთ გაიცნობს, ასე წინდაუხედავად არა-  
ვინ წამოპროშავს. რა ქნას სპარსელმა ქალმა, როგორ შეუ-  
ძლიან ისე ერთბაშად ეწინააღმდეგოს ამ, საუკუნოებით დადგი-  
ნებულს ჩვეულებას, რომ კიდეც არ მოსწონდეს. თუმცა ისიც  
ცხადადა სჩანს, რომ იგი იმოდონად არის ამ რიგსა და წესს  
შეჩვეული, რომ სრულიადაც არა ჰერძნობს თავის თავს უბე-  
ღურად, დაჩაგრულად და პირუტყვთან გათანაბრებულად. ვი-  
საც უნდა, იმათშიაც აკეთებენ საქმეს და შორს რომ არ  
წავიდეთ, შეგვიძლიან დავასახელოთ მაგალითად ქ. ყაზვინე-  
ლი ქალი ფათმა და თეირანელი მარიამი, რომლებმაც თითქმის  
უველა კაცებზედაც მეტი მონაწილეობა მიიღეს და მეტი საქმე  
გააკეთეს ამ 30—40 წლის წინად, როდესაც სპარსეთში აღმოჩნდა  
ახალი რეფორმატორი შირაზელი ბაბი.

რომ არც გულს არიან მოკლებული და არც სულს, და  
იმათაცა აქვთ ის გრძნობანი, რაც ევროპელ ქალს, მე მოვი-  
ცან აქ სხვათა შორის ერთ შემთხვევას, რომელიც მომხდარა  
ამ ერთი წლის წინად ქ. რაშტში.

ყოფილა ერთი ახალგაზდა სპარსელი ქალი და ერთიც  
ახალგაზდა ყმაწვილი, ისიც სპარსელი. ამათ უნახაეთ ერმანე-  
თი და გული შევეარდნიათ. შეუყვარებია ქელს კაცი, კაცს

ქალი და გაუმართავთ ჩურჩულ-კურკური. შიუციათ ერთმანეთისათვის სიტყვა, რომ შენს გარეითად არავინ შევირთაო. გასულა რამდენიმე ხანი; ქალის მამას კაი საქმრო უშოვნია. უთქვაშს ქალისთვის, მაგრამ ქალს უარი განუტადებია. მამას ძალა მოუქმარებია. ქალი თავისაზე დამდგარა. მამას შეუტყვია, რომ მისი ქალი შეყვარებული ყოფილა, ის მის (ქალის) მიერ აღმორჩეული თავის შესაფერ კაცად არ მიუწნევია და უფრო ძალა დაუტანებია. ქალსაცა და ვაჟსაცა ცველა ღონისძიება. უხმარიათ, მიუგზავნიათ მამასთან ვინც კი საპატიო ყოფილა რაშტოი, მაგრამ შეუგდია მას ქვა და შეუშვერია თავი. ბოლოს დაუნიშნავს ქორწილის დღეც. ქალს ბევრი უფიქრი, უფიქრია და, რომ ვეღარა გაუწყვია-რა, მიუწერია თავისი საყვარლისათვის წერილი და ერთი ნათესავის სახლში დაუბრებია. შეყრილან შეყვარებულნი იმ სახლში ქორწილის წინა ღამეს. ბევრი უოხრიათ, ბევრი უტირნიათ, ბევრი ცხარე ცრემლები უფრქვევიათ და შემდეგ ღიღის ხვევნა-კოცნით და სიყვარულით განშორებულან. ქალი სახლში დაბრუნებულა, წაუძრია თითიდან ერთი კაი მოზრდილი ალმასის ბეჭედი, დაუჩეჩენია ქვით წვრილად და წყლით დაულევია (ასე ამბობენ როგორც დევილი). მეორე ღლეს, როდესაც მამას ყველაფერი განუმხადებია და შეუგზავნია ქალის გამოსაყვანად, გაშემებული, ციფი შიცვალებულის გვაძი კი დაპირებით ბალიშებზე გადასვენებული.

კაციც მოკლე პერანგს იცვამს, სწორედ წელამდე, იქანდე დე საღდგანაც იწყობა განიერი პერანგის ამხანაგი თეთრი ან ლურჯი ფერისა. პერანგის ამხანაგი ამათაც იმოდონად მოკლე იციან, რომ მომეტებულად კანჭები ტიტვლები უჩანთ. პერანგის ზევიდან იცმენ ძალიან გრძელს, გულამოჭრილ ახალობს, რომელსაც არც ხრიკები აქვს შესაკრავად არც ღიღილები. წელზედ შემოიჭირებენ სარტყელს, რამდენიმე წვერად დახვეულს, და იმითია ახალოხიც შეკრული. სახელოები გაჭრილი აქვს და მაჯაზედ შესაკრავად ღიღილოები უკერია, მაგრამ დაბალი ხალხი მომეტებულად არ იკრავს მაჯებს და ძალის უკრებივით დაჭი-

დებული აქვთ ხოლმე გაფრიალებული სახელოები. თითონ ახალობი ძალიან ვიწროა, უნაოჭო და, რომ სიარულში არ დაუშალოს, გვერდის კალთები თითქმის სარტყლიდანვე მოყოლებული, მთლიად ძირამდეა ჩაჭრილი. სწორედ ამ ჩაჭრილ კალთებზედ მოკეტებული აქვთ თითო უშველებელი თეთრი ჯიბე, რომლებიც სიარულის დროს სავსე ტომჩებივით დაჰტლაკუნებენ გარედან. ფეხებზედ, წინდიანსა თუ უწინდოს, აცვიათ უველას კარაჭინი (გვევ), იქაური უყელო ფეხ-საცმელი. ჰქეოვენ აქ კარაჭინებს თეთრი ძატისას და ძირებს წვრილ-წვრილად დაჭრილი ხამი ტყავისას უკეთებენ. საზოგადოდ ეს კარაჭინები შნოიანი, მსუბუქი, გამძლე და ძალიან მოხერხებული შემოულიათ. თავზედ იხურავენ ჯამივით მოყვანილ, მაგარ ნაბდის ქუდს, რომელსაც აქვს აგრედვე ხშირად წინ და უკან გასაშვები კალთები თვალებისა და კისრის დასაჩრდილებლად. იხურავენ აგრედვე მეორე ნაირ ქუდს, ცხვრის ტყავისას ანუ შავი ხუჭუჭი მაულისას. ეს ქუდი კაი საკმარისი სიმაღლისაა და შუაზედ გადაჭრილი კონუსის სანახაობა აქვს. ეს იმ ქუდების ნაჩრომია, რომელსაც თავის სიმაღლედ იხურავდნენ ხოლმე უწინ და რომლისათვისაც შაპაბაზს წაუჭრია თითქმის ორი მესამედი ნაწილი. მეტია უფრო ქუდებიანებზედ რიდეებიანი ხალხი. რიდეს იხურავს მოლა, ახუნდი, დარეიში, სეიედი, ვაჭარი და მათი შვილები, დიდი და პატარა. რიდე და სარტყელი სეიედისა ლურჯია ანუ შავი, მოლისჩ თეთრი და ვაჭრისა ჭრელი. ქუდია თუ ჩალმა, რასაკვირველია, შინ და გარეთ თავიდან არ იშორებენ,—და რიდესაც ისე, უბრალო ხალხი დამინახავდა ხოლმე მე ხანდისხან უქუდოდ, ერთი მეორეს ეკითხებოდნენ: „საპაბს ქუდი არა ჰქონიაო?“ ზევიდან წამოსასხამი აქვთ უსახელოებო აბა, ზამთარში მსხვილი მატერიისა, ზაფხულში თხელი, სიფრიფანა, ლეჩაჭივით. მდიდარი სპარსელი, თავისებურ გემოვნებით მორთული, რიდესაც ჩინებულად შეხამებული, სულ შაშიშუშიანი აბრეშუმის ტანისა-მოსი აცვია, არ არის ურიგო სანახავი.

ინტელიგენტ სპარსელებს სრულიად სხვა ნაირი ჩატანა აქვთ: შავი უყელო წალები, უფრო ევროპულები, გრძელი ვიწრო ევრუპულივე შალვარი და ზევიდან სერთუკივით მოყვანილი ნაოჭიანი მაუდის ჩასაცმელი. თავზედ მაღალი შავი ქუდი და, თუ მოხელეა, ქუდზედაც სახელმწიფო ორბი ლომისა და მზისა. ხშირად ისინი აბის მაგიერადაც გრძელ სახელოებ გაყრილ ჩასაცმელსა ხმარობენ. გახამებული პერანგები არ უყვართ, თუმცა თეთრი ხელთათმანები ხშირად იციან.

სახლში, დიდი კაცი იყოს თუ პატარა, ყველაფერი გახდილი აქვს: აცვია მხოლოდ თავისი მოკლე, უკუდო პერანგი და პერანგის ამხანაგი. ვინც უნდა პატივ სადები მოუციდეს, ის ისე ფეხშიშველა და პერანგით დაჭხვდება. თავზედ კი განუშორებლივ ქუდი ეხურება.

სპარსელს არ უყვარს ბევრი ჭამა, მაგრამ რასაცა სჭამს — გემოიანად. უბრალო გლეხი-კაცისათვის საკმარისია ორი ცალი ლავაში და ერთი კაპეიკის ყველი ანუ ნახევარ კაპეიკის გაწურული მაწონი. დააცხებს ამ მაწონს ერთ ლავაშის ნაკერსა მოსტხობს ერთი ბეწვათი ყოველივე ლუქმის და კმაყოფილადა ჰერძნობს თავსა. — ანუ როგორც ჩავლიაღწებმა იციან: ჩააგდებენ ერთ უშველებელ ჯამ-ფილაში ორი ანუ სამი კაპეიკის გაწურულ მაწონს, დააქივლებენ ზედ ბლომად წყალს, გაჭქნიან და ჩაჭფშნიან შიგ ლავაშს. შემოუსხდება მერე 6—7 კაცი და, ორზედ ან სამზედ ერთის კოვზით, ჯერჯერით ისერიან ლუქმებს; თან კი ჯერ-ჯერით უმატებენ შიგ წყალს და ჰყრიან ლავაშს, კიდრე ყველანი არ დაკმაყოფილდებიან.

სჭამენ უფრო ცხვრის ხორცის და ძალიან გამრიელი ხორციც იცის იმათმა ცხვარმა; ძროხის ხორცი მხოლოდ დიდრონ ქალაქებში თუ მოიპოვება. საჭმელები ამათი საზოგადოდ აზიური საჭმელებია: ბოზბაში, ჩიხირთმა (სულ ერთხელ შემხვდა და ისიც სომხის სახლში), წველა, ყაურმა, ტოლმა, ფლავი, ფარინჯი, ქუფთა, ქუფთა თავრიზული, ქაბაბი, მწვავი, სხვა-და-სხვა შემწვრები და სატანებელები ფლავისა. წვნიანს ძალიან ნაკლებადა ხმარობენ.

საყურადღებოა ამათში ქუფთა. ქუფთა ისე არ იციან, წვენში წვრილ-წვრილად ჩაყრილი, როგორც ჩვენში. ქუფთა თავის-თავად ცალკე საჭმელია, ნამეტნავ ასრედ წოდებული, თავრიზისა. ერთ ქუფთას ერთი მთლიანი თებში უჭირავს, უშველებელ ბურთსა ჰგავს. მთლად დაკეპილი ხორცისა და ისე შეკრული, რომ უდანოდ მისი ხელით გაგლეჯა ძნელია.

სამასხარაოა ამათი მწვადები: ათი რომ შეჭამოს კაცმა, კიდე ვერ გაძლება. რომ იტყვიან ჩვენში, დედოფლის მწვადიო, ისეთებია. ხორცს აქუცმაცებენ ძალზედ, ააგებენ ერთ ციდა, წინდის ჩხირივით შამფურზედ და გაუდებენ მასმორის<sup>1)</sup> სიგანეზედ.

მეფე ამათი საჭმელებისა არის, რასაკვირველია, ფლავი. ფლავი ბევრნაირი იციან, თუმცა თითონ კი ვერ მოჰყავთ ბრინჯი, რადგან ირანში საამისო წყალი არა აქვთ და რაც ამათ ბრინჯი სჭირდებათ, სულ გილან-მაზანდარანიდანა და შირაზ-ბუშერის მხრიდან მოეზიდებიან. ფლავს აკეთებენ ერბოთი ჩვენებურად; აკეთებენ უერბოვოდ, რომელსაც ჩლავს ეტყვიან; აკეთებენ აგრედვე წმინდად დაკუწული მწვანილით და „ქუქუქს“ ეძახიან. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ფლავი, თან მოსდევს აუარაბელი სხვა-და-სხვა სატანებლები, როგორც წვნიანები, სხვა-და-სხვა შემწვრები და საწებლები; ზოგია მსუყე, ზოგი ტკბილი, ზოგიც მარახოში. ფლავი თავისითავად საჭმელად არ ითვლება, მას თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს რაც დასავლეთ საქართველოში ღომს; იმას ყველაფერი შესტანდება, ასე წარმოიდგინეთ, ნიორიც, მაწონიც, ყურძენიც, მწნილიც... ამ სატანებლებში უფრო უხდება და უფრო საყურადღებოა ორი. პირველი, ლიმონი. შირაზში სცოდნია ერთნაირი წვრილი, კაკლის სიმსხო ლიმონი, რომელსაც ახმობენ და უგზავნიან ყველა ირანის ქალაქებს. ამ დამხმარ ლიმონს ჰარაშავენ სხვა-და-სხვა ტკბილეულთან და მოაყოლებენ ფლავს,—გემო თუ სუნელება ჩინებული აქვს. მეორე, რკინით მოხარშული ვარიები. ვარიებს

<sup>1)</sup> მასმორი—მაყალი.

საწებელს ქიშმიშ-მუხუდოსას უკეთებენ და მოხარუვაში ატანენ რაიმე ძველ ნახმარ რკინას; ამბობენ, უკეთესია გალესილი უქანგო ნალიო. რკინა კუპრივით აშავებს საჭმელს, თითქო რაღაც უხეირო სანახაობას აძლევს, მაგრამ ძალიან უხდება ამ ფლავს სატანებლად.

პური მთელს ირანში და საზოგადოდ მთელს სპარსეთში ლავაშისაა და ამას თავისი მიზეზიცა აქვს. ირანში, არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება ტყე. არა აქვთ არც შეშა, არც ფიჩი: თონეს ახურებენ ერთნაირი წერილი ეყალა ბალახით, რომელსაც აქა-იქ მთებში აგროვებენ. ამისთანა ბალახით გახურებულ თონეში სქელი პურის გამოშრობა და გამოცხობა შეუძლებელია და ლავაში კი ადვილადა ცხვება. ერთი კაცი რომ თონეში ლავაშს აკრაეს, მეორე დრო-გამოშვებით თითო-ოროლა ეკალს შეაგდებს შიგ, რომ თონე არ განელდეს. ამასთანავე რადგან თონის პირველ გახურებას მაინც საქმარისად ბლომა ეკალი სჭირდება, ამისათვის პურს იქ, ოჯახებში სამი ოთხი თვის სამყოფს, ხან ნახევარ წლისასაც ერთად აცხობენ. როდესაც ლავაში ძალიან გახმება, ამისი შველაც იციან: დააწყაპ-წყაპებენ რამდენიმე წვეთ წყალს და შეახვევენ მცირეს ხნით სუფრაში.

ეს უტყეობა, როგორც მიზეზი ლავაშის ცხობისა, მარტო ირანშია და აქედან მისის ზედ-გავლენით ეს ჩვეულება მთელს სპარსეთს გადაულია. ისე რომ, გილანსა და მაზანდარანში, სადაც აუგრებელი ტყეებია, იქაც კი ცოტა რამ სქელი პური არ მოიპოვება. მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში, ალბად, რუსეთის ზედ-გავლენის გამო, დაუწყვიათ რაშტე ერთ-ორგან პატარა კვერიებივით ცოტა სქელი პურის ცხობა, თუმცა ოჯახებში ყველგან ისევ ლავაშია და ბაზრებშიაც მომეტებულად ლავაში იყიდება.

ღვინოსა და არაყს სპარსელი ჰსგაშის და ძალიანაც უყვარს. მხოლოდ ერთი მეორის წინ ვერ გაბედვენ დალევას, ორივეს ერთ-მანეთის ეშინიანთ, მაგრამ თუ ერთი გვერდზე მიიღეს თავი, იცოდე, ორივეს დაულევნია. ამ შემთხვევაში ძალიან ხელს უწყობს

თეირანს ევროპელი ხალხი მათის სასტუმროებით და ისპაანს —ჯულფა სომხებისა. ამ დღით მოდის და მოდის ულეველად სპარსელი ხალხი —ისპაანიდან ჯულფას: მოვა, გამოითრობა, გამოიბრუნება, იქვე გამოიძინებს და მიღის არხეინად; სხვა არავითარი საქმე არა აქვთ-რა ჯულფაში. მართალია, ეხლა სპარსელს ძალიან ბევრსა აქვს სახლში ღვინოცა და არაყიც, მაგრამ თავის სახლში კიდევ ისე უშიშრად და გაბედვით ვერა ჰსეამს, როგორც ქრისტიანის სახლში, საღაც მას ვერავინ თავის მოძმე სპარსელი თვალ-ყურს ვერ ადევნებს.

ღვინოს კარგს აყენებენ საზოგადოდ მთელს ირანში. ღვინო გილანისა პირში არ ჩაიშვება: წყალ-წყალა და მეუყე და დიდი გარჩევა აქვს ირანის ზეგანის ღვინოებთან; თუმცა იქაც სხვა-და-სხვა ადგილმა სხვა-და-სხვა ღირსების ღვინო იცის. ყველაზედ მდარეა იმათში უფრო ყაზეინისა და მერე თეირანისა. ნაკებია უფრო ჰამაღანისა და შემდევ ისპაანისა. ისპაანის ღვინო, ჩემის აზრით, არ ჩამოუვარდება ბევრ კაი ღვინოს კახეთისას. და შირაზის ღვინო ხომ სულ სჯობია ჩვენებურ ღვინოებს და ბევრს საფრანგეთის სახლოვან ღვინოებსაც მოუცვდება იმასთან. შირაზისას ეძახიან ამ უკანასკნელ ღვინოს, მაგრამ შიგ შირაზში კი არ აყენებენ. იმის ახლო არის ერთი ჰატარა სოფელი ხოლარი, სრულიად ხრიკოსა და უწყლო ადგილებში გაშენებული და იქ მოდის იმ სანაკებო ღვინის ყურძნი. იქ ხილიც, როგორც მმბობენ, ყველა სხვა ადგილებზედ უკეთესი სკოლნია.

სიკეთე მათის ღვინისა არ აიხსნება, რასაკვირეელია, იმითი, რომ მათ უკედ იცავდნენ სხვეებზედ ღვინის დაყენების ხელი. ამისი შიზეზი არის თვით მზის გულა ქვეყანა. აქ, ირანის ზეგანზედ თიბათვიდანვე შემოდის ყურძნი და გიორგობის თვის დამდეგამდე სულ ცხარე მზეზეა ზედ ვაზებზედ შერჩენილი. ჩვენში კი მარიამობის თვის დამდეგს ძლივს შემოდის და ვიღრე რიგიანად დამწიფდებოდეს, უკვე თრთველი უსწრობს ხოლმე.

ეხლა მე აგიწერთ, როგორა სჭამენ ისინი სადილს. თეირანში მყოფობის დროს მე მიმიწვია საღილად ერთმა დიდმა

ხანმა; დაპატიუებული ჰყავდა სულ თავისი შესაფერი ხალხი, ოცამდე კაცმა მოვიყარეთ თავი. მიგვიწვიეს პურის კამაზედ ერთ კაი მოზრდილ ოთახში, საღაც თითქმის მთელი ოთახის სიგრძე-სიგანეზედ ერთი მთლიანი სუფრა იყო ძირს ხალიჩებზედ დაფენილი. ყველასთვის ცალკე სამზადისი იყო დალაგებული თავისის დანაჩანგლებით, კოვზებით, ჭიქებით და ხელ მანდილებით. სამსა და ოთხს ადგილას იდგა დიდ-რონი სპილენძის ჯამებით „ჩობან - ბოზბაში,“ დახუფული იყო პოწოლა სპილენძისავე ხუფებით. შუა სუფრაზედ იდგა ორი დიდი სინი. ერთზედ მთლიანი შემწვარი ცხვარი იყო და მეორეზედ ფლავი და ისეთი დიდი იყო ეს ფლავით თავმობმული სინი, რომ ორ კაცს გაუჭირდებოდა მისი ადგილიდან დაძრა. ჩვენი თებშებიც, ყველასი სავსე იყო ფლავით. შევედით და შემოვუმწირირივდით სუფრას. მე ცოტა შემიბრალეს, ჩვენებურად ვერ დაჯდებაო და ქვეშ ერთი დიდი მუთაქა დამიდეს. დავსხედით თუ არა სუფრაზედ, გადავვაბოტა ორმა წინდიანმა სპარსელმა, გადვიდნენ სუფრაზედ და ჩაკუნტლენენ თაიგულებივით, ერთი ერთ სინთან და მეორე—მეორესთან. ერთის მოვალეობა იყო მიემარჯენა ხალხისათვის ფლავი და მეორისა—შემწვარი ცხვარი, მაგრამ ვერაფერი სასიამოვნო იყო ამათი სამსახური: ხან ერთს აუშვერლენენ კურტუშს—ხან მეორეს, ხან ერთს აუფრიალებლენენ ცხვირ-წინ ზედ კერძნებდ თავის განიერ შალვრის ტოტებს—ხან მეორეს. შემოჰქონდათ ახალ-ახალი სხვა-და-სხვა ნაირი ფლავი სხვა-და-სხვა ნაირი შემწვრებითა და სატანებლებით. ძალიან ბევრი და გულუბვი საჭმელები იყო მოტანილი. ჩემს მეტს არავის აულია ხელში კოვზი და დანაჩანგალი. თვით მოსამსახურეც კი ხელით ჰელეჯდა თითო ასოს შემწვარ ცხვარს და სთავაზებდა სტუმრებს. ჭამაში ყველა მარტო მარჯვენა ხელს ახმარებდა და მარცხენათი სუფრაზედ იყვნენ დაბჯენილნი. მარჯვენა ხელზედ მაჯები ჰქონდათ გადაწეული და ხშირად ნიდაყვამდინაც კი ჩამოსდიოდათ წუნწკლები. ასე გასინჯეთ, წვენშიაც ხელსა ჰყოფდნენ და ხელით ამოჰქონდათ წვენი და ხორცი ფლავთან შესატანებლად. ხორცი რომ აიღებ-

დნენ, იმ ცალის ხელით უნდა მოეგლიჯნათ ლუკმები, მთლიანად პირში ჩადება და კბილებით გლეჯა არ არის მიღებული. ამისათვის ის ხორცის ნაჭერი საშინლად ეჭიჭყნებოდათ და ესრისებოდათ ხელში. წამდაუწუმ ილოკავდნენ სათითაოდ თითებს. გალოკილ ხელს ჩაჭყოფდა მეორე ნაირ საჭმელში და კვალად უნდა გაელოკნა, თუ ახლა მესამენაირი საჭმელი უნდა აეღო; გალოკილი ხელით იღებდა მარილს და იყრიდა წინ ლავაშზედ ანუ პირდაპირ სუფრაზედ; გალოკილი ხელით იღებდა სინიღან და აწვდიდა თავის მეზობელს ხორცის ნაჭერს; გალოკილი ხელით იღებდა ღვინოს ჭიქას და ჰსეამდა სადლეგრძელოებს. სადილის გათავებამდე არც ერთს ხელი არ უხლია ხელმანდილისათვის, მაგრამ სეირი იყო, როდესაც გათავდა სადილი; ასტეხეს საზიზღარი ბოყინი და ისეთის საშინელის ჭეკა-ჭუხილით, რომ კინაღამ იქვე ამომანთხია, რაც მე იმათ მაკამეს.

ერთია პურის ჭამა სპარსელისა, დიდი იყოს იგი თუ პატარა, მაგრამ ბლომად არიან დღეს იმათშიაც მოსმენილი და შეგნებული ხალხი, რომლებსაც ისეთი ქუვა აქვთ და ისე ცხოვრობენ, გეგონება შიგ შუაგულ პარიუიდან მოუყვანითო. როდესაც მე ისპაანიდან ქართველობისაკენ მიედიოდი, ერთმა სპარსელმა დიდმა კაცმა მიმიპატიუა. წინა დღით ჩემთან იყო და მთხოვა: ხეალ მთელი დღით ჩემთან მობძანდით, პურიც ერთადა ვჭამოთ, და დროებაც ერთად გავატაროთ. თან ნურავის წამოიყვან, მე მინდა ისე, შინაურულად ჩვენში ვისიამოვნოთ, არც არავის მე დავპატიჟებო. მეც წავიყვანე თან ერთი ჩემი მეგობარი ჯულფელი ყმაჭვილი კაცი და წაველ გამოთხოვნის სადილზედ. წინადაც ბევრჯელ ვყოფილიყავ იმასთან, მაგრამ არც ერთხელ არ მისიამოვნია ისე, როგორც იმ დღეს. მართლა არავინა ჰყავდა: ის იყო თავისის ერთი შეილით და მე და ჩემი მეგობარი. სუფრა გაშლილი იყო. ერთს პატარა მაგიდაზედ, ისე გაწკრიალებული იყო. ყველაზერთი, რომ ბევრ კაი ევროპელს შეენატრებოდა. რა მშვენიერის გემოვნებით მოხატული სერვიზები, რა ძვირფასი დანაჩანგლე-

ბი, რა საუზე იყო ზედ გაშლილი და რა სასმელები. ვიდრე სუფრაზედ დავსხდებოდით, მოგვაროვეს მაღალი მოხატული ნიჟარის ჭურქლით თითო შარბათი ყინულით. სადილზედ შემოიტანეს ჯერ ტოლმა ახალი ვაზის ფოთლისა, მერე წვნიანი, მერე ერთნაირი რაღაც შემწვარი და მერე მოპყვა სხვა-და-სხვა ნაირი ფლავი თავისის მრავალფერი სატანებლებით. მერე, შემოიტანეს ტკბილებული და უკანასკნელად თითო სხვა ნაირის ჭურქლით ახალი დო ყინულში გაციებული, ეს იყო პირის ჩასაწმენდი. ამ სადილზედ ჩემი ყურადღება მიიქცია, როგორც პირველად ნანახმა, ორმა საჭმელმა: ერთი იყო სალათა — ისპანაზი მაწინში გაკეთებული და მეორე ფსტის მწნილი, ორნივ კარგი გასტრონომიული საჭმელები. სადილს შემდეგ მოგვაროვეს ჩაი და ძილის შემდეგ შემოიტანეს სალათა. ერთ ლანგარზედ ელაგა ცოცხებივით ძალაზედ გრძელ ფოთლიანი დარჩეული სალათა და მეორეზედ იდგა ჯამით „სერქეშირ“ ანუ ძმარ-ტკბილაო, როგორცა სჩანს ამ სიტყვის მნიშვნელობიდან. მე ამის ჭამა არ ვიცოდი. აჰელეჯავლნენ თითო ფოთლს (სიგრძით არშინს აღარა აკლდა-რა), ამოაწებლნენ იმ „ქმარ-ტკბილაში“ და შეეცემოდნენ. გავუსინჯე მეც გემო და ძალიან მომეწონა, ნამეტნავ იმ სიცხეში, ძილის შემდეგ. პატარა ხანს უკან კიდევ ჩაი მოგვიტანეს. ჩაი იმათში ძალიან მიღებულია. სჭამს რასმე, ჩაის დააყოლებს. ჰსმენ ძალიან პაწია ჭიქებით, მაგრამ სამოგვარი გადაუღებელი აქვთ და ყოველ ნახევარ საათის შემდეგ ჩაი ხელ-ახლა უკლის სტუმრებს.

ჩიქი სპარსელისა, სწორედ რომ გასაკვირველია; ამ მხრივ, ჩვენის აზრით, ძნელად თუ რომელიმე ური შეეღრება. მისი მეტსივრება, საზრი და საჭმეში ჩაკვირვება, მისი სწრაფი მოფიქრება, ორიგინალობა და აღვილად შეფარისება ყოველივე საქმისა, რაღაც ინტელიგენტურ ფერსა სდებს ყოველივე უბრალო სპარსელსაც კი. რას იტყვის ისეთს კაცი, რომ სპარსელმა ნახოს და იმავე წამს თვითონაც არ გააკეთოს, თანაც ცოტა რამ ცელილებით, თავისებურად, ორიგინალურად. ის უთუოდ ან დააკლებს ინ მოუმატებს რასმე და შეიქმს უფრო ადვილ

სახმარებლად. რას იტყვის კაცი ისეთს, რომ სპარსელმა ხელი არ წაავლოს და სრულიად მოუმზადებლივ, მხოლოდ თავისის საკუთარის ფიქრითა და მეცადინეობით, რამე საქმე არ გამოიყვანოს. დღევანდლამდე სპარსელს არაფერ საქმეში არა ჰყავს არავითარი მასწავლებელი და გამრიგებელი, არა აქვს სახელმძღვანელოდ წიგნი, ვერა ჰქებავს სანიმუშოდ თვით ნიეთს, მაგრამ თავისი საკუთარი ჭიკვითა და მოსაზრებით ბევრს ისეთ რამეს ახერხებს, რომ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც თვალ საჩენ ადგილს დაიკვერდა.

მე ვნახე თეირანში მშვენიერი ხელოვნური მუშაობა მილანქარისა ერთი ყმაწვილი კაცის, რომელსაც არც უნახავს სადმე ამისი კეთება და არც არავის უსწავლებია და თავისად მიუღწევია ამ ხელოვნებამდე. ვნახე იქვე მხატვარი, რომელიც, თავისით, ჩინებულ ტიპებსა ჰხატავს ფერადის წამლებით. ვნახე საროთის ხელოვნობა ხეზედ ყუმში და აგრედვე შირაზის ერთი. მახლობელი სოფლიდან მოტანილები. აკეთებენ მაგიდას, სკამებს, ყუთებს, ჯოხებს და რა სახესა ჰბრძანებთ, რომ ზედ სინამდვილით არ იყოს გამოყვანილი. სადაც კი, ევროპაში, ნახონ ეს ხელოვნება მე დარწმუნებული ვარ, დიდად გაუკვირდებათ, მით უმეტეს, რომ სპარსელს ამების საკეთებლად არა აქვს არავითარი შემუშავებული რამ იარაღები და მოწყობილობა. ვნახე ლითონზედ და ოქრო-ვერცხლზედ ასეთივე ხელოვნური ნამუშავარი. ვნახე მათი ჩამოსხმული მორფები და ჭორტები და სხვა და სხვა. საკარისია კაცმ სახეში იქონიოს მარტო მათი საროთის კეთება ოთახებში და მარტაცის აგურებზედ გამოყვანილი მხატვრობა, ისე სამაგალითოდ ფერებ შერჩეული, რომ დაგვეთანხმოს ამ აზრზედ. მაგრამ რა იქმნება ეს იმათი ნიჭი, თუ მას მფარველი არავინ ეყოლება და ყოველივე გარემოება მას ხელს შეუშლის?

ერთ სპარსელს გამოვიდნა ერთი რაღაც უცნაური სამოვარი. დიდი ყოფილა ძალიან, 24 შროჭი<sup>1)</sup> ჰქონია და გარედანაც მთელი სპარსეთის მეფეები ყოფილა თურმე ზედ გამო-

<sup>1)</sup> შროჭი—ონჯანი, კრანი.

ყველილი. ევროპელები მეუბნებოდნენ, რომ მაგის მაგებარი რამ ევროპაშიაც არ გვინახავს, ისეთი, რაღაც სხვა რამ არისო. დღესაც თავის მუზეიში უდგა თურმე შაჰს. შაჰს, რომ უნახავს, ძალიან მოსწონებია,— „ბარიქალლა, ბარიქალლაო,“ უთქვას და ათი თუ თურმეტი თურმანი (თურმანი 2 მანათია) უწუქებია მის გამკეთებლისათვის. საწყალს გამკეთებელს ისე სწყანია, რომ დაუკრავს ფეხი და სპარსეთიდან გადაკარგულა,— დღესაც არ იციან, სად არის, სად არა. განა არა ჰგავს ეს საჭმე ვირისა და ბულბულის ამბავს?

მე ვიცნობდი ისპაანში ერთ 17—18 წლის სპარსელს. ჩაც ენახნა, რისთვისაც ყური მოეკრა, ყველაფერი შეეთვისებინა. ესწავლა სხვათა შორის თავის-თავად ფოტოგრაფია და ჩინებულ სურათებს იღებდა. შეესწავლა იმ ფოტოგრაფიული წამლების ზოგიერთი ქიმიური თვისებანი და კრისტალების მოყვანილობით, ფერით, ელვარებით და სუნით არჩევდა ერთმანეთისაგან ამ წამლებს. მოიგონეთ თუნდა ის ათის წლის ყმაწვილი, რომელიც მე შემხვდა რედბარში, მაგრამ რას გაჰდებიან იგინი თავისის ნიჭით იქ, სადაც არც სასწავლებელი და არც წიგნები არ მოიპოვება. მერე მაშინ, როცა ყველა სხვა ერთი ესეთი მისწრაფებით მიღის წინ სწავლა-განათლებაში.

სპარსეთი, რასაკირველია, ჩამოპრჩება ყველას უკან, როგორც დღესაც არის ყველას ჩამორჩომილი და, თუ ამავე გზით იარა, სრულიად მოისპონა და აღმოიფხვრება მისი სახსენებელი. დღეს სპარსეთში, შეიძლები ვთქვათ, რომ არც ერთისკოლა არ არის. ხალხმა ყველამ იცის წერა-კითხვა და მეტი არაფერი. არის სასულიერო სასწავლებლები, საიდანაც მოლები გამოდიან და ამბობენ, კაი სწავლაც არის იქაო, მაგრამ რა უნდა იყოს იქ რიგიანი, როდესაც წინადვე ვიცით, რომ ეს გუნდი და გუნდი მოლათა უფრო განგებ უბავენ ხალხს თვალს, რომ უფლება და ლუკმა-პური ხელიდან არ წაუვიდეთ. ბევრად უმჯობესი იქნება სპარსეთისათვის, რომ ეს მოლა-დარევიშ-სეიდები სულ ერთ დღეს გასწყვეტოდა, ეგების მაშინ მაინც

აეხილებინა, მათ მიერ ახვეული, ავალები და ერთ რამ რიგიან გზას დასდგომოდა.

დანარჩენ სასწავლებლებში სახსენებელია სულ ოთხი სკოლა და ისიც იმიტომ სახსენებელი, რომ მათზედ უკეთესი სასწავლებლები სხვები არ მოიპოვება. ეს არის ერთი სომხებისა ქ. ისპაანში, ჯულფაში, სადაც სომხებ გარეითად პრავინ მიიღება. სწავლა ამისი ჩვენებური სამოქალაქო სკოლების სწავლას ვერ აღმატება და ბევრად იმაზედ ნაკლების განვითარებით გამოიდიან იქიდან ყმაწვილები. ორია ლოთრანგთა მისიონერებისა: ერთი ისევ ჯულფაში და მეორე თეირაანში და ეს ორივე თუ დაბლა არა, მაღლა არა სდგანან სომხების სასწავლებელზედ. აქაც უპირველესად იღებენ თავისებს—ლოთრანგთ, ევროპელებს, სომხებს და, რასაკირველია, სპარსელებსაც, მაგრამ სპარსელს ვერ მიიზიდავს ქრისტიანების სასწავლებელი, მით უმეტეს, რომ მათი დანიშნულება წმინდა მისიონერულია და ყმაწვილებს სწავლის მაგიერ ხშირად სარწმუნოებაზედ ჩასჩინენებენ. რჩება მთელს სპარსეთში მხოლოდ ერთი სასწავლებელი. ეს არის „სასწავლებელი შაჰისა“. მე საუბედუროდ ვერც გავლაში, ვერც გამოვლაში ვერ მომიხდა იქ სწავლის ღროს დასწრება, რადგან არდადეგის<sup>1)</sup> დროს შევესწარ ორჯელვე მის ნახვასა, თორებ კარგა გავაცნობი მეითხველს მის ავკარგიანობას. და მაინც რამოდენადაც მე ვნახე იქ სწავლა-დასრულებული და იმ სკოლაში მონაწილე ხალხი, შემიძლიან ვთქვა, რომ ის სასწავლებელი ბევრად უფრო ნაკლებ განვითარებას აძლევს ყმაწვილს, ვიდრე სომხებისა ანუ მისიონერებისა. თქვენ თითონაც მიშვედებით მის ღირსებასა და სწავლის სისტემას, მე რომ მარტო თვით შენობა აგიწეროთ და მის პროგრამმაზედ კრინტიც არ დავძრა.

ეს არის კაი მოზრდილი ლამაზი, ქარვასლისებური შენობა, შუაში პაწია ბალი აქვს, როგორც ყველა სახლის ეზოს. შესავალი კარის პირდაპირ მეორე სართულად არის წამომდგა-

<sup>1)</sup> ორდადეგი—კანიკულები, ზაფხულის დრო.

რი ერთი დერეფნიანი ლამაზი ოთახი. აქ შეისვენებს ყოველთვის შაპი, როცა კი მისი უდიდესობა კეთილ-ინებებს გამო-ცდაზედ დასწრებას ანუ ისე, სასწავლებლის დათვალიერებას. იმის ქვეშ არის სამხედრო სავარჯიშო ოთახი, ესე იგი აქ ასწავლიან თოფის სროლის და საომარ მეცნიერებას და მერე სულ ასე: თითო ოთახი თითო საგნისათვის არის დანიშნული. ერთს ოთახში ასწავლიან რუსულ ენას, მეორეში—სპარსულს, მესამეში—ნებეცურს, მეოთხეში—ინგლისურს, მეხუთეში—ფრანგულს, მეექვსეში—გეოგრაფიას, მეშვიდეში—ანგარიშს, მერვეში—ხატკას და მეცხრეში—სამხედრო მუსიკას. მაგრამ კი არ გეონოთ, რომ ერთ და იმავე მოსწავლისათვის ყველა ეს საგნები სავალდებულო იყოს. სრულიადაც არა. თქვენ გნებავთ ხატვა ისწავლოთ? შეხვალო ხატვის ოთახში, მორჩა და გათავდა, სხვებთან თქვენ დავა არა გაქვთ. ამგვარად, როგორცა შეხდავთ, ეს ერთი სასწავლებელი წარმოადგენს თავისთავად ცხრა სასწავლებელს ერთად-ერთს შენობაში მოთავსებულებს, რომელთაგან თითო სასწავლებელს უჭირავს მხოლოდ თითო ოთახი და საღაც, მაშასაღამე, თავმოყრილნი არიან ახლად-დამწყობიც, ერთის წლის გამოვლილიც და რამდენიმე წლის ნასწავლიც. აი უპირველესი და ერთად-ერთი სასწავლებელი მოელის სპარსეთისა. აბა რა უნდა იყოს ხალხის განათლება, თქვენ თითონ წარმოიდგინეთ.

აქვთ აგრედავე ორი გაზეთი, ერთი თეირანში და ერთიც თავრიზში. მაგრამ რა გაზეთები! რაც განათლებაა, ის იმის შესაფერი გაზეთებია. გამოდის კვირაში ერთხელ ერთი ხელის ოდენა და შეიცავს ამბავს შაპის წაბრძან-მობრძანებისას და აბრძან-დაბრძანებისას. ხალხთან მას არავითარი საჭმე არა აქვს და არც ხალხი ეტანება იმ გაზეთებს. თუ რაიმე სწავლა აქვს ხალხს, სულ თავისით, თავისის საკუთარი მეცადინეობით. ისწავლის ყმაწვილი წერასა და კითხვებს და კითხულობს მერე, რაც კი რამ ხელში მოპევდება: ჰაფიზი, ლვთის მეტყველება, სააღი, ფირდიუსი, ვარსკვლავთ მისნობა, ყორანი უსისტემოდ, გაურ-

ჩევლად. აი ამისთანა ხალხნი არიან მათი ნასწავლნი და განათლებულნი, ნაკითხნი და მოსმენილნი.

აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რიგად მოდებულია მთელს სპარსეთში ცრუმორწმუნეობა. საღაც გაიარო, შეგხვდება გზაში სადმე, კლდეზედ, კონკებია ჩამოყიდებული და რომ ჰკითხო, ეს რასა ნიშნავსო, გიპასუხებენ,—ეს ალის-თვის არის, კარგია. ანუ ადგილ-ადგილ ქვებია აგროვებული აგრედვე ალისათვის, თუმცა ამ ერთ ცრუმორწმუნებას პრაქტიკულად კარგი შედეგი მოსდევს ძალიან.

ისე არავინ გაივლის რიყიანსა და კრია ადგილებში, რომ ყველამ თითო პატარა ან ღიღი ქვა არ აიღოს გზიდან და არ შეაგდოს იქვე, ქვის გროვებზედ, რომლებიც გზის პირებში ბლომად არის შეგროვებული; ამის გამოისობით გზა იწმინდება და, რაც იქ ქვა და ღორლია, სულ გზის ნაპირებში გროვდება, თუმცა ეს აზრი კი არ ჰქონიათ მის დამადგენელთ.

ვინც ჰნახო, ღიღი თუ პატარა, ყმაშვილი თუ მოხუცი, სულ სხვა-და-სხვა შელოცვებითა და ამმათი <sup>1)</sup> არის შეკრული.

ერთი ყმაშვილი მოიყვანეს ჩემთან,—აციებს და ცოტა ქინაჭინა გვიბოძეო. მივე ქინაჭინა და რომ შევხედე, ელდა მეცა: ოც და ათამდე შელოცვილები ჰქონდა დაკერებული და ჩამოკიდებული, ზოგი ყელზედ, ზოგი მკლავზედ, ზოგი გულზედ.

ერთი კაი მოსმენილი ხანი ქ. ზანჯანიდან, ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი მოგზაურობდა ჩემთან ერთად ერთ კაი მანძილზედ.—ჰქონდა, თუმცა არ ვიცი, როგორ შეეძინა, ზოგი-ზოგი ცნობები ფიზიკიდან და ქიმიიდან, გეომეტრიიდან, ასტრონომიიდან და ბუნების მეტყველებიდან. მაშასადამე, ძალიან განათლებული იყო იმათებურად, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ღამე გაიხდიდა დახაძინებლად, გული და მკლავები სავსე ჰქონდა ხოლმე ამმებითა და შელოცვებით.

<sup>1)</sup> ამა—შანი, შელოცვა დაკერებული.

ორი მათგანი გარედან მაჯებზედაც გვეკეთებინა და ისე ატა-  
რებდა.

ამავე ცრუმორწმუნოებით აიხსნება, რასაკვირველია, დღე-  
მდე ტატუიროვკის სმარება და ნიჟარა (ფაიფური) მიწის ჭამა.  
იქნება მათ უწინ რელიგიოზური ანუ სხვა რამე მნიშვნელობა  
ჰქონდათ, მაგრამ დღეს კი წმინდა ცრუმორწმუნოებას შეაღ-  
გენერ ხალხისას.

ხალხი, რომელიც მოკლებულია სრულიად თავისუფლებას  
და განათლებას და შემოზღუდულია ბარბაროს ერთგან, დღეს  
სრულიად დაქვეითებულა და მხოლოდ თავისის წარსულის მო-  
გონებით-ლა ჰსულდგმულობს და სცოცხლებს. ძველი, რაც  
უნდა რამ გონივრულ აზრსა და საფუძველს იყოს მოკლიბული,  
მით მაინც ის იმისთვის სათაყვანებელია, ხელ-შეუვლებელი  
ახალი კი, რაც უნდა ჩინებული რამ იყოს, რაც უნდა ნათ-  
ლად ეტყობოდეს მას თავისი სიკეთე, ის მაინც ეჭვის თვალით  
უყურებს და ეწინააღმდეგება.

ამ რამდენიმე წლის წინად თეირანში გეემართნათ საავად-  
მყოფო ისრევე მოწყობილი, როგორც ყველა ევროპული საა-  
ვადმყოფოებია. პირველ შემთხვევაში ბევრს აწვენდნენ თურქე  
ავადმყოფებს, მაგრამ შემდეგ, როდესაც ენახათ, რომ იქიდან  
კვირაში სამ-ოთხ მკვდარს გამოასვენებდნენ ხოლმე, ხალხი  
აწინააღმდეგებულიყო: აქამდე მაგდენი არ იხოცებოდა და რაც  
ეგ საავადმყოფო გაქმართეთ, ლამის არის, სულ გავწყდეთო.  
ველარც ძალით, ველარც ნებით, ველარავინ ავადმყოფი იქ ვე-  
ლარ დეეწვინათ და იმათაც გეეუქმებინათ. მე რომ აქედან გა-  
ვიარე, იმ ძველ საავადმყოფოს აღგილზედ ახალი სახლები იყო  
წამოკიმული და ერთ ნაწილშიაც მეჩეთს აშენებდნენ.

როდესაც აშ ორი-სამის წლის წინად თეირანში ცხენის  
რეინის გზა გაჰყავდათ, ხალხი ესევე წინააღმდეგი ყოფილიყო.

შეგროვილიყვნენ და ზედ რელსებზედ დეედოთ კისრები, მო-  
მავალი ვაგონის წინ, მაგრამ შაჰს გამოეგზავნა ჩაფრები და  
მანდატურნი და სულ მათრახებითა და ჯოხებით ექვრელებინათ  
მათვეის გვერდები. დღეს კი, რომ ნახოს კაცმა იგივე მოწი-  
ნააღმდეგენი, ვეღარ იცნობს: ისეა ხოლმე გატენილი ცხენის  
რკინის გზის ოთახები ხალხით, ქალითა თუ კაცით, რომ ნებ-  
სის ყუნწი არ ჩავარდება.

რუდებარში რომ გამოვიარე, როდესაც იქიდან ვპრუნდე-  
ბოდი, და ენახე, რომ არც ამ წელს, ესხა სრულიად ზეთის ხი-  
ლის ხეებს, ვიკითხე: რა ამბავია, რად მოსცდა ან წელს ან შარ-  
შანა-მეთქი? მიპასუხეს: რაც, ბატონო, ერთი ფარანგი მოვიდა  
აქ და ჩაგვისახლდა, მას აქეთია ასეთი უბედურება დაგვემარ-  
თაო. მე ბევრი ვეუბენ, რომ ეგ იმძიმი ბრალი არ არის, რაიმე  
ავაღმყოფობა გასჩენია-მეთქი, მაგრამ, რასუკეირველია, ვერავი-  
ნაც ვერ დავარწმუნე, თუმცა ისეთი გულმოდგინებით მიგდებ-  
დნენ ყურს და ისე მიჩვენებდნენ თავს, რომ, თითქო, არც ერთ  
ჩემ ნათქვამ სიტყვას დედა-მაწაზედ არ უშვებდნენ.

მაგრამ უკეთესი იქმნება მოგოყვანოთ ერთი შირაზელი სპარ-  
სელის მსჯელობა კალიზედ.

ეს სპარსელი, რომელსაც მე მოგახსენებთ, არის ზელო  
სულთანის ბიძაშვილი; თეითონ შირაზელია და სამსახური  
ისპანში აქვს; დიდი თანამდებობა აბარია, დიდი სიმდიღრე  
აქვს, დიდად არის დამსახურებული და ამიტომ სახელი და  
პატივიც თითქმის ეჭირის ტოლა აქვს. გავიცან ის შე ერთ-  
ხელ ისაია არხიერისკოპოსთან. ჩამოვარდა ლაპარაკი კალიზედ,  
რადგან შირაზში დიდძალი კალია გადმოდის თურმე ყოველ  
წლივ არაბეთიდან და ისე აოხრებს იქაურობას, რომ საშინე-  
ლი სიძვირე ჩამოვარდნილა და ცხოვრება საშინლად გასჭირე-  
ბიათ. მე ვუთხარი: „რატომ რაიმე ღონის-ძიებას არა ჰქმარობთ?

აი კავკასიაში ესე და ესე იქცევინ, როცა კალია ჩნდება და ჩქარა გასწყვეტამენ ხოლმე-მეთქი“. იმან მიპასუხა: „აი რა შოგახსენოთ, — ჩვენა გვყვანდა შირაზში ერთი გუბერნატორი, ძალიან კეთილი და სათნოიანი კაცი. იმან მოინდომა ერთ წელიწადს კალიის გაწყვეტა. ბევრი ეცადა, ბევრი ფულიც დახარჯა და ბოლოს გაწყვიტა, როგორც იქმნა. ისე გაწყვიტა, რომ ერთი ცალი წამლადაც აღარ გადარჩენილა, ჩაგრამ გაათავა თუ-არა ეს საქმე-და, ენახოთ, წამოვიდა შირაზზედ ისეთი გუნდ-გუნდი კალია, ისეთი გუნდ-გუნდი, რომ სულ მზე დააბნელა. და ოქვენ წარმოიდგინეთ საკვირველება, მხრებზედაც პატარ-პატარა შეილები ესხდათ. მოძოვეს რაც კი რამ შირაზში იყო, გააოხრეს, გააჩანაგეს, ჩამოსხეს მერე მხრებიდან იქ ის, თავისი შეილები და თითონ ისევ გაბრუნდნენო. სჩანს, აქ განგება ყოფილი უფლისა და ჩვენ მისი წინააღმდეგი საქმე ჩაგვიდენია, “— დაუმატა ბოლოს სპარსელმი. „ამ ორის წლის წინად,“ დაიწყო იმავე სპარსელმა, „განდა შირაზში დიდი კალია, გააოხრა ერთიანად იქაურობა და მერე ერთი გუნდი წამოვიდა ისპაანის გუბერნიაში, პირ-დაპირ იქ, სადაც მე ერთი კაი სოფელი მქონდა. შეესია, მოძოვა სულ წმინდად და ისე გაბრუნდა უკან, პირი არ დაუუწია სხვისი მამულებისათვის. განგებ მხოლოდ ჩემს დასასჯელად ამობრუნდა ის ერთი გუნდი ისპაანის გუბერნიაში, რადგან მეც შირაზელი ვარ. აი როგორ ემტერება შირაზსა და შირაზელებსაო.“

განათლებას არ აძლევენ სპარსელებს, არ გამოჰყავთ იგინი სიბნელიდან; ეს კიდევ არაფერი, ეს მხოლოდ ერთი უბედურებაა. მეორე და უველა უბედურებაზედ დიდი ის არის, რომ სპარსეთს პატრონი არა ჰყავს. ვისაცა ჰყითხო, სულ უბრალო ჩავლადარსაც, ისიც კი გეტყვის: „საპაბ ნისტ, ირან საპაბ ნა დარად“—“ (პატრონი არ არისო, სპარსეთს პატრონი არა ჰყავსო) და სრული ნამდვილიც არის ეს იმათი დაჩივლება. არა თუ არა ჰყავს სპარსეთს პატრონი, არამედ პატრონის მაგიერ მტერი ჰყავს შიგ სახლში ჩაყენებული. აი ამისი მაგალითიც.

სპარსეთს, როგორც ყოველივე სხვა სახელმწიფოს, შემო-  
ღებული აქვს ტაღმი. ხოლო მისი ტაღმი განსხვავებულია სხვათა  
ერთა ტაღმისაგან. აქ არის განწესებული მარტო შინაგანი ტაღ-  
მი: ჰეზანი საქონელს ისპაანიდან ქაშაანს — ტაღმი უნდა მისცვა  
ქაშაანიდან ყუმს — ტაღმი უნდა, ყუმიდან თეირანს — აგრედვე-  
ყველა ქალაქში და თითქმის ყველა ღიღ სოფლებშიც კი სატაღმე  
დაწესებულებაა. ტყავს აძრობენ, ტვინსა სწოვენ სწორედ თა-  
ვისსავე მაწარმოებელთ, მაშინ როდესაც ყველა უცხო ქვეყნი-  
დან შემოსული საქონელი განთავისუფლებულია ყოველგვარი  
სატაღმო გარდასახადისაგან. აქედან, ჩასაკირველია, ვერ გა-  
უწია სპარსეთმა ვერავითარი მეტოქიბა ევროპულ საეაჭრო სა-  
ქონელს და დაეცა სრულიად აღგილობრივი მრეწველობა  
სპარსეთისა. დღეს კიდევ აქა-აქა ღონლილებს რამდენიმე ქარ-  
ხანა ქაშაანში, ყუმში, ქირმანში და იაზდში და თუ ესე იარა,  
სრულიად გაქრება და მოისპობა ამ ახლო ხანში ყოველივე  
მრეწველობა სპარსეთისა. ვის არ გაუგონია ქება ხორასნის  
რკინისა, ქაშაანურის კურკლისა, ქირმანის შალისა, იაზდისა და  
სხვა ქალაქების აბრეშუმეულისა, შალეულისა, ყალამქრისა და  
ხავერდისა და სხვა ქსოვილებისა? სად არა ჰფენდნენ ძველად,  
სად არ აწვდიდნენ ესენი თაეიანთ ნაწარმოებს! ეხლა? ეხლა  
შიგ შუა სპარსეთში უცხოელთ უპყრიათ ხელთ ყოველივე  
ვაჭრობა, უცხოელთ ნაწარმოებით არის საესე მთელი სპარსე-  
თი. რაც უნდა ეცადოს სპარსელი, რაც უნდა გააითოს თა-  
ვისი ნაწარმოები, მით მაინც მეტოქობას ვერ უწევს ევრო-  
პელთა ნაწარმოებს. აღლი (არშინ-ნახევარი) მშვენიერი ხა-  
ვერდი 9 აბაზიდან ორ მანეთამდე ფასობს აღგილობრივ, ქა-  
შაანში, მაგრამ მით მაინც ევროპელნი სჯოპნიან თაეისის  
„მანჩესტრითა“ და უბრალო „პლისებით“, ვიდრე ქაშაანელი  
თეირანში მემოიტანდეს ამ თავის ნაწარმოებს, ფასი გაუორ-სამ-  
კიცდება ტაღმის წყალობით და ევროპელი კი თვით მანჩერისე-  
რიდან მოარბენინებს თავის საქონელს და ერთი ფირქლი ხა-  
ტაღმო გადასახადი არსად დაპწვდება. თუ ცოტა რამ არის კი-  
დევ დღეს სპარსეთში მრეწველობა და ვაჭრობა — არის ქირმან-

შაჲში, ქირმანში და ქაშანში და უველაზედ მეტი თახდაში, სადაც ღებრნი არიან მომეტებული მოსახლობა. კაი წარმოებაა აგრედვე ხალიჩისა სულთანაბადში და მის ახლო-მახლო სოფლებში.

უველა ამეებისაგან წარმოსდგება სილარიბე ხალხისა და მართლაც, სპარსეთი ძალიან ლარიბი ქვევანაა. თუ ვისმესა აქვს რაიმე სიმდიდრე, ეს მათ გუბერნატორებს, ჰოქემებს და საზოგადოდ დიდი თანამდებობის პირთ, რომელებიც თითქმის სულ სახელმწიფო საგვარეულოს ეკუთვნიან. ამბობენ, ზოგიერთ მათგანს უცხოეთის ბანკები გამოტენილი აქვთ ფულებითაო. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მთელი მიწა-წყალი ირანისა საკუთრებას შეადგენს მეფისას და ამგვარ დიდი პირებისას. დიდი შეცდომა არ მოგვივა, თუ ვიტყვით, რომ ერთი მეათედი სპარსეთისა შეადგენს კერძო მეპატრონეთა საკუთრებას. აბა რა უნდა იყოს დანარჩენი  $\frac{1}{10}$  სპარსეთის ქვეყნის ცხოვრება — მარტო მებატრონის სასარგებლოდ მან უნდა გადაიხადოს არა ნაკლებ ნახევარი თავისის შემოსავლისა. დაუმატეთ ამას ახლა ჰოქემების და მოიჯარადრების გამორჩიმება, სხვა-და-სხვა გარდასახადი სეიებისა და მოლების სასარგებლოდ და ცხადი იქნება თქვენთვისაც მათი უკიდურესი მდგომარეობა მატერიალურის მხრივ. ხალხს არა აქვს განათლება, მოუსპეს შიგ ძირში უოველივე მრეწველობა და დაპრიჩა სახსრად ცხოვრებისა მხოლოდ მიწის მუშაობა. ამ შემთხვევაშიაც ხალხს არა აქვს მიწის საკუთრება და ნახევარს მის ნაჭირნახულევს მიეზიდება მამულის მეპატრონე. მაგრამ მამულის მეპატრონეს ჰყავს თავრისის მხრივ მოიჯარადრენი, რომელნიც, ჩააბარებენ რა მემამულეს თავის კუთვნილს, აღბად, თავის თავსაც არ აზარალებენ და ერთ შესაფერ ლუქმას თავის სასარგებლოდაც აჰგლეჯენ. ახლა წარმოედავება, როგორც უკვე ვთქვით, სხვა-და-სხვა გარდასახადებს ჰოქემი ანუ გამგებელი იმ მაზრისა და გლეხს რომ დაპრიჩა ერთი მეხუთედი ანუ ერთი მეექვსედი თავისის ნაშრომნაჭირნახულევისა, იმისიც ათასი მაღლი უნდა შესწიროს უფალსა, ახლა სეიედების საქმე, რომ თავ-პირს აქამდენ და პირზედ

ტყავს აძრობენ, ისეც ტყავ-გამძვრალ, ხალხსა. ახლა დასტა და დასტა მოლები, ახლა გუნდი და გუნდი დავრიშთა და ბოლოს თვით ხალხიც ხდება მათხოვარად და დადის კარდაკარ მოწყალების სათხოვნელად.

იშეიათად თუ სადმე იქნება იმოდონა გლახობა, რაც სპარსეთში. ნახევარი ხალხი სულ მათხოვრობს: მათხოვრობს სეიდი, მათხოვრობს მოლა-ახუნდი, მათხოვრობს დარვიში, მათხოვრობენ სალდათები და წერილი მოხელენი, რაღან ჯამაგირებს ვერ იღებენ და მათხოვრობენ თვით გლეხნიც, რაღან ყველას პასუხის გამცემნი იგინი არიან და ბოლოს თავისათვისაც აღარა ჰრჩებათ-რა. რომ შედიხაზ რომელიმე ქალაქში, ანუ სოფელში, ერთისა და ორი ვერსის სიგრძეზედ შეგხვდება ორივე მხარეს გზისა გაწალიოებული მთხოვრები, კაცი და ქალი, ბავშვი და მოხუცი,—ეს არიან ნამდვილი მათხოვრები. შეხვალ ქალაქში და დაგეხვევა ყველა მხრიდან: სეიდი, მოლა-ახუნდი, დარვიში და სხვანი—ეს არიან მუქთა ყლაპიანი.

სარწმუნოებით სპარსელნი დღეს თითქმის სულ მაშმადიანი არიან. როდესაც არაბეთი გაძლიერდა, დაიპყრო მთელი ქვეყანა, დაიმორჩილა აგრევე სპარსეთიც. მოუსპო მათ პოლიტიკური თავისუფალი ცხოვრება და აღიარებინა ძალით თავისი ახალი სარწმუნოება. სპარსეთს უნგბურად ჰქონდა გადაკიდებული მაშმადიანობა, თავისის ძველი სპარსეთი ზოროასტრის რჯულის მაგიერ და უნდომრად ეკიდებოდა, მით უმეტეს, რომ მას იმ ძველ სჯულთან ერთად დევკარება პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ხოლო, როდესაც მაშმადის ფეხშა, ალიმ, რომელიც იყო სიძე მაშმადისა, შეჰრთო თავის უმცროს შეიღს, ჰუსეინს ცოლად სპარსეთის სამეფო საგვარეულოს ხოსროიანის (სასანიდების) ერთად-ერთი წარმომადგენელი ქალი, მაშინ სპარსეთი გონთ მოვადა: აეშალა სურვილა, რომ თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა კვლავ აღედგინა. ამ შემთხვევაში ხელს უწყობდა ძალიან სწორედ ეს ჰუსეინის შეულება, რაღან ერთის მხრივ, თვით ჰუსეინი იყო შვილი-შვილი სჯულთ-მდებელის მაშმადისა და

მეორე მხრივ, ცოლი. მისი პირ-და-პირი მემკვიდრე სპარსეთის ტახტისა, როგორც ერთად-ერთი წარმომადგენელი სასანიდთა საგვარეულოსა. ამისათვის მათ მოიგონეს ერთი სარწმუნოებრივი ხრიკი: დაიწყეს ცილობა მასზედ, რომ ხალიფობა როგორც იყო ალის დროს, საშვილიშვილო საშემკვიდროდ დარჩომილიყო, ესე იგი სასულიერო პირს, მაჰმადის წარმომადგენელს ჰქონოდა აგრძელებ საერო უფლებებიც და მაშინ, რასაკვირველია, ჰქონინი, შვილი ალისა, როგორც კანონიერი მემკვიდრე, შეიქმნებოდა მეფედ. სპარსეთისა და სპარსეთიც მასთან გახდებოდა მეუფროსე მთელი მაჰმადიანობისა. მაგრამ საუბედუროდ მათდა, ეს ასე არ მოხდა. ტახტის დაპყრობის მსურველთ, შემდეგ ალის მოკვდინებისა, გასწყვიტეს სულ ერთიანად მისი სახლეულობა, როგორც თავისი პირადი მოქმედენი და, მაშასადამე, მოსპეს სრულიად ერთსა და იმავე დროს საგვარეულო მაჰმადისაცა და სასანიდებისაც.

ამ გარემოებამ დაპბადა საშვილიშვილო და სამარადისო მტრობა სპარსელებისა სხვა დანარჩენ მაჰმადიანებთან და განაცენა იგინი დანარჩენ ერთ-მორწმუნე ხალხთაგან, რომ მითა შესძლებოდათ მათ დაცუა თავისი ეროვნული თვითარსებობისა.

დღეს სპარსელნი ითვლებიან შიიტ-მაჰმადიანებად განსხვავებისათვის ალის მოწინააღმდეგე სუნიტ მაჰმადიანთავან. ამათ, როგორც ხელს აძლევდათ, გააზვიადეს ალის მნიშვნელობა და თითქმის ბარიბარ დააყენეს იგი მაჰმადთან. ესენი უკველწლივ წყევლა-კრულვას უთვლიან ომარს, ალის მკვლელს და დიდის ამბით დღესასწაულობენ ომარის მკვლელის სახელს, რომ უფრო განაძლიერონ მტრობა ერთმანერთს შორის და განამტკიცონ მით თვისი ეროვნული სხვაობა სხვა მაჰმადიანთაგან. ამისავე მიზეზით განწესებულია მთელს სპარსეთში გლოვა-დიდის ზარითა და ზეიმით ალის სახლობის გაწყვეტისა. სრული ორმოცი დღე გლოვობენ და ჰვოდებენ ამ უბედურ დღეს სპარსეთის ერისას.

შე შემხედა ამისი ნახეა პირველად ალიაბადის სადგურზედ, როდესაც უერეიდანიდან დაებრუნდი და უკან მოვდიოდი.

ვიწერ ჩემთვის ჩემს ოთახში. საღამო ხანი იყო. ვნახოთ, მო-  
მესმა რაღაც სიმღერა, დავუგდე ყური—ნაღვლიანი ხმა იყო  
და თან რაღაც ტაშის ცემასავით ხმა მოისმოდა. მე ესეთი  
სიმღერა ჯერ არსად გამეგონა და ძალიან ინტერესი შომეცა.  
ნამეტნავად გამაკვირვა იმ რაღაც ხმამ, რომელსაც ისე შწყობ-  
რად, ტაქტით აყოლებდნენ. არ ჰგავდა არც ქვის ცემას, არც  
ხისას, არც ტაშისას, ცოტა ტაშის ხმაზედ უფრო ყრუ იყო.  
სწორედ ამ დროს, როდესაც ერთ ძნელ საგონებელში ვიყავ  
და ვერ გამომეტნო ვერც კილო იმათის სიმღერისა და ვერც  
ის უცნაური ხმა, შემოვიდა ჩემთან ჩემი ბიჭი, ჩავლადარი.

— სად არის ჩენი ხანი-მეთქი? — ვკითხე ბაგირ-ხანის ამბა-  
ვი, რომელიც ყუშიდან სულ ჩემთან ერთად მოგზაურობდა.

— აქ გახლავთ, ეზოშიაო.

— ეს რა არის, არ იცი შენ, რასა მღერიან-მეთქი?

— როგორ არ ვიცი; გულში ხელს იცემენ; ეგ ჩვენი ჩვეუ-  
ლებაა.

— როგორ? მხიარულობენ თუ რა არის?

— არა, ბატონო! ეხლა ჭიშომ ჩვენი მაპარამია, ეგ რჯუ-  
ლის საქმეაო.

— შეიძლება მეც გამოვიდე, ენახო, ხომ არ ეწყინებათ-  
მეთქი?

— არ ეწყინებათ, ბაგირ-ხანმა განგებ გამომგზავნა: უთ-  
ხარ საპაბს, მობრძანდეს, ეს ჩვენი ჩვეულობა ნახოსო.

და მეც იმავე წამს წამოვხტი და გაველ ეზოში. ორმოცამ-  
დე კაცი მოგრძეოლიყო ერთს ადგილს. შუაში ერთი ვიღაც  
მთქმელი იდგა და მოსთქამდა. დანარჩენებს — გული პერნდით გა-  
დალელილი და დრო-გამოშვებით მარჯვენა ხელს ირტყავდნენ  
მკერდში. მე რომ მიველ, დაიძრნენ ისინიც ადგილიდან და  
ასე გულში ცემითა და მოთქმით ჩაიარეს ქარგისლა. გაეიდ-  
ნენ გარედ და რქე, ქარგისლის გასავალში ორი პატარა დუქა-  
ნი იყო: ერთი ფარჩეულობისა და მეორე საჩაიე. ფარჩეულის  
დუქანში ჩამოეკიდნათ კედლებზედ ხალები და მატერიები; გა-  
მოეფინათ აქა-იქ ლამპები და შუშეულები. ერთს ადგილსაც

მაღალი სკამი იდგა მთქმელისათვის. ჩამჭიდა მე ხელი ბაგირ-ხანმა და მივყევით პროცესიას..

„ეს ამბავი მე შენთვის გავამართვინე, ეხლა მაჲარამის თვეა. მთელს სპარსეთში გლოვა და ტირილია ალის სახლობის ამოწყვეტის გამო. ყველა სოფელში, ყველა ქალაქში ეხლა ეს ამბავია. შენ არ გენახვებოდა და ეს ჩემის მეთაურობით არის განგებ შენთვის გამართული. მართალია, ეხლა თეირანში რომ მივალთ, სულ ამ ამბავს შექხვდები ყველგან, მაგრამ სჯობია გზაშივე იცოდე, მაინც საქმე არა გვაქვს-რაო.“

მე ძალიან დავუმარლე. რომელიც უკეთესი ადგილი იყო, ის მე და ბაგირ-ხანმა დავიჭირეთ. მთქმელი სკამზე დ შესდგა და კაი გრძელი ისტორია დაიწყო. უამბობდად საშინელის სურათებით იმ ამბავს, თუ ვითარ მოსრეს ალის სახლობა, რა ბარბაროსობა, რა გულ-ქვაობა იხმარეს მათ მტრებმა. მოსთქამდა გულ-ამომჯდარად, შესაბრალისის ხმით. და მაყურებელი ხალხიც, ნამეტნავ დედაკაცობა, რომლებიც ცოტ-ცოტაობით კარგა ბლომად მოგროვდნენ, იცემდნენ თავში მუშტებს, ჰგოდებდნენ და იხოკავდნენ თავ-პირს. დრო-გამოშვებით ეს მაყურებელი ხალხიც ერთსა და იმავე დროს ირტყავდა ყველა მკერდში ხელს.

როდესაც ის ერთი მორჩა თავის სათქმელს, შედგა ახლა მეორე ამ ამაღლებულ ადგილზე და მოჰყვა იმ გვარსავე მოთქმას ტაეპ-ტაეპად, ხოლო უფრო მწარედ, ნაღელიანად და ყველანი ააქვითინა. ყოველივე იმისი ტაეპის უკანასკნელ სიტყვებს იმეორებდა რამდენჯერმე ხალხი გულში ცემით. მთქმელი ჩინებულად ადევნებდა თვალს ხალხს და იქიდან აძლევდა ხელს, რომ მოთქმა უფრო მწყობრი და შეწყობილი ყოფილიყო თავისის გულში ცემით და, მართლაც, რაღაც კაი მუზიკა გამოდიოდა სრული აკომპანიმენტით. გაგრძელდა თითქმის ერთი საათი და ბევრს ისე გაუხდა მკერდი, გეგონებოდა, ეს-ეს არის, სისხლმა უნდა გაღმოპეხოსო.

თერიამეტ თიბათვეს შეველ თეირანში. სადაც კი მივდექმოვდექი, სულ ეს ამბავი იყო. ხალხი გუნდ-გუნდად უვლიდა

მთელს ქალაქს. ერთი მოზარენი რომ გაგვცილდებოდნენ, მეორეები სხვა მხრიდან მოდიოდნენ. მე, რასაკვირველია, ვცდილობდი, არსაით არ დავკლებოდი, არა გამომპაროდა-რა და საესებით მენახა ეს საზარელი ამბავი.

მეორე დღეს, 200—300 კაცი ვნახე დილითა. ხელში პატარა მრგვალი ხეები ეჭირათ და ურტყავდნენ ერთმანეთს. ვიკითხე, რატო გულში არ იცემენ-მეტე და მითხრეს: ჯერ დოლაა, ასე იციან და მერე რომ გახურდებიან, გულში კი არა, თავ-პირშიაც კი წაიშენენო.

მართლაც, სადილს უკანა ენახე ერთი ასეთი გუნდი მოზარებისა. წელ ზევით სულ ტიტვლები იყვნენ. მოდიოდნენ, მოსთქვამდნენ და ორტყავდნენ გულში და თავში, რაც ძალა და ოონე ჰქონდათ სრულის თავგამომეტებით. ადგილ-ადგილ დუქნებსა და სახლებ-წინ თითო წამი ჩერდებოდნენ. ხტოდნენ მაღლა-მაღლა, იქნებოდნენ ხელებს ჰაერში და გაჰკიოდნენ საზარელის ხმით: „ქუ ჰუსეინ, ქუ ჰუსეინ!“ (სად არის ჰუსეინიო)

თოფხანის მეიდანზედ ჩაებათ ხელი-ხელს ორმოცამდე ყარაულ სალდათებს, უვლიდნენ ფერხულსავით და ღრიალებდნენ: „ჰასან, ჰუსეინ! ჰასან, ჰუსეინ!“ და-თან მეორე ხელს თავში იტყაბუნებდნენ. ისე დაღლილიყვნენ და ისე დარეტიანებულიყნენ, რომ დაისებული ინდაურივით ადგილზედაც ველარა ტრიალებდნენ. კარგი კიდევ გამოიარა ამ ღროს ერთმავილაც დიდმა იარანალმა და რომ დაინახა, ძალიან ხმა-მაღლოვდასჭერა იქვე მდგომ აფიცერსა და ვიდრე სრულიად არ დააწყნარებინა, იქ იდგა კალიასკით გაქერებული. საზარელი სანახავია იმ დღეებში თეირანი, ყველგან გლოვაა შენს გარეშემო: ყველა ტირის, ყველა ჰერდებს; ყველა გულ-ჩათხრობილია, მოქურუშული, მწუხარე და ნაღვლიანი. ქუჩები გაქელობია მოზარეებით, ჰაერი გაეენთილია გამოურკვეველის გუგუნით და თეით ბუნებაც გაშტერებული, თითქო იმასაც ესმოდეს მწუხარება ქვეყნისაო. შენც, ყველა ამის მაყურებელი, სწუხდები, ჰალვლიანდები და რაღაც სიბრალული გებადება გულში.

ამ ამბავში არიან სრული ორმოცი დღე, ვიდრე მიაღწევენ თუ და მეცხრამეტესა და მეორმოცე დღეს. ყველაზედ მწვავეა ეს ორი უკანასკნელი დღე, დღე მათი წმინდანების წამებით დახოცვისა. მოდის ოცა და ოც და ერთ თიბათვეს. პირველს ეძახიან „თასუას“, მეორეს „აშურას“. ერთი პნიშნავს არაბულიად ცხრას და მეორე ათს. ცხრაში იმოუწყვეტიათ მთელი სახლობა ალია, 72 სული და ათში უკანასძნელი პუსეინი.

ცხრას ანუ „თასუას“, ცხრამეტ თიბათვეს დილით აღრიან წაველ „საბზ-მეიდანზედ“ (მწვანე შეიდანზედ), სადაც ყველაზედ მეტი ამბავი უნდა ყოფილიყო, და საღამომდე შინ აღარ შემოვბრუნებულვარ. აქ ედგათ ერთი დიდი ფარდულა, სულ მატერიებით შემოსლუდული. შიგნიდან ათასნაირი შუშეულობით იყო მორჩიული. აღგილ-აღგილ დორჩონი სარკები და წამებულთა სურათები დევმართნათ. ერთგანაც ამაღლებული აღგილი იყო ჭიქმელთათვის. დილიდან მოყოლებული, ხალხი ბუზით ტრიალებდა. მთელი დღე ისე იყო გაჭედილი ხალხით, ამოსუნოქვა უჭირდებოდათ. გამოჩენილი მოქადაგენი და მჰევრნეტყველნი ერთი მეორეს მოსდევდნენ. შემოაფრენდა ცხენს ჯერ ერთი, ავიდოდა მაღლობზედ, დაიწყებდა მოთქმას, აატეხინებდა ურიაშულს ამოდონა ხალხს და ვიდრე ის მოასწრობდა გამობრუნებას, ახლა მეორე მჰევრ-მეტყველი მოაფრიალებდა კალთებს. ასე უვლიდნენ მთელი დღე თეირანს; რიგისა მოდიოდა, რიგისა უკან ბრუნდებოდა. სულ სეიედნი იყენენ. ამისთანა ფარდულები ბევრგან იყო დამართული ქალაქში და ყველგან ესეთი ამბავი იყო. შესანიშნავი იყო, რომ ამოდენა ხალხში რიგიანი და მოსმენილი არავინ ერია. დაფართატებდნენ სულ სეიედნი და მოლები და აჰყოლოდათ მათ დედაკაცობა და უბრალო მუშა ხალხი.

შესანიშნები, რომლებიც პატარა ყმაწვილებს ეჭირათ ხელში. დროშები წყვილ-წყვილად მოჰქონდათ და ორ-ორი დროშა თითო კალთით იყო ერთმანეთზედ გადამული. გამოატარეს მქესი წყვილი. მოჰყვა დროშებს სამოცი მეტი პატარა ყმაწ-

ვილი, წელამდე ტიტვლები და ფეხ-შიშვლები. წინ მოუძღვნდათ ამათსაებევე მორთული ერთი დიდი კაცი. ნახევარზედ პირი ყმაწვილებისაკენა ჰქონდა მიბრუნებული; ხელს აძლევდა ლოტბარივით ამ პატარებს და უწყობდა სხვა-და-სხვა საგა-ლობლებს. მერე მოჰქონდათ ისევ ყმაწვილებს სამი წყვილი დროშა იმავე ყოფით, როგორც პირველებს და მათ მოსდევ-დნენ სამოცამდე სხვა ყმაწვილი. ამათ ყველას აფარებული ჰქონდათ წინ აბრეშუმის ბალდადები ანუ ლამაზი ჭრელი შა-ლები; ხელთ ეჭირათ წყლით სავსე სხვა-და-სხვა გვარი ჭურ-ჭელი: ნიტრა, თასი, ლულეინი, ჯამი, გრაფინკა, „კოკოსის“ კაკლის ჭურჭელი. მიღიოდნენ, მოსთქვამდნენ საგალობელს და ასმევდნენ ხალხს წყალს. ამათ შემდეგ მოჰქონდათ კიდევ ერთი წყვილი დროშა. მას მოსდევდა მძიმე ნაბიჯით ერთი მშვენიერი შავი ცხენი მთლად შავ ჩულ-გადაფარებული, თავით ფეხამდე შავის რახელით შემოსილი. ზედ იჯდა სამი-ოთხის წლის პატარა ყმაწვილი, მთლად შავებ ჩაცმული. მხარზედ გადაკიდებული ჰქონდა ბზით სავსე შავი აბგა. ყმაწვილი ჰყოფ-და შიგ-ხელს, ილებდა ბზეს და იყრიდა თავის პაწია ხელით თავსა და მხრებზედ. გვერდთ მოსდევდა ორი კაცი: ერთს ცხენის ჯიოაბა ეჭირა და მეორე ყმაწვილსა ჰპატრონობდა, ვინიცობაა, რომ ცხენიდან არ გადმოვარდნილიყო. შემდეგ მოჰქონდათ კიდევ ერთი წყვილი დროშა და მას მოსდევდა ჭრელი ცხენი, ჭრელად შემოსილი, ჭრელად ჩაცმული ყმაწვილით, ისრევე, როგორც პირველი. მერე ისევ ერთი წყვილი დროშა და ყვითელი ცხენი; მერე მწვანედ შემოსილი, მერე წითლად და, უკანასკნელ, მეექვსე ისევ შავად. უკან მოსდევდა აუარებელი ხალხი.

მოჰქვა ამას ახლა დიდრონების პროცესია. წინ მოუძღვნდათ ერთი ფეხ-შიშველა, წელამდე ტიტველა კაცი, რომელსაც თავ-ზედ მიწა და ტალახი ეყარა და მთელს ტანზედ ჯვარ-მენდლებ-საკით რაღაც-რაღაცები ჰქონდა თოკებითა და თასმებით და-კიდებული. ამის უკან მოჰქონდათ ალის ხელი გრძელს ხალ-ხაზედ გაკეთებული. ხალხა მთლად სიგრძეზედ სხვა-და-სხვა გვა-რი მატერიებით იყო შემოსილი და თავში, გარდა ამისა, არ-

შინ-ნახეფარის სიგრძეზედ, ძვირფასი ლენტები და ნაკრები ჰქონდა დაკიდებული არქიელის კვერთხივით. ამას მოსდევდნენ 40—60 სეიედი ძვირფასად ჩაცმულნი. მოდიოდნენ მწყობრად ისე, როგორც შეეფერებოდა მათს საკუთარ ღირსებას და საზოგადო მგლოვიარობას. ორი მათგანი მოსთქვამდა გლოვს საშინელის გამწარებულის ხმით და დანარჩენნიც ხანტის-ხან ბანს ეუბნებოდნენ და უფრო მომეტებულად კი ტიროდნენ და ქვითინებდნენ. მერე მოპქონდათ მეორე ხელი ალისა და მას მოსდევდნენ მოლა-ახუნდნი და იმავე წყობითა და რიგით, როგორც სეიედნი. შემდეგ მოპქონდათ მესამე ხელი. მოსდევდნენ მას სოფლებარნი და უაჭარნი და უკანასკნელად მეოთხე ხელი, ყველაზედ ძვირფასად შემკული. ამას მოსდევდა სამასი მეტი კაცი თავშიშეელანი და წელამდე დატიტვლებულნი. თავზე ყველას მშვენიერი ქრელი ბალდადები ჰქონდად უბრალოდ შემობორბლილი და წელზედაც ასეთივე ლამაზი შალები შემოკრული. რაღაც ლამაზი სანახავნი იყვნენ. ვიდოდნენ ეს ამოღონა ტიტველი ხალხი და მოსთქვამდნენ ყველანი ერთად ერთსა და იმავე გოდებას მწყობრად და ნალელიანად. თან მკერდში იცემდნენ ხელს და ყაველივე ეს ისე იყო ერთმანეთში შეწყობილი და თან ზავთიანი და გულის გამგმირი, რომ ვერავინ დაპსწრე ვერ გაუძლებდა, რომ გულში მათის საზოგადო მწუხარებისა და უბედურობისადმი თანაგრძნობა რამ არ დაჰბადებოდა, და მართლაც, საითაც კი გაეხედნა ამ დროს კაცს, ყველან გან გლოვა, ქვითინი და ვაება გაისმოდა.

მთელი დღე ეს ამბავი არ შეწყვეტილა, რიგისა მიღიოდა რიგისა მოღიოდა. ჯერზედ ასი-ორასი კაცი შემოივლიდა მთლად ტიტვლები, ხტუნვით, ხელებისა და ფეხების ქნევით და თავსა და პირში ცემით. მაგრამ, საცა ოცი და ორმოცი ამისთანა მოწამე გროვდებოდა, იქ ამდენივე თოფიანი სალდათი ჰყავდათ ადევნებული, რომ უბედურობა არა დეეტრიიალებინათ-რა. შაქს გეეცა ასეთი ბრძანება და ძალიან კარგადაც ენებებინა, რადგან შუა დღის შემდეგ მოქანცული, ხმა-წასული და დაბორიელებული ხალხი, ნამეტნავ როდესაც შუადღის სი-

ცაე დაპერდათ ხოლმე, საშინელი სანახავები იყვნენ. აუგარ-დებოდათ სისხლი თავში და თვალებ-გადმობრუნებული, გაცო-ფებული, უფრო პირუტყვს ემგზავსებოლნენ, ვიღრე ადამიანს.

სალამო ხანზედ შემოიარა აქ ერთმა ვეზირმა თავის ამა-ლით. შეეტყო, რომ, თურმე, ორ მეპურეს ესარგებლათ იმ შემთხვევით და პური გეებეირებინათ. გამოაცვაინა ვეზირმა ის ორივე მეპურე და იქვე იმ ხალხის წინ მიაბმეინა ერთ ხეზედ და იმდენი აცემინა სახრეებით ტიტველა ზურგზედ, სანამ მე და თქვენ მივეშველებოდით. სწორედ ამ დროს მოსელოდათ ერთ-მანეაში ჩხუბი ოთხ მოზარქს; შენიშნა ვეზირმა თუ არა, ამა-თაც ის დღე დააყენა, რაც მეპურეებს.

ხეალ, 21 თიბათვეს უკანასკნელი დღე იყო ამათის მაჟა-რაშისა. ეს იყო „აშურა“, როდესაც სულ უკანასკნელი წარ-მომადგენელი ალის სახლობისა, პუსეინი, ყოველთა ზედა უპი-რატესი სპარსეთის მაჟმალიანობისათვის, იქმნა მოკლულული. ცერემონიალებს არავითარი განსხვავება არა ჰქონია გარდა იმისა, რომ იმ, გროვა და გროვა ტიტველ ხალხს, რომლებიც წინა დღეს ბალდადებით იყვნენ დამშვენებულნი, ეხლა თეთრი წინ-საფარი ჰქონდათ აკრული და ხანჯლებს ირტყავდნენ გა-პარსულ თავებში. მომეტებულ მათგანს და ნამეტნავ ისეთებს, რომლებისაც იციან წინადვე, რომ ხანჯალს გამომეტებით და-ირტყავდნენ, თითო სხვა კაცი მისდევდა უკან; და რამდენიც ამისთანა მომტირალი აიქნევდა ხანჯალს თავში ჩასარტყმელად, იმდენი ის მეორე კაცი აუკრავდა უკანიდან ჯოხს და ააცდე-ნინებდა. მაგრამ მაინც კიდევ ასამდე მეტი კაცი ერთა თავ-გასისხლიანებული.

ეს იყო უკანასკნელი დღე, ამითი უნდა გათავებულიყო, როგორც წინადაცა ვთქვით, მაგრამ სპარსელები ამას არა სჯერდებიან. ოცი დღე კიდევ განაგრძობენ ამის შემდეგ და ამგვარად სრული ორი თვე გასტანს ხოლმე ეს აშავი. იწყო-ბა თანდისთანობით და თავდება აგრძელვე ნელნელაობით.

როდესაც მე იქაურ ქართველებს გამოვეთხოვე და გამოვ-წიგ ტფილისისაკენ, პირველი ჩემი სადგური იყო ქ. ხუნსარში.

სულ ოცი, ოც და ხუთი ვერსი იქნება თოლურიდან იქამდე. ქალაქი საშინელ ვიწრო ხეობაშია გაშენებული; ორი მხრიდან ფრიილოს სალი კლდეები აქვს აღმართული, მაგრამ რაღან წყლი ძალიან საკმარისადა აქვს, მთელი ხეობა სიგრძეზედ სავსეა პატარატარა სოფლებითა და მცინარეულობით. ამის გამო ქალაქი ძალიან ლამაზი სანახავია. აქ ძალიან მისვლა-მოსვლა აქვთ ქართველებს, როგორც ყველაზედ მახლობელ ქალაქები.

მე ჩამოვხდი ერთ ქარვასლაში. იქნებოდა სამი საათი დღისა. ბიჭი დამეთხოვა ბაზარში და მეც ცოტას ხნით წამოვწერ დასა-სვენებლად. ვნახოვ, ასტყდა საშინელი ბრახა-ბრუხი დოლისა, ეს იყო განგაში. მე ჯერ ყურადღება არ მივაქციო. ახლა პატარა ხანს უკან მოჰყენებ სიმღერას. მთქმელი რამდენიმე იყო, როგორც ხმა მოდიოდა ჩემამდე, და ყველანი ჯერ-ჯერად ამ-ბობდნენ, თითქო ერთი მეორეს ეპასუხებაო. შემოვიდა ამ დროს ჩემს სანახავად ორი ქართველი ბიჭი, რომლებსაც იქ თავისი დუქნები ჰქონდათ დამართული. მე მოკითხვის უმალ, ვკითხე დოლისა და სიმღერის ამბავი. იმათ მითხრეს, რომ „თაზიე“ გაუმართავთ და ხალხს ატყობინებენო.

— შეიძლება, მეც ვნახო?

— რატომაო, მაგრამ არა ლირს, უხეიროები არიან. აი ჩვენა გვყავს ძალიან კარგი მომთქმელი, —ის რომ პნახო, კარ-გია, იმისთანა „ალიაქბერი“ მთელ სპარსეთში არ მოიპოვებაო.

— კარგი-და, ის ხომ დღეს არ გაპმართავს და მე კი დილაზე უნდა წავიდე აქედან-მეთქი.

— კარგი, მაშ, მობრძანდიო — და გამიძლვენ წინ.

დამიდგეს საუკეთესო აღვილას სკამი, დამსვეს და ამომა-დგნენ გვერდში აქეთ-იქიდან.

ჩემ პირდაპირ ერთი კაი მოზრდილი ლამაზი მაღაზია იყო. წინ ერთი მაღლობი ჰქონდა დერეფნივით გამართული. აქ ამ მაღლობზედ ერთი ხის ყუთი დევბირქვავებინათ, გადევფარე-ბინათ ლამაზი ჭრელი ქეჩა და ზედ ერთი ღრმად მოხუცებული კეცი იჯდა, მოკეცილი, რომელსაც ორი უშველებელი წინა-

კბილი ძირ-დამპალი ბოძებივით უფამფალებდა. ძირს მიწაზედ მაღაზის წინ დაფენილი იყო ერთი დიდი ფარდაგი და ზედაც სქელი საბნები გადაშლილი. აქ, მარცხანივ, წინაპირში იჯდა ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ერთის დიდი თავ-შლით ექცევა თავ-პირი და მარტო თვალები-და უჩნდა. მარცხნივე, უკანა პირში იჯდა მეორე დადაკაცი, ბევრად იმაზედ ახალგაზდა; იმასაც დიდი თავშალი ჰქონდა შემობორბლილი, თავზედ ყასაბა წაკრული და სახეზედ პირბადი ჩამოფარებული. მარჯვენივ მხარეს იჯდა ძალიან ახალგაზდა ქალი, პირბადი არა ჰქონდა ჩამოფარებული და, ვითომ როგორც ტირილით დაოსებული, ისე წამოხრილი იჯდა, რომ თავი თითქმის ხალიჩაზე ედო. ამათ წინ იდგა ერთი ლამაზი ახალგაზდა ყმაწვილი და თავზედ მშვენიერი აბრეშუმის ხელცახოცი გვირგვინივითა ჰქონდა გაკეთებული. გვერდზედ კარგა მოშორებით იდგა ერთი სხვა კაცი მხედრულად ჩატარებული, თავზედ ჩაჩქანიერი ხელცახოცი ჰქონდა შეკრული და ხელცახოცის პირები კისერზედ დაფენილი.

მოხუცი, მაღლა მჯდომი, წარმოადგენდა ჰუსეინს, შვილს აღისას; მოხუცი დედაკაცი—მის ცოლს, გვირგვინიანი ახალგაზდა ყმაწვილი—მათს შვილს, ალიაქბერს, სულ ახალგაზდა ქალი—ცოლს ალიაქბერისას, შუახნის ქალი—დას ალიაქბერისას და მოშორებით მდგარი მხედარი—შერმს, მთავარ სარდალს მათი მტრის ჯარისას. ქალებად, რასაკვირველია, კაცები იყვნენ ჩატარებულნი.

წარმოადგენა უკვე დაწყებული იყო, ალიაქბერი იდგა თავის მშობლებისა და ნათესავების წინ და ნებართვის სთხოვდა მტერთან შებმისას. ძალიან უშლიდა ამათ წარმოადგენას ამვლელ-ჩამომვლელი ხალხის სიარული; დიდი მოძრაობა იყო, რადგან ამ მაღაზის ორივ მხარეს ქუჩები ჩამოსდევდა და იქვე, მაღაზის წინ, ოცი საენის სიშორეზედ ეს ორივ ქუჩა ერთად იყრებოდა და შიგ შუა ბაზარში შედიოდა. ხალხი დიდ ძალი მოგროვილიყო, ნამეტნავ დედაკაცები და ახალგაზდა ბიჭები.

დედაკაცები ოხრავ-გმინავდნენ და ხან-და-ხან ქვითინებდნენ ჭი-  
დეც, ხოლო ახალგაზდობა ჩუმ-ჩუმად ჩაიცინებოდა.

ამ ღროს ბაზრებიდან ამოიარა ერთმა, თეთრს ვირზედ  
აღმხედრებულმა, სეიედმა. ვირი რომ მათ დაუპირდაპირდათ,  
მოილო მომლერალ ალიაქბერისაკენ კისერი და ერთი საშინ-  
ლად დაიყროყინა, თითქო ალიაქბერისთვის მისი ბანის მიშვე-  
ლება საჭირო იყოვო. ხალხს უნებლივედ სიცილი წასქდა, მო-  
თამაშეთაცა და მაყურებელთაც, თუმცა იმავე წამს ეცნენ და  
ბატონი სეიედი უმალ იქიდან გააძევეს თავისი მგალობელი  
ვირით.

წარმოდგენამ თითქმის ორ საათს გასტანა. ყველაფერს  
სიმღერით ამბობდნენ. სიმღერის ღროს ხან მუხლებზედ იცემ-  
დნენ ხელს და თვალებს იწმენდავდნენ, ხან ერთმანეთ ფეხთ  
ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ეთხოვებოდნენ, სწუხდნენ, სტიროდ-  
ნენ... ერთი სიტყვით, ნამდვილი წარმოდგენა იყო.

ბოლოს დაგვიარეს ყველას და ფულები მოკრიბეს. ჩაუ-  
ყარე მეც ჭუდში ერთი მუქა შავი ფული, სულ კაპეიკიანები,  
მაგრამ დიდი ლოცვა კურთხევა მოილეს ჩემზედ, რაღვან და-  
ნარჩენებმა, ზოგმა ორი კაპეიკი მისცა, ზოგმა ერთი და ზოგ-  
მაც ნახევარ კაპეიკი. სრული ხუთი წამი სულ ჩემ სახელს გაი-  
ძაოდნენ მთელი ის გუნდი მსახიობთა,— „საპაპ, საპაპო,“ ვიდ-  
რე მე თვითონ არ მოვარიდე მათ თავი.

ეს წარმოდგენები იმართება სპარსეთში იმ ორი თვის საერ-  
თო შეღლოვიარობის ღროს და სახელად „თაზიე“ ეწოდება.

შეკრიბებიან შვიდ-შვიდი, რვა-რვა კაცი, კაი მთქმელნი,  
კაი ხმის პატრონნი, კარგი გალობის მცოდნენი, დადიან ყვე-  
ლა კუთხე-კუნჭულში სპარსეთისა და ცოცხლავ-სიტყვით, საქ-  
მით, მოქმედებით წარმოუდგენენ ხალხს ამ საშინელ დღეს,  
დღეს ალის სახლობის განსაცდელისას. მოუთხრობენ, თუ ვი-  
თარ დევსხა თავს ალის სახლობას, რომელიც შესდგებოდა  
სულ 72 სულისაგან, ნ ათასი მეომარი მოავის შვილის, ია-  
ზიდების მეფისა, თუ ვითარ მოუწყეიტეს მათ წყალი, რომ უფ-  
რო ადვილად დექმორჩილებინათ. აღუწერენ ღრამას, თუ ვი-

თარი მწუხარება და შეკირვება გამოიარეს წამებულთ, თუ ვითარ კადნიერება და გულ-ქვაობა იხმარა მათზედ შათ მტერმა, ჯარების წინამძღვლის „შემჩრმა“ და სხვა და სხვა. დრამას წარმოადგენენ ნამდვილის სისრულით: გამოდიან სცენაზედ თვათ ჰუსეინი, ალიაქბერ და ალიასკარ, იმისი შვილები, ცოლი ჰუსეინისა, ქალი, ერთი სიტყვით, მთელი სახლობა. გამოდის სცენაზედ აგრედვე მტერი მათი, მთავარსარდალი ჯარებისა, შემჩრი და აქვე, ხალხის თეალ-წინ სრულდება ყველა მოქმედებები: დედმამა და ნათესაობა არიგებენ ალიაქბერს, არ უშვებენ მტერთან საომჩად, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის: ებრძეს შეჩრმს, შერმი აჯობებს, დასჭრის; ალიაქბერს დასტირიან მშობლები და ნათესავნი, ბოლოს ალიაქბერი კვდება და დრამაც რჩება. ყველა თავის სათქმელს ამბობს გალობით, ისე რომ ეს მათი ამბავი მოაგონებს კაცს ოპერის წარმოდგენას. ჩასაკვირველია, ბევრი მოუცვლება ნამდევილ ოპერასთან და არც თუ შესადარებელია, როგორც აღსრულებით და მუზიკით, აგრედვე მოწყობილობითა და ჩაცმა-დახურვით, მაგრამ შესანიშნავი და საყურადღებო აქ ის არის, რომ სპარსეთში თავისთვალ, თავის საკუთარ ნიაღაზედ აღმოცენებულა დასაწყისი თავისებურის ოპერისა, წარმოდგენებისა.

ამგვარად, როგორც ჰქედავთ, ბევრი შრომა და მეცადინეობა მოანდომა სპარსეთმა, რომ არაბების შეირ შემოტანილ სჯულს არ გაეერთებინა სპარსეთი სხვა მაშმადიანობასთან; რომ მას კვალად შესძლებოდა შენახვა თავისი ეროვნობისა, და მით კვალად იმედი ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების აღდგინებისა და შესარულა კიდეც ეს თავისი მისწრაფება. დღეს შიიტობა მისი ნაციონალური სარწმუნოებაა.

მაგრამ, ამ აზრით გატაცებულმა, სრულიად ვერ შეამჩნია, თუ როგორ ჩაუგდო მთლად ხელში სასულიერო წოდებას ეს თავისი სარწმუნოებაც და მთელი სპარსეთის ერიც. დღეს მას განაგებენ სეიედი და მუშთაედნი.

სეიედი არაბეთიდან არიან შემოსულნი. იზმიილის შთამოავლობად ალიარებენ თავს და მაჰმადის მონათესავედ. ამი-

სათვის ესენი წმინდა ხალხად არიან მიღებულნი შთელს მაჰმა-  
ლიანობაში: ამათ თავისის წოდების დამამცირებლად მიაჩინიათ  
გარჯა და შრომით პურის მოპოება. ხალხიც თვის მოვალეო-  
ბად სთვლის, გამოჰკვებოს მუქთად ეს მაჰმალის მონათესავენი  
და ამათი წოდების საკადრისი პატივი მიანიჭოს ცეკვაფერში.  
აქედან, რასაკვირველია, ადეილი საფიქრებელია, რომ სეიელი,  
როგორც უშრომლად უზრუნველ-ყოფილი ხალხი, უნდა ძა-  
ლიან მომრავლებულიყვნენ. და მართლაც, საითაც გადასდგათ  
დღეს ფეხი სპარსეთში, სეიელს წამოედება: სულ რომ ცოტა,  
ოცა და ოც და ხუთს კაცზედ ქროთ სეიელი მოვა, თუ არ მეტი.  
მერე როგორი სეიელი: არც ერთმა მათგანმა არ იცის ნამ-  
დვილი თავისი შთამომავლობა, ცველა ცრუსა და მავნეს შეუ-  
ძლიან შემოიჭიროს წელზედ შავი ან ლურჯი სარტყელი,  
შემოიბორბლოს თავზედაც შავი ან ლურჯი რამ პატერია და  
შეიქმნება სეიელი, ვინ გამოეკიდება მის შთამომავლობის დასა-  
მტკიცებელ საბუთებს? ამ გამრავლებას მოჰყვა პატივის აყრაც  
და თუ უწინ იგინი შავს გააჩერებდნენ გზაში და პირში სწორე  
სიტყვას მიარტყავდნენ, დღეს თვალის გასწორებასაც ვერ გაუ-  
ბედავენ; თუ უწინ მატერიალურის მხრივ სრულიად უზრუ-  
ნველ იყვნენ, დღეს ესეც ცოტა მოჰკლებიათ და ხშირად შე-  
ხვდებით სეიელს, რომ ვაჭის დაჰქონდეს ქუჩა-ქუჩა და გამვლელ-  
გამომვლელს წალებს უწმენდავდეს. თუმცა ისიც უნდა ვთქვაო,  
რომ დღემდე ჯერ კიდევ ბევრი უპირატესობა აქვს შერჩენილი:  
იგინი ისევ წმიდა ხალხად ითვლებიან, დიდი გავლენა აქვთ  
მათ ჯერ ისევ უბრალო ხარხზედ, მათი სიტყვა კანონია სხვე-  
ბისათვის სჯულის საქმეებში, მათი ხელის დაწება არავის შეუ-  
ძლიან, რაც უნდა ცუდი საქმე დევშავებინოთ.

ძალიან არ ჩამოუვარდებათ სეიედებს რიცხვით სასულიე-  
რო იქრანებია თავისის მოლა-მუშთავდებითა. მრავალია ამათში  
ნამეტნავ მოლა-ახუნდი.

როგორც სასულიერო წოდება, აგრედვე სეიელი სცხოვ-  
რობენ მუდამ მუქთად, ხალხის ხარჯზედ და აქვთ თავის შესა-  
უერი პატივი და გავლენა. რასაკვირველია, ისინი სულ მუდამ

იმ ზრუნვებასა და ფიქრში უნდა ყოფილიყნენ, რომ გავლენა  
მათი დღითი-დღე უმეტესად გაძლიერებულიყო, პატივი არ  
დაჰკარქოდათ ანუ ლუკა პური ხელიდან არ გამოსცოდათ.  
ამისათვის მათ ისე მოაგვარეს საქმე, რომ საჩქმუნოებრივ ენად  
დაუტოვეს სპარსეთს ენა არაბული: ნამაზი და ყოველივე ლოც-  
ვები მეჩითისა არაბულს ენაზედა აქვთ დღემდე.

სპარსელის რომ უნდოდეს ილოცოს (ნამაზი გააკეთოს) ა.ავისთვის სახლში, უნდა არაბული ლოცვები იცოდეს, სხვა-ფრივ, სხვა ენაზე მისი ლოცვა არ შეიწირება. ხალხმა, რასაკ-ვირველია, არ იცის და ყოველი ლოცვის დროს ჰერძნობს, რომ ღმერთსაც ატყუებს და თავის თავსაც. ბევრი მინახეას ძალიან უბრალო ხალხი, რომ სრულიად არ იციან ლოცვა და მოელი საათი გაიძახინ: „იალლაი, იალლასა“ და „ბის მილლა, ბის მილლასა“ მუხლის მოყრითა და ხელების გაშლით. უძევს წინ მხოლოდ ერთი პატარა ქვა: იმას დაცუტურებს თვალ-მოუშორებლივ მთელი ის ხანი, იმას ემთხვევა, იმასა ლოცუ-ლობს და გამოდის უფრო კერპთ-მსახურება, ვიდრე ჭეშმა-რიტი ღმერთის ვედრება. თუ არ ილოცოს, არც ის შეიძლება, რადგან ყორანი მიუწერს, რომ მოვალეა ყოველი მართლ-მორწმუნე მაპმადიანი, ილოცოს ღმერთი თვისი უსათუოდ მხის ჩასელისა და ამოსელის დროს, გარდა სხვა შემთხვევისა.

ა პ ლუკის შესახებ მომაგონდა ერთი იგავი და მომყავს აქ გასარ-  
თობად. ყოფილა ერთი სპარსელი, რომელსაც სამაგალითო ტენი ჰყოლია.  
ერთ სომებს შეუგულებია ეს ცხენი და გადაუწყვეტია, რომ, თავმოელმა  
თუ თავკოცალმა, უნდა უსათუოდ ხელში ვიგდოვო. ბევრი უთვალთვა-  
ლებია, ბევრსა ცდილა, მაგრამ ამაռოდ, მოპარევა ვერას გზით ვერ მოუხერ-  
ხებია. ერთხელ ეს სპარსელი შორს გზად მიღენილა. გადამჯდარა ეს სო-  
მებიც თავის ჯალლაგა ცხენწედ და თან აკევიატებია. მზის ამოსვლისას  
შეორე დღეს, სპარსელი სალოუავად ძირს ჩამომზრარა და ცხენისთვის თა-  
ვი მიუნებებია. სომებს სკოდნია, რომ სპარსელს არ შეუძლიან შესწყვი-  
როს ლოცვა, 1) რაც უნდა უტელურება მოულოდეს, და როგორც კი სპარ-

<sup>1)</sup> რაღაც ალის ლოცვის დროს დევტა მტერი და ისე მღლოცველი იქნა მოკლული, ამისათვის ვართლ-ზორწმუნე შპს მადიან არა აქვს უფლება ლოცვის შეკვერისა.

სელი ლოცვას შესდგომია, მოსჯლომია სომები იმის ცხენს და მოუქუნალავს.

დღემდე ყორანი, მისი, ცით მოვლენილი, უპირველესი სჯულის წიგნი არაბულს ენაზეა და როგორცა ჰსუს, ისე სარგებლობს ამ შემთხვევით მათი სასულიერო წოდება. არც აქვს სპარსელს უფლება, თუნდა კარგადაც ესმოდეს, მისი თავისუფლად წაკითხვისა და ასინის უფლება, როგორც ასმალოს. აბა რა ხელს მისცემს სასულიერო წოდებას, რომ ხალხმა ეს უფლებები ხელთ იგდოს. მას ის ურჩევნია, რაც უფრო უკუმეთში ეყოლება თავისი მრევლი და უკეთესად ამოსწოვს მას სისხლს.

ერთს მოლასთანა მქონდა ამ ყორანზედ ლაპარაკი და მან მითხრა სხვათა შორის შემდეგი: — „თქვენი სახარება არ არის ნამდვილი. როდესაც თქვენი „ფეილამბარი (სჯულოდებელი) იესო“ ქვეყნად იყო, მას დაავრწყდა, რომ თავისი სჯულის წიგნი ღვთისათვის დროზედ გამოეთხოვნა. როდესაც ის ამ ქვეყნით ცაში წავიდა, მაშინ იმისმა მოციქულებმა თავისად გამოიგონეს და შეადგინეს ის წიგნი, რომელსაც თქვენ დღევანდლამდე სჯულის წიგნადა ჰქმარობთ. მისი ნამდვილი კი ჩვენა გაქვს, როდესაც ფეილამბარი მაჰმად ქვეყნად სცხოვრობდა, მან გამოსთხოვა ღმერთს, თავისი სჯულის წიგნი და მასთან ერთად აგრედვე ქრისტიანებისა და ურიათა. და ღმერთმაც მოუვლინა მას ყორანი, სახარება და დაბადებათ.“

ეს აზრი, რასაცირველია, არ ეკუთვნის მარტო იმ მოლას; ეს ასე სწარს ყველა მაჰმადიანს და სხვებს, არა მაჰმადიანებს გამოუგონიათ მათზედ ამის გამო სახუმარო ამბავი. მაგალითად, ერთმა თეირანელმა სომებმა მიამბო ასე:

„ერთი შეცნიერი სომები ყოფილი სამარყნდელი; როდესაც მაჰმადს დაუწევია თავისი ქადაგება, მაშინ ის შეცნიერი კაციც არაბეთში ყოფილა, მას დაახლოებია და უთხოვნია, როგორც მსწავლულისათვის, რომ ესეთი სჯულის წიგნი შემიდგინეო. ამასაც შეუდგენია. შერე უთქვაშს: მოდი ერთი, სახარება და დაბადებაც გადამიწერე და მერე შენვე მიშველე, რომ ხალხს ერთი კაი სასწაული ვუწევნო და დავაჯეროვო. — ჩა სასწაულიო უკითხნია სომებს. — აი რა, — უთქვამს მაჰმადს: ამა და ამ ადგილას რომ ჭა არის, შენ იმაში ჩაჯვე და ეგ წიგნებიც შიგ ჩაიტანე. მე შევკრებ იმ ჭის პირზედ ხალხს და იმათ თვალ-წინ შევთბოვ უფალს, რომ სჯულის წიგნი მომიერინოს, შეცერავ თან დაუწერავ ქადალდს, ჩამოვუშვებ თოკით ჭაში და შენ იმ დაუწერავი ქალალზის მაგიერ მოაში დაწერილები. შენ ვერა-

ვინ დაგინარავს და მეტი რა გზა ექნებათ, რომ არ დაიჯერონო.<sup>4</sup> სომები დასთანმებია, გადუწერია ის ორი წიგნიც. დაუნიშნავთ დრო. სომები ჭაში ჩასულა. ჭა საშინელი ღრმა ყოფილა, თვალ-ჩაუწვდენელი და გვერდებზიაც ხვრელები ჰქონია. მაპმადს აუარებელი ხალი მოუგროვებია ჭის პირზედ. შეუთხოვნია მღვთისათვის, რომ ამ ხალხს სჯულის წიგნი არა აქვს და მოუვლინე ძალითა შენითაო. შეუკრავს მერე იმდენი და იმნაირი ჭალდი, როგორზედაც ყორანი ჰქონიათ დაწერილი და ჩაუშვია ჭაში. იქ იმ სომებს შეუსწნია დაუწერავი ქალალდი და მოუბამს იმის მაგიერ ყორანი. ხალხს დიდად გაპევირებია, ბევრი უცქერიათ ჭაში, მაგრამ ვერა გაურჩევიათ-რა. როგორსაც მპმადს სახარება და დაბადებაც ამოუტანია ზეგით, მიპპრუნებია ხალხს და უთვამს: „გვაერათ ეხლა, რომ მე ეს წიგნები თვით ღმერთმა მომივლინა?“ — გვაერაო! გვაერაო! უგრიალნია ხალხს.

— მაშ, ვისაც გვერათ, და ვისაც ჩემი პატივისცემა გაქვთ, ყველამ თითო ჭვა ჩაგდეთ ამ ჭაში, თორე შეიძლება შემდეგში ეს ჭა წმინდა ადგილად აღიაროთ და ჭეშმარიტი ღმერთის მაგიერ, ამისი ლლცვა დაწყოთო.<sup>5</sup> ამათაც ყველას თითო ჭვა ჩაუგდიათ და ჭა ამოვსილა. ჩამკვდარა შიგ ის მეცნიერი სომები და მაპმადს გული დაუარხეინებია, რომ ვეღარავინ გასცემდა მის თვალთ-მაქუაბასა და სიცრუეს.

ერთი უბედურობა სხვა სჭირს კიდევ სპარსეთის შიიტობას. ეს ის არის, რომ შიიტთ არა აქვთ თავის მიწა-წყალში თავისი წმინდანების საფლავები, როგორც უპირველესი მათი სალოცავი ადგილები. მათ ჰყავდათ თორმეტი მეტი ემამი, მოყოლებული აღიდან, როგორც თორმეტი მოციქული და მათში მხოლოდ ერთად-ერთი „ემამ რიზაა“ სპარსეთში (ხორასანში) დასაფლავებული, დანარჩენები: 1) „ემამ ჰასან, ემამ ზეინალ აბედინ, ემამ მაპმად ბაგერ და ემამ ჯაფარ სადევ დამარხულები არაიან არაბეთში, მერლინთან<sup>1)</sup> ახლო, არზებადადაში; 2) ემამ ჰუსეინ, ემამ ალი ანაგი და ემამ ჰასან ასევარი ოსმალეთში, პირველი ქალბალაში<sup>2)</sup> და ორი უკანასკნელნიც ქალბალას ახლო სამერეთში; 3) ემირ ალმონინ ალი, ემირ მუსაქაზე და ემირ მაპმად თავი ისევ ოსმალეთში, ბალდალის მხარეს, — პირველი ნაჯაფში და ორი უკანასკნელი ქაზემეიში. და სულ უკანასკნელი ემამი მეჭდი ყაემის ამბავი ხომ დაფარულადა აქვთ.

<sup>1)</sup> მერლინი — მედინა ქალაქია ოაბეთში.

<sup>2)</sup> ქალბალა — ქერბალა ქალაქია ოსმალეთში.

ზოგნი მოუთხრობენ, რომ ყაფის<sup>8)</sup> შთებშიაო და ზოგნიც—ბასრის ახლო, სურტამანრააში ერთი ჭაა და იქ ჩასულაო, მაგრამ ერთნიცა და მეორენიც ამტკიცებენ, რომ მეორედ მოსვლის დროს, ის ქვეყნად ისევ მოვაო. ასე გასინჯეთ, თვით დღევანდელი მათი სჯულის წარმომადგენელიც კი, თავი შიიტებისა, „ჰოჯათ ოლესლამ“ ჰაჯი მირზა მაჰმად ჰასსანი ქალბალაში ზის, ოსმალეთის მიწა-წყალზედ. დაპრეზიდენტი სპარსელებს მხოლოდ „ემამზადეები“ და „ემამნავეები“, ესე იგი, შეილები და შეილიშვილები ემამებისა. დღეს სპარსელი რომ. სალოცავად უნდოდეს წასვლა ამ წმინდა აღვილებში, და უიმისოდ ხომ ის არ დადგება, უნდა სხვის მიწა-წყალში გადავიდეს: რამდენი გზა უნდა გაიაროს, მერე ისიც იქაური გზები, რამდენი გაჭირება და უბედურობა უნდა გამოიაროს, რამდენი ფული უნდა შეემატოს სპარსეთისა სხვა სახელმწიფოებს. თუ რამდენად ძნელია ამ წმინდა აღვილებში „ჩიარათ“, როგორც ისინი იჭყვიან, სიარული და რა ნაირად არის ეს ჩვეულება ამათში მიღებული, ეს იქიდანა სჩანს, რომ უბრალო ხალხის წოდება და ღირსება მხოლოდ ამითი გაიზომება. მაგალითად, ვინც წავა ემამ რიზას სათაყვანოდ ხორასანს, მეშედში, ის შეიქნება „მაშდი“; ვინც წავა ემამ ჰუსეინის სალოცავად ოსმალეთს, ქალბალაში, ის გახდება „ქერბალაჰ“ და ვინც არაბეთში, მაქასა და მერდინში, ის—ჰაჯი.

სპარსეთი, რასაკვირველია, იძულებული იყო, აემაღლებინა თავისი ემამზადეების მნიშვნელობა, რომ დაეხსნა თავი იმ ათას გვარი გაჭირვებიდან სალოცავებში სიარულის დროს და გაენთავისუფლებინა თავი სხვათა სახელმწიფოთა სარწმუნოებრივი დამოკიდებულებიდან. მოახერხა კიდევ სპარსეთმა, გააზეიადა ზოგიერთი ემამზადეების მნიშვნელობა, როგორც „ჰაზრათ-მასსუმისა“ ყუმში და „შაჰ-აბდულ-აზიმისა „თეირანის ახლო, რომლებიც არც ერთ სხვა სალოცავებს არ ჩამოუვარდებიან თითქმის დღეს თავისი სიწმინდით, მაგრამ ამითი მან მხო-

<sup>8)</sup> ყოფის შოთის ეძინიან კევესითს მთებს.

ლოდ გაუბევრა რიცხეი სალოცავებისა და ვერ კი შეიკავა ხალხი იმ ადგილებში სიარულიდან.

ამგვარად სპარსეთს მისმა ეროვნულად გარდაქმნილმა სარწმუნოებამ ვერ გაუმართლა ყველა ის იმედები, რასაც იგი მოელოდებოდა, თუ სახეში არ ვიქონიებთ იმ მოქლე ხანას, როდესაც სპარსეთის ტახტს განაგებდნენ სეიედნი და როდესაც, ნამეტნავ შაჰაბაზ პირველის დროს, სპარსეთმა მცირედის ხნით კიდევ მოიდგა სული. ვერ გაუწია მან ის სამსახური, რასაც მას უწევდა ძველი მისი ზორაოსტრის სარწმუნოება და მაშინ იმანაც ცოტ-ცოტაობით აჰყარა გული ამ თავის ეროვნულ სარწმუნოებას.

დღეს რამდენიც კაცია სპარსეთში, იმდენი თავისებური შეხედულობა აქვს სარწმუნოებაზედ. შეიძლება გაბედვითა ვთქვათ, რომ იგი აღარავის არ აქმაყოფილებს, გარდა სეიედ-დარეიშ-მოლებისა და გარდა სულ უკანასკნელი, ნაძირალა საზოგადოებისა.

რასაკვირველია, დიდი ხანი ვერ დარჩება ქვაყანა ამგვარ გამოურკვეველ მდგომარეობაში და დღეს იქმნება თუ ხვალ, ამ სახით თუ იმ სახით ითვეთქმებს სპარსეთში რაიმე ახალი მოძრაობა და ძირეულად შესცვლის აწინდელ მის მდგომარეობას.

ერთი ამგვარი ცდა, ფრიად საყურადღებო და შესამჩნევი, უკვე მოხდა ამ ორმოციოდე წლის წინ, მაგრამ სპარსეთის მმართველობამ სძლია იგი იმ დროს და ჯერ-ჯერობით, ვითარცა ძლეული მალვით და ფარვით იკვლევს გზას ნელის ნაბიჯით. ეს იყო სწავლა ბაბისა.

ბაბი, რომლისაც ნამდვილი სახელი მირზა-ალი-მაჰმადია, ყოფილა შირაზელი. მამა იმისი ყოფილა ხელობით ვაჭარი და შვილიც ვაჭრობაში ჩაუყენებია. ბაბი როდესაც 17 წლისა შესრულებულა სწავლა-ქადაგება დაუწყვია. სწავლა მისი ბევრად მიზიდველი ყოფილა, ვიდრე დღევანდელი მაჰმადიანობა. მისი სწავლა დამყარებულია მოწყალებაზედ, ურთიერთ სიყვარულზედ და ურთიერთ პატივისცემაზედ.

იგი წინააღმდეგია მრავალ-ცოლობისა. მისი სწავლით, კაცს უნდა ერთი ცოლი ჰყავდეს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლიან ორი შეირთოს, მაშინ როდესაც ყორანის სწავლით კაცს შეუძლიან დაისოს სამოცი და სამასიც, ესე იგი რამდენიც მისი სურვილი იქმნება. ბაბი კი ასე მიუწერს პირდაპირ: „უმჯობესია ერთი ცოლი, თუმცა შეიძლება ორი-კაც...“

გაყრა ცოლ-ქმრობისა, რომელიც თითქმის მასხარად არის აღებული მაჰმადიანობის სწავლაში და რომელსაც ესე დიდი დამოკიდებულობა აქვს ხალხის საზოგადოებრივ ზეობასთან, სრულიად შეწყნარებული არ არის ბაბის მიერ. ვამბობთ, სრულიად შეწყნარებული არ არისო, იმისათვის, რომ ბაბი ძალიან გზებს უხლართავს ამ საქმეს. მის სწავლით გაყრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, უკეთუ იმ უსიამოენობის შემდეგ სრული ერთი წლის განმავლობაში ქმარი ისევ პატივითა და ლირსეულად ეპყრობოდა თავის ცოლს და ცოლმა კი მთელი იმ ერთის წლის განმავლობაში გული აღარ მოიბრუნა. მაჰმადის სწავლა კი პირდაპირ მიუწერს, რომ სამგზის ნება გაქვს, როცა კი გსურს, შენს ცოლს გეეყაროვო.

გათხოვება მაჰმადიანების სწავლით შეიძლება 9 წლის ქალისა, ხოლო ბაბი მიუწერს არა ნაკლებ 15 წლისას და მასთან უსათუოდ შშობელთა ნებადართვით.

საზოგადოდ ბაბს შეუცვლია ყოველი უხეირო მხარეები, მაჰმადიანობის მიერ შემოტანილი, რაც კი მათს ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულობას შეეხება. დაუწერია თავისი საკუთარი სწავლის წიგნი, სახელიად „ბაიან“ (წმინდა) და მიუცია ხალხისათვის ყორანის მაგიერ; თუმცა ამასთანავე შეუწყნარებია მას ყორანიც ისრევე, როგორც თვით მაჰმადმა შეიწყნარა სახსრება ქრისტესი. ამ წიგნის ძალით თითქმის ყველა უფლებაა ქალისა აღდგენილი. აი მაგალითად, რას ამბობს ბაბი ქალის პირბადის შესახებ: არა პირბადი, არამედ გული წმინდა ქალისა არის საჭიროება.

ალბად, ერთის მხრივ ამითი უნდა აიხსნებოდეს, რომ დიდი მონაწილეობა მიუღიათ მის სწავლის გავრცელებაში ქალებს, რომელთა შორის ასახელებენ, როგორც ფრიად შესანიშნავს, ყაზეინელ ფათმანს, ანუ ყორაო-ელ-ეინს და თეირანელ მარიამს.

მაგრამ ყველაზედ მჭევრ-მეტყველი ყოფილა თვით ბაბი. დღესაც, როგორც საოცრებას რასმე, ისე ისენიებენ მის მჭევრ-მეტყველებას: არ შეიძლებოდა ყური დეეგდო ადამიანს მის ქადაგებისათვის და მისი მიმღევარი, მისი ყურმოკრილი ყმა არ შექმნილიყო. მართლაც, სრულიად მოკლე ხანში შეეძინა მას დიდაღი ხალხი და ძალიან აღრე მიექციათ მის საუბე-დუროდ მისთვის ყურადღება მაჰმადიანთა სასულიერო წოდებას. ეგრძნოთ, რასაკვირველია, თავისი შემოკლების დღე და დექსმინათ მთავრობის წინაშე, როგორც პოლიტიკური ორეულობის მსურველი.

მთავრობას დექწო დევნა და იმათაც თავის დაცა, მაგრამ ამ უსამართლო დევნას გეეხადნა იგინი ნამდვილ მოწინააღმდეგედ მთავრობისა და ჩამოვარდნილიყო ძმათაშორის სისხლისა ღვრა. გეეყენებინათ მათ წინაშე მთელი ჯარები და მუსრი გეევლოთ მთლად ბაბის მიმღევარ ხალხისათვის. გადაითელნათ სრულიად გილანი და მაზანდარინი, სადაც მათ ჰყოლათ უფრო მეტი მორწმუნენი, დაქნგრიათ ძირიანად ზანჯანის ქალაქი, სადაც თვით ბაბი ყოფილიყო. მოეკლათ სრვათაშორის ბაბი, ყაზეინელი ფათმანი და თეირანელი მარიამი, რომელნიც წმიდათაშორის არიან დღეს შერიცხულნი ბაბის მიმღევართა-მიერ.

საშინელს აშებს პოუთხრობენ ეხლაც მათის წამებისას: უჭრიდნენ თურმე რამდენიშე აღგილას ხორცს მკერდსა და ზურგზედ, ურკობდნენ შიგ ანთებულ სანთლებს და ატარებდნენ ესე, ცოცხალი მაშხალებივით, ქუჩა-ქუქა, ვიდრე ამ ნელის ცეცხლით არ დაიწოდა წამებული.

ეს მომხდარა 1840 წელს, რვა წლის შემდეგ ბაბის მიერ ქადაგების დაწყობისა, როდესაც ის 24 წლისა ყოფილა.

დღეს ბაბის სწავლა საკმარისად არის გავრცელებული. თუმცა მალვით და ფარულად, მაგრამ ბევრი მიმდევარი ჰყავს კიდევ: არიან მოხელეთა შორის, მეომართა შორის, გამგებელთა შორის, ერთის სიტუაცით უველა წრესა და წოდებაში; მოიპოვებან უველა ქალაქში, უველა დაბა-სოფელში, უველა კუთხე-კუნძულში სპარსეთისა. არიან სპარსეთის გარეთაც: ოსმალეთში, ინდოეთში და რუსეთში. სულ რომ ცოტა ორ მილიონამდე უნდა იყვნენ მათის ანგარიშით მარტო სპარსეთში. ჰყავთ თავისი მეუფროსე თავისი მარტო, აქვაში, ხადაც ხშირად მოპევდებიან ხოლმე სპარსელნი, როდესაც ქალბალსა ანუ სხვა ადგილებში დადიან სალოცავად.

ბაბის სიკვდილის შემდეგ აურჩევიათ მის ფეხად ჰუსეინ ალი და უწოდებიათ „ბაჰალლა“ ანუ სხივი მღვოთისა. ბაჰალლა ყოფილა დიდი გონიერი კაცი, სრულიად შესაფერი მოადგილე ბაბისა. დაუწერია მასაც ერთი სხვა სჯულის წიგნი „აღდასი“; მომკედარა ამ ოთხი წლის წინად და მის მაგიერ დაუსვამთ შეილი მისი აბბასი, „ყოსნეა აზამ“, რომელიც დღესაც აქვაშია.

ძველი ზოროასტრის სარწმუნულება ანუ ცეცხლის თაყვანის მცემლობა დღემდე ჯერ კიდევ ლონლიალობს სპარსეთში. მის მიმდევართ ეძახიან ლებრებს და უმრავლესობა მათი სცხოვ-რობენ ჭ. იაზდში. ესენი არიან უფრო ძველი წარმომადგენელნი სპარსეთის ერისა; აქვთ უკედ დაცული სპარსული ენა და ზნეობრივი მხრივ ძალიან მალლა სდგანან თავის მოძმე შიიტ სპარსელებზედ ზოგიერთ რამებში. ამისათვის ევროპელნი და ზოგიერთი სხვა ხალხიც უწოდებენ მათ ძველ სახელს სპარსელისას, „პარსს“ (სპარსი).

კი სამსახური ვერ გაუწია მათ მაპმადიანობის შემოტანამ. საწყალი ცეცხლთაყვანის-მცემელნი აბუებულნი შეიქნენ თავისივე მოძმე შიიტ სპარსელებისაგან. პირველში ჯერ კიდევ პატივით ეპყრობდნენ, თურმე, მაგრამ შემდეგში კი საშინელი დევნა დევწყოთ. შეემუსრათ ყველგან მათი სალოცავები, შო-

შები 1), დეეტაცნათ მათი შვილები და ძალით გეემუსულმანებინათ.

ამგვარად ღებრნი საშინლად შეუმცირებიათ რიცხვით და ანუ იძლებულ უქმნიათ, მიეტოვებინათ თავისი მიწა-წყალი და შეჭფარებოლნენ სხვა ქვეყნებს. დღეს სპარსეთში, რომ იყოს, სულ 10—12 ათას სულზედ მეტი ალარ მოიკრიბება. მომეტებული ნაწილი ცხოვრობენ დღეს ინდოეთში, სადაც მათ ბევრად უკეთესი ბუდე ჩაუდგამთ.

ჯერ კიდევ ამ ბოლოდრომდე საშინელის ზიზლით უყურებენ ღებრებს, როგორც ცეცხლთ-თაყვანის მცემლებს ანუ კერპთ-მსახურებს.

ერთ სადგურზედ შემოვიდა ჩემთან ერთი დარბაისელი ვაჭარი ღებრთაგანი და დამიწყო სხვა-და-სხვა გვარი ლაპარაკი: წმინდა ბერძნული შეხედულობა ჰქონდა ზოგიერთ საგნებზედ, თუმცა ისეთივე უბრალო და გაუნათლებელი კაცი იყო, როგორც სპარსელი საზოგადოდ. მან სთქვა სხვათა შორის: „ღმერთი არის ძალა; ძალა მიუწოდომელი კაცის გონებისაგან. იგი ყოვლის შემოქმედია: მისგან სწარმოებენ სივრცენი მსოფლიოსანი, კიდენი ცისანი, ზღვა და ხმელეთი, მზე და მთებარე, ერთის სიტყვით, ყოველი ხილული და უხილავი. ხოლო ყოველი საგანი წარმოებული აქვს მას ოთხი უპირველესი ნივთიერებისაგან. ესენი არიან: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. კაცი ჰგრძნობს ამ შემოქმედებით ძალას, ჰედავს ყოველ უძმ, როგორ აღმოსცენდების ბალახი მიწიდან ანუ როგორ გამოიჩინება ქათამი კვერცხიდან, მაგრამ ვერ შეუგნია, ვერ მისწოდომია ჩისი გონება ამ შემოქმედებითი ძალას. ამისათვის მას გამოუსახნია სხვა-და-სხვა სახედ ეს შემოქმედებითი ძალა და ყველგან, ყოველი ადამიანის შვილი მას ღმერთს უწოდებს. ხოლო ზოგი ეძახის კეშმარიტს ღმერთს, ზოგი მართალს და სხვა. ჩვენ ცეცხლსა ვლოცულობთ, სხვები კერპს თავისსავე გაკეთებულს, სხვანიც ვითომ კეშმარიტ ღმერთს. მაგრამ ყველანი კი აღვამაღლებთ

ა შომი ჰქვიან ცეცხლოთივანის-ჩუქმელების ტაძრებს.

ამ დროს ჩვენი გონიერის თვალებს იმ ფრიად ერთი მიუწოდებული ძალისადმი, რომელსაც ჰქვიან ძალა შემოქმედებითიო.

შემოვიდა ჩემთან ამ დროს ერთი ახალგაზღა სეიდი, სულ 14—15 წლისა იქნებადა. შემოასწრო იმ ლებრს ამ უკანასკნელი სიტყვების თქმაში, შეპხედა და შეუტია: „გაჩუმდი, ვითომ შენც გესმის რამე! რომ იცოდე, ღმრეთი რასა ჰქვიან, ხომ აქამდე მაჰმალიანი შეიქმნებოდიო.“ ლებრი სრულიად ჩაჩუმდა და მხოლოდ ხანდისხან თავის ქნევით ეუბნებოდია: „დიახ, დიახ! თქვენ მართალს ამბობთო.“ მე ძალიან არ მომეწონა ამ ბოსლაკი სეიდის ქცევა, ვუთხარ, რომ, შენ ნება არა გაქვს, ჩემს სტუმარს აწყენინო-მეთქი. მაგრამ, რადგან ის თავისის არ იშლიდა, მე სრულიად დავითხოვ და გავაძევე იქიდან.

აქედანაც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა პატივ-ში ჰყავთ მათ ლებრები. მაგრამ ეხლა კიდევ რა უჭირთ, წინად სულ ძალის ადგილის არ აგდებდნენო: ვისაც უნდოდა, სცემდა, ვისაც უნდოდა პლანძლავდა, პატრონი და მოსარჩელე არაენია ჰყავდათო. ეხლა, მართლაც, ექჩნევა თითქოს, რომ შეგნებული სპარსელნი პატივით ებყრობიან და თავიც მოსწონთ იმათით, რადგან მათ დაიცეს დღემდე ძველი სპარსეთის საჩმუნოება და უკეთესად შეინახეს ენა. საუბედუროდ, ასეთი ხალხნი ძალიან ცოტანი არიან.

აქაურ ლებრებს ყველაზედ მეტად მხარს უჭერენ ინდოეთის ლებრნი, ფულით, რჩევით თუ სხვა რამე დახმარებით. ამ ბოლოს დროს თვითონ ესენიც ძალიან წინ მიდიან: ხელში უჭირავთ მთლად იაზღისა და ქირმანის ვაჭრობა თავისის ქარხნებით და ნელნელაობით შემოდიან თეირანშიაც.

ენა სპარსელი სასიამოვნო სასმენელია. ტკბილია როგორც თვით სპარსელი. ამ მხრივ არა, მგონია, თუ რომელიმე ენა დედა-მიწის ზურგზედ მას სჯობდეს. სპარსელი რომ ლაპარაკობს, თითქოს სულ ლილინებს, თითქო სულ მღერისო, ისე გამოისმის. ალბად, ამითი უნდა აიხსნებოდეს, რომ იგი დღე-განდღამდე ესე ძალიან არის კიდევ გავრცელებული მთელს ნახევარ აზიაში.

სამი ავლანელი კაცი, რომლებიც რაღაც ვაჭრობის თაობაზედ მოსულიყვნენ, შემოვიპატიუე ჩემთან ქ. ყუმში. მინდოდა რამდენიმე ავლანური სიტყვა შემედარებინა ქართულ სიტყვებთან. ვკიხე ორასამდე სიტყვა და სულ სამი სიტყვა არ უთქვასთ ნამდვილი ავლანური, სულ სპარსულებს მეუბნებოდნენ: მე, შენ, ერთი-ორი, აქა-იქ, წაიღე, მოიტა, და-ძმა, წითელ-ყვითელი, გან-ში,—სულ სპარსულები თქვეს. და რომ ვკითხე—განა ავლანური არ იცით-მეთქი? მიპასუხეს: ავლანურიც ეს არის, ჩვენ სულ ასე ვლაპარაკობთო.

ავლანეთში, ბელუჯეთში და თეით ინდოეთშიაც კი, როგორც შევიტყე, ძალიან საპატიო ენად არის მიღებული ჯერაც კიდევ სპარსული ენა. სხვაფრივ გავლენა ხომ ძალიან დიდი ჰქონდა მას მომეტებულ აზიურ ენებზედ. ღიდი გავლენა ჰქონდა აგრედვე ჩვენს ქართულ ენაზედ, როგორც დღესაც ემჩენება იქიდან შემოტანილ სიტყვებს.

მაგრამ გასაკვირვეალია, რომ ეს ყოვლად სასიამოენო ენა, ენა რომელმაც პირადი თავისის ღირსებით გაიკვლია გზა თოთქმის მთელს აზიაში, დღეს სრულიად შეჯაჭვულ-შეკეტილია თავის საკუთარ სამშობლო ქვეყანაში. ერთის მხრივ მაჰმადის სჯულმა შესძინა სპარსეთს არაბული ენა სარწმუნოებრივ ენად და მეორეს მხრივ ყაჯართა საგვარეულომ შესძლვნა მას თურანული ენა სახელმწიფო ენას, რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში იყო გადაგდებული. ამგარად თანდისხანობით დევნილი სპარსული ენა სრულიად ვიწრო ფარგლებში იქმნა შემწყვდეული შიგ თავის საკუთარ მიწა-წყალში. დღეს თუ საღმეა იგი უკეთესად დაცული, შედარებით, რასაკვირველია, ისევ ქ. იაზდის მიღამოებში ღებრთა შორის და ქალაქ შირაზის გარემო, რომლის გუბერნიასაც შერჩენია დღემდე სახელწოდება ნამდვილი სპარსეთისა, „ფარსისტანი“. მართლია, ყველამ იცის თითქმის მთელს სახელმწიფოში სპარსული ენაც, მაგრამ სხვა-და-სხვა თემებში სხვა-და-სხვა ენა აქვთ სამუდმო სახმარებლად ურთიერთ შორის მიღებული.

ვერაფერ სანუგეშოს წარმოადგენს დღევანდელი სპარსეთი, როგორც მთლიანი რამ სახელმწიფო. არა ჰყავს რიგიანი გამგებელი და შმართველი და, როგორც თვითონვე იძახია: „ირანს პატრიონი არა ჰყავსი“, მართლაც, რომ—უქატრიონოა. არა აქვს არსად გამაგრებული საზღვრები და უკელვან ლიაა კარი გარეშე მტერთათვის, ზღვით ინებებენ იგინი შემობრძანებას თუ ხმელეთით, არა აქვთ შიგ ციხე-სიმაგრეები და მათი ტალახის გალავნები წინამდებრების წაკვრითაც გადაინგრევა; არა აქვს გზები, რომ თავის დროზედ უნდოდეთ ჯარების მიშველება; არა ჰყავთ ჯარები და არაეთარი საომარი სამზადისი.

ხალხი ირანისა, რომლის სამს მეოთხედზედ მეტ ნაწილს შეადგენს უცხო ტომნი, არაფრით არ არის ერთმანეთში შეკავშირებული. რა იმედი უნდა ჰქონდეს სპარსეთს თვითარსებობის დაცვისათვის, ავლანელთა, ბელუჯელთა, ლორთა და ბახტიართა, ქურთთა, სომეხთა, თათართა და საზოგადოდ თურანელთაგან? დაუმატეთ ახლა ამას მისი გაუნათლებლობა, მისი გულის აცრუება სარწმუნოებაზედ, მისი სიღარიბე, იჯარით აღება სამსახურებისა, კანონმდებლობა, შინაური უკიმაყოფილობა ხალხთა შორის, მტრობა და არეულობა გამგებელთა შორის და თვალ-წინ წარმოგიდებათ ნამდვილი და უტყუარი სურათი მისი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობისა.

თუ ცოცხალ არს დღემდე სპარსეთი, ეს მხოლოდ ზრდილობასა და სულ-გრძელობას მიეწერება მისის მტრებისას, ანუ უკეთ რომ ვსტკეათ, ევროპის სახელმწიფოების დღევანდელ ურთიერთ შორის დამკიდებულებას. რომელმა მოინდომოს მისი აღსასრულის დღე, რუსეთმა თუ ინგლისმა,—რომ რამდენიმე დღეში, რამდენიმე ასის სალდათით ანდერძი არ აუგოს მთელ სპარსეთს. მაინც და მაინც, რაც უნდა ზრდილობა თუ სულ-გრძელობა მოიხმარონ მის მტრებმა; ძალიან ახლოა ის დრო, როდესაც „საუკუნო ხსენება და კურთხევა“ უნდა შეეთვალოს ჩენენგან, მაგრამ... ვნახოთ ჯერ, ვიდრე ერთი კიდევ სხვა ახლი ყაჯარი დაპირებს ტახტზედ აბრძანებას, ვნახოთ—ვითარ შეიცვლება სანამ ევროპელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთ დამოკიდებულობა.

947.922  
1979

308

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ სპარსეთს ცოტა აღრე მოასწრო გარეგანმა მტერმა. ეხლა თვითონაც იმ წერტილზედ იყვნენ დაუყენებულნი, რომ უსათუოდ დიდი ძირეული ცვლილება რამ უნდა მოეხდინათ თავის ქვეყანაში. მაშინ ის თვითონ მოაქექინებდა თავს მათს დამამხობს და ბოლოს მომდებს ყაჯართა უნიჭო საგვარეულოს; მაშინ სპარსეთი კვლავ გაერთ-სულ-ხორციელებოდა, კვლავ გადახალისდებოდა და კვლავ გრძელ საუკუნოებს შესძლებდა მტრის პირში დგომის და პროგრესულად წინ-სვლასა. სპარსეთის დაცემით დეეცა მთელი დასავლეთის აზია. და მისის აღდგენით აღდგებოდა და განიხარებდა კვლავ მისი გარემო მდებარე ქვეყნებიც.

---

## ო ე რ ე ი ღ ა ნ ი ს ა

გ უ რ ფ ი უ ნ უ ქ ა რ თ კ ე ლ თ ნ ა ჭ ა ი ა.

- |  |  |
|--|--|
| 1. ხ უ ნ ს ა რ ი (ქ ა ლ ა ქ ი), გ ზ ა.     | 14. ა ზ ნ ა უ ლ ა (ს ო მ. ფ ა რ ს ი)               |
| 2. თ ო ლ ე რ ი ა ნ უ დ ო მ ბ ე ქ ა მ ა რ ი | 15. ზ ა რ ნ ა (ს ო მ ხ ი ს ა)                      |
| 3. ბ ი ი ნ ი                               | 16. ა ხ ჩ ა  |
| 4. ხ უ ნ გ ი (ს ო მ ხ ი ს ა)               | 17. ჰ ა ზ ა რ ჯ ი რ ი ბ ი (ს ო მ ხ ი ს ა)          |
| 5. ტ ა შ კ ა ს ა ნ ა                       | 18. შ ა ი უ რ დ ი                                  |
| 6. ხ ა მ ი ს ლ ი (თ უ რ ქ ი ს ა)           | 19. ჯ ა ლ ჯ ა ლ ი                                  |
| 7. ბ ი უ ვ ე რ დ ი (ს ო მ ხ ი ს ა)         | 20. ს ი ბ ა ქ ი                                    |
| 8. უ ზ უ ნ ბ უ ლ ა ყ ი (თ უ რ ქ ი ს ა)     | 21. ჩ უ ლ რ უ ტ ი                                  |
| 9. ხ ო ი გ ა ნ ი (ს ო მ ხ ი ს ა)           | 22. მ ა რ ტ ყ უ ბ ი - ზ ე მ ი ა ნ უ ა ხ ო რ ა ზ.   |
| 10. ს ა ნ გ ი ბ ა რ ა ნ ი (ს ო მ ხ ი ს ა)  | 23. მ ა რ ტ ყ უ ბ ი - ქ ვ ე მ ი ა ნ უ ა ხ ო რ ა ქ. |
| 11. შ ე შ კ ა ნ ი (ფ ა რ ს ი)              | 24. ს ი რ ი შ კ ი ნ ი (ს ო მ ხ ი ს ა)              |
| 12. დ ა ქ ნ ი (ს ო მ ხ ი ს ა)              | 25. დ ე ე ს უ რ ი                                  |
| 13. ა ფ უ ს ი                              | 26. ნ ი ნ ი წ მ ი დ ა ა ნ უ ქ უ დ უ ბ ა ნ ა ქ ი.   |

ქ. ხ უ ნ ს ა რ ი  
©

შ ე მ ა ნ ი ა რ ი

1. შ ა ი უ რ დ ი

2. შ ე მ ა ნ ი ა რ ი

3. ა ზ ნ ა უ ლ ა

4. ს ი რ ი შ კ ი ნ ი

5. დ ე ე ს უ რ ი

